

მეათეობი



72
—
114

3

1 9 6 4

გნათობი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 41-ე

№ 3

მარტი, 1964 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ურნალ „მნათობის“ რედაქციას — საქ. კ. ც.-ის მისაღმება	3
ქართლ კალაძე — ტარას შევჩენკო. ლექსი	4
ხუტა ბერუღაძე — შევჩენკოს ძეგლთან. ლექსი	5
• ტარას შევჩენკო — ვარნაკი. მოთხრობა. თარგმანი ვიორჯი ნაშორაძისა	6
ლევან ვოთუა — ლუკვი ლომისა. რომანი. ვაგრძელება	27
ოთარ ჩხეიძე — სალტე რვალისა. ნაწვეტი რომანიდან	54
აკაკი გეწაძე — მხოლოდ ერთი ნაბიჯი. მოთხრობა	74
ჩინგიზ აბმატოვი — დედის ყანა. რომანი. თარგმანი ბაბუღიაშვილისა	112

7407

ტარას შევჩენკოს დაბადების 150 წელი

ვიორჯი ლეონიძე — პეტრის გმირობა	131
თენგიზ ბუაჩიძე — დიდი კობზარი	133
შალვა გოწალიშვილი — ტარას შევჩენკო და ქართული საზოგადოებრიობა	159

კრიტიკა

ვიორჯი შერცილაძე — რომანისტის სტილური თავისებურებანი	166
შოთა ხუტაბერიძე — შალვა ამბულაშვილის რჩეული ლექსების გამო	181

(იხ. შეორე გვ.)

ნ. ნათაძე — თინა დონეაშვილის ახალი შოთხრობა სამამულო ომზე
 დიმიტრი ქუმხიშვილი — მოძმე რესპუბლიკების პოეტები
 შოთა ძიძიგური — ქართული ენის ძეგლთა უახლესი გამოცემები



რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მაღრაძე, ბ. ფლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
 ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-18-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დაბეჭდად 27/111-64 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა
 7 1/4 × 12 1/2 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 10.
 უფ. 04176, ტირაჟი 6 500, შეკვეთა № 361.

საჭ. კპ იც-ს გამოშვებლობა, სტამბა № 1
 Издательство ЦК КП Грузии, Тип. № 1



1900
1900



ქურნალ „მნათობის“ ჩეკისტებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ულოცავს ქურნალ „მნათობის“ რედაქციის კოლექტივს, ავტორებსა და მკითხველებს მის სახელოვან 40 წლის-თავს.

მთელი ამ წლების მანძილზე „მნათობი“ საქართველოს მწერალთა კავშირის ერთგული თანამემწეა ქართული საბჭოთა ლიტერატურის აყვავებისათვის, მაღალმატერული ნაწარმოებების შექმნისათვის ბრძოლაში, რომლებიც სწორად ასახავენ ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს, დიდ გარდაქმნებს საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით ქურნალი „მნათობი“ თავისი დაარსების დღიდან თანამიმდევრულად იცავს სოციალისტური რეალიზმის, ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებს, შეურიგებლად ებრძვის აპოლიტიკურობის, ფორმალიზმისა და უიდეობის ყოველგვარ გამოვლინებას მხატვრულ შემოქმედებაში.

ქურნალ „მნათობის“ 40 წლისთავი აღინიშნება საყოველთაო-სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ღირსშესანიშნავ ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებით, იგი ემთხვევა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრის წლისთავს, რომელიც შემოქმედებითი სტიმული გახდა ისეთი მხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის, სადაც აისახა საბჭოთა ადამიანის — კომუნისტის მშენებლის შრომითი გამირობა და სულიერი სიღამაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ქურნალი „მნათობი“ კვლავაც ერთგული იქნება საბჭოთა პრესის სახელოვანი ტრადიციებისა, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისა, ხელმძღვანელობს რა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებითა და პარტიის პროგრამით, იგი აღზრდის მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, ჩვენი დიადი სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ქაღალდის ქაღალდი

ტარას შევჩენკო

ჩემს ყოველ სტრიქონს, ჩემს გამოხედვას
წლებს, თითქოს განგებ, წლებისთვის ეთქვას —
თუმცა-ღა თავზე აღგნენ ხიშტებით,
ისე არ ძტოვებთ, არ გაეაწყდებით!

ამართეთ მხრები ჩემო კარგებო,
იქ, სადაც მისწედნენ თქენი ფიქრები,
როგორც ნიშანი რამ საგანგებო
ჩემი სიციცხლით მეც იქ ვიქნები!

მე ისევ დნებრის მაღლობზე ვდგავარ,
სადაც სულს ითქვანს სიმწვანე მიწის, —
ამდენი მინდვრის ყვავილი მრავალ
ქირში გამოვლილ ზამთარმა იცის...

ეს გაზაფხულიც დალოცე, დნებრო,
დალოცე, თუ ჩემს გუმანს ენდობი, —
თორემ შენს ტალღებს სად მოვუძებნა
სხვაგან ასეთი ფერის ფერდობი!

დარჩა აქა-იქ: სისხლი წვეთ-წვეთად,
დარჩა აქა-იქ: ცრემლი მაღული
და ამ ყვავილებს ახლა ზედმეტად
არც უნდა ცისკრის ფერუმარული...

რომელი ერთი დაეასახელო,
ვიცი მე, ყველა რა გულ-კარგია, —
ერთი სტრიქონით ჩემი საყულოც
უკრაინულად გადუქარგიათ!

სიმი აქ რომელ საკრავს დასწყდება,
ღმერთი აქ ვის არ აახმიანებს,
ჩემი ბოხობი ქული ცას სწვდება,
ხმა—ჩემი ქვეყნის ადამიანებს!

ვისაც მინდორში, როგორც ანბანი,
მინდვრის ყვავილი არ უკრეფია—
ქარმაც გააქროს მისი ამბავი,
მისი ფიქრები რა ფიქრებია!..

მე ვარ ის კაცი, ის შეყვავილე,
თქვენი კობზარი განა სხვა იყო, —
და აი, გულში რაც მე გავივლე —
დნებრის ძლეღვარე დრტუნვამ წაიღო.

მე ვარ სიმღერა ტალღიდან ტალღის
სვლასავით გაღმა გაურიყავი,
მე ვარ სიმღერა... მე ჩემი ხალხის
პირველი ამოკენესა ვიყავი!

სადა ბეჯღავე

შევეჩვენოს ქველთას

მ. შა დუმილიკ მიმიტულენ, შენდამი ლოცვად
ნ. ბარათაშვილი

ხალხისათვის წამებულო ტარას,
შენს წინაშე თავდახრილი ვდგავარ,
წაბლისხეთა მშვიდი ჩრდილი მფარავს
და მამრუებს უკრაინის ჰაეა.

შორი გზიდან ჩამოვედი შენთან
მღელუეარებით, მოკრაალეებით, რიდით...
მე მინდოდა აქ ხმააალა მეთქვა
ფიქრთა შენთა სიყვარულდ დიდი;

მე მინდოდა მეგობრობის მოძღვარს
ჩემი სიტყვაც მოგესმინა ახლა,
რაც მტკერისპირას, როგორც წმინდა ლოცვა,
შთამავონა მშობლიურმა ხალხმა;

მე მინდოდა მომედრიკა მუხლი,
დამეკოცნა შენი ძეგლის ფუძე,
მაგრამ გავეყე შენს შორეულ წუხილს
და გრიგალი დამეჯახა გულზე...

ვდგავარ ისე გარინდული, ჩემი,
რომ ხმა გულის ჩეს თბილისსაც ესმის.
მე გადავეც ამ ხმამალალ დუმილს
ჩემი სიტყვაც, თავუანიც და ლექსიც!



მარს მხარეში

მარსი*

ჩვენი რუსეთის ღვთისმადიდებელ
ვევებერთელა სამეფოში არის ერთი მად-
ლიანი, პატარა მიწა, ისეთი პატარა,
რომ შიგ ოთხი გერმანული სამეფო მა-
ინც ჩაეტევა და საფრანგეთიც შეიძლე-
ბა მათ მიიყოლოთ.

ამ მადლიან ქვეყანაში, მიწის პირი-
დან არც ისე ღრმად, მარხია მარილის
ვევებერთელა ლოდი, ხოლო ამ მარილის
ლოდზე აშენებულია მომცრო ციხე-
სიმაგრე, რომელსაც ხალხი მარილის
დაცვას უწოდებს.

ერთხელ გარემოებამ იძულებულყო
და ამ მარილის დაცვაში მოეხვედო.

ჩემი იქ ყოფნის პირველსავე კვირა
დღეს ეკლესიაში ვნახე ერთი სრულიად
ქალაჩი, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ
ქარმაგი, არაჩვეულებრივად მტყველი
და კეთილშობილი სახის მოხუცი.

ეკლესიაში ის თავისი სურვილით
მნათეს მოვალეობას ასრულებდა, ხა-
ტებს სანთლებს უნთებდა, სანთლის ნამ-
წვებს აქრობდა და წირვის ბოლოს
თფფით ჩამოივლიდა ხოლმე მლოც-
ველთა შორის.

მისმა გარეგნულმა დიდებულებამ გა-
მაკვირვა: მოსული აღნაგობა, გრძელი,
ქალაჩი, მოხუჭუქო წვერი, თეთრი
გრუზა თმა, შავი, ხშირი წარბები, სუფ-
თა, სწორწიკეთიანი სახე, ახალგაზრდუ-
ლად დაეღაეა ლოყები; ერთი სიტყვით,
იგი შეიძლება ყოფილიყო ღვთისმშვერ-
ტი მოსეს ან პომეროსის ნესტორის
მშვენიერი მოდელი.

ამ პატივცემული ადამიანის მიზიდ-

ველი მოხუცებულობის სიმშვენიერით
მოხიბლულმა, ეკლესიიდან რომ გამო-
ვედი, ერთ კოჭლ ხეიბარსა ვეთხე, თუ
ვინ იყო ეს პატიოსანი მოხუცი, რომე-
ლიც ხატების წინ ანთებულ სანთელს
ღვენთს აშორებდა.

ხეიბარმა მოკლედ მითხრა: ეს, ბი-
ძია, ნაკატორღალია, ახლა კი ადგილობ-
რივი მცხოვრები, კარგი გულის ადამი-
ანი.

ამგვარი პასუხის შემდეგ ეკლესიას-
თან გავჩერდი, თვალი გავაყოლე ჩემი
ცნობისმოყვარეობის გამაღიზიანებელ
მოხუცს და, რაც უფრო მეტს ვუცქე-
როდი, უფრო ნაკლებ მსგავსებას ვო-
ულობდი მასში ნაკატორღალისას.

მაგრამ ხეიბარი ხომ ტყუილ-უბრა-
ლოდ არ წამოისვრიდა ასეთ სიტყვას!

მომავონდა, წინათ აქ მარილის ამო-
ღებაზე ტუსაღებს ამუშავებდნენ და
მძიმე ვადის მოღბის შემდეგ ბევრ მათ-
განს აქვე ასახლებდნენ ხოლმე.

მაგრამ დამნაშავესა და კატორღელს
ნუთუ შეიძლება ასეთი სათნო გამომე-
ტყველება ჰქონოდა?

გადავწყვიტე დაწვრილებით გამეგო
ამ შესანიშნავი გარეგნობის მოხუცის
წარსული.

ერთი კვირის განმავლობაში შევიტყ-
ვე, რომ ის ნამდვილად აქ ჩამოსახლე-
ბული, დღიად პატიოსანი ადამიანი და
თუმცა მდიდარი არ არის, არც ღარიბია,
აქვს თავისი პატარა სახლი, მაგრამ
ცხოვრობს ისე, რომ დიდ პალატებში
არა ცხოვრობენ ასე სუფთად, მაძრად
და პატიოსნად.

გადავწყვიტე პირადად გავცნობოდი
და გამეგო მისი წარსული უფრო დაწ-

* კატორღელი; ვებუდავთ მცირე შემოკლე-
ბით. რედ.



ვრილებით, და თუ მასში ვნახავდი რაიმე ზნეობრივ, კეთის მასწავლებელ ან გასართობს, დამეწერა და დამებეჭდა სხვების სამაგალითოდ.

შეგხვედრიათ ისეთი პატივსაცემი, კეთილშობილი გარეგნობის მოხუცი, რომ უნებლიეთ ჭული მოგიხდიათ და სალაში მიგიციათ მისთვის?

მე ხშირად მქონია ასეთი შემთხვევა.

ერთხელ შეგხვდი ამ მოხუცს, როდესაც ის მწუხრის ლოცვიდან მოდიოდა და უნებლიეთ თავი დავუქარი. მან ზრდილობიანი საპასუხო სალაში მომცა და მკითხა:

— თქვენ, მკონი, აქაური არა ბრძანდებით? წინათ არსად მინახავხართ.

— არ სცდებით. ახალი ჩამოსული ვახლავართ თქვენს სამრევლოში.

— ნება მიბოძეთ გკითხოთ, შორიდან ბრძანდებით?

მე ჩემი სამშობლო დავუსახელე.

— ჩემი მხრიდან ბრძანებულხართ! — მწუხარებით მითხრა მან. — დიდი ხანია ჩვენი მშვენიერი სამშობლო დასტოვეთ?

— წელიწადია, — ვუპასუხე.

— რა ბედნიერი ხართ, ახლახან გინახავთ ჩვენი კურთხეული მხარე! მე კი ოცდაათ წელზე მეტია თვალი აღარ მომიკრავს! ნეტა რა ამბებია ახლა იქ?

და მოხუცს ცრემლი მოადგა თვალზე.

— თუ დრო გაქვთ, — მითხრა მან, — ნუ მიუკადრისებთ, წამობრძანდით ჩემთან, შეგხედოთ მაინც ჩემი მხრის ადამიანს! ძალიანა გთხოვთ, უარს ნუ მეტყვიო!

მიპატიებება, რასაკვირველია, მესიამოვნა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩალით დახურულ პატარა, თეთრ სახლს მივადექით. სახლის გარეგნობამ უკრაინა მომაგონა.

ჭიშკარში უკრაინულად ჩაცმული ზნეირი დედაკაცი დავგვხვდა და სალამო მშვიდობისა გვისურვა.

— სალამო მშვიდობისა, მოტრე! — უპასუხა მოხუცმა და მომიბრუნდა.

უმორჩილესად გთხოვთ, ჩემს ხახლში მობრძანდეთ. აქ შორახალში მცენი მხრის ხალხი — კურსკელები ცხოვრობენ. ამიტომ მომვლელად ჩემი თანამემამულე ავიყვანე. მაინც ასე სჯობია.

ამ ლაპარაკში მის ოთახში შევედი.

ოთახის მოწყობილობაც, როგორც სახლის გარეგნული სახე, უკრაინას მოგაგონებდათ. კედლები თეთრად იყო გალესილი, იატაკი — ყვითელი თიხით და ზედ სურნელოვანი ბალახი ეყარა. კედლების გასწვრივ მუხის სუფთა, ფართო სკამები ჩამწკრივებინათ, შემვრდომელი დედის ხატის წინ კანდელი ბეუტავდა, იქვე იდგა სუფთა, თეთრ, ფართოფოჩიან ტილოვადაფარებული ანალოი, რომელზედაც დავითნის მაგვარი წიგნი იდო.

— გთხოვთ დაბრძანდეთ, ჩემო ძვირფასო სტუმარო!

მე დავჯექი და ყურადღებით დავუწყე ოთახს თვალთვლება, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მისი მზერით ვტყებოდი.

ყველგან და ყველაფერში წესრიგი და დისასხლისის მზრუნველობა მოსჩანდა. ყველაფერი სუფთა და მიმზიდველი იყო. ოთახი ტიხრის მაგივრად ვიწრო, გრძელი ლუმელით ორად იყო გაყოფილი. თითონ ლუმელი შემკობილი იყო შინაური მხატვრობის ძვირწილი არაბესკებით (ასეთი ლუმელები ვოლინსა და პოდოლიაში გვხვდება). კუთხეში, ხატების წინ, ბუხარული ხალიჩით დაფენილი მაგიდა იდგა; ზემოდან თეთრი სუფრა ეფარა. მაგიდაზე ქვავის პური იდო. პურს ნახევრად ეფარა თეთრი, წმინდად ნაქსოვი პირსახოცი, რომელიც სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფით იყო მოჭარჯული. პურის გვერდით ფაიფურის სამარილე იდგა რაფინადივით თეთრი მარილით. აქვე, მაგიდის მეორე მხარეს ვეებერთელა წიგნი იდო წითელი ტარსიკონის ყდით, რომელსაც ოქროთბ ამოტვიფრული და ეამთასვლით მუქად დაბურული მორთულობა ჰქონდა. რო-

გორც შემდეგ გავიგე, ეს წიგნი გეტმან რაზუმოვსკისადმი მიძღვნილი, 1743 წელს კიევში მხატვრულად გამოცემული „დაბადება“ იყო. ფანჯრებ შუა კედელზე ეკიდა მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული ესტამპი (გრავეურიდან გადიღებული ამონაბეჭდი) მილერის მიერ დომენიკინო ცამპიერის სურათიდან ამოკეთილი იოანე ღვთისმეტყველი. კარებთან ეყუდა ტრამალის ხის — ჭიგოლის კვერთხი და იქვე, კვერთხის გვერდით ლურსმანზე ჩამოკიდებული იყო ბორკილები.

მოხუცი ამ დროს გარეთ იყო რაღაც საქმეზე. ოთახში სწორედ იმ დროს შემოვიდა, როდესაც ჩემი შუგრა ბორკილებს მისწვდა.

— რა, მეზობელო, ჩემს ნადავლზე შეგივარდა თვალი? მძიმე ნადავლია მრავალი წლის დანაშაულობით დაეიმსახურე, საკუთარი ფეხებით ვიტომირიდან აქ მოვიტანე. და აჰა, ოცი წლის განმავლობაში ვატარებდი. ახლაც ვეწამები, შემდეგშიც ვეწამები და მასვე გავანდობ ჩემს ცოდვებს უკანასკნელ საათს.

ყველაფერი ეს ისეთი სამწუხარო, ამალღვებელი ხმით წარმოითქვა, რომ ვერ მოვახერხე რაიმე ნუგეშისმცემი სიტყვა მეტყვა საწყალი მოხუცისათვის და გაუუჩებელი ვიჭექე, სანამ თითონვე არ დამელაპარაკა.

— მაპატიე, ჩემო თვისტომო, მოხუც ცოდვილს, რომ ჩემი ბინძური მოგონებით შენი სული აღვამფოთე. რას იზამ! ჩემდა უნებურად ენა ლაპარაკობს! ადამიანის დამცილების ამ წყეულ ნიშანს შინ ვინახავ საკუთარი სულის დასასჯელად. მაგრამ თავი დავანებოთ წარსულს. სჯობს სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მიამბე რამ, ჩემო მეგობარო, ჩვენს მშვენიერი ვოლინსა და პოდოლიაზე.

მაგრამ სრულებით არაფერზე არ შემეძლო ლაპარაკი და ჩქარა გამოვეთხოვე მოხუცს.

არ დაუკავებია, მხოლოდ მთხოვა, მინახულე, როცა დრო გექნებაო.

დრო საცმარისი მქონდა და თითქმის ყოველ დღე დავდიოდე მსოფლიოში რად შუალამემდე შევეყოლივართ ბაბას და ყოველთვის ახალ-ახალ სათნოებას, ახალ ღირსებას ვპოულობდი მასში. განათლებული ადამიანი იყო, როგორც იმ დროის ყოველი არისტოკრატი, იმ განსხვავებით, რომ მას კითხვა უყვარდა, უფრო იტალიელი პოეტების — ბოკაჩიოს, არიოსტოს, ტასოს კითხვა, ხოლო დანტეს „ღვთებრივი კომედია“ ხომ მთლიანად ზეპირად იცოდა.

— დიდხანია აღარაფერს ვკითხულობ, — მითხრა ერთხელ, — ამ ღვთიური წიგნის გარდა! ან კი ახლა ჩემთვის რა საჭიროა კითხვა? იყო დრო, ვკითხულობდი. აღტაცებული ვიყავი მშვენიერი, ხელოვნების საუცხოო ქმნილებებით! ახლა, კმარა, დავებრდი, ვაუხუშდი და არაფრის განცდა აღარ შემიძლია. ან კი რაში დამეხმარა წიგნების კითხვა? ჩემი უმწიკვლო, ახალგაზრდული თანავარძლობა? რაში მოვიხმარე ის? ან, უკეთ რომ ვთქვათ, რა სარგებლობა ნახა ხალხმა? ცოდვა! დაუსრულებელი ვაება! რომ სრულებით არაფერი წამეკითხა, არაფრით არა ვყოფილიყავ გატაცებული, სხვანაირად წავიდოდა ჩემი საქმე. სადმე მიწის მუშა ვიქნებოდი, კეთილი ადამიანი... ახლა კი რა ვარ?

დღითიდღე უფრო გულახდილად ვბაასობდით ხოლმე ერთმანეთთან.

ერთხელ სიტყვა გადაუტყარო, თავისი ჭირ-ვარამი გაუზიარებინა ჩემთვის, ეამბნა თავისი ახალგაზრდული წლების თავგადასავალი.

დიდხანს არ უნდოდა მას გაეგო ჩემი ნათქვამი. მისთვის არასასიამოვნო, მწარე იყო წარსულის მოგონება.

— ჩემო მეგობარო; — მითხრა მან, — ჩემი აღსარების მოსმენა გსურს? გინდა გაიგო ჩემი წარსული უბედური ცხოვრება? შენთვის მისი მოსმენა მძიმე იქნება, ჩემო კეთილო მეგობარო, რადგან ჩემი წარსული საესეა ცოდვითა და უსამართლობით. აწმყო კი, როგორც ხედავ, სიძაბუნე და

მარტობაა ჩემი საყვარელი ვოლინი-საგან დაშორებულისთვის! ვიცი, ჩემს გულითად აღსარებას თანაგრძნობით მოისმენ და შენთვის მძიმე იქნება პირველად მისი გაგონება. მაშ ყური მიგდევ, ჩემო კეთილშობილო მეგობარო! ჩემი მწუხარე, გულწრფელი მოთხრობა მეც გულს გამიახლებს!

მოხუცმა ამოიოხრა და თავგადასავალი თავისი ბავშვობიდან მოჰყვა.

• • •

ლამაზი მდინარის სლუჩის გრანიტოვან ნაპირებზე, ნოვოგრაძე-ვოლინიდან ათიოდე ვერსის ზემოთ, იქ, სადაც მდინარე გველივით იკლავება და სწორედ ორი ვერსის სივანის წრეს აკეთებს, ამ წრის შიგ შუაგულში მუხნარით გარშემორტყმული, ქვითკირის ვეებერთელა პალატების ნანგრევებია. წინათ იქ ერთი ცნობილი პოლონური გვარი ცხოვრობდა, ახლა კი ბუებისა და ღამურების ბუდედ არის ქცეული.

ეს ჩემი წყეული ხელების ნახელავია! მე გაეუზინე იქ ბინა გველებსა და ღამის ფრინველებს. ოპ, ღმერთო, მაპატიე ეს უნებური ცოდვა! დაღზე დიდი ცოდვა!

ფერღობზე, რომელიც მდინარისაყენ ჩადის, ხილის ბაღებში ჩაფლულია სოფელი, უამთავითარებისაგან ჩაშვებულნი ხის სამეფუმბათიანი ეკლესიით.

ამ ეკლესიას პოლონელები კახაკების ეძახიან, ალბათ, იმიტომ, რომ, უნიის დროს, კახაკებმა ააშენეს სახელდახელოდ, და უბრალო, უხეში, „გლუხური“, როგორც პოლონელები ეძახიან, არქიტექტურისაა.

ეს სოფელია ჩემი სამშობლო! ამ მშვენიერ სოფელში გავჩნდი ტანჯვისა და ცოდვისთვის.

მამაჩემი არ მახსოვს. დედა კი, თითქოს სიხმრად მენახოს, კუბოში ჩასდეს და საკაცით სასაფლაოზე წაიღეს.

კიდევ ოდნავ მახსოვს, მღვდელმა ლოცვა წაიკითხა კუბოსთან, წითელი

და შავი ასოებით დაბეჭდილ დიდ ქალაღზე და მერე ეს ქალაღი სახეზე დააფინა დედაჩემს. შემდეგ სახურავი ლურსმნებით დააქედეს და ორმოში ჩაასვენეს. მღვდელმა ბარით ჯვარი გაუყეთა საფლავს, დაბეჭდა და შიძულა ერთი მუტა მიწა მიმეყარა დედაჩემის საფლავისთვის. მეც დავაყარე და ხალხს სოფელში გავეყვი.

მახსოვს, ჩვენს სახლში ბევრი ხალხი იყო და სუფრას უსხდნენ, სადილობდნენ, ზმურთი არ იყო, ჩუმაღ და წყნარად ჰამდნენ. ალბათ, ქვრივმა თავის შემდეგ უხვი ქვლებისთვის ვერაფერი დასტოვა.

სადილის დროს ბავშვებთან ეზოში ვთამაშობდი. სადილის შემდეგ კი, როცა ყველა წავიდ-წამოვიდა, ბავშვებიც წავიდნენ, მარტო დავარჩი ჩემი ალვირ-ამოდებული ჯოხის ცხენით. სახლში შევედი. იქ ქვრივი მეზობელი დედაკაცი — ისიც ბედშავი — ჰურჭველს ალაგებდა. მან მომცა დეველის ნაჭერი, შევეკამე და დედის ლოგინზე დავწვი. დედაბერმა ოთახი მიილაგ-მოილაგა, ურდულით დაკეტა და შინ წავიდა. მთელი ღამე მეძინა ცარიელ სახლში, დილით გამეღვიძა, რაღაცის შემეშინდა და ტირილი დავიწყე.

ბევრი არ მიტირია. მეზობელი დედაბერი მოვიდა, მთელი ჯამი ღორქლიავა მომიტანა და დამაშოშმინა.

მოხუცმა ქათმებს საყენი დაუყარა, რუხ კატასა და ჰრელ ძაღლს აქამა და თავისთან წამიყვანა.

ქვრივს პყავდა რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი ქალი. მან მომიალერსა, მომცა ვაშლი, მსხალი, ტკბილეულობა.

როდესაც შინ მივედიოდი, ეს გოგონა მიმაცილებდა ხოლმე. სახლში რომ დედა არ დამხვდებოდა და ტირილს დავიწყებდი, მანუგეშებდა, მეტყოდა, დედა ბაზარში წავიდა, საჩუქრად თაფლის კვერს მოგიტანსო. რაც, რასაკვირველია, მამშვიდებდა.

ნელ-ნელა, ქვრივის მშვენიერი გოგონას წყალობით ჩემი დიდი დანაკარგი დავივიწყე. ისე შევეჩვიე, როგორც

ღვიძლ დას და მან მართლაც ნამდვილად დობა გამიწვია.

ხშირად მივდიოდი ჩემს საბრალო კერაგაციებულ სახლში. შითხარით, კერაგაციებული სახლისთანავე სევდიანი სხვა რა უნდა იყოს?

აქამდე მახსოვს ის საშინელი სევდის გრძნობა, რომელიც მაშინ შემიპყრობდა ხოლმე!

დიდმარხვის ვენების კვირაში, მღვდელმა რომ ლოცვით სოფელი დაიბარა, ჩემს ღარიბ მწყალობელსაც ეწვია და, რომ დამინახა, თან წამიყვანა, დაპირდა: კაცად გამოვიყვანო.

მღვდელს შვილი ჰყავდა — იასი, ჩემი ხნისა. არ ვიცი, რატომ — და, პირველი შეხედვისასვე არ მომეწონა.

იასთან ერთად ანბანის სასწავლად დამსვენეს. არ მესიამოვნა, მაგრამ წარმატებით ვსწავლობდი, იასი კი გონებაჩლუნგი იყო. იასს აქებდნენ, მე კი მცონარესა და უგნურს მეძახდნენ. ეს უსამართლობა ძალიანა მწყინდა და მღვდლიდან ჩემს კეთილისმყოფელებთან გაერბოდი ხოლმე. მაგრამ იმათ ისევე მღვდელთან მიყვავდი, მღვდელი კი ამის გამო სასტიკად მსჯიდა.

ერთხელაც მღვდლისაგან ჩემს მგობრებთან გავიქეცი, მაგრამ მეშინოდა სახლში შესვლა და მთელი დღე შაბნარში გავატარე ღობის ძირას, ველოდი, იქნებ ჩემი და გამოვიდეს-მეთქი. ქვრივის გოგონას დას ვეძახდი. ბოლოს გამოვიდა. მე გამოვიჩნდი და პური ვთხოვე. იმან პურის დიდი ნატეხი და ღორის ქონის ნაჭერი გამომიტანა. აცრემლებულმა ვაკოცე და ხშირ ქლიავებში მივიმაღე.

შემშლილი რომ მოვიკალი, ახლა დამის გათვებაზე დავიწყე ფიქრი.

მღვდელთან წავიდე, მცემენ, ქვრივთან წავიდე, ის მღვდელთან წამიყვანს და მაინცა მცემენ...

წავიდე ჩემ ცარიელ, კერაგაციებულ სახლში — მეშინია. ამ ფიქრებით საძოვარზე გავჩნდი.

სამოვარის გვერდით კი მომიკლი კვავის ძნები იდგა. წავიდი იქით, პირველ

სავე ძნებთან ბინა ვიშოვე და უშინკო ძილს მივეცი თავი

ღამით გამომეღვიძა და მგლების ყმული შემომესმა.

აქამდე არ დამვიწყებია ის უსიამოვნო გრძნობა. ეს სიკვდილის შიში კი არ იყო. რალაც ნარევი იყო შიშისა და ზიზღისა.

მგლების ყმული ნელ-ნელა მიწყდა, მე კი სიცივით მთლად მოვიკრუნჩხე, ძნა გადავიფარე და კვლავ ჩამეძინა.

ღილით ადრე მეველემა მათრახით გამაღვიძა.

— აქ რას აკეთებ? — მრისხანედ მითხრა მან.

— მიძინავს! — ვუპასუხე მე.

— ძილს გაჩვენებ შენა! უშოვია საძილე ადგილი! განა სახლი არა გაქვს?

— მაქვს, ბიძია, მაგრამ კერაგაციებულა, — ვუპასუხე თვალცრემლიანმა.

— დედ-მამა გყავს?

— არა მყავს, ბიძია, ობოლი ვარ.

— რახან ობოლი ხარ, მამ წამოიყე!

მან ცხენი გზისკენ მიიბარუნა, ცოტა მათრახიც მიიყოლა და წავიდა. მე გავეყვი, ნაწვერალები შიშველ ფეხებს მჩხვლელტა, თან სიცივითა და შიშით ვკანკალუბდი.

„ისევე მღვდელთან ხომ არ მიყვავარ-მეთქი?“ — ვფიქრობდი ჩემთვის. მინდოდა გავქეცოდი და სადმე ბალახებში დავმალეოდი, მაგრამ მეველე წამდაუწყუმ უკან იცქირებოდა-ცხენი სოფლის მოწინააღმდეგე მხარეს წაიყვანა, ბატონის ეზოში მიმიყვანა და მოურავს გადამცა. თან უამბო, სად და როდის მნახა.

მოურავი პანი კოშულკა კეთილი მოხუცი იყო. უბრძანა, ჩემთვის შარვალი და ქურთუკი შეეკერათ შინაქსოვი ნაჭრისაგან. მისი შინამოსამსახურე გავხდი. პან კოშულკასთან გავატარე შემოდგომა დე ზამთარი. აქ ცოტა უკეთესი იყო, ვინემ მღვდელთან, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ წერა-კითხვას არ მასწავლიდნენ, ხოლო მცემდა და მჩქმეტდა, ვისაც მოესურვებოდა.

ერთხელ, გაზაფხულზე, მოხუცმა

გრაფინიამ დამინახა ეზოში (მოურავი გრაფინიასთან ერთ ეზოში ცხოვრობდა, ოღონდ ცალკე ფლიგელში), მიმიხმო და სახელი მკითხა. შემდეგ თავისი ოთახებისაკენ წავიდა.

მეორე დღეს ზომა ამიღეს და ახალი ტანისამოსის შეკერვა დაიწყეს, ახლა უკვე მალდისა და ისიც სუფთა ნაქსოვი, ძვირფასი მალდისა. ამასთან წაღები და ქუდიც მომცეს. წინათ კი ისე დავდიოდი.

ყველაფერი რომ დამიმზადეს, სუფთა პერანგი ჩამაცვეს. წინათ არც პერანგი მქონდა. და როდესაც პირი დამბანეს, დამვარცხნეს, მალდის ახალი ტანისამოსით მომართვეს, მაშინ პან კოშულკამაც ჩაიცვა სპილენძის ღილებიანი, ახალი ცისფერი ფრაკი და გრაფინიას ოთახებში წამიყვანა.

მორიგე ჰაიდუქმა მოახსენა გრაფინიას ჩვენს შესახებ. გრაფინიამ უბრძანა მისაღებ ოთახში ჩვენი მიყვანა. მისაღებ ოთახში დიდხანს ვიცადეთ. პანი კოშულკა დაჯდომას ვერ ბედავდა მიკვირდა: ოთახში ამდენი სკამია და იმას კი არ უნდა ერთერთზე დაჯდეს-მეთქი.

ბოლოს, გრაფინია გამოვიდა, ოდნავი თავის დახრით მიესალმა პან კოშულკას და უბრძანა, პანა მაგდალენასთვის დაეძახნათ.

ერთი წუთის შემდეგ განის კარიდან შემოვიდა პანა მაგდალენა.

დაუვიწყარი, მომხიბლავი მოჩვენება! თითქოს ახლა ვხედავდე: ახალგაზრდა, მოყვანილი, მშვენიერი! მისი ჩაფიქრებული, ცისფერი, გამოშტეტველი თვალები პირდაპირ ჩემზე იყო მოპყრობილი. მთელ სხეულში გამოუთქმელმა სასიამოვნო თრთოლამ დამიარა.

პანა მაგდალენა იყო შვილი ერთი პანისა, რომელმაც თავისი სიმდიდრე გაფლანგა. როგორც კარგად აღზრდილი ის გრაფინიამ მიიღო კომპანიონად და თავისი შვილის აღმზრდელად.

— აი, ჩემო მეგობარო, მაგდალენა, — უთხრა გრაფინიამ, — გიღგენ ჩემი შვილის ამხანაგს და მოსამსახურეს. თქვენთან წამიყვანე. თავისუფალ დროს ერთად ითამაშონ.

გრაფინია გავიდა, ხოლო პანა მაგდალენამ ხელი დამიპირა და თავის ოთახში წამიყვანა.

პანა მაგდალენას ოთახში დამხვდა ჩემი ხნის ბიჭი, გამხდარი და მწვეანე, ეს იყო გრაფი ბოლესლავი, ხნიერი გრაფინიას ერთადერთი შვილი. მან ძალიან თავხედად მკითხა:

— რა გქვია?

— კირილე, — წყნარად ვუპასუხე.

— ფუ, რა გლეხური სახელია! მაგრამ ეგ არაფერი, შენი სახელი იქნება იანი. იან, ცხენობანას თამაშობა იცი?

— არა, არ ვიცი, — ვუპასუხე.

— მაშ გასწავლი.

და დამიწყო ცხენობანას თამაშობის სწავლება. თუმცა ცხენობანა იმაზე ნაკლებ არ ვიცოდი, მაგრამ რატომღაც არ მინდოდა მასთან გულახდილი ვყოფილიყავი.

მეორე დღეს დილით, როცა გრაფ ბოლესლავს ისევე ეძინა, პანა მაგდალენამ მისაუბრა ფუნთოშითა და ცხელი რძით. შემდეგ მშობლიური თანაგრძნობით გამომკითხა, ვინ იყვნენ შენი მშობლები და ახლა სად არიანო.

ყველაფერი ისე დაწვრილებით ვუამბე, რომ მან მაკოცა და ატრდა.

ამ დღიდან ყოველ დილით რძითა და ტკბილი ფუნთოშით მისაუბრებდა ხოლმე.

— აბა, იასიუ! (სახლში ყველა იასს მეძახდა) — მითხრა მან ერთ დღილას, — გინდა წერა-კითხვა ისწავლო?

— მღვდელთან უკვე ვსწავლობდი წერა-კითხვას, — ვუპასუხე მე, — თუ თქვენ მასწავლით, ვისწავლი, თუ არა და არ მინდა წერა-კითხვის სწავლა.

იმან გაიღიმა და მითხრა:

— მე თითონ ვასწავლი, — და ფრანგული ანბანი გადამიშალა.

— ნახე, ეს ასოები იცი?

— არა, მღვდელთან სხვა ანბანს მასწავლიდნენ.

— მაშ მე ამ ანბანს ვასწავლი. ეს უფრო ადვილია.

და აქვე მაჩვენა ჩემთვის ახალი ასოები.

იმის გასაკვირვებლად და სასიხარულოდ ერთ დღეში ვისწავლე მთელი ფრანგული ანბანი.

ფრანგულად რომ უკვე თავისუფლად ვკითხულობდი, იტალიური ენის სწავლება დამაწყებინა. ეს ენა იმ დროს მოდაში იყო და მაგდალენასაც ძალიან უყვარდა.

ესეც საკმაოდ ჩქარა ავითვისე, ასე რომ, მოკლე ხანში ცოდნით გაეუსწორდი გრაფ ბოლესლავს, რაც პანა მაგდალენას ძალიან უხაროდა.

მწვიდობა სულსა შენსა, მშვენიერო, კეთილო ქმნილებავ! არასოდეს არ დავივიწყებ შენს ალერსიან, გულდია ბაასს, შენს გულითადს თანაგრძნობას ჩემს სამწყურხარო ბედში!

ისე შემეყვარა, როგორც მხოლოდ დედას შეუძლია უყვარდეს თავისი ერთადერთი შვილი. ყოველგვარი ალერსით მაქვებდა და მახალისებდა უფრო მეტი წარმატებისათვის.

საბრალო, მან ვერ განსჭვრიტა ჩემი უადგილო განათლების შედეგები!

დრო თავის რიგით მიდიოდა. მე ვიზრდებოდი, ვსწავლობდი ბეჯითად და წარმატებით.

მე და გრაფი ბოლესლავი სრულებით ვერ დავმეგობრდით. მასში რაღაც უარყოფითი იყო, ნაადრევი, ურცხვი, არაბავშვური ქედმაღლობა. ზოგჯერ ის თავის კეთილგანწყობილებას მაჩვენებდა ხოლმე მაშინ, როდესაც მეტისმეტად იცელქებდა, მის დანაშაულს ჩემს თავზე ავიღებდი ხოლმე, რაც, ცხადია, იაფად არ მიჯდებოდა.

იმისი ცელქობის გამო თითქმის ყაჩაღად მთვლიდნენ. ჩემი სულგრძელობა მხოლოდ ერთადერთმა მაგდალენამ იცოდა და ყოველთვის თავისი არაჩვეულებრივი ალერსით მაჩილდობდა.

გრაფინია მაღალი საზოგადოების ქალი იყო, ძველი გამარჯვებებით ამ ცხოვრებაში გათამამებული, უყვარდა წვეულებანი, სადაც, რასაკვირველია, პროვინციულ საზოგადოებაში პირველობდა, კითხულობდა იტალიურსა და ფრანგულ ნოველებს და მეტს არაფერს არ

აკეთებდა. შვილი თუმც მასთან ერთად ერთ ჰერკრევეს იზრდებოდა, მსგავსადღესში ერთხელ ან ორჯერ თუ ხვდებოდა, ისიც სხვათა შორის.

ერთხელ მან შენიშნა, რომ ბოლესლავს უკვე კარგად აეყარა ტანი და დრო იყო გამოეწერათ მისთვის მასწავლებლები, რადგან განზრახვა ჰქონდა უნივერსიტეტისათვის მოემზადებინა.

მასწავლებლები მოიწვიეს და გაკვეთილებიც დაიწყო. მე მსახურის სახით ვესწრებოდი ამ გაკვეთილებს და ვსწავლობდი ყველაფერს, რასაც გრაფს უკითხავდნენ და უხსნიდნენ.

მე თითქმის ყოველთვის ვამზადებდი გრაფს გამოცდებისთვის, რადგან მას არაფერი არ შეეძლო ან არ უნდოდა დაესომებინა მასწავლებლების გაკვეთილებიდან.

პანა მაგდალენა ძველებურად მეალერსებოდა, მანებვირებდა, ბაასობდა ჩემთან მხოლოდ იტალიურად და საღამოობით, გამომცდიდა რა იმ საგნებში, რომლებსაც ყურს ვუგდებდი გრაფის სამოსწავლოში, ფორტეპიანოს გაკვეთილებს მიტარებდა.

თითონ ფორტეპიანოს დაკვრის ნამდვილი არტისტი იყო. ხშირად ყოფილა, რომ ჩემი გაკვეთილის მოთავების შემდეგ შუადამამდე უჭდა ფორტეპიანოს და ანარნარებდა ბეთოვენის მშვენიერ ქმნილებებს (ბეთოვენი მისი საყვარელი კომპოზიტორი იყო, ახლად გამოჩენილი მუსიკალურ სამყაროში). მე ვიჯექი ხოლმე კუთხეში შეუბრებლად. ვიჯექი და ყურს ვუგდებდი, ყურს ვუგდებდი და ვტიროდი, თითონ არ ვიცოდი, რაზე. მუსიკა გატაცებით შემეყვარდა და ამ სიყვარულით პანა მაგდალენას მოვალე ვარ ერთ წელზე ცოტა მეტის შემდეგ ჩვენ ერთად ვუქრავდით ოთხი ხელით მოცარტისა და ბეთოვენის ზოგიერთ სონატას.

ერთხელ გრაფინიამ შემოგვისწრო ფორტეპიანოზე რომ ვუქრავდით და დიდად უკმაყოფილო დარჩა, სრულიად ჰემმარითად შენიშნა პანა მაგდალენას,

რომ მე მუსიკისთვის კი არა, თოხისა და გუთნისთვის ვიყავი გაჩენილი.

პანა მაგდალენამ ამ შენიშვნის მნიშვნელობა იგრძნო, მომხეხია და მწარედ ატირდა. იმასთან ერთად ატირდა მეც, თუმც კარგად ვერ გავიგე გრაფინიას კეთილგონიერი შენიშვნა.

გრაფი სწრაფად იზრდებოდა, ხოლო ძალიან შიშველ და უგულოდ სწავლობდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ის სრულიად გონებაჩლუნგი ყოფილიყო, არა, ცოტათი ნიჭი ჰქონდა, მაგრამ ის დაშვლი იყო დედის დაუდევრობით.

გრაფინია მუდამ ალტაცებული იყო თავისი საყვარელი ბოლესლავით, ხოლო მისი წარმატებები იფარგლებოდა იტალიურ ენაზე პარმონიული ტიკტიკით. ის ალტაცებული იყო ამით და მეტს აღარაფერს თხოულობდა თავისი ტურფა ბოლესლავისგან, თუმცა მას უნივერსიტეტისთვის ამზადებდა.

მასწავლებლები წესიერად იღებდნენ სარჩოსა და ჯამაგირს და თავის საქმეს აკეთებდნენ, როგორც დაქირავებული მასწავლებლების უმრავლესობა: ყოველდღე უკითხავდნენ თავიანთ გაცვეთილებს ან დასვენების დროს უამბობდნენ ძაღლებით ნადირობის შესახებ და სხვა რამ ანეგლოტებს.

ერთადერთი პანა მაგდალენა მშობლიური გრძნობით ზრუნავდა მის მორალურ განვითარებაზე, მაგრამ გრაფინიას უადგილო ალტაცებანი ხელს უშლიდნენ მას და ბოლესლავმაც უკვე ძალიან კარგად იცოდა (ესეც ალბათ, მასწავლებლებმა ჩაავიწყეს), რომ ის გრაფია, და მდიდარი გრაფი, რომ მას არ ესაქიროება არავითარი შემეცნებანი და სათნოებანი, და ხშირად თავისი უხეში საქციელით ააცრემლებდა ხოლმე საწყალ პანა მაგდალენას.

ხშირად გული მტკენია ამ კეთილშობილი მშვენიერი ქალის მდგომარეობით. სულითა და გულით შემძულდა ბოლესლავი და პანა მაგდალენას ხათრი, თორემ ბოლესლავს დიდხანია მოვეუბრებდი კისერს.

ის კი, საწყალი, სასტიკად შეურაცხ-

ყოფილი, მომიალერებდა ხოლმე და იმეორებდა წმინდა სიტყვებს: *„Горю за тобой“* და მტერნი თქვენით. *„Возлюбил ты“* და მავიწყდა თქვენთვის მეთქვა, ჩემო კარგო მეგობარო, რომ გრაფინია არც ქვრივი იყო, არც ქმარი ჰყავდა.

ქმარმა ის დასტოვა და მუდმივ იტალიაში ცხოვრობდა, სწრაფად ფლანგავდა თავის პოდოლის მშვენიერ მამულს.

გრაფინია კი შეილით, როგორც უკვე მოგესვენებათ, ცხოვრობდა ეოლინში და ზრუნავდა (როგორც თვითონ ამბობდა) ერთადერთი შვილის აღზრდაზე.

ახლა ერთი მიბრძანეთ, რა კეთილი, ზნეობრივი მაგალითი შეეძლო ბავშვს ენახა თავისი მშობლების ოჯახურ ცხოვრებაში? ადრე ის ხშირად ჰკითხავდა ხოლმე თავის აზრს დედას: „ჩქარა მოვა მამა?“ რაზედაც დედა უპასუხებდა, რომ იმისი მამა არამზადაა და ის კიდევ რომ მოვიდეს ოდესმე, სახლში არ შემოუშვებს. კარგი იყო ამისთანა რამ გავეგონა შვილს მამის შესახებ დედისაგან? თუმცა, მდიდარი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ამგვარი ოჯახური შუღლი იშვიათი როდია, მაშასადამე, არც ახალგაზრდა გრაფზე ახდენდა ეს რაიმე შთაბეჭდილებას.

გრაფის შინაური აღზრდა დამთავრდა. საჭირო იყო მისი გეარისთვის შესაფერი სასწავლებელი, სადაც შესაძლო იქნებოდა გაეგზავნათ ახალგაზრდა გრაფი საბოლოო განათლების მისაღებად. ამ შემთხვევის გამო დიდი წვეულება გამართეს, ხოლო მეორე დღეს სტუმრები მიიწვიეს საშინაო სეიმზე, იმის გადასაწყვეტად თუ სად გაეგზავნათ გრაფი საბოლოო განათლების მისაღებად. გაიხსენეს ყველა ლაცეუმში. ყველა უნივერსიტეტი გეტინგენიდან დაწყებული და, ბოლოს ერთხმად გადასწყვიტეს გრაფი გაეგზავნათ ვილნოში, საიდანაც ის პოლიტ-ეკონომიის მცოდნე გამოვიდოდა.

ამ მნიშვნელოვანი ამბავის შემდეგ ერთი თვე რომ გავიდა, გრაფინიამ უფრო დიდი წვეულება გადაიხადა, სადაც ახალგაზრდა გრაფმა გამოიჩინა თავი მათურკაში. ამ წვეულების რამდენიმე

დღის შემდეგ ის ვეებერთელა საგზაო ეტლით, რომელსაც ბერლინს ეძახიან, ვილნოს გაემგზავრა.

მე თავი თავისუფლად ვიგრძენი. ის მუდამ ჩემსა და პანა მაგდალენას შორის იდგა. იმასთან არ შეშფოლო პანა მაგდალენასთვის სულ უბრალო სიტყვაც კი მეთქვა, რომ იმ ბოროტ ბავშვს საწყალი ქალი სასაცილოდ არ გაეხადა.

ბოლოს წავიდა და ჩვენ მარტონი დავრჩით. მთელ სახლში არავინ იყო, ვისთანაც ის მეგობრულად და ისე გულახდილად ყოფილიყო შესაძლებელი გეზაასნათ, როგორც მე და ის ვბაასობდით.

მოხუცი გრაფინია არც კი ამჩნევდა მის ყოფნას სახლში. პანა მაგდალენას ეს უხეში უყურადღებობა აწუხებდა, მან რამდენჯერმე დააპირა დაეტოვებინა გრაფინია. მაგრამ სად შეეძლო თავის შექცელება? ის მზად იყო სულ უბრალო პოსესორს გაჰყოლოდა ცოლად, ოღონდ გრაფინიას მოშორებოდა, მაგრამ უკმეზი პოსესორები ღარიბ ქალებს როდი ირთავენ, პანა მაგდალენას კი არაფერი არ გააჩნდა წმინდა, კეთილშობილი გულის გარდა.

თავის გულის საიდუმლოებას რომ მიზიარებდა, პანა მაგდალენა მეუბნებოდა, რომ ამ სახლში დარჩებოდა მხოლოდ იქამდე, სანამ მე გავიზრდებოდი და შევძლებდი ჩემით ცხოვრებას. შემდეგ კი წავიდოდა ვარშავას ან ვილნოში და მორჩილ კარმელატის თანამდებობას შეუდგებოდა.

მშვიდობა შენს კეთილ, უბიწო სულს! სამწუხარო იყო ჩემთვის მისი გულითადი აღსარების მოსმენა. მისი უმწიკველო ვარაუდი, ყოფილა შემთხვევა, ვსხედვართ, შუალამე გადასულა, ლაპარაკით გულს მოვიჩქრებთ, ვიტრებთ და ვშორდებით ერთმანეთს მეორე საღამომდე, თითქმის ბედნიერნი. თავის სამწუხარო გეგმებს ის ხშირად ამთავრებდა სებასტიანე ბაბის სიმფონიით ოქაბურ ორგანოზე. მაშინ ის წმინდა ცეცილია იყო და მე, სულგანაბული ეუსმენდი და ვლოცულობდი მასზე. ეს იყო უწმინ-

დესი, უბედნიერესი წუთები ჩემი მწუხარე სიცოცხლისა.

მე ეკონომიურ კანტორაში დამსვენებულად. და სწორედ აქ ვიგრძენი ჩემი მწარე ბედი.

აქ პირველად გავიგონე სიტყვა ემა. მწარე! წყეული სიტყვა! და ის დოც იყოს წყეული, როდესაც პირველად გავიგონე ის!

მაგრამ სხვა გზა არ იყო! ბედს უნდა დავმორჩილებულიყავი! მძიმე დრო დამიდგა!

მხოლოდ ერთადერთ პანა მაგდალენას შეეძლო მოვეთვინიერებინე და დავეწყნარებინე. მხოლოდ მისგან ვარ დავალებული, რომ თავი არ მოვიკალი. იქნებ უკეთესიც ყოფილიყო? არა! რა სამწუხაროც, რა მძიმეც უნდა იყოს ჩვენი სიცოცხლე, უფლება არა გვაქვს ის შევწყვიტოთ. დაე იმანვე წაილოს, ვინც გვაჩუქა ის.

დღისით კანტორაში წერას განვაგრძობდი, საღამოობით კი პანა მაგდალენას ვესტუმრებოდი ზოლმე.

რას არ ვლაპარაკობდით! რაზე არ ვოცნებობდით! ყველა ჩვენი ოცნება და ვარაუდი განქრა, როგორც კვამლი ცის სივრცეში! ის მეუბნებოდა წესიერი შინაარსის წიგნების სათაურებს, რომლებიც მოიპოვებოდა გრაფინიას საშინაო ბიბლიოთეკაში, რადგან თითქმის მთელი ბიბლიოთეკა რომანებისაგან შედგებოდა.

მწერლის კანტორაში დამცინოდნენ, პანიჩს, სუფთაარელას, გერმანელს მეძახდნენ, რადგანაც რუსულ და პოლონურ წიგნებს არ ვკითხულობდი.

ერთხელ, მკის დროს, მეველეს გამაყოლეს მინდორზე მომკელი დედაკაცებისა და ძნების ასაწერად.

დედაკაცების ახლო რომ მივიდოდი, ერთი მომკელის თითქოს ნაცნობი სახე დავინახე. მის ახლოს, ძნებთან მწვანე სატაცურწაყრილ ათიოდე წლის გოგონას ეძინა. გვერდით ჩრდილში იდგა წყლით სავსე გოგრა, პარკში პური ეწყო.

დიდი ხანი ვუცქეროდი მიძინარე ბავშვის ლამაზ სახეს.

ამ მშვენიერი სურათით რომ დაეტყბი, თითქოს ნაცნობ დედაკაცს ვკითხე, რა ჰქვია, რომ მომეკლთა სიაში ჩაეწერო-მეთქი. მითხრა, სახელი და ხმა ძალიან ნაცნობი იყო.

ვკითხე, ამა და ამ ქვრივის, დომახის ქალი ხომ არა ხარ-მეთქი?

მიპასუხა, რომ სწორედ ისა ვარო.

— ეს შენი ბავშვია?

— ჩემია, — მიპასუხა.

შინაური ცხოვრება გამოვკითხე. მოვაგონე ის სილამო, როცა მშვიტ ლტოლვილს პურის ნატეხი გამომიტანა.

იმანაც მოიგონა, მიცნო და ისე გაეხარდა, თითქო ღვიძლი ძმა ენახოს, და მთხოვა, ვწვეოდი ძველ, დედისეულ სახლში.

პირველსავე კვირა დღეს, წირვის შემდეგ ნაცნობ სახლს ვესტუმრე. მისი სევდიანი მოთხრობიდან აი რა შევიტყე. მოხუცი ქვრივი დედა, ჩემი კეთილმყოფელი, დიდხანია გარდაცვლილიყო. დედის სიკვდილის შემდეგ თითონ გათხოვილა. ქმარი ჩქარა ბესარაბიაში გაქცეულა, დაუტოვებია მარტოკა, ბავშვიანად. ყველა ეს ისე უბრალოდ, ისე ამბულელებლად მიამბო, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ ხოლმე ყოველ ნაღვლიან ქემშარბიტებს.

მთხოვა მასთან დავრჩენილიყავ, თუმცა ბევრი არაფერი მაქვსო. დავრჩი და, საწყალი, თითქმის ტიროდა, რომ შაურბანიცი არა ჰქონდა, ცოტა არაყი ეყიდა. საწყალი!

მთელ სახლს სიღარიბე და ნაკლებობა ემჩნეოდა, მაგრამ სუფთად იყო დალაგებული. ძველი სახლი გულმოდგინედ გაეღესა ყვითელი თიხით — თეთრ თიხაში ფული უნდა მიეცა, ან პურზე გაეცვალა, ყვითელი კი მდინარე სლუჩის ნაპირიდან იყო მოტანილი.

სახლის ქურჭელი და ავეჯი სუფთად ჰქონდა რიგზე დალაგებული. პერანგი როგორც მას, ისე პატარა გოგონას, სუფთა, თეთრი ეცვა. ყველაფერი ისე ღაზათიანად გამოიყურებოდა, რომ სი-

ლატაკე ისეთი საზოხადარი აღარ მეჩვენებოდა, როგორც წარმოდგენილი მქონდა.

ბოლოს გამოვეთხოვე და სახლში წამოვედი. დავპირდი, რომ ყოველ კვირა დღეს ვნახავდი.

გამოვედი, ჩემს კერავაციებულ სახლში შევიხედე. სამწუხარო სანახავი იყო: ფანჯრები ჩამტვრეული, კარები გამოტეხილი, გზები ჭინჭარ-ყელით მოღებული, ხოლო ჩანგრეულ ღუმელში ბუს ბუდე გაეკეთებინა. ვნახე ასე გატიალებული და სევდამ მომიცვა. საშინელი მარტოობა ვიგრძენი.

აზრად მომივიდა, აღმედგინა ჩემი ბინა და შიგ დამეწყო ცხოვრება. მაგრამ რა უნდა გავაკეთო მარტომ? ცოლი შევირთო, ვინ შევირთო? გლეხის ქალი? როგორ ვიცხოვრო მასთან?

ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე აღმედგინა ჩემი ბინა და ჩამე-სახლებინა ჩემი ძველი ნაცნობი თავისი გოგონათი. გოგონა ამ დროს ათიოდე წლისა იქნებოდა, მეტი არა. მე ჩვიდმეტისა ვიყავი. ჩემებურად ავღზრდი მას და ცოლად შევირთავ-მეთქი ვიფიქრე, ვიფიქრე და ჩემს კანტორაში წავედი. გზაში ჩემმა ფანტაზიამ აღანთო მომავალი: წარმოვიდგინე ჩემი ბედნიერება, მომავალი ოჯახური ცხოვრების სიმშვენიერე.

მეორე დღეს ჩემი გეგმა პანა მავდალენას ვავუზიარე. ის აღტაცებული იყო, ტიროდა, ხელებს მიკოცნიდა, შვილად და თავის ღვიძლ ძმად მიხმობდა. მეუბნებოდა, რომ კეთილ, ქრისტიანულ საქმეს ვაკეთებდი, როცა მინდოდა სილატაკისა და მწუხარებისაგან მეხსნა ქვრივი და ობოლი. დასასრულს დამპირდა ყველაფრით დამხმარებოდა — რჩევით, ფულით, ჩემი საცოლისთვის ესწავლებინა წერა-კითხვა, მუსიკა, დიასახლისობა.

მეორე დღეს საქმეს მოვიკიდე ხელი: რამდენიმე დღით ვთხოვე გავეთავისუფლებინე, დავიჭირე ხელსნები და ჩემი ბავშვობის ბინის აღდგენა დაიწყე.

სახლს საკუჭნაოს მაგივრად მივაღვი

კარგი, სუფთა ოთახი, ბალი ახალი მე-სერით შემოვლობე, სახლის გვერდით წალკოტისთვის ადგილი დავტოვებ, არც ბოსელი დამვიწყებია ძროხისთვის, ერთი სიტყვით, ყველაფერი გავაკეთე, რაც გლების ყოფა-ცხოვრებას ესაქიროებოდა.

და როდესაც ყველაფერი მზად იყო, წავედი და ჩემს მეზობელს ვთხოვე გადმოსულიყო.

ატრდა საწყალი, როცა ვუთხარი, რომ ყველა ეს მისთვის და პატარა მარისასთვის გავაკეთე.

კვირა დღეს, წირვის შემდეგ მე და პანა მაგდალენა წავედით მათ სანახავად. როგორ გაუხარდა საბრალოს, რომ პანამაც არ იუკადრისა მასთან მისვლა!

რადგანაც ჩემი სახლი ბატონების სახლთან ახლო იყო, ამიტომ მე და პანა მაგდალენა ყოველ დღე ვესტუმრებოდით ხოლმე ჩვენ მოსწავლეს. პანა მაგდალენა ასწავლიდა მას პოლონურს, მე კი რუსულს. მეტის სწავლება არ მიწოდოდა. როგორღაც დარწმუნებული არ ვიყავი ჩემსა და მის ბედნიერებაში.

სწრაფად გარბოდნენ ჩემი ახალგაზრდობის წლები! სწრაფად იზრდებოდა მარისაც, ისეთი ლამაზი გახდა, ნამდვილი მზეთუნახავი იყო. ღმერთო ჩემო! ვუცქეროდი მას და ვერა ვძლებოდი მისი მზერით! ხოლო, როცა ბაღში გიტარაზე დაამღერებდა ჩვენს მელოდიურ სიმღერას, მე ვტიროდი და ღმერთს ვევედრებოდი! და როგორი ჰკვიანი იყო! პანა მაგდალენას მეტისმეტად მოსწონდა მისი გონიერება, თვალს არ აშორებდა. ბედნიერი ვიყავი! იმასაც ვუყვარდი, მაშ ისიც ბედნიერი იყო. უბრალო მწერლიდან კანტორის გამგე გავხდი, მერე კი, პან კოსულკას მიცვალების შემდეგ, გრაფინიამ თავისი მამულების მოურავადაც დამნიშნა.

განზრახული გვქონდა, შობის შემდეგ მე და მარისას ჯვარი დავეწერა. პანა მაგდალენა მღადედ უნდა გამყო-

ლოდა, ხოლო მამობილად — პატარა მული მეზობელი, ეკლესიის მნათყველაფერი მზად იყო, მაგამაც არ ანდას უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, ღმერთმა უწყის, რომელი ფაკულტეტი, გრაფი სახლშიაც კი არ მოვიდა მოხუცი დედის სანახავად, საზღვარგარეთ გასწია (ზოგიერთ მეცნიერებაში ცოდნის გასაუმჯობესებლად, როგორც თავის დედასა სწერდა). რასაკვირველია, მოხუცი გრაფინია აღტაცებული იყო მისი ასეთი საქმეური გულმოდგინეობით.

მოსიყვარულე დედა თავის დროზე უგზავნიდა ფულს და ყოველ წერილში სთხოვდა, რომ ჩქარა დაემთავრებინა სწავლა და წამოსულიყო შინ, რადგან უკვე მოვხუციდი, სიყვდილს მიუვუახლოვდი, სიყვდილის წინ მაინც მიწახულოდი.

მაგრამ კეთილი შვილი ყურადღებას არ აქცევდა მოხუცი დედის ვედრებას, ის კი, საბრალო, მუდამ ტიროდა, ბოლოს მართლაც შეუყვარდა შვილი და არ იცოდა, როგორ ჩამოეტყუებინა შინ. მე კი, რომ ვხედავდი, მუდამ სევდიანსა და მართლაც სამარესთან ახლოს მყოფს, ჩემდა საუბედუროდ, ვუჩიე, ფული არ გაეგზავნა და ჩქარა დაბრუნდებოდა. გრაფინია ეგრეც მოიქცა. რამდენიმე თვის შემდეგ აზიზი შვილი დაუბრუნდა მომაკვდავ დედას.

საზღვარგარეთიდან ის ფრანგი კამერდინერთა და ორი ბუღლოგის ჭიშის ძალით დაბრუნდა, თავის დედას კი ბრინჯაოს სამაჭური ჩამოუტანა და ანეგლოტი, როგორ მოკლა საკუთარი მშობელი მამა — თუმცა არ იცოდა, რომ მამა იყო — ორთაშუა ბრძოლაში, რისთვისაც დედამ დაასაჩუქრა ის უფრო ხანგრძლივი კოცნით.

ეს იყო სექტემბერში. მე გრაფინიას პოდოლის მამულში უნდა წავსულიყავი, რომ ზორბალი ოდესაში გამეგზავნა და თან გაეყოლოდი გასაყიდად.

ბალთიდან ოდესამდე ფოსტის ცხენებით ვიმგზავრე. ბალთიდან ორი სადღური გავიარე და ტრამალზე დამემ

მომისწრო. ღამე სრულმთვარიანი იყო, ნათელი, წყნარი, მომჯადოებელი ღამე! ტრამალზე არაფერი არ ირხვევა, არავითარი ხმა არ ისმის, არავითარი მოძრაობა, მხოლოდ ყორღანის ახლო რომ გაივლი, ყორღანზე თითქოს ბაღახი დაიბიბინებს და შიში ვიპყრობს.

ო, ყორღანებო! ყორღანებო! მაღალო ყორღანებო, რამდენი ამაღლებული, მშვენიერი აზრი ჩაიდევნათა ჩემს ახალგაზრდა სულში, ოდეს ვიმზერდით თქვენ, ბუნდოვანო, უსიტყვო ძეგლებო, ხალხის წარსული დიდებისა და ნაძრახი ცხოვრებისა! — შორს, საღდაც ტრამალში, ღამით მწყემსი საღამურზე ააყოლებს ნაღვლიან, გაბმულ მელოდიას!

ვაი მე, რომ არ შემიძლია გადავსახლდე იმ მშვენიერ მხარეს და სიბერის ემს მოვისმინო მშობლიური, მკმუნვარე სიმღერა!

ხშირად ვაჩერებდი ეტლს გზაში და მწყემსის საღამურს ყურს ვუვლებდი. ვუსმენდი, ვუსმენდი და ვერ ვძლებოდი მისი ჰანგებით. საწყალი მეეტლე ღამის ნაშზე იყინებოდა, მე კი ვიჯექი ეტლში და ვუსმენდი, დიდხანს ვუსმენდი, ვუსმენდი, სანამ არ ავტირდებოდი.

— გასწი, მეეტლე! წადი ჩქარა! ერთი მანეთი ლუღისთვის! — და მეეტლეც დაარბევდა სადავეებს, აიქნევდა შოლტს, და ცხენები გაფრინდებოდნენ, ეცვენები აქლირდებოდნენ, აქვითინდებოდნენ, აი, ტრამალზე მიწური გამოჩნდა, ეს საფოსტო სადგურია.

არ შეძინება. ცხენებსა ვთხოვლობ და კიდეე გზას განვაგრძობ. გზა ისევ ისეთია, იგივე ფართო ტრამალი და იგივე შავი ყორღანები, იმგვარივე მწყემსი და იგივე გულისმომკვლელი სიმღერა, და იგივე ღამაში მთვარე!

მივედი ოდესაში. მოვიდნენ ჩემი მეურმეებიც, ვაეყიდე ხორბალი და მთელი ტომარა დუკატებით დაგბრუნდი სახლში.

ვაი ჩემს დაბრუნებას! უბედურება მელოდა აქ!

ახლაც კი, ჩემო მეგობარო, ახლაც კი, სიბერის დროს, მრავალი უბედურების გამოვლის შემდეგ, მაინც მემძღვრება ღამის გულგრილად მოვიგონო ყველაფერი.

გრაფინიას რომ ჩემი ოდესაში მოგზაურობის ანგარიში და ხორბლის ფული ჩავებარე, მეორე ოთახში მარისას მოვეარი თვალი, ცისფერ ევროპულ ტანისამოსში გამოწყობილს (ჩვეულებრივ მას ჩვენებური ტანისამოსი ეცვა). როგორღაც გულში გამკრა.

შინ გავიქეცი. მარისას დედა ნამტირალევი შემხვდა.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

— რა მოხდა?

— ჩემი ვაი და ჩემი უბედურება!

კარგა ხანი ვიდექი და იმისი არაფერი მესმოდა. ტიროდა, თავის ბედს სწყევლიდა და ფეხებს მიკოცნიდა. როდესაც ცოტა დაშოშმინდა, კიდეე ვკითხე: რა ამბავია, რა მოხდა-მეთქი. მან ტირილით მიპასუხა: გრაფინიამ შენი მარისია შინამოსამსახურედ აიყვანაო.

— რა ვუყოთ. ეს დიდი სამწუხარო არ არის. მე ვთხოვ გრაფინიას შინ დაბრუნოს.

— ო, დიდი, დიდი, უბედურებაა! — ამოიკვნესა მან. — ახალგაზრდა... ახალგაზრდა გრაფი! იყოს წყეული ისა და მთელი იმისი გვარი!

— რა იყო? გრაფი, რა?

— ნუ მკითხავ, ნურაფერს მკითხავ! მიდი მასთან, თითონ მან გაიამოს თავისი პირით!

და კვლავ მორთო ტირილი და თმების გლეჯა, თან კვნესით იგონებდა მარისას.

ბოლოს მივხვდი, რომ ჩემი საწყალი მარისა საზიზღარი, გარყვნილი გრაფის სიბილწის მსხვერპლი გამხდარიყო.

ღმერთო დიდებულო! რატომ იქვე არ დამეცი შენი წმინდა მესხი და არ მომკალი! რამდენ ცოდვას ააცილებდი მაშინ ჩემს ცოდვილ სულს! მაგრამ გამოუცნობია გზები შენი. შენ სხვაფრივ განსაჯე!

აღარაფერი მესმოდა, ისე გავირბინე ეზო. გრაფის კაბინეტში შევედი და ჩემი მტირალი მარისა იმის ფეხთქვეშ დავინახე. ვეცი მას და მხოლოდ ორმა ვეებერთელა ჰაიდლუკმა იხსნა ის სიკვდილისაგან.

შემერეს, სარდაფში ჩამაგდეს და ყარაული მომიჩინეს.

არ მახსოვს, რამდენი ხანი ვიყავი ასე შეკრული, როდესაც გონს მოვედი, ვიგრძენი, რომ ნესტოან და ბნელ სარდაფში ვიწექი ჩალაზე. ჩემს ახლო ხელუბით მოვნახე სათლით წყალი და პურის ნატეხი. მაგრამ სმა და ჭამა არ მინდოდა. მთელ ტანში აუტანელ სისუსტეს ვგრძნობდი. წარსული რაღაც საშინელ სიზმრად მეჩვენებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ძალაზე მოვედი. კეთილი პანა მაგდალენა ფარულად ჩაისა და თეთრ პურს მიგზავნიდა, თუმცა სანახავად მოსვლას ვერა ბედავდა.

რამდენჯერმე ვცადე კარი გამეტეხა და გავტყუულიყავი, მაგრამ გარედან ყარაულები იდგნენ და თოკით შეკვრას შემუქრებოდნენ. თოკისა არ მეშინოდა, მაგრამ კარები რკინისა იყო და ცარიელი ხელით რას გავხდებოდი.

სარდაფში იქამდის ვიჯექი, სანამ გრაფმა დედას ფული არ მოჰპარა და კვლავ საზღვარგარეთ არ წავიდა.

სარდაფიდან ლამით გამოიშვივეს, გარეული მხეცივით გავვარდი ალაყაფში. ზამთარი იყო და უქულოდ გავიქეცი, დაუფიქრებლივ.

ჩქარა მინდორში სინათლე დავინახე და იქით გავწიე. დუქანი იყო. სიცივე ვიგრძენი და დუქანს მივაშურე.

შიგ შევედი. ვხედავ: მაგიდას ორი ფართომხარბეჭიანი გლეხი უჯდა, წინ არყიანი სპილენძის კმარცა ედგათ. მივესალმე. იმათ ჩუმად დამიკრეს თავი. მაგიდას მივეუჯექი და კვარტი არაყი მოვითხოვე. მელუქნემ მიცნო და, არაყი რომ მომიტანა, რაღაც შიშით თვალი ჩამიკრა ჩემს მესუფრეებზე.

ერთი ჭიქა დავლიე. მეორეც მივაყოლე. ჩემს მესუფრეებს შევთავაზე. უა-

რი არ მითხრეს. გამოველაპარაკე. როცა ვინაობა ვკითხე, მიპასუხეს, რომ ოდესაში სამუშაოდ ვიყავით. და სახლში ვბრუნდებითო.

ბახუსის სიტყბო ვიგრძენი და კიდევ ერთი კვარტი არაყი მოვითხოვე. იმათ ორი კვარტი მოითხოვეს.

ჩქარა ხუმრობა დამიწყეს, რომ ორი კვარტიც არ დაგილევია და უკვე მთვრალი ხარო. ჯერ მეც ხუმრობით ვუპასუხებდი, მერე კი გულახდილად ვუამბე მთელი ჩემი ცხოვრება — ბავშვობიდან დაწყებული უკანასკნელ დღემდე, და ბოლოს ავტირდი. ერთმა მათგანმა სიცილით მითხრა:

— ეჰ, მეგობარო! უბედურება მიწას უნდა ურტყა, როგორც შეკრაი შარვლის სველ ტოტებს დაზგას ურტყამს. ცრემლით, მეგობარო, ვერაფერს გახდები. ჩვენც აი, როგორცა ხედავ, ღარიბი ხალხი ვიყავით, დანაგრული, დაბეჩავებული, გამარცხული ახლა კი, მაღლობა ღმერთს, ვბატონობთ! და მერე როგორ ვბატონობთ! ბევრ ბატონსაც შეშურდებთ! დაანარცხე მიწას ჯავრი და ვარამი! წამო ჩვენთან, ჩვენთან, თავისუფალ კახაკებთან, დამიჯერე. არ ინანებ! ვცხოვრობთ თავისუფლად, მხიარულად! ჩვენი პალატები მწვანე მუხნარია! ჩვენი მოედნები — ფართო ტრამპლი, ლალი და თავისუფალი! დღისით გვძინავს ჩვენს მწვანე პალატებში, ღამით კი ვჭეიფობთ და ფეხითა ვთელავთ ხავერდს და ოქროს! მაშ როგორ, ამხანაგო? ხელი დაგკრათ?

— დაიცა, ცოტა ვიფიქრო, — ვუთხარი მე.

— მე რომ მკითხო, მეგობარო, აქ საფიქრებელი არაფერიც არ არის. დაე, ისევ ბატონებმა იფიქრონ, სად ვაღამალონ გლეხიკაცისგან მოტაცებული დუკატები! ნუ იფიქრებ, სჯობს, აი, ეს ფიქრი დალიე.

და მან ჭიქაში არაყი დამისხა. დავლიე და ხელი გავუწოდე მათ.

— აი ეს ნამდვილია! ეს ჩვენებურია: ვიფიქრებთ! რას მოიფიქრებ მე-

რე? ღმერთმანი, ვერაფერს. ჭიქა არაყსაც კი ვერ მოიფიქრებ. მართლა!

— ჰეი, ღორის ყურო! — დაიყვირა მეორემ — მოიტა ღვინო! მოიტა რანგი! მოიტა ლუდი! არაყი არ მინდა და დაიხსომე, ღორო, შემწვარი გოჭი იყოს მზად! ინდაური და მამალი არ მინდა, მეჯავრებმა! გესმის? ფიცხლად!

საბრალო ებრაელი აკანკალდა და მარანში წავიდა ფარნითა და ქურჭლით.

შუალამე გადავიდა, ჩვენ ისევ იქ ვისხედით. ჩემს გულახდილობას იმათაც გულახდილობით უპასუხეს. იმათი ნაამბობიდან გავიგე, რომ ერთი ჩემი მარისას ბესარაბიაში გაქცეული მამა იყო, მეორეც — გაქცეული ყმა და რომ ახლა მთელი ამხანაგობა პატიოსან, რაინდულ შრომას ეწეოდა, ყაჩაღებად იყვნენ გასული.

გათენებისას კარაპანში წავიდნენ დასაძინებლად. მე თუმცა ძალიან მთვრალი ვიყავი, ძილი არ შემეძლო: წყვეული გრაფი ძილის საშუალებას არ მძლევდა. ჩუმად ავდექი, კარაპნიდან გამოვედი და სოფელში წავედი. მივედი ჩემს სახლთან, გარს შემოვუარე. გული ძალიან მიწუხდა, ვუყურე, ვუყურე სახლს. ანგარიშმიუცემლად ცეცხლი დაეკვესე და აბედი ჩალის სახურავში შევდე. წუთის შემდეგ ცეცხლი ავარდა. ქუჩაში გავჩერდი, დავინახე, როგორ იწვის ჩემი სარჩოსაბადებელი და ისევ ჩემს ახალ ამხანაგებთან, დუქნისკენ გავსწიე.

განთიადი იყო. როდესაც დუქანთან მივედი. გავაღვიძე ამხანაგები, ისინი სრულიად ფხიზლები იყვნენ. მეც თითქმის გამოვფხიზლდი. იმათ კიდევ ერთი კვარტი არაყი დალიეს, მე კი მეტი აღარ შემეძლო. აიღეს შემწვარი ქათმებითა და ბატებით სავსე ტომარა და მინდორზე გავლით მუხნარისკენ წავიდნენ.

მეც მათ წავყევი. სულ უკან ვიხედებოდი, რომ ჩემი მშობლიური სოფელი დამენახა, აღარა ჩანდა, მხოლოდ რაღაც გუგუნი ისმოდა და ჩემი საბრალო სახლის ცეცხლი ეღვარებდა. ხუტორში მი-

ვედი, ვიპოვეთ ერთი დედაბერი, რომელიც ღუმელს ახურებდა. ჩემმა ამხანაგებმა ჰკითხეს.

— მარკი არა ყოფილა?

დედაბერმა უპასუხა:

— არა ყოფილა.

— მას სადილი მოამზადე, შენ კი, მეგობარო, დაწე და მოისვენე.

დაეწეე და დავიძინე. დამესიზმრა ყაჩაღების ბუნაგი. შიშით გამეღვიძა და დავინახე, რომ მართლაც ყაჩაღების ბუნაგში ვიყავი.

მხოლოდ ერთი თვე გავიდა და მე ნამდვილი ყაჩაღი გავხდი. მართალია, არავინ მომიკლავს, მაგრამ უწყალოდ ვძარცვავდი მდიდარ ებრაელებს, შლიახტას და ყველას, ვინც ძვირფასი ეტლით დადიოდა. და დიდსულოვანი რაინდ-ყაჩაღების შესახებ წაკითხული რომანების გმირებს ებაძავდი, ვართმევდი მდიდრებს და ვაძლევდი ღირებებს.

კიდევ ერთი თვე გავიდა და ერთხმად თავის ბელადად ამირჩიეს. ჩვენი ჯგუფი სწრაფად იზრდებოდა. ოთხი თვის შემდეგ ასზე მეტი თავზეხელაღებული ამხანაგი მყავდა. ასეთი ძალით უკვე თამამად და ცხადად დავეცემოდით ხოლმე ბატონების სახლებს და წარმატებითაც მიგვეყავდა საქმე, რადგან გლეხები და ლატობდნენ ხოლმე თავიანთ მტარებლებს.

ჩემი რაინდული მოქმედებით პოდოლიისა და ვოლინის გლეხების კეთილგანწყობილება დავიმსახურე. ჩემი უანგარობის სახელი სწრაფად გავარდა გლეხებს შორის, ხოლო ჩვენი ჯგუფი უფრო სწრაფად გაიზარდა, ასე რომ ნახევარი წლის შემდეგ სამას ამხანაგამდე მყავდა. ეს ჩემი ლაშქარი თავისდღეში ერთ ადგილას არა მყავდა. ჯერ ერთი, ძნელი იყო მათი გამოკვება, მეორეც, პოლიციას არ უნდა სცოდნოდა ჩემი ადგილსამყოფელი. მართალია, პოლიციისა არც თუ ეგრე მეშინოდა, რადგანაც გლეხებს ვუყვარდით და ხიფათის დროს გვინახავდნენ.

ხანდახან ჩემს ლაშქარს მოგუყვრიდი

ხოლმე თავს, იმისათვის კი არა, რომ ჩვენ დუშმანს დავცემოდით, იმიტომ რომ ორიოდ კვირა ერთად გვეჭიჭინა. ამისთვის სხვადასხვა ადგილას ტყეში სარდაფები მქონდა, ან გადავიწყებული ძველი მღვიმეები, რომლებიც მხოლოდ ჩემმა იასაულებმა იცოდნენ და ზოგიერთმა ჩემმა ძალიან სანდო ამხანაგმა.

სარდაფებში ინახებოდა ღვინო, სანოვაგე და საბრძოლო მარაგი: იარაღი, ტყვია-წამალი და ფული.

ერთი ასეთი სარდაფი მქონდა ზვენი-გოროდკას ახლო, ბრატურსკის ტყეში. ეს სარდაფი, როგორც ხალხური გადმოცემა ამბობდა, ჰაიდამაკებს გაუქმებიათ 1868 წელს. მეორე ასეთივე სარდაფი — ზასლავსა და ოსტროვს შორის, ვგონებ, ესეც ჰაიდამაკების ნაშუშევიარი იყო. მესამე კი — ყველაზე დიდი — კიევის ახლოს — კიტაევის უდაბნოს გალავანს გადაღმა, ტყეშივე. ეს ვეებერთელა გამოქვაბულები ამოთხრილი იყო, მგონი, ანდრია ბოგოლიუბსკის დროს. გორაზე, სადაც ეს გამოქვაბულებია, ახლაც ემჩნევა მიწაყრილის კვალი, შესაძლოა მისი ქალაქგარეთა ციხე-დარბაზის გალავანისა.

ამ გამოქვაბულებში ვეჭიფობდი რამდენიმე დღეობით მთელი ჩვენი ამხანაგებით კიცაევის სავანის თვალწინ და წმინდა მამებს კი ეჭვიც არ აღძვრიათ ხოლმე.

გამოქვაბულებს თეთრი სანთლით ვანათებდით. იმასაც კიცაევის სავანეში ვყიდულობდით. ისინი კიევბეჩორის ლავრისთვის ამზადებდნენ. პირქუშ გამოქვაბულებში დავაფენდი ხოლმე ძვირფას ხალებს, შალებსა და ხავერდს. იყო ხმაური და მხიარულება!

ხანდახან გონებით იმ მხარეს გადავსახლდები ხოლმე, მოვიგონებ წარსულს და თითქოს გავაახალგაზრდავდები! ღმერთო, შევინდგე შეცოდებანი ჩემნი!

...რამდენიმე დღის ქეიფის შემდეგ, ჩემს რაზმს დავშლიდი ხოლმე და სხვადასხვა მხარეს ვგზავნიდი. ყოველ ცალკეულ რაზმს უფროსს ვუნიშნავდი ან ძველს ვუმტკიცებდი. ყოველი რაზმის

უფროსს ჩემი სახელითა და გვართ უნდა ემოქმედა, თვითონ მე კი ტადევიცვამდი გლეხის ან ბატონის ტანსაცმელს და მივდიოდი კიევში, ან სხვა რომელიმე ქალაქში.

ერთი სიტყვით, ისე ვმოქმედობდი, როგორც გამოჩენილი რინალდო რინალდინი.

ხშირად მქონდა შემთხვევა სლუჩის ნაპირებზე ჩემი მშობლიური სოფლის ახლო ყოფნისა, მაგრამ სოფელში შესვლა მეშინოდა. გლეხების მხრივ ღალატს არ მოველოდი, ყველა მომადლიერებული მყავდა, ზოგი ფულით, ზოგი ნატურით: ხარებით, ცხენებითა და სხვ. მათი არ მეშინოდა, მაგრამ მეშინოდა მარისას ან პანა მაგდალენას არ შევხვედროდი.

ყოფილა შემთხვევები, რომ მთელი ღამეები გამიტარებია ჩემს ტურფა სლუჩის ნაპირზე, ვუცქეროდი მშვიდობიანი, ბედის მორჩილი ჩემი მოძმეების წყნარ ქოხებში მბუტბავ სინათლეს. ხან ვტიროდი და ვინანიებდი ჩემს ცხოვრებას, მაგრამ ძალიან შორს ვიყავი წასული, რომ გულწრფელი მეგობრის დაუხმარებლად შემძლებოდა უკან დაბრუნება. რამდენჯერმე გაეფიქრე მენახა პანა მაგდალენა, მაგრამ ყოველთვის უკან ვიხევდი. მრცხვენოდა, მეშინოდა! ამ დროს ყველაზე საბრალო, უუბედურესი ადამიანი ვიყავი.

სოფლის შორიბლო გავივლ-გამოვივლიდი, სლუჩის ნათელ წყლებს მივეუბლურებდი და ისევ ტყეს შევეფარებოდი, როგორც მგელი, რომელიც ადამიანის შეხვედრას გაურბის. ტყეში რომელიმე ჩემს რაზმს შევხვდებოდი, მუხის ტოტებზე ძვირფას ხალსა და ხავერდს ჩამოვიკიდებდი და ჩემს კანონის დამრღვევ ამხანაგებთან ერთად სმას დაეიწყებდი.

მინდოდა ჩემი ბინძური სინდისი ძვირფას ღვინოში ჩამეღრჩო, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ღვინოში ამოტივტივდებოდა ხოლმე და ცოფიან კატასავით გულზე მეცემოდა.

ამ საზარელ წუთებში თითქოს ცხად-



ლივ მომეკვლინებოდნენ ხოლმე პან მაგდალენა და ჩემი მშვენიერი ქორწილდავსებული საპატარძლო. ორი ანგელოზივით გამოემეცხადებოდა და ისე წყნარად, ტკბილად, ისე სასიამოვნოდ მებაასებოდნენ, რომ ჩემს თავს სრულიად ბედნიერ ადამიანად ვგრძნობდი.

ერთხელ გავბედე წერილის მიწერა და ვთხოვე მარტონი შემხვედროდნენ. პაეპანის ადგილი ჩვენი მნათეს ბაღის ცარიელ სახლში დავუნიშნე. გადავწყვიტე ჩემი წყველი ხელობა დამეტოვებინა და მზად ვიყავი კატორღაშიც კი წავსულიყავი, ოღონდ ჩემი ბინძური სინდისი გამესუფთავებინა.

ამხანაგებთან ჩემს ვანზარახვას ვმაღვდი. ან კი რას მოჰიტანდა გულახდილობა? უხეში დაცინებების მეტს არაფერს.

გულის ლევით ველოდი პანა მაგდალენასთან შეხვედრის დღეს.

ამ დროს ჩემი რაზმით ლუკკის ახლო დავეხეტებოდი.

ერთხელ ტყიდან შევნიშნეთ: შარაგზაზე მტვერში მოგორავდა დიდი საგზაო ბერლინი.

ბრძანება გავეცი — ხეობიდან გზაზე გადიოთ და ბერლინი შეაჩერეთ—მეთქი. თქმა და ასრულება ერთი იყო. ბერლინი გააჩერეს. გორაკიდან რაღაც ნაცნობი მეჩვენა. სანამ მივირბენდი, დავრწმუნებულეყავ, ხომ არა ვცდები, ბერლინიდან უკვე ჩემოდნები ჩამოეჭრათ და თითონ პატრონიც გაეშინშვლებინათ. თოკით შებოჭილი სიკვდილის მოლოდინში კანკალებდა.

მერე ვინ ვიცანი ამ გატიტვლებულ ადამიანში?

ჩემი დაუძინებელი მტერი, გარყვინილი, ბილწი გრაფი ბოლესლავი!

გამოვიტყდებით, სასაყილო იყო მისი დანახვა, თან მტკიცნეული. იმანაც მიცნო და მთელმა სხეულმა თრთოლა დაუწყო.

თვალი ავარიდე, ვუბრძანე ჩემოდნები თავის ადგილზე მიებათ, თოკები აეხსნათ და ტანისამოსი მიეცათ გრაფისა და ფრანგ კამერდინერისთვის. მეეტ-

ლეს ჩერვონეცი მივეცი საჩუქრად და გავისტუმრე ხელუხლებლად. გრაფმა შინით ხმა ვერ ამოიღო, ფრანგმა კი შრიდლობიანად მოიხადა ქული და: მერსი მოსიე! გვითხრა.

ამ შემთხვევის შემდეგ მეგონა, რომ თამაშად შემეძლო პანა მაგდალენას შეხვედრა. უკვე ვოცნებობდი პანა მაგდალენასთან წყნარი, ტკბილი ბაასის შესახებ. მის მშვენიერ მოწყალე შეხედვაზე. წარმოვიდგინე ჩემი თავი ცოდვამონანიებული, მღუპარე, მორჩილ მუშაკად სადმე ყრუ მონასტერში ან შორეულ გადასახლებაში, გაწმენდილი სინდისით... ბედნიერი ვიყავი!

მაგრამ ღმერთმა ინება ჩემი ცოდვილი ცხოვრების გაგრძელება.

გზაში ძალიან ავად გავხდი, ამხანაგებმა ხუტორში მიმიყვანეს, დუბნოს ახლოს, მოხუც დედაკაც ექიმბაშთან, ტყეში, და იქ დამტოვეს. დედაბერი მასახლოებდა და მკურნალობდა, როგორც შეეძლო.

ჩემი უფროსობა ამხანაგს გადაეცი, პროხორ კიჩატის, დიდი ძალღონისა და არაავაზაკური გულის ადამიანს.

ოქტომბრიდან აპრილამდე ვიწექი თითქმის გაუნძრევლად. მხოლოდ აპრილში შევძელი ფეხზე ადგომა და ოთახის მეორე კუთხეში გადასვლა.

ეს ხუტორი ყველაზე მივირბენილი იყო, ვგონებ, ჩემი ექიმბაშისა და მისი მოხუცი ქმრის გარდა, არავინაც არ იცოდა მისი არსებობა.

გარეთ დავიწყე გამოსვლა, და თითქმის ყოველ დღე, ჩემი მკურნალის ნებართვით, ქოხის გვერდით რამდენიმე საათით ვიჭექი ხოლმე.

უზივარ, ჩვეულებრივ, ჩემთვის და ესტკებები პატარა ანკარა ტბორით, რომელიც ლელიანით იყო შემოზღუდული. ქვევით პატრონივით ბებერი წისქვილი იყო, ერთდოლაბიანი, ტკბილად მოდუდუნე ღარიო. ტბორის ზედაპირზე ბატები და იხვები დაეკურავდნენ. შორიდან გეჩვენება, რომ წყალშია და წყალზემოთაც იხვია. ჭებირის ახლო, ნაპირზე, პატარა ნავია, გადმო-

ყირაგებული, ხოლო წისკვილის ფარდულის ქვეშ გაშლილია დიდი ბადე. ხუტორის ირგვლივ გაუვალი მუხნარია. მხოლოდ ერთ ადგილას შეიძინევა განაკაფის მაგვარი. თითქოს განგებ გაკეთებული და ამ განაკაფში შორს, ტატნობზე ვეებერთელა სიმაგრეებით მოსჩანან კარპატის მთების კალთები.

დროდადრო პროხორ კიჩატი დამხედავდა ხოლმე, ჩემი მკურნალისთვის ყოველთვის მოჰქონდა საჩუქრები, ჩემთვის კი სხვადასხვა ტკბილეულობა. — მიაშობდა, რომ უჩემოდ ამხანაგები მოწყენით იყვნენ, რომ არავითარი შემოსავალი არა ჰქონდათ, რომ კრემენცში კინალამ პოლიციას ჩაუვარდნენ ხელში და რომ ამხანაგები მელოდნენ, როგორც ღმერთს.

მაგრამ მე სულ სხვა რამეს ვფიქრობდი. მინდოდა ძალა მომეკრიფა, წავსულიყავი პოჩაევსკში, მომელოცა, მერე სლუჩის ნაპირზე გავსულიყავი, შევხვედროდი პანა მაგდალენას, შემდეგ კი, სადაც ჩემი ბედი ინებებდა, მხოლოდ არა ძველ ამხანაგებთან.

მაისის ბოლოს ჯოხის შემწეობით უკვე შემეძლო გამგზავრება.

გლეხის ძველი ტანისამოსი ჩავიცივი, ჩანთა გადავიკიდე, ხელში ჯოხი დავიჭირე და ძველი ჩვეულების თანახმად, დამბახა გავიჩარე წელში, მადლობა გადაუხადე, რითაც შემეძლო, ჩემს კეთილს მასპინძლებს, პირჯვარი გადავიწერე და ქოხიდან გამოვედი. მოხუცმა კრემენტის გზაზე გამომაკილა. აქაც კიდევ გამოვემშვიდობე მოხუცს და კრემენტისკენ წავედი. მინდოდა ჯერ პოჩაევში მივსულიყავი მერე კი პანა მაგდალენა მენახა.

პოჩაევიდან რომ დაებრუნდი, კრემენტში შევიარე, მინდოდა მენახა „კოროლევა ბონა“ და კრემენტის ლიცეუმში, რომელსაც იმ დროს აშენებდნენ.

მშვიდობა ნეშტს შენსა, კეთილშობილო ჩაცკი! გიყვარდა მშვიდობა და განათლება! გიყვარდა ადამიანი, როგორც ქრისტემ გვიანდერძა!

კრემენციდან სოფელ ვერბაზე გავულით წავედი დუბნოში, დუბნოდან გავიარე კორეცა და ნოვგოროდ-ვოლინსკი და ჩემს მშობლიურ, ჩემი ლამაზი სლუჩის ნაპირებს მივალწიე.

აქ შევისვენე და მეორე დღეს საღამოთი უკვე ჩვენი სოფლის კარზე ვიყავი.

ვფიქრობდი, ღამე მუხნარში გამეტარებინა, დილით კი შემეტყობინებინა პანა მაგდალენასთვის, აქა ვარ-მეთქი. მაგრამ როგორ უნდა შემეტყობინებინა? არც ქალაღი მქონდა, არც მელანი, არც კალამი.

ცოტა ფიქრის შემდეგ გადაწყვიტე ნაცნობ დუქანში მივსულიყავ, ბარათი დამეწერა და პანა მაგდალენასთვის გამეგზავნა. თან შიმშილიც ძალას მატანდა. წავედი დუქანში.

მედუქნემ არ შემამჩნევინა, რომ მიცნო. პურის ნაჭერი, ტარანი და არაყი მოვატანინე. ცოტა შიმშილი რომ მოვიკალი, ვთხოვე ქალაღის ნაგლეჯი, კალამი და მელანი, დავწერე ბარათი და მედუქნე ბატონის კარზე გავგზავნე.

პასუხის მოლოდინში სკამზე მივწეჭი დასასვენებლად და თვლემ დავიწყე.

უცბათ გაიღო კარი და დუქანში გრაფი შემოვარდა შეიარაღებული გლეხებით.

— დაიპით! შეჰკარით ახლავე! — ყვიროდა ის.

მე სკამიდან წამოვხტი, დამბახა ამოვიღე და დავუმიხნე, ჩახმახს მოვწიე. გრაფი იატაკზე დაეცა.

მაპატიე, მოწყალეო ღმერთო, უნებლიე ცოდვა. მიზი სიკვდილი არ მინდოდა. ხელში მყავდა და გავუშვი.

თითონ ეშმაკმა მიპართა ჩემი ხელი და უნებლიეთ კაცისმკვლელი გავხდი, მთელს მხარეში ავახაკად ცნობილი. ეს პირველი და უკანასკნელი მსხვერპლი იყო ჩემი. ეს არ მაპართლებს. მე მაინც ავახაკი ვიყავი, სხვისი სარჩოს გამტაცებელი.

გლეხები პირადად მიცნობდნენ და ჩემი ყაჩაღური სახელიც იცოდნენ.

ჩემს შესახებ ამბობდნენ, ვითომ გრძნეული ვიყავი და არ უნდოდათ ჩემი შებოჭვა, მაგრამ გამცემ მელექნეს ჩემი დამბაჩა თავში ვესროლე და გლეხების თანხლებით ბატონის ეზოსკენ წავედი.

ეზოში შემბოჭეს გრაფინიას ბრძანებით და ჩამააწყვდიეს უკვე სარდაფში, მაგრამ აღარც პური მომცეს, აღარც წყალი და აღარც პანა მაგდალენა მიგზავნიდა ჩაისა და თეთრ პურს, როგორც წინათ. — იმანაც, ჩემმა ერთადერთმა, ჩემმა კეთილმა მაგდალენამაც კი თავი დამანება! — ასე ვფიქრობდი მაშინ.

• • •

სარდაფში შებოჭილმა სამი დღე გავატარე. ეს ნამდვილად ვიცი, რადგან სასულეში სამჯერ გამოჩნდა სინათლე. არც წყალს მაძლევდნენ, არც პურს. არც მინდოდა. ჩემი გულის ვარაში მაჭმევდა და ცრემლები მასმევდნენ, ხოლო მტანჯავდა და მაწამებდა სინდისი. მე ვიყავი მტაცებელი, მძარცველი და კაცისმკვლელი. ო, ჩემი მწუხარება იმ გაუთავებელ სამ დღე-ღამეს უზომო იყო! ისე ცოცხლად წარმომიდგა ყველა ჩემი დანაშაული, რომ თვალებს ხელებით ვიფარავდი. ხან სურათი იცვლებოდა, თუმცა პატარა ხნით, წარმომიდგებოდა ჩემი ბავშვობა, კერავაციებულის სახლი, ღამე მინდვრად, მგლების ყმული, მეველე, პანი კოშულკა და ჩემი კეთილშობილი პანა მაგდალენა, და იმასთან, როგორც ნათელი, ღვთიური ანგელოზი, ჩემი მშვენიერი, უმანკო მარისა...

სურათი იცვლებოდა და ჩემს დამლუპველ მტერსა ვხედავდი. ჩემს ირგვლივ ყველაფერი აღში იყო გახვეული და იწვოდა ჩემს გარდა, და საშინლად ვლელავდი: ვყვიროდი, ვტროდი და ქვის იატაკს ვღრღნიდი.

საშინელი იყო ჩემი ტანჯვა. ლოკვები და ყველა სხვა კეთილი განზრახვანი განშორდნენ და სასტიკი გრძნობების მსხვერპლად დამტოვეს.

ასეთი შეტევა ყოველ საათს შეორდებოდა. ერთხელ გონს მოვედი და წყურვილი ვიგრძინე, მივხსენებოდა თან (სიარული არ შემეძლო, რადგან ხელფეხი შეკრული მქონდა), დავიწყე ყვირილი, წყალსა ვთხოვლობდი. არავინა მპასუხობდა. წყურვილი მტანჯავდა. ხელფეხი გავწი-გამოვწიე. თოკი თითქოს მოეფონა. გავიმეორე. თოკი საგრძნობლად მომეფონა. ხელები გავითავისუფლე. შემდეგ ფეხებიც. ხელის ცეცებით გავიარე ჩემს ჭურღმულში. მივედი სასულესთან. სინათლე არა ჩანდა, ალბათ ღამე იყო, ყველას ეძინა. ნუთუ ყარაულებმაც დაიძინეს? მივედი კარებთან. ვარახუნე, ვიყვირე — არავინა მპასუხობდა. ერთი წუთის შემდეგ ყური მივუგდე. ეზოში ოდნავ გასაგონი ხმაური და ლაპარაკი ისმოდა. ალბათ გაიგონეს ჩემი ხმაური. კიდევ ვყვირი. ხმას არავინა მცემს, ეზოში ხმაური კი უფრო და უფრო ძლიერდება. შევხედე, სასულიდან წითელმა შექმა ჩამოანათა სარდაფში და გავიგონე ყვირილი: ცეცხლი! ცეცხლი!

აქ კი წყლის დაღვივის ყოველი იმედი დაკარგე. ვინ გაიგონებდა ახლა ჩემს ხმას. წყურვილი კი უფრო და უფრო მტანჯავდა, ნესტიან კედლებს დავუწყე ლოკვა, მაგრამ არაფერი მიშველა, ვიცოდი, რომ სარდაფში ღვინო იყო, მაგრამ მისი რკინის კარებიც და კეტილი იყო. შეეცივით ვლმუოდი. წარმომიდგა შიმშილით სიკვდილის საშინელება. უცბათ გავიგონე, კარებს აღებენ და ჩემს სახელს იძახიან. ვეცი კარებს, კარი გაიღო და ზღურბლზე ჩემი ამხანაგები დავინახე. შევყვირე. წყალი მომიტანეს. წყურვილი მოვიკალი. მიმოვიხედე ირგვლივ და, წარმოსათქმელადაც კი საშინელია, რაც დავინახე.

ეზოში, ცეცხლის შექმე, ჩემი ამხანაგები სცემდნენ და ზოცავდნენ და ცოცხლებს ცეცხლში ჰყრიდნენ გრაფინიას საბრალო სტუმრებს.

ო, სჯობდა არ დავბადებულიყავ, ვიდრე ამისთანა საშინელების მიზეზი და მოწმე ვყოფილიყავ!

სანამ სარდაფში ვყავდი გრაფინიას, გლეხებს შეეტყობინებინათ ჩემი ამხანაგებისათვის ჩემი ამბავი და ისინიც დასახმარებლად მოცივებულყვენენ. საშინელი დახმარება იყო!

შვილის დამარხვავზე გრაფინიასთან ბევრი სტუმარი მოსულიყო ცოლშვილით. მაგრამ ღმერთმა არ ისურვა მიწისთვის მიეზარებინათ ის—მისი ცოდვილი ლეში დაიწვა მდიდრულ ბაღდახინზე.

უკვე ყველაფერი მზად იყო დასაფლავებისათვის. ქსენებმა რომ პანაშვიდი დაიწყეს ამ დროს მოფრინდნენ ჩემი ამხანაგები შავარდნებივით. ცეცხლი წაუკიდეს საუცხოო პალატებს, და დაიწყო მათი ამოხოცვა. ჩვილ ბავშვებსაც კი არ ინდობდნენ. ბარბაროსები!

გლეხები ეზოში შეიკრიბნენ, თითქოს სასიეროდ. არც ერთმა თითიც არ გაანძრია. ისინი ხარხარებდნენ, როცა ავაზაკები ღიპიან ბატონს ან იმის ცოლს ისროდნენ ხოლმე ცეცხლში მეორე სართულიდან. უხეში, მკაცრი ადამიანები!

მერე ვინ არის დამნაშავე მათ უხეშობაში? ვინ გაამკაცრა ისინი? თქვენ თითონ, მკაცრო, გაუმძღარო ბატონებო!

გლეხებმა გადაარჩინეს პანა მაგდალენა მისი კეთილი გულის გამო და იმიტომაც, რომ კვირაობით ჩვენს ეკლესიაში დადიოდა. გადაარჩინეს ჩემი საწყალი მარისაც, იმიტომ, რომ ისიც გლეხი იყო.

სოფელში ვექებე ისინი, მინდოდა ერთხელ მაინც შემეხედა მათთვის, მაგრამ გლეხებმა მათი ბინა არ მაჩვენეს. ეშინოდათ, რომ უნებლიეთ დამნაშავე მარისიც არ მომეკლა.

საწყლებს არ ეგონათ, რომ გულწრფელად ვაპატიე მას.

და მათი ნახვა ვერ შევძელი.

ცეცხლის შუქზე ამხანაგებმა გამიტაცეს ღუქისიკენ, სადაც პირველად შევხვდი ყაჩაღებს და სადაც პირველ ყოვლისა მოვეკალი ადამიანი. ამხანაგები და-

თვრნენ, ღუქისნს ცეცხლი წაუკიდეს და გამცემა ცოცხლად ისროლეს ცეცხლში.

ლამის გასათევად მუხნარში წავიდით ჩემდა გასაკვირად, ჩემს ამხანაგებს არავითარი დავლა არ წამოეღოთ, მაშასადამე, ყველაფერი მხოლოდ ჩემი ვანთავისუფლების გულისთვის ჩაიღინეს. საბრალო თავისუფლებავ! ხოცივითა და ცეცხლით ხარ ნაყიდი!

მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია ამხანაგების შემდეგს ბრძოლებში ბატონების წინააღმდეგ. თითქმის მუდამ ავადმყოფობდი. ძველი ავადმყოფობა კვლავ გამიახლდა, რადგან ეს ჩემი მშობლიური სოფლის ახლოს მოხდა, ამხანაგებს ვთხოვე, სოფელში გადაეყვანე და მნათეს ბაღში ქოხში დაეწვიე. ამხანაგები არა მყაბულდებოდნენ, პოლიციის დევნისა ეშინოდათ, მაგრამ დავარწმუნე, რომ მნათე არ გამცემდა და არაფერი ხიფათი არ მომელოდა. თუმცა მე არც გაცემისა და დასჯისა მეშინოდა, რადგან ისეც ყოველ წუთს ვისჯებოდი. ძალიან მომბეზრდა მხეციისმაგვარი, ავანჯურის ცხოვრება.

ლამით გადამიყვანეს ამხანაგებმა ჩემგან ნანიშნებ ქოხში, მნათეს ბაღში. დამაწვიინეს და სახლის პატრონს შეატყობინეს, რომ ავადმყოფი სტუმარი გყავსო.

დილით მოვიდა ჩემთან თვითონ მნათე. მომიტანა წყალი, პური და ადუღებული რძე სალაბით. გულთბილად გამომკითხა, რა გტკივაო; და ცხელი რძე დამალევიანა. მერე ლოგინი მომიტანა და სალაბოთი ექიმბაში მომიყვანა. მისი ლამაზი, კეთილშობილი სახე, თეთრი, ფართო და ხშირი წვერით ნდობას აღგობრავდა. მეც ვენდე მას, მაგრამ მისმა წამლებმა მაინც ვერ მიშველეს.

სახლის პატრონი და ექიმბაში მთელი დღეები ჩემთან ისხდნენ ხოლმე, მაგრამ ქალები ჩემთან არ შემოდოდნენ. ალბათ, ფრთხილი მნათე არ ანდობდა თავის ცოლს ჩემს საიდუმლოებას, რადგან მისი თავდაპირველობის იმედი არა ჰქონდა.

სულ უკან და უკან მიდიოდა ჩემი სა-

ქმე და ვთხოვე მღვდელი მოეყვანათ ჩემთვის.

ღამე მომიყვანეს მღვდელი, ვიცანი ჩემი ძველი ნაცნობი მამა ნიკიფორე, რომელიც ოდესღაც დაპირებული იყო ჩემგან აღამიანი გამოეყვანა. უკვე გაქალაქრებულ იყო, მაგრამ ჰარმაგად იყო. გაუკვირდა გულუბრყვილო მოხუცს, როდესაც მოვავრთე ის საწყალი კირილეობოლი, რომელიც დიდისნის წინათ წაიყვანა ღარიბი ქვრივი დოროშისასაგან.

აღსარებისა და ზიარების შემდეგ უკეთ ვიგრძენი თავი. დიდი რამ არის აღამიანისთვის სარწმუნოება. მით უფრო ისეთი ცოდვილისთვის, როგორც მე!

დღითი დღე უფრო ვუმჯობესდებოდი. კეთილი მასპინძელი ძალიან ცდილობდა დაეფარა ჩემი ყოფნა მის სახლში, მაგრამ საიდუმლოება მაინც გამკლავდნა.

გვიან საღამოთი ფანჯარასთან ვიჯექი და ბაღში ბუღბუღის გალობას ყურს ვუგდებდი, თან ალუბლისა და ბალის ყვავილთა სურნელს ვყნოსავდი.

ხეებს იქით რაღაც შავმა გაიღვრა. დავაქერდი — ქობისკენ ვილაყ ნელა მოდიოდა. უფრო ახლო რომ მოვიდა, დავინახე, შავ სამოსიანი ქალი იყო. ფანჯარას რომ მოადგა. ვიცანი. ჩემი ერთადერთი, დაუეწიყარი პანა მაგდალენა.

ქობში წყნარად შემოვიდა.

ჩვენ სიამოვნებით მოვეხვიეთ, გადავკოცნეთ ერთმანეთი. დიდხანს ხელეჩაქიდული ვუცქეროდით ერთმანეთს სხამოულელებიც.

მერე როგორც და, როგორც მეტად ნაზი, აზიზი საყვარელი, მაგრამ მომეხვია და მწარედ ატირდა.

დიდხანს არ ვაგრძელებულა ჩვენი შეხვედრა, რადგან ჯერ კიდევ სუსტად ვიყავი. ამას მიხვდა და ჩქარა გამომეთხოვა. დამპირდა, მეორე დღესაც განახავო. ჩემი საბრალო მარისას გამო დარჩა სოფელში მასთან, რადგან მარისას, როგორც ყმას, არ შეეძლო გაჰყოლოდა მას მონასტერში. ჩემი მნათესთან ყოფნა შემთხვევით გაეგო. სოფელში თავისთვის ბინას ეძებდა და დიაკვნის ცოლს მნათეს ბაღში ბინა მიესწავლებინა, რო-

გორც უფრო მყუდრო და იაფი თავშესაფარი.

მარკინაშვილი

დღეს მოსულა ბინისსანახავად ჩემი მასპინძლები მინდორში სამუშაოზე იყვნენ, თორემ ბაღში არ შემოუშვებდნენ.

მე მეძინა, როცა ის მოსულა. მძინარე ვუცვივარ, არ გავუღვიძებია და ახლა საღამოთი მწვევია.

ჩვენ ყოველდღე ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს, როცა ჩემი მასპინძლები მინდორში სამუშაოდ მიდიოდნენ.

ღმერთო ჩემო! რაზე არა ვებასობდით! რა ამაღლებული, კეთილშობილური განზრახვანი და გრძნობები გამანდო!

მან მიაშბო, რომ ჩემი წერილის მიღების შემდეგ, სადაც ვთხოვდი ვენახე, ყოველ დღე მთელი ზაფხული და შემოდგომა მოდიოდა ხოლმე ამ ქობში, და ხან გათენებამდე მელიოდა. რა სუფთა, ქრისტიანულ გეგმებს ადგენდა, რომ კეთილ გზაზე მოვექციე! ჩვენი აღსარებანი ერთიმეორეს გაეანდეთ, ყველაფრის შესახებ ვებასობდით, რაც ჩვენთვის მახლობელი, ძვირფასი იყო. მხოლოდ მარისაზე სიტყვა არ დაგვიძრავს. პანა მაგდალენას თითქოს ეშინოდა მოეგონებინა ის. მე მეშინოდა მარისას სახელი მის უბიწო ბავთაგან გამეგონა.

მარისა კი, ჩემი საწყალი მარისა თურმე ყოველთვის მოსტედა პანა მაგდალენას და ბაღში ელოდა მას, ვერა ბედავდა ჩემთან შემოსვლას.

ერთხელ გამბედაობა მოვიკრიფე და ვკითხე:

რა იქნა ჩემი საბრალო მარისა?

— ცოცხალია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ კარგად არის, — მიპასუხა პანა მაგდალენამ.

— რა დაემართა? — ვკითხე თრთოლვით.

— იტანება გულის ავადმყოფობით!

— შეიძლება ვნახო? მოიყვანეთ ჩემთან, ერთი მაინც შევხედო.

პანა მაგდალენა გავიდა და ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდა მარისასთან ერთად. ვერ ვიცანი. საშინლად გამოცვლილიყო — ფერმკრთალი, გამხდარი, რაღაც აღგზნებული თვალები ჰქონდა.

დღისხანი იდგა გაქვავებულივით. ბოლოს ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა: — მომიტევე მე!... მომიტევე!

და გულამოსკვნილი დაეცა ჩემს ფეხებთან.

მეტისმეტად შევშფოთდი და ვერ მოვახერხე რაღაც შეთქვა მისთვის.

ჩვენი მდუმარე შეხვედრა გათავდა. პანა მაგდალენამ მარისა გაიყვანა და მეც ვერ გავბედე მისი გაჩერება. პანა მაგდალენას ჩემზე დიდი მორალური გავლენა ჰქონდა, მას ისე ვემორჩილებოდი როგორც ბავშვი დედას.

მარისა და პანა მაგდალენა ყოველდღე დადიოდნენ ჩემთან. ერთხელ მარისამ მიაშპო თავისი სამწუხარო თავგადასავალი, ჩემი ხორბლის გასაყიდად ოდესაში, წასვლის დღიდან მოყოლებული.

არ გიმეორებ, ჩემო მეგობარო, ამ მძიმე, სამწუხარო ამბავს, რადგანაც საზიზღარი და ბილწი საქციელია, და მეტად ჩვეულებრივი ჩვენს საბრალო სამშობლოში!

ის, საწყალი, დედა იყო და სიღარიბეში ზრდიდა თავის საბრალო შვილს. განსვენებულ გრაფინიას არ უნდოდა რაიმე დახმარება გაეწია თავისი შვილიშვილის ღარიბი დედისთვის, რადგან გაკილვისა ეშინოდა.

საბრალო, მხდალო, სულმოკლე გრაფინიებო!

დღითილდე ვჯობინდებოდი. გადავწყვიტე, როგორც კი სიარული შემეძლებოდა, შორეულ, ყრუ მონასტერში კი არ წავსულიყავი, როგორც აქამდე ვფიქრობდი, მივსულიყავი ჟიტომირში და გუბერნატორთან გამოვცხადებუდიყავი. შეაშინა მისთვის ყველა ჩემი დანაშაული და დაენდობოდი ღვთის მოწყალებასა და ადამიანის მართლმსაჯულებას. ასეც მოვიქეცი.

ღამით გამოვემშვიდობე ჩემს თავმდაბალ და სტუმართმოყვარე მასპინ-

ძელს და ყველასგან შეუმჩინეულად გავედისოფლიდან.

ტყეში, სლუჩის ნაპირზე, პანა მაგდალენა და მარისა მელოდნენ. დღისითვე ეგრე მოვილაპარაკეთ.

გათენებისას იმათ ჟიტომირის გზამდე მიმაცილეს და აქ ჩვენ ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ, სამუდამოდ დაეშორდით ერთმანეთს.

უკანასკნელი კოცნის შემდეგ ჩემმა დაუეწიყარმა პანა მაგდალენამ დამლოცა და ეს წმინდა წიგნი დამიტოვა — და მან მიმოითა დაბადებამზე, რომელიც მაგიდაზე იდო და რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკე.


— წმინდა, ღვთიური წიგნი! — განაგრძობდა აღტაცებული, — ჩემი ერთადერთი საფარველი, საბურავი და იმედი.

მოხუცი ჩაფიქრდა, ატირდა და თვალკრემლიანი თითქოს თავისთვის ამბობდა: — ერთადერთი საგანი, რომელიც ცეცხლს გადაურჩა.

— ჩემო მეგობარო, — წარმოთქვა მან წუთით სიჩუმის შემდეგ, — თუ ღმერთი ჩვენს მხარეში მიგიყვანს, მიდი ჩვენს სოფელში, სლუჩის ნაპირზე, და თუ მათ ცოცხლებს ნახავ, ეამბორე ჩემს მაგიერად და თუ დაიხოცენ, მათი ტანჯული სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადე. ჟიტომირში მივედი, გამოვცხადდი გუბერნატორთან, გულახდილად ვუამბე მთელი ჩემი საზარელი ცხოვრება და დამატუსაღეს. გამასამართლეს როგორც კაცის მკვლელი და მოწყალებით და კაცთმოყვარეობით მომისაყვეს. აი მთელი ჩემი ცოდვილი მოთხრობა, ჩემო მეგობარო და ძვირფასო თვისტომო. დანარჩენი დაე დაუმეტონ ჩემმა ბოროტებმა და ნაადრევმა ქალარამ.

1845 წელი კიევი

თარგმანი გიორგი ნაშორაძისა



ღვანელობა

ღვანელობა*

რომანი

ყველა შედინჯდა. მათ უკვე იცოდნენ ტყის ირგვლივ დატრიალებული ამბები. ბევრი მათგანი დაესწრო კიდევაც თათბირს. ზოგი კი, მაგალითად, დათო, უშუალო მონაწილეც იყო „გაგას ბრძოლისა“. ისიც იგრძნეს, რომ გაგას სიტყვების გარეგნული სისადავე, სრულიადაც არ გამოხატავდა მის შიდა განწყობილებასა და ტკივილს.

— კი მაგრამ ასე რატომ შეცდით? — იკითხა ახალგაზრდა ინჟინერმა.

— ახლა ამას ბევრი მიზეზი აქვს, — თავი ჩაღუნა გაგამ, — მართლაც და ახალგაზრდულად რომ ვთქვათ — ზოგ ტურისტ მეცნიერს დაუფერეთ, შინაურებს არ ვერწმუნეთ.

— აქეთ ტურისტები, იქით უტილიტარისტები, რა ეშველება ჩვენს ტყეს! — ისევე აყვირა ვანცა, და ჯავრი რომ ვინმეზე ეყარა, კვლავ კაკოს შეუტია, — წინათ კაკო-ყაჩაღი იყო და არც თუ მაგნე! ახლა კაკო-ინჟინერია... და რა მოგახსენოთ...

— რათა თანატოლო! ტოლ-ამხანაგო! — ასეთ ულოდნელ თავდასხმით დაბნეულმა ინჟინერმა თვალები აცეცა და აფორიაქდა, — მე სულ არ მოვდივარ თქვენს ტყეში, თვით ტყე მოდის ჩემთან! თქვენ ტყის ფანტიკოსი დამცველები ხართ, მე ფანტიკოსი მშენებელი... და ახლა რა ვქნათ? მართლაც, ბევრი მასალა გვეჭირდება... სახალხო მშენებლობაზე უამრავი კარსარკმელი, ხარაჩო და ფიცარი... ერთი სიტყვით, ბოძიდან ცულის ტარამდე...

— შენ მართლაც ამ თვალსაზრისით უმზერ ხეს! ჩვენი სახელოვანი ტყე ცულის ტარში გინდა გაუყარო?! — ახლა კი დინჯი ვატოც ამოძრავდა.

— სრულიადაც არა, ახალი სახლის, ახალი სკოლისა და მრავალი ახალ-ახალი სასახლის თვალსაზრისით! — კაკომ სახლები და სასახლეები თითქმის ყველა მეტყვევებს „ჩამოურია“ და წინ გადმოსული ზილფი უკან გადაიყარა, — ქალებო, მაპატიეთ, საბავშვო ბაგები და სამშობიარო, ზრდილობის გამო არ მოვიხსენიე! მაგრამ ამ ტყის ხალხთან რა ზრდილობა გავიგია?!

— თქვენი „ზრდილობით“ სულ მალე ახალი ნატყევარიც დაგვრჩება ირგვლივ! — კამათში ჩაება გაგაც.

— დარდი ნუ გაქვთ, ჩვენცა გვექვს ჩვენი ოპტიმისტური იდეა და ოპტიმალური გეგმაც!... ოდებისა და ხის ნახშირის დრო ხომ არ გგონიათ! მხოლოდ მოკლე ხნით ხელის მონაცვლება გვეჭირდება, თორემ ცოტაც და ელექტრონი, გაზი, სხვა ახალი სათბობი და საწვავი მასალაც ყელამდე გვექნება! — თხრობის გემოსა და სიცხარეში შესულმა კაკომ ხელით ნახევარი ოთახი გაჰყო და განზე მოიტოვა, — ეს ერთი მხარე! ახლა იმდენი პლასტმასები, წიღებლოვები, დრეკადი და ფერადი ბეტონი, ათასგვარი ფილები და მღნარი მიწები შემოდის მშენებლობაში, რომ სულ მალე თქვენი ხე აღარც დაგვეჭირდება... ტყესაც დიდ, საპატიო პენსიაზე გავუშვებთ... და მაშინ იზარდოს მწვანე სამოთხემ რამდენიც უნდა, ამშვენოს, ახაროს ბუნება და ადამიანი!

მობილულმა „დამცველებმა“ შეება

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 1, 2.

იგრძნეს. გაუჩინდნენ კიდევაც მომავლის გრძობაში. ქალებმა თანაგრძობის ჩურჩულიც კი ააყოლეს ახალგაზრდა ინჟინრის ზრახვებს. ერთი ხმა გამოთავთავდა კიდევაც:

— აი მაშინ კი — მხოლოდ ჰიგიენური ჭრა და გაწმენდა!

...მაგრამ კაკომ ისევ მოიქნია „ნაჯახი“...

— ჭერ კი გვაცალეთ ხის მაჩივრებო, ჩამოდექით კურორტოლოგებო, გაგვატარეთ ტყის დამცველებო, მცენარეთა ლამანჩელებო! ცენტერაძის მონოზნებო!

— უჰ, ეს რა გვიქნა?! შენ ჭერ განდგურებას და მერმე აშენებას გვირდები! — აყვირდა ვანცა...

— შენ მალე პლასტმასის ტყესაც შემოგეთავაზებ და იქნებ პლასტმასიდან გაკეთებულ ადამიანსაც... მაგრამ ჩვენცა და ქალებიც პროტესტს ვაცხადებთ!

ახლა კი საერთო სიცილმა იფეთქა და დაჟვარა გაგას სიტყვები.

— ერთით ნოლი გაგას სასარგებლოდ! — თითიცა და ხმაც ასწია ვანცამ, — შემდეგი სადაო საკითხიც მას ეკუთვნის... მაგრამ არა სიყვარულისა და ახალ მოდების შესახებ! მანდ ცნობილია „გაგა-ბერის“ პოზიცია! თუმცა ამ ბოლო დროს მაგანაც, წელანდელის არ იყოს, გადაკრული სიტყვებიცა და კოხტობაც დაიწყო!

ოთახში და შესაბანდში კვლავ სიცილი დაბორიალდა. ამ ჭერად ყველაზე უფრო ქალიშვილები კისკისებდნენ...

— შეყვარებული ხომ არ არის ჩვენი „უწვერო ბერი“?

ქალებს ახლა დათოც აქვია...

— მაგის შეყვარებულს აქამდე საკმაოდ გრძელი სახელი — დისერტაცია ერქვა, ახლა იმაზე უარს აცხადებს... ჩანს, სხვა შეიყვარა, უფრო მოკლე სახელიანი!

— არ არის მართალი, არა! — ხელუბი გაასაყვავა გაგამ, ამოძრავდა კიდევაც, სახეზე წამოძალებული სიწითლე რომ დაეფარა.

მაგრამ დათომ კიდევ ჩაუგორა გადაკრული სიტყვები. მან წარგაღიწურდა თავისი მეგობრის გულმორცხვა ნასინათიცა და დისერტაციის მარცხის გამო ჩაფარული ტკივილიც... და ახლა განზრახს ორ ადგილშივე უკაუნებდა და ახალგაზრდულად, ცოტა მეამიტად მარცხის მონელებას უჩქარებდა და უადვილებდა.

— ქალებო, მაგან უჩინმაჩინის ქუდი დაიხურა და ცეკვას სწავლობს! ტყეშიაც და ძილშიაც სულ კენესის და ჰერი-ჰერის იძახის... აბა და თვითონ თქვას რისგან არის!

— თქვას! თქვას! — მიიძახეს და უფრო შემოადგნენ.

— ვიტყვი, აბა, რაღა მასპინძელი ვარ!... მართალია მე ქუდი სულ არ მახურავს და არც ცეკვა ვიცი, მაგრამ მე ჩვენი ქვეყანაში ტურისტად კი არა ვარ მოსული, რომ ყველაფერზე ჰერი-ჰერი ვიძახო და ვიკვირო! ახალმოდურობა და ახლის ძიება კი ერთი და იგივე სრულიადაც არ არის, ისე, როგორც ძმაბიჭობა და ძმაცაცობა!

— დაჰკა გაგა — კარგი თემა! — შესძახეს ვაქებმა.

— და რაც მთავარია — ძირითადს ჰფარავს! — კვლავ ჩაუკაუნა წვერწიორამ.

გაგამაც დაჰკრა, წვერწიორას კიდევ რომ არაფერი ეთქვა...

— ლამაზი, მოხდენილი ჩაცმა რომ კარგია, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ახალმოდის იქით არ უნდა იკარგებოდეს ახალგაზრდის საკუთარი სახე და მოწოდება! მე ახალ მოდის წინააღმდეგი კი არა ვარ, არამედ ახალ მოდის კულტისა! ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი იმ შემდგრებულ დელეს ემსგავსება, რომელმაც აღმოსავლურ სათავიდან მხოლოდ მუქთახორული სმა-ჭამა მოიწონა და მიიღო, ზოლო დასავლურ შესართავიდან ახალმოდური, გადაპრანქული ჩაცმელობა და ცხვირაწეული უსაქმურობა!

— აიმღვრეოდა, აბა, რა მოუვიდოდა! — ახლა კი დათოსაც თავისი გან-

ზრახვა და სახუმარო კილო გულს მიღ-
მა დარჩა. თავისივე წამოჭრილ კამათის
ტალღამ გაიტაცა.

— ახლა მეცხრამეტე საუკუნე ხომ
არ გგონიათ, როდესაც ქვეყანა ურმით
მიგორავდა! ახლა დრომ ხმას გაასწრო
და თანამგზავრების სისწრაფით მიჭ-
რის!

მაგრამ ახალგაზრდული კამათი იმი-
თაც არის ძნელი, რომ ყოველ მათგანს
თავისი ნათქვამი მხოლოდ თავისივე
გამოთქვამში სწამს...

— მერმე რა მოხდა, ეს არ ვმარა სა-
უკუნის აღსანიშნავად! — კამათში ყვე-
ლაზე დინჯი ვატო ხიტირიც ჩაება, —
გაგავ, მართალი ვარ თუ არა?!

— მართალი ხარ! — დაუდასტურა
ახობაძემ და ისევ თავის მხრისაკენ გაი-
წია, — მარტო ტექნიკა კიდეც არ ნიშ-
ნავს განათლებას, ისევე, როგორც მარ-
ტო ახალმოდერობა არ ნიშნავს კულ-
ტურას!

კამათს უფრო და უფრო ემატებოდა
ძალა, მეტად ბევრი საწვავი მასალა და
ახალგაზრდული დაუდუღრობა იყო.

— ის მოხდა, ძმებო და დებო, რომ ახ-
ლა ჩამორჩენა სულ ადვილია, მერმე
დაწევა კი ფრიალ ძნელი! არც ერთ სა-
უკუნეში ჩამორჩენილობა, პიროვნე-
ლიც და ეროვნულიც, არ ყოფილა ასე-
თნ საბედისწერო, როგორც ახლა! —
დათომ ისევ ააცახცახა თავისი მეჩხერი
წვერი, რითაც ქალები ფრიალ გაამხი-
არულა.

— აზრი კარგია, მაგრამ წვერი არ
ჩამოგვარდეს!

— ნუ მჩაგრავთ, ქალებო! ეს განა
წვერია — ტყუა!

— და იქნებ სიბრძნის ტყუე! — დინ-
ჯად ჩაურთო ვატომ, მაგრამ კამათი მა-
ინც არ გაკვეა შედინჯებულ კვალს...

— ძველ აზრს ქადაგებ... მართლაც
წვერიანს! — ირგვლივ მოაძახეს და
სულ ააპილილეს წვეროსანი.

— ჩვენი მამები ამას უკეთ ასაბუ-
თებდნენ და თავის ცხოვრებაში ანხორ-
ციელებდნენ კიდევაც!

ახლა გაგა წამოეშველა, დაჩაგრულ
წვერწიორას მხარში ამფუდგეულები

— ასეც რომ იყოს ~~ფეოდალური~~ მკვლავ-
რებო, არსებობს ისეთი აზრი, რომელ-
საც არა ერთხელ, არა ერთგან და არა-
ერთგვარად სჭირია „აღმოჩენა!“

—...და ეს არა მარტო მოდებს შეეხე-
ბა! — შესძახეს ქალებმა, გაგა კი ჩა-
აჩუმეს, მაგრამ ვანცა და ვატო კი არც
ერთს არ დაეთანხმნენ, ძირითადი გაჰ-
ხადეს სადაოდ...

— ჰერი ჰა! რამდენი პიროვნებაა,
იმდენი ხასიათია, მასასადამე სხვადასხ-
ვა აზრიც! ყველაფერი რომ ყველამ თა-
ვიდანვე, ერთხელ კიდეც აღმოვაჩინოთ
ეს ხომ გაუთავებელ აღმოჩენა-დავას
გულისხმობს!...

— მაშინ ყველაფერი სადაოა და ყვე-
ლა — ყველას ედავება?! ეს რა გამო-
დის?

გაგამ თავისი დიდი მკლავები არ-
წივის ფრთებივით გაშალა და ყველა
შეადინჯა...

— სწორედ ამაშია დიდი იდეის ძალა
— ყველას სადაოს შეიცავს და ერთიან
დინებად, სწორად წარმართავს!

ყველა უტყვად დაეთანხმა, ხელად
დაშოშმინდა. ესეც ჰაბუკუტ პირუთენე-
ლობისა და უპირატესობის . წილიდან
იყო. მაგრამ თავად გაგამ უმალ იგრძ-
ნო რომ ძირითადი მოდავე აქ სრულია-
დაც არ ჩანს და სადღაც „არა ბორ-
ჯომში“ იყო წასული...

წვერწიორამ კი ისევ მოიპოვა ერთ-
დროული დახმარებისა და კილვის
უნარი.

— დახე გაგა-მაგასა! თითქმის მუნჯ-
მა რა ლაპარაკი ისწავლა! აღესვა არა-
უშავს რა — არ დაიქლესოს!.. — მერ-
მე თვალეები მოკუტა და თითქოს თავის-
თვის ჩაილაპარაკა, — მე კი ვიცი ვინ
ამოადგმევინა ასეთი მკაფიო ენა!

— ვინ? ნეტა ვინ? — ახლა კი და-
თოს შემოესივნენ ახალგაზრდები, —
გვითხარ, თორემ ვაგპუტავთ წვერია-
ნად!

გაგას უნებურმა ფერმა ისევ გადაჰკ-

რა. ახლა ნამდვილი შიშით შეჰხედა და-
თოს.

— არა, არ ვიტყვი... ნუ დაგედო ალ-
მური, ტყუირო! ცოტა-ცოტა უცნაუ-
რობა ყველასა გვჭირს... მე ახლა, წვე-
როსანი, ერთად-ერთი ვარ თქვენს შო-
რის, ამის ძალით ბევრი რამე დამეყერე-
ბა! — ხელის ზურგი ქვევიდან ნებიერ-
ად ამოუსვა წვერს და ბრძნულ-მო-
ხუცური გამომეტყველება მიიღო, —
ერთს შენც გეტყვი, გავაქ! დღეს ტყის
ჭერ მოუშთავრებელი გმირი შენა ხარ,
მაგრამ ყველას შენი თვალი და გული
არ აქვს და ყველა ვერც დაეტევა ტყე-
ში! ადამიანს თუ სიცოცხლე არ უნდა
— ნუ უშლი სიკვდილს... და პირიქით,
თუ სიკვდილი არ უნდა — ნუ უშლი
სიცოცხლეს!

— ესეც მაგარი იყო!... დიდად საკა-
მათოც! — ღრმად ამოისუნთქა კაკო-
ინეინერმა... — ნეტავ რას უნდა ნიშ-
ნავდეს?! —

— არა, მეტს არაფერს ვიტყვი, დღეს
მაგან ერთი, ტყის შესახებ „დიდი პა-
ექრობა“ მოიგო, მაგრამ „უმთავრესი
პაექრობა“ ტყეშია და არა ტყეშია
კვლავ წინ აქვს... ახლა კი მოველო-
ცოთ და შევეუდგეთ მისი დისერტაციის
არა დაცვას, არამედ დაწვას! დიდი
მსხვერპლის გარეშე არავითარი დიდი
საქმე აღარ კეთდება!

გავამ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ
ლუმელში ცეცხლი უკვე ანთებული
იყო, მხოლოდ მას ელოდა.

ცოტა შეძრულ ხელით დისერტაცია
მაგიდიდან მიიმედა აიღო და შედგა.
თითქოს ფიქრიც იკრიფა და ძალაც.

— მართალია! რაც მალე მოვიწვებ,
მით უმჯობესი! — გულიანად ჩაიდუღუ-
ნა და ლუმელის კარი გამოაღო... ღუ-
მელიდან დიზელსაწვავის სუნი გამოკრ-
თა...

— ნავთის მაგიერ, შენი საანალიზო
დიზელსაწვავიც შეშას დაასხეს... უპ-
რიანიც არის!... ქალიშვილებსაც უყ-
ვართ ყველაფრის გასიმბოლოურება და
გაპოეტურება! — ამით წვერწიორამ

თავისი მისია დამთავრებულად ჩასთვა-
ლა და ხელი გულზე იკრძეფა ნულში
გავამ აღარ დააყოვნე! ლუმელში ასე
ყდინანდვე შეაგდო დისერტაცია. მაგ-
რამ მრავალი ხელი ყოველ მხრივ მა-
საც დასწვდა და ხელნაწერსაც.

— რას ჩადი, უგნურო! განა მთლიან-
ნად?!

— ეს რა საქციელია?!

— განა მარტო შენია! ჩვენიც არის
და ხმაც გვაქვს.

გავას ხელი ჰკრეს... მოურიდებლად
შეუძახეს...

შერუჯული დისერტაცია ლუმელი-
დან გამორტაცეს, და დათოს ჩააბარეს.

ბინაში უკვე ნატისუსალი სუნი იდგა.
აღარავის არ ეხუმრებოდა, მაგრამ და-
თომ მაინც სცადა ყველაფრის შემსუ-
ბუქება.

ხშირად დროული ოხუნჯობა დიდი
ნუგეში და უკეთესი გამოსავალია არც
თუ საოხუნჯო ვითარებიდან!

— ახლა მე თუ წვერი არ მივარგა,
ეს არ ნიშნავს რომ მთლიანად უნდა
გამპუტოთ და დაშწვით!

ყველას გულზე მოეშვა, მაგრამ არა-
ვის არ გაუცინია. წვერწიორამ იგრძნო,
რომ აქ მარტო ოხუნჯობა აღარ შევლო-
და საქმეს...

— შე უგნურო! დისერტაციის
მთლიანად დაწვით შენ ხომ შენს პირ-
ველ ახალგაზრდობას სწვავ?!

— არა, მე მხოლოდ ჩემს ახალგაზრ-
დულ შეცდომებს ვწვავ! მორჩა და გა-
თავდა. განა ვეკოპწიავები ჩემს ამო-
ნაშრომსა და ნამოქმედარს, როგორც
ზოგი!

გავამ ყველას მოავლო თვალი და
მერმე ღია კარში გაიხედა.

დათომ ყველაზე კარგად გაუგო ნათ-
ქვამი და კიდევ უფრო იქით წაუბიძგა
გელიქეშური...

— შენ ვისაც ჰკულისხმობ თავის
ამო ნაშრომთან მეკოპწიავედ, ის აქ,
ჩვენს შორის არც არის და ნურც დაე-
ძებ! იგი, ვგონებ, არც თბილისშია!
ახლა ხომ იცი ავარაკების დროა!

ახლა კი ხარხარი დააყარეს წიორას

ნათქვამს. აქეთ-იქიდან მოაძახეს კიდევაც.

— იმიტომ თუ არის ასე ნაღვლიანი და დაბნეული!

— კოლეგიაზე, საჯარო თათბირზე ლომი და ვეფხი იყო, ახლა რა ჯაბანი და გულდღეაღა გახდა!

— არა, მეგობრებო! ნუ მიმსუბუქებთ საქმეს! — გაგა მაგიდას მიუჯდა და დიდი წითელი ფანქარი მოიმარჯვა... — მოდი, ერთად გადავხედოთ ამ შერუჯულ ნაშრომს... რაც დასაწვავია — დაწვავთ! მე დიდი ხანია მოვინელებ ეს სიმწარე და სხვა მასალები უკვე შეგროვილი მაქვს... არა, დღეს კი მიღალატა, მაგრამ სწორეთ ამ წვერ-კეთილის დახმარებით!

მეგობრები შემოადგნენ მაგიდას.

— ეს კი სულ სხვა ანგარიშია! აი ახლა გცნობ, გაგავ! — წვერწიორა წინ წამოდგა და საკმაოდ შეტრუსული და შემურული დისერტაცია გაგას მაგიდაზე დაუდო, — ახლა კი გადავსინჯოთ ახალგაზრდულ შეუპოვრობით! ჩვენ „აუტორდაფეს“ კი არ ვაწყობთ, მანკს ვიშორებთ, ხასიათს ვიმიტოვებთ მომავლისათვის... ჩვენ ყველას მთავარი საშრომი და დასაცავი წინ გველოდება დასაწერადაც და სამოქმედოდაც! პირველ პურად კი კუტი პური სჯობს დამწვარ ლავაშებს!

— ქაბუკებო! ამას დამიხედეთ... იქნება წვერი მართლა აბრძენებს და აუფროსებს ადამიანს?! — გაიკვირვა ვატომ და ხელნაწერი გაგას უფრო ახლო მიუჩოჩა, — აბა, რაც მოსაშორებელია — მოვაშოროთ! რაც გადასამუშავებელია, შენ იცი და შენმა ცდამა და მუყაითობამ!

— შენ კოხტობა სთქვი, თორემ მუყაითობა სწორედ ცხრა კოდალასი გახლავს! — ახლა ვანცამ გადმოჰყო გრძელი ხელი და დისერტაცია გადაუშალა.

შესავალი და პირველი ნაწილი გადარჩა. მერმე წითელი ფანქარი ამუშავდა, შემდეგ მაკრატელიცა და ცეცხლიც.

...ამ ქალაღის შრიალში და წვის ტყაცუნში გაგას ტყის შემწვოფებულ ხმაური და მოჭრილ თუ მომსკდარი ხეობა გრიალი გამოვსმოდა და დისერტაციის დაწვას სულ ავიწყებდა.

X

წლის მიწურულში, მით უფრო, საახალწლო წინა დღეებში ხომ სულ დატაცებაზე იყო ნათია. ნაძვის ხეების მომრთველად იწვევდნენ კულტურის სახლებსა და სკოლებში. თოჯინების თეატრმაც მას გააფორმებინა საახალწლო ხე და წარმოდგენა.

თანაც თეთრი ახალი წელი დგებოდა. თოვლი უხვად დაედო სახურავებსა და ქუჩებზე. მატარებლები თეთრნაბადა და თეთრნაბდიქულა საფარველით შემოდიოდნენ ამოთეთრებულ სადგურებში. თოვალუჩვევმა ქალაქმა უეცრად დასაოკრად იცვალა იერი.

ეზოს ბავშვებმა ხომ სულ აიკლეს ქუჩა და ჩიხი. თოვლი აგუნდავეს, აგორეს, სახურავებიდან დაუმატეს... „უშრახმა-ოსტატმაც“ ხელი შეუწყო, თეთრი ფანტელი ზღაპრული სიუხვით მოათრქვია.

და მაინც ბავშვებს თოვლის კაცი, თუმცა დიდი, მაგრამ უშნო და ულაზათო გამოუვიდათ.

იგრძნეს და ჩაფიქრებულად გარს შემოადგნენ.

საოსტატოდან მობრუნებულმა ნათიამ სწორედ დროზე ჩამოიარა.

მეზობლის ბავშვებმა ხომ ყოველთვის ყველაფერი იციან და თანაც მუდამ უყვართ მეოცნებენი. ხელად შემოესივნენ, ხმიანად შეეხვეწნენ. მანაც აღარ გააწბილა, მსუბუქად ხელი გაჰკრა, ვეება ყბები ჩამოაცალა, დაუხვეწა. შუბლი და ცხვირი გამოუყვანა, ტანიც ოდნავ მოულაზათა. ზორბა მხრები და ზურგი შეუსწორა და თავზეც ურჩი თმები ხელმსუბუქად გამოუყვანა.

— ახლა რა დავაქვით, ბავშვებო?

— გაგა!.. იმასა ჰგავს!.. ჩვენი ეზოს გაგას! — შემოსძახა კულრაჰა გოგონამ და აკისკისდა.

— გაგა, გაგა! კარგია! ჰგავს და ერქვას! — აპყენენ ბიჭები... — წელან მო-

ტოციკლით რომ ჩამოიარა, ცხვირზეც კი თოვლი ჰქონდა!

— ცხვირზეც და წამწამებზეც! და არც ქუდი ეხურა! — გოგონებმა უფრო ჩააზუსტეს სურათი და თოვლის ვაგას ხელჩაბმულად ჩამოუარეს.

ნათია შეკრთა, მაშ ჩამოსულა გავა? იქნებ შინაც არის? მაგრამ კითხვას მოერიდა. უფრო შეუკოქმანდა, როდესაც შეკრთომის ნამდვილი მიზეზი გამოარკვია. თოვლის კაცი მართლაც ჰგავდა გავას. დააკვირდა და უფრო ენიშნა. სახის დიდ ნაკეთებშიაც და საერთო იერშიაც მართლაც იყო უფიქროთ და უგანზრახვით გამოსული მსგავსება.

ჭალმა ხელეზზე დაიხედა, მიზეზგაურკვეველად, მაგრამ გარკვეულად ეწეინა, იპირიზა და შინ შეცივებულივით შევიდა.

ნათიას ბინა უკვე დერეფნიდანვე შინასახელოსნოდ ჰქონდა გადაქცეული. კარი გამოიხურა თუ არა, მოსწყდა გარესკნელს, გამოეთიშა. აქ სიწყნარე და სანთლის სურნელი დახვდა და შეაშოშმინამის ხელიდან გამოსულ, დედოფალათა შორის სრული სიმშვიდე და უდრტიკნელობა სუფევდა. ასე იყო გუშინწინ, გუშინ, მაგრამ დღეს მეტისმეტი სიმშვიდეც იყო... ხოლო სანთლის სურნელი, შესხენებულ ობლობისა და მარტოხელობის სურნელად შემოეყარა.

ბინაში მეტისმეტი სიჩუმე იგრძნო. თაროზე სათამაშოებსა და ტიკინებს შორის დიდი, მამისეული მალეძარა საათი იდგა და მისი წიკწიკი უფრო ამახვილებდა სიჩუმეს.

ორგვლივ თავისი შექმნილი „ხელოვნური სამყარო“ შემოსდგომოდა ნათიას, მაგრამ „ეს სანთლისანნი“ წელანდელ ბავშვებზევით კი არ ჟრიამულობდნენ და დახტოდნენ, არამედ გაბუტულად იდგნენ... იმ თოვლის კაცზე უფრო ცივად უმზერდნენ, თითქოს რაღაცას გარდუვალს მოელოდნენ.

„ჩანს, აღამიანს ხანდახან მარტოობა თავის სამყაროშიც უჭირს!“ — გაიფიქრა პატრონმა და შუკი ჩართო. მაგრამ ვერც სინათლით ამოავსო უეცრად ნავ-

რძნობი სიცარიელე და, ალბათ, გარედან შემოყოლილი სიცხეც-ჭმრდღღე ძეგ და თვალი მოსჭრა კიდევაც მღვმტრის შექმა. ისევ გამოთიშა და ახლა ელექტროლუმელი ჩართო. ზედ დებულ თაფლის სანთლის მოზრდილ კვერს კიდევ ერთიე დაუმატა და ვიდრე სამოსს გამოიცივლიდა, ბინაში სითბოც დატრიალდა და შემთბარი სანთლის სუნიც.

ხელი შეახო. უკვე შერბილებულიყო. ქალს შეხების გრძნობა მეტად ჰქონდა განვითარებული. ხელი ველარც შეუშვა. შესტაცა კიდევაც... თითქოს თავის კალაპოტში მოდგა. ატაცებით და ოდნავი გაკვირვებითაც უმზერდა დიდ ბელტად მოგუნდულ და მომთბარ სანთელს, რომელიც მისივე თვალსა და ხელს შუა სახეს იცვლიდა, ინაკეთებოდა... ჯერ გაურკვევესა, მერმე გარკვეულ მოყვანილობას იღებდა. ხან ებრძოდა და მაშინ ცუცხლის სითბოს ან ბზის ხელსაწყოს იშველიებდა. თავის ნებაზე თანდათან მოჰყავდა ამის გასწვრივ. საღდაც უგრძნობ შინაარეში, ფიქრიც იკვროდა და სიტყვების სამოსელში იძერწებოდა. აი, თითქოს ისევ მამას სწერს, ამ ჟერად ზეპირ წერილს... ვინმე თანამოსაუბრე უსათუოდ უნდა ესახებოდეს, თორემ დაუფუცრცლავი აზრებია და სიტყვები არა... და აი, ძლივს მოიპოვა სანთლის დაქნილობაც და სიტყვის სახეც.

„სხვდასხვა თაობის ბავშვები უფრო ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე სხვდასხვა თაობის უკვე წამოზრდილი, სახიფათო ასაკის ხალხი!“

„მე ახალგაზრდობით რომანტიკოსი ვარ, მაგრამ სულ დაკარგული მაქვს აწყყოს რომანტიული და ლირიული შეგრძნობა... რატომ, კარგად ვერ გამიგია! ან ასეთი რა მჭირს, რომ ტიკინებთან უფრო კარგად ვგრძნობ თავს, ვიდრე ცოცხალ აღამიანებთან... ყველა ჩამოვიშორე და ჩემი ცხოვრების დასაწყისშივე დავრჩი სულ ობლად და მარტოხელად!? ან მე მაკლია რაღაც, ან ცხოვრებას!“

უეცრად მამისეულმა მალეძარამ გაბმით დარეკა.

ნათია შეერთა. არა იმიტომ, რომ ზარსარეკი არასწორად დაუყენებია, არამედ იმიტომ, რომ ზარმა გამოარკვია, აზრი ახლო მოუბრუნა, წარმოუთქვამ სიტყვებზე უფრო ახლო... ხელში ნაძერწ, დიდ, მოუმთავრებელ, საახალწლო თოჯინაზე მოახედა... და აი, უმზერს თოჯინას და თოვლის კაცს კი ჰხედავს!

ქალმა ისიც იგრძნო, რომ მისთვის, თავისი ნაძერწებიც ცოცხალ არსებებს წარმოადგენენ, მაგრამ მათ კი მაინც ვერ სცვლიანი!

ნათიას თავდაჯერებულად ეგონა, რომ კარგად იცნობდა თავის ბუნებას. თითქმის ისევე, როგორც თავის ნახელავს, ახლა კი დაეჭვდა... არა, აქამდეც მოსვლია, დაეურჩებოდა ხოლმე შინაგანი ლტოლვა და ფიქრი, მაგრამ მალევე გამოსთოკავდა, როგორც შეურჩებულსა და შეცოცებულ სანთელს.

ახლა კი სულ სხვა ფიქრმა, ფრთა ქამანდურად ჩამოჰკრა და უფრო დააეჭვა: „მართლაცდა, ადამიანის გული და წარმოსახვა — უღრანი ტყე ყოფილა და კიდევ ვინ იცის, შიგ ვინ, ან რა ბინადრობს!“

მაგრამ თავისი კითხვა უმაღლე ამოშიგნა, ამოანახევრა:

„რატომ მაინცადამაინც ტყე და ისიც უღრანი?“

ხასიათი შეემდგრა, ძერწვას უტია და სარკეში ჩაიხედა.

იქიდანაც ლამაზი, მაგრამ თითქოს მოუმთავრებელი ტიკინა უმზერდა.

ახლა კი სარკემელს მიაშურა...

— ღმერთო ჩემო! ისევ თოვს და ისევ არავინ მოდის!

წამზე მეტი ვერც აქ გაჩერდა. ხელად შემობრუნდა. გულმა უოჩნა, ყურმა სულ თავზარი დასცა. თითქოს თოჯინები იცინოდნენ! პირგაუღებლად, უძრავად, მაგრამ საათის რეკვანზე უფრო მკაფიოდ. ბავშვების ყვირილ-ხივილზე არა ნაკლებად!

აბა ვინ უნდა მოვიდეს, რომ არავის ელოდება... გულით არავის! რის შესახებ არ უფიქრია... განა „ქალსახუმათო“ ფიქრები საპაექრო წერილებზე, გამკი-

ლაე სიტყვებზე, თუ ჩამოხვეწილ თოჯინებზე ნაკლებად ეძალებად და ხელში ჰყვება? მაგრამ უშუალოდ ამიწერეთუ გორდაც რილობდა ფიქრი... თავიანის-მცემლები და, ალბათ მთხოვნელებიც ყოველთვის ბევრი ჰყავდა, მაგრამ ყველას ერთი, დიდი, თითქოს საერთო მანკი ჰქონდა თუ იქნებ მას ასე ეჩვენებოდა, თუ მართლაც ასე იყო... ყველას, ახ თითქმის ყველას მისი ახალგაზრდობა, კარგი გარეგნობა და ტანადობა ჰხიზლავდა. ამის იქით არაფერი ესაქმებოდა. ქალის რწმენით კი ნათია სწორედ ამის იქით იწყებოდა! ესეც და ამის იქითაც! ამ მიჯნაზე თავდაც ფრიად იზნეოდა და ამ „საერთო მანკის“ ახსნა, მარტო მრავალთა გონებადახშულობით არ შეეძლო.

მაინც ზღვისპირეთიდან დაბრუნების შემდეგ, გულის სიღრმეში ცუდი და პირდაპირ საუენიახო ნალექი დარჩა. თანატოლ ვაყებსაც „შეჯვარის ქალის“ ელდანახახ თვალთ ზომავდა. აკი თბილისში მობრუნებისას გაგას წერილიც უყვე ზიზლით წაიკითხა და იქვე დაჰხია. უფრო უკარება გახდა.

„ქვეყანაზე გულცარიელი ადამიანები უფრო მეტნი ყოფილან, ვიდრე თავცარიელები! თავს კიდევ ამოავსებს კაცი ნასესხები სიბრძნით, სხვისი პრინციპებით, გაზეპირებული სიტყვებით, ვივუთ ჩანერგილ ჩვევებით... მაგრამ ცარიელ გულს რა ეშველება? გული ადამიანის უდიდესი, უსაჭიროესი და უფაქიზესი თანამგზავრია! იქნებ ჩვენა ვართ ჩვენი გულის თანამგზავრები?“ — ქალი დაიბნა თავის ფიქრებში, მაგრამ ერთზე კი მაგრად დადგა — „ადამიანს მაინც სჭირია ბუნებრივი ხალასი გული, რარიგ ახალმოდა სამოსი, ზუსტი ხელსაწყო არ შეიქმნას დედამიწაზე!“

მაგრამ ახლა ძველებურად ცალმხრივი ფიქრი აღარც თავისთვის ჰყოფნიდა. თითქოს თავისთავს ეთამაშებოდა ჭადრაკს, ხან თეთრებისაკენ იყო, ხან შავებისაკენ!

„მაგრამ თუ არ ენდობი, ყველა გულ-
ცარიელია და არის ასე!“

ასე თავთან მოთამაშე ადრე დაშამათ-
და, არა, დღეს არც ხელი ემორჩილებო-
და, არც თავი. მოუმთავრებელი დიდ-
თოჯინა კუთხეში მიიგდო და მარტოხე-
ლა სადილი მოიშხადა. თუმცა მალა არ
ჰქონდა, ყველაფერი სანთლის სუნითა
და მარტოობით იყო გაედენთილი.

სარკმლიდან კი ჩათოვლილი მზის ჩა-
ფითრებული ნახივი და ბავშვების უფ-
რო მოძლიერებული გნისი გაშპოლ ძა-
ლით შემოდინდა. ზედვე კი მოტოციკ-
ლის ტუხტუხმა ნათიაც სარკმელში
კვლავ გაახედა.

ბავშვების ყიყინი მკაფიოდ გაარჩია.

— თოვლის გაგას სეხნა მოუვიდა!

— გაგა-სეხნა! გაგა-სეხნა!

— ორი გაგა!

ბავშვები ტაშის ცემითა და ყიყინით
გარს უვლიდნენ თოვლის გაგას, მერმე
ცოცხალ რკალში მოტოციკლი შემოგო-
რდა და თოვლის გაგას გარს შემოუარა.

ახლა ნათიას სარკმლიდან ზურგშექ-
ცული გაგა-ტყიური კარგად ჩანდა. იგი
მოტოციკლზე ფეხებგაფარჩხულად წა-
მომდგარიყო და თავის „სეხნას“ შეჰყუ-
რებდა. ეს ტუხტუხა მანქანაც მსავით
მოუქნელი და ოკრობოკრო ჩანდა. უკან
კიდევ ერთი მოგრობო საჯდომი ჰქონდა,
მარცხნივ კი ჭუჭა ნავივით გვერდსაბმე-
ლი ამოსდგომოდა.

ნათიამ რატომღაც თავი შიგ ჩამჭდა-
რად წარმოიდგინა და უკადრისად ტუჩი
აბრია. გაგას დათოვლილ თავზე არც
ახლა ეხურა ქული.

იქ, ქვევით, რალაც ჩარბულალა ლაპა-
რაკი შეიქნა. ქალს ესმოდა და არც ეს-
მოდა, უფრო ხედებოდა.

— ვისი ხელობაა?

— ჩვენი და ნათო-ნათიასი!

— გაგა ვინ დაარქვა?

— ნათიამ! ნათო-ნათიამ! — ამას კი
მკაფიოდ გააკიოდნენ ბავშვები.

გაგამ მოტოციკლი ისევ შემოაბრუნა
და გვერდსაბმელი, განზრახ თუ შემთხ-
ვევით, გაჰკრა თოვლის კაცს. ფერდიც

ჩამოუნგრია. თოვლის კაცმა თითქოს
ფეხი წასდგა და ცხვირი-მარჯვენა
ბავშვებმა ისევ ღრიანცული ასტენეს.

— ეს რა მომივიდა, ბავშვებო!... აბა
რალას იზამთ... ახლა პრანჭვი-ნათო გაა-
კეთეთ, ოსტატებო! — ერთი გადასძა-
ხა გაგამ ბავშვებს, თითქოს ზევეთაც, სა-
რკმელს ამოჰხედა და ჩათოვლილი მო-
ტოციკლი ალაყაფში შეაგრიალა.

„ჩემთან თუ შემოვა?“ — ჩაიფიქრა
ნათომ და გუნებაში უმცდარად დაასკე-
ნა, რომ გაგა მასთან უსათუოდ შემოვი-
დოდა... მაგრამ მიიღებდა, თუ არა მას
ქალ-მასპინძელი, ეს კი გადაწყვეტით არ
იყოდა.

სადაც, მესხიერებისა და შევიწყე-
ბის ზღვარზე მოაგონდა, რომ კარი გასა-
ღებით არც იყო დაკეტილი. აღარც ახლა
დაუკეტია არც შერხეულა. მაშინაც კი,
როდესაც პირველი დაკაჯუნება გაისმა.
ჩუმი, მოკრძალებული კაკუნი იყო, მაგ-
რამ მთელი ბინა კი კაკუნ-კაკუნით აიე-
სო.

მეორეჯერ კი გაგას არც დაუკაკუნე-
ბია, კარი ხელში მოჰყვია, შემოაღო და
შემოვიდა.

— შეიძლება?

ხელში თოვლის გუნდა ჰქონდა, ანთე-
ბულ სახეზე კი დიდი, მიამიტი ღმილი.

ნათოსათვის არც ახალი იყო ეზოს მე-
ზობლის ეს თვისება. გაგამ მთელი სა-
ხით იცოდა გაკვირვებაც, გაღიმებაცა
და, მით უფრო, გაჯავრებაც. ეს „თვისე-
ბა“ ნათიას არა ერთხელ ჰქონდა გამო-
ყენებული, ტლუ ბიჭების გამოძერწვის
დროს.

— მამ შემირიგდი?.. უკ, რამდენმა
დრომ გაიარა!.. ხმა რომ გაგაცე შეიძლე-
ბა? განა მართლა თოვლის კაცი ვარ?

ქალის სიჩუმე ვაჟმა თანხმობის ნიშ-
ნად მიიღო და გუნდა მოუღერა. — თო-
ვლიანობას მოგილოცავ! გესკრი ნათო-
ნათია, ხომ არ გეწყინება? თოვლია,
გულივით სპეტაკი და გულით მოძღე-
ნილი!

ნათიას სწორედ გულმა უჩვეულო ბა-
გაბუგი დაუწყო, თითქოს მართლაც სა-
გუნდაოდ აუძგერდა.

— შენ რა ორღობურა ლაპარაკი გისწავლია? — თან კი გაიფიქრა „მესერის? არ მესერისი?“. ... ოდნავ დაელოდა, მერმე კი შერცხვა თავისი, მართლაც „ორღობურად“ გასხლექილ ფიქრსა და გულს შემოსწყრა, არა გაგას.

— არა, მაინც მეწყინება! შენგან მაინც. ბევრი საანგარიშო დამიგროვდა! ქალმა თავი დახარა. გაგამაც ხელი დაუშვა და გუნდა ისე გასწურა, მთელი ნაქური დაადინა.

ნათიას ეს უფრო ეწყინა.

— რა გნებაეთ?

— სწორედ ბევრი საანგარიშო. თოვლის კაცი სათათვის რომ გაგა დაგირქმევია... — გაღიმება სცადა ვემა, მაგრამ ქალი ისევ გაგულისების კალაპოტში იყო, თანაც შამის სულის დაფიცება მოაგონდა.

— მერმე და რა? რამდენი გაგა არის ტყეში და სხვაგან, ზოგი გამოჩენილად და ზოგი უჩინმაჩინად!

ვაც ისევ ჩაუქრა სახე. ჩრდილიც გადაადგა. აქეთ-იქით დაბნეულად მიმოიხედა. მას ხომ „სამეულთან გაუგებრობის“ შემდეგ არ ენახა ქალი და მისი ბინა. ახლა გაკვირვება დაეუფლა და ამან დაბნევისაგან იხსნა.

— ეს რა ჭუპრები შემოგსევია?

ერთერთი, სწორედ მოუთავარებელი საანალწლო დიდ-თოჯინა, ხელში აიღო და ოდნავ შემოკეცილიტა კიდევაც.

— რა ჭუპრები? — უფრო გაგულისდა ქალი, — სახელგანთქმული დედოფლებია! ყველგან აღიარებული ორიგინალური შემოქმედება! თოვლის ჭუპრა კი აი, იქ, გარეთ იდგა, ალბათ, ტყეშიც მოიპოვება...

ვაგი დაუფარავი ვანცვიფრებით ახლა თაროებს თვალდათვალ უვლიდა და სდუმდა.

ახლა ხელოვანს ეწყინა.

— თუ ცუდი ხელობაა — პირდაპირ სთქვი. თუ კარგი — ისიც! თუმცა შენ ხის მეტი, ვგონებ, არაფერი არ გეხება!

გაგას დიდად აღარ მიუგდია ყური ხელოვანისათვის.

— თაფლის სანთელია? — ფრჩხილით

გაჩიჩქნა დედოფალა. დაყნოსა კიდევაც და თვალი ისევ ტიკინებდებოდა ქახვასთანამაშობით სავსე თანჯრებს შორის. ნათიას პილპილი დაგვიანებით გაიპარა, ჩაეღიმა.

— კარგი კიდევ არ ნიშნავს ღირსეულს! ისევე, როგორც ორიგინალური და ლამაზი — საჭიროსა და გამართლებულს!

ქალი უსმენდა.

—... და რა ფასი აქვს იმ ხელოვნებას, რომელიც სათამაშოდ გადაქცეულა? ალბათ, ბავშვებსაც ერთდღიურა თოვლის კაცობას უწევს? და ზოლომდე აღარც აღწევს!

ქალი სულ უსმენდა.

— ეს ნიჭი და მასალა, უმჯობეს გამოყენების ღირსია!.. თორემ სანთლის დედოფლების თხზული სამყარო რა ბედენაა. პიროვნულადაც და ეროვნულადაც უსარგებლოა!

ქალი სულ უსმენდა, უსმენდა.

— ამ უცეცხლო თაფლის სანთელში რამდენი წვა და ზრახვაა... მაგრამ რისთვის და ვისთვის?

— ბავშვებისათვის, ჩვენი მომავლისათვის! — აღმოხდა ნათოს, — ხელოვნებასაც რომ თავი დაეანებოთ!

— მეტს მოველი შენგან. ჩვენს მომავალსაც; ჩვენგან ვაცილებით მეტი სჭირდება!... სხვათა შორის — იმ ბავშვებსაც!

ნათიას მაინც იამა გაგასაგან, თუნდაც ასეთი გამოშინებული და კულმომწვარი ქათინაური.

— შენ სულ ასეთი უხეში და გაუკითხავი ხარ ტყის მებუნაგევე!

გაგამ კი ისევ შექკრა ბურჩხა წარბები:

— ახლა სხვაგან მუშაობ სადმე? ისევ გრძელდება თამაში? ახლა ჭუპრობანა?

— ტყეში მიბრძანდი, ტყეში! უსარგებლო ხელოვნების ნიმუშს ხელი უშვი! — ქალმა შეჭყლეტილი დიდ-თოჯინა ხელიდან გამოსტაცა და განზე გადადო.

გაგამ შორსფიქრიანად ხელები შეიმშენა და დაყნოსა.

— წმიდა, უცეცხლო თაფლის სანთე-

ლი! — და გაბუსუნებულ ქალს სულ მო-
ულოდნელად შეეკითხა, — შენ კიდევ
არ იცი, რა არის ლაფნიჭამია?

ქალიშვილი მიხვდა, რომ ვაჟი სულ
სხვაგან იყო, სხვაზე ფიქრობდა, იქნებ
ოცნებობდა კიდევაც, და ეს ქალისათვის
უფრო საწყენი იყო...

— გაბოვო, ხელს ნუ შიშლით! მე მე-
ყოფა, რომ ვიცი — ვინ არის „თოვლი-
სრესია“ და „ქუპრაპყელეთა!“

ვაჟმა ერთი წუთითაც დააყოვნა.

— საუბედუროდ, უკვე მთელმა სა-
ქართველომ იცის და შენ კი არა!

გაგა ფიქრიანად შეტრიალდა, ოთახ-
ში დიდი, ტალახიანი კვალი დასტოვა
და გარეთ გავიდა.

მალე მოტოციკლის ტუბტუხიც გაის-
მა და ზედ წაბმულად ბავშვების ცადა-
წეული ქრიაშლიც.

ნათომ მაინც გაიხედა საარკმელში. ბა-
ვშვები, მთელი ეზოს ბავშვები შემოკზ-
ვეოდნენ-გაგას, აევსოთ გვერდსამბელიც
და უკანსაჯდომიც. ყოველმხრივ ჩაქვი-
დათ ხელები. ბავშვების აკიდოები, ახალ-
მორთულ ნაძვის ხესავით, შეხუნზლუ-
ლად აესხა გაგა-ტყუირს. პატრონი და
მისი მანქანა ძლივსლა ირჩეოდა მოძრავ
ხუნზლაში. ახლა ერთი მთლიანი, ცოც-
ხალი მორგვი მიგორავდა თოვლიან გზა-
ზე. მათი ბასტი-ბუბუ, მოტოციკლის
ხმსაც ახშობდა, თოვლით ჩამოლამბულ
ცასაც უწევდა.

ნათიასაც გული უმალ გაეხსნა. ჩანს,
არც მაინცდამაინც მაგრად ჰქონია და-
კეტილი.

„მაგას ტიკინები სძულს, თორემ ბავშ-
ვები კი უყვარს! ხელუხეშობა თურმე
კიდევ არ ნიშნავს სულიერ უხეშობას!
მაგრამ ეს ლაფნიჭამია, მთელ საქართვე-
ლოს რომ სცოდნია და მე კი არა, ნეტავ
რა არის?“

წედან, სიფიცისიგან მოსხლეტილი
ფიქრის უნარი ისევ დაუბრუნდა ნათიას-
ცოცხალი მორგვი კი კუთხეს მისწე-
და და მიეფარა. ქუჩაში გატყეპნილი
თოვლი და საოცარი სიცარიელე დას-
ტოვა.

ნათია გულნაწყენად შემობრუნდა. აქ

კვლავ თოჯინები და სანთლის სიცარიე-
ლე იდგა.

— კი მაგრამ, ვერ უნდა გეგეგებოდა რა
ჯანდაბაა ლაფნიჭამია? ან მე რატომ მი-
თხრა? რაში მეხედა?

აზრი ვერ მოაბა. მამის დარჩენილ წი-
გნებს მიაშურა, მაგრამ ეკონომიურ, ის-
ტორიულ თუ პოლიტიკურ წიგნების სა-
ძიებლებში ამდაგვარი ვერაფერი ვერ
ნახა.

ახლა ლექსიკონებში დასძებნა. მაგრამ
წიგნები უმზრახად ებორკებოდნენ ხელ-
ში და არ უმხელდნენ საიდუმლოებას.

საერთოდ, ნათიას შესანიშნავი მეხსი-
ერება ჰქონდა. მრავალი, სკოლის მიღმა
წიგნებიც წაეკითხა... რა და რა ჰამია არ
მოიგონა. კაციჭამია, გველიჭამია, ყვე-
ლიჭამია, მუქთიჭამიაც კი, მაგრამ ეს
ვერ შეელოდა საქმეს.

მამის დაქინების წყალობით, უცხო
ენებიც იცოდა ნათომ, მაგრამ „ლაფნი-
ჭამია“ ქართულად არ იცოდა და უცხო
ენა რას უშველიდა.

იმ ღამესაც კულტურის სახლში მიი-
წვიეს დიდი ნაძვის ხის გასაწყობად-
შუა დარბაზში, ვეება კათხაში გადმონე-
რგილი, დიდი, ცოცხალი, ნაძვის ხე იდ-
გა. ირგვლივ საჩუქრები და სათამაშოე-
ბი ელაგა. ზოგი გახსნილი, ზოგი ჯერაც
გაუხსნელი და შეუფუთული. აქვე იყო
არაერთი, ნათიას ყალიბში გამოყვანილი
ღედოფლები და ციყვები, სხვა სათამა-
შოებიც. ზოგი ძლივს იცნო. მათ აღარ
ჰქონდა სანთლის ღედანის მიმჭრალობა
და სინატიფე. მისი ხელოვნება, მასთან
და სანთელთან დარჩენილიყო და, ჩანს,
მართლაც „არ აღწევდა ბოლომდე“, რო-
გორც გაგამ უთხრა. მაგრამ არც თავად
გაჰყვა ამ აზრს ბოლომდე. სხვაც გააბ-
სენდა. მუშაობა შეწყვიტა და კულტუ-
რის სახლის წიგნთსაცავს მიაშურა.

„გაგა ტყუირს რასმე მეტყოდა... ფო-
ცხვერივით რამ ნადირი იქნება ლაფნი-
ჭამია!“

ახლა ზოოლოგიური ლექსიკონები
და ცნობარები ჰქეჭა, მაგრამ ვერც აქ
იპოვნა.

გაწბილებული ისევ ნაძვის მიუბრუნ-



და, მორთვა განაგრძო. დათათულ ტოტებზე ბამბა დაადო, სხვადასხვა მარილებითა და საბზინავეებით ააკიაფა, ნაირფერა ციყვები შემოსვა. ძაფზე ჩამოაბა, დაჰკიდა ფრინველები და დედოფლები. ახლა ვარსკვლავები მიმოფანტა. მთვარეც კი წამოასკუბა კენწეროზე. ფერად-ფერადი ხვეულებითა და ბურბუშულა ქაღალდებით მორთო, ციკნა ნათურებით მიმქრალი შუქი მოჰფინა.

მაგრამ დავა „ტყეურთან“ არც ერთ წუთს არ შეუწელებია.

„ნახოს როგორ მოვრთავ საახალწლოს! შვას, ალბათ, ასეთი კეკლუცი ნაძვის ხე არც უნახავს... ან კი რას შეაფასებს? „უღრანი დედოფლის“ მოტრფილემ, რა იცის ნამდვილ ხელოვნებისა! შვან არც იცის, რომ ხელოვნება სწორედ იქ იწყება, სადაც ბუნებას აღარაფერი აქვს სათქმელი და „უმზრახოს ტატად“ რჩება! ან რა იცის, რომ ხელოვნებასა და თამაშს შორის მხოლოდ ნიჰია ზღვარად! ინკუბატორის დედლები კი კვერცხებს უფრო მრავლად სდებენ. ხოლო გამლები არანაკლებად ჰყვიან ყოყლიყოს!“

ახლა მოკიაფე სირმების აბლაბუდით ოდნავ ჩაჰფარა ნაძვის უსწორო მზარე. ქვევიდან თვალბრიალა კოტი შემოუსვა. ნაძვის ძირი ხავსით შემოალამაზა. მოპირკეთებულ კათხაზე კი ნეილონის ფერად-ფერადი ტომსიკებით დასარიგებელი საჩუქრები ჩამოალავა. აქა-იქ თაფლის სანთელიც აანთო.

„აბა, რომელ ტყეში ნახავს ასეთ ნაძვის ხეს?“

როდესაც გაასრულა და შუქიც ჩართო, მორთვის დამსწრენი ყველა მოჰხიბლა მაგრამ დავა გავასთან. კვლავ ვადაუწყვეტელი დარჩა. მოდავე კვლავ პირველქმნილ ტყეში დაბოგინობდა.

საერთოდ, რომ დაფიქრდა, გავას შესახებ მაინც სულ ცოტა რამ იცოდა. სადღაც, ტაშისკარის იქით, ბორჯომის ხეობაში, ტყეში ამუშავებდა რალაც საკითხს. არაერთგზის აღფრთოვანებით დაუწყია თხრობა, მაგრამ ნათიას ტყე

ისევე აინტერესებდა, როგორც გავას — თოჯინები. ისიც ამ ბოლომდე უნაყოფა ამოიღვა, თორემ წინათ-ერთი სხატყვამუნჯა, ადრე ახმახა ყმაწვილი იყო, ჰორფლიანიცა და ფერისმკამელიანიც. ეს ახლა ცოტა დაეწმინდა სახე და რალაცას დაემსგავსა. ენაც ცოტა-ცოტა აამოძრავა. მწარე-მწარეებიც ისწავლა. არა, უაზროდ არასოდეს არ ლაპარაკობდა, მაგრამ თვით აზრი და მისი მოსაქნეირი მუდამ ტლანქი და მოუქნელი ჰქონდა. თუმცა ახლა აზრის მკაფიოდ გამოკერა და გამოწურავაც მოებდა წერილიც ხომ მოსწერა შუა ტყიდან შუა ქალაქში! და შიგ, სრულიად მოულოდნელად, „მართალია ტყეური პიროვნება, მაგრამ თავისებურად, შეიძლება ითქვას, შთამბეჭდავად მოაზროვნე გამომკლავნდა!“

„მე ყოველთვის მაკლდა ხელოვნება სხვისი მოსმენისა... მაგრამ ეს გავასაც ჰკლებია! ჩანს ეს ახალგაზრდებს საერთოდ გვახლავს!“

ნათიას მაინც იამა, რომ ერთი რამ საერთო მას და გავას მაინც აღმოაჩნდათ.

შინ რომ მობრუნდა, კარზე მიკრული ბარათი დახვდა.

„ჩვენი საერთო საუნჯის დასაცავად, დიდმნიშვნელოვან და, მე ვფიქრობ, გართლებული ცდების ჩასამთავრებლად საჭიროა უცეცხლო თაფლის სანთელი და რაც შეიძლება ბლომად. გთხოვთ, მეზობლურად გვასესხოთ, ვიდრე ჩვენც მოგვივა სოხუმიდან გამოწერილი. ახალი წლის წინა დღით ჩამოვალ, ამ წელიწადში კიდევ ერთხელ მოგინახულებ და ნურც მიწყენ „კუპრიტყელტაობას!“ ბოლოს და ბოლოს, თუ გაიგე რა არის ლაფნიჭამია?“

ჩვენი ბრძოლა გრძელდება! შენ კი „გაუყუჩებელი მამიებელი“ ყოველგვარი ბრძოლის გარეშე ხარ და ამით თავიც კი მოგაქვს!

შენი კეთილის მსურველი“
ხელს კვლავ არ აწერდა. თითქმის ნათია ვალდებული იყო ცოდნოდა, ვინ იყო „კუპრიტყელტაა!“

ყველა მონაწირებს რომ ვადაავლო გო-

ნების თვალი გაიხსენა, რომ არც ერთზე სახელი არ მოუწერია ვაგას.

„ხომ არ ჰფიქრობს, რომ ეს ანონიმი ყველასაგან გამოირჩევა? და იქნებ მას სწორეთ ამით თავიც კი მოაქვს!“

ქალმა წერილი დაჰხია და იქვე დაჰყარა. მაგრამ შინ ველარ მოისვენა. „რა სოსუმით? რაღა სოსუმიდან გამოუწერიათ სანთელი?“ — ქალს რატომღაც ლოყები აუწითლდა... „და მინც რატომ?“ სარკეში ჩაიხედა და უფრო დაეინებით შეეკითხა თავს, — „ბოლოს და ბოლოს, ლოყების სიწითლე სხვამ იკითხოს!“ მაგრამ ეს „სხვა“ გაგა არ იყო და ნათიას სრულიადაც არ სურდა, რომ „ტყუიერს“ გაეგო მისი სოსუმური უაშური თავგადასავალი... არა, იმას კი არ ერიდებოდა, რომ გაგა დასძრახებდა „ვინ-სამეუღლთან“ შეყრის გამო, არამედ იმას რომ მან, ნათიამ, თავად გაიმეორა გაგას „საბოლოო საქციელი“ და კვლავაც გაიმეორებდა!

გამოდოდა, რომ მას, ის კი არ აწუხებდა, ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ხშირად რომ ცდებოდა და მტყუნდებოდა, არამედ ის, რომ გაგას სიტყვა მართლდებოდა! ეს უკვე მტყუანობაზე უარესი იყო! გაგა, ბოლოსდაბოლოს, რომელი მისი მეტოქეა? რა ტყე აქვთ გასაყოფი და, აბა, რას ერჩის? რაც არ უნდა იყოს, მისი კეთილის მსურველი რომ არის, ეს ხომ ეტყვს ვარეშეა!

ქალი გამოვიდა, თავისი დახეული აკრიფა, შეაკოწიწა და ისევ წაიკითხა. საწყენი და დასახევი მართლაც არაფერი იყო. ქალს ახლა ყველაფერი პირიქით მოეჩვენა. ვაჟი, მისთვის ჩვეული უნერხულობით, ბოდისაღაც კი იხდიდა... ცოტა მოუქნელად, ცოტა მიამიტად, ცოტა გაკენწვლით... მეზობლურად სთხოვდა კიდევაც სანთელს, ცდებისათვის, რაღაც საუნჯის დასაცავად... ბევრი-ბევრი ძირკვი რამე იქნება! ერთი სიტყვით — ისეთივე ოკრო-ბოკრო წერილია, როგორც თავდაც არის, როგორც დადის და, ალბათ, მუშაობს კიდევაც!

ჯერ წინათ ნათიას მუდამ უკვირდა

ხოლმე, მამამის რატომ ახარებდა ამ „ბაჯბაჯა ბიჭის“ უწინააღმდეგელო მეზობლის მოსვლა მათთან... ხან წინგნს რომ წაიღებდა, ხან შეშას რომ მეზობლურად დაუპოვბდა და ამოუტანდა.

ან მამას რატომ უნდა გაჰკვირვებოდა გაგა-მოწაფის კარგი სწავლა? ნათიას მამის შვილი ხომ მუდამ პირველი მოწაფე იყო! არა, ერთ სკოლაში არ უსწავლიათ... გაგა უფროსიც იყო და საკმაოდ უფროს კლასშიაც.

მერმე გაგამ საშუალოც დაამთავრა და უმაღლესიც. იქვე კათედრასთან დარჩა თუ სატყეოში წავიდა პრაქტიკაზე, თუ სამსახურში, სადბლომში თუ საკანდიდატო თემის დასამუშავებლად.

ჯერ გაგა უფროსობდა და კუდრაჰა გოგოს სულ არ აქცევდა ყურადღებას. მერმე ნათიაც წამოიზარდა, წამოჩიტდა, დაკოპწიავდა... და, აბა, რაში ეპრიანებოდა მუდამ წიგნითა და შემით დანახული ღინღლიანი ახმახი.

გაგა ნათის თვალში საკმაოდ „უგრძნობელი“ უფროსი ახალგაზრდა იყო. ეს უფროსობაც იმდენად წლოვანობისა არ იყო, რამდენად ახმახობისა, არც ახირებულება აკლდა თავიდანვე ზამთარ-ზაფხულ შეშაბანდში მეცადინეობდა და აქვე ეძინა, ოთახში კი, როგორც მეზობლები ამბობდნენ, დამპალი, დაგვაჯული და ქიაღუდასაეული შეშა ეყარა.

მისი ბინა დიდ ეზოს მეორე კიდეში იყო, სწორედ ნათიას ბინის გასწვრივ. ქალიშვილს ხშირად დაუნახავს და გასცინებია „ახმახ გაგაზე“, რომელიც ჰაბუკობაში ველსიპიედს, ხოლო დაგაეებისას მოტოციკლეტს პირდაპირ შეშაბანდში შეაგორებდა. ალბათ, ეს იყო მთელი მისი ავლადიდება. ობლობაში გამოზრდილს არც მარჩენალი, არც მფარველი არავინ ჰყოლია. სპეცსამოსიცა და ბევრი რამ სხვაც ხომ ნათიას მამამ აჩუქა.

შეშაბანდში ახლაც შექი ენთო, მაგრამ ნათიამ იცოდა, რომ ეს არაფერს არ ნიშნავდა. გაგასთან ხშირად მოდიოდნენ ტყუიერ-ხმაურა ახალგაზრდები, მაშინაც კი, როდესაც გაგა შინ არ იყო

და ხშირად შეუქი ანთებული რჩებოდით ხოლმე.

კართან, მარცხნივ, დიდი, შეღრუბებული ჭირკი ეგდო. დაუდევარი მდგმური ამ ღრუში სდებდა ხოლმე გასაღებს. ეს განა მარტო ნათიამ, ყველამ იცოდა სამეზობლოსა და სამეგობროში.

ნათია არასოდეს არა ყოფილა „გაგას ბუნავში“. ისედაც სრული წარმოდგენა ჰქონდა. აბა რა ექნება „მეშეშეს“, რაღაც ძირ-ფესვები, სხვადასხვა ჭიშის ნაფორები და კიდევ ამდაგვარი რამ!

ახლა ეს სანთელი რა დიდმნიშვნელოვან ცდებისათვის დასჭირდა, და ისიც „რაც შეიძლება ბლომად“... საერთოდ, ეს რამდენს ნიშნავს? დედოფლების ესთეტიურ სამყაროსა და ტყის ვულურ საზომებს რა შეაფარდებს?

სრულიად უცხად გადასწყვიტა — თავად მივა, სანთელსაც წაიღებს, რამდენიც მის მეტად აქვს და ემეტება... მიუტანს და „ბუნავსაც“ ერთხელ და სამუდამოდ, თავის თვლით ნახავს!

მაგრამ ნათიამ სანთლის მოზრდილი კვერი რომ აიღო და თავის კარს მიადგა, მოულოდნელად დაიმორცხვა, გამბედაობა შემოეცრიცა და ისევ გულჭიდილა ამოეძალა... არა, „ამრამი“ კი წააყვია „მტაცებლებს“, გაგა-მეზობლის ბუნავი კი რა ბედენაა? ქალმა უჩვეულო სიცხადით იგრძნო, რომ თუ ვინმეს ენდობა, სწორედ გაგას, უპირველეს ყოვლისა! არა, ტყიური კია, მაგრამ არა „მტაცებელი“!... და მაინც თავისი ნაბიჭი დაუსაბუთებლად მიიჩნია. ერთიც შეყოყმანდა, მაგრამ წასვლის ორი საბუთი ერთად მოიპოვა.

„ბოლოსდაბოლოს, ამ ბუნავში მაინც გავიგებ რა არის ლაფნიჭამია და, რაც მთავარია, ჩემთან მის აბეზარ მოსვლას თავიდან ავიცილებ!“

ახლა კი ეყო დასაბუთება და წავიდა. ახალი დაღამებული იყო. თოვლა. ჩვეულებრივზე უფრო გაურკვეველი თეთრი ბინდბუნდი იდგა. ეზოში ნათურა გადამწვარი იყო. გაგას შუშაბანდში კი სინათლე ენთო და ჩარჩოში ჩასმულ ტყის სურათს უფრო ჰგავდა. ჭერამდე

აზრდილი და გაფოთლილი მცენარეები მრავალხატოვან ჩრდილად გამოსჩანდა... და სულ სხვა სამყაროში შეიჭრნენ ატარებდა.

უფრო ახლოს რომ მიდგა და ბინაში შეიხედა, უფრო განცვიფრდა; ჭერ ერთი, არავითარი შეშა იქ არ ეყარა, პირიქით საოცრად დაკოვრებული, პირდაპირ ქანდაკური მონაჭრები ხის ძირებისა თუ ტოტებისა, ხავს თუ სოკომოკიდებულად ლამაზად დადებული თუ დაკიდებული... იქვე, კედელგასწვრივ ხის მერქნის ციდა ნიმუშები, დათლილ-დამუშავებული და, ალბათ, არა მარტო ესთეტიური თვალსაზრისით ჩაწყობილი, შუშაბანდისა და კარლია ოთახის თაროებს სალუქ აშიად ჩასდევდა, ტყის დაუწერელ წიგნის ფურცლებად იყო გამლილი.

ქალს გული წაერთვა. მან პირველად ჩაიხედა სხვის „ბუნავში“ და აქაც „სამყარო“ აღმოჩნდა, რომელსაც აზრის, გულდაგულობისა და თავისებური სილამაზის ბეჭედი ესვა!

ცნობისმოყვარეობა ხომ განცვიფრების ხელდახელი თანამგზავრია.

ნათია გაგასთან ხშირუბრობაში იყო. თორემ ხელშინაურობა და ნდობა არა ჰკლებია. აბა, ახლა შეუსვლელად ვეღარ დადგებოდა. გულმა აამოძრავა.

ჭირკხეც დაეთოვა, ხელი ღრუში მოაფათურა და გასაღები მოჰხელა.

კართან კიდევ ერთი შეფერხება ელოდა. ბოქლომის რგოლში ქალაღი იყო გაყრილი. აქვე, სარკმლის შუქზე წაითხა.

„ტყის ანგელოზებო და ოჩოკოჩებო! თქვენთან ვიყავი. ვერც ერთი ვერ გნახეთ. არც სირინოზი ბრძანდებოდა შინ. ყოველ შემთხვევისათვის, წერილს ვტოვებ. ყველაფერი რიგზეა. ტურფა კარგად არის ახალწლის ღამესა თუ დღეს. რა დროც არ უნდა იყოს, მაინც ენახავ. კვლავ ვეახლები! საჭირო ყველაფერი ვიშოვნე, გარდა თაფლის სანთლისა. ამასაც, იმედი მაქვს, მეზობლურ სესხად წავიღებ. ბრძოლა გრძელდება!“

სახელს არც აქ აწერდა.

„ან მეტად აფასებს თავის სახელს, ან სულ არაფრად არ მიაჩნია!“

ცხადი იყო, სხვა „სირინოზს“, არა ნათო-ნათიას, „ყოველ შემთხვევისათვის“ ელოდა წერილი. თანაც ვიღაც „ტურფას ახალწლის ღამესა თუ დღეს, რა დროც არ უნდა იყოს“ მაინც ეახლებოდა. არა, „კვლავ ეახლებოდა“ წერილის დამწერი... ნათიასგან კი მხოლოდ „მეზობლური სესხის“ იმედი აქვს. მოუტანა კიდევაც, თავისი ფეხითა და ხელით... აღარც უკან მოსთხოვს! მაგრამ ახლა სხვა არის მთავარი, ცხადია, სხვის კვალზე დადის... სირინოზისა თუ ტურფასი? ამ „ბრძოლას“ კი ვისთან აგრძელებს?

ქალს ახლა უფრო ბევრი რამ ამოუხსნელი გაუჩნდა.

„სხვის ცხოვრებაში ულოდნელი ჩახედვა, რა მძაფრი იდუმალეებით აღსავსე ყოფილა!“ — მეტი აღარც უფიქრია, მაგრამ როგორღაც, ფიქრის გარეშე, მაინც გაუსხლტა მისი ნაგერალა, „რაბტომ სხვისი?.. არა, არც ჩემია ტყუურის ცხოვრება, მაგრამ არც ასე სხვისად უფიქრება!“

ჯერ წინდის ჩაყარდნით თვალღვივთ გაექცა ფიქრის რღვეული, მერმე კი დაგორებულ მორგვევით აერია და აებურდა. მაგრამ გზა არ შეიფერხა, ბოქლოში უფრო მონდომებით ვააღო და კარში შევიდა.

ბინა არსებითად ბინას არც ჰგავდა, უფრო — მცენარეთა და მერქნის ნიმუშთა გამოფენის კუთხეს. წიგნების შეუძინავ თაროებს, პერბარიუმის შემინული ჩარჩო მისდევდა. ოთახის ყველა კედელზე მჭიდროდ იყო ჩამოკიდულ-დამაგრებული ტყის ჯიშების ციდა-ციდა ნაჭრები. მაგრამ ნათია, ყველაზე უფრო, ცოცხალმა ყვავილებმა გააკვირვა. ოთახის გარეთ თოვლი იყო, ბინაში კი ქოთნებსა და ყუთებში გამოყვანილი უცნობი მცენარეები ახლაც ყვავილობაში თავს იწონებდნენ.

„აქ რა ყვავილეთი ყოფილა? ბოლოს დაბოლოს ჩანს, გაგასაც არც უფაქიზო სულის კუნჭულები გააჩნია!“

ბინაში, არა წერილით გამოგზავნილი. არამედ მისთვის ბუნებრივად უცხო ნელი იდგა.

— ამას დამიხედე? ესეც „გაგას ბუნაგი?“ — ქალმა უკვე სულ სხვა თვლით შეჰხედა ტყის კაცს. მაგრამ გასაგები და გასარკვევი ჯერ ბევრი ჰქონდა.

პირველ ყოვლისა, ტყის ცნობარები, ტერმინოლოგიური ლექსიკონები დასძებნა. ყველაფერი თვალსაჩინოდ იყო დალაგებული. ხელად იპოვნა, მაგრამ აღარ დასჭირდა. შუა მაგიდაზე, საბუკდი მანქანის გვერდზე, მოზრდილი ყდა-შერუჯული წიგნი იდო. იქვე ხელნაწერების მთელი დასტა ელაგა. ალბათ, ეს იყო გაგას საკანდიდატო შრომა. შერუჯულმა ყდამ მიიზიდა. გადაშალა და სახტად დარჩა. პირველ, აგრეთვე შერუჯულ ფურცელზე, დიდი ასოებით იყო დაბეჭდილი:

„ნაძვის დიდი ლაფნიჭამია და მასთან ბრძოლის ახალი მეთოდები“.

— აი, რა ყოფილა! — ახლა ძირითადი ერთბაშად გაიკვია, მაგრამ შრომა რომ გადაჰფურცლა, დანაწევრი ფურცლების გარდა გადაშლილებიცა და გადამეშავებული ფურცლებიცა ნახა. ბოლო კი სულ მოკვეთილი ჰქონდა დისერტაციას, ხოლო ლიტერატურის დიდი სია, სქემები და დიაგრამები ზედვე იყვნათიამ იგრძნო, რომ დისერტაციის თავე უღმობელი წითელი ფანქარი და ცეცხლი იყო დატრიალებული... იქნებ ამას გულისხმობდა „ბრძოლის გაგრძელება“! და ყოვლად გაუგებარ მიზეზკავშირით, ქალმა წარმოიდგინა, რომ გაგას დისერტაციის ცეცხლი მის სანთლის დედოფალებს მოსდებოდა! ამ ფიქრმა შეაერთო და ააჩქარა.

მაგრამ აქ თითქოს ყველაფერი აკავებდა მას: დაღვლარტნილი ძირები, ხავსშეკიდებულ როკზე შემოსკუპებული ციყვის ფიტული. ნამუშევარი, ქალაღ-ჩატანებული წიგნები, ყვავილები.

სხვა თვალთა და ვითარებით აღმოჩენილ გაგას, მრავალი სხვა სიკეთეც გაუხსენა და ჩაუთვალა ნათიამ. და ახლა უფრო იუხერბულა ასე, ხელაქრუ-

ლად მოსვლა. იმავე წერილზე თავადაც მიაწერა:

„თაფლის სანთელს სესხად არ ვაძლევ, სულ გიტოვებ. თუ არ გეყოს, კიდევ მითხარი“. მერმე ერთხელ კიდევ დაუტრიალდა თავჭირილია... ბოლოს მაინც მიაწერა: „შენს დისერტაციას რაღა ლაფნიჭამია წაეკიდა?“

ხელი არც თავად მოაწერა. ჩქროლვით აიჩქარა. თითქოს შორეული ტუხტუხტიც შემოესმა. გარეთ რომ გავიდა, მიხვდა, მისი გულის ძვერა იყო.

ბოქლოში დაკეტა, წერილიც ისევ რგოლში გაუყარა, გასაღებიც ადგილზე დადო და წავიდა. თითქოს ყველაფერი ძველებურად დარჩა, გარდა ქალიშვილის გულისა. იგი უკვე ახლებურად ძვერდა.

XI

შინ რომ ავიდა, თავისი ნახელავი მხატვრობა და ნაძერწით აღსავსე ბინა აგრე რიგად აღარ მოეწონა. თითქოს ეშხი და პეწი დააკლდა. უფრო რომ ჩაფიქრდა და სათავისოს შეაკვირდა, გულმა ოდნავ უოჩნა და ეს ყოველივე მემცხრალ მთვარის ნაშუქზე გაყინულად და გარიყულად წამოეჩვენა. არა, არც უცდია, მაგრამ სხვისი სამყაროს ნაჩქარევმა გადახედვამაც კი როგორღაც მესამე თვალი გაუჩინა და სათავისოში მჩხრეკავად დაატრიალა.

„ნუთუ ადამიანს სჭირია მესამე თვალი?“

აქ სათუთი განცდების, ხელოვნურად შეთხზული სახეებისა და ფაქიზ განცხრომის სავანე კვლავ იყო და შემოქმედის გულს ძველებურად ელამუნებოდა, მაგრამ ძარღვიანი სიცოცხლის გრძნობისა და ბუნებრივობის უშუალობა, ქალმა უნებურად დაისაკლისა. მზის შუქი და მკაფიო მიზანდასახულობა „მესამე თვალმა“ სულ ველარ დაინახა. ძიების იერი იყო და მეზრძოლი სული კი არა! მაშინ სადღა იყო მისი პიროვნებისა და სამყაროს უპირატესობა?

ეს მეხვიეთ უეცრად თავზე და გულ-

ზე დაეცა ქალს. ერთი რამეც ანაზადად გამოარკვია — თითქოს თაფლის სანთელის სურნელიც მოჰყირკებოდა.

აქ უკვე „მესამე თვალი“ კი არა, „მეორე“ ყნოსვაც თუ გასჩენოდა!

„თვალი კი არა — თვალთახილვა.. იი მიზეზთ მიზეზი!“ — და ეკვმა უფრო გაინაპირა, ალბათ, არა მარტო მეზობლის, საერთოდ, ცხოვრების მხოლოდ გარენაქუქს ჰხედავს, სიგრძე და სიღრმე კი გამოჰპარვია! აქამდე ეგონა, რომ იგი ზის, ოცნებობს, შემოქმედობს.. მის ირგვლივ უმოქმედო ზღვაა და იქით კი სხვათა ცხოვრება, რომელიც მას არც ეხება, თუ თავად არ შეიხებს! ნამდვილად კი, თურმე შიგ ცხოვრებაში ზის ხელოვნურ კენძულად და სირაქლემასავით თავს მალავს და თვალებს ხუჭავს!

და მის შემოქმედებას, ეს ბინა ჰერამდე რომ აუვსია, სწორედ რაღაც მანკი აქვს! ნაყოფი არ გააჩნია! რადგან ნამდვილ ნაყოფს არა მარტო სიბრტყე, პლასტიურობა და გარეგნული ნატიფობა აქვს, არამედ სიღრმეცა და ცხოვრების მნიშვნელოვანი ხვედრითი წონაც. ამის გარეშე კი შემოქმედებაცა და ცხოვრებაც, თუნდაც ნიჭიერი, თუნდაც უანგარო, თუნდაც ახლებური, მაინც ადგილზე ტყეპნა არის და უნაყოფოა, როგორც სიბიჭვა.

იქ კი — „ბუნავში“, შერუჯული დისერტაციის სათაურშივე ბრძოლა! რაღაც ძიება! და არა სხვათაშორისი, ხშირცვალებადი, არამედ მდგარი და მედგარი! აქ უცეცხლო თაფლია! იქ იქნებ არა თაფლი, მაგრამ ცეცხლიანი, შერუჯული!

ქალს თავისი უპირატესობის ჩვეული „აზგარი“ უღმობელად აცვდებოდა. მაგრამ თავისი ღვიძლითა და უტეხობით ამოაისო და ისევ დადგა.

„ტყე მართლაც ტყე ყოფილა ჩემთვის, მაგრამ არის კია ეს „ბრძოლა“ მართლაც ისეთი დიდმიზნიანი, როგორადაც პირველად ესახება ახალმობილულ ადამიანს? და პირველქმნილი ბუნებრივი, მართლაც სქარბობს პირველქმნილ ხელოვნურს?“ „აღრენილ ხე-

ლოვანს“ მაინც მოაგონდა, რომ საახალწლო დიდი თოჯინა ამოსხეულებას ელოდა. ისიც, რომ მისი გაწყობილი დიდი ნაძვი დღესდამ უნდა უფროსებს შეემოწმებინათ. ხვალ კიდევ ერთი დიდი ნაძვი უნდა მოერთო „ბავშვთა სამყაროში“. ზეგ კი, ახალწლის ღამეს, ძველნაცნობურად „საგაიხო დედოფლად“ იყო მოწვეული მოდების სალონში, საახალწლო გამოფენაზე.

ნათია კი როგორღაც მოეშვა.

გარეკარი ჩაქვტა, დამატებით ჯაჭვი ჩაუვლო და შუქი ჩააქრო. ქუჩიდან მკრთალი შუქი მაინც შემოდინდა. ქალმა ტანზე გაიხადა, პერანგის ამარა დიდ სარკეს რომ ჩაუარა, მისი მოხდენილი აღნაგობის ანარეკლიც ვაბზარული ეჩვენა. ლოვინში ჩაწვა თავს დაასწრო და ვადასწყვიტა, რომ არამცდარამც აღარსად არ წავა.

გაინაბა, მაგრამ ძილი სარეკელზეც არ მიეკარა. მუდამ რბილი ბალიში ანახლად გაუქვავდა, ზეწარში კი ჩაღეწილი შუშა ცოცხალმკვდარივით ჩაწვა და აღარ გათბა.

მერმე კი, შორიდანვე, მოტოციკლის ტუბტუხი შემოესმა. მთელი არსებით დააყურადა. ამ ჯერად აღარ ცდებოდა ისიც თითქმის უმცდარად იცოდა, რომ გაგა მასთან შემოვიდოდა. ახლაც გული უძგერდა და ელოდა კაკუნს. მაგრამ კაკუნი არა და არ ისმოდა. მაშინ თავით სინათლე აინთო და მამისადმი მინაწერი ბართები გადაჰფურცლა.

უკანასკნელს ახალი მინაწერიც მიუმატა..

P. S. მოდების სალონში მართლაც აღარ წავედი, მამა. ახლა სხვაგან, უფრო უფორიპო ადგილზე ვმუშაობ. არც ვნანობ.. მაგრამ ამით ბევრი არაფერი გამოცვლილა. ჯერ მაინც არსებობის ძიებაში ვარ.

საკუთარი მოწოდების მიგნებას ადამიანი თურმე ხშირად უფრო მეტ დროსა და ძალას ანდომებს, ვიდრე თვით მოწოდების საქმიანობას!

მე უკვე ისიც ვიცი, რომ ახალგაზრდული სამი წლის გამოცდილება უფრო

მეტს ნიშნავს, ვიდრე მოხუცის თხუთმეტი წელი.. მაგრამ ერთმანეთს შენჯერ-თალი ყოფილხარ — აღარც დამწაფებულნი, არასოდეს არ ყოფილა ბოლომდე დამწიფებულნი! ეს სიბრძნე მე ჩემი უმწიფარობის გაგებაში გამაგებინა.

თურმე ახალგაზრდობა არა მარტო უსიზმრო ძილია, როგორც შენ ხშირად მეუბნებოდი, არამედ უძილო სიზმარიც... და ახლა, ვგონებ, დაიწყო ჩემი დიდი გამოფხიზლება! ან იქნებ ესეც საერთო მოვლენაა? ახლა მე ვფიქრობ, გამიჩნდა „მესამე თვალი“, რომელიც ჩემსასა და საერთოს ბოლოსდაბოლოს, ალბათ, შემითარდებს!.. ჯერ კი, ჩემი ბალიშის პირი, განა ბუმბულით, ოცნებებით არის აღსავსე! და აი, მივხვდი, სულ უსაფუძვლო ოცნება — ქვაზე მაგარი ყოფილა ბალიშად! ჩემს წინ ჩემივე შეთხზული კედელი იდგა.. არსებითად ჯერაცა დგას, მაგრამ ახლა ამ კედლის იქით გადავიხედე და თვალუწვდენელი სიცოცხლის ზღვა შემომეყარა! მე შევიგნე — რამდენი ადამიანია, იმდენი სამყაროა, მაგრამ უსამყარო ადამიანებიც რომ არსებობენ? და ისინი ისე ცხოვრობენ, როგორც სხვისი სარკის ჩრდილები და ანარეკლები! და რამდენმა ისე გაათავა თავისი ცხოვრება, რომ არსებითად არც კი დაუწყია! რამდენი ადამიანი, ალბათ, სულ გაუმკლავებელი დარჩა? და მე სწორედ ამისი მეშინია ყველაზე უფრო!

აქამდე სხვისი უნდობლობა მჭირდა, ახლა ჩემი თავისა და ნიჭის ეკვიც შემეპარა... რა ფასი აქვს იმ ნიჭს, რომელიც კერცხდაუდებლად კრუხობს?!

გავას ირგვლივ კი ბევრი რამ ახალი და ჩემთვის მოულოდნელი აღმოვაჩინე. შენთან წერილების წერაშიაც ერთი საოცრებაც გავარკვიე და, ღმერთო ჩემო, ნუთუ წასაშლელს უფრო ესაჭიროება წაშლა, ვიდრე დასაწერს — დაწერა? ეს ჩემს წერილებს შეეხება და არც მარტო..

...და მაინც ვწერ. გაგა მახრჩობელა გველივით მძავს და მხიბლავს. და ნუთუ, მე განწირული თუთიყუში ვარ?

მამა, ჩუმად გეტყვი — მე ის ყვაილეთი მწაფდს, სადაც ცხოვრების კრახანას ჯერ თავისი შავი ლალა არ აუღლია და სად არის ასეთი ყვაილეთი, სად?“

„და კაცუნი მართლაც მოვიდა, ჩემი და ძლიერი კაცუნი.

ჯერ სულ გაჩუმდა ნათია. გაიტვრინა. მაგრამ მის გულის ცემას კარს იქით, ალბათ, მაინც გაიგებდნენ. ისევ ხმის გაცემა არჩია.

— ვინ არის? — აი სახელს გაიგებს, სახელდობრ, ვინ არის და გააბრუნებს.

— უცეცხლო თავლის სანთელი!

ესეც სახელი? ეს, საერთოდ, თხოვნა არის თუ დაცინვა? ზომ თავად მიიტანა და ახლა ახია! აჟი ლღვება კიდევაც, იქნებ ცეცხლიც მოიკიდოს სანთელში!

— შე უკვე ვწევარ, მძინავს!

— რა დროს ძილია — ბრძოლა გრძელდება!

ეს რაღა არის — მოწოდება თუ გაკილვა?

— ვისთან? — წერილები გადასდო ქალმა.

— წამომყევი და გაჩვენებ!

დახე მაგას, კარის გაღება რა ბედენაა, სულ წაყვანა ჰქონია გუნებაში!

— სად? ვისთან?

— ტყეში, ტურფასთან!

— შენ ჩემი წაყვანა გწაფდს, თუ თავლის სანთელი?

— სამივე...

— მესამე რაღაა?

— იქ გეტყვი...

ქალს რატომღაც კანკალი აუვარდა. ლოგინში მაინც აღარ შეეძლო გაჩერება. წამოდგა. სარკეში ისევ შეამჩნია თავისი ბუნდი, მაგრამ მკაფიოდ გაბზარული ანარეკლი.

— შენ უსამწველო კაცი ყოფილხარ... აჰა, სანთელი და გამეცალე!

ქალმა ღამის ხალათი შილიფად მოიგდო, მოუშთავრებელ „საახალწლო თოჯინას“, ხელი სტაცა და კარის გასაღები გადაატრიალა. თავად განზე მიდგა, კარი ჯაჭვის სიგრძეზე გამოღრეჭა და განწირული ტიკინა გააწოდა.

— სადაც შენი დამწვარი შრომია, იქ ჩემი მოუშთავრებელი თოჯინაც იყო!

— ეს რას მეყოფა! ჰეღღ-ყოფა-ყოფი კილო მაინც მინდა! — გაისმა კარს იქით.

— მერმე სად მაქვს ამდენი? სანთლის ვაჭარი ხომ არ გგონივარ?

— კარი გამიღე, მე ვიპოვნე...

— კარი გაგიღო? ბოლოსდაბოლოს ვინ ხარ? — უკვე გაწყრა ქალი.

— შენი მეცვლე ვარ!... თუმცა ნადრევი, მაგრამ, ვგონებ, დაგვიანებულიც!

— მეცვლე? — ქალი შიშმა აიტანა, მაგრამ წყენამ იძალა. არა, არ გაუღებს — ეს რას ჰგავს? ტყეში ხომ არ მოჭირგალობს ეს დათვი? მაგრამ მართლაც ვის გაუბრუნებია თავისი მეცვლე?

ისიც ძველი წლის მიწურულში? არა, ახალი წლის წინ? ალბათ, რაღაც დიდად საჭიროც აქვს სათქმელი, თორემ გაგა და ასეთი გაჩიქება?

ვაემა ისევ დააკაუნა...

— ჩაცმა მაცალე...

— თბილად ჩაიცვი...

— რატომ?

— თოვს, გულდაგულ თოვს!

— ჩემთან არა...

— შენთან ყველაზე უფრო!

ნათიამ ნახჭარევად ჩაიცვა და კარს ჯაჭვი გააცალა.

გაგამ თოვლის კვალი და დიდი ზურგჩანთა შემოიტანა.

— არა ჯერ არ გილოცავ ახალ წელს!... ორი დღით ადრეა! ორი დღე კი ხანდახან ორ წელიწადს უდრის!

ქალი მობუზულად იდგა. არა, აღარც ჯავრობდა. არც კრთებოდა, ეს ხომ გაგა იყო, მაგრამ მაინც კანკალებდა. ვაჟი კი უხერხულად ილიმებოდა: — დიდი შუქი ანთე! არ გამეჭყლიტოს რამე...

ქალს მცირე შუქზე ყოფნა ერჩია, მაგრამ ანთო. თოჯინების მასალად შემორჩენილი სანთლის სამიოდ კვერიც გამოუტანა.

ვაემა უმალ ჩანთაში ჩააწყო და მიმოიხედა.

— უნდა მპატიო! ღორჭუცელობით არ მომდის... მაინც ცოტაა!

ნათია ახლა კი განცვიფრებით უმზებ...

რდა ამ „სხვა სამყაროს“ კაცს და თითქოს სულ ვეღარ სცნობდა.

„ეს როგორ არის? მეგონა, ვიცნობდი, მერმე უფრო კარგად, მრავალ ახალის გაგებით გავიცანი და ახლა სულ ვეღარ ვცნობ?“

გაგას კი თავისი მოსდიოდა. უჭირდა, მაგრამ მაინც დუღუნებდა:

— ცოტაა და რა ვქნა?

— ახლა დედოფალებს ხომ არ გაგატან! — ხელები გაშალა, სავსე თაროები თითქოს გულში ჩაიხუტა, — ჩემ ნამუშევარს ხომ არ გავწირავ?

ნათიამ უნებურად, დაბნეულ ვაეს სიტყვის მონახვა გაუადვილა და გააბედვინა კიდევაც.

— გაიწიროს — გასაწირავი! — მერმე თავად გადაჰხედა სანთლის სამყაროს და თითქოს შეეცოდა, — ჩემ ბინაზე მოსულხარ... ახლა ჩვენი ბრძოლის საგანიც იცი შენს ხელოვნურ მისაყუჩებელს შეადარე! და გთხოვ, დასკვნაც გამოიტანე... უკვე აუცილებელია.

გაგა მძიმედ, ყოველი სიტყვის მოზომვით მეტყველებდა. თან თაროებს, ოთახის კუთხეებს ათვალეირებდა. ქალმა ვერც გაარჩია — თავის ვარაუდებში იყო თუ თვალებს მალავდა, მას არიღებდა. ნათიას კი ერთი გასარკვევი ჰქონდა, სხვა მრავალიც, მაგრამ ერთი ყველაზე უფრო... ისიც აუცილებელი.

— ერთი მთავარსაკითხავი მაქვს!

— მთავარსაკითხავი?! — დინჯად და მარცვლა გაგამ, — რა ძარღვიანად იცი ხოლმე... მკითხე, ოღონდაც!

— ვინ დასწვა შენი დისერტაცია?

ვაჟი შეიშმუნა, მაგრამ აღარ დაჰფარა:

— მე თავად... მაშ შენ ყველაფერს ნიშნვდარხარ... გავწირე, აბა რა მექნა?

ნათია კი სულ დააბნია ამ პასუხმა. თავის პირველ, გულდაგულა ახალგაზრდულ ნაშრომს რომ სწირავს ეს „გომოუცნობი ტყუილი“? მაშ აქ სხვა ყოფილა მთავარსაკითხავი. ძარღვიან სიტყვას მიაგნო, მაგრამ თავად საკითხავს კი ვერა! მაგრამ ასე კითხვაკითხვით ვე-

რას გაიგებს. ქალმა სინიუმე არჩია, ვაჟიც სდუმდა. თვალებით ისევე ჩაუბარათაროებს. ნათიას საწოლთან დაჯდომის ცოტა დაწერილი ფურცლები შენიშნა, უცხად გაიმჰახა სახე.

— ახლა ლექსების წერა ხომ არ დაგინწყია?

— არა, წერილები... —

— ვისთან? — უნებურად შეეკითხა და მერმე შერცხვა, — თუ საიდუმლო არ არის...

— მამასთან...

— მამასთან?

— დიახ... და პასუხს არავინ მაძლევს! ბევრი საჭირობოროტო კითხვები მრჩება გადაუწყვეტელი.

ვაჟმა გაკვირვებითა და სინანულით შეჰხედა თავჩაქინდრულ ქალს და ჩანთას ხელი შეუშვა, შუბლი მოისრისა.

— მე გაგცემ პასუხს! შევეცდები, რომ გაგცი! ოღონდ...

— ვერ მოგცემ... შიგ შენი ლანძღვაც არის!

— მით უფრო! მაშინ ჩემი საპასუხო ყოფილა! შენგან „დამუშავება“ კი არც გამიცივრდება, არც პირველი იქნება... ალბათ, არც უკანასკნელი. შენ სხვაწაირად არ შეგიძლია! ეს კი შენა ხარ, მაგრამ ნუთუ მარტო ეს ხარ?

— არა, არ მოგცემ...

— შენ მიცვალბულს უფრო ენდობი, ვიდრე ცოცხალს?! ეს დიდი დანაშაულია ორივეს მიმართ!.. მაშინ დაჰხიე, გადაჰყარე დასწვი; უმჯობესია! ჭერ, საერთოდ, თვალთმაქცობა რა არის და ახლა თავის თავთან?... დარწმუნებული ვარ, მაგ წერილებშიაც „სიტყვიერი ტოკინები“ მოიქვირითე. მათ ხომ აღარც სანთელი სჭირდებათ და აღარც ცეცხლი!

ნათიას ასე გაცხარებული გაგა არც უნახავს და არც წარმოედგინა. და საოცარია, რომ ასეთი უფრო მოეწონა. ასეთი მართლაც არ დაიწყებს თვალთმაქცობას! და ყველაფერზე პირდაპირ პასუხს გაგცემს. თუ იქნებ ეს ყველაფერი უდიდესი თვალთმაქცობაა?

აფეთქება ნათიასი უნდა გეკითხათ!

— აჰა, წაიღე... და ვინძლო ტიკინებზე უფრო დააფასო! განა ყველა წიგნიერმა კითხვა იცის, პასუხის გაცემაზეც რომ არა ვთქვათ რა! — ნათამ წერილები რაღაც შინაგანი გაშვებით მოხვეტა, მამის ბოლო წერილიც ზედ დაადო, ასევე არეულად და დაკუმუქნილად გაუწოდა. იქნებ გულის სიღრმეში ფიქრობდა კიდევაც, რომ ვაჟი არც გამოართმევდა ასე გაწოდებულს.

ვაჟმა უეცრად მოპოვებული სიღინჯით გამოართვა, გაასწორა, დააწყო და სინათლისაქენ უფრო ახლოს მიდგა.

— არა, აქ... ჩემთან ნუ წაიკითხავ! — ახლა კი დადრკა და შეშფოთდა ქალი.

— კარგი... მე მალე მოვალ! — გაგამ ჩანთას ფეხი გადააღაჭა და კარს გაეფარა.

XII

მოლოდინმა დროის საზომის დაბნევა იცის. ზეგ ამ წლის უკანასკნელი დღე იყო და თითქოს მთელი წელიწადი ხელახლად შემობრუნდა.

პირმოხსნილი ჩანთა ორმოსავით მოჩანდა. თაროზე მდგარი ტიკინები დაღვრემილად იქტირებოდნენ. უჩინმაჩინს უფრო ღრმად ჩამოეფხატა ქული. ნათია, პირველად თავის სიცოცხლეში, სულ უჩვეულო და განუცდელ მღელვარებაში იყო. აქამდე გული თავისად ჰქონდა, ახლა კი ანაზღად სხვამ წასტაცა. არა, თავად გაატანა და დიდი ხარის ენად თუ გამოაქიდებენ და ხშირ-ხშირად ჩამორეკენ!

სხვა გრძნობაც ჰქონდა. სალონის დიდ გამოფენაზე პირველად რომ გავიდა ახალმოდურ სამოსში ყველას წინაშე, პირველად რომ წარსდგა, ვგონებ, მაშინაც არ უღელვია ასე ძირ-ბუღიანად. გულღია, წელში გამოყვანილი, სახელომოკლე ახალი კაბა ეცვა.. დიახ, ეცვა... დიახ, ეცვა... ახლა კი გაგას წინაშე, თითქოს სულ გამოშიშვლებულად არის, თავისი წერილებით წარბოდეგნილი!

შეგვიანებულად ნანობდა კიდევაც. ტიკინები და დედოფალები არ გასწირა

და თავისი თავი კი, თავისი გულში ხველები ოცნებები და ზრანებები. ასე ერთი ხელის ჩაქნევით, მუქი კლუბი უღელვით, ღვიძლიდან მოიწყვიტა და გაატანა.

მაგრამ სადღაც სიღრმეში ისიც იცოდა, რომ, თუ კი ვინმეს ენდობოდა და ასეთ „თავგამეტებულს“ გაატანდა, მაინცდამაინც, ისევ და ისევ გაგას! და აქ არა მარტო ნდობის საკითხი იყო, არამედ დავისა... ჯიუტად, ჯიბრით გაატანდა, საჩხუბრად და ზეპირადაც ბევრ რამეს დააყოლებდა!

მაგრამ როდესაც კარი ისევ გახმინდა, ქალი შესჩქვიფდა... ახლა იგი ამოხსნილივით და გაძარცულივით იყო. ქალი კი — უსაიდუმლო — ისევე არ ვარგა, როგორც ვაჟი უხელებელ!

— ვინ ხარ?

— მახრჩობელა! — სულ უბრალოდ უპასუხა შემოსულმა გაგამ და, თითქოს სხვათა შორის, უთხრა, — წავიდეთ!

— წავიდეთ?

— წავიდეთ, მალე! შენთვის დაგვიანება აღარ შეიძლება!

— სად მიწვევ? — უფრო შეშფოთდა ქალი.

— იქ, სადაც იწყება ახალი წელი! სადაც შენი წერილების, თითქმის ყოველ პასუხს თავად ნახავ! სადაც უნდა გათავდეს, შენი სიტყვებით რომ ვთქვათ, „სანთლის ფერი ზღაპარი“ და დაიწყოს „ზღაპარი სინამდვილისა!“

— „ზღაპარი სინამდვილისა!“

— გამართლებულ ძიებისა!

— არა მჯერა...

— ამის შესახებ მერმე მამას მისწერე... ჩემთან კი წამოდი და ნახე, დარწმუნდი! მთელი შენი ზღაპრით წამოდი... ქვეყნის უნახავს გავხდი! ხომ მანდობ შენს თავსა და ზღაპარს! — გაგამ ხელი სიტყვაზე უფრო მეტყველად თაროებისაქენ გაიშვირა... არა, მოიქნია...

ქალს თითქოს მისი ხელის ქარიც კი მოხვდა. და რომელიღაც ხილულ თუ უხილავ სარკეში ქარბორბალად დაატრიალა. თან კორიანტელთან ერთად ესმოდა ვაჟის ნაკვეთი სიტყვები.

— შენი წერილების გაბედულ ფიქ...

რებს, გაბედული საქციელიც თუ არ ახლავს — ყველაფერი სანთლის ნაჩმანი... არა, სანთლის ქორი ყოფილა! მშიშარა ვერასოდეს ვერ არის კეთილმოაზროვნე!

— მოვდივარ! — თითქოს ქარბორბალა შეაჩერა ქალმა, ან თავდაც შეუერთდა, — ჩემი „ზლაპარიც“ მომაქვს! იქ გადაწყდეს გასაწირავი, მაგრამ არ ვაზბილდე ტყისა და ქიის მეზღაპრე!

ქალი იმდენად არა ვაყის ძახილს აპყვა, რამდენად თავის შინაგან ძვრას იქნებ ეს დიდი, ალღოსეული თავდაცვაც იყო, დიდი პაექრობაცა და დიდი თავგანწირვაც. მაგრამ გაგამ ხელად შეუკვეცა აღვზნებული ფრთები.

— სამგზავროდ მოემზადე... საბოხლამურო შარვალაც ჩაიცვი, მოდების სალონი არ გეგონოს! მე კი „შენს ზლაპარს“ დაუვლი.

— განა სად მივალთ? — ერთხელაც შეეკითხა ქალი.

— ნაძვის ხეზე! — მოკლედ მოუჭრა გაგამ და თაროებზე ჩამოწყობილ დედოფალებს ჩამოუარა.

— ჩემი მორთული იქნება, არ გამაჯვირო!

— ან შენი, ან „უმზრახი ოსტატისა!“

— მაცალე, ხელუხლები დედოფალები არ დამიპყლიტო, მე თვითონ! მე თვითონ!

— არა, არა ნახად... ფაქიზად ვაწყობ... არაფერი არ ეტკინებათ!

— მე მეტკინება... მე...

ქალი ატაცებულად დაბორიალობდა. საწოლში შევიდა, ჯერ სათხილამურო შარვალს ჩაიცვა, მერმე, ზევიდან ახალმოდური კაბა. ახლა დედოფალებს მოუბრუნდა არჩევით ჩამოაწყობ, ჩამოიღო თაროებიდან.

ვაჟმა საესე ჩანთას თავი მოუკრა. — აბა ერთი, შენი „ოცნებების ბალიშის პირი“ მომეცი, ესეც ტკინების მზითვე იყოს!

„ოცნების?“ შენ რა იცი, უგულოვ? პო წერილები! — ქალი თითქოს „წერილის“ ჩადოთი იყო ახლა შეკრული, უსიტყვოდ მოუტანა ბალიშის პირი და

ამის შემდეგ უკვე განურჩევლად აწყობდა თავის შემოქმედებებს. დედოფალებსა თუ სხვა სანთელ-ნაქორებს. თრთოდა და აწყობდა... თავსაც მათ აფარებდა... ახლა ყველაფერი, მისი წერილების პირველ და ერთადერთ წამკითხველის ხელშია, გრძნეულ ხაფანგში მომწყვდეული და ველარაფერზე უარს ველარ ეტყვის. ვერ ეტყვის და რა მოიმოქმედოს! ჯერ ტკინები, მისი ოცნებები ჰყოფნის... მერმე, ხელში რომ ჩაათვდებო? ჯერი, უღმობელი ჯერი, უჩინმაჩინზეც მიდგა... ვაჟმა თავად აიღო და ოსტატს გამოუწოდა... თან უმზერს, უმზერს... არ შეამჩნიოს!? არა, ქული მაინც არ მოიხდა! უჩინმაჩინად დარჩა... თუმცა საფუძველი გამოეცალა... და ახლა ქულმობდილი „ის სხვა“ დგას და უჩინმაჩინს, ბალიშის პირსაც აფარებს! ეს — ზღვისპირული ქალაღის თამაში, კარტის შლა ხომ არ არის? უფრო მძაფრია და უფრო წაგებული! თავად მისცა ხელში შავ-ჯვარის ქალის წერილ-კოზირი! და რომ შეატყოს ვაჟმა მონუსხვა და ნების დაკარგვა?

„მასჩობელა“ კი ბალიშის პირს ავსებდა, ქალს თითქოს არც აქცევდა. ყურადღებას. ახლა სულ შორი თაროებიდან ეზიდებოდა ტანშიშველა თოჯინებს, ამურებს, ანგელოზებს... გულშიშველა ნათიასკი ვგონებ, ველარც ამჩნევდა... მაგრამ ტკინები რომ ჩაათვდებოდა ხელში?

სულ რომ ჩამოაშინშველა თაროები, ახლა კუთხეებში მიმოპყრიდა ნარჩენები და ნაღვენთები. თითქოს სანთლის ნახისისა და ნატისუსაღის დატოვებაც არ უნდოდა ქალის ბინაში.

ნათიამ ითმინა, ითმინა ძალაც იკრიფა და ძლივს ამოიგმინა:

— გეყოფა, ხარბო! სულერთია, უკან მოვიტან!

— სიხარბე კი არ არის — საზომის სიდიდე! შენი „სანთლის ქობის“ ციქნა-გოჯა ზომა არც ცხოვრებაში და არც ტყეში, აბა, რას გამოდგება?!

— მე მგონია, შენ ტყესა და ცხოვრებას სულ ხშირად ურევ! — თვალ-

გაუმართავად შეესიტყვა და ზურგი იბრუნა. მაგრამ ვაქს თავისი განზრახვა ამოქმედებდა და სრულიადაც არ გასცა პასუხი.

— აბა, ახლა კი გვეყოფა! — დაეთანხმა გაგაც, როდესაც პირწმინდად მოასუფთავა ბინა და ბალიშის პირსაც პირი აუკრა და გამოუნასკვა. — წავიდეთ ახლა! ხედავ, რამდენი ჩრჩილი და ობობა გასჩენია შენს ქოხს?“

გახევებულ ქალს ბედის გაუხსნელ ნასკვად მოეჩვენა თავისი ოცნების ბალიშის პირის მარყუჭი. ჩრჩილი კი მართლა ბლომად იყო, მაგრამ განა ეს იყო საჩივარი?!

— მართლა წამოვიდე? მე ხომ ჩემ მორთულ ნაძვის ხის შესამოწმებლად ვარ წასასვლელი... და ხვალაც მოსართავი მაქვს... — ქალმა ენაზე იკბინა და აქვე გაწყვიტა ჩამოთვლა, მოდების სალონი კი სულ აღარ დაასახელა.

— ნაძვის ხის ჩვენება ჩვენზე იყოს! მახეს კი არ გიგებ იქნებ გეშინია?!

— მე უნდა აქ ვიყო, მოვალე ვარ! ჩემი ხეც აქ არის და მახეც! — უფრო შეუყოყმანდა ქალი. ახლა ბინის სიშოშვლემ შეაერთო და შეაცვივა.

— შენ სიტყვებიც სათამაშოები გგონია! „ხეცა და მახეც!“ — ისევ გაუწყურა ვაეი, — მოჩხრიალე ევენები! შემთხვევით გამოჭერილი მსგავსება! მე კი ხებაფანგებსაც გაჩვენებ! ოღონდ დაიძარი ამ ჩრჩილების სამყაროდან!

გაგამ ჩანთა ცალ მხარზე მოიგდო, სავსე ბალიშის პირი ხელში აიტაცა.

— ალბათ, გრძნობებსაც ასე სათამაშოდ ხდი!? — ახლა კი პირდაპირ შეპხედა ნათიას. ქალი სდუმდა.

— შენი სანთლის საუნჯე თავის ჩრჩილიანად და უჩინმაჩინიანად მიმაქვს, შენი წერილები და შიგ გამოჩენილი სული და ჩემი პასუხი მიმაქვს, შენ კი, თუ ასე გინდა, დარჩი აქ ცხოვრებისა და ზღაპრის გარეშეც!

ქალი შეტოკდა, მაგრამ ვაემა არც ეს აკმარა:

— ნეტავ, თუ იცი — რის მოვალე

ხარ? რისთვის უნდა სტენო დამე! სად არის შენი გულსაწიერეჭიკუნეული ვაეი კარისაკენ დაიძრა. მაგრამ მანთას თავი ჩამოეხსნა და ერთი ტიკინა ჩამოგარდა. გაგამ ისევ დადო ტვირთი, ტიკინა უკანვე, უკვე გულმოსულად ჩაავდო და ქალს მოუბრუნდა:

— იცი, რა მითხრა წვერწიორამ?

— ვინ წვერწიორამ? — ძლივს შეეკითხა გაოგნებული ქალი, — ალბათ, მალე მოდიო!

— ესეც მითხრა... საქმე გვაჩქარებს! მაგრამ გარდა ამისა — „აღამიანს თუ სიციცხლეს არ უნდა — ნუ უშლი სიკვდილსო, და პირიქით — თუ სიკვდილი არ უნდა — ნუ უშლი სიციცხლესო!“

— მე შემეხებოდა?

— ალბათ, შენცა და შენისთანებსაც!... ახლა კი დარჩი!

გაგამ ისევ აიღო ტვირთი და კარში მხარგადრეკილად გავიდა.

— მოვალ... მოვდივარ, მომიცადე! — ენაშებორკილად შესძახა ქალმა.

— არავითარი... მომიცადე! დამეწიე, ან დარჩი, მე საქმეზე მივალ!

ქალმა ბერეტი დაიხურა, ბოტებში ფეხები ჩაჰკრა, კოწწია პალტო ჩაიცვა და კარი ნაჩქარევად დაჰკეტა, ყველაფერი თავზე შემოივლო და უკან დაედევნა თავის დაძრულ ზღაპარს.

კიბეზე დაეწია. უკვე სულ სხვა გაწყობილება ტალღა-ტალღად ედებოდა და იმორჩილებდა... ჭერ გაგას ჩანთაში იგრძნო თავის თავი, მერმე ბალიშის პირში... ბოლოს თავისი ფეხებით კიბეზე ჩამავალი და სულ ბოლოს სიტყვაშიც ამოუწია ტალღამ.

— მამ ბრძოლა გრძელდება?!

გაგა შედგა, ქალი წინ გაუშვა, იქნებ გზა მოუჭრა, თვალი გააყოლა და სულ ჩუმად, ძლივს გასაგონად უთხრა.

— დიახ... ყველას თავისი დიდი ბრძოლა და ძიება გააჩნია და მე მოკავშირეს ვეძებ!

ქუჩაში დათოვლილი მოტოციკლი იდგა.

— ჩემ სათუთ ნახელავს რა ეშველება? — ისევ აწუწუნდა ქალი.

— არაფერი არ მოუვა შენი სურვილის გარეშე! ჯერ შენ მოგაწყუო, მერმე მაგათ ვუპოვნე ადგილს.

მაგრამ ქალი ისევ გაპირვებულდა:

— არა, ჯერ მაგათ! თავს მიჩვენებია! — კეთილი! — უმალ დაეთანხმა გავა, — მაშინ აქ, რბილად და მყუდროდ მოგაწყუოთ! — ჩანთა და ბალიშის პირი გვერდსაბმელში ჩასდო, — რადგან თავს გიჩვენებია, საუკეთესო ადგილიც მივცეთ! — ახლა გვერდსაბმელის საფარი მთლიანად გადმოსქიმა და დაამაგრა. ქალს კი, თავის უკან, საჯდომი ადგილი შესთავაზა. და ვიდრე ნათია წყენასა თუ ყოყმანს მოასწრებდა, ძრავა ხმაურით აამუშავა და არც დაახშო, ვიდრე ქალი არ შემოისვა.

— რას მიშვრები?

— სალონის ხალხი ვერ დაგინახავს... მერმე უკეთ მოგაწყუობ... შენთვის მწადდა კარგი ადგილი... ტიკინები დამაწყობინე! გინდა შევცვალოთ?

— არა! რაც არის, არის!

ვაეი ერთხელაც შემოუბრუნდა და მოტოციკლი სულ ნელა დასძრა.

— ხომ მენდობი?

ქალმა პასუხი აღარ გასცა. ახლავე თავბრუ ეხვეოდა. ყველაფერი ატაციბული იყო... მანქანის ხმაური და უკვე აჩქარებული სრბოლა, თოვლის კედ-კორიანტელა ქარი, ფეხაჩქარებული, საყელოაწეული მგზავრები, თითქოს წლის მიწურულში ყველა დაგვიანებულად გრძნობდა თავს და ახლა მაინც ჩქარობდა.

„სალონის კოპწია“, „ხელოვნების ოსტატი“, „საგაისო დედოფალი“ პირველად იჭდა მოტოციკლზე, ასეთ არამოდურ ტრანსპორტზე, ისიც უკან... ისიც „ტყიურის“ უკან! თავბრუს ვინ ჩივის, თავს ჰკარგავდა!

აზრზე რომ მოვიდა, ყურებში უკვე ქარი უწივოდა. დათოვლილი ქუჩები, რბილად და ჩალანდულად, პირტკუ გარბოდნენ... თავად კი, თითქოს ხმაურა კორიანტელის შეაგულში იჭდა და ადგილზე ბრუნავდა.

თვალეები რომ შეაჩვია და აცცა,

გავას დიდი, ოდნავ წინ გადახრილი ზურგის პეტა ხეირიანად ვერაფერში გვერდს დაინახა, თვალეები ისევ დახსულსადაა ჩდომის წინა რგოლს უფრო ჩაეჭიდა.

კვლავ რომ გაახილა — უკვე ქალაქ-გარეთ იყო.

— სად მივდივართ? სად? — ძლივს წასჩურჩულა და უნებურად უფრო ახლოს მიეკრო ქვეყნის ოდენა ზურგს.

— გცივა? — მოუბრუნებლად მოსძახა გავამ, — გცივა-მეთქი?

— არა, არა!

— დაილაღე? გეშინია? უჩვეულოდ ხარ?

— არა, არა-მეთქი! ყველაფერზე — არა!

გავას იქნებ არც გაუგია, იგრძნო კია ქალის ჯიუტობა.

— მაშინ მაგრად! სიჩქარეს ვუმატებ!

მოტოციკლმა თითქოს ნახტომი გააკეთა, ქალი უნებურად უფრო მიეკრა ვაეის ზურგს, მაგრამ გულიც უფრო მოუვიდა. მიხვდა, რომ აქ ბრძოლის უნარი აკლდებოდა, სულ აკლდებოდა! ამიტომ უფრო იძალა და სიტყვაც აძალა.

— არა, მაინც სად მივდივართ? იცი კია?... შენ მართლაც უნდა ჩქარობდე. იმიტომ, რომ?... — ქალმა აღარ დაამთავრა, თითქოს ქარმა ძირში მოუწყვიტა სიტყვა.

— იმიტომ რომ... ისედაც ჩამორჩენილი ვარ?

გავამ ოდნავ იბრუნა პირი, სიტყვა მოკლედ შეკრებილ უღვაშზე გადაატარა. ქალმა თანხმობის ნიშნად ზურგზე მიახალა შუბლი.

— არა უშავს რა, დავეწვი. მე ვიცი, სად მივალ. ზოგთა მდგომარეობა ჩამორჩენაზე უარესია! ბუნებრივი მიმართულება შეეშალათ და ახლა ყველაფრის თავიდან დაწყება თუ უშველით!

ქალმა კარგად გაიგო ნათქვამი, პირის ქარი იყო, ყური კი ნათიას თვალზე და სიტყვაზე ნაკლებად როდი უჭრიდა.

— ყველაფრის?

— დიახ... აღზრდის, სწავლის, მიზანდასახვისა...

ამ ქარსა და სრბოლაში მათი პირგაუმართავი ჩქარი საუბარი, ელსმენის მავთულების ზუზუნს უფრო ჰგავდა.

— გულით ლაპარაკობ, თუ მგესლავ?

— შუბლით! — კვლავ შუბლი დაარტყა ზურგზე, — ყველაფერი თავიდან! ჩამორჩენილო კაცო! შენ იცი რომ ყველაფერი ძიებაა პოვნა — ვერ პოვნის გულშემსკდარი თამაშია?! — ყურში უჩურჩულებდა ქალი.

— შენ იცი კია, რა გწადს? — თითქოს გზას უყიენებდა ვაჟი და გზა, მის ზურგს უკან მიუხუთულ ქალს ახვედრებდა ძახილს.

— ვიცი — ძიება!

— რისა?

— ჩემი პიროვნებისა დანიშნულებისა!... თუ კი ასეთი გამაჩნია და საჯალდებულოა! აი რისა!

— ნაცნობი კილოა ფრიად გაგიგრძელდა ძიება! აბა მაგრად — მოსახვევია!

— მოუხვეი! მოუხვეი... ზოგი მთელ სიცოცხლეს ეძებს!

— ვინც მთელ სიცოცხლეს ეძებს ძირითადად, ვერ ყოფილა... ვერა — მოვწინააღმდეგე! დროს ტყუილად ჰკარგავს... სხვას დაუჯეროს!

„...სხვას დაუჯეროს... სხვას დაუჯეროს“... — გზა აგრძელებდა ძახილს... ქარი სწელავდა...

— ახალგაზრდობას უფლება აქვს ზედმეტი დუდილისა! დროს დაკარგვისა! მით უფრო, რომ მთელი ჰქვეყანა სანთლის ფერია, მთვარის ფერია და განწირულობის დაღი თითქმის ყველაფერს ახის!

ძრავა გაჯავრებულ მხეცი-კაცივით ბუბუნებდა და გამბით იღრინებოდა. გაგა გაბედულად და ლაღად მიაპროლებდა სამბორბალას, თან ყურიცა და ენაც თამამად ჰქონდა. სადაოც სწორზე სწორი ჰქონდა, ვით ამ გზის ნაკვეთი!

— პასუხი მიიღე! ყოველ სიტყვას მნიშვნელობა აქვს! შენ „განწირუ-

ლად“ სცდები! რასაც გაიძახი — შენი წერილის სიტყვებია... გადამცდები... სიტყვები გესმის, ზურგის საფეხურს შენ იქაც ახალმოდურ კაბებს იცვამ და შენ ყველაფერი გშენენის!... მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს სიმართლეს!

ისარა გზა გაილია, სიტყვა კი არა. მოტოციკლი მოსახვევში გადაიხარა. ახლა ვაჟის, ზურგის, მთა, ზევით ლიანდაგზე მოგუგუნე და სარკმლებით მოელვარე მატარებელი, ყველაფერი, ქალის თვალში ერთი წუთით აღმაცერად გამოჩნდა, მერმე ისევ შესწორდა. სამბორბალა აღმართს შეუდგა, გუგუნს უმატა, მაგრამ სიჩქარეს უკლო. ვაჟი უკვე ყიენაზე გადავიდა...

— მე და შენ თითქმის თანატოლები ვართ, ერთი თაობისანი, მამამენს მაჭრობითა და ახალგაზრდობით რომ ესაბუთები, ჩემთან ეს უპირატესობა აღარ გაქვს და აღარც გაგივა!.. ეგეც არ იყოს — განა სულ მაჭრობაა! დადუღების დროც მოვა და მაშინ გამოჩნდება — ეოს რა ელო საფურაში!

მოტოციკლი კი მიჰქროდა, ცახცახითა და გუგუნით მიგორავდა. თითქოს მოპეჭრეთა ჰქვეშ გაბმული მიწისძვრა იყო.

ქალმა იგრძნო, რომ ხელები ეყინებოდა. კოპწია, ახალმოდური, ნეილონის ხელთათმანების უფარვისობა გულს ესუსხა. წინა რგოლს ველარ გრძნობდა ველარც ვაჟის ქურთუკის უკანა სამაგრს, სკიდებდა ხელს.

ვაჟმაც იგრძნო, სვლას უკლო:

— ხელები გაგყინა! მკლავებს ჰქვეშ ამომიდგე და არ შეშინდე! მე გასესხებ სითბოს, სანთლის ბარი-ბარში! — მხრები გაშალა და შეჰყარა გაგამ.

ნათია დაემორჩილა, მაგრამ პირობა არც ხუმრობით არ მიიღო. — ასეთი ბარი-ბარი არ გამოვა! გამოძალავზე ხომ არა ხარ!

ვაჟმა საკეზე ხელაულებლად მოსწურა მხრები და ქალის ხელჭი მჭიდდელ ჩაიჭირა თავის იღლივში.

ნათიას ცოტა გაუთბა ხელები. იგი ახლა მხოლოდ ხელებს გრძნობდა. და-

ნარჩენი ტანი თითქოს აღარ ება ხელებს. სხეულდაკარგულობის გრძობას, საერთოდ, ძნელად იტანს ქალი. შეწუხდა ნათიაც. მაინც მცხეთისა და იგოეთის შემდეგ თოვლმაც იმატა და სიცივემაც. ახლა უკვე აღარც საპაექრო ფიქრი ჰქონდა, აღარც სიტყვა... მხოლოდ ხელეზში შემოფარგლული სითბო ამავრებდა და აჯიუტებდა.

„...ნუთუ ესეც ნასესხები სითბოა?!“

რალაც ჩრდილები წვებოდნენ და დგებოდნენ დათოვლილ გზაზე. შემხედური შუქი მაგრად დახუჭულ ქუთუთოებში მაინც იჭრებოდა. ახლა „ზურგზე“ უფრო გაბედულად აფარებდა სახეს და თვალებს, მაგრამ ყურთა-სმენა ჯერ მოტოციკლის გუგუნით აღარ იყო და ახლა სხვა მანქანების სულ უღიერ ჩაგუგუნებით!

გორის მოსაბრუნებში მწვანედ და წითლად თვალდაჭყეტოილა ნიშანშუქურამ გზა გადაუქრებოდა.

გაგამ შეაჩერა სვლა. მაგრამ მოყრდნობილ ქალს ზურგი აღარ გამოაცალა.

— გაიყინე, თუ ჯერ არა?! ნუ ხარ უტეხი!

ქალმა ხმა აღარ გასცა. აი, ესმის შეკითხვა, იცის კიდევაც რა უნდა უპასუხოს, მაგრამ პასუხი აღარ გამოსდის. ენა ებლანდებდა და ვაეის საიმედო ზურგზე მიყრდნობილად სთვლემს.

ვაემა ერთი წუთით გააჩერა ძრავა. მოკლე ქურთუკი გაიხადა. ქალი შეადვიდა და მოახურა. ჩაცმაც უშველა. ნათიას ხელები თავად გაუყარა სახელოებში. გულისპირიცი შეუქრა, საყველოც აუწვია, თან დულუნა ხმით საყვედურობდა: — აკი ვითხარი — თბილად ჩაიცვი-შეთქი... ოპ, ეს სალონის ჩვილკანიანები! სიცივე ვერ ითმენს კოპწიაობას! ახლა ჩემი ძველებური მოკლე ტყაბუკიც ნახე! მაგის სილამაზეს ახლა დააფასებ!

ქურთუკს სითბო და მჭახე, ვაყური ოფლის სუნის ასლიოდა, მაგრამ აზიზა და ზიზლია ქალს, ახლა ეს ყველაფერი მხოლოდ სიამისითბოს ჰგვრიდა. ნათი

შემთბარ სანთელივით მოლბა და ზურგზე უფრო მიეყრდნო მჭახეს. გაგამ ესეც იგრძნო და მოტოციკლის უფრო მიუშვა. ჯერ კიდევ კარგი გაყოლა გზა ჰქონდათ.

ნათიას დიდი ხანია მხარი ეცვალა.

— უკან მივალთ?

— არა, წინ, სულ წინ! ასი კილომეტრის სიჩქარით! შენი თქმისა არ იყოს, ჩვენ ისედაც დავაგვიანეთ!

ნათიას კი სითბოსთან ერთად კვლავ დაუბრუნდა გაკენწვლისა და დავის უნარი.

— გადასარჩენია ვინმე?

— გადასარჩენია ქალბატონო! ქართული ტყეცა და ვგონებ „საგაისო დედოფალიც!“

— ლაფნიჰამიასაგან... ჰიებისა და ხოქოების მებრძოლო?

— დიას, დიას! უკვე გაგიგია! მოხარული ვარ!

— მაინც რასა სჯამს?

— სახელდობრ ნაძვის ლაფანს, მოიარებით კი ყველაფერს... მათ შორის „სანთლის ჰოხსაც!“

ქალის გამილაობას, ცოტა-ცოტა სიფიცხეცა და ცნობისმოყვარეობაც შეეპარა.

— საიდან გაჩნდა ასეთი „ხოქო-ვეშაპი“, ხისა და ხალხის მქამელი? იქნებ ესეც მითხრა, ხოქოთმხილავო?

გაგას თითქოს არც ესმოდა ეს ჩხვლელ-ტა-გაკილვა. ცალთვალა მანქანას მიაშუქებდა და მიაქროლებდა. არც დინჯ პასუხს აკლებდა ახალს ზიარებულს. — გაუქრქავ მერქანს შემოპყვა შორეულ ჩრდილოეთიდან... საკონტროლო ლაბორატორიები დაეჭურეთ, თავდაცვითი ყურადღება მოვაპლუნგეთ...

ახლა კი მოთმინება ამოუთავდა ქალს.

— შენ გზადაგზა მთელი კურსის წაკითხვას ხომ არ მიპირებ? მაშინ გამიშვი, ფეხით წაველ, მიჩვენებია! ანდა, რათავსატეხია — რამდენი ხოქოა ტყეში!

— ეს ხოქო რამოდენიმე მილიონ ნაძვის ხეს მაინც უზის, ლაფანს უღრღნის და ახმობს, სხვა რომ არაფერი ვთქვათ!

ქალს დიდი, აწეული საყელო, არც ერთ სიტყვას არ აკარგავინებდა.

— უჰ, რა ყოფილა! მამ დაღუპულა ბორჯომის ტყე. სხვა რომ არა ეთქვათ რა!

— არც ტყე და არც ხალხი, აგრე ერთი მოსმით არ იღუპება. სასიცოცხლო ძალა გააჩნიათ!

ქარი ჩადგა. თოვლი ახშობდა ხმაურს ქალის გამკილაობა თანდათან მიჩაღუნვა გაგას დინჯმა, ოდნავ შემკაცრებულმა კილომ... უფრო კი დიდმა, მყუდრო ზურგმა. ბოლოს კილოსაც მიეჩვია ქალი და „დიდზურგსაც“.

— მაინც ვიწრო, ტყიური სარბიელი გქონიათ! თქვენცა და თქვენს ლაფანქამიასაც!

ახლა კი გაგულისდა გაგა.

— ტყე განა მარტო ტყეშია! სამშობლოს ყოველ გზა-ჯვარედინზე დგას. აი, ჩვენი ბრძოლის ასპარეზი! მოდების სალონში, ან ტიკინების საყეთებელში ამის შესახებ აბა, რა თქმულა?

— მერმე ასე რატომ მიუშვით, ხოჭო-ჭამიებო, ლაფანქამია? სალონისა და ტიკინების იმედით დარჩით!?

— ნაცნობი მაგალითებით გეტყვი... ახალმოდურობა განა მარტო სალონებშია... მწერლობაშიაც, მეცნიერებაშიაც გვხვდება... წარმოიდგინე, სამეურნეო დარგშიაც... არც თუ ძლიერი, მაგრამ საერთო სენია!

— რატომ — სენი? ეს ხომ ყოველთვის სიახლეს ნიშნავს! ახალ კანონზომიერების პოვნას!

— ახალი — ახალმოდურობასთან ისეთივე შეფარდებაშია, როგორც თვალისახელა — თვალის მოკრასთან!

ვაჟმა გაზი მისცა ძრავას და ხიდი გუგუნით გადაიარა. ქარი სულ ჩადგა. მათს საუბარს ახლა მანქანის გუგუნის გარდა, ხელის შემშლელი არავინ ჰყავდა.

— ახლა ერთი შეკითხვაც მაქვს, ქალბატონო, და გულახდილ პასუხს ველი... მისმენ?

— არა, არა, არა! — გამთბარი ქალის გაბუტვა უკვე ნებივრობასაც ნიშნავდა. ვაჟმა ილღიებში ქალის დაკუმშული,

პაწია მუშტები იგრძნო. ახლა მას ქურჭი აღარ ეცვა და ქალის ყოველ მოძრაობას უფრო გრძნობდა. საერთოდ, გაგას მექანიკური ყურადღება გზისაკენ და მანქანისაკენ იყო მიპყრობილი, თორემ გულისყური წინაუქმოდ, ზურგისაკენ იყო შემობრუნებული.

...„აი, ნეტავ, მთელი სიცოცხლე ასე!“... მაგრამ არა, ილღიებში პაწია, მაგარ მუშტებს მუქარად გრძნობდა უფრო აწურვინებდა მკლავებს. უფრო უმჯობელებდა საუის გრძნობასაც და პირველ „საუბარსაც“.

ვაჟმა ცოტაც აცალა და, თუმცა გზა სრულიად თავისუფალი იყო და კარგადაც ჩანდა, საყვირი ძლიერად, გაბმით აახშიანა.

ქალმა გაშალა მუშტები... შუბლიც „დაუმატა“ ზურგს.

— მეყო! შენს აბეზარ საყვირს შენი სიტყვაც კი მირჩვენია! გისმენ.

საუბარიც აღმართს შეუდგა და გზაც. აქ თოვლიც უფრო ღრმა და გაუკვალავი იყო. ვაჟამ საყვირი გააჩერა და ბევრი იციანა.

— მივაგენ შენი ხასიათის ვასაღებს... ახლა დაპყარე ფარ-ხმალი, თუ არა? ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემს ზურგს უკანა ხარ!

ქალი კუმტობდა, მაგრამ მაინც გაეღიმა.

— არა, მე ზურგში მაინც არ ვიცი ჩარტყმა! ესეც ძველმოდურია, უკვე ზურგს უკან დარჩენილი!

— ნეტავ და ნეტავ! — ცოტა წაუჩუმა და უკვე ხმაჩაყლებულად უთხრა, — მამ ახალმოდურად უნდა გამსუვა სანაპიროზე? ჩვენ კი თავიდანვე პაექრული გზა გამოგვივიდა და მე მინდა ვიცოდე — რაიმეში დაგარწმუნე თუ არა?!

— ჯერ წერილებზე პასუხი!

— ესეც იქნება!.. ახლა ორმაგი საქე მიპყრია! საჩუბარში კი ჯერ სად ხარ?

— სახელდობრ, სად ვარ მართლაც არ ვიცი!

— ტაშისკარში ვართ!

— ტანისკარში?... კორტანეთიც სად-მე აქვეა?

მოსაბრუნებში მატარებელი მიჰქროდა. მისმა გუგუნმა სულ ჩაყლაპა სამბორბალას ხმა. ხოლო წყვეტილ-წყვეტილად ჩაქროლილმა ჩრდილმა გვიანი მგზავრები თავის ტვირთთან-მანქანიანად ერთ ლანდზე გააუჩინარა.

გაგა რკინიგზის ჭიხურთან შედგა ლიანდაგზე გადასავალი ღია დარჩენილ-და მისრეს.

— აბა, ეს რა დაუდევრობაა!? — გაწყრა გაგა.

— შენ გეხება?

— უწესურობის აღმოსაფხვრელად ყველას ყველაფერი გვეხება! მატარებლის კაშკაშა სარკმლები მოქნეულ ხმლებივით ელავდნენ ჰაერში.

რომ ჩაიარა, ახლა გაგამ აახშიანა საყვირი და არც მოეშვა, ვიდრე დაფეთებული მისრე გარეთ არ გამოახტუნა.

— რას ჩადი, მოხუციო! ხე რომ ლიანდაგზე გადმოვარდა, შენი ბრალი არ იყო მაშინ! მაგრამ ახლა? ხერგილიც ღია დაგრჩენია... მატარებელმაც ჩაგვიარა! თუ აღარ შევიძლია — პენსიაზე გადადი! სახიფათო დაუდევრობა კი არავის არ ებატება, მათ შორის მოხუცებსაც მით უფრო, შვილების მამას!

— არა, მართლა ჩაიარა? — დაბნეულმა მისრემ, ახლა დაკეტა ხერგილი და ლიანდაგს თვალი გააყოლა.

— აგერ მყავს „ცხოვრების მოწმე“, ჩემი თუ არა გჯერა! — გაგა მოტოციკლიდან გადმოვიდა, გვერდსაბმელის საბურავი მოსინჯა. ქალს შეესიტყვა:

— ცოტას დაებერავ! შენ კი გათბი ჭიხურში!

ქალს „ზურგი“ გამოეცალა თუ არა, უცხად დაჰკრა მტკვრისა და ხეობის ქარმა. ხერხემალშიც საშინელი დაღლილობა იგრძნო, თავიც უშქიძდა. როგორღაც ნიადაგი და მყუდროება ერთბაშად გამოეცალა. ქალმა შემკრთალ ფიქრია-ნად იგრძნო, რომ „ზურგი“ არ ყოფილა მარტოოდენ ზურგი!

— თუ მოწმე ვარ, ბოლომდე მინდა ვიყო, თუნდაც „გაყინულ მოწმედ“!

გაგამ საბურავის ბერვა დაიწყო. მისრემ ხერგილი გაუფხვრა და ჭიხურში შევიდა.

მაღევე დაიძრნენ. ქალმა ისევ აღადგინა ძველი მდგომარეობა აღარც დაჰფარა.

— კარგი ყოფილა დიდი ზუჯგი! ვაჟი, ალბათ, უფრო მეტს იტყოდა, მაგრამ დაირცხვინა და გაიტვრინა. ახლა ვზატკეცილზეც დახვდათ ხერგილი. ეს კი დაკეტილი იყო. ვზის პირას ხის სახლი იდგა. სარკმელში შუქი მიხატულივით ჩანდა.

გაგამ საყვირი აახშიანა და მიიძახა.

— საახალწლო ცნობა გამატანეთ, ცოცხელეტივებო! ვანცავ, შენც მისრესავით ხომ არ დაგვიძინა?

კარი უშალ გამოიღო. სითბო და ნაძვის შეშის სურნელი მოსწვდა ნათიას. ქალი გაინაბა. მისთვის უცნობი ახალი სამყარო საამო სურნელით ეგებებოდა.

ვანცაც გამოვიდა.

— მაინც მოასწარი? სამთვალა ექსპრესი გაქვს და ის არის! წლიური ცნობა ორი დღით ნაკლებ, წვერწიორას გადავეცი ელსმენით!

ვანცამ ღობეზე გადმოუსვლელად აუწია ხერგილი.

— ახალნაზარდ ნაძვის მკრელებმა შეგვაწუხეს! ესაო და, ახალი წელიაო!

— იფხიზლეთ! იფხიზლეთ!

ვანცამ გაგას უკან გალანდა მეორე ჩრდილიც.

— გახლავს ვინმე?

— ახალი თანამებრძოლია... სანთელიც ბლომად მოაქვს.

— შემოდით, გათბით...

— არა, ისედაც გვცხელა... მაინც მე ზურგი მეწვის! ჩემმა თანამგზავრმა ტყავი გამაძრო.

— ახლა ჩემი ნახე! შენი საკანდიდატოს ახალი დებულელები გადმომცა და-თომ. აბა, თუ ისიც არ დაგაწვევინოთ!

— შედავები?

— აბა არა?.. მე სხვა მაგალითები გამაჩნია! მეთოდსაც გედავები ნაწილობრივ! ხე-ხაფანგების იდეა კი ვაშაზე მო-

მეწონა! თუ გაგიმართლა, სწორედ ცალკე ძეგლის ღირსი იქნება!

— სადაო რაც გაქვს, ვთხოვ, წერილობით... არც დამინდო, ოღონდ საქმიანად და სახელდობრ, თორემ ზოგი უმისამართო წერილის კითხვამ მეც დამანია და მისი ავტორიც!

ვანცამ მხრები შეჰყარა:

— ახლა ვინ იცის სად უკაქუნებ! შენ ხომ უბრალოდ არ მოაბრუნებ სიტყვას!

— შენც კარგი გელიქეშა ხარ. ციყვიელეტიავ... რამდენი მოჰკალა!?

— ასს გადავაცილე! გეწევი! — მერმე უფრო გადმოსწია თავი, — ახალი თანამებრძოლი აღარ გამაცანი?

— საქმეში გაიცნობ... — გაგამ მოტოციკლი აამუშავა.

— მაშ, კეთილი გზა! — მაგრამ გაგას უკან მჭდარის ჩრდილმა გააკვირვა,

— ეს მაინც მითხარი, ქალია თუ კაცი? ამ ბნელაში ვერ გაგარკვევი!

— აბა, როგორ გითხრა... ვერც-მე... აზროვნების შემართების მიხედვით ვაქია, დასკვნების მიხედვით — ქალი! ისე კი, გულდარენილი ახალგაზრდაა!

მოტოციკლი მოწყდა ადგილიდან, თუთრ გზასა და ღამეს გაჰყვა.

— გელიქეშური გისწავლია... ღობის იქით ელაპარაკები — გზაზე კი ცვივა!

— შენ მასწავლე... ყოველი შენი სიტყვა და წერილიც — გელიქეშური არ არის!?

დაღლილმა ნათიამ აღარ გასცა პასუხი, საუბარი სხვაგან გადაიტანა.

— აქედან იწყება თქვენი ბრძოლა?

— დიას! ტაშისკარის აქეთ მძვინვარებს უხმაურო, მაგრამ შეუპოვარი ომი. დიდი ლაშქარი მეცნიერთა, მეტყვევთა, მცენარეულის დამცველთა, ტყის სხვა მუშაკთა და სტუდენტთა აქ ჩასანგრულა... ბრძოლა გრძელდება და, მე ვფიქ-

რობ, ჩვენ ბოლოს შევკამთ, მოვიწინებთ ხოქოს! ციყვსაც უნდა შევადგინოთ ვაი-მოწინავეთ, რომელნიც წამლობის შეუმომწმებელ იდეებითა და საშუალებებით უფრო ართულებენ მდგომარეობას! ზრდიან ზარალს! ბრძოლის დროს ამას დალატი ჰქვია!

მოტოციკლი უკვე ბორჯომის ქუჩებში მიგუფუნებდა. ნათია, მიუხედავად დაღლილობისა, მოიხიზლა წიწვნარსა, თოვლსა და ძილში ჩაბუზუნულ ქალაქით.

გაგა ლიკიანის გზას დაადგა ცოტაც და ტყე გალაჯანივით შემოადგა გზას.

ბნელ-თეთრში ჩაკარგული მტკვრის მსუილი ისმოდა და არც ისმოდა. ნათიას მოტოციკლის ხმაურით გაგუდული ჰქონდა ყურები... მაგრამ გაგას სიტყვა კარგად ესმოდა. შინაარსს კი ვეღარ ატანდა ძალას. დიდი, მძიმე დაღლილობა ხერხეზლიდან იწყებოდა და კვინიხში აღიოდა... მერმე, ქვევით გათანგულ ფეხებში თავდებოდა. დიდ საყელოში ჩარგული თავი კი დიდი ხანია გაგას ზურგზე იყო მისვენებული.

ლიკიანის იქით ვეება ნაძვნარის კორომი ცის კედლად იღვა.

ქალს უკვე ეძინა. ვაჟმა უკლო სიჩქარეს. მტკვრის ხილზე გადავიდა, ისევ გადასერა ლიანდაგი. აწ აღარც ჰობისხევის სატყეო იყო შორს. თუმცა გზის გაღვევა აღარც ვაჟს ეჩქარებოდა. ზურგს უკან, მთელი არსებით გრძნობდა „სანუჰვარ ტვირთს“ და, ვგონებ, ესმოდა კიდევაც მისი ბობოქარი სულის ძლივს მიუჩრებული და მიწყნარებული ფშვინვა.

ქვეშარიტად, ახალგაზრდობა არა მართო უძილო სიზმარია, არამედ ნაბობოქრევი, უსიზმრო ძილიც!

(გაგრძელება იქნება)

ოთარ ჩხეიძე

საღბმ რვალისა

„მიმტრალი შარავანდედი“

ის ხმა მეუცხოვა, ვინ შეგმატებით იმ ხმის პატრონიო, — ჰკითხა კირიონსა. კირიონმა ვერაფერი უთხრა ვინაობისა, — მოვიდა, თავშესაფარი გვთხოვა და შევიფარეთო, მერე იმისი სიტყვა აღარაღვისა სმენია, უსიტყვოდ ასრულე-ბდა სამონასტრო წესსა, უღრტვინე-ვლად, ერთგულად, მორჩილებითა; ერთ-ხელ დათვი შემოეჩვია ამ მიდამოსა, დიდ ონარსა სჩადიოდა, ვერავინ ვერ-საით მიუდგა, მაშინ კიდევ ამოიღო სი-ტყვა ძუნწი, თითქმის ჩურჩულით წარ-მოთქმული, ნება ითხოვა, დათვს დაეუ-ღარაჯდებო. ვუბრძანე, თოფი წაეღო, იუარა, მხოლოდ ხმალი გაიდო მხარზე. დათვი ასჩეხა და აღტაცება რომ ვერ დაეფარეთ, ვითომც არაფერი გაუგონია, იღგა, იღგა, გვიყურებდა გამომშრალი თვალებითა, მერე შეიკეტა სენაკის კა-რი. ერთხელ კიდევ გავიგონე მაგისი ლაპარაკი, მთხოვა, ძველ შუამთაში გა-ვალ განდევილადაო, გავერანებულა იქ-აობა ნადირთა სამეფოდ გადაქცეულა, ეგება ვერც ვერაფერი ვაფაწყო, მაგრამ ადამიანის სული რომ დატრიალდება მაინც სხვა არისო. და არის მას შემდე-გა, იქ არის განდევილი, დამდურებული. დადუმებული, ხანდახან ჩამოვა, აქ გა-ლობით მოითქვამს სულსა და ისევ ულ-რანს მიექცევაო.

დააფიქრა იმ კაცის ბედმა, უნდოდა ენახა, თვალი მაინც დაეკრა, ხმას თუ არ

შწერალმა ოთარ ჩხეიძემ დაწერა ვასილ ბარ-ნოვის ცხოვრების რომანი. ებუქდათ ნაწყვეტს რომანიდან. რედ.

გასცემდა. ახმოზინა, აქ აღარ არისო ძველ შუამთაშიც გაჰყვა კირიონსა, არც იქ დაუხვდათ. ვინ იცის იქაც იყო, არც გამოჩნდა. ვინ რას ეტყოდა, უღრანი შე-სეოდა ოდესღაც ძლიერ მონასტერსა, ფრინველთა თუ ნადირთა სავანედ გა-დაქცეულიყო სავანე ძმათა, სად ერის სასიკეთოდ იღვწოდნენ განსწავლილი ბერები. მხოლოდ წინაქარის ტაძარი იყო გაწმენდილი, კედლები შემოშენე-ბული, სახურავი აღდგენილი, ფრესკები გაკრიალებული, საკურთხეველი დალა-გებული, — იქ მართლაც დატრიალებუ-ლიყო სული ადამიანისა, ძლიერი სუ-ლი. უხმოზდნენ იმ სულსა, მაგრამ ექოს გამოსცემდა უღრანი, მხოლოდ გამოძა-ხილი უბრუნდებოდათ ან ალქი დახტრ-და ჩანჩქერებზე, თმებგაწეწილი ალქი კისკისებდა, დასცინოდა ამაო მძებარ-თა. ახალ შუამთაშიც ბევრი ვერაფერი აუწყეს — ხანდახან ჩამოვა, წირვისას შემოგვისწრებს, შემოიპარება აჩრდი-ლივითა, დამთავრებისთანავე გაჰქრება, გაჰქრება ისევ აჩრდილივითა; ვერ მოგვისწრია ვკათხოთ, რა უჭირს, რა უღზინსო.

მაინც შეხვდა, სწორედ იქა, ახალ შუამთის მონასტერში შეხვდა, ან უფრო კარგად რომ ითქვას, შეეფეთა ძლიერს. ბრიალა თვალებსა, ხშირი წარბებიდან გამოანათა იმა თვალებმა და მიიშალა. განიერმა მხრებმაც უცებ გაიღვა. ძლიერი კუნთებიც უცბადვე ამოინაქვ-თა ბერული ძაძის ქვეშა. მაშინ დედო-ფალ თინათინის მოსახსენიებელ წირ-

ვაზე იყო მიწვეული, კირიონი სწირავდა, კირიონმავე მიიწვია. კირიონმავე განაახლა ახალი შუამთის მონასტერი, ჩამოსწმინდა ავთა ხელით გადაღესილი ფრესკები და მოზაიკის იატაკს რომ აგებდა, გაჩხსნა დედოფლის აკლამაცია. გადმოცემით სამკვეთლოსა და ჩრდილოეთის კარებს შუა უნდა ყოფილიყო დედოფლის სამარხი. მართლაც იქ აღმოჩნდა, ოღონდ გაძარცვული, შეგინებული, ნაგვეით გამოვსებული. არც ელოდნენ სხვა რამ სიკეთესა, ჩვენშიც სხვაგანაც ყოველთვის ბევრი მტერი ჰყოლია დიდებულთა საფლავებსა, ფარაონთა პირამიდებიც გაუძარცვიათ, გადამალული აკლამებისთვისაც მიუგნიათ და გამოუცარიელებიათ. დედოფლის სამარხი ასე თვალსაჩინოდ, ზედ გზის პირას ვით გადაჩვენებოდა ამდენ დარბევებსა თუ შემოსევებში?! ფრესკებს მაინც რაღას ერჩიონენ, რაღა თხუნიდნენ. რად ასხამდნენ საღებავებსა, რა ჯავრს იყრიდნენ ან რა გულს იოხებდნენ! ყოველშემთხვევაში დასავლეთის კარების მარჯვენა კუთხის კედელზედ დედოფლის სურათიც გამოაჩინეს, იქვე — მეუღლე იმისი, კახთა მეფე ლევან პირველი და ძვი გიორგი... ჰპოვეს სურათიცა და სამარხიცა, გამოასუფთავეს, განაახლეს, დაკრძალეს ნეშტი და დააწესეს მოსახსენიებელი ყოველწლიურად ენკენისთვის 9-სა.

ჰო, მაშინ მოჰკრა თვალი იმ უცნაურ ბერსა, წინამძღვარი სწირავდა, გუნდი გალობდა, ის ხმა ისევ გამოირჩეოდა, ხმა სვედით სავსე, ძლიერი და გულშიჩამწვდომი. თვალით დაეძებდა იმ ხმის პატრონსა, თუმცა გუნდი მოსჩანდა, ის მაინც სვეტს მოჰფარებოდა; იფიქრა, სვეტს შემოვუღელი წირვა რომ მოთავდებდა, მოთავდებდა თუ არა წინ ვუყვლებო, იფიქრა და ასეც მოიქცა, მაინც გაასწრო, სურათიღა შერჩა ძლიერი, ბრიალა თვალებისა და ფართო, ვაკეცური მხარბეკისა. ნეტავი რა სჭირდა განდევნილობისა ამ სურათის პატრონსაო!? რა შემთხვევოდა, რად აეყარა გული ცხო-

ვრებაზე? რად მორიდებოდა ყველას თვალსა, სტევენოდა თუ სძულდა ადამიანი? ვითომ რა უნდა ყოფილიყო შუაში, ან ბრალეული რა უნდა ყოფილიყო? — ენება ხომ არა?! ჰა?!. ვინ იცის სწორედ მიეგვლია, მაგრამ ფიქრი არ დაეძებეს, კირიონი დედოფალ თინათინზე ლაპარაკობდა, ბერებსაც თინათინი ეკრათ პირზე, სტუმრებსაცა, ახლად გახსნილიყო წყლული, აკლამა რომ გაძარცვული დახვდათ, ატმის კურკებითა და სხვა ნაშუსრევით რომ ამოევსოთ, ის ალეღვებდათ, ცხადია ისიც ამაგრძნობამ აიყოლია, აიყოლია და ჩაიბნევა, საფიქრელად ღირდა ბედი თინათინისა, ჰგავდა რაღაც ამოსაცნობსა და ამოსაცნობმა რომ ჩაითრია, თუ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, თითქმის მიუყრუვდა იმ უცნაური ბერის კითხვანი. მერე სწორედ იმან უშველა, მაგრამ მანამდის, ჰო, მანამდის კინალამ დაიბნა, დაინავსა, დაიშაშრა.

მაშ რაო, აღარა შორდებოდა სახე თინათინისა, თინათინის ბედი აღარ ეხსენებოდა, ხოლო ნასკვი ვერ ამოეღო, ვერა და ვერა... ახალგაზრდა გარდაიცვალა. სული განუტევეა გაუმაძღარმა სიცოცხლითაო. ლევან მეფეს დაეთანამცხედრა თუ არა, იწყო შენება შუამთის ტაძრისა, ახალი შუამთისა. თავის აკლამად იმზადებდა, არ უნდოდა დაეკრძალათ სამეფო აკლამაში, არ უნდოდა მეფის გვერდითა. უნდოდა შორსა ყოფილიყო სამეფო სამარხთაგან, თანამეცხედრის სამარხისაგან შორსა. მაშ სულიერად აღრევე გაჰყროდა, გაჰყროდა და კიდევაც გამოეცხადებინა, ასე გადაკრითა, ასე იგავდა, ცალკე დამკრძალუთო, შუამთაშიო. მალე გარდაიცვალა და ნება აღტსრულებს, დაკრძალეს მარტო, ქმარი გვერდით არ მიუხვეწეს, ოღონდ სურათი მაინც მიუხატეს გვერდითა. ეს თუ შთამომავალთა ნაქმნარი გახლდათ, იქამდის როდიღა გაჰყვებოდა ნასკვთა ამოღებასა, საადვილოც რომ ყოფილიყო, არ გაჰყვებოდა, მთავარი ნასკვი წინ ეღო და ის უნდა გაეხსნა. რად გაჰყრო-

და სულიერადა?! — აი სად იღო ნასკვი მთავარი. ისტორიკოსები მიუგებდნენ დაუყოვნებლივ: „რამეთუ იყო ლევან კაცი მეძაიე“. ანდა — „რამეთუ ლევან იყო სიძვისა და მრუშების მოყუარე“. ჰო დაუყოვნებლივ მიუგებდნენ — მეთქი, ან რა დაუყოვნება უნდოდა, პასუხი იყო ნათელი, სარწმუნო, ბეჭითი, ამაყი ქალი ვერ აიტანდა დაღატკმეულისა, რათქმაუნდა ვერ აიტანდა; ისტორიკოსისათვის ნათელია, მეტიც არ უნდა ისტორიკოსსა, ისტორიკოსისათვის ამოხსნილა, გარკვეულა, გაშუქებულა, ხოლო იმისთვის ნასკვად დადებულა, სწორედ ეს დადებულა ნასკვადა. მეფის გვერდით არ დამპარხოთო, საჭაროდ განუცხადებია დედოფალსა, განუცხადებია და განა ეს მხოლოდ სიამაყე იქნებოდა, სიამაყე თუ ამბოხება სულისა, ამბოხება ძლიერი სულისა, ამბოხება ღონიერ სამეფოში, წარმატებული მეფის თვალწინ გამარჯვებით დაგვირგვინებული, დაგვირგვინებული იმისივე ხელისშეწყობითა, — ნასკვია, მამ რა დარდუბალაა, ნასკვიცაა და იმაზე უარესიცა! ისტორიკოსს შეუძლიან გადაირბინოს, ააშენა და დემარხაო, მერე აღარა სცხელა თინათინისთვისა, — რთული ამბები აქვს ვასარკვევი, გადასარჩევი, — აქეთ შინაგანი ბრძოლა გავრთიანებისათვისა, იქით მომძლავრებული აღმოსავლეთი, აღმოსავლური ინტრიგები თუ ხლართები, რომ უფრო დაეშალათ ისედაც დაშლილი სახელმწიფო, დაეძაბუნებინათ გადაეყლაპათ ერთბაშად. ამის გადმოცემას ეშუტრება ისტორიკოსი, ჩქარობს, სწრაფობს საამისოდ, დედოფალმა ააშენა და დაემარხაო, რომ მოგახსენა, ისიც ბევრია, მართლაც ბევრია, რა ვუყოთ თუ მხატვრისათვის მცირედა ქცეულა! ო, რა მცირედა, ნამცეცადა, ძლივს დასანახავ ნამცეცადა, — სჯობდა ესეც არა თქმულიყო, მაგრამ ითქვა, სამარხიც გაიხსნა გამარცხული სამარხი, სამარხი გაიხსნა და ნასკვი დაიღო, — როგორ ამბოხდა, რისგან იყო, რამ აშალა, როგორ აშალა, რა ძალით, რა მძულვარე-

ბითა?! რაც უნდა ყოფილიყო, ვენება იქნებოდა სათავე ყოვლისა, ჰა?! ისტორიკოსებიც ზომიერად მისულიყვნენ, თითქმის მისულიყვნენ, თითქოს ვერც გასცილდებოდა ისტორიკოსთა, — სიძვისა და მრუშების მოყვარე იყო ლევანიო. მაგრამ ეს მაინც ვენებად არ ითქმის, ყინად ითქმის თავშეუყავებლობადა, თუმცა ვენბაც ეგების იქავე გახლდათ, მიდარაჩებულო, მიყურადებული, — ვინ იცის, მეფეს სახელმწიფო ინტერესებით მოჰკვარეს დედოფალი, სხვა უყვარდა, სხვისთვის უცემდა გული, სხვისთვის ანთებულებოდა და დაუსვენს დედოფალადა, სხვა დაუსვენს და ვერ ეუარა, ვერ ეურჩა, ბრძენი იყო და ასე გაოჰრა გონებაში, გონებას დაჰყვა, მაგრამ ვერ გაინელა მხურვალეობა გულისა, გონებას დაჰყვა, გული ველარ დაიყოლია, გონებას დანებდა და ეურჩა გრძნობა, მძაფრი სურვილი არ დამორჩილდა ლოგიკურ შედეგებსა; გარკვეულად თუ დამორჩილდა წესსა და ადამისა, ეკლესიასა, საქიროებას სახელმწიფოისა, შინაგანად ჯავრი იყარა, ყინს აედევნა, უნდოდა ყინით დაეჩაგრათ უტეხი ვენბა, თავშეუყავებლობით დაეცხრო ქარცეცხლი ვენბისა... თითქოს ნასკვი უნდა გადახსნილიყო, მაგრამ აქ ზომ ლევანი იქცეოდა მთავარ გმირად, — იქცეოდა და ყოფილიყო, ესეც ამბოხი გამოვიდოდა, თვით მეფის ამბოხი, — მეფე მეფის ურჩი, ორი ძალა ერთ არსებაში. მომზობლავი იყო, ლამის გადაშლილიყო სახე თინათინისა, თითქმის უნდა გადაშლილიყო, მაგრამ ერთი რომ მიეფარა, უცებ ისეც გამოაშუქა უფრო მძლავრადა, უფრო მძაფრადა, მრისხანედა, მეფეზე ზომ იძია შური, — იძია, თითქოს იმის თანამგრძნობელთაც ემუჭრებოდა. თუმცა შუამთის ხელოვანს ასე მრისხანედ როდი გამოეხატა, არა, მრისხანება რა სათქმელია, სათნოებით აღვესო, სათნოებითა და მოწიწებითა, ოლონდ დაკვირვებული თვალისათვის სხვა რაღაც გამოსჭვივოდა, კიდევ სხვა რაღაცა იღუმალი და ბობოქარი. თვა-

ლიც აღარ იყო საჭირო, სული განიცდიდა რაღაც იდუმალსა, შემაშფოთსა. სული იწყებდა თრთოლვასა და თვით მიიწევდა შორით შორეულის მოსახზრეკადა.

შორით შორეულისა და მახლობელისა, — იქვე მოსჩანდა, იმა ფერდობზე: მოჰყავთ ასული გურიელისა, კახეთს მოჰყავთ დედოფლადა. მძიმეს გზას დაუღლია ნაზი ასული. კარავი დასცეს შუამთასა. მოისვენა გურიელის ასულმა, მოისვენა და ვერც მოისვენა, ასწია კალთა კარავისა, კალთა ასწია და თვალში ეცა თეთრი შინდი, თეთრი შინდი ეცა თვალში და აუცხადდა, სიხმრად ნანახი. ნიშნობამდის იხილა სიხმრად, ასევე იხილა თეთრი შინდი ანთებული სხივთა არილში. მაშინ ხმაც მოესმა, — „შეგირთავს მთავარი ვინმე, და მისვლასა შენსა აღვიღსა ერთსა, და მუნ იქნება შინდი თეთრი ერთი. და უშენე მონასტერი ერთი დედასა ღმრთისასა“. იმ ხმას მისდევედა და აი იხილა ბოლოს წმინდა ადგილი. ამ ხმას გამოჰყვა, ამ მოწოდებასა და ვინ უწყის, რა ცხოველ გრძნობას ეკვეთა, შეება, შეეჭიდა, ვინ იცის, ვინ დარჩა იქა. ვინ იცის, ვინა, ვინ მოჰგლიჯეს გულიდანა; პო, მოჰგლიჯეს და მოჰგლიჯა არა მხოლოდ იმა ხმამა. გურიელის სასახლემაცა, — დასავლეთისა და აღმოსავლეთის ამ შეკავშირებაში უთუოდ იყო ფიქრები ერთიანი საქართველოსი, ერთიანისა, განუყოფელისა, შეუღელისა. დიცხელი გრძნობა უნდა შესწირვოდა ამა ფიქრებსა. თეთრი შინდი და მონასტრის შენება მხოლოდ სიმბოლო იყო. სიმბოლო და ღვთაებრივი გამართლება მიწიერი ზრუნვისა. მაგრამ აქ მხოლოდ გონება მძლავრობდა და გრძნობას თუ სჩაგრავდა, ვერა ჰკლავდა ვნებასა ვერცა მეფისა, ვერცა დედოფლისა და ერთი თუ მრტუშებით ინელებდა გულის ცეცხლსა, მეორე იგივეს იქმნოდა მონასტრის შენებითა; ერთი ბიწიერებას ეძლეოდა, მეორე ღვთაებრივ ამბლებასა, ოღონდ მიზეზი ერთი ჰქონდათ, ერთი და იგივე, ორივე შესდ-

გომოდა ღალატის გზასა, ეკლესიისთვის ნაქურთხი კავშირის გამოებასა.

დედოფალს რომ სათნოება ჰქონებოდა, გარეთ როდილა გაიტანდა ოჯახის ტრაგედიასა, — ვალდებულიც იყო, დედოფალი ვახლდათ, სათვალსაწინო ვახლდათ სამეფოსი. გონიერება ასე განსჯიდა, მაგრამ ხომ მწარედ იწენია ერთხელ რომ აჰყვა გონების კარნახსა? თუმცა, მოიცა... სათნოება რომ ჰყოფნოდა, დაფარავდა-მეთქი, დაფარავდა და განსაკუთრებულ სასუფეველსაც დაიმკვიდრებდა, — ხომ აიგო ტაძარი ზეგარდმო ხმამ ჩამავნათ, იქ უნდა დავიკრძალო, სხვაგან არ გამიშვებს ივი ძახილიო. ასე შეეძლო დაეთარნა განხეთქილება, მეფეს გვერდით არ მიუსვენებდნენ, კახთა მეფეებს თავიანთი სამარხი ჰქონდათ, თავისთავად გაიყრებოდნენ, განშორდებოდნენ, რახან ერთმანეთი ვერ აეტანათ ვერც საქაქოსა, ვერც საიქიოსა. აღესრულებოდა წყურვილი სულის, დაიფარებოდა განხეთქილება მეფის ოჯახისა. ასე განსჯიდა ნათელი გონებაი. მაგრამ რომელ განსჯას გაუძლია თუ აუშვია ვნებასა, აუშვია, აუწყვეტია, აუგლვჯია?! რომელ გონებას გაუძლია?! თუმცა ერთხელ ხომ იმძლავრა გონებამა: უყვარდა, დასთმო ან დაათმობინეს. სადედოფლო გვირგვინისაკენ წამოესწრაფა. მაგრამ ეს მხოლოდ საგზაუღოა. ან რად უნდა იყოს საგზაუღო, რად არ უნდა ითქვას სადასტუროდა, — გონება როდი, მაშინაც ვნება გაიმარჯვებდაო, გონება ვნებას შეეჭიდებოდა და იმძლავრებდა ვნება პატივმოყვარეობისაო. ეპეი, ნაზო არსებაე, ჰაეროვანო ასულო, სუსტო დედოფალო, რაოდენი მძლავრება ყოფილა შენში, რაოდენი ეშმაკობაცა, — ვიხილე, მესმა მოწოდება ზენაარსისაო.

კარგი ხერხი იყო, მარჯველ მიგნებულისი, მრავალნაცადი, ყველაფრის გამართლება შეიძლებოდა, ყველაფრიდან თავდაღწევა მოხერხდებოდა. აკი კიდევაც დააღწია თავი პირველ სიყვარულსა? ან კი იყო იქ სიყვარული?! ეგება მხოლოდ

აღსილიყო ვნებითა დიდებისა, ეგება მხოლოდ ამ გზას დასდგომოდა, ეგება ბევრად მარტივი გახლდათ იმისი ბუნება? არაო, — გაიქნია თავი, შემოიბერტყა ეჭვი, იყო, უსათუოდ იყო დიდი სიყვარულიო, ცეცხლოვანი, ქალწულებრივიო. იყო ვაჟკაცი ვინმე, მშვეენება გურიელის სასახლისა, უებრო მეომარი, უებრო მოჭირითე, უებრო მომლხენი, სული და გული სამთავროსი, სული და გული ყველა საქმიანობისა, სამხედროსი, სამეურნეოსი, დიპლომატიურისა, სული და გული გურიელის ასულისა, რაინდი მისი. აბა მაშ ვისი?! და შესაძლოა რაიმე შემთხვევამ სამუდამოდაც დააკავშირა ორი მგზნებარე გული; ჰო, შესაძლოა ცხენმა გაიტაცა გურიელის ასული, სადაც წაართვა და გაიტაცა, დაიბნენ მზღებელნი ან ვეღარც მისწვდნენ, ცხენი უფსკრულს უახლოვდებოდა; დაბნელდა ყველაფერი, გათავდა ყველაფერი. და უცებ ვიღამაც თავს დაუბრა, უცებ ვიღამაც აგლიჯა უნაგირიდანა, ცხენი უფსკრულს მიეცა, ის აქეთ შერჩა, შერჩა რვალის მკლავსა, წელს რომ შემორტყმოდა; ხსნად შემორტყმოდა ოღონდ სწვავდა, სწვავდა საამოდა. ეგება მოხდა ასეთი რამე, ჰა, ვინ იცის?! იოლი ლიტერატურული ხერხია? იყოს, იყოს მაინცა, მთავარი ეს ზომ არ არის, აქედან ზომ არ იწყება, რომანი, აქედან მხოლოდ გვირის მგზნებარება იწყება, გზნებას უთუოდ შემთხვევა უნდა, და შემთხვევა რაც უფრო მოულოდნელია, ამშლელია მით უფრო მღელვარ გრძნობათა. ხსნა მაინც სხვა რამე ყოფილა, ყველაზე მეტად დამაახლოვებელი, მიმჭაქველი რამ ყოფილა მიმჭაქველი, ადამიანთა. ოღონდ თითქოს ჩაირღვა რგოლი ჯაჭვისა, თითქოს გაკრილდა რვალის სალტეცა, მანამდის ეგონა ზედ მარტყია, ცეცხლი მინთიაო, მაგრამ დიდების ვნებამ შეაგრილა, მი-აყუჩა ის მხურვალეობა. ლანდათ მაინც წაპყვა დიდების ვნებასთან საბოლოო ომის გადასახდელადა და მოხდა ეს

ომი, დიდი, ფიცხელი, მოხდა მეფე-დედოფლის შეყრისთანავე. **ეჭვიანულნი**
 აქედან დაიწყება რომანი. აქედან ეგება იმისი საკუთარი ნაწარმოები, მანამდის ყველაფერი ისტორიისაა, ცნობილია ისტორიკოსთათვისა; ზოგი ცნობილია, ზოგი სავარაუდებელი, საგულისხმოა ძუნწად გადმოცემულ სტრიქონთა შუა. ამის შემდეგ უკვე სხვა არის, აქ ისტორია ვეღარაფერს ეტყვის. უნდა იმარჯვოს შემოქმედის გუჟანმა. გონების თვალმა, განცდამა, ყველაფერმა, ყველაფერმა, რასაც კი შეუძლიან ახსნას იღუპალება ვნებისა. ჰოდა, მოხდა ფიცხელი ომი. არც მეფე იყო მარტოდმარტოდა, არც მეფე გახლდათ გაწუცდელი, იმასაცა სწვავდა, სწვავდა ბრიალი თვალთა. ვისთა თვალთა, ჰა, ვისთაო? — თუნდაც შამხალის ასულისა, მეორე ცოლად ხომ ის დაისვა; ეგება ადრეც ეხილა, სადმე მთაში ნადირობისას თუ შამხალთან მოლაპარაკებისას, ნადირობა დაედოთ საბაბადა, — სულერთია, ადრევე შეხვედროდა, ეხილა იმისი კისკასი, სილაღე, იგრძნო სწრაფვა. სწრაფვა წმინდა, ვითარცა წყარო მთისა, უშუალო, როგორც მწვერვალები კავკასიონისა. ჰო, მეფეც არ იყო განუცდელიო და ორივე იძალა ამ დიდ ომშიო, — არ იკურთხა იგი კავშირი უგულოო, ორივე დაეცა, ორივე დამარცხდა, გარდახდა ომი, სადაც იყვნენ დამარცხებულნი, ზოლო გამარჯვებული არა.
 ცივი სარეცელი დასტოვა მეფემა, არ იქნა, არ ვათბა, აღარა ვათბა, ცივი იყო დედოფალი, ცივი, გაყინული, სწვავდა სალტე რვალისა და მეუღლისათვის გაცივებულისა... ტოლათსოფელში კურდღელა რომ უყვებოდა ეთერინასა, რაღაც ამგვარსაც გამოურეგდა ზოლმე. მაშინ არ ესმოდა. ამოუცუცქდებოდნენ აქედან ისა, იქიდან ქიტეი, შეპყურებდნენ თვალდაჭყეტილნი, შიშატანილნი; ჰო, მაშ რაო, — გარეთ ქარი წიოდა, ზუოდა, გრიალებდა. ეს ის კუდიანიო, ამბობდა კურდღელაი, ის არის, მურმანს ფეტვი რომ გაატანაო. მურმანმა ეთერს

შეაყარა ფეტვიო. ფეტვი შეაყარა და ერთნატივლმა აიტანა ქალი, ერთნატივლმა აიტანა და გაცივდა, გაცივდა და ჩაჯდა ბროლის კოშკშია. ბროლის კოშკი ყინულის კოშკია, ყინულში ჩაჯდა ყინულის ქალი და იმის შემდეგ კაცი აღარაფერი იყო იმისთვისაო. ბროლის კოშკიდან მხოლოდ აბესალომისათვის გამოვიდოდა, კიდევაც გამოვიდა, მაგრამ სწულსადა მიუსწრო და თან გადაჰყვაო. აბესალომისთვის გაჩენილიყო. სიცოცხლე იმისთვის უნდოდა, ანთებულიც იმისთვის იყო; აბესალომისთვის ანთებული ყინულიყო მურმანისთვისა... ჰქროდა ერთნატივი ქარი, ციოდა კურდღელსა ქოხში და ეგონა ის იყო სიცოცხლე, ისევე სციოდა ეთერსაცა, ეგონა და ეცოდებოდა. ისევე ეცოდებოდა ეთერი, ეცოდებოდა თინათინიცა, — ვერ გაეთხოვო სარეცელი შეფისა, ვერც გაათხოვდა, წელს მოვლემოდა სალტე რვალისა, დაიხედავდა, მართლა ზედ ზომ არ მართკიო. და იჯდა ბროლის კოშკში, იჯდა და ებრძოდა თავსა. ეთერმა ბრძოლა რომ იცოდა, შეაქრყოლა და გაცივდა; გაიყინა, გრძობა იყო ხალასი, უშუალო, ბუნების შეილი, პირველყოფილი ბუნებისა, შეუბღალავი, შეუღალავი, ხელშეუხებელი და შეეხო თუ არა ხელი, ყინულად იქცა. თინათინი ქრისტიანული დროის შეილი გახლდათ, სწამდა ეკლესია, ჯვრისწერა სწამდა და ცდილობდა შებრძოლებოდა მაცდურ ვნებასა, წინ უდგა ეკლესია, წინ უდგა რწმენა ყოველსაშემძლე მსხნელი ყოველისა, ოღონდ მანამდის ეგება დიდებას დაეცხრო ის სიყვარული; თუ იქნებოდა დედოფალი ერთიანი, განუყოფელი საქართველოსი. ეგება შემომსხვრეოდა სალტე რვალისა, სალტე მცხუნვარე, სალტე მწველი, შემომსხვრეოდა, შემოწვევებოდა, შემოგლეჯოდა...

ასე შეიწნა ისტორიული და მითოლოგიური, ასე ამოიკვეთა სახე თინათინისა, რელიგიაც ზედ შეინასკვა და მთლად გამონათდა, გამოაშუქა დედოფლის ტანჯულმა სულმა. ბიბლიიდან ან-

გელოზი აჰყვა დედოფალსა, ანგელოზი სიყვარულისა, ერთგულუბნისა და დედებისა, ანგელოზი და სატანისებელი მაგონებელი დალატისა, პატრიმოცვარეობისა, დიდებისა. სასთუმალთან დაუსხდნენ ორივენი, სულში ჩაუსახლდნენ და იმსგავსეს. ორად გაიყო არსება დედოფლისა, სახეც ორგვარი ჰქონდა ანგელოზისებრი, სატანისებრი; ხან ორივესა ჰგავდა ერთდროულადა, — ეს მაშინა, ძლიერ ქიდილში რომ მოქცეულიყო, ხან ანგელოზს დაედრებოდა, — ეს მაშინა, ანგელოზისებრი რომ დასძლევა იმის სულსა, ხან სატანა იყო გამოცხადებული, — ეს მაშინა, სატანური რომ დაეუფლებოდა. თანდათან უფრო ითლებოდა იმისი სახე, თანდათან სატანას უფრო ემსგავსებოდა, აღარა სცილდებოდა სატანური და ღვთიშობელს მიმართა, ღვთიშობელი იხმო მხსნელადა. მართო ბრძოლა აღარ შეეძლო.

ასე იღვსებოდა ხასიათები, ედგმოდათ სული, ვინ იცის სულ სხვა სული, ვიდრე სინამდვილეში ჰქონდათ. ქართლის ცხოვრების ცნობები ასე მიაქანებდა, ისტორიკოსი აქეზებდა საამისოდა და მერე ყურადღებას როდიდა აქცევდა ისეთს რაიმეს, რაც ამოავლენდა ამ სადინარიდანა, აინუნშიც აღარ ივდებდა, ნანამდვილევიც რომ ყოფილიყო. აი თუნდაც ამაზე ნანამდვილევი რაღა იქნებოდა, შუამთის კედლის მხატვრობა რომ არის, ის სურათი, მონასტრის გვემისაკენ თანხმობით რომ გაუწვდიათ ხელი დედოფალ თინათინსა, მეფე ლევანსა და ძეს იმათსა, უფლისწულ გიორგისა. ამ სურათის ჩამოწმენდა დიდ ჯაფად დაუჭდათ ბერებსა, მონასტრის დადგენილებაშიც ჩასწერეს, სტუმრებსაც მოუთხრობდნენ თუ რა იღონეს, როგორ გამოაჩინეს, ყველაზე მეტად ქლიავის წვენი გამოგვადგაო, იმითი გადაწმინდეთ ზედ გადასმული საღებავებიო. მოუთხრობდნენ და ისიც აკვირდებოდა ნახატსა, ხაზთა სისწორესა, ჯერათა ზომიერებასა, სხეულის წონასწორობასა, მხატვრის ვინაობის გაგებაც უნდოდა,

მინაწერებს დაეძებდა, სხვა ფრესკების გამოჩინებასაცა ნატრობდა, ხოლო შემდეგ და შემდეგ, სხვისა რა მოგახსენოთ, ოღონდ იმ სურათის გახსენება აღარ უნდოდა, არ უნდოდა რადგან სხვა რამ გამოდიოდა, იმის ფიქრთა საპირისპირო რამ გამოდიოდა, ის გამოდიოდა, რომ მეფე, დედოფალი და უფლისწული მონასტერს აშენებდნენ თანხმობითა, სიამტკბილობითა, ერთსულოვნებითა. სად ეს ერთსულოვნება, სად ის ანდერძი, ჩემ ქმართან არ დამასაფლავოთო, — ის ერჩივნა, იქ იყო თესლი შემოქმედებისა, იქ იყო თესლი კეთილი ნაყოფისა, ეს უთანხმობა, ის სულიერი ჭიდილი უყობდა, რა თავში იხლიდა ამ სიამტკბილობასა! ბერებს ტყუილად გამოედოთ თავი, ბევრი ვიწვალეთო, ამოდ გამოედოთ თავი, ამოდ ელოდნენ იმისგან ხობტასა, — ნეტავი ვის უქია ხელისშემშლენი, რაც უნდა კარგი რამ ჩადინოთო?.. მაინც თავაზიანად ეპასუხებოდა, შეკლმოდა, შეეძლოთ ქებად მიეთვალათ ის ღმილი, მადლობაცა, რადაც უნდოდათ იმად მიეთვალათ, ხოლო ის თუ მაინც აკვირდებოდა ნახატსა, კომპოზიციას როდი იტაცებდა, არა, ცალცალკე სჩხრეკდა, ცალ-ცალკე სინჯავდა, ცალკე მეფესა, ცალკე დედოფალსა, უფლისწული სულაც არ უნდოდა. თინათინი სხვანაირი უნდა ყოფილიყო, ძლიერი, შეუპოვარი, მდგარი ქალი, რომელმან განიცადა თუ არა დალატი, დაჰგმო ყველაფერი, დაჰგმო შეილნიცა, ნაყოფნი გაცრუებული სიყვარულისა. აქ, მხოლოდ აქ უნდა მიახლოვებოდა დედოფალი მედეასა, ერთი წუთითი უნდა დაახლოვებულიყო ორი პრისხანე ქალი, ერთი სიყვარულშეგინებულ, მეორე ისა, ვინც ვერადავერ აიგო სიყვარული, ის სიყვარულის მარცხიანი მშენებელი, ბოლოს მონასტრის შენებაზე რომ გადადგა.

პო, უფლისწული არც უნდოდაო, არ უნდოდა ესოდენ მოწიფული უფლისწული, არ უნდოდა და ქართლის ცხოვრებაც არ აძალბებდა, იქ ასე ეწერა: „შეა

ორი ძე: ალექსანდრე და ვახტანგ“. ერთგან ასე ეწერა, მეორეგანაც: „ხოლო შეა ამან გურიელის ასულმან თინათინი ძენი ორნი: სახელი ერთისა მის ალექსანდრე და მეორისა მის ვახტანგ“. ეს გიორგი საიდანა გამომტყვრალიყო? იქვე ეწერა, ლევანს შამხალის ასულისაგან მიეცა ძენი: გიორგი, ელმირზონ და ჭიხოსროო. აჰა, გიორგი! მაგრამ თინათინის გვერდით რა უნდა შამხალის ასულის შეილსა?! გასარკვევი იყო, ექვება ბადებდა და საეკველს თუ ჩამოკვეებოდა, დაემსხვრევოდა ჩანაფიქრები, დაეფშვებოდა, დაენგრეოდა ძირფესვიანადა. მერე გამოირკვა, რომ ლევან მეფის სახლობა ნათლად ვერ წარმოედგინათ ქართლის ცხოვრების ვარიანტთა ავტორებსა; რომ ლევან მეფისა და დედოფალ თინათინის პირშშო ძე მართლაც გიორგი ყოფილა, მერე იესე, მხოლოდ შემდეგ — ალექსანდრე და ვახტანგ; რომ პირშშო გიორგი მამის დავლებით ქართლის მეფე სიმონს მიშველებია სპარსელებთან ომში და იქ დღუბულა (1561 წელსა); რომ იესე, მომდევნო ძე, ლევან მეფეს მძევლად გაუგზავნია შახის კარზედა და მხოლოდ ამის შემდეგ ბოძებია პირშშოს უფლებები ალექსანდრესა; ლევანის შემდგომ მეფედაც ის დაბძანებულა, წვრილწვრილ ამბებს ამიტომაც თუ აღარ ჩაპყლიან ქართლის ცხოვრების ავტორები, — მამის მემკვიდრეობა ალექსანდრემ მიიღო და იგივე აღიარეს პირშშოდაცა. იმანაც ალექსანდრე დასწერა პირშშოდა, იმისმა თინათინმა ალექსანდრეს შეაღია პირველი დედობრივი სიყვარული, ოჯახური სიმტკიცის აღორძინება სცადა იმა სიყვარულითა. თურმე ალექსანდრე კი არა, გიორგი უნდა დაეწერა... მაგრამ უკვე გადავლილიყო ის ხანი, გამოძიებული იყო ის მწვავე ფსიქოლოგიური მდგომარეობანი, შექმნილიყო ძეგლი „მიმქრალი შარავანდედისა“ და დასაბუთებულ ისტორიულ ნარკვევებს გულდინჯადლა კითხულობდა; ასევე გულდინჯად შეეძლო შეეხებინა იმა სურათი-

სთვისა, ლევანს, თინათინს, გიორგის ერთსულოვნად რომ გაეშვირათ ხელი იქვე გამოხატულ ტაძრის გეგმისკენა, ველარაფერი შეუშლიდა ხელსა, უკვე დაეხატა სულიერი განხეთქილება, დიდი სულიერი ბრძოლა, უმკაცრესი ოჯახური ყოფა, უმძაფრესი უთანხმოება, კიდილი ვნებათა.

ქართლის ცხოვრების ცნობებს ეგებ სამამისოდ ვერც წაეჭეზებინა შთაგონება მწერლისა, იქ ხომ ის ეწერა, რომ არ ისურვა ქმართან დაკრძალვა, რამეთუ იყო ლევან კაცი მრუში და მეძაგვიო. აქედან სულ სხვა ხასიათები უნდა გამოსულიყო, სხვაგვარი, სხვანაირი თუ არა ვახუშტის „ისტორია“, სადაც უფრო შკაცრად იყო დახასიათებული მეფე ლევანი და ისიც იყო ნათქვამი, აღარ ისურვა იმასთან ცხოვრება დედოფალმა, განშორდა, მონასტერი ააგო და „იყოფოდა მუნ სიკუდილამდე“. ეს ამჯობინა, ეს დაიხვია ხელზე, აქ უფრო მეტი იყო ვნება, ბევრად მეტი, გაეყარა, დედოფალი მეფეს გაეყარა და დასახლდა მონასტერში. თუმცა თინათინის მონაზვნად აღკვეცისას არას ამბობს არცა ვახუშტი, მაგრამ მერე რაო, ან ასე დახუსტება ვითომ რა ბედენაა, როცა სწერია, იყოფოდა მუნ სიკუდილამდეო. მწერლისათვის მართლაც არ არის საჭირო, მწერლისათვის ეს უკვე საბუთია, ხოლო ისტორიკოსისათვის არა, მწერლისათვის ეს უკვე საფუძველია წარმოსახვისა, ხოლო ისტორიკოსისათვის ახალი თავსატეხი რამ. — მართლაც და რა ჰქნა, რა ჩაიდინა, აღიკვეცა თუ არა მონაზვნადაო. ქართლის ცხოვრებაში სწერია, აღაშენა ეკლესია შუამთისა და დაადგინა იქ მოძღუართა-მოძღუაროო. რახან ეკლესია აღაშენა და იქ მოძღუართა-მოძღუარი დაადგინა, იქვე ველარ იქნებოდა მონასტერი დედათა. როდემდის გასძლო იქ მოძღუართა-მოძღუარმა, ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ შემდგომ ხანებში ალავერდის ეპისკოპოსი ითვლებოდა შუამთის მონასტრის წინამძღვრადა. ვასილის დროსაც ასევე იყო,

ალავერდელი წინამძღვრობდა იმ მონასტერსა და ბერები ცხოვრობდნენ იქა, ბერები და არა მონაზვნები. მაგრამ აბა ეს რაში გამოადგებოდა და ყური მოიყურა, ყური მოიყურა, თვალიც დაიბრძინა, ახალი შუამთა სამონაზვნოდ დაიდგინა, ძველი შუამთა — საბეროდა ანუ საგანდევლოდა, ასე უჯობდა და ასედაც დაიდგინა, ასე დაიდგინა და ასე გამართა „მიმქრალი შარავანდელი“.

ისიც უნდა ითქვას ვახუშტისაც განუდგა, იმას რომ გასდია, ცოტათი იმასაც აუტყვია გვერდი; ვახუშტი რომ უკარნახებდა, ლევანის მეტისმეტ სიმკაცრეს თინათინისადმი, არ დაუჯერა, უფრო რაინდად წარმოიდგინა ლევანი და რაინდული ბრძანებაც დააწერინა, დედოფალი მაინც დედოფლად იწოდებოდეს, თუმცა მონაზვნად აღიკვეცაო. ოღონდ ეს ბრძანება მაშინვე უნდა გაუქმებულიყო, მაშინვე, მყისვე, შამხალის ასული დისივა თუ არა მეორე ცოლადა. მაგრამ აქ, ვითომც არაფერი მომხდარიყო, ყურადღება აღარაფრისთვის მიუქცევია და ლევანის რაინდული კეთილშობილება აღარ გაუტეხნია. აქ ალბათ ლევანის ხასიათსაც გაჰყვა, იმ ხასიათსა, თითონვე რომ შეჰქმნა და ისტორიულ საბუთებსაც გაუწვია ანგარიში. გადარჩენილ სიგელებში თინათინი მართლაც ყველგან დედოფლად მოიხსენიება, სხვა დედოფალი არავინ სწერია ლევანის გვერდითა, ხოლო თინათინი რომ გარდაცვლილა, იმის შემდეგ ლევანი და ძენი მისნი იხსენიებიან, აღარავინ სჩანს დედოფლადა. თუმცა ქართლის ცხოვრება ადასტურებს, შამხალის ასული დისივა ახალ დედოფლადაო. ქართლის ცხოვრების არცერთმა ვარიანტმა, არც ვახუშტის ისტორიამ არ იცის თარიღი ამ ქორწინებისა, არც ლევანისა და თინათინის შეუღლების თარიღი იცის, არც თინათინის მონასტერში გადასვლისა თუ სიკვდილისა, ხოლო სიგელთა მიხედვით, ირკვევა, რომ ლევანი და თინათინი თითქმის შეჰბერებიან ერთმანეთისა. 1562 წლის საბუთით თინათინი ისევ ცოცხ-

ლად იგულისხმება, მაშ 1561 წელს ომში დაღუპული პირშოს, გიორგის სიმწარეც გადაუტანია. როგორც ირკვევა იმხანად ორმოცდაათ წელს უნდა ყოფილიყო მიღწეული თინათინ დედოფალი და საეკვოა შერჩენოდა თუნდაც ნასახი იმ ვნებისა, „მიმქრალი შარავანდედის“ თინათინი რომ აღესილა. ამიტომაც აღარ ჩაფლულა ამდენ საძიებელში, შეაერთა თუ არა იქვე გაპყარა, ორი შვილი გაუჩნდათ თუ არა გაპყარა, თვრამეტ-ცხრამეტი წლის დედოფალს სასახლე დაადებინა და მონაზვნად აღკვეცა, თვრამეტ-ცხრამეტი წლისა, ცეცხლოვანი ვნებისა, ვიყური ვნებისა, აღაგარდნილი ვნებისა, ასე უნდოდა, ასეთი ქალი სქირდებოდა; ხოლო ისტორიკოსებმა თავიანთი საქმე იციან, აღმოაჩინონ, და ალაგონ და გამოსცენ ძველი საბუთები, სიგელები, წყალობის წიგნები, დიპლომატიური მიმოწერანი, სახეიმო სიტყვანი, ჰოდა, ალაგონ, შეამოწმონ შეუდარონ თუ შეაჯერონ, იპოვნონ წინააღმდეგობანი, „მიმქრალი შარავანდედი“ უკვე ამოიზიდა და შესაძლოა სწორედ იმან ამოიზიდა, რაც არა დასტურდება საბუთებითა, ჰო, შესაძლოა,

ჰო, შესაძლოა და ძნელი დასაჯერებელია, ესოდენ ძლიერი, დამოუკიდებელი და შეუპოვარი პოლიტიკოსი ყოფილიყოს მეფე ლევანი, როგორადაც „მიმქრალი შარავანდედი“ ჰხატავს. თუმცა კახეთს შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა ლევან მეფის დროსაო, მაგრამ ეს უფრო ირანის საერთაშორისო ურთიერთობისა და ლევანის მოქნილი პოლიტიკის შედეგი უნდა ყოფილიყოს, მოქნილი და არა შეუპოვარი პოლიტიკისა. ცხადია, მოქნილობის გარდა სხვა რა ძალუძდა ისეთ პატარა სამეფოსა, კახეთი რომ იყო: ლევან მეფის გონიერებადაც ითქმის შეუპოვრობის გზას რომ არ დასდგომია, დიდხანს გადაარჩინა კახეთი, შეინახა, მოაღონიერა, მოამძლავრა, თითქოს იმიტომ, შაჰაბაზოზა ვალაიტანოსო. მართლაც ასე გამოვიდა, ოღონდ ცხადია სხვა ფიქრები უტრია-

ლებდა ლევან მეფესა, სხვა ზრახვანი ამოქმედებდა, სხვა რამეს უთქვამდა გულს; ვინ იცის სწორედ იმას უთქვამდა იმასა, იმა სანეტაროსა, სასურველსა, სალოლიოსა, — ბაგრატიონთა სამეფო გვირგვინსა, სრულიად საქართველოს სამეფო გვირგვინსა. არც გასაკვირიყო, არც დაეძრახვოდა, ერთიანობის აღდგენა აუცილებელი გამხდარიყო, ეროვნული აღორძინება უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა, — რა ღონისძიებაც უნდა ეხმარა, ვისაც უნდა გამოეღო ხელი, კახთა მეფესა, სამცხის ათაბაგსა, გურიელსა, დადიანსა, იმერთა მეფესა, რაჰის ერისთავსა თუ სხვა ვინმესა, ვინც უნდა ყოფილიყო, როგორც უნდა მოქცეულიყო ამ წმინდა საქმისთვისა, ისტორიულად გამართლებული იქნებოდა, განდიდდებოდა, შეიმოსებოდა უკვდავის შარავანდედითა. მაგრამ ლევან მეფეს ხელი არ გაუწვდებოდა საამისოდა. ამდენი არც შეეძლო, არც არაფერი უღონია, ესეც ითქმის იმის გონიერებადა, ხოლო თუ სურდა, — კურთხეულ იყოს სურვილი იგი, მაღალი იყო სურვილი იგი, ოღონდ რაიმე რომ მოემოქმედებინა, აქად ითქმოდა, ბოროტებად ითქმოდა, წარმატების იმედი თუ არსაით იყო. ფრთხილობს „მიმქრალი შარავანდედის“ ლევანიცა, ერიდება გადაწყვეტ ღონისძიებას, მაგრამ ის მაინც უფრო ახლოს არის დიად მიზანთანა, ძალიან ახლოსა, ბევრად ახლოსა, ვიდრე ნამდვილი ლევანი ან სხვა ვინმე ყოფილა ლევანის დროსა. ის ძლიერი მფლობელია („მიმქრალი შარავანდედის“ ლევანზე მოგახსენებთ), შამხალი მორჩილებს, შაჰ-შირვანი ფეხქვეშ ეგება, ქართლი ეთერება, გურიელი ხელს უწევდის, აქეზებს, ჯარს უგზავნის, — სწორედ გურიელის რაზმი აიღებს თბილისსა, გზას გაუხსნის ლევანსა, შარავანდედისაკენ გაუხსნის გზასა. და თითქმის აღარაფერი დარჩენილა, აღარაფერი, თბილისი უნდა გამოაცხადოს თავისადა, მეტი აღარაფერი, თავისად უნდა გამოაცხადოს და დაიუფლოს. ქართლის მე-

ფე თავს თუ გამოიღებს, როგორღაც ისე სჩანს, დასძლევს იმასაცა, დაიბოროჩილებს... ეს რა თქმა უნდა „მიმქრალი შარავანდედის“ ლევანი გახლავთ, ნამდვილი ლევანი არ მისულა აქამდისა, ვერც მივიღოდა.

ის ბევრად ფრთხილი პოლიტიკოსი გახლდათ და „მიმქრალი შარავანდედის“ ლევანმა თბილისი რომ არ დაისაკუთრა, შეფე ლუარსაბს დაუთმო და გამარჯვება მიულოცა, ნამდვილი ლევანის სახეს მიუახლოვდა, სახესა, ხასიათსა, ბუნებასა, თორემ ისე, ლევანი არასოდეს მიშველებია ლუარსაბს ესოდენი თავგამოდებითა, არც თბილისის აღებისას გამოუჩენია თავი, ის შემთხვევა, უფლისწული გიორგი რომ მიაშველა, სიმონ მეფის დროისაა, ისიც უფლისწული მიაშველა, თვითონ არ გამოუღია ხელი; მიაშველა და მარცხი განიცადა, გიორგი ომში მოუკლეს, ხოლო იესე დიდძალი საჩუქრებით გაპაგავენა შაჰის კარსა, მძევლად გაპაგავენა, გაიმეტა სატანჯავადა და გადასაგვარებლად, ასე რომ, ერთი შეაკლა და მერე ზედ შეაკებო ვანრისხებული შაჰის დასაშოშმინებლად. ამის მეტი შაჰის უნებური ბევრი არაფერი თუ თითქმის არაფერი ჩაუღენია, მაშინაც შაჰთამაზის უმჯველი მარცხი ივარაუდა, თორემ არ გამოიმედვებდა თავსა. მანაჰდის თუ შაჰ-მირვანი დაელაშქრნა, შამხალი თუ ჰმორჩილებდა, შიშის ზარს თუ სცემდა მახლობელ სახანოებსა, შაჰის თანხმობითა თუ წაქეზებითა სჩადიოდა, კარგადაც იცოდა ირანის საერთაშორისო თუ საშინაო ვითარება, კარგადაც იცოდა და მახვილადაც მოქმედებდა, იფართოებდა გავლენის სფეროსა და შაჰსაც ააშებდა, ურჩებს უმშვიდებდა, იმას უმშვიდებდა და თვითონ იბოროჩილებდა. ეს იქითა, აღმოსავლეთის მხრითა, თორემ ქართლის მეფეს, ლუარსაბ მეფეს, შაჰის ყველაზედ უფრო ურჩს, დაუმორჩილებელს, მძინვარეს, შეუპოვარს, ვერაფერს უბედავდა. მხოლოდ ლუარსაბი არა ჰფარავდა სრულიად საქართველოს აღდგენის სურვილსა და

მრისხანედ რომ აწყდებოდა მძინვარე ირანელ დამპყრობლებსა, იცოდა, იმითი განდღეგნის შემდეგ ხანგრძლივად ნაგანი ბრძოლები ელოდა. ეგება აქედან უნდა დაეწყოს! — ცხადია, რა თქმა უნდა, ეს იყო პირველთაგანი, გარდაუვალი, აუცილებელი, მაგრამ, რომ არ აცდიდნენ დამპყრობელნი, არ აცლიდნენ საამისოდა. ჯერ იმათთვის უნდა მიეზლო სამაგიერო, მერეღა შესდგომოდა დიად მიზანსა. ეს იყო ყველაზე დიდი ისტორიული სიმართლე, ჭეშმარიტება წარსულისა, ამ დიდ სიმართლეს ჩაეჭიდა ავტორი „მიმქრალი შარავანდედისა“ და ზოგი რამ თუ შეასხვადერ შეალამაზა, ეს მხოლოდ მხატვრული აუცილებლობის შედეგი გახლდათ.

ჰო მხატვრული აუცილებლობისა... რახან რომანის ქარგა გურიელის ასულის ბედმა შთააგონა, დიდი ეროვნული ტივილებიც იმას დაუკავშირა, იმის ოჯახში გადაიტანა. ლევან მეფე აღავსო ამ კურთხეული აზრებითა, ხიდი გადო კახეთიდან გურიამდისა და ეროვნული ერთობის, ერთიანის, შეუვალი, მტკიცე, დამოუკიდებელი ხელისუფლების იმედები დასახა. ასეთადაც დაჰხატა ლევანი თავის პატარა სამეფოში, დაჰხატა ღირსეულად დიადი პიროვნისა, მაგრამ ქართლის ცხოვრებამ სხვანაირად დაახასიათა. ოსოდა სიძვინა და მრუშების მოყვარული, ქარლის ცხოვრების ყველა ვარიანტი ეწოდა ასე, ვახუშტი ბატონიშვილმა სხვა სიმდაბლენიც დაურთო და მწარედ შეაფიქრანა ვასილი, — რღელური სხე როგორ უნდა წარმომდგარიყო ამგვარი მეფისაგანა? ჯერ ისედაც, სხვა ნიმუშიდან სხვა სახის ამოღება არ მოხერხდებოდა. ოსტატობა ოსტატობაა, მაგრამ უნიმუშოდ ოსტატობაც როდი ყოფილა. შემოქმედებისათვის მიბაძვა ამიტომაც დაურქმევიათ. პლატონსაც ასე დაურქმევია, არისტოტელესაცა, თუმცა მისაბაძად სხვადასხვა რამ დაუსახავთ, ოღონდ რაც დაუსახავთ, იმის მისაბაძად წაუქმეზებით ხელოვანი, მსგავსის შექმნა დაუცილებელით, მისაბაძთან მიახლოვება

დაუდგენიათ უმაღლესი ხელოვნების ნიმუშადა. იმას რატომღაც სულ სხვანაირად გამოსდიოდა, ნიმუშად სხვა ედო, სხვა უნდა ჩამოეჭნა, ჩამოეჭრა, ჩამოეკეთა. მწარე ფიქრები აწუხებდა, მღელვარე ფიქრები სკასავით უგუგუნებდა ქალასა და ეძიებდა ამ ფიქრთა შემწვდომსა, ამა ახრთა მკყრობელსა, შემქმნებელსა, მებრძოლს საამისოდა; ჰო იდეალურ გმირს დაეძებდა და მრუშების მოყვარე მოსდევდა ხელთა. შეეძლო გვერდი აეჭვია, მიეგლო, მიეტოვებინა, იდეალური სახეების მეტი რა იცოდა ჩვენმა ისტორიამა, შეეძლო მიეგლო და სხვებს წასტანებოდა, მაგრამ ქარგას უკვე დაედო ბორკილი და ეგრე იოლად აღარ გაუშვებდა; მხატვრული ბორკილი ბევრად უფრო ძლიერი გახლდათ, ვეღარც ფეხს წასდგამდა, ვეღარც ხელს გასძრავდა, თინათინი იყო იმისი ქარგა, თინათინი იყო იმისი რომანი, თინათინი იყო იმისი გმირი და ლევანის იქ ფეხს ვერ ვადგამდა.

უარყოფითი ხასიათების მხატვარი რომ ყოფილიყო, ერთ წუთსაც არ შეყოყმანდებოდა, — სიძვისა და მრუშების მოყვარული იყო, ურჩევდნენ ისტორიკოსები? — ურჩევდნენ და გაუგონებდა. მაგრამ არ უყვარდა უარყოფითი, ნაკლოვანი, არ უყვარდა, სიძვე, სიბოროტე, არ უყვარდა ისეთი არაფერი, რაც დაამცირებდა ადამიანსა, ყველაფერში კეთილის საწყისს დაეძებდა, ყველგან გულისხმობდა ამაღლებულსა, უნდოდა როგორმე დაეხსნა, გაემათლებინა ადამიანი. იყო ჭეშმარიტი მოძღვარი, სულის დასახსნელად მოვლინებული; უნდა განეწმინდა, განესპეტაკებინა, აემაღლებინა და შეუდგა განსპეტაკებას ლევანის სულისა... ასე ერთბაშად რომ ამხედრდებოდნენ ისტორიკოსები, რა თქმა უნდა უმიზეზოდ არ იქნებოდა. მრუშება მიზეზად არ გამოდგებოდა, ისტორიკოსები არც ისე უღმობელნი ყოფილან ესოდენი ცოდვა არ მიეტყვებიანთ მეფისათვისა, ნამდვილი ცოდვა სხვა რამ იქნებოდა

და ცოდვა გამხელილი სჯობიანო, გამხელილიც ასე გამოვიდოდა: ქართლის ცხოვრება საქართველოს მღელვარების, სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და სიმტკიცის აზრით იქმნებოდა. საქართველოს შემკრები ისტორიულად ქართლი ყოფილიყო, თბილისი ყოფილიყო დიდი და ძლიერი სახელმწიფოს აკვანი, ისევეც თბილისს უკავშირდებოდა ეროვნული აღორძინების იდეები. ქართლის მეფეები იბრძოდნენ თბილისისთვისა, თბილისის დახსნასა და დაცვას სწირავდნენ მთელს სიციოცხლესა, თბილისისათვის ამ მარადიულ ბრძოლაში განდგომილ თუ დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროების ყურადღებაც თან ახლდათ და სიმბოლურად მაინც ინარჩუნებდნენ ერთიანობას საქართველოსი. ისტორიკოსები მხარში ამოსდგამოდნენ ქართლის მეფეებსა და იდეურად ამზადებდნენ ნიადაგს სამეფო-სამთავროთა შემოკრებისა, ერთიან სახელმწიფოს აღდგენისა. უფრო ძლიერი მეფე-მთავრები უფრო ძლიერი მეტოქენიც იყვნენ ამ შალაღი აზრისა ან თავგამოდებული დამცველნი იყვნენ, მაგრამ აღდგენილი ერთიანი სახელმწიფო თავიანთთვის უნდოდათ და ეს მითავთავისება შლიდა, არღვევდა, ანგრევდა, ანიღაგებდა განხორციელების შესაძლებლობასაცა, აზრსაცა, იმედებსაცა. განრისხებული აზრის დამცველნი, გამწარებულნი, გაწინამატებულნი თავს ესხმოდნენ მეთავთავისებებსა, ლევანიც იმათგანი გახლდათ, ამიტომა ლანძღავდნენ, მხატვადნენ უგვანადა, უღირსადა, შეუფერებლად მეფობისა, მითუმეტეს რომ ქართლს ებჯინებოდა, განკერძოებულყო, გაძლიერებულყო, გალაღებულყო, იქვე იყო და თავი ისე ეჭირა, ვითომც მე არაფერი შეხებო, ქართლს უჭირდა, საქართველოს უჭირდა, ხოლო ის თითსაც არ გაანძრევდა, ემანდ კახეთს ზიანი არ მოუვიდესო. აი რა გამოდიოდა გაცხადებულადა, გაქლამპრებულადა, აი რად ამხედრდნენ ისტორიკოსები, — განდგომისათვის ამხედრებოდნენ, ოჯახური უთანხმოება დაე-

ხვიათ ხელზე და უღირსად მოიხსენიებდნენ.

მინც იმ მაღალ აზრთა რკალში ტრი-
ალებდა კახთბატონი. და თავისი
ფრთხილი პოლიტიკით, თავისი ძლიერი
საბატონოთი ეგება ყველაზე ახლოსაც
იღვა დიდების შარავანდედთანა; ეგება
სიფრთხილის ბრალიც იყო, რომ მიქ-
რა იგი შარავანდედი, სხვა ბევრი რამი-
სა და ამისიცა, სიფრთხილისა და კე-
თილშობილებისაცა, — ცხადია, აქ
რთული ხასიათი ისახებოდა, სწორედ
ეს უნდოდა, — რთული მოვლენები,
რთული ხასიათები, ვნებათა ჭიდილი,
სხვანაირად არც გამოვიდოდა. აქედან
ტრაგიკულამდის ბევრი სავალი აღარ
უნდა ყოფილიყო. დიდი ეროვნული
მღელვარების გადმოცემა ტრაგიკულის
გარეშე არც შეიძლებოდა. ტრაგიკული-
საქენ ლევანით უფრო შეიძლებოდა
სვლაი, ლევანით უფრო, ვიდრე სხვა
ვინმეით, ვთქვათ, ვიდრე თუნდაც მეფე
ლუარსაბითა, თუმცა ლუარსაბი იყო
ეროვნული დამოუკიდებლობისა და სა-
ხელმწიფოებრივი ერთიანობისათვის
ბრძოლის ქეშმარიტი განსახიერება, მა-
გრამ ის უფრო რაინდული სული იყო,
რაინდულად სამართლიანი, რაინდუ-
ლად შეუპოვარი, დაუთმობელი, შეური-
გალი, იმისგან უფრო რაინდული რო-
მანი გამოვიდოდა, ვერცელი და მომხი-
ბლავი რომანი, მაგრამ დრო აღარ
იყო რაინდული რომანებისა, აღარც
დრო იყო, აღარცა ხალისი, ლამაზჩე-
ლი გმირის კეთილშობილურ სახეს დი-
დისანია მოეთავებინა რაინდული გატა-
ცებანი, ერის სული ტრაგიკულ სიმწ-
ვავეს განიცდიდა და რომანსაც უნდა
დაეძებნა ისეთი ამბები თუ შემთხვევა-
ნი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლე-
ბელი იქნებოდა შექმნა ტრაგიკული
კონფლიქტებისა. კახთბატონის ოჯახუ-
რი ამბები და იმის გარშემო დატრია-
ლებული მოვლენანი სახარბიელო იყო
საამისოდა.

ასე მიიწევდა ფიქრი, ასე ისახებოდა
კონფლიქტი დიდი ტაბტისათვის
ბრძოლისა, მაგრამ კახთბატონი ფრთხი-

ლი პოლიტიკოსი გახლდათ და არც ვა-
სილი ბრძანდებოდა ნაკლებად ფრთხი-
ლი გამგებელი თავისი სამფლობელოსი,
— იმაზე მეტ უფლებას ვერ მისცემდა
თავის ლევანსა, ნამდვილ ლევანს რაც
ჩაედინა, ხოლო აქედან ტრაგიკული
აღარაფერი გამოვიდოდა, აღარც რაინ-
დული, აღარცა ტრაგიკული, რაღაც
შუალედი და არც შუალედი; აქაც გაი-
ძაბა ფიქრი, გაიძაბა, გაითანჯა და თი-
ნათინში ამოვიდა სახე ლევანისა ანუ თი-
ნათინში დაჰფარა ლევანი, დაჰფარა
ძლიერმა, მკაცრმა, მომთხოვნმა, დიდე-
ბისადმი მიმსწრაფელმა, განუსჯელმა.
განუკითხავმა ამა სწრაფვაში. თითქოს
ამას უკარნახებდა ქართლის ცხოვრება,
— არ ისურვა ქმართან დაკრძალვა,
აღაშენა ეკლესია და დაემყარა მუნო,
ჰო ამას უკარნახებდა, ერთხანს სხვა
სტრიქონებს თუ არ ჩაჰხედავდა, ერთ-
ხანსა, მხოლოდ ერთხანსა, ვიდრე გამო-
იკვეთებოდა ხასიათები, მერე იქაც შე-
ედლო ჩაეხედნა, სხვა წყაროებიც მო-
ეშველებინა, ამბავიც ისე აეწყო, რომ
დედოფალი თავის მხევალს წასწყდო-
მოდა მეფის სარეცელში, სიუჟეტისათ-
ვის კიდევაც უკეთესი იქნებოდა, ბევ-
რად უკეთესი, ხსნა იქნებოდა კვანძები-
სა; მხოლოდ მერე-მეთქი ისტორიკოს-
თაგან მიზეზად თქმული მხატვრულ სა-
შუალებად გადაიქცეოდა, ხოლო მიზე-
ზად ამოვიდოდა ძლიერი მისწრაფება
დიდებისადმი, რაც საშოდან დედისა
დაპყროდა გურიელის ასულსაო, —
ფიქრად დაისკვნა, ხმაშალადაც სთქვა,
გაჰხედა, შეჰხედა...

და შესდგა თონათინი სიყვარულისა
და დიდების გზაჯვარედინთანო...

კურდღელას ზღაპრებიდან ანსოვდა
გზაჯვარედინი, უსათუოდ გზაჯვარე-
დინს უნდა მისდგომოდნენ კურდღელას
გმირები, იქ ლოდი ვგდო, ლოდს ეწე-
რა: მარჯვნივ წახვალ იხარებ, მარცხ-
ნივ წახვალ იწანებო. გმირი რიდას გმი-
რი იქნებოდა, ძნელ გზას თუ არ დაად-
გებოდა, ჰოდა რახან გმირი გახლდათ,
აირჩევდა მძიმე გზასა, სინანულის გზა-
სა, აირჩევდა და გაჰყვებოდა; გაჰყე-

ბოდა და გადაეყრებოდა მრავალ ფთერაკსა, ყველასა სძლევედა, ხან შავი დღეც დაადგებოდა, მაინცა სძლევედა. გაიშარჯებდა, დაჩაგრულს იხსნიდა, მტარვალს დასჯიდა, სიხარულით ალაგებდა მზეთუნახავსა. მზეთუნახავსაო, იტყვოდა კურდღელა და თვალეში ნათელი ჩაუდგებოდა, მერე ისევ გზაჯვარედინთან მიადგებდა თავის გმირსა, — მარჯვნივ წახვალ... მოიცი, მოიცი! კოდის ზღაპრებშიც იხსენიებოდა გზაჯვარედინი, იქაც ლოდი ეგდო, ოღონდ ლოდზე ცოტა სხვანაირი წარწერა ედო: წახვალ ინანებ, არ წახვალ ინანებო, — ცოტა სხვანაირიცა და ძალიან სხვანაირიცა, აქ ბევრად მეტი იყო საგონებელი. გმირი იმისი გმირი გახლდათ, ადვილად აირჩევდა მძიმე გზასა, აქ რა აერჩა, რა ედონა, რა მოეფიქრნა: წახვალ ინანებ, არ წახვალ ინანებო, რომელი სინანული ემჯობინებინა. წასვლისა თუ წაუსვლელობისა? რომელი უფრო გმირობა იყო, უნდა ამოეცნო, განეჭვრიტა ან მისცემოდა ბედისწერასა, ბრმად მისცემოდა. იქაც ბედისწერისაკენ მიიწევდა გმირი, მაგრამ ერთი მხარე მაინც იყო გარკვეული, მარჯვნივ წახვალ იხარებო, მარცხნივ წახვალ ინანებო. გარკვეული იყო, მაგრამ მაცდუნებელი, კარგი იყო, ისიც კარგი იყო, ესეცა. კარგი იყო და შეაჯუფთა, შეაერთა, შეანივთა მჯობნის მჯობნები. სვეტი აღუშარტა თინათინსა, — განათდა სვეტი მარცხნივ წითელი რამ სინათლითა და იხილა წარწერა, დიდების, ძლიერების, ბრწყინვალეების მათუყვებელი, ხოლო მარცხნივ მკრთალი რამ ნათელი შეეფინა სვეტსა, ძლივს ამოიჩინა მჭრქალი სიტყვები: „სიყვარული მართოდენ, მხოლოდ სიყვარული!“ ხოლო ზევით, სვეტის თავზე შუქი რამ გადაიფერდა, არცა სისხლისფერი, არცა მჭრქალი, სხვა რამ ეწერა, — წახვალ ინანებ, არ წახვალ ინანებ. — სულერთია, რომელს აირჩევ, გზასა ბრწყინვალესა თუ გზასა ეკლიანსა, თან გა-

მოგყვება სინანული, მართოდენ სინანულიო. მძიმე იყო არჩევნები და მძიმე, სულისკვეთება უმწვავესი შემოწმებოდა, მაინც წინასწარავე ეკლიანმა გზამ უფრო დააფრთხო, იქ უკვე მოსჩანდა სინანული, მოსჩანდა დაკაწრული სული, დაკაწრული, სისხლადენილი, ამოსაცნობი იყო სინანული დიდების გზისა და, როგორც გმირი, ამ გზას დაადგა, ფათერაკების გზასა. რაღაც ხმა მკვეთრი იქვე მოესმა: „იხილე გზა ცხოვრებისა შენისა; იარე!“ და იხილამეფე-ვაყვაცი, მშვენიერი, „გარნა, ახ! გული არ უცემდა: ცივი იყო თინათინისათვის მისი გული; უძრავი, გაყინული“. იქავ, იმ სვეტთან დალოდებოდა სიცივეცა და მკვეთრი ხმაცა, დალოდებოდა და აედევნა, აედევნა და მიაცილა აღსასრულამდე.

იქავ გაცივდა, აირჩია თუ არა გზადიდებისა, ბრწყინვალეებისა, შარავანდელისა, გაცივდა, გაიყინა, რადგან სხვისთვის იყო სავსე სავსებითა. ის სხვა არ მოსჩანდა ქართლის ცხოვრებაში, ისტორიკოსსა თუ მემატიანეს დაჰვიწყებოდა ან არცა სცოდნოდა, ღრმად ჩაფლულიყო თინათინის გულში, გამჭდარიყო თინათინის არსებაში და ვერავინ ამოართმევდა. ის ამოძრავებდა, ამოქმედებდა, ამწუხრებდა თუ ახარებდა, იმისით ენათო, იმისგანვე გაყინულიყო. უტყუარი სიცხადით განიცდიდა თავის წელზედ იმის მკლავსა, „ბევრჯერ ტანგაცრცენილს დაკვირვებით გაუსინჯავს თავისი თავი, რომ დარწმუნებულიყო, იმ უტყუარი სალტის ნაკვალად მართლა ხომ არ ეტყობოდა ზედ.“ ბევრჯერ მეტად გაუცხოველდებოდა ეს გრძნობა. შეუკავებლად მოესურვებოდა ჰაბუქის ნახვა, მის ახლოს ყოფნა... უებრო ვინმე უნდა ყოფილიყო ის ჰაბუქი, თვალტანად მშვენიერი, სამაგალითო სიკეთითა, საარაკო გაბედულებითა. ვილაცას უნდა მიმგვანებოდა, ვილაცას უნდა შთაეგონებინა იმისი სახე. თინათინისა და ლევანის დასახატავად შუამთის ტაძრის მხატვრობამიეშველებოდა, ქართლის ცხოვრებამიეწეოდა, ქრონიკები უშედავათებდა,

ხოლო იმ უცნობის შესაფარდი სად მოეძებნა, ვისგან ვადმოვლო? ისეუ ჩაკირკიტებდა ქართლის ცხოვრებასა, ქრონიკებსა, სიგელ-გუჯრებსა, ჩხრეკდა ფრესკებსა, ბერებს აქეზებდა, სხვა ფრესკებიც გადაწმინდეთო, აქეზებდა და შველოდა, ქლიაეს უწუთრავდა, უწუთრავდა და აპკონდა ხარაჩოვებზე, ჩასჩერებოდა გადაწმინდილ მკლავსა, შუბლსა, თვალებსა, უფრო წმიდა გიორგის დასტრიალებდა, იმას უფრო მოზიდულსა ჰხატავდნენ, მოძრავსა, დაძაბულსა ჰხატავდნენ, დაძაბულს მთელი სნეულითა. მაგრამ ეს მხოლოდ აღნაგობას წარმოუდგენდა, ბედი როგორღა განეჭვრიტა? ბედი უარყოფილი, უებრო ჭბაბუკისა? ჰა, როგორღაო?.. და ხმა მოესმა სევდიანი, გულშიამწვდომი, გამორჩეული ყველა ხმათაგანა, ის ხმა მოესმა, ალავერდის ტაძარში რომ გაიგონა, ჯერ ალავერდის ტაძარში, მერე შუამთის მონასტერში დედოფალ თინათინის მოსახსენიებელ წირვისასა, ხმა შორეული, საუტუნეთა სიღრმიდან წამოსული, შორეული და მახლობელი, შემზერბელი, დამაფიქვრელი; ხმა მოესმა და ბრიალა თვალებმაც შემოანათა, იელვა მოზიდულმა მხრებმა. იელვა ხმაღმა და შეჰბღავლა დათვმა ერთის მოქნევით გადასხებილმა. „ნოზრევან!.. უყიოდა ვიღაცა და ტყე ბანს აძლევდა, „ნოზრევან!“. უყიოდა ვიღაცა და ეს აქედან მისდევდა კვალსა, მარტო წამოსულს ნადირმა არ ავნოსო. დათვი ეგდო გადასხებილი, იმას ხმალი მხარზე გაედო და მოდიოდა დაღონებული, თითქოს არაფერი მომხდარიყო, არც არაფერი გაახარებს ერთხელ უკვე გულდაკოდილსა, ღრმად დაკოდილსაო. ეს უკვე ბედი იყო უარყოფილი ვაყკაცისა, ბედი და სახე დამწუხრებული, ადრე მზესავით რომ უცინოდა.

მეტი სიმძაფრისათვის ლევანსაც ხომ აუჩინა პირველი ტრფიალი, მაგრამ ის როდიღა უძებნია ასე თავგამოდებითა, ისტორიკოსებმა ლევანს მეორე ცოლად შამხალის ასული რომ დაუსვეს, იგივე აუჩინა პირველ გატაცებადა. თინათინის საპირისპიროდ, თეთრი ასულის საპირის-

პიროდ, იმას შავგვრემანობა მიანიჭა, ღრმა განცდათა სანაცვლოდ. ბუნებრივად უშუალოდ დააჯილდოვეს მხოლოდ ეს არის, სახელის გამოძებნა გაუჭირდა; სახელი ქართლის ცხოვრების ავტორებსაც არ მოუხსენიებიათ, შამხალის ასულიო, თქვეს და დასჯერდნენ, რომანი ვეღარ გადაჩნებოდა ასე იოლად, სახეც უნდოდა, ხასიათიცა, სახელიცა, პირველყოვლისა სახელიცა, პერსონაჟი სახელით შემოდის რომანში, სახელთან ერთად შემოდის ან ჯერ სახელი გამოინდება ხოლმე, ჰო, უსახელოდ არ იქნებოდა და ბევრი ეძება, თუ ცოტა ეძება, ჯერ დუხტი-ხანუმი შეურჩია სახელად, არ მოეწონა, მერე ზელი-ხანუმი დაარქვა, არც ეს დაუჯდა ჭკუაში, სახეც ფერმკრთალი გამოსდიოდა, ვიდრე მიაგნებდა ლელი-ყინისა; მიაგნო და ხელიც გაეხსნა, თვალის დაწმინდა, მართლაც შესაფერისი სახელი გამოდგა, დუხტი რომ შერჩენოდა, ან თუნდა ზელი, შესაფერისი არ იქნებოდა, ან არ გამოვიდოდა ასეთი ხასიათი, ესოდენ ძლიერი, ესოდენ მტკიცე, თუ პირველი ცოლობა არ მაღირსა ბედმა, მეორე ცოლად მაინც დავეჯდებიო. არავის უჯერიდა, არც უნდოდა გაეგო, ვინებამდის არ უნდოდა მიეშვა, სარწმუნოება ამის ნებას არ მისცემს ლევანსაო, — არ უჯერიდა, მეორე ცოლად დავეჯდებიო. ეს მართლაც ბუნების ფეთქე იყო, დაუმორჩილებელი, აუბორჯავი, ესეც ვენბა გახლდათ, განელემა იყო, ოლონდ თავისებური, განსხვავებული თინათინის ვენებისაგანა, იმიტომ, რომ სჯეროდა და აღესრულა. თინათინისა აღარ აღესრულებოდა, მორჩია, გათავდა, და გაწამდა ქალი, გაცივდა და გაწამდა.

მაგრამ ნეტარების წუთებიცა ჭკონდა თინათინისა, დიდებით ნეტარებისა. ყველაზე მეტად გამოშორისა. ! წვერზე განიცადა ნეტარება დიდებისა. ეს მაშინა კახეთს რომ მიჰყავდათ დედოფლად. მეფე ივრის კალთებზე ჩაეგება და ჯერ იქვე დასტკბა გურიელის ასული, დასტკბა ბუნების მშვენიებითა, მეფისა და ჭკვერდო-

მთა შეგებებითა. მერე ერთად აიარეს მთა გომბორისა, შესდგნენ გომბორის წვერზე და აქედან იხილა კიდევ უფრო დიდებული სანახაობა, მშვენიერი ტატნობი კავკასიონის მწვერვალებიდან თრიალეთის კალთებამდისა, იხილა და თვალმა კიდევ შორს გაიწია, ოცნებამ ფრთა გაშალა, ფრთა გაშალა და ცხადივით იქცა, — გამოეცხადა ბაგრატიონთა სამეფო კვლავ შეერთებული, გაძლიერებული, ბაგრატიონთა სამეფო ტახტზე დიდი ლევანი, მორკმით მჯდომარე, განგებიანი, თავშემკული მზის სხივთაგან დაწული გვირგვინითა, და იმის გვერდით, იმ ოქროს ტახტზე, თინათინი, დარი იმა თინათინისა, დარი და ყადრი დიდი თამარისა, ლეთივირონცხებული, ლეთივიგვირგვინოსანი, სიხარულისა და ბედნიერების მიმნიჭებელი ერისათვისა, საარაკოდ ქცეული, განდიდებული მისხითმისხამდე. რვალის სალტე როდილა იგრძნობოდა ამ სიდიადის შარავანდედში, თუ მაინც მოსჩანდა, მოსჩანდა საცოდავადა, შესაბრალისადა ან სულაც მიმქრალიყო, მიკარგულიყო გურიელის სასახლეში აღმტაცებელი ვაჟკაცის სახე, განქარვებულიყო, რადგან ან თვით გურიელი რაღა იყო ზღვიდან ზღვამდის გადაჭიმული დიდი სახელმწიფოს მფლობელისთვისა ან იმის კარზე აღმტაცებელი რაღა იქნებოდა, რაღა იქნებოდაო, როცა ღვთაებრივ რამ კმაყოფილებასა ჰგრძნობდა სატანისებრი მისი პატივმოყვარეობაო.

გომბორის წვერზე განიცადა ეს ნეტარება, გომბორის წვერზე, საიდანაც გადაეშალა მშვენიერი სანახაობა და დიდების ოცნებაც თან გაედევნა, გომბორის წვერზე, სადაც იმ მკვეთრმა ხმამ აიყვანა, იმა მკვეთრმა, გზაჯვარედინის სვეტთან რომ მოესმა, — იარე, გასწიო. ის მკვეთრი ხმა იქაც თან აბლდა, გომბორის წვერზე გვერდით უდგა ან სულში უჭდა, დაუფლებოდა, დაჰპატრონებოდა, საღლაც მიუქნულ ნოშრევანსაც მოაჩვენებდა, შეჰხედე ერთი, კარგად შეჰხე-

დე, ვისზე უნდა გაგეცვალა ეს დიდებაო. გომბორის წვერიდან მართლაც საცოდავი გახლდათ, საცოდვეი, შესაბრალისი, ბეჩავი, საწყალობელი. თვალს მოარიდებდა დედოფალი და სტებებოდა, ნეტარებდა ისა ნეტარებდა, მაკდური ნეტარებდა, შურით, ღვარძლით, მრისხანებით აღესილი მაკდური. ასე იყო გომბორის წვერზე, „დაკარგული სამოთხის“ სიცოცხლის ხის წვერზეც ასევე იყო. ხარობდა ედემში ის ხე სიცოცხლისა, ლაღად აშლილი, ატყორცნილი, ხე უშაღლესი, იქ დაფრინდა სატანა, ყვავის სახედ გადაიფოფრა. თვალი მოავლო დიდებულ წალკოტს, სიკეთით საესეს, ბედნიერ გარემოს, მარადიული სიტკბოებისა და ნეტარების ადგილს, წააწყდა პირველ ადამიანებს, ღვთის ერთგულ შვილებს, უსაყვარლეს არსებებს ღვთისა, და გაიხარა, ახლოს იყო შურისძიება. შურისძიების სიხარული აენთო სიცოცხლის ხეზე. ასევე ხარობდა დიდებისადმი მისწრაფება გომბორის წვერზე, ჩაღლეულიყო სიყვარული, გასაქრობს მისულოყო ღვთაებრივი სიკეთე, ღვთაებრივი მადლი, ტანი აღარა გრძნობდა სალტეს რვალისა, ტანგაცრცენილი რომ დაიხედავდა ზოღმე, მართლა ხომ არ შემომშობობიაო. ვადასუდრულიყო იგი სახე, სხვა ამოსულიყო, ამოზიდულიყო, გვერდს ამოსდგომოდა მეფე დიდებული. შარავანდედმოფენილი, და აეჩქარა, მიაშურა, ამოეფარა კალთას იმა შარავანდედისა, მიეტკბო სხვა ვაჟკაცს, მეფეს, მეფულეს მიეხმატებოდა აღელვებული, ოცნებებით დამძიმებული. მიეტკბო, მაგრამ ვერც მიეტკბო, ეს არ იყო კავშირი გრძნობისა, არ იყო ღვთაებრივი კავშირი დიადი, მარადიული. იყო კავშირი უკულო, „შოლოდ სიძვა ზორციელი, ზრწნადი, წარმავალი“. და ზეცით წარმოგზავნილი ანგელოზი გულნატყენი გავიდა იმათი სივანიდანა. ჰო, თან ახლდა ზეცით წარმოგზავნილი ანგელოზი, მარტო როდი იყო, მაგრამ მაინც იძალა, მაინც იმარჯვა მაკდურმა, გააბრუა დიდების შარავანდედითა და გამოსტყუა უარყოფა სიყვარულისა.

იცოდა სატანის ძლიერება „დაკარ-

გული სამოთხის“ ღმერთმა და მარტო როდი დასტოვა ადამიანი, ადამს რაფაელი წარუგზავნა გამამხნევებლად, მოძღვრად, შთამაგონებლად; ამას გარდა, გაბრიელის მხედრობა დასტრიალებს ედემსა, დარაჯობს ადამსა და ევას, სძინავთ თუ ჰღვიძავთ, გარს ევლებიან, უჩინარად ჰფარავენ, იცავენ, უფროთხილდებიან. სატანა მინც დაუძვრებთ, მინც გაარღვევს, მინცა სძლევეს მხედრობასაცა, შთამაგონებელსაცა, უფრო ხერხიანია, უფრო ბრძენი, უფრო მცნობელი ადამიანის სისუსტისა. ყოველივეს საწყაოც ეს არის, ცდუნების საწყაოც ეს არისო და სატანა სისუსტეს მიუდგა, ჰო, გაარღვია ძლიერი რკალი, ძლიერი დაცვა, გაარღვია და გაიმარჯვა. თინათინს მხოლოდ ერთი ანგელოზი ახლდა, ერთი ანგელოზი ღვთაებრივი ნექტარით ხელში, გარს ევლებოდა, ეფერებოდა, აანთებდა, ამწყურვალებდა, მერე ბაგესთანაც მიუტანა იგი ნექტარი, მაგრამ ნექტარს ასცდა ბაგე მორთოლვარი, ბაგე მწყურვალი, ფრთა აუკრა სატანამა, თვალი აუბა, დიდებისადმი მისწრაფების ნდომა გაუგო და გაუღვივა, მოუვარდა დიდების გზები. ანგელოზს რაღა დარჩენოდა განშორების მეტი, და განშორდა გულნატყენი, გავიდა მეფე-ღედოფლის საჯანიდანაო. ჰო, განშორდა თინათინსმფარველი ანგელოზი და მაშინვე იგრძნო პირველი შიში, პირველი სირცხვილი, ერთად აღედრა შიშიცა, სირცხვილიცა: „გაისწორა გარდახდილი საბანი, ხელი მიიფარა თვალებზე და სირცხვილით შეწიითლებულმა ბალიშქვეშ მიმალა თავი. ევა იყო შემცოდე, ლელვის ფოთლით იფარავდა სიშიშვლეს, ვარდის ბუჩქებში ემალებოდა ყოველგან მყოფ მეუფეს, რომელი არს თვით სიყვარული. სკოდა თინათინმა; მიუძღვნა ლევანს ნაყოფი განგებისაგან სხვისთვის დანიშნული, დაარღვია მცნება, ამჯობინა სიყვარულს გარდუვალს დიდება წამიერი, შესწირა მსხვერპლი უსამშლერო ამპარტავნებას, უარპყო ზეცა, როგორც სატანამ პირველყოფილმა. იმისთვის ჩამოეცალა მას ნათელი

უმანკოებისა, შიშველ იქნა სირცხვილი-ული.“

მაგრამ ბევრად ძლიერი იყო ჩვენება გომბორას წვერისა, ბევრად ძლიერი და მომხიბლავი, ისიც ნათელი გამხდარიყო, თავისთავად არ აცხადდებოდა დიადი ჩვენება და მალე სძლია შიში თუ სირცხვილი, — ხომ განშორდა ისედაც უჩინარი მფარველი ანგელოზი, სირცხვილი დიდხანს როგორღა გასტანდა, — სატანის ხელთ დარჩა, სატანური ვნება მიაქანებდა გომბორას წვერის აღუქმათაყენა, სატანური ვნება მიაქანებდა და სატანური სიცივე გასჯდომოდა ტანში, სატანურად გაცივებულოყო. ამბატომაც გაუბრბოდა ქმრის ალერსსა, ცბიერობდა, გარეწრობდა, — ჯერ მოიპოვე, ღირს იქმენ ჩემი ალერსისაო, ჩემი სითბოსიო, მოიპოვე და გაღირსებ ჰეშმარიტ სითბოს ქალისაო. ალაგზნებდა და აქეზებდა, — შენა ხარ მხოლოდ ღირსი ბაგრატოვანთა გვირგვინისაო, გააუქმე, შემოიერთე სახანოები, ყმად აქციე შამხალი, თბილისი წაართვი ლუარსაბსა, გასჭიმე სამეფო ზღვიდან ზღვამდე, რაღას უცდი, განგებას შენ აურჩევიაბ, გასძარი ხელი, შემოიმტკიცეო; ჰო გასძარი ხელიო, გაშალე ხელიო, ქვეყანას მოჰხვიეო, თვითონ კი გაუბრბოდა იმავე ხელსა, მხურვალედ მიტანებულს ყინულად უღობდებოდა, — რაღას უცდი, რომელ მოხერხებულ დროს ელოდები, ღმობიეროო, — ჩასძახოდა დამცინავადა, ჩასისინებდა და თითქოს ქალის ხმა როდი იყო, არა, სხვა ხმა იყო, რალაცა სხვა, ალბათ ისა, პირველად გზავარედინის სვეტთან რომ გაისმა? — სწორედ ისა! თვითონაც ეუცნაურებოდა ამოძახილი, ეუცნაურებოდა ლევანსაცა, ხმაც ეუცნაურებოდა, ქალიცა — გამოიცვალა — „გაზდა, სახე გაუშრა, აგერ ცხვირი კეხივით მოუჩანდა; თმაც შეუთხელდა, წყალმა უხამა; მისი ტანი ისეც ვერ იყო ძლიერ ვნებათა აღმგზნები და ეხლა უფრო ცივად მოსჩანდა.“ — იმ ხმას რომ დაჰყვა, ხმით ედარა და თვით ემსგავსა, ემსგავსა ისე, რომ შეეძლო სახე ეცვალა, ფრინვე-

ლად ქცეულიყო, ცხოველად გარდაქმნილიყო, როგორც უჯობდა, სადაც რა დასპირდებოდა, ბრუნავდა და იცვლებოდა: „ისე წარმოუდგა ვაჟკაცს ქალის მოქნილი სხეული, როგორც ტანი ვეფხვისა კისკასი, მსწრაფლმოძრავი, გარნა მკაცრი, სისხლისმსმელი. ფოცხვერი ეჭირა ლევანს ხელში თინათინის სახით, მას კი ქალი უნდოდა მოსიყვარულე, ლბილი, სათნოიანი, ნაზ ტრფობათა მახორციელებელი.“

არ იცოდა ქალმა, ვის ხმას ასდევდა, ვნებას აპყობოდა, გომბორის წვერის მოჩვენებით გათანგულიყო, ჰო არ იცოდა და ხელუბაპყობილი ღმერთსაც ვევედრებოდა, ამისრულე საწადელიო; ლოცულობდა, ევედრებოდა, მაგრამ „მიწის სუნი სდევდა მას მძიმე. ამისათვის იყო, რომ მფარველი ანგელოსი დაღონებული დაპყურებდა ლოცვად მღვარ დედოფალს და სიბრალულის ცრემლებით ევსებოდა ღმობიერი თვალები.“ ჰო, არ ვაეგებოდა დედოფალსა და სატანის ზრახვებს ღმერთს რომ ავედრებდა, მით უფრო დიდი იყო ცოდვა, მით უფრო დიდი იყო დანაშაული, მფარველ ანგელოსს ამიტომაც აღვსებოდა ცრემლით თვალები, — დამარცხებულყო და მეტი რაღა დარჩენოდა მარცხიანსა.

„დაკარგული სამოთხის“ პირველი ადამიანები მიხვდნენ, რომ შესცოდეს, იგრძნეს სიშიშველე, აღარ იცოდნენ, სად დამალულიყვნენ და თუ შეჰბედავდნენ, მხოლოდ მიტევებას შეჰბედავდნენ ღმერთსა. თინათინმაც იგრძნო სიშიშველე ოღონდ იმისათვის წამიერი იყო ეს განცდა, მალე გაუარა წაუფიდა, გაუქრა, დაკარგა გრძნობა შეცოდებისა და კვლავ ცოდვის ჩადენა სურდა, სწყუროდა, თვით ღმერთს იბმობდა მოზიარება, ნუ დამიძვირებ წყალობას შენსას. ჩამადენინე, ჩამადენინეო. მძიმე ყოფა იყო, მძიმე ფიქრთა, თუ განცდათა აშშული, მფარველმა ანგელოსმაც აღარ იცოდა, რა წყალს მიისცემოდა. „დაკარგული სამოთხის“ ანგელოსებმა გაიგეს თუ არა სატანამ

თავისი გაიტანაო, დასტოვეს სამოთხის კარიბჭეები, ღმერთს ეახლნენ ელანაშაულის გრძნობით აღესილნენ მსახურებს შერაგებულნი. ღმერთმა არ დასაჯა, ეგრე უნდა მომხდარიყო, თინათინის მფარველი ანგელოსიც მიმხვდარა, ეგრე უნდა მომხდარიყო, მიმხვდარა და ცრემლი სდის ღვარადა. „დაკარგული სამოთხის“ ანგელოსებმა ცრემლი არ იციან, ადამ და ევამ შეიგნეს დანაშაული და მიიღეს მსჯავრა, თინათინს არ ესმის დანაშაული, კვლავ დანაშაულის გზაზე შემდგარა, კვლავ მკვეთრ ხმას მისდევს და თვით ღმერთსა სთხოვს, დამეხმარეო. მხოლოდ ღვთიშობელი თუ მოუვლენდა წამიერ სიმშვიდესა, ისიც სიბრალულითა, ანგელოსისებრი სიბრალულითა, ზოლო თინათინი მეტს მოითხოვდა, მოითხოვდა დაუთმობელი. „ძალას იკრებდა თანდათან, მრისხანე ხდებოდა, სასტაკდებოდა; იგი სრულებითაც აღარ მოსჩანდა სუსტი, არც შესაცოდ-შესაბრალისი.“

და იქცოდა ბევრად უღმობლადი, საშინლადი, აუტანლადი, რაც უფრო ნათელი ხდებოდა, რომ აღარ აღესრულებოდა გომბორის წვერის ჩვენებანი, ხოლო ბოლოს იმედები რომ გარდაიწყვიტა, ჰო მხოლოდ ბოლოსა, იმედები რომ გარდაიწყვიტა-მეთქი, ცხადიქმნა, თურმე არცთუ ისე ბრმად მისდევდა იმ მკვეთრ ხმასა, არცთუ ისე გულუბრყვილო არსება ყოფილა, არცთუ ისე საცოდავი და შესაბრალისი, მფარველ ანგელოსს რომ ეგონა, ღვთიშობელს რომ ეგონა; ადამ და ევასავით მიამიტი მსხვერპლი როდი ყოფილა, ღმერთს რომ ევედრებოდა ან თავს აცოდებდა მფარველ ანგელოსსა, თურმე ცბიერიობდა, თვალთმაქცობდა, ინიღბებოდა; ჰო, ბოლოსდა ვახდა ეს ვასაგები, ბოლოს, სულ ბოლოს, როცა განქარადა გამოცხადებანი გომბორის წვერისა. მაშინ ნიღაბი ჩამოიგლიჯა დედოფალმა, პირველყოფილ სიწრფოებას დაუბრუნდა და იბმო სატანა, აშკარად იბმო:

— „ახ! რად მაცთუნე, სატანაე ბილწო? დამისახე დიდება ბრწყინვალე. გაჰშალე ჩემს წინ ქვეყანა ჩემი ზღვიდან

ზღვამდის, აღამალე ტახტი ჩემი უმაღლეს მწვერვალთა მათ თოვლიანთა, გაჰფინე ჩემს წინ საუხრე ხმელთა თუ ზღვათა, დამადგი თავსა ზედა გვირგვინი ქვისა მისგან პატიოსნისა, სანატრელ მქმენ დედათა შორის; ხოლო ნაცვლად მთხოვე მარგალიტი სიყვარულისა ქმნილი ჩემს გულში ნაყურთაგან ჩემთა გრძნობათა. ხომ მოგეცე იგი მარგალიტი ობოლი და რადღა მეცრუვე? რა უყავ იგი აღთქმანი? რად გატეხე პირი, მარად თაღლითო?

„და წარსდგა დედოფლის წინ სატანაილ პირმქისი, განძვინებული, ცეცხლთა მფრქვეველი.

— ნუ მგმობ, მომავკედავო! ამაოდ მრისხანებ! ფიცე ჩემი იყო მტყიცე და აღვისრულეცა დანაქადი: დედოფალი ხარ დედებუმი, თავს ვიმკობს შარავანდედი ბრწყინვალის გვირგვინისა. გმორჩილებს ზეამალღებულს მრავალი ათასი, შენს ფერხთ ქვეშ განრთხმულა კუთხე სამოთხისა, შენს წინ გაშლილია საუხრე ყოველგვარი; თავს ვადგა მეუღლე — მეფე, ვაჟაკი ქართველი, შემმართებელი; ხელთ გიბყრია ძე ორი ოქროსქოჩრანანი; შენ შემოგნატრიან ყოველნი დედანი, ვითარცა დედოფალს და დედას ბედნიერს. რა წარგილე ნაცვლად ამისა? მხოლოდ ქრთილა სიყვარულისა! არ გქონდა სიყვარული სრულა, ჩემგანაც კი უძლველ-შეუხებელი. გარნა უძლებია გული დედაკაცისა: იგი ისწრაფის იქმნას, ვითარცა ერთი ღმერთთაგანი! რა ვუყავ იგი ქრთილი სიყვარულისა? დავფალ უფესკრულში. რომ არ აღორძინდეს იგი ქვეყანაზედ: სიყვარულა იგივე ღმერთთა ხორცშესმული, რომელს ვეწინააღმდეგე დასაბამიდან სოფლისა“.

ასე აიშალნენ შეთანხმებულნი, ერთმანეთს ეკვეთნენ, ბრალი დასდეს ერთიმეორესა ანუ უკეთ, დედოფალმა დასდო ბრალი, აღმოთქვი და არ ამისრულეო აღვითქვი და ავისრულეო. ვაჯიუტდა სატანაი. ბოლოს ასევე დავობდნენ ფაუსტი და მეფისტოფელე, იმათი თანხმობაც ასევე გადაიქნა დეაკამათში. არც ფაუსტი დასჯერდა მო-

პოვებულსა, მეტი მოითხოვე და იყო იმედი ამ მოთხოვნაში, ემედებოდა გარეთხოვე ამა სოფელსა, ემედებოდა. თინათინი აღარადფერს ითხოვდა, აღარ იყო იმედი, გარდასწყდა, მორჩა და გაეყარა თავის სატანას, გაეყარა ვნებას დიდებისა, პირველ ვნების დასათურგნად რომ იხმო. არ ივარგა ამ საწვალეზამ, არ აღესრულა და თუნდაც აღსრულდებოდა, ვინ იცის ივარგებდა თუ არა? ფაუსტმა ყველაფერი მიიღო, ყველაფერი მოიპოვა, რაც ისურვა მიიღო, და ბოლოს ის ვედარ აეტანა. იმის მახლობლად ორი უშფოთველი მოხუცი რომ ცხოვრობდა, უშფოთველი, უვნებელი, უწყინარი. იმათი ქოხი მოსჩანდა სასახლიდანა, ვერ მოეთმინა, დაპყარა ძილი და მოსვენება. რამდენი ასეთი ქოხი აუჩნდებოდა თინათინსა? — ვინ იცის, ვინ უწყის! და თვლი მოსწყყიტა დიდების შარავანდედსა. იხმო სატანა და გაეყარა. ამერიდან მონასტერზე ვადიოდა იმისი გზაი, მონასტერი თელა ჩაუქრობდა იმ გაუნელებელ ცეცხლსა. ჰო, განშორდა, გაეყარა, ოღონდ სატანა აღარ ჩამოსცილდა, გაემარჯვნა და სულსა სდარაჯობდა, იმის სულსა. ცხრაკარის ეკლესიაში განდგომილი ბერი ისევე მტრად მიანდა, გარს უვლიდა, ვადოს უხლართავდა, თავგზას უბნედა იმა უბედურსა. ლოცვადღა იდგა უებრო რაინდი. ლოცვად იდგა მუხლდაცვეთილი უნდოდა ჩასწვდენოდა საიდუმლოს მეფეთა. — ჰა, ჰა, ჰა... გაისმოდა ხარხარი. — ვინა ხარ მდილი საბრალო, რომ განიკითხავ საქმეთა მეფეთასა, სცდილობ განსჭვრიტო განგება ღეთისა? ჰა, ჰა, ჰა.. — გაისმოდა ხარხარი და ხარხართვე ხმას აძლევდა სასახლე ცარიელი, ტაძარი მიტოვებული, ტყევი გარემოჭრილი, ხოლო უძირო ზევ-ღრმტებში განიმეორებდნენ იგივე ხარხარს მავნე სულნი და შეარყევდნენ ასევე კასკასით მყუდროებას ბინდით მოცულის არისა. — ასე უვლიდა, თავს დასტრიალებდა აქაც, იქაცა, ეს ძლიერი და მარად დაუდგეგარი სული.

მით უფრო შფოთავდა, მით უფრო

დაუდგრომლობდა, რადგან თითქოს დარჩენოდა დედოფალი, თითქოს არც დარჩენოდა... ცხოვრებაზე ხელი რომ აიღო და მონაზვნად აღიკვეცა, ხორცის გვემით, გვემით ვნებისა განიწმინდებოდა, ამალღებოდა, ღირსიქნებოდა მამადმერთისა. ზენაარსი აღარ მიატოვებდა განწმინდილ სულსა, სატანას აღარ დაანებებდა, არც დაანება, დედოფალი რომ აღესრულა — „გაშუქდა სავანე. გამოჩნდნენ დედოფლის თავით ნათელმოსილი ქმნილება ჰაეროვანი და ფრთაშავი მავნე თვალაღზნებული. ანგელოსმა ფრთა შეაზო დედოფალს და მკრთალი რამ ნათელი აციაგდა მის შუბლზედ, ღიმი სიამისა შეეყინა ბაგეზედ. ეშმაკი შეიბერტკა მხრები და წარსდგა, წინ — ჰმსახურებდა სული ესე დიდებას ქვეყნისასა და მემსგავსა მე! — იტანჯა ფრთად, განიცადა ძალი სიყვარულისა და აღსდგა მასში ხატება ღვთისა! — მოუგო ანგელოსმა და ანიშნა განშორებოდა“. ასე აღესრულა ბედი მრავალტანჯული დედოფალისა, აღესრულა საესებით ლოგიკურად, ბუნებრივად ნაწარმოებისათვის, — განიწმინდა და აღსდგა მასში ხატება ღვთისა, ჰო, ბუნებრივად დამთავრდა და ბიბლიურ საწყისსაც შეეთანხმა.

სატანამ რომ აცდინა პირველი ადამიანები, ღმერთმა დასაჯა ისინი, მაგრამ მაინც არ გადაუდგა, მაინც იმისი შეილება იყვნენ, მაინც მიეპატრონა, სატანას მაინც არ დაუთმო, არ დაანება: სა მოთხე თუ ვერ შეიფერეს, ნუ შეიფერეს, ეპა, სამოთხის იქით ვრცელი მიდამო, აჰა, ინებე და ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენით. „დაკარგულმა სამოთხემა“ ეგვევ გაიმეორა, — განდევნა, მაინც მიეპატრონა, სატანას არ დაუთმო, არ გაახარა. ფაუსტის ბედიც ასევე დამთავრდა. მეფისტოფელემ წარმოადგინა ხელშეკრულება, აღვუსრულე ყველაფერი, მემსგავსა მე და სული მისი მე შეკუთვნისო. ანგელოსებმა არ დაუთმეს, ზეცად აღამალღეს სული ფაუსტისა, რადგან დიდი და საყოველთაო მიზნები ამოძრავებდა, ყო-

ველთა სიკეთის განცდით განშორებულ და მეფისტოფელეს. ასეთივე სურათით მთავრდება „ფაუსტის“ პირველი ნაწილიცა, იქ მარგარიტას სულსათვის გაართულა სასტიკი ბრძოლა. ვნებისთვის ყველაფერი შეუწირავს მარგარიტასა, მაინც ვანუითხია მამაზეციერსა. დემონისა და ანგელოსის რკენაც ამითი მოთავდა, უყვარდა და შეივრდომა ღმერთმაო, იქაც სიყვარულია საბუთი განკითხვისა. ბევრად ადრე „აფრიკამ“ გამოჰხატა იგივე სურათი. სოფონიზბას ურჩევნიან საწამლავი დალიოს, ვიდრე ხელთ ჩაუვარდეს სციპიონსა, ურჩევნიან და დაღვეს: საწამლავი მასინესმა გაუგზავნა, მასინესის საწამლავი არჩია სციპიონის ტყვეობასა; არჩია და მკაცრმა მინოსმა სამუდამო საწყოფად მეორე გარსი მიუჩინა, რადამანტმა დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება. მაშინ ეაკი აღიშალეს ხმასა, ამას უყვარდა და იტანჯაო, განაცხადებს ეაკი და იხსნის სულს სიყვარულით ტანჯული ქალისა. აქაც სიყვარულია გამოცხადებული განკითხვის საფუძველად, სიყვარული და საშობლოსათვის თავდადება. თუმცა პეტრარკა უფრო რომის დიდების მომღერალი გახლდათ, დიდ დაპყრობათა მომღერალი და მეხოტბე იყო, მაგრამ მაინც მოხიბლა სახემ კართაგენის დედოფლისა.

დედოფალ თინათინის სახეც მხოლოდ სიყვარულისათვის ტანჯვის სახე როდია, არც ბმისი სულის განკითხვა: მხოლოდ სიყვარულისა და ტანჯვის შედეგი. ეს მხოლოდ ერთი მხარეა რომინისა, მხატვრული მხარე, მხატვრული და რელიგიურ-ფილოსოფიური, მეორე მხარე სხვა ვახლავთ, მეორე და ძირითადი, აზრიც აქ არის ნაწარმოებისა: ესაა აზრი ეროვნული ერთიანობის აღდგენისა, ეროვნული აღორძინებისა, სამტკიცისა, თავისუფლებისა. ეს ამოქმედებდა, ეს ამოძრავებდა ყველასა, დიდსა თუ პატარასა, სწავლულთა თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა, ამოქმედებდა და სტანჯავდა საუკუნეგ-

ბის განმავლობაში; ეს არ იყო ერის ცხოვრების პატარა ნაწილი, ეს თვით ისტორია იყო ერისა, ამ აზრს შესწვნოდა, შესისხლხორცებოდა, შენივთებოდა ფიქრი ყველასი, გრძნობა ყველასი, ქმედება ყველასი; ამ აზრს გადაექნა თინათინის ვნებაცა, ეს იქცა ვნებად თინათინისა, ამისთვის იტანჯა. ამას შესწირა მთელი სიცოცხლე. რა ვუყოთ, თუ პატივმოყვარეობა სჭარბობდა მასში, რა ვუყოთ, თუ ავადმყოფურად მოჰკიდებოდა განდიდების წყურვილი, რა ვუყოთ მერე, — დიდი სიკეთე სურდა, დიდი სიკეთისათვის აქეზებდა მეფესა, ყოველნაირად აქეზებდა და ალაგზნებდა, აცეცხლებდა, აბოროტებდა ყოველნაირად, რაც კი ქალს შეეძლო. არა ზოგავდა, ალაგზნებდა დიდი ისტორიული ღონისძიებისთვის.

სა. ასეთ ღონისძიებას შერთლაც სატანური ვნება უნდოდა და მიიღო ვნებაც სატანური, მხოლოდ ეს არის, მეფეს ველარ გადაუნერგა, ვერ დაიწინა, ვერც თვითონ იღო თავს მკვეთრი ისტორიული შემობრუნება, არც შეეძლო, არც დრო იყო შესაფერისი, არც ისტორიული სინამდვილე იყაბულებდა და აქ გაიჩნა სული თინათინისა, აქ იშვა სატანჯველი მისი, აქ დამარცხდა და აქვე განუდგა სატანასა. ამოიღა იყო ყველაფერი, მხოლოდ სულის გადარჩენა თულა მოხერხდებოდა. და ალაპყრო ხელნი, ლოცვადღა დადგა დედოფალი. მალე სულიც განუტევა და დაეუფლა ნათელმოსილი ქმნილება პაეროვანი, ზეცად ალამაღლა ტანჯული სული, სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ტანჯული...



აპაქი მენაძე

მხოლოდ ერთი ნაბიჯი

მოთხრობა

უძველნი დედის ხსოვნას

რიონმა ქეიფის ეშხში შესული მთვრალი მყარით თანდათან ხმას აუწია, მშუილი დაიბოხა და გუგუნად აქცია, გუგუნე მალლა წაეიდა, ერთხანს შეჩერდა, მთების ვეება გალავანში დატრიალდა, შეგუბდა, შენივთდა და რაკი სხვა გზა ვერსად იპოვა, მკერდგახსნილ ცას შეასკდა.

ძირს მდინარის გუგუნით აივსო ყველაფერი. ახლა ეს მარტო რიონის გუგუნეც აღარ არის. მთები, ხევხუვები და კლდეები წყლის ბუხუნს უფრო მძლავრად იმეორებენ, ცხრაჯერ ამრავლებენ და ერთიანი განგაში ისე აყრუებს მიდამოს, თითქოს ხმაური სულ მიწყდა ქვეყანაზე.

ფერდობზე შეფენილ სოფელს ხმა გაუკმენდია და გარინდებულა აქ ორი-ოდე ადამიანი და რჩა, ალბათ. აგერ ბუნრებს კვამლი სულ გაუწყდა და ცაში ასული ბოლის ბილიკები თანდათან იბნევა და იშლება.

ქალმა თუ კაცმა, მოხუცმა თუ ახალგაზრდამ შეშის საჭერი თავკაუჭიანი ქოკი გაიღო მხარზე და რიონს მიაშურა. უფროსებს ბავშვებიც აედევნენ, ზოგი სერიის საყურებლად, ზოგი მისახმარებლად.

ბოლო დროს ტყეები ერთობ შეთხელდა და რიონი ოდნავ რომ ადიდდება, სოფელი მაშინვე მდინარეს მიაწყდება ხოლმე. წყალს ცოტა რამ კი არ მოაქვს! ზოგი გრძელ ქოკს იქნევს, თავკაუჭიანს, ზოგი მღვრიე წყალში შეტოპვასაც არ ერიდება, თუ მსხვილი

მორი შენიშნა, გამოაცურებს და რიყეზე ისე შეაგორებს, წყალი ველარ მისწვდეს, მერე ზედ უბრალო სიპ ქვას დაადებს: აქაოდა, თავისით გამოირიყული არ გეგონოთი მერე ეს უბრალო სიპი ქვა, ისეთივე, რიყეში ათასობით რომ ყრია, დარაჯობს ამ შორსაც და კაცთა სინდის-ნამუსსაც. ხეს პატრონის გარდა ხელს ვერაინ ახლებს, ათას წელიწადსაც რომ იღოს.

მდინარეს ბევრი რამ მოაქვს და მიაქვს: წისკილი, ხიდი, სახლკარი, პირუტყვი, ზოგჯერ ადამიანიც, მაგრამ აქაური ხალხის სინდის-ნამუსს კი ვერ ვერ დარია ხელი, სოფელს მამამამისეული პატრონებმა შეურჩინა. ამიტომაც ეადვილება უბრალო პატარა ქვას, თვეობით რიყეზე დაგდებულ დიდ მორს უდარაჯოს და წყლიდან გამოშორებს შეუნახოს. თორემ თუ კაცმა ნამუსზე ხელი აიღო, ამ ციდამტკაველა ქვას კი არა, ჩახმახზე შეყენებულ დიდ თოფსაც არ შეეუბნება.

ზოგმა რიონის პირას ბოძები ღრმად ჩაასო, თავისებური ბადე-ჭებირები გააკეთა, მდინარის ადიდებისას შეშას თვითონ დაიჭერსო. მართალია, ხშირად წყლის მოტანილი წყალსავე მიაქვს, მაგრამ ამით ბადე-ჭებირის დამგები კაცი ბევრს არაფერს ზარალობს.

რიონის ადიდებისას შინ მხოლოდ ერთი საღსალამათი კაცი რჩება — ჯიბო მერკვილაძე. მერე მეზობლები რიყის შემოთ დატვირთულ ურმებს რომ ამოაჭრიალებენ, გზას სინანულით გა-

ხედავს ჯიბო: გლახაკი ვარ, მეც წავსულიყავი, რა მომივიდოდაო. მაგრამ როცა წასვლას დააპირებს, ბიჯს ვერ დგამს რიონისაკენ. მთელ სოფელში შეშის საჭერი ჭოკი მხოლოდ ჯიბოს არა აქვს. დღესაც შინ არის ჯიბო. ურმის ერთ თვალს სალტე შემოსტეხია, აილო და ახალი შემოაკრა, მერე ბელლის კედელზე დაკიდებული ცელი ჩამოიღო და პირის აწყობას შეუდგა. ორიოდეჭერ გაკრა-გამოკრა სალესი ქვა, საქმეს გული ვერ დაუდო, ცელი თავის ადგილას დაკიდა, ხელში ნაჯახი დაიჭირა და ფალანგა ჭიშკარს მიადგა, ბოძს შემოკრა, ხომ არ შორყეულაო. მაგრად იდგა ბოძი. იქით, ღობის ძირში ამოსულ მაყვალს ტოტები შეაქრა და სარზე ჯარჯივით ჩამოაყვია. ნაჯახი ნალიისქვეშ შეგორებულ ჩოჩიალა ურემზე მიადგო და თვითონაც ურემზე ჩამოჯდა.

ფაცურა აქამდე თავისთვის იწეა ოდის კიბისქვეშ. ადგა და პატრონთან დაბარებულებით მივიდა, ჩაიყუნცა და ისე მიაჩერდა ჯიბოს, თითქოს ეკითხებოდა, რა გაწუხებსო.

ჯიბომ უცებ ძაღლს წიხლი ჩაახილა ზურგში. ფაცურამ დაიწკნავლა, წელი ათრია, კული ამოიძოა, ისევე კიბისქვეშ შეძვრა და პატრონს ქვეშ-ქვეშ დაუწყო ყურება: რა დაგიშავო.

ჯიბოს ძაღლისკენ არ გაუხედავს, ჩაფიქრებულმა ხელი ჩაიქნია, ანაზად წამოდგა და ოდის აივანზე ავიდა, მოაჯირის ბოძს მიეყუდა და გახევდა.

ეს ოდა გორაკზე დგას, აივანი მთელ უბანსა და რიონის ხეობას გადაჰყურებს.

„რამ გადარია ეს ოხერტიალი? მგონი, ქვეყანა მოაქვს“.

ორმოც წელიწადს შარშან გადააბიჯა ჯიბომ და თავის სიცოცხლეში ასე მოდიდებული რიონი არ უნახავს.

„ქვედრულა თუ გასკდა“.

ჯიბოს თვითონ არ უნახავს ქვედრულას ტბა, სადღაც მთებშია, შორს, მაგ-

რამ ბერიკაცებისგან ხშირად გაუგია: ქვედრულამ გასკდომა დაჯდმთხუთქვა იცის ხოლმეო. ცა დაქვედრებს! კოჭისპირულს, მთის ფერდობებს ნიაღვრები მოედება, ნიაღვრები მთათა გალავანში დაგუბდება, მერე ერთგან გამოარღვევს გზას და მშვიდობით, წისკვილებო, ჯებირებო და ხიდებო!

ამ მხარეში სანადიმო სუფრა ისე არ გაიშლება, ხალხმა ორპირული სიმღერა არ დასძახოს:

ქვედრულა მოიდგებულა.

თან მოაქვს მთა და ბარიო.

„პო, ეტყობა, ქვედრულა გასკდა და მოაქვს მთა და ბარი“.

აქეთ წუხელ ერთი წამოუშხაპუნა, დასიცხული მიწა გააგრილა, ტყეს ხელპირი დააბანინა და ფერდობებს სიმწვანე მოუმატა, ეგ არის და ეგ. ახლაც დილის მზე ნაპერ-ნაპერ გაბნეულ ღრუბლებში ცურავს, მიწას ოხვივარი ასდის და ცა საწვიმრად სულაც არ იქუფრება-მზვარე და ღრუბლის ჩრდილი თამაშობს ფერდობზე. მზე და ღრუბლის ჩრდილი თამაშობს ჯიბოს ეზოშიც. ამ მთებს იქით კი, ეტყობა, მხოლოდ შავი ღრუბელი ირევა ერთმანეთში, ქვეა-ქუბილი აყრუებს ქვეყანას და ცა ერად ჩამოდის. ამ დღეგამაში ქვედრულა, ალბათ, არც ჩანს.

ჯიბომ ცას ახედა:

„გაფანტული ღრუბელი არ არის საშიში. შეკრული ღრუბელია მრისხანე და დაუნდობელი“.

არ უნდოდა, მაგრამ მაინც გაიხედა რიონისკენ:

„ასე მაინც რამ გადარია ეს ოხერტიალი! აშენდება ქვეყანა და ეგ არის, მე კი...“

ამ დროს ვინც ცოტა მარჯვედ იქცევა, სამი ზამთრის სამყოფ შეშას იჭერს ხოლმე, ზოგი ახალ ბოძებსა და ფიცრებსაც. შარშანწინ სეფია გოგობერი-შვილმა კონა-კონა შეკრული ორასი ფრთა ყავარი დაიჭირა. არც საყავრე ხის ძებნა დასჭირებია, არც ბილეთის ყიდვა და არც წუწკი მეტყვევისათვის სუფრის გაშლა ნაძვენარში...

„რიონს ყველაფერი მუქთად მოაქვს. აშენდება დღეს ქვეყანა, მე კი..“

ფერდობის ბილიკზე სანდრო იაშვილ-მა ჩაიარა. ჰო, ის არის სწორედ, ასე ფართო ნაბიჯით სიარული მხოლოდ სანდრომ იცის. წელგამართული და თავაწაული მიაბობებს. შავი სატინის ბლუზა აცვია, სვანური ქუდი ახურავს, სირმამოვლებული. სანდროს მაინცდამაინც არ უყვარს რიონთან ქიშპობა, ახლა ეგვეც ვერ დამდგარა შინ.

„აუჰ! რა გულდაგულ გარბის! ყველაფერში მჯობნის, ყველაფერში. გაიქცეს, ჰო, გაიქცეს. თუ წაიღო წყალმა, მერე ვნახავ მაგის სეირს.. რიონმა მარტო მე ხომ არ უნდა გამაუბედუროს? ეჰ, სულ არ ეშინია, ისე თამამად მიაბიჯებს, ცა ქუდად მიაჩნია, დედამიწა ქალამნად..“

სანდრო კი არა, ამბროსია ყრუაშვილი თავის გამორჩენილ ხის ფეხს ძლივს ერევა და ეგერ ისიც კი მიჩლახუნობს ორლობეში, იმხელა ჭოკი გაუდევს მხარზე, პატარა კაკალს ზედ შესუსვლელად ჩამორეკავს.

„ეს კუტი ფედოსია სადღა მიბაჯბაჯებს?! თუ გულადმა არ დაწვა, ცას ვერც უყურებს, სულ მიწას ჩასჩერებია და რიონში შეშის დამჭერია ეგ? მეტი არ იყოს ჩემი მტერი!.. მაინც მიღის ააშენებს დღეს რიონი სოფელს, ააშენებს ნამდვილად, მე კი..“

ჯიბომ ეზოს იქით გადაიხედა, ბოსტნისკენ. მისი ცოლი და ქალიშვილი ხაბეს იღებდნენ. ჰაკი თვითონ არ დადიოდა რიონზე შეშის საჭერად და ქალებს გაუშვებდა? ბოსტანს შოარიდა თვალი და ისევ რიონს გახედა:

„ვეშაბად არ იქცა ეს ობერტიალი? თითქოს უფრო დინჯად მოიზღაზნება, ქვეყანას კი ანგრევს. ჰო, ჭეშმარიტად ვეშაბასა ჰკავს. აი, ხალხს კი არ ეშინია, ფუტკარივით მისევია და... რალა მე გამოვედი ასე ბედდაწყველილი, რომ..“

კვლავ ბოსტნისკენ მიბრუნდა. ქალები მუყაითად მუშაობენ. ქალიშვილი მუქად ჩაწითლებულ ხაბეს დიდ კალათაში ყრის. ცოლს ბოსტნის პატარა

თოხი უჭირავს ხელში, საჩუკი

ჯიბომ ხელი ჩაიქნია: **არქონული**

„ეჰ, ჯანდაბას!.. რაც მომხერხა, მომივიდეს! როდემდე უნდა ვიყო ასე გაუბედავი? თუ კაცად დაბადებულხარ, კაცურად უნდა იარო ქვეყნიერების ზურგზე, თორემ ისე ჰაკი კი დაცოცავს მიწაზე! ყველა ჩემი უბედურება სხვას ხომ არ უნდა დაეაბრალო? ალბათ, მე თვითონ ვარ უფხო და.. აბა, ეს რას მივაწერო? მთელი სოფელი რიონზე გაიკრიფა და მე რატომ გამოვაცლდი? წავალ, მაგრამ ჭოკი რომ არა მაქვს? შეშას შიშველი ხელებით ხომ ვერ დავიჭერ?“

კიბე სწრაფად ჩაირბინა, თითქოს შეეშინდა, წასვლა არ გადავიფიქრო, ნაჯახს დაავლო ხელი, ბოსლიდან ძველი კანდრივი გამოიტანა, კანდრივს ერთი ტოტი სააპურე ნაქლობების ზემოთ გადასჭრა, მეორე ტოტს ორი სხვა ნაქლევიც გაუკეთა, პატარა, მერე კაკალზე მიყუდებული გრძელი ხოლი დაითრია, იმასაც გაუკეთა სამიოდე პატარა ნაქლევი, ბედლის კედელზე დაკიდებული წვრილი მავთული ჩამოიღო და ხოლს ბოლოში კანდრივი მაგრად მიბა. ნაჯახს ყუაში წაავლო ხელი, ზურგისკენ გააქანა და ტარით ფართო ქამარში ირიბად გაიჩარა, ჭოკს ისე დაავლო ხელი, თითქოს იპარავსო, მხარზე გაიღო და ბოსტნისკენ აღარც გაუხედავს, პირმოკუმულმა გასწია გზისკენ.

ფაცურა ფეხდაფეხ აედევნა.

ჯიბომ ჭოკარი სწრაფად გაალო, ზღურბლზე ფეხის გადადგმა დააპირა და მონუსხულივით შეჩერდა.

აი, ერთი ნაბიჯი და რაჩა გზამდე. გზაში თუ გავიდა ჯიბო, მერე თოფითაც რომ ვინმე დაუხვდეს წინ, უკან აღარ მობრუნდება, მაგრამ..

„ეტყობა, სწორედ ეს ერთი ნაბიჯი არ მყოფნის ცხოვრებაში, მხოლოდ ერთი ნაბიჯი... თითქოს მშიშარა არა ვარ, არც ძალიან ფრთხილი და რა ღმერთი მიწყრება? რატომ მიძნელებდა ხოლმე ამ ერთი ნაბიჯის გადადგმა? იქნებ სწორედ ეს ერთი ნაბიჯია ყველაფერი? აი,

ამ ერთ ნაბიჯს წინ წაიგდებ და მერე ვეღარავინ დაგეწევა...”

უკან მიიხედა და დაყუნცული ძაღლის დაფიქრებულ თვალებს წააწყდა. ფაცურას ისევ წიხლი უთავაზა და ვიდაცასა თუ თავისთავზე გულმოსულმა ჰიშკრის ზღურბლზე მარჯვენა ფეხი თამამად გადადგა.

ძაღლი კიბისქვეშ ადარ შებრუნებულა, უმადურ პატრონს მოკრძალებით გაჰყვა.

რიონის გუგუნს აუვსია მთების დიდი გალავანი, დაცლილი სოფელი და უკაცრიელი გზა. მიტკლისფერ ღრუბლებში მყვინთავ მზეს ნაწვიმარი ორლობის გაშრობაკი მოუსწრია. ელექტრონის მსხვილ და ტელეფონის წვრილ მავთულეებზე ჩიტები ჩამომსხდარან. არ უიჯივებენ. კოლმეურნეობის ფართო კალოზე საღეწი მანქანა მდუმარედ დგას. საფურის სერს თვითმფრინავმა გადაუარა.

ჯიბო თავქვე მიდის და ისევ იმ ერთ ნაბიჯზე ფიქრობს.

აი, თვითონ ცხრა წლისაა, მისი უმცროსი ძმა, ლადო — შეიღისა. მეზობელმა ჯიბოს დედ-მამა პურის სამკაულად წაიყვანა. მაშინ ჯერ კიდევ კერძო ყანები ჰქონდათ. ლადო უფროს ძმას ჩააბარეს; ეზოდან არსად გაუშვაო. ერთობ თავაწყვეტილი და გულადი ბიჭია ლადო. ბავშვები რომ ბალზე ან ბეოლაზე შევლენ, ლადო სანამ ყველაზე მალლა არ აფორთხდება, ვერ ისვენებს. ზოგჯერ ისეთ ტოტზე გადის, ბელურას რომ ძლივს იკავენს. ეს იციან მშობლებმა და უფროსი შეილიც სავანგებოდ იმიტომ გააფრთხილეს: ლადო არსად გაუშვაო. მაგრამ უფროს ძმას უმცროსი სულაც არ უჯდებს ყურს — ხან სად გაიქცა, ხან სად, შუადღისას მკათათვის სიციხემ დააჭირა. ლადომ დაჰკრა ფეხი და საწისქვილო ღელეში გაკეთებულ საწყუმპალაო გუბეს მიაშურა. ჯიბოც გაჰყვა. თვითონაც კი უნდოდა ბანაობა. იქ სამი ბიჭი დახვდათ: ორი ლადოს ტოლი, ერთიც ამბროსია ყრუაშვილი,

ჯიბოს კბილა. მაშინ ცალფეხა კი არ იყო ამბროსი, ქურციკვით დარბოდა. ფეხი ხუთი წლის წინათ დაკარგა. სამამულე ომში.

ლადომ დაიეთნა: გუბე პატარაა და ავამაღლოთო. ბიჭებმა აწლი და სხვა ბალახ-ბულახი დაბაღვეს, საგუბარ ჯებირს დააყარეს და ზედ ქვეები დააწყეს. წყალმა აიწია. ბავშვებმა გაიღებულ გუბეში შეტოპეს. ლადო ფეხს არ აკარებდა მიწას, ბაყაყივით ცურავდა, სხვები კი ამას ვერ ახერხებდნენ.

— იიპ, შრატკივით თბილია, — თქვა ლადომ, — წამო, რიონში ვიბანათ!

— შე გლახა, რიონში ასე კი ვერ გასცურავ! — უთხრა ამბროსიამ.

— წამომყევი და, თუ ბიჭი ხარ, გამეჯიბრე!

რიონისკენ მიმავალი ბილიკი სწორედ პურის ყანასთან იდო. ბიჭებს წინ მამა შეეჩხხა. წალდი ეჭირა ხელში. ეტყობოდა, ნამჭის შესაკრელი წნელების მოსაჭრელად მიდიოდა.

— საით გაგიწევიათ?

— არსად... ისე... აქეთ ჩამოვიარეთ, — მიუგო უმცროსმა შვილმა, — ერთს გავლანლადებით.

— ღელე იქვე არა გაქვთ? აბა, გაბრუნდით უკან! — მამა ახლა უფროს ვაჟს მიუბრუნდა: — ბიჭო, რომ ავიღერია თავი, სად მიგყავს ღლაპები? მაგხელა კაცი ერთ ბავშვს ვერ უპატრონებ? აბა! გასწიეთ შინ ჩქარა! თუ არ დაგიჯეროს, მიპერტყე რიგიანად!

ჯიბომ დააპირა თქმა: არ მეპუება, სულ თავის ქეიფზე დადის, აგერ ახლაც რიონში საბანაოდ გამომეჭკაო, მაგრამ რატომღაც კრინტი ვერ დასძრა, უხმოდ გაბრუნებულ ბიჭებს თავჩაქინდრული გაჰყვა.

ლადო პირველი გაბრუნდა უკან. მამის თვალს რომ მიეფარა, სხვა ბილიკზე გადაუხვია, ყანას თავი დაუარა და რიონის დიდი ტოტისკენ დაეშვა. ჯიბომ ჯოხს დაავლო ხელი და გაეკიდა:

— დაბრუნდი, ბიჭო, დაბრუნდი, თორემ ახლავე მამას დაუძახებ!

ლადომ ტანსაცმელი გზა და გზა გა-

იძრო, რიყეზე მიყარა და წყალში შევარდა, უცებ გულადმა გადაფართხალდა, წყალმა ხელი დაავლო და წაატივტივა, ქვემოთ, კბოდესთან მორევში შეათრია, ძაბრა მორევში. იქ ჩაყურყუმალა და უმაღლე ამოაგლო.

ჯიბომ თვალბადქცეული ძმა დაინახა. ლადო სულს ძლივს ითქვამდა და დამფრთხალი დაყვირებასაც ვერ ახერხებდა. ჯიბოსაც ენა წაერთვა, წყალში ტანგაუხდელად შევიდა, მალე შემოსწვდა წელამდე, შედრკა და შეჩერდა.

— არიქა, ბიჭებო! — ამის დამახებულა მოახერხა.

ამისობაში ძაბრა მორევმა ლადო ორჯერ შემოატრიალა, კვლავ ჩაყურყუმალა და ისევ ბურთივით ამოაგლო. სახე-გალურჯებულმა ბიჭმა გამწარებით დაუშინა წყალს ხელები, ურტყამდა და ურტყამდა, ნაშხეფი თვალბადში ესხმებოდა.

— რომ ჩაგძირავს, ქვიშაზე დაარტყი ფეხი, ქვიშაზე და უფრო ადვილად ამოვარდები! — წყალწალბებულს სიტყვა მიაშველა ამბროსიამ. — ნუ გეშინია, ნუ, მოგეშველებით!

ამბროსიამ ტირიფის ფესვს ჩაავლო ხელი, სხვები ჯაჭურად გადაებნენ ამბროსიას და ბიჭებმა უფრო ღრმად შებედეს წყალში. ჯიბო ძმას მაინც ვერ მისწვდა.

— ჰა, გადააწოდე! — საიდანლაც ჯოხი გააჩინა ამბროსიამ.

სანამ ჯიბომ ჯოხი გამოართვა, ლადომ ხელების ტყაბუნი შეწყვიტა, გალურჯებული სახე წყლისფერი გაუხდა, ერთხელ კიდევ დაალო პირი, ფართოდ გახელილი თვალები დაუელამდა, ძაბრაში ჩაინთქა, მორევს იქით ამოყო თავი და ტალღებმა გაიტაცეს.

ჯიბოს ჯოხი ხელში შეაცვივდა. ახლად შეშინდნენ ბიჭები. იმის მაგივრად, რომ წყალწალბებულს რიყე-რიყე გააკიდებოდნენ, ან ეყვირათ რამე, სოფლისკენ ისევ გაქედნდნენ, თითქოს უკან რიონი მისდევდათ. ორღობე მუნჯები-

ვით გაიარეს. წინ ამბროსიას დედა შემოხვდათ, თებროლია — ლადია სად არის? — ვირვებულმა, — ისიც თქვენთან არიყო, ბოშო?

ამბროსიას ტირილი წასკდა და დამფრთხალმა განზე გაიწია.

— ვაიმე! რა მოხდა?

— ლადია რიონმა წაიღო.

— რიონმა? მერე თქვენ სად გარბინართ?

— რა ვიცი...

— არავის გააგებოთ?

— არა.

— ბევრი წყალს გაატანეთ და, თქვე სასიკვდილეებო, გაჩუმდით? — იკვლა თებროლიამ, შეყარა მთელი უბანი, ვინც შინ იყო დარჩენილი. ხალხი რიონისკენ გაიქცა. მშველებმა ნამგლები ყანაში დაყარეს. ავანგაშდა რიყე, მაგრამ რაღა დროს!

„ბიჭებს რომ ეყვირათ მაშინ, მშველები გაიგონებდნენ, რიყეს მიცვივდებოდნენ და წყალწალბებული ბიჭი იქნებდაეჭირათ კიდევ, ცოცხალი ან დამხრჩვალნი. მე მაინც რამ შემეცრა ან ფეხი. ან პირი? გაეკიდებოდი ძმას რიყე-რიყე. ტირიფებს რომ ჩაეცილდებოდი, ჩემი დედ-მამა იქვე შეიძინენ. მაგრამ რაკი ლადო საგულდაგულოდ შე მებარა, ალბათ მშობლებთან უცებ პირისპირ შეხვედრის შემეშინდა და სხვა ბიჭებს იმიტომ ავედევნე გონიშუცემლად“.

მერე ლადოს ცოდვა სოფელმა უფროს ძმას აკიდა. ჰო, აკიდა, თორემ, კაცმა რომ-თქვას, რა მისი ბრალი იყო?

— ჯიბოს რომ კარგად მოველო ლადოსათვის, ეგ უბედურება არ მოხდებოდა!

თქვა ვილაც ავეციამ და ეს სიტყვა სხვებმაც გაიდეს ენაზე.

— მოველო კი არა, თურმე რაღაცაზე წაეჩხუბა, ჯოხის დარტყმა დაუპირა, ის საცოდავი ბიჭი რიყისკენ გაიქცა, ძირგამოცლილი ბეგი ჩაუწყდა, წყალში გულადმა მოადინა ტყაბანი და... დაიხრჩობოდა, აბა, რას იზამდა! — გადაასხვაფერა ამბავი მეორემ.

ერთხელ ჯიბომ კაკალს ჭოლოკი ესროლა. ჭოლოკი ტოტზე შეჩერდა, ცოტა ხნის შემდეგ ჩამოვარდა და გაღმუბნულ ბიჭს დაეცა მხარზე.

— მართლაც რომ ცოდვიანი ხარ! — იყვირა დედამისმა, — ძმა დაახრჩვე და სხვას დაინდობ?!

მის მერე ვინმეს რომ აწყენინებდა, ყველა ბიჭი ცოდვიანს ეძახდა, თუმცა ბევრმა არც იცოდა, ცოდვიანი რას ნიშნავდა, შეერქვა ეს სახელი და აღარ მოშორდა. ცოდვიანს ყველა ერიდებოდა, რა თქმა უნდა, მშობლების ჩაგონებით.

ეპ, დაწყველილი იყო ის დღე, დაწყველილი! პირველად ძმის გადასარჩენად არ იყო ერთი ნაბიჯი ჯიბოს. პო, ერთი ნაბიჯიც რომ წადგა წინ, ლადოს ნამდვილად მიაწვდინდა ხელს და უეჭველად გადაარჩინდა. არა, არა, მარტო იმ დღეს კი არა, მგონი ჯიბოს თავიდანვე აკლდა ის ერთი ნაბიჯი ცხოვრებაში, ლადოს კი — ზედმეტი ჰქონდა. დამლუპველი ყოფილა ეს ორივე ნაბიჯი: როცა გაკლია და როცა ზედმეტი გაქვს.

„ნეტავი წამდგა წინ ის ერთი ნაბიჯი! იქნებ ფეხქვეშ მიწა არ გამოცლოდა და გადაამერჩინა ძმა? არა და, მეც ლადოსთან ერთად დავიხრჩობოდი და ის იქნებოდა... მოვისვენებდი სამუდამოდ“.

ეს რომ გაიფიქრა. გააერყოლა, სიკვდილმა კი არა, რალაც სხვამ შეაშინა.

„დახრჩობა სულ სხვანაირი სიკვდილია, სხვანაირი...“

იმ მწარე დღეებში ჯიბოს არ უნახავს დედა. ლამეს ამბროსიასთან ათევდა. არა, დედის არ ეშინოდა, რატომღაც ისე ერიდებოდა.

სოფელი ფეხზე დადგა. მარჯვე, მოცურავე ხალხი ორ ჩგუფად გაიყო; ერთი გაღმით დაუყვა რიონს, მეორე გამოღმით. გრძელი ჯოხები ეჭირათ. რაქსა და ლეჩხუმში მდინარის გასწვრივ ჩებირები და ჯილეები პირწმინდად დაიხრჩიეს. მთელ კვირას ეძებდნენ დამხრჩვალს. შინ ხელცარიელები მობრუნდნენ. რიონისპირა სოფლებში კი განცხა-

დებები გააკრეს, ვინც ცხედარს იპოვის, დიდ გასამრჯელოს მიიღებს.

შვილის სიკვდილს შერიგებული დედა ახლა იმასლა მოსთქვამდა: მკვდარი მაინც მაპოვინეთ, რომ დაეტირო და მიწას მიეპარო. დილა-საღამოს რიყისკენ მილასლასებდა და რიონს დაწოქილი ევედრებოდა: შვილი მომეცო. მისი საცოდაობით იწვოდა ყველა. ხელში მაგრად ეჭირათ: არ გაგვისხლტეს, რიონს არ მისცეს თავი და შვილის გზას არ გაჰყვეს.

ახლა სოფელმა მძებნელები უფრო შორს გაგზავნა: აუმღერეველ მდინარეს დამხრჩვალი ადამიანი ძალიან შორს მიაქვს. ზოგჯერ ზღვამდეც კიო.

მეთერთმეტე დღეს მოასვენეს ლადო. ერთ ნაშობვანელ ბიჭს ეთქვა: თუ დაპირებულ გასამრჯელოს ნამდვილად მომცემთ, ბავშვს მე განახვებთო. ვიდრე თავისი არ გაუნადგებია. არ წაპყლია მძებნელებს.

მისულან და უნახავთ ჯილეში გაკვეტებული ბავშვი. მზეს სულ გაეშავებინა უწყლოდ დარჩენილი ცხედარი. მხარმოკმულს აღარც ცალი ფეხი ჰქონია. აღარც ნახევარი პირისახე. ამბობდნენ: იმ კაცმა, ეტყობა, ცხედარი საღლაც სხვაგან იპოვა, მაგრამ ამ გაბურღულ ჯილემდე საგანგებოდ მიათრია, შიგ გააკვეტა და ტირიფის ფესვითაც მიიბა, რომ მის გარდა ვერავის მიეგნო და პოვნის გასამრჯელო მარტო თვითონ რგებოდაო. მერე, ალბათ, ცხედარს ძალღმა მიიგნო და ხელ-ფეხი იმან მოაკვამო.

ეპ, ჭრელია ქვეყანა.

იქნებ ძალღმა კი არა, წავმა დაუწყო ცხედარს ქამა, ვინ იცის?

ძალღისა თუ წავისაგან შეკმული ცხედარი დედ-მამას არც აჩვენეს: რიონს ისე დაუჩინებია და დაუმახინებია, აღამიანს აღარ ჰგავს და ნუ ნახავთ, თორემ ასე დაგამასსოვრდებათ და უარესი იქნებო. გაოგნებული დედა თითქოს დაეთანხმა მაშინ.

დედა საფლავთანა მოვიდა გონს და კუმო კინაღამ დაამტვრია: ამაზე უა-

რესი რაღა მომივა მაჩვენეთ და მაჩვენეთ ჩემი ბიჭიო.

არც ახლა ახადეს კუბოს თავი. გულშეღონებული ქალი იჭაურობას მოაშორეს და საფლავი მალე ამოავსეს.

დედა სულ რომ გამოფხიზლდა, დაეჭვდა: კუბო მოსაჩვენებლად მომიტანეს, შიგ ჩემი შვილი სულაც არ ესვენა, ვერ ნახეს და ასე მომატყუესო.

ნათესავებმა ცი ვერ გადაარწმუნეს საწყალი ქალი.

ერთ საღამოს შინიდან გაიბარა. ეგონათ, სასაფლაოს გასათხრელად წავიდო. მივიდნენ, იქ არ დახვდათ. აღიონზე შემოვიდა ეზოში. საღ იყავიო, ჰკითხეს. შვილს ღამე ვუთხიეო. სხვა რამის კითხვას მოერიდნენ.

მეორე საღამოსაც გაიბარა და ისევ აღიონზე დაბრუნდა შინ.

მერე დაუდარაჯდნენ. მიმწუხრისას ეზოდან რომ გავიდა, ფეხაკრეფით გაპყვნენ.

დათალხული ქალი რიყზე ჩავიდა, ჩაიჩოქა და აბუტბუტდა:

— შემიბრალებ, რიონო, დამიბრუნე შვილი! სიკვდილამდე სულ ასე გითევ ღამეს, ოღონდ შვილი დამიბრუნე!

... წლის თავზე დედა ძლივს წაიყვანეს შვილის საფლავზე. მეტი აღარც უცოცხლია: შვილს მიუწვა გვერდით. საფლავში ისე ჩავიდა, ჯიბოსთვის ერთი აღერსიანი სიტყვა არ უთქვამს. რატომ?

მერე ზოგმა ავეყამ დედის ცოდვაც ჯიბოს აქიდა.

მის მერე რიონში ფეხი აღარ შეუდგამს. ზოგ ბავშვს ელვის ეშინოდა, ზოგს — ღამით შინიდან გამოსვლის, ზოგს — ცეცხლის, ჯიბოს კი მხოლოდ წყალი აფრთხობდა. ათასში ერთხელ რიყეში თუ გაივლიდა, როცა პირუტყვი გაქცეოდა იქით.

სკოლაში კარგად სწავლობდა, მასწავლებლები ხშირად აქებდნენ, მაგრამ თანატოლები ყოველთვის აღმატებულ უყურებდნენ, ჯიბოსთან თამაშსა და ამხანაგობას გაურბოდნენ. რატომ ვითომ? გადამდები სჭირდა თუ რა? ჯიბო

სულ მარტო დადიოდა, გულჩაფრებოლი. თვითონაც თანდათან უყარებდა ბრაზიანი ხდებოდა, სულ უტყუარად მგზე მოსდიოდა გული და ბოლოს ყველას განერიდა. ასე გარიყა ცხოვრებამ: შენთვის ვგდეო.

მეცხრე კლასამდე მიიღწია და სწავლას თავი დაანება. მერედა, როგორ უყვარდა წიგნი! ზედ ღამეებს ათენებდა ხოლმე. ტოლებში გამორჩეულ ბიჭს წიგნილა შერჩა მეგობრად და მოსაუბრედ. იმ წიგნებმა ერთხანს კინალამ სულ გადარია. ბევრი რამ ვაიგო და ნაფიქრალს რომ ვერავის უზიარებდა. გულზე სკდებოდა. სწორედ მაშინ დასჩემდა ერთი რამ: სხვები მხიარულებდნენ და იცინოდნენ, ეხარბებოდა. მანამდე ცუდი გულის არ იყო, ახლა კი სულ იმას ფიქრობდა: ბედი მჩაგრავსო, თავს დამცირებულად გრძნობდა და ყველაზე მოსდიოდა გული, თითქოს ქვეყნიერება იყო დამნაშავე, ჯიბო რომ ცხოვრებამ ასე უმოწყალოდ გარიყა. ყველაფერს შურის თვალით დაუწყო ყურება.

«ჰ, ლაღო რომ ვაღამერჩინა, მერე სულ სხვანაირად წამივიდოდა წუთისოფელი, ამ ცისქვეშ ვერავინ მაჯობებდა, ახლა კი...»

ულვაშაქვილებულ ჯიბოს ვაღამებელი ბასილა ბრეგვაძის დედისერთა ქალიშვილი სოფიო ჩაუვარდა გულში. ამ ამბავს ერთმა ქალიშვილმა მაშინვე ჰორის კუდი გამოაბა: ჯიბო ბასილას ქონებას დაეხარბა, თორემ სოფიო რა თვალტანადი მყავს, კაცი მაგაზე ვაღაირიოსო. იმ ერთ ქალიშვილს თურმე ჯიბო თვითონ მოსწონდა, მერე ვაიგო.

ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს: ბასილა მდიდარი გლეხი იყო და ჯიბო ყასიდადაც არ იტყოდა უარს, თუ მისი ქონება დარჩებოდა, მაგრამ სოფიო ამისათვის არ შეჰყვარებია. ქალიშვილზე თავისთავად შეუვარდა გული. ოღონდ სოფიო დაენებებინათ და ერთი კაბისამარა წაიყვანდა, სულ არ უნდოდა მისი მზითვი.

ჯიბომ ჰორის ყური არ ათხოვა. ატ-

ყოფდა: გულგრილად არც სოფიო უყუ-
რებდა და ეს ყველაფერი იყო მისთვის.
მიუგზავნა მაკანკალი.

— ჯერ არ ვათხოვებთო, — შემოუთ-
ვალეს ქალის მშობლებმა სასიძოს.

— მოვეუცდითო, — შეუთვალა სასიძომ.
შეუთვალა კი არა, მაკანკალს თვითონაც
გაჰყვა და პასუხს ბასილას დიდ ჭიშ-
კართან დაელოდა. ჰოდა, იქ თავისი
ყურით გაიგონა, სასიდედრომ რომ
თქვა: ტყუილად ნუ ელოდება, ცოდვი-
ანს ჩემ სახლში ვერ შემოუშვებო. ასე
თქვა: ცოდვიანსო. ცოლს ქმარმაც და-
უკრა კვერი.

ჯიბო შინ ცოფშეყრილივით დაბრუნ-
და:

— ან ჩემი იქნება, ან მოვეკლავ!
მამამისმა ახალა შეიტყო შვილის
ამბავი:

— ბიჭო, გონს მოდი, ადუღებულ
გული გაიწეღე, ქალის მეტი რა არის
ქვეყანაზე! იმ გომბიოს თავი დაანებე,
ხომ ხედავ, არ გატანენ!

— ვინ არ მატანს?... ან ჩემი იქნება,
ან მოვეკლავ!.. მაინც ცოდვიანს მეძახი-
ან!..

— ღმერთო, მიშველე! ვინ დამწყვე-
ლა. შვილი გაგიგიყდეს და ჯაჭვით და-
სამბელი გაგიხდესო?

ჯიბო დარწმუნებულია, სოფიოს თუ
ვაიტაცებს, ქალიშვილი წინააღმდეგო-
ბას არ გაუწევს. მთავარია გაბედვა და
გატაცება. მერე ბედს ურიგდება ყვე-
ლა: მოტაცებული ქალიშვილიც და მისი
დედ-მამაც. მოტაცებისას ასტეხენ ერთ
ამბავს, წინ დაიწყობენ ქალიშვილის
ტანსაცმელს, გამოიტირებენ: ამის პატ-
რონი მოგვიკვდაო და გაჩუმდებიან.
წლისთავზე კი დატირებულ ქალიშვილს
ბავშვი გაუჩნდება და ის ბავშვი შეარი-
გებს ყველას: მძახლებს, სიძესა და სი-
დედრს. ჰოდა, რაკი ქორწილი ვერ გა-
დაიხადეს, ისეთ ნათლობის სუფრას
გაშლიან, მარტო სახლის ჰერს კი არა,
ცას ასწევენ მაღლა. მთავარია ერთი
გაბედული ნაბიჯის გადადგმა, მერე
ყველაფერი თავთავის დროზე მოგვარ-
დება, დაწყნარდება და დაშოშმინდება.

ჯიბო თითქმის ყოველდღე აპირებს, ამ
ნაბიჯის გადადგმას, თოფე ჩაჩმახზე
აქვს შეყენებული და თავდაცვითი ნაბიჯ-
ზეა შემდგარი. ვიღაც იდუმალი უბორო-
კავს ხელ-ფეხს.

...სხვანაირი კაცია ბასილა. ეზოში
მგლისგლეჯია ძალი არ უბია, მაგრამ
სამაგიეროდ თოფი უკიდია შინ, სადათ-
ვე ქაჯნით გატენილი. შვილის მოტაცე-
ბას რომ გაიგებს, თოფს ხელს დაავ-
ლებს და... ვინ იცის... ამიტომ ჯიბო
ცოტას მოიციდის, უფრო ხელსაყრელ
დროს გამოიხახავს, როცა ბასილა სადმე
წავა და...

ალარ აცალეს. სწორედ იმ დროს
თბილისიდან მომავალი ზემოური ვაე-
კაცი სანდრო იაშვილი გზად დედუ-
ლეთს შეჩერდა, ბასილას მეზობლად.
ბიკოლამ სტუმარს სოფიო შემოუწვია,
დედმამიანად. გასათხოვარი ქალიშვი-
ლის მშობლები მიხვდნენ დაპატიების
მიზეზს. საცოლე ვაეკაცს აქამდეც იც-
ნობდნენ, სუფრაზე უფრო მოეწონათ.

ჯიბოც კარგად იცნობდა სანდროს,
ბავშვობისას დედულეთს ჩამოდიოდა
ხოლმე და სამწყესურში ერთად დადი-
ოდნენ. რამდენჯერ უტიდავნიათ: ხან
ერთი სკობნიდა, ხან—მეორე. ახლა კი
ნამდვილი მეტოქეები გახდნენ, ცხოვ-
რების მეტოქეები.

სოფიოს მშობლებმა, თითქოს გულ-
თამხილავებზეთ გაიგეს, ჯიბოს მათი
ასულის მოტაცება რომ უნდოდა, მალე
გადაწყვიტეს შვილის ბედი, ერთი კვი-
რის შემდეგ ნიშნობა გადაიხადეს და
ქორწილის დღეც იქვე დათქვეს — თვის
თავი.

ჯიბომ სხვა ვერაფერი მოახერხა,
უსახელო წერილი გაუგზავნა სანდროს:
ნიშანი უკან წაიღე, თუ სიცოცხლე გინ-
დაო. ეგ გოგო სხვას უყვარს და ცოცხა-
ლი თავით არ დაგანებებსო.

ფშუტე გამოდგა მუქარა. თვის თავზე
ბასილამ საარაკო ქორწილი გადაიხადა,
მთელი სოფელი დაიპატიჟა. სანდრო
დაეპატრონა ჯიბოს საცოლეს, სამიოდე
თვე წაყვანილი ჰყავდა აქედან, მერე კი
სიმამრმა სიძეს თავისი დიდი ოდის მე-

ორე სართული დაუთმო და მთელი ავლადიდება დაუმტკიცა.

ჯიბომ ქალაქს მიაშურა. იქ ექვს თვეზე მეტხანს ვერ გასძლო, ისევ მამის კარმიდამოს დაუბრუნდა. გაბოღმებულმა მხარზე ორლულა თოფი გადაიკიდა და წინ მებებარი ძაღლი გაიგდო. ნადირს უწყალოდ ხოცავდა და გულზე შემოწოლილ დარდს იმით კლავდა. შეუყვარდა მართოდ ხეტიალი, ფიქრი და თავისთავთან ხმაძალა ბაასი. დადის კაცი და სოფლის ავ-კარგს არჩევს, სულ რაღაცას და ვიღაცას ეკამათება, რაღაცას ეძებს და ვერ პოულობს. ამ განუწყვეტელმა ფიქრმა ლამის გონება გადაუბრუნა... ფიქრმა შექამა კაცი, ათასნაირმა ფიქრმა.

აი, ახალ დათოვლილზე მებებარმა კურდღლის კვალს მიაგნო და ყფით გაედევნა. კურდღელი ღელის ვაღმა გავიდა და სერს მიაშურა. ჯიბომ ზემოდან მოუარა, თოფი გამართა და ნიშანში ამოიღო ბილიკი, საიდანაც კურდღლის გამოჩენას ელოდა. უცებ, ერთდროულად, ბედისწერა იყო თუ სხვა რაღაც, გამოჩნდა კურდღელი და კურდღლის პირდაპირ, მახლობელ ბექობზე სანდრომ ამოყო თავი. მონადირეს კაცი და კურდღელი ერთ ნიშანში დაუჭდნენ. სასხლეტისთვის თითის გამოკვრა რომ მოესწრო, კურდღელს ადგილზე გააციებდა და კაცს საფანტით დაუცხრილავდა შუბლს.

ჰო, ერთად დაინახა სანდრო და კურდღელი. უკეთეს მიზანს ვერ ინატრებდა კაცი, მაგრამ... იქნებ ესეც ნატვრად მოეჩვენა, ოცნებად ან ფიქრად?! აბა, ისე, მონუსხულივით რამ გააშტერა ჯიბო?!

გახევედა თოფიანი კაცი და მისკენ მომავალი სანდროც. დაფეთებული კურდღელი კი ბუჩქს გადაეველო და აღმართს მისცა თავი.

დღემდე ვერ მიმხვდარა ჯიბო, სასხლეტზე გამოდებული თითის შეკაეება ისე როგორ შესძლო, თოფი რომ არ გაუფარდა.

„აღმათ, ყველაფერი მოულოდნელო-

ბის ბრალი იყო. ანაზღად გამოჩნდა და... ველარ ვესროლე... თუმცა, კვლავ ხულავ არ ვნანობ, იმ დღეს კურდღელი ერთმა ვერ მოვკალი და ზედ მეტოქეც რომ ვერ წავეკალი... ღმერთმა ხომ იცის, შემთხვევის ამბავი იქნებოდა, მაგრამ სოფელი დაიჭვრებდა ამას? ისედაც ცოდვიანს მეძახდნენ და ამ ამბავს ხომ იმხელა შავ კუდს გამოაბამდნენ, მტრისას!.. ესეც რომ არ იყოს, ტყეში კაცის მოკვლა სულმდაბლობად ჩაეთვლებოდა და არა ვაეკაცობად... სანდროს სიკვდილით ჩემს უბედურებას მაინც აღარაფერი ეშველებოდა, გატეხილი კოკა აღარ გამოთვლებოდა და ცეცხლზე ნავთის უგუნურად გადასხმა გამომივიღოდა... ორი კერა ჩაქრებოდა სოფელში“.

— ჰეი, სად მოხვალ?! — შესძახა გონსმოსულმა ჯიბომ მეტოქეს, თოფი განზე მოწყვეტით გასწია და ლულა ცისკენ ააშვერინა. — შე მუდრეგო, კინაღამ თავი არ შემომაკალი? ძაღლის ყეფა მაინც არ გესმოდა?

— რა ვიცოდი... აგერ სარის მოსაქრელად მივდიოდი... და... — ესლა თქვა სანდრომ, შებრუნდა და ბილიკს აღმა შეუყვა.

იმ დღეს სხვა რამეც მოხდა უცნაური.

ძაღლმა ნადირი რბენით დაღალა, თვითონაც ძალიან დაიჩანცა. არაქათგამოლეული კურდღელი დაღმართში დაეშვა და სანდროს შეეფეტა. უთოფო კაცმა შემცბარი კურდღელი ხელით დაიჭირა. ბედი უნდა ყველაფერს!

ჯიბოს აძლია, არ აიღო მონადირემ:

— ეგ კურდღელი ჩემი ყისმათის არ ყოფილა. სხვას მოკვლავ.

ასე მშვიდობიანად გაშორდნენ ერთმანეთს. ამ ამბავმა ისინი თითქოს შეარიგა კიდევ.

ჯიბოს მამა შვილს სასიკეთო პირს ვერ ატყობდა და ძალით ათხოვინა ქალი, იქნებ ცხოვრებას შემოუბრუნდეს და ოჯახზე ზრუნვამ ნაღველი გაუქარვოსო. მამამ ქმარს მალე შეაყვარა თავი, თუმცა ნაღველი კი ასე ადვილად ვერ გაუქრო.

სოფიოს ბიჭი გაუჩნდა, მაიას—გოგო. ჯიბო აქაც დაჩაგრა ბედმა თუ ცხოვრებაში. სოფიოს მეორედ უკვე გოგო ეყოლა, მაიას კი სულ მოსწყდა მუცელი. ჯიბო ორსულ ცოლს თავზე ევლებოდა, მძიმეს არაფერს აწვევინებდა, მაგრამ ღმერთი გაუწყრეს უყისმათობას, მაინც მოხდა რაღაც, ქალისას რას გაიგებ! მერედა, თურმე ვაჟი იყო. სანდროს მესამე შვილი შეეძინა, ისიც ბიჭი. ჯიბოს მეუღლეს შვილი სულ აღარ დაეწერა, დარჩა ერთი ქალიშვილის ამარა, ბედის უმადური და მომჩივანი.

ჯიბოს შრომა არ ეზარებოდა და არაფერი. დიდად მოქეიფე კაციც არ არის, დუქნებში ფულის პაიპარად ფანტკა არ უყვარს. თითქმის ყველაფერი აქვს, რაც ერთ პატარა ოჯახს შეჭფერის, ცოლი ძალიან უყვარს, ციციწოს ხომ სულში იძვრენს, მაგრამ მის ცხოვრებას მაინც აკლია რაღაც. რაღაც კი არა, გემო აკლია, გემო, როგორც უმარილო შექამანდს.

„იქნებ რიონმა იმ დღეს უმცროს ძმასთან ერთად ჩემი ბედ-იღბალიც წაიღო და ცხოვრების სიტყვაც წაატივტივა?“

ჯიბო თავის ბედსა თუ უბედობას კარგა ხანია შეუფრიგდა, სოფიო აღარც აგონდებოდა, მაგრამ სანდროს ჯიბრი კი ვერ ამოიგდო გულიდან. წელზე ფეხს იდგამს და სულ იმის დამტკიცებას ცდილობს, სანდრო იაშვილზე უკეთესი ვარო.

— ჰე, ჰეი, ბასილა! შემომხედლე მაგ დასავსებები თვალებით, შენი სიძე რითი მჯობია: სიმარჯვით, ზრდილობით, ქაუით, ვაჟკაცობით თუ სხვა რაიმით?

თავის კარგად გამოჩენას ხშირად ახერხებს, ბასილას თვალში თუ არა, ხალხის დასანახავად მაინც. თუმცა სოფელი მაინც არ ჰყავს მაღლიერი. რატომ?

ახლა თავის გულში იხედება ჯიბო და ხვდება: მხოლოდ ჯიბრი ამარჯვებინებდა, ჯიბრი და შური ზდიდა გამრჯეს, ბეჯითს, კეთილსა და გულუხვს, მეზობელთა დამხმარესა და გლახაკთა გამკო-

თხავს. ჰოდა, ალბათ რაჟი ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო, იმიტომ არ ჰქონდა მის საქციელს ეშხი, მაღლა და ეშხი. მოჩვენებითი კაიკაცობა არ ვარგებულა, არა! თუ ყველაფერი ის მოჩვენებითი არ იყო, რატომ გააედებოდა ხოლმე ჯიბო, რატომ სძულდა ყველა და ყველაფერი? რატომ ეზარებოდა სხვისი სიკეთე და ბედნიერება?

ჯიბოს ყველაზე მეტად წყველის ეშინოდა, ამიტომ უფრო ერიდებოდა სიავეს და თავგამოდებით თესავდა სიკეთეს, მაგრამ შიშით დათესილი სიკეთე ფესვს ვერ იკიდებდა ხალხში და საბოლოოდ სოფელი უმადური რჩებოდა. ალბათ ასე იყო, ასე!

„ეჰ, დღეს რაღაც სხვანაირ ხასიათზე ვარ. სულ ისეთი ფიჭრი მომდის, ასე მგონია, სიკვდილის წინ ცოდვათა მოსანანიებლად აღსარებას ვამბობ. არა, მე თავიდან შურიანი და ბოროტი არ ვყოფილვარ, მერე ცხოვრებამ თუ უბედობამ გამამწარა, გულში შხამი გამიჩინა და ამალრინა. ასეა, ასე, თორემ ბავშვობისას ჩემისთანა ჩუმი და კეთილი ბიჭი სოფელში არ იყო. ეს კი არ დამეიწყინია...“

თუმცა, კაცმა რომ თქვას, ცხოვრებას რატომ ემდურის ჯიბო? თვითონ კი არ არის დამნაშავე? წაედგა წინ ის ერთი ნაბიჯი და მაშინ... მზეც სხვა თვალთ შემოხედავდა და სოფელ-ქვეყანაც.

აგერ, სულ რაღაც სამიოდე წლის წინათ სანდრო და ჯიბო პატარა სუფრაზე ერთად მოხვდნენ. ბევრი არ დაუღევიათ. გზაზე წყვილად წამოვიდნენ.

— გავიგე, ქორწილის კვირაძალზე უცნაური წერილი მიგიღია, — გაიხსენა ჯიბომ.

— კი, მივიღე! — დავმოწმა სანდრო.

— რაო? რას გითვლიდნენ?

— შენი დაწერილის ამბავს მე მეკითხები?

— ვინ გითხრა, რომ მე დავწერე?

— რა ძნელი მისახვედრი ეგ იყო? შენს გარდა სხვა ვინ დამემუქრებოდა?

— მერე, რატომ არ მერიდებოდი?

— მშიშარა კაცი გინდა ყოფილა ამ

ქვეყანაზე და გინდა არა. ერთხელვე რომ შეგეშინებინე, მერე უარესს მიზამდი. ეგ ძველი ამბავია და ახლა რაღა მაქვს დასამალი, იმ წერილმა ცოტა კი ჩამაფიქრა და შემამშინა კიდეც, მაგრამ შიშს მოვერიე და არ შევიმჩნიე. დარწმუნებული ვიყავი, თუ მე ვერ შემამშინებდლი, მერე შენ თვითონ შემინდებოდი და... არა, თუ?

— არ ვიცი... აღარ მახსოვს. ისე, შენ ბევრი კი გცოდნია. მაგ შეგნების კაცი გულადად კი მოქცეულხარ, მაგრამ სინდის-ნამუსიანად კი — არა. თუ ყველაფერი იცოდი, ქალში არ უნდა შემცილებოდი.

— არ შეგცილებივარ. სოფიო რომ დავნიშნე, შენი სიყვარულის ამბავი მერე გავიგე... ქალსაც უარი არ უთქვამს და... მართო შენი სიყვარული ხომ არ იყო ყველაფერი?

„მართლაც, მართო სიყვარული ხომ არ არის ყველაფერი? იმ სიყვარულს კიდეც სხვა რამეც უნდა ედგას მხარში და მხოლოდ მერე გაიმარჯვებს... ისე უღონო და უმწეოა სიყვარული... ეჰ, ამდენი განსჯის თავი წინათ სად მქონდა, თორემ იქნებ...“

— ნადირობისას რომ ბეწვზე გადაბირჩი, ეგება გგონია, მაშინაც შემეშინდა და იმიტომ დაგინდე? — თქვა ჯიბომ ცოტა ხნის მერე.

— არ ვიცი... არა მგონია... იმ დღეს რაღაც სხვა მოხდა... თითქოს განგებას ჩემი სიკვდილი არ სურდა და სასწაულმა გადამარჩინა.

„ჰო, აღამიანის ყველა საქციელის ამოხსნა შეუძლებელია... სულში ისეთი რაღაც ხდება ხოლმე, კაცმა თვითონ არ იცის, რას სჩადის.“

იმ საღამოს, ღია ცისქვეშ მიმავალმა ჯიბომ და სანდრომ ერთმანეთს გული ბოლომდე გადაუშალეს. ამას ისინი თითქოს უნდა დაეახლოვებინა, მაგრამ ასე არ მოხდა. მათ შუა კვლავ დარჩა უხილავი ხრამი, როგორც დიდ ქრილობას შეხორცების შემდეგ წარუშლელი კვალი რჩება ხოლმე.

სოფიო ხელშეტრა ქალი გამოდგა, დედისერთა ქალიშვილის ბუნებაში თავი იჩინა, ხშირად თავს ამადლიდა. ქმარს: ჩემით გიდგას სულიო. ამიტომ ჯიბო ახლა აღარ ნანობს, სანდრომ რომ წაართვა სოფიო. ამ ორ ძველ მეტოქეს სამტრო და გასაყოფი თითქოს აღარაფერი აქვთ და მაინც სანდროსი რაღაც შეშურს ჯიბოს, შეშურს და ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მისი ჯიბრი სკირს.

„ბედი მომეცი და სანეხველაზე გადამაგდეო. ბედი აქვს სანდროს, თორემ ისე, მაგაზე ნაკლებს უღვაში შეურცხვეს. ჰო, ბედით თუ რაღაცით მჯობნის... კაცს თავისი განვლილი ცხოვრება ჩრდილივით დაჰყვება თან. რაც არ უნდა ეცადო დაეწყებას, თავს შეგახსენებს ხოლმე. მაგრამ ამჟამად წარსულს ვილა ჩივის, აგერ თურმე სანდროს ბიჭს, ელგუჯას, ჩემ ციციწოზე უჭირავს თავი... იქნებ ციციწოსაც გულში აქვს ჩავარდნილი მისი სიყვარული?.. მათხოვარს გვატან და სანდროს შვილს—არა. რაც წამართვა ცხოვრებაში, ის არ კმარა? ახლა ქალიშვილი რძლად გავატანო და მთელი ჩემი ავლადიდება მის შვილს დავუტოვო? ნურც მიცოცხლია მერე? მაიას ის ქოჩორა ბიჭი კი მოსწონს, ვიცი, მაგრამ მე აღარ მკითხავს? ამდენა იმიტომ ვიწვალ-ვიჯახიბე, ბასილას შვილიშვილს დავუტოვო ჩემი ბუხარი? სანდრომ ჯერ საცოლელ წამართვა, ახლა თუ ციციწოს ელგუჯა დაეპატრონა, ჩემი ქონებაც საბოლოოდ მაგას დარჩება, აბა, საფლავში ხომ არ ჩამატანენ? ნურც მე მოვესწრები მაგ დღეს და ნურც სხვა. აგერ, ერთი კვირის წინათ ელგუჯა და ციციწო თურმე მთაში ერთად იყვნენ, ფერმისათვის თივას ზვინებად დგამდნენ. მაიას სცოდნია, ერთად რომ მიდიოდნენ, მე კი არ გამიმხილა, მერე გავიგე. აგრე ერთად თუ იარეს ტყე-ღრეში, შემიცდენს ქალიშვილს და დუნიაზე თავს მომჭრის... არა, მე ისეთი კაცი არა ვარ, შევეხვეწო: ნამუსშერცხვენილ გოგოს ხელში ნუ შემომატოვებ, ოღონდ წაიყვანე და მუხლებს დაგიკოცნი-მეთქი. ვერავ თოფს იმ ლაწირაკს

და ჭირკვიით გავაგორებ! მე შენ გეტყვი, სროლა არ შემარჯვება: ტყვიას ნატყვიარში ვაძვრენ... ჰო, ერთი ცული რამე გაბედონ და... არც იმათ დავინდობ, არც თავს ვიცოცხლებ. შერცხვენილი სიცოცხლე რა ჭირად მინდა! რაც მკილია ზურგზე, ის არ მეყოფა? ბედს სულ მასხრად ხომ არ ავაგდებინებ თავს? მართალია ახლანდელი ახალგაზრდები მშობლებს აღარაფერს ეკითხებიან, თავიანთ ბედს თვითონ წყვეტენ, მაგრამ ციციო ასე ხომ არ მყავს გაზრდილი? ერთი გაბედოს მამის ურჩობა, ის მე ვიცი, რასაც ვიზამ მერე!..“

— ოღლა, ოღლა! შინ არა ხარ, ჭალო?

ჭიბოს ფიქრი გაუწყდა. დამუქრება მოასწრო, განაჩენის გამოტანა — ვერა. ოღლამ ღობესთან მიმდგარ მეზობელს გამოხედა:

— ქიონია, შენა ხარ? რა იყო?

— რას აკეთებ, ჭალო, შინ?

— არაფერს. კვანი ჩავადგი მოსახარშავად და... გინდა რამე?

— მე არაფერი... შენი ბიჭი რიონს ძალიან უთამამდება, შიგ ღურღუმელში შედის და ისე იქერს შეშას. არავის უჯერებს, ჩააკითხე, იქნებ შენ მაინც გათხოვოს ყური. იმისთანა ტუმველა მოდის ის ოხერი, ერთი თუ აყლაპა ადამიანს, სულს აღარ მოათქმევინებს. ხომ იცი, წყალმა ნამეტანი იცის შეტყუება და...

— შენ რიონიდან მოდიხარ ახლა?

— მთელი სოფელი იქ არის და, აბა, მარტო მე დავრჩებოდი შინ? ფაციფუციით გავიქეცი, სამხადში ცეცხლი ღიად დამრჩა, იმისმა დარღმა არ მომასვენა და კი გამოვბრუნდი უკან. ცეცხლს კეცებს დავახურავ და ახლავე გამოვბრუნდები მეც... თვარა, ამ ნასიცხარზე ერთი ნაპერწყალიც რომ მოხვდეს ფიცარს, მტრისას!.. ნარიყალ შეშას სახლს ხომ არ ვანაცვალე!..

ოღლას ქიონიას ბოლო სიტყვისთვის აღარც დაუგდია ყური, აივნის მოაჯირზე გადაკიდებულ რუხ თავსაფარს ხელი დაავლო, თავზე მოიხვია, ჭიშკარში გა-

ვარდა და რიონისკენ მიმავალ ბილიკს გაპყვა.

— ქიონია, დიდი ამბავი რიონში! ჰკითხა ჭიბომ.

— იმდენი ხეტყე მოაქვს, აშენდა ქვეყანა და ეგ არის! რიყე სავსება ხალხით, მარა, ნუ გეშინია, შენც იშოვი დასადგომ ადგილს!

ჭიბო ღობეზე გადავიდა, ნამკალი გადაჭრა და ყანისპირა ბილიკს დაადგა.

ყანის ბოლოში, კბოდესთან ორი უზარმაზარი კოპიტი დგას. ერთს მეხი დასცემია, გაუხლეჩია და ტანგარუჯული ხე ახლა ცალბეჭქაშოპკრილ ვაკეაცსა ჰგავს. მეორე ამჟყად დგას და მშვიდად გადააყურებს გაზვიადებულ რიონს.

შე კანტი-კუნტად გაბნეულ ღრუბლებში ყვინთავს და ბილიკზე მიმავალ ჭიბოს ჩრდილი დასთამაშებს. მხარზე ჰოკადებულ კაცს ძალი მიპყვება.

კოპიტებშუა გაიარა და კბოდეზე გადადგა. იქვე, ბუჩქთან დაყუნტული ფედოსია დაინახა. კუტი ისე იყო განაბული, იფიქრებდით, ვილაცას ჩასაფრებია და უთვალთვალეზსო.

— ფედოსია, რას უყურებ?

— დედა, დედა, დედა! წარღვნაა სალაცა, წარღვნა! ნამდვილად მეორედ მოსვლა იწყება, მეორედ მოსვლა! — ავიშვიშდა კუტი. — ცოდვა გადიღდა, შვილო, ცოდვა? აბა, ასე რამ აადიდა რიონი?

— რა ცოდვა, ფედოსია?

— ღმერთი და ხატი რომ დაკარგა ხალხმა, ცოდვა გამრავლდა, ცოდვა! ჰოდა, ღმერთი გაურისხდა ქვეყანას, მეორედ მოსვლა იწყება. აგერ, რიონი ვეშაპად რომ გადაიქცა, ცოდვის გადიღების ბრალია, ცოდვის გადიღების. დედა, დედა, დედა! ა, ნახავ ამ ვეშაპმა თუ უცოდველად ჩაიაროს! სანამ ვინმეს არ დაახრჩობს, ვერ მოისვენებს, არ ჩადგება თავის გზაში. ა, ნახავ თუ არა! ცოდვა გამრავლდა ქვეყანაზე, ცოდვა!..

„იქნებ მე მელოდება ეს ვეშაპი და მერე აპირებს დამშვიდებას?.. არა, ანტა“

უკან არ დავბრუნდები... მთელი სოფელი აქ არის და მაინცდამაინც მე ამომარჩევს? ჩვენი ოჯახიდან ხომ წაიყვანა ერთი? ვითომ არ იკმარებს?... არა, ახლა უკან ვერ დავბრუნდები... სხვაზე ნაკლები ხელი მაქვს თუ ფეხი?..."

ჯიბომ მარჯვნივ გაიხედა. ქვევით, რიყის გასწვრივ, სანამდეც თვალა მიუწვდოდა, ხალხი იყო ერთიმეორის მოშორებით ჩამწყრივებული, ყველა ქოკს იქნევდა, ზოგი რას იქერდა, ზოგი რას. რიყეზე ნადავლი ხორა-ხორა ეყარა.

"რიონს ყველაფერი მუქთად მოაქვს. მართლაც ამეჩნებულა ქვეყანა. მთელი სოფელი აქ ჩამოსულა. რიყეზე თავისუფალი ადგილი აღარ ჩანს. დამიგვიანდა, ძალიან დამიგვიანდა. ადრე უნდა წამოვსულიყავი... ამეჩნებულა ქვეყანა, მე კი... იმანაც ხომ გვიან ჩამოიარა. ნეტავი სად დგას?"

დააკვირდა. სვანური ქუდი არცერთ ხელკოკიანს არ ეხურა.

"რიყის თავში ყველა ადგილი დაკავებული დახედებოდა და ბოლოში წავიდოდა, აბა, აქ პირდაღებული ხომ არ გაჩერდებოდა? რიყის ბოლოში კი არის ადგალი? ეპ, რა მინდა ბოლოში, რიონს რიყე მარტო აქ კი არა აქვს!"

მარცხნივ გაიხედა.

კბოდეს იქით ტაფობია გაშლილი. ტაფობსა და ყანა აკაციოსტყიანი ფერდობი ჰყოფს. იმ ტაფობშიც არის რიყე, ოღონდ საურზე გზა არ უდგება და ხალხი შეშის საჭრელად არ ჩადის. ოდესღაც რიონს ამ ტაფობში უვლია, მერე ძველი გზა დაუგდია და ახალი გაუჭრია. მდინარე ხშირად იცვლის გზასა და კალაპოტს. აგერ, ჯიბოს მახსოვრობაში რიონმა ის ახლადგაჭრილი გზაც დაავდო, გაღმა რიყეს გადაახტა, გამოღმა დაიტოვა და გაღმა სოფლის ვენახებს მიუხტა. რიონის ამ ნაგზაურსა და თვითონ რიონს შუა დიდი რიყე გაჩნდა. ქვიან-ქვიშიანა. მერე იმ რიყეზე აქა-იქ ტირითი და ვერხვი მოჭიშდა, ორიოდ რთხმელაც გაერია, შიგადაშიგ მავყლის ბარდები გაჩნდა, ბალახიც

ამოვიდა ბუჩქა-ბუჩქა და რიყე ჭალად იქცა. ახლა იქ ორიოდ ვერხვის იმსინსხოა ბოძად გამოდგება. მალე-მალე ვერხვი. აქამდე მოჭრიდა ვინმე, მაგრამ უგზობობას ერიდებოდა.

"რა უშავს გზა რომ არ უდგება. მერე ვინმე მოცურავეს მოვიხმარ, დაქერალ შეშასა და ხეტყეს ტივივით შევკრავთ, დიდ ქაპანს ჩავაბამთ, რიონს ნაპირ-ნაპირ ჩავყვებით და ნადავლს გზის მისადგომ რიყემდე ჩავაცურებთ იმ ქალის რიყეში ახლა შეშის ჭერა უკეთესიც არის. საკვირველია, რომ არავის მოაგონდა... ბიჭოს! აგერ ერთი ჩასულა უკვე! ვინ არას?... უუჰ! აქაც დაუსწრია! ისე ვერსად წავედი, წინ არ დამხვდეს! ჭკვიანია, თავში მოქცევია ყველას. არა უშავს, ეგ რიყე ცხრა შეშისმჭრელს ეყოფა".

ჯიბო კბოდვდან გამობრუნდა, ფერდობში შურო მოძებნა და დაბლა ფხოკიალით ჩავიდა. ძალღაც ჩაჰყვა.

რიონის ნაგზურში პატარა რუ მოედინება — რიყეში გამონაჯონი მდინარის წყალი. რიონი ტალახისფერია, მისი შვილი პატარა რუ კი სუფთად ზოკამკამებს. სხვა დროს მის ლიკლიკსაც გაიგონებდა კაცი, დღეს კი...

— ღვაუუუ! ღვაუუუ! ღვაუუუუ! — რიონის ღმუილი, ბუბუნი და ბუბუნი ტაფობის ვალაფანს ასკდება და ირგვლივ ყველაფერს აყრუებს.

ჯიბომ წაღები გაიძრო, თასმებით გადააბა და მხარზე გადაიკიდა. შარვალი ბარძაყებამდე აიკარწახა. წყლიდან თავამოყოფილ ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით გადაიბრძანა, ფეხისგულიც არ დასველებია, ქვიშნარ ქალას ზემოდან მოუარა და რიონს წაადგა. იქვე ჩაიყუცა ძაღლმაც. ჯიბო ახლა ფაცურას აღარ უწყრება. მარტოხელა კაცისათვის ძაღლიც იმედია. იყოს, რას უშეგებს. აქ ნამდვილი რიყე აღარც არის. მდინარე ტირიფებს უთხროს ძირს და ქალის ძირგამოკმული ბეჭობი წყალში წამდაუნწუმ იქცევა.

ჯიბო წყლისპირს დაუყვა. მოზრდილ ვერხვსა და ტირიფშუა უბუჩქო ქვიშნარი აირჩია: შეშას აქ უფრო ადვილად ამოვათრევო. ნაჯახი და წაღები ტირიფქვეშ მიყარა. ჭოკი მოიმარჯვა და მდინარეს ახედ-ჩახედა.

სანდრო აქედან ასიოდ ნაბიჯით არც არის დაშორებული. შარვალი აუკარწახეზია, მკლავები დაუკაპიწებია და გრძელჭოკმომარჯვებული ელოდება ნადავლს. თითქოს ჯიბოს აქ გამოჩენა ეწყინაო, მისკენ პირი ერთხელაც არ შემობარუნა, ამიტომ ჯიბოც არ გადასახა გამარჯობა. ამ ვეშაპის ღრიალსა და გუგუნში კაცი თვალდათვალ თუ არ უყურებს კაცს, გამარჯობა ცხრაჯერაც რომ დაუძახოს, ამაოდ დაეკარგება.

ჯიბოს სულაც არა სწყინს, სანდრომ რომ არ მოხედა, გამარჯობა რომ არ უთხრა.

„მაგის არც გამარჯობა მინდა და არც სხვა რამე. გამარჯობას კაცმა გულიც თუ არ დააყოლა, ისე რა ფასი აქვს?“.

ისევ ახედ-ჩახედა რიონს:

„კარგია, თავში რომ მოვექციეი. ყველაფერი რჩეული თავში მდგომს ერგება ხოლმე. ბოლო კაცს ნარჩენი ხვდება. მერე რა, გვიან რომ მოვედი, სხვებზე მეტს შიანც დავიჭერ. ორღობეში რომ ავაჭრიალებ ურემს, შურით გულს გაუხეხებთვე ყველას. აქ დგომა სხვა მხრივაც კარგია. წყალი რიყეზე რომ გადმოხტეს, აგერ, ხეებს ჩაეჭიდება კაცი. ტყიან რიყეს რიონი ადვილად ვერ გადალევავს. ერთი რამეც არის სავარაუდო: ღმერთი რომ გაწყრეს და წყალმა წამიღოს, აქვე სანდრო დამიჭერს. ეგ არ გაანძრევს ხელს და ქვედა რიყეში რომ ხალხი დგას, ის მომეშველება, ყველა სანდროსავით უნამუსო კი არ არის!..“

რიონს თავში დასადგომად რომ გამოეშურა, მხოლოდ იმას ფიქრობდა, სხვაზე მეტ შეშას დავიჭერო. აქ დადგა და სხვა სიკეთეც აღმოაჩინა.

„კარგია, კარგი თავში დგომა! ვაი მისი ბარლი ვინც შეშისჭერისას რიონს

ბოლოში დგება, ცურვა კი არ იცის. მატყუარაა წყალი, მოულოდნელად ჩაგიწყდება ფეხქვეშ მიწა და... მდინარე წყალი კაცს შალე ახრჩობს, როგორც კი ერთს აყლაპებს... ღმერთმა დამიფაროს, ღმერთმა!“

გრძელი და მარჯვე ჭოკი უჭირავს სანდროს. თუმცა, არც ჯიბოს ჭოკია ნაჯელები. მერე რა, კაუჭი რომ მიბმული აქვს? შეშა მჩატეა წყალში. მარტო შეშა კი არა, ყველაფერი, ქვეც კი...

„ეტყობა, წყალი რასაც შეუდგება. ყველაფერი მჩატდება. წყლით თუ მარჯვედ მიუდგები, ეგერ საფურის სერსაც კი ასწევ, უშველებელ კლდოვან მთას“.

ჰოდა, ჯიბოს სულაც არ ეხარბება სანდროს ჭოკი. კანდრივის კაუჭით იმხელა შორს გამოაცურებს აქეთ, კამეჩი რომ ძლივს წაათრევს მიწაზე. შენ მერე რიყეზე აგორება თქვი, თორემ წყლიდან ყველაფერს გამოაცურებს კაცი. გამოსაცურებელი კი დღეს მდინარეს ერთობ ბევრი რამ მოაქვს.

„მინც რა მღვრიეა ეს ოხერი! წყალი კი არა თხელი ტალახი მოშლივინებს მდინარედ. თუმცა, სწორედ მღვრიე მდინარეს მოაქვს ამდენი რამ, თორემ წმინდა რომ იყოს, რას გამოჩინება კაცი?“

ჯიბომ კაცეი მოზრდილ ნაპობ შეშას მოსდო. ადვილად გამოათრია ნაპირზე, დაავლო ხელი, ვერხვისაკენ გააქანა და მძევალივით მიაგდო.

შარვალ-ხალათი დაესვარა. ხალათი გაიხადა და ტირიფის ტოტზე გადაჰკიდა, ხალათს პერანგიც მიაყოლა. მერე შარვალზე დაიხედა:

„ძველია, არ გავიხდი. ამაზე უარესი რაღა მოუვა. სულ ხომ არ გავტიტვლდები? აქ არავინ დამინახავს, მაგრამ მაინც...“

ისევ მოიმარჯვა ჭოკი. რაღაც ნახევარ საათში ერთ საჩნამდე შეშა დაიჭირა. რიონი პირდაპირ ხელებში აწვდის ნადავლს: დაახორაევო. ჯიბოც ჩქარობს, წუთს უქმად არ აცდენს.

აგერ, მუხის მსხვილი შეშა ფურფურტლასავით იოლად შეიგდო მხარზე და ვერხვისაკენ წააძუნძულა. შეშა რა არის, ყველაფერი — მსხვილი კუნძი თუ სხვა რამ, მჩატედ მიაქვს, ბუქნავ-ბუქნავით, თითქოს ვიღაც უხილავი ეხმარებოდ. პირველად უფრო დაიღალა, მერე გახურდა და ახლა დაღლას სულაც არ გრძნობს. სიხარულმა აჯობა დაღლას.

„სიხარულმა თუ სიხარბემ?“

ჯიბოს ძველი ამბავი მოაგონდა: ერთ გლეხს უთხრეს: ამ ტრიალ მინდორზე მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე რა მიწასაც შემოუტრბენ, შენ დაგიტკიცდებო. მიწას დახარბებულმა გლეხმა ირბინა და ირბინა, თავი არ დაიზოგა, მინდორს შორიდან შემოუარა. ხედავს მზე ჩადის, წრეს კი ვერ კრავს, გაუსკდა გული და დაეცა.

„იმ გლეხებით არ მომივიდეს მეც, არ შევასკდე ამ ვეშაპს. ფრთხილად ჯიბო მერკვილაძე, სიხარბემ ძალიან არ გავათამაშოს, კეუაზე არ შეგშალოს და სულ არ დაგლუპოს! შენისთანა ვეკაცები ჩაუყლაპავს ამ ვერანას? ხომ გავიგონია. წყალსა და ქალს ნუ ენდობიო?.. ყველა წყალი მართლაც უნდო უნდა იყოს, ქალისა კი რა მოგახსენოთ. აი, სოფიოსთანა ქალი, რა თქმა უნდა, სანდო არ არის. ცოლად რომ მომიყვანა, ალბათ ვერც ვიგუებდო, სულ ჩხუბსა და დავიდარაბაში ვიქნებოდი... სანდრო მომთმენია და რალაც სხვანაირი, ცოლის კაპარჩხობას არაფრად აგდებს, ხუმრობაში ატარებს მის ბრახიანობას და კი ერის არხეინად... არა, მე ვერ ვიგუებდო სოფიოს, ვერა! ააშენოს ღმერთმა სანდრო, რომ შემეცილა! ხარმა ხარს ურქინა და უკეთეს ბაგაზე მიაგდო, სწორედ ამას ჰქვია. ჩემი მიაი სულ სხვა ქალია, სულ სხვა, დაელოცოს მშობელ-გამზრდელი! ეგ რომ არ შემხვედროდა, იმ დიდ დარდს ვინ გამიქარებდო? ჰოდა, ჩემი სიცოცხლე არც ეღირებოდა, ღმერთმანი. რა ვუყოთ. ერთი ქალიშვილის მეტი რომ ვერ გავიჩინა, ერთი ქალიშვილი მყავს, მა-

გრამ სანდროს სამივე შვილი თავზე შემოველოს, ერთ ციციწოდ არ დიბს სამივე. ენაცვალოს მამაც. ამ ქვეყნად მხოლოდ ცოლშვილის კმაყოფილია ჯიბო, სხვისი არავისი, თავის თავისაც კი.

დაღმა გაიხედა. სანდრო ნიფხვისამარა დატანტალებს, ქუდი კი რატომღაც ისევ ახურავს.

„სანდროს მუშაობისას ლილინე უყვარს. ახლა თუ ლილინებს? ილილინებს. რატომაც არ ილილინებს, არა აქვს სასიმღეროდ საქმე თუ? ჩემზე მეტი დაუჭერია. აგერ, მეორე საყენ შეშას დგავს. არა, ახლა თავის დაზოგვა არ შეიძლება. რიონი ასე ათასში ერთხელ დიდდება. შესაძლოა, მალე დაიკლოს კედეც, კალაპოტში ჩავარდეს და აღარაფერი წამოიღოს. ახლა მოსწრებაზეა ყველაფერი, გაირკები, იხვირებ, არა და, დარჩები ხელცარიელი. დღეს თავის დაზოგვა არ შეიძლება, არა! ნეტავი ციციწოდ წამომეყვანა! აზიხად კი არ მყავს გაზრდილი, დედას ჰგავს, დედა კი... ცეცხლია ნამდვილი ცეცხლი. ნეტავი ისიც წამომეყვანა... ხელს დამოცილდნენ, სამჭერ მეტს დავიჭერდით... ამ ძაღლს მაინც შეეძლოს რამე, მოწმედ რომ დაუწყეულა ტარიფთან!“

ჯიბოს ეს ფიქრი უტრიალებს გულში, ხოლო სანდრო რასაც ფიქრობს, ეს მხოლოდ გულთამხილავმა უწყის.

ჯიბო ფიცხია, სანდრო ღინჯი. ჯიბო უფრო ჩქარ-ჩქარა იქნევეს ჰოკს, რატომღაც სანდრო მაინც უფრო მეტს იჭერს.

„სიღინჯე სჯობნებია სოფიცხეს.“

ჯიბო გალუმპულ შარვალს იხდის. ფეხს მიბორკავსო. მოკლე ნიფხვისამარა რჩება და უფრო მჩატედ დარბის. არც სცივა და არაფერი. რა დროს სიცივეა ამ შუაზაფხულში, ისიც ასეთი მუშაობისას.

ცაცხვის დიდი შორი დაიქორა. ჰოკი განზე დადო, მოკლე კეტი აიღო და შორი პატარა ბექობზე ააგორა. არა. არ გასჭირვებია, ცაცხვი მჩატეა, მუხასა და წიფელას კი არა ჰგავს. ამ მორს

შეშად ვერ გაიმეტებს, ცაცხვი შეშად არც ვარგა, უგემურია ცეცხლი იცის, დასახერხად კი გამოდგება. იქით-აქეთ ჩამოთლის, დაკუთხავს. შეაგდებს მაღალ ხარაჩოზე, დაარტყამს ნახშირწყალში ამოვლებულ გრძელ ლარს, ვინმეს მოიხმარს, დაუდებს ხერხს და მისი ჯანი... ერთ ოთახს კადვე მიაღვამს ოდას... სანთობო ოთახს, სიძე-ქალიშვილის დასაწვენად. ამისთანა მორი ორიც რომ დაიჭიროს, სამკედლა ოთახს მეტიც არ უნდა. ამისთვის ტყეში უნდა წასულიყო, ხე შორიდან ჩამოეთრია, მაგრამ რიონმა აგერ მშამხარეულად მოუტივტივა. სამასალე ტყე შორს არის. იქ ზაფხულობით კოლო უსაშველოდ იკბინება და მუშაობა ჭირს, ზამთარში კი დიდი თოვლია და მთაში ადვილად ვერ ადის კაცი, გაზაფხულსა და შემოდგომაზე გახურებული ალოსთავია და ვერ მოიცილი. იფ! ჩინებული მორია, ნამდვილად ივარგებს დასახერხად! გულრო თუ გამოდგა, სხვა რამედ გამოვიყენებ, ან ყურძნის საზიდავ კოდს გავაკეთებ, ან პატარა საწნახელს. ამ მორს ზვალვე შემოვაცილი ჭერქს და გავლოპრავ, ჭია რომ არ გაუჩნდეს“.

მეორედ წიფლას მორი დაიჭირა. გაუჭირდა ზევით ათრევა, მაგრამ სამდურედი არ წამოსცდენია. პირიქით. ცას დაუშავდა, ასე რომ აადიდა რიონი:

— შენ გაიხარე, ცაო, როგორც დღეს მე გამახარე!

ზეირთებს მოაგვლეებს რიონი, ალბათ, მდინარე ასე მხიარულობს. ეს არის მისი სიცილიცა და ცეკვაც.

ჯიბომ შეშის ჭერას თავი მიანება, მორებს დასდევს, ოღონდ წყალში მხოლოდ მუხლამდე შედის, იმის იქით ფეხის გადადგმას ვერ ბედავს: არ შემითროსო. მორი ნაპირამდე ადვილად გამოაქვს, მერე რიყეზე აგორება უჭირს. ზოგს სულ ვერ გირევა და წყლის ნაპირზევე სტოვებს. მიხედავს და ასეთ კარგ ნადავლს კვლავ რიონი მიატავტივებს. დანანებით გააყოლებს თვალს. მორის წაღება ისე არ სწყინს, როგორც სხვა რამე — სანდრომ არ დაიჭიროსო. სა-

ნდრო კი მორებს არც იჭერს, მგონი, ტანმორჩილ ხეს ეტანება, ზომიერს, რიყეზე ადვილად ასატანს. გონიერად იქცევა. ერთი დიდი მორის ზევით ათრევაში, ორ მორჩილ ხეს კი აიტანს კაცი რიყეზე და მოგებულოც დარჩება. აი, სანდროს ბიჭი რომ წამოეყვანა, მაშინ ალბათ დიდ მორებსაც შეეპიღებოდა. შეშა შეშა და დიდი მორი კი საფიცრე ხეა. სად შეშის ფასი და სად ფიცრის! მაგრამ მორის რიყეზე აგორება ერთ კაცს ძალიან უჭირს. თავი თუ შეაკლა, ის მორი კუბოს ფიცრადლა გამოადგება! აი, ჯიბო და სანდრო რომ შეამხანაგდნენ, მაშინ მორს რიგრიგობით კეტებს შეუყუდებენ და ზევით ადვილად აგორებენ, მაგრამ... მათი ამხანაგობა არ იქნება, არა...

„არც არის საჭირო. არ მინდა მაგის ზიარი არაფერი. მერე გაყოფაზე მოგვივა დავა. თუ თავს არ გამიჩხეავს, გულს მანც დამიკოდავა. იქნებ პირველმა მე მოვექნით ნაჯახი და... არ მინდა მაგის ზიარი არაფერი... სჯობს წყალმა წაილოს, არც მე, არც მაგას!“

ჯიბოს სანდროს ჭკუა მოსწონს, ახლა თვითონაც ტანმორჩილ ხეებს იჭერს. ზოგი შეშად გამოადგება, ზოგი — ბოძად. გამარქაფებული მუშაობს, თან ცალი თვალი სანდროსაკენ უჭირავს: ჯერ ხომ არ დაიძალაო.

„დალლა კი არა და, უფრო ღრმად შედის წყალში. ქვები, ალბათ კოჭებს ამტრევეს, მანც არ ებუება, სულ არ ეშინია რიონის. კი ვხვდები: ჩემს ჯიბრზე იქცევა ასე, ჩემს ჯიბრზე. დაინახა. ცოტა მეტი რომ დავიჭირე და ახლა მაგას აღეძრა შური: ამ წყლისმოშიშარმა კაცმა რატომ უნდა მაკობოსო. სიხარბემ გააგულადა, სიხარბემ. მარტო მე არ ვყოფილვარ ხარბი. ალბათ, იმაზეც ბრაზობს, წინ რომ დავუღეკი. ვერაფერი მითხრა და ბოლმით სკდება. ანდა, რა უნდა ეთქვა? წინ ნუ მიდგებიო? რიონი და ეს რიყე მკაგისი ხომ არ არის? ჰოდა, გამოღმებული შედის წყალში შურმა და სიხარბემ გააგულადა უფრო. აბა, ეს რა ჯანდაბაა!..“

სანდრომ დიდ მორს მოსდო კაკვი, ახლოს მოაყურა, მოეჭიდა, ნაპირზე გაიტანა და პატარა ბექობზე წელწყვეტით აათრია.

„ჩერ მე ვუდექი ჯიბრში, ახლა ის მიდგას. ასე ვადამდებია ჯიბრი და სიგლაზე. სიკეთე იმდენად არ ვადადის ერთიდან მეორეზე... მაინც სიკეთე მეტია ქვეყანაზე... ალბათ, ზოგი ჯიბრიც სიკეთეა. ჰო, ეტყობა, ასეა. ხშირად ძალის მომცემიც არის, კაცს ალონიერებს და ბევრ კარგ საქმეს აკეთებინებს. ჯიბრი რომ არ მქონოდა, ამდენი შეშისა და მორის დამპერი ვიყავი მე? აქამდე ცხრაჯერ დავეარდებოდი ოჩანი ხარივით. ნამდვილად ჯიბრმა მახერა, სანდროს ჯიბრმა და მიბამეამ. კარგია ჯიბრი, თუ სიკეთეში ბაძე ვინმეს. შეშის ჭერა შრომია, მამაძალობა ხომ არა? მერე რა, სხვაზე მეტის მოხვეჭა რომ მიწდა, მდინარეს ვართმევ. მეზობელს ხომ არა? კაცი კაცს სიკარგეში უნდა გაეჯიბროს და არა სიგლაზეში. ჰოდა, მეც სანდროს სიკარგეში ვეჭიბრები... სწორად მოვიქეცი, აქ რომ დავედექი... წუთისოფელი ერთმანეთის ჯიბრია სხვა არაფერი. ადამიანს ბევრი რამე კი არ უნდა; ერთი ქოხმახი ჰყოფნის თავშესაფრად და სულ მცირე რაღაც—სარჩო-საბადებლად, მაგრამ სასახლეს იშენებს, მეზობელს ზემოდან უნდა დაეხედო. ნიარნიარად იცვამს და იკაზმება: ხალხის თვალში სხვაზე ლამაზად უნდა გამოვჩნდეთ. ყველა ცდილობს: სხვაზე მეტად დააფასონ, აქონ და აღიდონ. კუჭის გამაყურებელ ლუკმა-პურს და თავშესაფარს ყველა იშოვის, მაგრამ ამას ვინ სჯერდება? ერთი რომ ორთვალთან ოდას დაიდგამს, მეორე ოთხთვალთან წამოიჭიმავს, მესამე იმხელა დარბაზს იშენებს, ცხენი გაჭენდება. ჰოდა, აშენებს ჯიბრი ქვეყანას, ლამაზდება სოფელ-ქალაქი, თანდათან მდიდრდება ხალხი და წინ მიიწევს ცხოვრება მეტოქეს თუ კარგი რამე ემარჯვება, შურით შეხედვ, მაგრამ დვარძლს კი ნუ ჩაიდებ გულში, ისწავლე ის საქმე და მეტოქეზე უკეთ გააკე-

თე... ასე დაამარცხებ მაჩრდილობელს... წიართმევ რაღაცს... ქეშმარტად ბევრი სიკეთე მოაქვს ჯიბრს, ბევრმა! (ეს მარხს) კაცს დღე და ღამე რომ აწვალებს და მოსვენებას უკარგავს. ვინც ჯიბრიანი არ არის, ცხოვრობს მათხოვარივით. ჯიბრი და წამხედურობა აქცევს ქვეყანას და აშენებს კიდეც, არა თუ? ვინ თქვა: წუთისოფლის უღელში ორი ხარი აბია — სიციცხლე და სიკვდილიო. მე მგონია, მესამე ხარიც აბია — ქიშხი. ჩანს, ასეა კაცის გაჩენის დღიდან. აბა, რატომ არის სულ ომი, ჩხუბი, ალიაჭოთი და სხვა ათასი დავიდარაბა? კაცი კაცს ეჭიშვება. სოფელი — სოფელს, ქვეყანა — ქვეყანას. ამ ჯიბრ-ქიშობაში იმარჯვებს ის, ვინც უფრო თავდაუზოგავი, გონიერი, დაკვირვებული, უშიშარი და ჭირთავამძლეა, ზოგჯერ — თავხედიც... კი, ნამდვილად სწორედ მოვიქეცი, აქ რომ დავედექი... ამბობენ: დრო მოვა და ქიშობა მოისპობათ. იმ დროს მე ვერ მოვესწრები და სხვისი არ ვიცი... მე რაც ძაღლონე მაქვს თავს არ დავიზოგავ, სხვამ რომ არ გამისწროს წინ! ჩემმა შვილმა და შვილიშვილებმა კი, რაც უნდათ, ის ქნან!..“

ჯიბოს ხელისგულები უხურს, ბებერები კი არ უჩნდება, რკინასავით კანი აქვს. მისი ხელები შეჩვეულია თავდაუზოგავ ჯაფას.

ჰო, ბებერა არ გაუჩნდა, მაგრამ წვეტიან კორმზე კი გაიქრა ხელი. აგლებულად დაიხედა ზედ:

„არაფერია. ასე რამდენჯერ გამომსვლია სისხლი და ჭრილობა არ გამმოხეზებია... რიგიან საქმეს ისე ვერც გააკეთებ, ცოტა სისხლი თუ არ გამოგივიდა, ან ცრემლად არ ჩაგექცა გულში... ჰო, ცრემლიც სისხლია, ზოგი ცრემლი... ვაიმე! ეს რა მომივიდა?!“

ჯიბომ დაინახა, რომ მისი სისხლის რამდენიმე წვეთი რიონის მღვრიე წყალს შეერია. ამან კი რატომღაც შეაშინა, გულზე ცეცხლი წაუკიდა.

„მიწას რომ დაეცა ჩემი სისხლი, არც შევკრთალვარ. ეს ვითომ რა ჯანდაბაა? ავის მომასწავებელია, თუ?...“

შევიხვევ, მაგრამ რით შევიხვიო? აქ ისეთი რომ არაფერი მაქვს? პერანგს ხომ არ დავხვევ გიყვივით? ეშმაკმაც და-ლახვროს, იყოს ასე... წყალწყალა სისხ-ლი კი არა მაქვს, მალე შემიდედდება“... მიწისთვის არ დენანა სისხლი, წყლისთვის კი ვერ გაიმეტა:

სანდრომ ისევ მსხვილი ზე გამოათ-რია, ჯიბომ თავი გადააქნია:

„ვეი რომ მყოლოდა, დღეს აქ უეჭ-ველად წამოვიყვანდი და სანდროს გუ-ლის გასახეთქად ბევრ შორს დავიჭერ-დი... არა უშავსრა, პეპელა არა ვარ, ერთ დღეს არა ვცოცხლობ... მალე სიძე მე-ყოლება, საჩემგუნებო, და შეილივით ამომიდგება მხარში... რიონი მერეც კი მოდიდდება... დღეს მთაში რომელიღაც სოფელი იქცევა, თორემ საერთოდ ქვე-ყნიერებას რა უჭირს... კუტმა რომ იბ-რიტინა მართლა მეორედ მოსვლა კი არ დამდგარა!.. კიდევ მოდიდდება რიონი და... ბოლო დროს რიონი ხშირად იმღ-რევა, ერთბაშად დიდდება და მალე იკ-ლებს. ალბათ, ფერდობებზე ტყეები რომ გამეჩხრდა, ეს იმის ბრალია... რა ვიცი, რა ვიცი, წამოსალები ხეტყე მა-ინც არ იღევა და...“

წყალი სქელ ფიცარს მოატიეტიეებს. ფიცარი დახერხილი შორია, სხვა კი არაფერი.

„მოშორებით კი მოაქვს ეს რჯულ-ძალი! ცოტა წინ თუ არ წავიწიე, ჭოკს ვერ მივაწვდენ. აი, წავდგამ ნაბიჯს და... რაც იქნება, იქნება. წავდგა?“

წადგა. კაკემა ფიცარის ბოლოსლა მი-უსწრო, ფიცარმა კუდი მოიქნია და ზვირთებში შექანდა.

„უპ, კარგი ფიცარი იყო, სქელი. მარ-ტო ერთი ნაბიჯის წინ წადგამც არ ყო-ფილა ყველაფერი. მთავარია თურმე ის ერთი ნაბიჯი თავის დროზე წადგა წინ: არც ადრე, არც გვიან... ეტყობა, ეს ერ-თი ნაბიჯი ბევრგან სჭირდება ადამიანს. ერთი ნაბიჯია, ალბათ, შიშსა და სიმაჟ-ცეს შუა, იქნებ სიკვდილ-სიცოცხლის შუაც... მაგრამ ყველა ერთი ნაბიჯი კი არა, — დროული“.

ამის შემდეგ ჯიბომ კიდევ დაიჭირა

ცაცხვის შორი, ოღონდ მოკლე და გა-ლოპრილი.

„არა უშავს, სალორის მასაღოდ გავუ-მადგება. უნდა გამოვცვალო. სალორე-საც გამოვცვლი და ჭიშკარსაც. ახლა ყველა ორკარიან ფართო ჭიშკარს იყე-თებს, თავდაბურულს. რამდენი მაწან-წალა, ოხერი და მამაძალი გზაზე გაივ-ლის, ყველამ რატომ უნდა შემოიხედოს შენს ეზოში? გამოვცვლი, ჭიშკარსაც გამოვცვლი!“

ჯიბომ კვლავ ფიცარი დაინახა, სქელი და გრძელი ჭოკი შორს გადაიქნია და მკლავები გაიგრძელა. ვერ მისწვდა.

— უპ, შენი დედა!.. მიინცდამაინც უნ-და წყალში შემიტყუოს! მაგ საყენკს მე არ მივირთმევე, არა!

გულმოსული წამოვიდა, ნაჯახი აიღო, გალოპრილ უკოროძო ჯოხს პატარ-პატარა ნაჭდევები გაუყეთა, მერე ჭოკსაც ორიოდ ადგილას უჭდო, ჯოხის ნაჭდე-ვები ჭოკის ნაჭდევებს დაადო და ქამარ-ი შემოახვია, მესმ ახალი ნახვრეტი გა-უყეთა და აბზინდს შიგ ენა გააყოფინა. ქამარშემოჭერილი გრძელი ჭოკით ჩად-ვა წყალში და გათლილი ბოძი დაითრია. ქამარი შეეხსნა ჭოკს, ჯიბომ იმ ადგილს მაშინვე დაავლო ხელი. ამასობაში ბოძ-მა უჯანა.

„არა, ასე არ მარგია. შესაძლოა ქა-მარს აბზინდის ენა სულ მოსწყდეს, წყალმა ჭოკი წამართვას და ხელში ცარიელი ჯოხილა შემჩრჩეს. რიონმა მარ-ტო მოცემა კი არ იცის, უფრო ხშირად ართმევს. აი ახლაც, ეს ყველაფერი ცი-დან კი არ ცვივა: ერთს ართმევს და მე-ორეს აძლევს... უჭოკოდ რომ დამტო-ვოს, რა მეშველება? აგერ ახლა წყალს უფრო მეტი ნადავლი მოაქვს და... ქა-მარი რომ შეეხსნას, გადაბმული ჭოკი ისედაც ცუდი სახმარია. ჭოკს ნაჭდევე-ბი რომ გავუყეთე გადასაბმელად, ეს სულაც არ არის ცუდი, ნეტავი აქამდეც მომგონებოდა, ზედ ხელი არ მომიცურ-დება. გადასაბმელად ამოვჭერი და სხვა რამისათვის კი გამოვადგა, მეცადინეობა წყალში არ გადამეყარა...“ დღეს საერ-თოდ ბედი მწყალობს“.

ჯიბომ შორიდანვე დალანდა მოტივ-ტივე ჭიშკრის ბოძი და კაკვი დაუმიზნა. მოსდო, ცოტაზე გამოაცურა, გაეჭყა, რიყე-რიყე დაედევნა, ეწევა და ვერც ეწევა.

— სანდრო, ჰეი, სანდრო! ბოძი მოაქვს, დაიჭი, თუ კაცი ხარ!

სანდრომ ბოძს უგულოდ გახედა, კაკვი ნაპობ შეშას მოსდო და არხეინად დაითრია.

— ეეჰ! რა ქენი, შე კაი კაცო?

— რა ექენი?

— დაგვეჭირა ი ბოძი, მკლავი ხომ არ მოგწყდებოდა?

— ბოღიში, მარა, სხვისი გაუბედურებით ვინ გახარებულა, მე რომ ავშენდე? ამისთანა რამეებს მე არ ვიჭერ, ჯიბო ჩემო. სხვისი შრამელის არც ფიცარი მინდა, და არც ბოძი. ნაარმევივითაა. ვილაცის ნაოხარს შინ ვერ შევიტან, თუ გინდა მომკალი... ასე მგონია, ცრემლი, წყველა და ურვა შემომყვება ჭიშკარში... არ გამახარებს.

„კი, მარა, მე რომ საცოლვე ხელიდან გამომატალე და კინაღამ მომიანელე, მაშინ რატომ არ იყავი მაგ ჰეუაზე?“ — გაიფიქრა ჯიბომ და თქვა დააპირა, ენაზე მომდგარი სიტყვა ნერწყვთან ერთად ჩაყლაპა და ცნობისწადილით სანდროს ნადავლს გადახედა. შეშის გარდა მართლაც არაფერი დაეჭირა სანდროს — არც ფიცარი ჩანდა აქ, არც ბოძი და არც ყავარი.

— დალოცვილო, ღმერთი შენ აღარ გწამს, ხატი და ეკლესია, ეგ სისულელე კი აქამდე ვერ ამოიგდე თავიდან? — შებედა ჯიბომ სვანურქუდიან კაცს.

— ღმერთი და ხატი არ ვიცი მე! მწამს: ცოდვა-მადლი დადის დედამშიაზე და ამას მივდევი. ჩემი ფიქრი და ჰეუა მაქვს, გაიგე? შენ რაც გინდა, ის დაიჭირე, არავინ გიშლის.

ჯიბო უხმოდ გამობრუნდა უკან. მსხვილ-მსხვილ შეშას იჭერს, ერჩევა, ფიცრებსა და ბოძებს თვალს არიდებს განგებ, ვილაცის წყველის ეშინია.

„კარგია რიყის შეშა, კარგი! რომ გახმება, კვარით ეკიდება. ტყეში მოჭ-

რილი ზოგი შეშა მანამდე არ გაგათბობს, სანამ თვალში კვამლს არ შემოგვამდე. ვლებს და მწარედ არ აგატრემლებს, რიყმა შეშამ კი გემრიელი ცეცხლი იცის, ისე გაგათბობს, თვალს არ გთხრის. ნაკვერცხალიც კარგი იცის, ვარდივით აყვავდება ხოლმე. ეჰ, ნეტავი აქამდეც მეგლო შეშის საჭრელად!“

აქებს რიყის შეშას და გულს ამით იმშვიდებს, მაგრამ ეჭვი მაინც არ ასვენებს და ბრაზდება: სანდროს რატომ დავუჭერო.

„ფიცრები ვითომ რატომ უნდა დავიჭირო? იმ ვილაც კაცს წყალმა დაუნგრია შრამელი, მე ხომ არა? ჰოდა, ეს ფიცრები რომ შინ შევიტანო, ცოდვა მე რატომ უნდა მომიკითხოს? წყალში დალობას და გაფუჭებას კაცმა მოიხმაროს არ სჯობს? ამისათვის ვინ დამწყველის? მომატყუა სანდრომ; მომატყუა!“

კვლავ ფიცრებსა და ბოძებს ეტანება. შეშაც ბლომად დაიჭირა და ფიცარიც

„ეს შეშა ორ წელიწადს მაინც მეყოფა, ტყეში წასვლა აღარ დამჭირდება. ერთ საყენ ზორასაც სასადილოს გამგეს მივყიდი. გუშინ ეკითხებოდა ხალხს: შეშას ხომ არავინ შეელევაო. მერე რა, ჯერ ხომ სველია! სამიოდე კვირაში გამოშრება და ბრრრ! აბრიალდება ნავთ-დასხმულივით! რა მეჩქარება, ერთ თვესაც გავაჩერებ რიყეზე. კარგად გამოვაშრობ და საურმე გზამდე მერე ავხიდავ მჩატედ. იმ შეშის ფულს სხვასაც დავუმატებ და ციციოსს ოქროს საათს ვუყიდი... თუმცა, არა! საათი საქმრომ უნდა მოუტანოს. მე სხვა რამეს ვუყიდი, ისეთს, რომ სოფელში არავის ჰქონდეს, მტერმა შეხედოს, თვალი დაეწოს, სოფიომ ერთ თვეს რიგინად ვერ დააძინოს იმის გამოისობით. მის ჯიბოზე იმისთანა სასიძოს გამოვარჩევ და ციციოსსაც ისე მოვრთავ-მოვკაზმავ, თქვას: ეს რა სასწაულიაო. ახლა მაინც ნახონ, ჯიბო მერკვილაძე რა ბიჭიც არის!“

ტირიფის ძირში მიწოლილ ძაღლს მოჰკრა თვალი:

„დაქინა ამ რჯულძაღლს თუ მოკვდა? —

— ფაცურა, პაუ ფაცურა!

ძალმა ერთი უნიათოდ მოხედა ბატონის და ისევ მილულა თვალი: აქაოდა, ძილს ტყუილად ნუ მიფრთხობ, მომეწყინა და სიზმრებით ვერთობიო.

„მოვივინა, ალბათ. თუმცა ძალს როდის არ შია? რა ვიცოდი, აქ ამდენხანს თუ მომიხდებოდა გაჩერება, თორემ ჰადის ნატებს ვიგულვებდი. ეპ, ჩემო ფაცურა, შენ კი არა, ახლა მეც ძალღვით შშია, მაგრამ რა ვქნა? ჰო, მე რა ვქნა, თორემ შენ თუ მოინდომებ, კბილის ვასაკრავს კი იშოვი რამეს. ძალის ლუკმა ყველგან არის, აგერ წყალმა სამაოდე ქათამი ჩაატარა, დამხრჩვალა, კიდევ ჩამოატარებს და... უპ, რა სულელი ვარ ზოგჯერ! ეს რამე მაფიქრებინა? ფაცურა რომ აქ ქათმის ხორცი თვალით დაეჩვენა და მერე ეზოში ქათმის სინსილას გამიწყვეტს, არც ჰქუას შეშარჩენს, ყველა შეზობელს გადამიმტერებს. ჰოდა, მეზობლებშუა თუ ძალი ჩადგა, მტრისას! იქ აღარ გეცხოვრება კაცს!“

— იძინე, ფაცურა, იძინე! ნეტავი მეც შენსავით უდარდელი ვიყო!

ერთი ბატარა წაძინება მეც წამალივით მარგებდა, მაგრამ...

ჯიბომ წიფლის მორი მშრალ ქვიშაზე ააგორა, ახლა კი ხედავს, ზედ წყალი ეთქაფუნება, თითქოს ენით ლოკავსო.

— თუ კაცი ხარ, სულ გავივდი, გადაირიე და ეს ჰალა ერთიანად წალეკე! აბა, შენ იცი, თუ გამახარებ! — თითქოს ძველ ძმაკაცს ელაპარაკებო, ისე უთხრა ჯიბომ რიონს და კბილები ბრაზიანად გააკრაქუნა.

ეს რა არის, ეჩვენება თუ?..

რა მოჩვენება, რის მოჩვენება, ნამდვილად მატულობს რიონი. აგერ, წიფლის მორს ენით კი აღარ ლოკავს, ზედ ახტება. ჯიბოს ვარაუდით, უნდა დაეკლო, კალაპოტში ჩავარდნილიყო და უცებ... მატება დაიწყო.

— აუუუ, ღვთის რისხვია, თუ რა?

მოაქვს უფრო მეტი კუნძი, ჯირკა, მორი და შეშა... წვრილი შეშა, ნაპობი გასხებილი და ბორჯლიანი. მოაქვს

წისკვილის ბორბალი, ღარი, ხეიმირა, სარეკელა, ლაკვარა, დოღაჭხე შემოსადები კარბა და ფქვილის... ტარა მოკლე ნიჩაბა. წყალდიდობა ყველაზე მეტად წისკვილებს ემტერება. რიონი მრგვალ ხეებს რომ მოატივტივებს, სხვა კი არაფერია, სადღაც ადიდებულ დელს ჯარგვალა წისკვილი დაუფრევია. გუდა რომ მოაქვს, ეგვე წისკვილიდან იქნება გამოტაცებული. ვირთხებსაც ბლომად დაახრჩობდა. წისკვილებში რომ დათარეშობენ და გემრავლად ხრავენ თავმოკრულ ტომრებსა და გულებს, აბა, რაფა ჰგონიათ! ყოველთვის კი არ მოიტანს კოკა წყალს, წოგჯერ წყალი წილებს კოკას. ცხოვრება დიდხანს ნებეზრობას არავის არ ანებებს, არა! ჯანდაბის გზაც ჰქონიათ ვირთხებს! აგერ რიონი ორ ღორს მოატივტივებს, ცოტა იქით ძალი მოაქვს... აი, ბატიც გამოჩნდა. იქნებ სადმე ახლოს გამოიტაცა და ჯერაც ცოცხალია? აბა, კისერი რატომ აქვს აწეული? ნამდვილად ცოცხალია. უყურე შენ?! რიონი, ეტყობა, ჰვეყანას ახრჩობს დღეს, ამ გრძელკისერას კი ვერ მორევია! ფურფუტელაა და წყალს ქაფივით მიჰყვება. ჰქუა მაგას არ აწუხებს და სიმძიმე! ეს წყალი კი სულ გადაირია! მოაქვს გიდეგი და ხვირი, სახლის თავზე, საძირკვლები, ლარტყები, და კარ-ფანჯარა, ხიდის ძელები და მდინარისპირა ჯებირების ვოდორყოფი. ზვირთებთან ერთად აღის და ჩადის ცარიელი ხურჯინი. ჰრელი აღარ არის — მღვრიე წყალს თავის ფერზე შეულებავს. რიონს სადღაც ხმო და ცხვარიც დაუხრჩვია. ბატი კი მიტივტივებს თავის გემოზე. ფურფუტელა!..

„ნეტავი ის კაცი სადღაა, ვისაც ეს ხურჯინი ეკიდა მხარზე?“

ჯიბომ ხურჯინი დაიჭირა, ვერხვის ძირა ტოტზე გადააკიდა და ჰოკომარჯვებული მდინარეს მიუბრუნდა.

„ეს რამდენი უყაჩაღია ამ სატიალეს! გაბორბტებულა და აღარავინ დაუნდვია, სულ დაურბევია და დაუქცევია ჰვეყანა. მართლაც წარღვნა და მეორედ მოსვლაა სადღაც. ცხრა მთას იქით

კი არა, ამ ქედებს გადაღმა. სულ ერთი დღის სავალზე მოჯანდული ცა ვრად ჩამოდი. ღვარები ფერდობებსა ხრამებს, შუროები და ტყე-ღრე წყლით ივსება და ღვარცოფი გლეჯს დედამიწას. ერთი კი არა, ცხრა ქვედრულა გასკდა ალბათ, ჭეჭორას წყალს შეუერთდა და რიონისაკენ გაეშურა თავქუდმოგლეჯილი. ჰოდა, რიონიც, ზღაპარში ჭიარომ გველშაბად იქცევა, ისე გაიზარდა, ცოფშეყრილივით გადაირია და მოთქარუნებს. აი, გიჟი რომ ტანსაცმელს შემოიხევეს და შიშველ-ტიტველი ღრიალით დაეშვება ფერდობზე, ისე გამოიბის. გორიზი და გადიდგულუბული სოფლებში შერბის, ანგრევს ბოსლებს, წისქვილებს, ჭიშკრებსა და სახლებს, ბელლებსა და საქათმეებს. კაცთა სავალ გზებზე გადადის. ხარბი ადამიანივით ყველაფერს ეპოტინება, უბეში იყრის და მოაძინძულებს. ვერც რიონის ტანი ეტევა კალაპოტში, ვერც მისი ხმა — ხეობაში. მთების გაღავანი და ცა ივსება მდინარის ზენეშით, ღრიალით, ღმუილით და გუგუნით. ჰო, ეს ასე იქნება იქ, აქ კი, თითქოს არაფერიო, კანტიკუნტად გაბნეული ღრუბლებიდან მალი-მალ იჭყიტება და ჩვილი ბავშვივით იღიმება მზე. სულ არ ეხამება ერთმანეთს ასე გაღიმებული მზე და ტალახისფერი რიონი. სუნთქვა-შეკრული უჭანლო ცა და ზღვად მომსკდარი, აბორგებული მდინარე, ავი და გაბრაზებული.

ჯიბო ცაცხვის მოკლე მორთან მივიდა და მოცელილივით ჩამოვდა, მკლავები მოწყვეტილივით ჩამოყარა.

ჩრდილი დასთამაშებს ტალახისფერ რიონს და აქა-იქ საშინლად ამუქებს. ჩრდილი დასთამაშებს ჯიბოს და თვალს ახუქვინებს. — უუუუუუხხხხრრრ — იგრგვინა უცებ.

ჯიბომ ვერაფრის გაფიქრება ვერ მოასწრო, თოფნაკრავივით წამოვარდა და გვერდზე გადავარდა. გონს რომ მოვიდა, ქვიშაზე მოკუნტული ეგდო. ხელეები თავზე ეფარა. ირგვლივ კვლავ გამაყრუებლად გრუხუნებდა რაღაც. იმ ხმა-

ში რიონის ღრიალი თავისი წრიბინივით ივარგებოდა.

„რა მოხდა? ცა ჩამოტყდა ის შეხად, თუ საფურის ქედი წამოაქცია რიონმა?“

ცა ისეთივეა, ორიოდე წუთის წინ რომ იყო, საფურის ქედიც წინანდებურად დგას, ოღონდ, თითქოს მწვანებლათიან და მხრებგაშლილ გოლიათს გულისპირი ჩამოახიესო, ქედს ერთგან მკერდი სულ გაშიშვლებია. დიდი მეწყერი მოსდებია, უშველებელი კლდე დაუფშენია, ტყეში აურევია და ეს ვეება გუნდა რიონისთვის დაუხლია. გეგონებათ, მიხვდა, რიონი ძირს რომ უთხრიდა და თავს იმიტომ დაატყდა რისხევით.

„ძირის გამოთხრას რომ დაუწყებ ვინმეს, მისგან უკეთესს რას უნდა მოელოდე? შენ რომ იმ მთის ადგილას ყოფილიყავი, რას იზამდი? აპატიებდი ძირის გამოთხრას? ჰოდა, საფურის ქედმაც არ აპატია. ეს მეწყერი დააგუბებს ვითომ ამოდენა რიონს? ვერა. ამოდენას კი არა, უფრო პატარასაც ვერ დააგუბებს. მდინარისთანა ღონიერი არაფერი არ არის. ვინც მდინარეს მოერევა... იმას ადვილად ვერც წუთისოფელი დასცემს ძირს. ღონიერია გაბრაზებული კაცი, მაგრამ გაბრაზებული მდინარე ათიათასჯერ უფრო ღონიერია. რიონი კი ახლა უსაშველოდ გაბრაზებული მოდის. ნეტავი ვის ემუქრება?“

რიონმა აიწია, მაგრამ რატომღაც მხოლოდ გაღმა. ძირგამოჭმული ბექობი ჩაყლაპა და ვენახს მიადგა. წყლისპირას მდგომი ერთი რთხელა წამოაქცია. უკვე მეორესაც უშიშვლდება ფესვები და ისიც მალე გადმოყირავდება წყალში.

„ჩანს, მეწყერმა ერთგან გზა გადაუღობა რიონს და შეაჩერა, იქნებ დააგუბა კიდევ, მაგრამ მხოლოდ წყლის ნაწილი: მდინარე მაინც მიდის, ნაპირს ეხლება, ზოგან ახტება და მიდის. მიდის და ახლა იმ მეწყერსაც უთხრის ძირს, მიაქვს მისი ჩამოტანილი ლოდები და ფიქვები, მიაქვს წინ დახვედრილი ქვა და გუნდა, მიაქვს მეწყერი. ერთ თვეს რომ ასე იდინოს რიონმა, საფურის სერს თუ წაიღებს მთლიანად? ვერა, ვერ წაი-



ღებს. მთა მინც სხვა არის, ვერ მოერევა ადვილად. ასეთი მეწყერი ორიოდგერაც რომ ესროლოს, იქნებ შეაშინოს და ახალ კალაპოტში გადააგდოს, სხვას ვერაფერს დააკლებს. მდინარე შეუპოვარი და ძლიერია, უკან არასოდეს იხევს, განსაკუთრებით ასეთი — ვეშაპივით რომ მოიზღაზნება და ხმაურით ცას აყრუებს... თუმცა, არც საფურის ქედისთანა მთა არის უძლური. მეწყერს რომ დაუხვედრებს წინ, ორიოდ ნაბიჯით მინც გააგდებს განზე და ზოგჯერ გზასაც შეაცვლევიანებს. ეპ, რა ჩემი თავსატეხია, ვინ ვის გადააგდებს! სჯობია, საქმეს მივხედო. მდინარეს მთა ვერ შეაჩერებს, ვერა! ჰოდა, ვიდრე რიონს რამე მოაქვს, ცოტას კიდევ გამოვრჩები».

არაქათგამოცლილი წამოდგა გამორიყულ ქუჩტა ვაშლს დასწვდა და ხარბად ჩაქბინა. ეამა მყავე ვაშლი, გული ჩაუწმინდა და სული მოაბრუნებინა, ჰოკი იილო და ფეხათრევით მიადგა რიონს.

„აუჰ! ეს რა ცოდვა ჩაგიდენია, შე ნამუსგარეცხილო!“

რიონი აევანს მოატივტივებს, ცარიელს. სახელური ზევითა აქვს. იმ სახელურს ბრჭყვიალა მძივები და ქლარუნები ისევ ჰკიდია. მოატივტივებს ისე, თითქოს არწევსო. აევანი ზვირთებში აღმა-დაღმა ბუქნაობს და იქით-აქითაც ირწევა. ცარიელი აევნის ოჯახში დარწევას ყველა ერიდება. არ ვარგაო, იტყოდა ხოლმე ჯიბოს ბებია. აი, რიონი კი არწევს ცარიელ აევანს.

„ნეტავი არ დამენახა. უჰ, შენი რჯული არ იყოს. ეს რა ცოდვა ჩაგიდენია, შე მართლა ოხერო!“

იქნებ ჩვილიანად გამოიტაცა და მერე... წყალმა ამოიყვანა აევნიდან ჩვილი და ჩაიგორა კალთაში?

ჯიბო ვერხვის ფოთოლივით ათრთოლდა.

„ნეტავი არ დამენახა. ჩემ სიცოცხლეში აღარ დამავიწყდება. რიონს რომ ახსენებს ვინმე, პირველად ეს მომელანდება. უჰ, შენი რჯული არ იყოს! დიდი ცოდვა აგიკიდნია, დიდი!.. პატარა ბავშვის დახრჩობა...“

ახლა მანდილს მოჰკრა თვალი.

„სად არის ახლა ის ქალი? ვინსაც მანდილი ეხურა? ამ აკვანში მწუხარარე ჩვილის დედა ხომ არ იყო? აბა, ვინ იქნებოდა! აღმათ აევნიანად გაექცა უცებ მავარდნილ მდინარეს, მდინარე დაეწია და მღვრიე ტალღებში ჩაითრია. რაკი აევანი ცოცხალს ვერ გამოგლიჯა ხელიდან, ქალი დიდ მორევში შეაგდო, დაახრჩო და აევანი მკვდარს წაართვა. ჰოდა, მერე მკვდარი დედა დაედევნა აევანს. ვეღარ ხედავს ჩვილი რომ აღარ წევს შიგ, მაგრამ აევანს კი ხედავს და მოსდევს თმებგაშლილი. მკვდარი დედაც ვეღარ ელევა მკვდარ შვილს, ისევე აკვანში ეგულემა თავისი პირმშო და... ნეტავი არ დამენახა არც აევანი, არც მანდილი...“

ჯიბომ ჰოკი გვერდზე მიაგდო, რიყის სიბ ქვაზე ჩამოჭდა და თვალი დახუჭა.

„ძალიან ავი და ბოროტია რიონი, აკვნებსაც კი არ ინდობს... თუმცა, აგერ, მთელ სოფელს შეშა რომ მოუტანა, ეს რაღა? აკვარგიაანია რიონი, აკვარგიაანი... ერთგან დედას აევანს სტაცებს, სხვაგან კი უზარმაზარ რაღაცეებს ატრიალებს და მთელ ქალაქს აჩირადნებს... ქალაქიდან ღამეს მაწანწალასავით აგდებს... ეს პატარა ამბავი კი არ არის! სხვა უხილავი სიკეთეც ბევრი აქვს რიონს... სიავებზე მეტი სიკეთე ჰკიდია ზურგზე... ჰო, წუთისოფელივით ცოდვიან-მადლიანია რიონი... მარტო რიონი კი არა ყველა მდინარე... კეთილიც არის, ბოროტიც და ბევრი სხვა რამეც. მღვრიე მოდის თუ წმინდა, მუდამ ცოდვა-მადლის უხილავ სასწორს მოატივტივებს... იმ სასწორზე ხან ცოდვა სძლევს მადლსა და ხან მადლი — ცოდვას. უფრო ხშირად მადლი სძლევს. თუ ასე არ არის, ხალხი მდინარის ახლო დასახლებას რატომ ეტანება? მარტო იმისთვის ხომ არა, ზაფხულობით მდინარის გრილი სიო შემომიჭროლებსო! სადაც წყალი და მდინარე არ არის, იქ არც ხალხია და არც სიცოცხლე. ჰოდა, რაკი სიკეთე მეტი აქვს, ზოგი ცოდვა კი უნდა შევუხდოთ“.

„— ჰეი, ჯიბო, რატომ ამართლებ რიონს? შენც მავას ხომ არ ჰგავხარ?“

„— რა ვიცი რა ვიცი... ეპ, გეყოფა ამდენი ფიქრი, ადექი და საქმეს მიხედუ, თორემ, ალბათ, სანდრო გითვალთვალებს, ჰგონია, დაიღალე და უხარია: ვაჯობეო. ადექ, ჯიბო, თორემ ისე ხარ დაღლილი, ცოტა კიდევ თუ შეისვენე და სხეული მოაღუნე, მერე ადგომას ვეღარც მოახერხებ. ჰა, ერთი... ორი... ორნახევარი და...“

ცოცხლად წამოდგა და ჭოკი მოიმარჯვა.

გალმა რიყე სულ გადაუვლია რიონს, ბექობი გამოუხრავს და ვენახს მისდგომია დაბარებული შევალესავით. ჭამს და ჭამს ისრმიან ვაზებს. კიდევ კარგი, იქით ვაჩნია და აქეთ არ წამოვიდა, თორემ... თუ ასე იარა, გაღმელთა ვაკეს სულ წაიღებს, ვენახ-ყანებიანად. იმ ვენახებში, აქა-იქ, კარვებიც დგას, ლერწის კონებით დახურული. ზოგს შიგ მარანი აქვს გამართული. ცოტაც თუ წაიწია იქით რიონმა, იმ კარვებსაც გამოუყვანს წირვას: წაიღებს საწნახლებს, გიღლებს კოდებს და კალათებს, ჩამარხულ ქურებსაც წაიღებს, ღვინიანსა და უღვინოს. მშვიდობით, წვითა და დაგვით სულჩადგმულო ამდენო ავლადიდებავს..

„ეპ, რა უძლური ხარ, კაცო, თუ მდინარემ შემოგიტია! მაინც რა გამგელეებული ჭამს მიწას ეს ოხერი! ჯანდაბას, ჯამოს, ჩემსას ხომ არ ჭამს და...“

ჯიბომ ფიცარს მოჰკრა თვალი, ჭოკი სწრაფად გადაიქნია, კაკვი ხარბად მოსდო და ნადავლი რიყეზე სულმოუთქმელად ამოავლო.

— ვაიმე!.. — ელდანაცემივით უკან გადაბარბაცდა და ცივმა ოფლმა დაასხა: — ტფუ, შენი გამჟღადის!...

რიყეზე ეგდო აქა-იქ ფერშეკმული კუბოსთავი.

„ტფუ! რაღა მე მომხვდა ეს დასაწვავი? ნახმარი ჩანს. ალბათ მდინარემ ან ღელემ სასაფლაოს ძირი გამოუთხარა, დაარბია და ნაპირა საფლავები წამოიღო. ამ ძუძუშეგინებულს მიწაში ჩაწო-

ლილი ადამიანებიც არ მოუსვენებია. ჰო, ყველაზე უწყინარი ხალხი არ დუნდვია და ცოცხლებს რა შეიძინა დააყრიდა?! სასაფლაოსთვის მკვდრები წაურთმეგია და მკვდრებისთვის — კუბოსაფლავები. უპ, შენი რჯული არ იყოს, ეგვა კაცობა? ტფუ! რაღა მე მომხვდა ეს დასაწვავი?“

— უპ, შენი გამჟღადის!.. — კუბოსთავს ფეხი თავგამეტებით მიართყა და რიონში შეაგდო. აერყოლებს. გული შემოჰყვირის, წყლისკენ ნულარ ვაიხედავო, მაგრამ თვალი მაინც იქით გაურბის, გაურბის და... სულ აკვნები და კუბოები ელანდება.

„ნეტავი ის რას შეგება, ჩემი მტერმოყვარე, დამაქცეველ-ამშენებელი? — გახდება:

„აჰა! გამოლევია არაქათი, გასძრობია ქანცი. ჭოკი მიუგდია, ჩამჯდარა და თავი ჩაუქინდრავს. დაღლილი ერთი თუ ჩაეფებვა, მერე ადგომა უჭირს. ვეღარ ადგება სანდრო, ვერა. აჰა! ხომ გაჯობე, შე აფთარო! ასე იცის ჯიბომ! ნეტავი ასე რად მიღეშლა? ხომ არაფერი იტყინა? თავმოყვარე და ჯიუტია, თვითონ არ დამიძახებს: მომეშველეო. ისევე მე უნდა მივხედო. იქნებ მართლა რამე უჭირს და... რომ არ მივხედო, თავი მომეჭრება. რას იტყვის სოფელ-ქვეყანა? კაცმა კაცს ამისთანა დროს ზრდილობისთვის მაინც უნდა მიაკითხოს. სანდრო რომ აქ არ ყოფილიყო, ამდენი შეშის დამჭერი ვიყავი მე? მერე რა, რომ მეტოქეა! კაცს თუ მეტოქე არ ეყოლა, ისე როგორ იცხოვროს, გული რამ შეუძნობოს, სისხლი ვინ გაუხელოს, ვის გაეჭიბროს? ღმერთმა მიცოცხლოს, სანდრო, შენი თავი ის არ მინდა, წინ გამისწრო ცხოვრებაში, თორემ ისე, უშენოდ, ჩემ სიცოცხლეს გახვრტილი გროშის ფასი ექნებოდა, ღმერთიანი“.

ჯიბომ ერთხელ კიდევ გადახედა თავის ნადავლს:

„ვიხეირე, ნამდვილად ვიხეირე! ამდენი შეშისა და სხვა რამის ტყეში მოჭრას ერთ თავს მაინც მოუნდება კაცი, აქ კი

ერთ დღეში მოვინადირე. დავიდალე, მაგრამ რას იხამ, იოლი ფაფის ქამაა. ძაღლობა უფაღს, წამოსვლა რომ გავბედე... რაკი ერთხელ გამიმართლა ამ ერთმა ნაბიჯმა, ამიერიდან მე ვიცოდე და ჩემმა ვაჟკაცობამ... სჯობს არწივივით ცოტა ხანს იცოცხლო, ვიდრე ყვაკვივით: — სამას წელიწადს... ახლა ცოტა კიდევ რომ შევისვენო, ურიგო არ იქნება. კი არ გავცდები, ღონეს მოვიკრებ და... ისევ მივუბრუნდები საქმეს. ვნახავ, რა უჭირს ჩემს მტერ-მოყვარეს“.

ჯიბო რიყეს თავქვე დაუყვა.

— სანდრო, რას დაღვრემილხარ? ქვეყანა შენი საპატრონო და სარჩენი ხომ არ არის? გიჭირს რამე, ბიჭო?

— მე რა მიჭირს... ამ ცოდვიანს სულ დაუქცევია და გაუუბედურებია ზემოური ხალხი. მაგის მოტანილი ოქროც არ მინდა. ცოტას სულს მოვითქვამ და წავალ შინ. შენ არ წამოხვალ ჯერ?

„ჭკუით მატყუებს ბიჭი. დაიღალა, მეტი აღარ შეუძლია და რაკი თვითონ ფეხზე ველარ დგება, მაბრიყვებს, მუშაობას შენც დაინებე თავიო. მაგზე მეტე რომ არ ვიხეირო. აბა, დავიჯერო, მართლა იმ დაქცეული ხალხის ვარამმა გააფუჭა კაცი? ისე, ხანდახან კი იცის, ამისთანა სულელური რაღაც, მაგრამ ახლა, როცა ქვეყანა შენდება?.. თუმცა მაგის სოფელიც ხომ ზემოთშია და... ვინ იცის, სწორედ ის ადარდებს, რომ... იპ, რა გქნა ახლა მე, იდარდოს, თუ დარდი უნდა!“ — გაიფიქრა ჯიბომ და სანდროს გულითადად უთხრა:

— ნუ მომიცდი, წადი შენ! მე ცოტა ხანს დავრჩები კიდევ. რიონი იკლებს უკვე, ჩადგება და წამოვალ. ძაღლს გაგატან, თუ წამოგყვება. ერთობ მომიშვიდა ფაცურას.

— არ გამომყვება. ძაღლი პატრონს დასდევს მხოლოდ. ისე, კაცმა რომ თქვას, ყველგან რომ დაგყავს, რად გინდა?

— არ მშორდება და მოვკლა? კაი მეძებარი კი მყავს, რამდენჯერმე კურდღელი ცოცხლად დაიჭირა...

— კურდღელს ცოცხლულად მეც კი ვიჭერ, მაგრამ კარგი მეძებარი კი არა ვარ, — გაიხსენა ძველი ამბავი სანდრომ.

ჯიბოს ენის წვერზე დაეკიდა: „მეძებრისა რა მოგახსენო და კარგი ქოფაკი კი ხარო“, მაგრამ უმაღვე ივარაუდა, ეს ხუმრობაზე მეტი გამომივო და გვერდზე უხმოდ მიიხედა, თვალი მოარიდა პოსაუბრეს: ეს ნაფიქრალი ჩემ სახეზე არ წაიკითხოსო.

რიონს გაღმით უკან დაუხევიდა. ბეგს ვაზებში თავდაყირა ჰკილია, თითქოს წყალწაღებულ ძმებსა და ღებს მისტირიან და თმები იმიტომ ჩამოუშლიათო. ეინ მოთვლის, რამდენი დამხრჩვალ ვაზი მიაქვს ახლა რიონს!

გამოღმით დაკლება მაინცდამაინც არ დასტყობია წყალს.

აქამდე სადღაც გულის კუნჭულში შიში ჰქონდა ჯიბოს: ვაითუ დაჭერილი შეშა ისევ წამართვას რიონშაო. ახლა იმედი მიეცა: ფონს გავედი წყალიდობა მთავრდებაო.

დაიკლო რიონმა, შეშა და ფიცარი კი წინანდებურად მოაქვს. დაიჭირე, რამდენსაც მისწვდები.

„ჰოდა, დავიჭერ. ახლა უფრო ხალისიანად და გულმოდგინედ ვიმუშავებ, რაკი დავრწმუნდი, შემრჩება... ჯერ კიდევ შერჩის ღონე... ჭკუტა ვაშლს კიდევ ვიშოვი და...“

წასვლა დააპირა, შეტრიალდა.

სანდრო ფეთიანივით წამოხტა, ჭოკს ეცა და წყალში შეიჭრა.

„რა ცეცხლი წაეკიდა? ოქროს სასახლე ხომ არ დაინახა?“

სანდრომ თვალის დახამხამებაში ქვიშაზე ქალის ცხედარი გამოათრია. ერთი დახედა ცხედარს და შორიასლოს ჩაჯდა. მიძმედ ქშინავდა, სულს ძლივს ითქვამდა, ჯანდაცილილსა ჰგავს.

„ესღა გვაკლდა. ახლა კუბოსაც დაიჭერს ბანანავილს გადავიხდით. ტფუ! ღღეს წყალიც გაგიჟდა და კაციც“.

— რა იყო, სანდრო, რას შეიცხადე? შენიანი ან მოგვარე ხომ არავინ არის?

— არა.

— რა ვიცი, ჭირისუფალს კი დაემგვანე და... შენთან თუ არ არის, რას გამოათრიე? გეხალისება მკვდრის ყურება?

— ჩემიანი რა შუაშია, ადამიანია.

— ერთი შენც მოგვლია. თუ არ გეცნობა, გადაადგე, არ დაგეთარსოს.

— წადი, წადი, შეაყოლე, შენ ამას რას გაიგებ!

— ჰო, მივხვდი, მივხვდი! დამხრჩვალის პოვნისთვის პატრონი დიდ გასამრჯელოს იძლევა ხოლმე. ჭკვიანი კაცი სარ და ბედიც გაქვს, ღმერთმა კეთილად მოგახმაროს!..

სანდროს საფეთქლები დაებერა, პირისახე წამოუწითლდა, აშკარად შეეტყუო, გული მოუვიდა და ფინთხივით აფეთქდა:

— წადი, მომშორდი, შე დღეუბედურო, შენა, სანამ...

— ნუ გეშინია, არ შემოგეზიარები.

— რას შემომეზიარები, შე ბრიაყო?

— ალუა კი აღარა ვარ, ყველაფერი ვიცი... ეგ მკვდარი სამი-ოთხი საეწენი შეშის ფასი მაინც ღირს... თუ კარგი პატრონი გამოუჩნდა, მეტსაც გამოიმეცებს... ჭკვიანი კაცი ხარ, ჭკვიანიც და დაკვირვებულიც... აბა, ასე უცებ მე კი ვერ მოვიფიქრებდი, ჩემი გაჩენის დღე კი დაიქცეს, რა გამოვედი ამისთანა უგერგილო!

— ჯიბო, ნუ მიჰქარავ, ყველაფერს შენი არშინით ნუ ზომავ... წადი!

— თუ ხეირს არ ელი, სხვისი მკვდარი რა ჭირად გინდა?

— ხომ გითხარი, შენ ამის გამგები არა ხარ. მადლია, პატრონს ძებნა აღარ დასჭირდება... ეს უბედურიც თავის მიწაში დამარხვას ეღირსება.

— იქნებ პატრონი არც გამოუჩნდეს — მაგაზე წინ დაიხრჩო, ან საერთოდ აღარ ჰყავდა... ისევე რიონს ვაატანე, შენ არ შემოგაბარდეს სადავიდარაბოდ. დამიჯერე, ხეირის მაგიერად არ იზარალო!... ეგება წყალმა სასაფლაოდან ახალი მკვდარიც გამოიტაცა და... ცოტას კი არ დაარბევდა...

— მომშორდი, გეხვეწები, ქრისტეანი არა ხარ?... ახლა შენთან ~~გამოფიქრებული~~ არა მაქვს, ჩემი მყოფნის შემთხვევაში...

ფაცურა მოსუნსულდა, ერთი დაიყმუვლა, ბექობზე შედგა და ცხედარს მღუმარედ გადახედა, ცრემლგამშრალი ჭირისუფალივით.

ჯიბომ მხრები აიწურა და წასვლა დააპირა. ძაღლს შეხედა და იქვე გაჩერდა. არც დარჩენა უნდა, წასვლასაც ვერ ზედავს.

ქალს გრძელი თმა აქვს. ერთი ნაწნავი დაბნევილი, მეორე შეკრულია ისევ. ეს ნაწნავი შავ გველად მოელანდა ჯიბოს. თითქოს ქალს გველი წყლიდან ამოჰყვა და ქვიშაზე გვერდით მიუწვავო. წყალს ქალისათვის სამოსელი სულ გაუხვდია, მხოლოდ ქვედა საცვალიდა შეურჩენია, ნამუსის დამფარავი საცვალი... სიცოცხლე წაურთმევი და ნამუსი კი — ვერა. ტანი აქა-იქ დაჩიქვილი აქვს, სულ დალილავებული. სიცოცხლეში ლამაზი ქალი იქნებოდა. ახლაც კი, თვალდახუჭულს, ფერგაცლილს და წყალში ნათრევე-ნაგვემს, გაწყობილი პირისახე უჩანს, თითქოს ღრმად სძინავსო. გაბერილი არ არის. ეტყობა, წყალი არ უყლაპია. წამოუღია თუ არა, პირი მოუქუმივს და ისე დამხრჩვალა, სუნთქვა შეკრული.

„იქნებ წყალში ჩავარდნისთანვე, შიშით გული გაუქცა და რაკი აღარ სუნთქავდა, წყალიც აღარ ეყლაპებოდა? აბა, ასე როგორ შეინახა თავი წყალში?“

სანდრო გაკერპებული იყურებოდა სადღაც შორს. შუაგაყოფილი ნიკაპი აქვს, სქელი შავი უღვაში და ფართონესტობიანი ცხვირი, მოციმციმე თვალი და წარბებთან წამოწეული მაღალი შებლი.

ჯიბო ხან ცხედარს უცქერის, ხან მის გამომთრევს.

„მღვრიე წყალს დამხრჩვალი ადამიანი შორს იშვიათად მიაქვს. სასაფლაოდან გამოტაცებულ მკვდარს ეს სულაც არა ჰკავს... წელან ისე ვთქვი, სანდროს შესაშინებლად... ნეტავი ვინ არის? ქმარ-შვილთან ერთად დაიღუპა, თუ... იქნებ

ის დედა, წყალმა აკვანი რომ წაართვა?.. ახლა ამას რა მაცურებინებს მე? წავიდე და... სანდრო სოფელში ყველაფერს ჩამოფეჭავს და თავი მომეჭრება. ცოცხალი კაცი შეიძლება ბედისანაზირად დაგდო, ცხედრის მიტოვება კი უპირისუფლოდ არ ვარგაო, ამბობენ ძველები და ცხედარს ვიღაც ერთი ადამიანი მუდამ უთევს ღამეს... არა, ვერ მივატოვებ. სოფლის ყბაში ჩავარდნას რომ თავი დავანებოთ, იქნებ მკვდრის პატრონმა მართლაც რამე გაიმეტოს და მეც ხომ მერგება... ესეც ხომ ნანადირე ვივითაა!.. არა, არა, არ ავიღებ! ამის გასამრჯელო რომ გამოვართვა, იმ ფულით რა უნდა ვიყიდო?.. ის ნამუსგარეცხილი ნამოხვანელი კაცი ხომ არა ვარ მე, მკვდრის პოვნისთვის ვაჭრობა რომ გაუშართავს!.. სანდრომ აიღოს, აუ უნდა, არ შემეხარბება... მესაფლავე კი არა ვარ, კაცის სიკვდილით ვიხეირო!.. მკვდრის ხარჯზე ერთ დღესაც ვერ ვჭამ ლუქმას, ვერა!.. სანდრომ, რაც უნდა, ისა ქნას... ნაპირზე კი მარჯვედ გამოათრია, მაგრამ ახლა რას უპირებს? სხვის მკვდარს ზურგზე ხომ არ მოიკიდებს და შინ ხომ არ მიიტანს? არა და, აქ რომ დატოვოს, ან აფთარი შექმას, ან მგელი, ან მგლისფერი ძაღლი... აი, ჩაქინდრა სანდრომ თავი. ეტყობა ნანობს — რა პირად გამოვათრეო. მაგრამ ახლა რაღას იზამს, მკვდარს ხელს ხომ არ ჰკრავს და ისევ რიონს ხომ არ გაატანს? მე რომ აქ არ დავსწრებოდი, იქნებ ასეც მოქცეულიყო, ახლა კი ნამუსშია ჩავარდნილი და... რას იზამს, აქვე, ქვიშაში დაფლავს, რომ არაფერმა შექმამოს, თუ ზევით დატოვებს და თვითონ დარაჯად დაუდგება? შინ ნამდვილად არ წაიღებს, ეს ვიცი..."

— სანდრო, ასე გავჩერდეთ? ან იქით ვეწიოთ საქმეს, ან — აქეთ. რა ვუყოთ ახლა ჩვენ ამ მკვდარს? — დაარღვია დუმილი ჯიბომ.

— რა უნდა ვუყოთ, რაკი შენ ჯერ არ აპირებ წამოსვლას, ავალ ზევით და ფოსტას ვკითხავ, ხომ არავის დაურეკავს. თუ პატრონი არ გამოუჩნდა, სო-

ფელში ადამიანები ცხოვრობენ, ნადირები ხომ არა. ჩვენ მოვუვლით... მკვდარი ვის დაუტოვებია დაუშვარხე! სანდრო წამოდგა, მახლობელ ბუჩქთან მივიდა და ჩაცმას შეუდგა.

„მეც უნდა ჩავიცვა და წავყავი-მკვდართან მარტო რა გამაჩერებს!“

ტრიფთან მისულმა ჯიბომ პერანგი ჩაიცვა და შარვლის ტოტში გაუყარა ფეხი. ისევ სველი იყო შარვალი. არ ესაიამოვნა:

„უნდა გამეწურა და გამეფინა მზისგულზე“. შარვლის მეორე ტოტში ფეხი უფრო ფრთხილად ჩაყო და ღიღების შეეკრა დაიწყო.

— ვაი! ეს რა უცებ დაიწყო წყალმა კლება?! უშველებელ რიყესა სტოვებს გაღმა, გამოღმა კი თითქოს არც აკლდება! უცნაურია სწორედ!“

რიონს ალმა ახედა:

— ვაი!.. — ეს უკვე წამოიყვია რა მარცხნივ შებრუნდა: — ვაი?!

რიონს ტოტი გაუჩენია, ძველ ნაგზაურზე გადაუგდია, ჭალას ზემოდან მოსდგომია და გამგელებული სჭამს. ძველი ნაგზაური რიონს იმ ჩაქარაფებულ დიდ კბოდესთან უერთდება და რაკი მდინარემ ტოტი იქით გადააგდო, ჭალა ახლა ორწყალშია იქნება მოქცეული.

ჯიბომ ღიღების შეეკრას თავი მიაჩნება, რიონის ნაგზაურისკენ ჭლაგა-ჭლუგით გაიქცა და კბოდეს ვახედა, მუხლი მოეკვითა და კინალამ წაიქცა.

— ვაი!..

რიონს გადარეულ-გავეშებული ტოტი ძველებურად უერთდება, კბოდესთან. დიდ რკალს აკეთებს და მერე უერთდება. კბოდესთან ცხვირწამოშვერილ კლდეს თავგამეტებით ეხლება, თითქოს ზედ გადახტომას აპირებსო, მაგრამ კლდეს ვერ სჯაბნის. უკან იხევს და იქვე დიდ შორევედ იწყებს ტრიალს. სწორედ იმ შორევეთან მდინარის ორივე ტოტი, ორივე ბობოქარი, კვლავ იყრის თავს და ისევ ერთი გზით მიბობოქრობს.

„ჩემი მტერი მოხვდეს იმ შორევეში! კატასაც არ გაუშვებს დაუხრჩობს. რაღა

ექნა ახლა მე? სულ ჯანდაბისკენ რომ მეჭირა თვალი, მე შტერმა ერთხელ მაინც ვერ გავიხედე უკან? ეგება ვინმე მოსაკლავად მეპარებოდა? ეჰ, მეც ვარ ერთი ბეყე! როდის იყო, კაცს წინ კარგი რამე ედო და უკან იყურებოდა?! საერთოდ, ადამიანი უკან იშვიათად იყურება. ჰოდა, ახია, რაც მოსდის! ახლა, ჩემო ჯიბო, აიღე რიყის ორი ბრტყელი ქვა და ირტყი თავში!.. ვაიმე! რაღა ვქნა, ჰა?!”

ჯიბო უკან წაჭლაგუნდა და სანდროსთან მიიჭრა:

— დავიღუპეთ! რიონმა გზა გადაგვიჭრა და ალყა დაგვარტყა... ჭალის ზემოდან მოადგა და ბელტა-ბელტა ყლაპავს. ე, გახედე!

— კარგი ახლა ნუ გადაირევი! დაწყნარდი! ჭალას სულ ხომ არ წაიღებს, წაიღებს და... უსაშველო არაფერია. ნუ გეშინია, როდემდე იბორგებს ასე, ჩადგება მალე.

ჩადგება კი არა და, აგერ, ჯიბოს ხორბებს უახლოვდება. ჯიბო იქით გულამოვარდნილი გარბის. წიფლის მორი უკვე წაუღია წყალს.

— მშვიდობით, ახლო საღორვე!

„ალბათ ეშმაკი იცნოდა, მე რომ დღეს შეშის დაჭერას კიდევ ვფიქრობდი. ეს რა ღვთის რისხვა დამატყდა თავს? ეგება დაჭერილი შეშა მაინც შევინარჩუნო, ჰა?..“

ჯიბო ნადავლს ასე ადვილად ვერ შეეღვება, ვერა! ფიცრები ჭალის შუაგულისკენ ძუნძულ-ძუნძულით გაზიდა და ორ ტირიფშუა ჩაყარა. თუ დღეს ჭალას სულ გადაღვავა არ უწერია, ეს ორი ტირიფი უმშველად გადაჩრება და...

ნაჯახი, ხალათი და ფეხსაცმელები ფიცრებზე მიყარა, უშალვე გაბრუნდა და შეშას მიადგა გადმოსატანად. დაიგვიანა. ზევიდან რიონმა მოუსწრო, ხორბას ძირი გამოუშალა და ჯიბოს გულის გასახეთქად შეშა ნება-ნება წაატივტივა. ეჰ, რა იოლად დაიჭირა, მაგრამ რიონმა უფრო ადვილად წაართვა.

— მშვიდობით, ვარდისფერო ნაკვერ-

ცხლებო და გემრიელო ცეცხლო! მშვიდობით ციციწოს ოქროს სიათო! უჰ, რა შეშა იყო!..

აი, ცაცხვის ქერქაუცლელი დიდი მორიე წაატივტივა. იმას ბოძები გააცოლა.

— მშვიდობით, სანთიბო ოთახო! მშვიდობით, ახლო ჭიშკარო!.. ვაი დედასა, ვინ დაიჭერს?.. შერჩება კი?

ფიცრებისკენ გულმოკლული გაბრუნდა. თან უკან იყურება: რიონი ფეხდაფეხ ხომ არ გამოიყვავა. უჭირს ფეხის კადადგმა, მხრებზე რაღაც უსაშველოდ მძიმე დააწვა...

„არა ღირს ჩემი სიცოცხლე, არა,“ — ფიქრობს ერთი ჯიბო.

მეორე ჯიბო ანუგემებს: კაი ერთი, თუ ძმა ხარ, რა გჭირს თავის მოსაკლავი? წყლის მოთრეული რაღაც ორიოდღე ღერი შეშა წყალმავე წაგართვა, ქვეყანა ხომ არ დაქცეულა, მაგას დარდობ?

— მარტო მაგას არა. ჩემზე უბედური კაცი თუ დადის ღუნიანზე? რიონმა თავისი მოცემული ხომ წამართვა? ახლა გამოღმაც შედაგება: სიცოცხლესაც წაგართმევო. უბედური მუქარა იცის! ეს ჭალა რომ მოიაროს, სად გავიქცე, რა წყალს მივცე თავი? პატარა წყალი რომ მოდიოდეს, მაინც დამახრჩობს, ეს კი გველეშაბია. დიდი მოცურავე არც სანდროა, მაგრამ მარჯვეა, მოხერხებული, დაბნევა არ იცის. თუ ვინცობაა ჭალაში ფეხის დასადგამი ადგილი აღარ დარჩა რაღაცას იღონებს და მაინც გავა ვაღმა... ა, მაგის დაჭერილი შეშა ჯერ არც წაუღია წყალს, იქნებ სულაც არ წაართვას, მე კი ხელად გამოჩანავა ამ უსინდისომ... ხელიდან გამოშტაცა და დამცინა კიდევ... სანდროს ბედი სწყალობს, ბედი და ეშმაკი რაღას დააკლებს!.. ეგ უყვარს ბედს, მე— არა.. ჰოდა, დავდივარ ბედმოძულეებული, ჩემი საშველი არ არის ამ ქვეყანაზე... ეეჰ! რა ექნა, ასეთი ყოფილა ჩემი ხვედრი და უნდა შეეუბრავდე... წამიღებს და წამიღოს, ჩემისთანა კაცი სასიცოცხლო არც არის!.. მაინც ეს დაწყველილი რა გველეშაბად იქცა დღეს, ვინმეს გაღმიდან

მოშველება რომ უნდოდეს, ვერც მოახერხებს... დავიღუპე და ეგ არის! ნულარ ფაფხურობ, ჯიბო, გათავდა შენი ღოღილი ამ მიწაზე!..“

ჯიბომ ხალათი ჩაიცვა, წაღებში ფეხები გაუყარა, ფიკრებზე ჩამოჭდა და ზურგიით ტირიფს მიესვენა.

ცაზე მზეა, ძირს კი რიონი თანდათან მატულობს. ეს ოხერი ზღვად გადაქცევის ხომ არ აპირებს? ცხრა ქვედრულა თუ გასკდა მთებში!

კუნძულს ყოველი მხრიდან აწყდება წყალი, ჰალას ირგვლივ ბექობს უჩენს, იმ ბექობს ქვეშ უძვრება, ღრღინის, ხრავს, ჭრის, ხერხავს, შლის, აქცევს და უნამუსოდ ყლაპავს. უძირო სტომაქი აქვს. გაღმით მიწის შექმა, ეტყობა, ცოტა გაუქვირდა რიონს და თავი მიანება, ამ ქვიშას კი ადვილად კბენს და ფაფასავით ყლაპავს... წყალს ქვიშა უფრო ადვილად მიაქვს, ვიდრე — მიწა... ჰო, მისი მოტანილია და წაღებაც უადვილდება, უფრო დიდ გულზეა, როცა თავის ნაგზაურს მიაღგება. მერე რა, რომ აქ ტირიფს, ვერხვს, რთხმელასა და მაყვალსა აქვს ფესვი გადგმული, ქვიშაში ფესვს მაგრად ვერაფერი ვერ იდგამს. ამ ჰალაში ხემ ადვილად გაიხარა და უფრო ადვილად ითხრება. აქ რომ მიწა იყოს, ნამდვილი მიწა, მეტად გაუძლებდა წყლის შემოტევას, ახლა კი ადვილად მიაქვს. ყველაფერი — ქვიშა ტირიფი, ვერხვი, რთხმელა, მაყვლის ბარდი და ბუჩქაბუჩქა ამოსული ბალახი, მიაქვს ფურფურტელასავით... რაც მიწაზე არა დგას, ყველაფერი ასე მიაქვს წყალს... აი, ჯიბოსაც მიწაზე არ უდგას ახლა ფეხი და... ეპ, რიონი სადაცაა მთლად მოივლის ჰალას და წაღეკავს აქაურობას... თანდათან პატარავდება რიყე და... ჯიბოს სიცოცხლაც მოკლდება...

„ვითომ მარტო ჩემი?.. სანდრო, ვიცი, ცოტას კიდეე მოიციდის და თუ რიონმა კვლავაც შემოუტია, ჰალის მთლიანად წაღებას არ დაელოდება, თავგანწირული შევარდება წყალში და ზვირთებს შეებრძოლება. რა იქნება რომ ვთხოვო: უჩემოდ ნუ წახვალ, მარტო ნუ დამ-

ტოვებ-მეთქი? სანდრომ თვითონაც რომ ვერ შებედოს ამ წყალს? ~~რა ვერაფერა~~ რვა მაგან იცის? არა, არაფერსაც არა ვთხოვ!“

რიონი ჰალასა სკამს. რიყე ცეცხლში შეგდებული ტყავის ნაჭერივით პატარავდება და იკრუნჩხება. რიონი ახლა სიკვდილსა ჰგავს, უხილავი ცელი უჭირავს ხელში და უქნევს ჰალას. აი თურმე სიკვდილი როგორი ყოფილა! ჰო, სიკვდილი ღრღინის კუნძულს და თანდათან უახლოვდება ჯიბოს... ვითომ მარტო ჯიბოს?... პატარავდება რიყე და მოკლდება მათი სიცოცხლე... მისი და სანდროსი.

„ნეტავი რა ყოფაშია ახლა?“

ირიბად გახედა:

„აი გიცი! ისეე იქნევს ჰოკს და შეშას იჭერს... კიდეე რაღაცის იმედი აქვს... მალე წყალი მაგასაც მიაღგება და მერე სხვანაირად აცეკვდება... შეშას იჭერს თუ მორებს?! აჰ, ჰკუა გადაბრუნებია საწყალს! აი, რა მშინშარა ყოფილა!.. ეაცი საფრთხეში თუ არ ჩავარდა, ისე ვერ გაიგებ, რა გულის პატრონია. ზოგი დევგმირად მოგაჩვენებს თავს, მერე განსაცდელში ჩავარდება და თხლედ იქცევა... ეტყობა, ასე მოუვიდა სანდროსაც... იმ ტირიფს რატომღა ჭრის? ტირიფს ჭრის ძირიანად თუ მარტო საწნელე ტოტებს ასხებავს?... იპ, გიცი კი არა... გადარეული ასე მშვიდად ვერ იმუშავებს. იმისთანა მამამაღლია, თავს რამენაირად გადაირჩენს, აგერ ნახავ თუ არა! მე კი ისე უბედური ვარ, რაც უნდა გავაკეთო, რიონი მაინც არ დამინდობს... ვიცი, ვიცი... ჰოდა, რაღაზე ვიხეთქო გული? უნდა შევურიგდე ბედს“.

ჯიბომ სერზე გადმომღკარ ოდას გახედა შორიდან: — მშვიდობით, მშვიდობით!..

ახლალა მოაგონდა ორიოდ თვის წინათ ნანახი სიზმარი: საღლაც, უდაბურ ადგილას, შავ კლდეზე მიფორთხავდა, ქვეშ უფსკრული ჩანდა, კუპრივით ჩალამებული. ფეხქვეშ კლდე გამოეცალა თუ მიწა ჩაუწყდა, შექანდა და რაღაცას დაეკონწილა. ის რაღაცაც მოწყდა და

ჯიბო ქვესკნელსა თუ კუბრისფერ მორევში ჩაინთქა. ძილში იყვირა და გულამოვარდნილს გამოეღვიძა.

„დავიბრჩობი, უთუოდ დავიბრჩობი! ვაი, ცოლ-შვილო!.. მაია აღარ გათხოვდება, კარმიდამოს მოუვლის. მაგრამ ციცინოს რა ბედი ეწევა? უჩემოდ ვინ უპატრონებს? ბედის გზას ვინ გაუწილდავს? ჩემი მუთლვე ყველაფრად კარგი ქალია, მაგრამ ციცინოს შემოუვლის ისე, მე რომ მინდა?.. რატომღაც ელგუჯა მოსწონს. პოდა, მე თუ არ ვიქენი, დროს იხელთებს ის მამაძაღლი, მაიას მოთაფლავს, დაიყოლიებს და ციცინოს დაეპატრონება... ღმერთმა ნუ მოასწროს იმ დღეს!.. ეჰ, ცოლშვილიც რომ წამოზეყვანა აქ, ხომ ამოვარდებოდი ძირიანფესვიანად? მეც ღმერთი გამიწყრა, რომ წამოვედი. თითქოს ხარბი არა ვარ და რამ მაკოტუნა? ჩემს სიმხდალეს ჩავუდგეი ჯიბრში, სანდროს თუ სხვა რამეს? სანდრომ დამლუბა და დამაქცია. ეგ შობელძაღლი რომ არ დამენახა, ფეხს გადმოვდგამდი აქეთ?.. დამლუბველი ყოფილა ქიშპობა და ჯიბრი, დამლუბველი!“ ერთ ჯიბოს კვლავ მეორე ჯიბო შეეკამათა:

„— ახლა ამბობ მაგას, როცა რიონმა გიყვლა, შეშა წავგართვა და სიცოცხლესაც გედავება?“

„— აბა, გაშლილ სუფრაზე ხალხი მღერის, სინანულის ცრემლს კი არა ღვრის!“

აი, რიონმა აეტომანქანის საბურავი რომ მოატეხტეოს, ჯიბო უეჭველად დაიჭერს და ეგების გატურვაც მოახერხოს საბურავი მხარში მადლივით შეუდგება და გაიყვანს ან იქით, ან — აქეთ... სად არის საბურავი, თორემ კაი შენ!

„უჰ, ეს რამ მაფიქრებინა! შოფრის მანქანიანად წყალში გადავარდნა და დამლუბვა არ ვინატრე უცებ?! აბა, ისე საბურავები ციდან კი არ ცვივა!“

აი, რომელიმე მორს რომ გადააჯდეს ჯიბო, შესაძლოა, კი მოახერხოს გაღმა გატურვა... არა, არ ვარგა! მორი მრგვალია და წყალში ბრუნავს, კაცი რომ ხელს მოჰკიდებს, უფრო ტრიალებს.

ერთხელ და ორჯერ კი არ უნახავს ჯიბოს... მორით ფონს ვერ გაყო, უდღესეჭედეს კი არა, მკლავები რუმსმოსდონს და დაეკიდოს, მაინც გაუტურდება ხელიდან და მშვიდობით სიცოცხლევ!

„ამალამ ნაკლული მთვარე გადმოდგება საფურის სერზე და მალე ჩავა... თუ ცას ღრუბელი მოერია, კურკუმელა ღამე იქნება. აქვე რომ დაგვიღამდეს და წყალი მერე მოგვადგეს, იმ სიბნელეში უუჰ... რაც მოსახდენია, დაე, დღისითვე მოხდეს, ღამით ყველაფერი უფრო საშინელია“.

ჯიბოს თითქოს აღარც სწყინს, აღრენილი მდინარე მისკენ რომ მოიწევს.

ფიქრით ჩქარია დღეს რიონი. შეუსვენებლად ჭამს კუნძულს და ვერ ძლებს. ჯიბოს აქამდე გულის სიღრმეში რაღაც იმედი მაინც ჰქონდა შენახული, ახლა ეს იმედიც წყალმა წაიღო.

„ნამდვილად დავიბრჩობი, ნამდვილად! კუტი ფედოსია რომ გზაზე დაგზვდება, ხეირი დაგეყრება კაცს? ნავსია ფედოსია კუტი, ნავსი! ის მაინც რა ჭირმა წამოიყვანა რიონზე! ჩაუცვამს გრძელი კაბა, ჯოხი მესამე ფეხივით დაუჭერია ხელში და ჰერი! მიფართხუნობს, თითქოს ქორწილშია დაპატივებულიო. თავი და კუზი კი ერთ თარაზოში გამოყვანილივით უჭირავს. ქაჯია, აბა, წმინდა წყლის ადამიანია ის დაწყევლილი? ნამდვილად ფედოსიამ დამთარსა, მისი გაჩენის დღე კი დაიქცეს!.. ეს წყალი უცოდველად არ ჩაივლისო... სანამ ვინმეს არ დაახრჩობს, არ დაწყნარდებაო... როგორ? მშვიდად მოსიარულე რიონმა არ იცის დახრჩობა თუ? ლაღო რომ წაიღო მტრედვით უწყინრად მიღუღუნებდა... დღეს, ვინ იცის, რამდენი დაახრჩო? ვერ დამშვიდდა? რატომ ბობოქრობს ისევ? სადაც გაივლის ყველგან მოითხოვს მსხვერპლს? ის ხალხი ზემოთში დაახრჩო აქაც ჩაყლაპავს ზვარაკს და მერე დამშვიდდება?.. პო, ნამდვილად ჩემი ჩაყლაპვა უნდა... დამთარსა კუტმა ფედოსიამ, ვერ გადავირჩები ვერა!..“

ჯიბო აქ ისე გამოვიდა, ფეხის კლინ-

კიცი არ დასველებია, ახლა კი რიონის იმ ძველ ნავსაბურთში გაშმაგებული წყალი მოშლივინობს და... შეშა კი ისევ მოაქვს ოხერს, სხვა რამეც... მაგრამ შეშის ჭერის თავი ვილასა! აქვს... შეშა მოაქვს და კუნძული მიაქვს, ფეხის ცერებზე დასადგომ ადგილსაც არ სტოვებს, ჯიბომ კი ცურვა სულ არ იცის, რიონის ახლო განზრდილმა კაცმა...

„ლადომ დამღუპა, ლადომ!.. მისმა თავაწყვეტილმა სითამამემ გამამხდალა მე, თორემ ამისთანა დედალი კი არ ვიქნებოდი... ის რომ არ დამხრჩვალყო, ჩემი ტოლებივით მეც ვისწავლიდი ცურვას და როგორმე შეგებრძოლებოდი რიონს, ახლა კი რა ვიღონო?.. წინდაუხედავი ვარ, წინდაუხედავი! რა ჯანდაბად წამომცდა წუთისოფლის სამღურავი: ნეტავი მეც ჩემ მძასთან ერთად დავმხრჩვალავი-მეთქი? კარგ სურვილს არავინ შეგისრულებს, თორემ ცუდზე არც ღმერთი გეტყვის უარს, არც კაცი. ჰოდა, აგერ მისრულდება ის ტიალი ნატვრა... მეც წყლის წერა ვხდები... აბა, დღეს აქ რა ეშმაკმა წამომიყვანა? რიონის მოთრეული შეშით როდის ამინთია ბუხარი?“

სამმა გარეულმა იხემა გადაიფრინა. ჯიბომ თვალი გააყოლა. იხეები თანდათან დაბატარადნენ და წერტილებად ქცეულნი ცაშივე გაქრნენ.

„აი, რა კარგია, როცა ფრთები გაქვს! შორს, კონცხზე ძველი ციხე ჩანს. ისე გულდინჯად გადმოჰყურებს აქაურობას, თითქოს თავისთვის ჩურჩულებს: რამ უნდა ამადელვოს, ეგეთი უბედურების მეტი რა მინახავს.“

ციხის აქეთ, რიონის პირთან მიმდგარ ამალღებულ მინდორზე თეთრი ეკლესია დგას, ღრუბლის ჩრდილი დასთამაშებს და ფერს ხშირად აცვლევინებს. ერთ წუთში სუდარამოხვეული ჩანს, მეორე წუთში კელაპტარხვით ინთება და ქრება. კელაპტარხვით კი დგას მართლაც, დგას და სდუმს...

იმ ეკლესიის ეზოში განისვენებენ ჯიბოს დედ-მამა და ძმა. ჰო, დედა ლადოს გვერდით წევს.

„მე თუ მეღირსება იქ დამარხვა, დედამის გვერდით? მღვრიე წყალს დამხრჩვალვი ადამიანი იშვიათად მოაქვს შორს, მაგრამ მე რომ ბედი მაქვს, ვიცი, ვერც მიპოვნიან. წყალი მიწას ყოველთვის როდი უბრუნებს თავის შვილს... ეკ, ვითომ სულ ერთი არ არის? უცნაურია წუთისოფელი, რისთვის გვაწვალებს და გვაჯახირებს, ოთხ ფეცარში რომ ჩაწვეთ ბოლოს? მაინცდამაინც მიწაში დამარხვა რატომ გვინდა, წყალში დამარხვისა რატომ გვეშინია? მეორედ მოსვლის იმედი გვაქვს და იმიტომ? მეორედ მოსვლის ეამი თუ დადგა, წყლიდან ვერ ამოვა კაცი?..“

ღმერთის სახელი ჯიბოს სიტყვის ბარაქად თუ წამოსცდება ხოლმე, თორემ მისი არსებობა სულაც არა სწამს.

„ღმერთი რომ იყოს...“

ღმერთის არა და, რაღაც განგების შიში კი აქვს ჯიბოს... მარტო ჯიბოს კი არა, ბევრ სხვას, ღვთის ურწმუნოს.

„რატომ გვეშინია წყველის, ანდა — ცოდვის ჩადენის? თუ ღმერთი არ არის, როკაპაც ხომ არ იქნება და... ეგება მართლა მქონდა რაიმე ცოდვა და იმან მიწია? ეგება ნამდვილად მე ვიყავი დამნაშავე, ლადო რომ დაიხრჩო? სხვისი შრამელის ფიცრები და ზოძები რომ დავიჭირე-იქნებ, სანდროს თქმისა არ იყოს, ესეც უსინდისობა იყო და... რა იცი, ეგება ღმერთი სადღაც და მაინც არის? არის და ურწმუნობისთვის მსჯის? აბა, რა ცოდვის კითხვაა ჩემს თავს?.. თევზად რომ მაქცია, რიონს აღმა ავუყუებოდი და... იმ ცარიელ ეკლესიაში შევიდოდი... ფუჭი ფიქრია: ასე მღვრიე წყალს თევზიც ვერ ასკრის აღმა...“

შებრუნდა და გაიხედა იქით, სადაც კუტი დახვდა ამ დილით.

ერთი კოპიტი ზვიადად გადმოჰყურებს ჰალას. ალბათ, ტირიფებსა და ვერხეებს დასცინის. წყლის ნავალზე რომ ფეხი გაიდგით, არ იცოდით, ეს დღე რომ გელოდათ! მეხით ჩამოჩხებილი კოპიტი კი ისე იყურება, გეგონებათ.

ბედგამწარებულ კაცს თავის დახრჩობა განუხრახავს, კბოლესთან მომდგარს ადუღებულ მორევში ჩაუხედავს, ჯოჯოხეთის კუპრად მოსჩვენებია, უცებ შეშინებულა და ახლა საცოდავად დგას: ვერც უკან გაბრუნებულა, ვერც წინ წაუდგამს ნაბიჯი.

„მეხი რომ დაგეცემა, გამხდალდები აბა, რა სიკეთე დაგემართება!..“

ძაღლის ყეფამ გაუწყვიტა ფიქრი.

ფაცურა წითელ მელას მისდევს. დაეწია, შეებრძოლა, უხელთა მელამ, გაექცა, მაველის ბარდებში გაძვრა და წყალში შევარდა. შეჰყვა ძაღლი.

„ეს მელა იქნებოდა, სოფელი ქათმისგან რომ გასცალა. აქა ჰქონია ბუნავი. წყალი გამოავდებდა ისე ბუნავიდან დღისით არ გამოვიდოდა. ახლა ფაცურა დახვეს მაგის ტყავს, ცხვირიდან ძმრად ადენს, რაც სოფელს ქათამი შეუქვამა. თუ წყალში ვერ დაიჭირა, გაღმა გაასწრებებს. ფაცურაც გაჰყვება. გაჰყვება და გადაარჩება. მელის დევნა გადაარჩენს. ძაღლი ადვილად არ იხრჩობა, ნამდვილად გააღწევს გაღმა, მე კი...“

„— რა მოგივიდა, ჯიბო, ძაღლის ბედიც შეგშურს? აქამდე ყველა ადამიანის ბედს შენატროდი და ეხარბებოდი, ახლა ასე რამ დაგამდაბლა და დაგაძაბუნა? სულ დაეცი სულით? მართლა ჯაბანი ყოფილხარ, მშინაშარა და მხდალი. აქამდეც არ ყოფილხარ სიცოცხლის ღირსი!.. ძაღლის ბედი როგორ ინატრე, შე წამხდარო?!“

— ვინატრე, რა ვქნა? ოღონდ გაღმა გავიდე, სული შემრჩეს პირში და ძაღლაძქცევას ვჩივი? ოღონდ ვიცოცხოლო და რა უშავს, კაცურად ვიცოცხლებ თუ ძაღლურად. ტკბილია სული ტკბილი! თავის ფიქრს გამოელაპარაკა ჯიბო.

მელა მალე დაიხრჩო. ძაღლი გამობრუნდა უკან, და მშრალზე ამოსულმა წყალი შეიბერტყა. მერე პატრონს როლი მიაშურა, კვლავ ცხედრის ახლო დაეყუცდა.

„სანდროს კიდეც არ მოუშორებია მკვდარი. თავისმა უბედურებამ თუ დაავიწყა. სიკვდილი რომ კარს მოადგება.

სხვისი მკვდარი კი არა, შენიც დაგვიწყდება. აი, მოვაგონებ და გადგავდები აბა, რა ჭირს იზამს? არ უნდა დაგემართება მაგ მიცვალებულმა დაგეთარსა ჩვენ, თორემ მანამდე რა გვიჭირდა, კი ვიჭირდით შემას გუნებეირად. ისევ რიონს ვავატანთ და ჭირიც ჩამოგვეხსნება. ჰო, ალბათ რიონი მაგ მკვდარს გვედავება: რატომ წამართვითო, და იმიტომ მძვინვარებს. დაგუბრუნებთ და დაშოშმინდება... მიუალ, შევახსენებ, ეგება ახლა მაინც დავითანხმო... სხვის მკვდარს ჩემი ცოცხალი თავი არ მირჩენია?.. მივიდე ვითომ?.. ნაჯახით რომ გამიპოს თავი?.. ეჰ, რა კაცი ვარ, ყველგან მხოლოდ ეშმაკს ვხედავ ხოლმე. რატომ? ეშმაკი და ანგელოზი ხომ მეზობლად ცხოვრობენ მუდამ — კაცის გულშიც და ცაშიც?“

სწორედ ამ დროს გამოსძახა სანდრომ:

— შენ, ჰეი, დოყლაპია, რომ დაფეხვილხარ და პირი დაგილია, მოდი, მომეხმარე.

ჯიბო მკვირცხლად წამოხტა, ნაჯახს დაავლო ხელი და უმალვე სანდროსთან გაჩნდა:

— რას აკეთებ?

— ჩიტსა ვწველი. ვერ უყურებ, რასაც ვაკეთებ? შენსავით სიკვდილს გულხელდაკრფილი კი არ ველოდები! აბა, დატრიადლი მარდად, საწნელე ტოტები შეაჭერი ტირიფს და ერთმანეთს გადააბი! ჰა, ჩქარა!

— ტივისა კრავ?!

— მალე-მეთქი!

— კი მაგრამ, რომ მოგეხმარო, მეც დამსვამ?

ეგრე რამ დაგაგლახაკა?

— კიდეც რომ არ მომეხმარო, მაინც დაგსვამ, ნუ გეშინია!.. იარე ამ ჭვეყანაზე, მე რას მიშავებ!.. ჰა, რაღას უდგახარ?

ჯიბოს მაინც ეპარება ეჭვი, არ სჯერა, სანდრო თუ ამდენს იკაიკაცებს და თავის ნაწვალეზ-ნაჯახირვე ტივზე შესვამს:

— დაიფიცე, მართლა დამაჯენ?

— წადი ახლა!

— არ მომატყუო, თუ ძმა ხარ!

— ძმა კი არა, ის არ გინდა! ვინ არის შენი ძმა, რას ილანძღები თუ იცი? ახლა გავხდი შენი ძმა? ჰა, ჩქარა, ეწიე საქმეს!.. სადაცაა მოგვადგა მიქელგაბრიელი!..

ორი კაცი უხმოდ შეუდგა ტივის შეკვრას. სანდროს მსხვილი თოკიც კი უშოვია, საქანე. მუხის ღვლერძებიც დაუქვრია, წყლისთვის წაურთმევია. წინ ექნისი მორი უდევს, ყველა ხეს თავსა და ბოლოში მოზრდილი ჭდე უჩანს. აგერ ოთხი ძელ-ლატანიც აწყვია, მსხვილი, მორების გადასაგორებელ კეტადაც რომ გამოადგება კაცს.

მუშაობენ დაძაბულად, ჩქარობენ. ერთიმეორეზე მიწყობილ სატივე მორებს თავსა და ბოლოში, ზევიდან და ქვევიდან ლატნები დაუდეს და ზედ მორები მსხვილი ღვლერძებით მიიბეს. ახლა ამ სამაგრის ძელებზეა მოქცეული მორები ბორკილდადებულებს ჰგვანან. შიდა ღვლერძები კიდევ რომ გაწყდეს, ასე შეკრული ტივი მაინც არ დაიშლება თუ ნაპირა მორებმა არ უღალატეს და ძელებს არ გაუსხლტნენ განზე.

ჯიბო თვალებს აცეცებს და ხედავს: წყალი უკვე მის ფიცრებამდე მოვიდა, ზედა ტირიფი წააქცია და ახლა ფიცრებს ეპოტინება წასაღებად.

— სანდრო, ამ მორებს ის ფიცრები ხომ არ აჯობებდა, ჰა?

— შე ლაჩაკვა, ფიცრის ტივი ვის გაუგონია? როგორც კი ფიცარზე შედგები, წყალში ჩაყურყუმალავდება და განზე მოგისერის, ხალხი სულელი კი არ არის. ტივს მორებით რომ აკეთებს. მორი ნახევარი წყალში იძირება, ნახევარი ზევით რჩება. დივიწყე შენი ფიცრები, ნულარ მისტირი, ამ ტივს მოუარე, გირჩევნია!

ჯიბომ თავი დამნაშავესავით დახარა. რაღა დროს ფიცრებზე ფიქრია, ცოტაც და, მორების ტივი მზად იქნება. „ვასწრებთ, მგონი, ვასწრებთ!.. ორთაყვირი არა გვაქვს, მაგრამ რა უშავს...“ მალე წყალი სანდროს შემასაც მოადგა.

ცოტაც და, სულ გაშიშვლებმა კუნძული. ერთი ტირიფილა ეჭურჭებულადად. თუ ტივის შეკვრა „გეზო-მასწრებს“ კვიშნარში ამოსულ ამ ერთადერთ ტირიფსლა უნდა მოებლაუტონ, სუსტფესვებიანს.

„ამისთანა ტირიფის იმედად ჩვენ მიტერი დარჩეს! იჩქარე, ჯიბო, იჩქარე, ხედავ, სანდრო რა მარჯვედ მუშაობს? ვთქვათ, წყალს თავისი მოთრეული ნადავლი ეკუთვნოდა და დაუბრუნე, შენი სიცოცხლე რატომღა უნდა დაუთმო? სიცოცხლე დედამ მოგცა, რიონმა კი არა.“

წყალი ცხედარს მიადგა. სანდრომ ქალი ტივისკენ მისწია.

„ამ ლეშს მაინც რაღას უფრთხილდება? ვუთხრა? მოურიდებელი კაცია, პირში მომახლის: შენისთანა ცოცხალს ამისთანა მკვლარი სჯობსო. ეგება შეურაცხყოფა ვერ მოვითმინო, ნაჯახი მოუვუქნო და... სანდრო რომ შემომაკედეს, მეც ხომ დავიღუბები? მოვერევი კი? მამაკი ადამიანი სიმართლეს ლაპარაკობს და სიმართლესავით ღონიერია. არა, არაფერსაც არ ვეტყვი.“

ჯიბოს სული აფორიაქებული აქვს, გარეგნულად კი თითქოს მშვიდად უჭირავს თავი: აქოდა, ყველაფერი ფეხზე მკიდიათ. გულში გველშაპადქცეული რიონი უგანგაშებს, პირისახეზე კი უღრუბლო ცის სიმშვიდე ახატია.

ფაცურა აწყმუტუნდა და ტივის ირგვლივ რბენა დაიწყო. ალბათ ისიც გრძნობს პატრონის შინსა და გულის განგაშს.

— არ დაიყმუველო, ფაცურა, თორემ ამას ხომ ხედავ! — ნაჯახი ასწია ჯიბომ. — დედის სული არ წამიწყდება. აქვე გავიბობ თავს. არ დაიყმუველო, ფაცურა! არ ვარგა!

ძალი არც ყმუის, აღარც წყმუტუნებს. ჩაყურყეული თვალეებში უყურებს პატრონს, წამით მკვდარსაც ვადახედავს ხოლმე.

ჯიბო ქალს უბღვერს, უბღვერს და აღარ იცის, რა ქნას:

„ამას მოჰყვა უბედურება, ამას. თუ გადავადებთ, უბედურებაც მოგვშორდება. ჩვენს სიკვდილს რიონი ამ ცხედართან ერთად წაიღებს და გადავრჩებით. აი, გავივლი ერთს, ჩემად ფეხს წავკრავ და მეტი კი არ უნდა, წაატივტივებს რიონი. ახლა სანდროს მაგის სადევრად აღარ სცალია“.

ვერ ბედავს, სანდროსი ეხათრება, უფრო კი ეშინია. ნაცემი ძალღივით შეპყურებს თვალეშში.

„მოდო, ტკბილად ვეტყვი. თევზს ჭიით იტყუებენ თავისკენ, კაცს — დაშაქრული სიტყვიით...“

— სანდრო, ამასაც ტივზე ხომ არ უპირებ დადებას?

— ვერ დაიტევს თუ?

— კი დაიტევს, მარა... ხომ იცი, ეგ ნეშტი რომ ამოათრიე, მერე გაგვირისხდა რიონი... ახლა მაინც მოვიშორეთ, ვინ დაგვძრახავს...

— ნუ ხარ ცრუმორწმუნე!.. ჰა, დაიქი — სანდრომ ჰაიპარად გამოჩორკნილი ნიჩაბი მიაწოდა ჯიბოს. — ჭამრით ჟღერო მიაბი ტივს. რაკი ორთაყვირის გაკეთება არ გვიხერხდება, არარაობას ეგ სჯობს, ცოტას მაინც შეგვეშველება.

ჯიბომ კბოღესთან მოჯარულ ხალხს მოჰკრა თვალი. რაღაცას ეძახიან ორწყალშუა დარჩენილებს, რიონი ყლაპავს იმ ძახილს. რა თქმა უნდა, შველა სწადიან, მაგრამ როგორ უშველიან? კბოღესთან მისი ცოლიც მოსულა სოფლის გვერდით დგას.

„მალე გაუწიათ ჩვენი ვასაჭირი. ციციხო სადღაა?“

ციციხო ელგუჯასთან დგას. ელგუჯა ტანსაცმელს იხდის. მარჯვე ცურვა იცის და, ეტყობა, ვაჟკაცობს: მამის გადასარჩენად წყალში გამოსვლა უნდა. არ ანებებენ ტანსაცმლის გახდას, რაღაცას უმტკიცებენ, ციციხო მკლავზე ეპიდება. ელგუჯა ჯიუტობს.

„გამოუშვან ერთი. თუ თვითონ არ დაილუპა, მერე ეგება ჩვენი კი გადავარჩინოს. არა და, მაგის დალუპვა თუ ჩემი თვალით დავინახე, დაიმედებული

დაეინჩრობი მეც, ის მაინც მეცოდინება, სანდროს შვილს რომ ვერც დაგვიჩვენებ ჩემი ცხოვრება... გადავმარჯვდეთ... მერე ვნახოთ... გასამარჯვლოდ, მაინც მაინც, ქალიშვილს ხომ არ გავატან? ვუყიდი ერთ ოქროს საათს და მორჩა, მეტი რა უნდა?“

სანდრომაც შეამჩნია: ელგუჯა აქეთ ნიოწვესო. გულშევიდად მომუშავეს შიში ახალა ჩაუდგა თვალეშში და გაფითრდა კიდეც. ხელის ქნევა დაიწყო, ყო, თან აყვირა:

— წყალში არ შემოხვიდე! არ შემოხვიდე წყალში!

ელგუჯას ქაბუკური სისხლი უღულს ძარღვებში, მაგრამ ეს სისხლი რა მჩქეფარეც არ უნდა იყოს, ამ ამორგებულ რიონს მაინც ვერ მოერევა. ნაღდად დაილუპება, ნაღდად.

„ეგერ, საფურის სერმა რომ მეწყერი დაუხვედრა წინ, ერთიანად წაილო, ეშმაკის კერძი მელა დაახრჩო და კაცს დაინდობს?! ელგუჯამ რიონში თუ შემოხვედა, წყალი ნაღდად გააფუტებს ბიჭს, ნაღდად... ცოდაა...“

ეს ჯიბოზე უკეთ სანდრომ იცის და ორივე ხელს ასავსავეებს, რაც გულსა და ყელში ხმა აქვს, გაჰყვირის:

— არ გაბედოოო!.. არ გაბედოოო!..

სანდროს ყვირილი, რა თქმა უნდა, კბოღეზე მდგომ ხალხს არ ესმის, მაგრამ ისედაც ხედება, სანდრო ხელეებს გამწარებით რატომ ასავსავეებს და ელგუჯას მაგრად იჭერს. ელგუჯა ნებდება და თვალეშზე ხელს იფარებს.

„გახელებულმა... იხი რამ ვერ მოიქლა, ალბათ ცრემლი მოერია. ჰოდა, ხელი იმიტომ აიფარა, არ შემამჩნიონ, ცრემლი რა ვაჟკაცის საკადრისიაო. მამისის შვილი არ არის! ცრემლსა მალავს თუ, არ უნდა მამის დალუპვას უტკიროს? იმაზე უარესი რა უნდა იყოს, როცა შენიანის დახრჩობას თვალდათვალ ხედავ, შველა კი არ შეგიძლია! სალსალამათი მამა მიაქვს წყალს და ხელი კი ვერ მიგიწვდენია. ძნელია, ძნელი ამ დროს ხელდაკრეფილი გაჩერდე, მაგრამ რა უნდა ქნა, თუ საშველი არ არის?“

ახლა ჩვენინანები ალბათ ჩვენზე მეტად იტანჯებიან“.

ჯიბო ხედება: კომპიტებთან მდგარი ხალხი წივის და კივის, ჰოდა, მათი განგაში უფრო ამინებს:

„მირჩენია, გაჩუმდნენ. სულაც რომ არ გამოჩენილიყვნენ, ის სჯობდა“.

ჰა, მოვიდა რიონი. ახლა კიდევ რომ ვინმემ გამოსცუროს მოსაშველებლად, უკვე გვიან არის. წაიქცა უკანასკნელი ტირიფი, ტივს სამი მხრიდან მიადგა წყალი.

ჯიბოს საუკუნედ ეჩვენა ეს ორიოდ ბოლო წუთი. რამდენი რამის დანახვა და გაფიქრება შესძლო! ალბათ დასახურებლად მიშავალი კაციც სიკვდილის წინ უამრავი რამის გაფიქრებას ასწრებს ხოლმე... მთელ ცხოვრებას გაივლის. ფიქრზე უსწრაფესი არაფერია, სისმარს ჰგავს, წამში მთელ ქვეყანას შემოგატარებს.

ხალხი ნამეხარ კომპიტთან კბოდეს მოაწყდა. რიონი ძირს უთხრის კბოდეს. თუ ხალხმა უკან არ დაიხია, ბექობი ჩამოწყდება და დაიღუპება ვიღაცა. იქ ისე დღეს წყალი, დაუსრჩობს არ გაუშვებს არავის. რიონი ჭიქურ ეჯახება ცხვირწამოშვებულ კლდეს, ყალყზე დგება, ზვირთებს მალა ისერის, გეგონებათ, კლდეზე შეჯდომას აპირებსო, ატყორცნილი ზვირთი იფშენება, ძირს მშვიდად ეშვება კვლავ ზვირთად იცვრება, უკან იხევს და დიდ მორევს უერთდება, ცხრა ძაბრიანს. იმ მორევს რაც მიეკარება, ყველაფერს ითრევს: კბოდესთან მოჭარული ხალხი გაკივის და თან მორევისკენ იშვებს ხელს, ალბათ იძახის, ამის ახლო არ მოაცუროთ ტივიო.

ტივი იმ მორევის ნაპირზეც რომ მიადგოს წყალმა, ძირს ვერავინ ჩამოვა მისაშველებლად. მორევს კლდის ციკაბო კედელი აკრავს... არც მიადგებს ტივს... კბოდეზე შეხლილი ზვირთები დიდ ტივსაც არ გაუშვებენ ვადუბრუნებლად და ამ ეჭვსმორიანს დაინდობენ?!.. არა და, თუ გეზი იმ მორევისკენ არ აიღეს,

რიონი ტივს შუა წყალში გადაისერის და, მშვიდობით, ცოლშვილი

ასეა თუ ისე, ფეხქვეშ მიწაგამოკლილებს, ეს ტივილა შერჩათ იმედად.

კბოდეს მომდგარმა ხალხმა ერთბაშად იბრუნა პირი და კიანჭველის ბუდესავით აირია. ვიღაცამ თმა ჩამოიშალა და მკლავები აჰყარა ცაში. ყველა საღდაც გაიქცა, კბოდეს იქით. კომპიტებთან მხოლოდ სანდროსა და ჯიბოს ცოლშვილი და დარჩა.

„იქითა რიყეში რაღაც უბედურება მოხდა. დღეს რიონი ისეა გაგულსებული, რომ...“

სანდრომ ცხედარი ტივზე შეათრია, ნაჯახი შეამორს პირით მოუქნია და ჩაასო. ხელში ჭოკი მოიმარჯვა.

— ჰა, რაღას უცდი, შემობტი!

ჯიბოს გულში ვიღაცამ სამკედლო გამართა და საშინელი ბაგა-ბუგი ასტეხა. აცხცახებულ კაცი ტივზე შეხტა და შეტორტმანდა. პატრონს აჰყვა ძალი.

კუნძული გათავდა, კუნძულზე მყოფთა სიცოცხლე კი არა. სანდრომ წყალს ჭოკი ჩაჰკრა. ბიძგმცემული ტივი ციებიანივით შეთრთოლდა და ატიტივდა.

— წყალს ნუ უყურებ! თვალი აგემღვრევა და გადავარდები! - დაუყვარა სანდრომ გაოგნებულ თანამგზავრს და ძლივს გააგონა: — ჩაიჩოქე და ნიჩაბი მარცხნივ მოუსვი ხოლმე. ტივი ცხვირს მარჯვნივ იხამს და რიყისკენ წაიწვეს. ფრთხ. ლაღ! ნიჩაბი არ მოგტაცოს წყალმა და შენც არ გადაჰყვე! უჰ, რა უფხო ხარ! ეგ ნაჯახი ნაკვერჩხალივით რომ გიჭირავს, დაასვი მორზე და გაპირებმისას ხელის ჩასაჭიდად გამოგადგება. ყველაფრად გლახა ხარ, უშნო და მოუხერხებელი! რა ვაცახცახებს? გული საგულეში ჩაიადე, არ დაიღუპები!

„რა ქედმაღლურად უჭირავს თავი, ზვიდად ვადმომყურებს, თავის სიმაშაცესა და სულდილობას მახარბებს. გამაგრდი, ჯიბო, სულ მხვრად ნუ იქცევი!“

ტივი რაღაცას წამოედო და ცოტა ხნით შეუოვნდა. სანდრომ ისევ ჩაჰკრა წყალში ჭოკი. ტივი ნელა დაიძრა. და ღრმა წყალში გავიდა. აღმა-დაღმა ჰყვე-

ბა ზვირთებს, ხანაც გვერდზე გადაქანდება ხოლმე. აი, მოუჩქარა სვლას. ზვირთებს თითქოს ხელები აქვთ, ერთი ზვირთი მეორეს აწვდის ტივს, მეორე — მესამეს... გამწკრივებული ზვირთების ხელიდან ხელში გადადის ტივი და ტივზე მყოფთა სიცოცხლეც.

„თუ რომელიმე ზვირთმა არ გვიმუხილა, ჯერჯერობით...“

ტივმა ჩაბუქნა. ჯიბომ ერთი სიკვდილი გამოიარა, შებარბაცდა და მორაში ჩასობილი ნაჯახის ყუას ჩააფრინდა. გადარჩა.

„ერთხელაც თუ ასე აყირავდა, ნაღდად გადამაგდებს“.

კვლავ ჩაბუქნა ტივმა, თავი ასწია და ნაჩბინი კუდი წყალში ჩაყო. ჯიბომ მეორე სიკვდილი გაათავა. გული ბეწვზე დაეკიდა, ცოტაც და ჩაწყდება.

„გადავრჩი... ეს ტივი ბეწვის ხიდივითაა...“

ჯიბომ სხვა რამის გაფიქრება ვერც მოასწრო, ტივმა მესამედ ჩაბუქნა. ცხედარი შექანდა და ჯიბოსკენ წაცურდა. ჯიბომ ფეხი დაუხვედრა, მიცვალებული შეტრიალდა და ტივიდან გადასრიალდა.

არა, ჯიბოს ფეხი არ უჭრავს, ისე დაუხვედრა და... ქალი თავისით გადავარდა ტივიდან. სანდროს მაინც ვერ უსწორებს თვალს, ისედაც შეშინებული სულ მოიკუნტა. სანდროს მისთვის არც სცალია, ჰოკს იქნევს. ცხედრის დაჭერა უნდა. ვერ დაიჭირა, ტივმა გაუსწრო დამხრჩვალს. ქალი მოსდევს და ვერ ეწევა.

— ეჰ, ტივზე უნდა გამოშვებ! — ხელი ჩაიქნია სანდრომ სინანულით.

ტივი მეოთხედ აყირავდა. ახლა ჯიბომ მორაზე შემოჭერილი დვლერტის თავს ჩაუქიდა, ზედ შეებორცა და თვალი დახუჭა. მალე გაახილა და ტივზე ძალღი ველარ დაინახა.

„მკვდარს გაეკიდა, ტივმა მოისროლა განზე, თავისით გადახტა თუ სანდრომ ჰკრა წიხლი?.. ჰო, სანდრო იხამდა ამას. მაგრამ ძალღი რომ ქალის გვერდით მოცურავს? მკვდარი უნდა გადაარჩინოს?...“

ფაცურას ჯირკი დაეტაკა და თავი წყა-

ლში აკვრევიანა. ძალღმა თითქოს დაიქნა ანაგლა, ცოტა ხნის შემდეგ ამოვიდნა და კვლავ ძირს წავიდა.

— ვაიშე, იხრჩობა! — აღმოხდა ჯიბოს. — სანდრო, ვერ უშველი?

— შენი ძაღლის დარდი მაქვს ახლა მე!.. ადამიანი რომ გადაცურდა, მაშინ ხომ დამუნჯდი?.. ახლა რა მოგივიდა? ძაღლსა ჩივი, შე ძაღლიშვილო?.. — სანდრომ თანამგზავრს ბრაზიანად შეუკურთხა.

„აუჰ, როგორ აიმაღლა ხმა! ისე მიწყრება და შავინებს, თითქოს შავის ყურმოჭრილი ყმა გავხდი უკვე. ცოტა იქით რომ გავალთ, საშიშ მორავს რომ გავცდებით, თავს სამშვიდობოზე დაიგულეებს და შესაძლოა, განზეც მომისროლოს. იტყვის: გადავარდაო. არ დაუჯერებენ, თუ?.. ვინ ვგონივარ მე შავას?! ერთს მოვუქნევ ნაჯახს და... მეტი კი არ უნდა!.. ეჰ, ღმერთო, თუ სადმე ხარ, რატომ არ ვაიციანებ? ამის გამკეთებელი ვარ ახლა მე? სანდრო რომ ტივიდან გადავავდო, მეც ხომ დავიხრჩობი?.. ჩვენ მარტო ეს ტივიც არ გვაერთებს, საერთოდ რაღაც უხილავი ჯაჭვით ვართ ერთიმეორეზე გადაბმული. თუ ეს ჯაჭვი გაწყდა, დავიღუპები... მარტო ამ ტივზე კი არა, მთელი ცხოვრების მანძილზე ალბათ ყველა ადამიანი ერთიმეორეზე უხილავი ჯაჭვით არის გადაბმული და უამისოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ, უამჯაჭვოდ და უერთმანეთოდ... კაცთა ცხოვრება — ეს რაღაც ფერხულია დიდი. ამ ფერხულს შავანი აკლდება, შავანი ავსებს... ჰო, ერთი აკლდება, მეორე ემატება, ან ჯაჭვის წრეს ერთი კაცი ამატარავენ... აქ კი ახლა მხოლოდ ორი კაცი ვართ. ერთი თუ გამოაკლდა, მეორე ცალად დარჩება და დაიღუპება... ეს მე დავიღუპები, სანდრო თუ გამომაკლდა, თორემ პირველი მე თუ მოვწყდი ტივს, სანდრო გაღმა გასვლას მაინც მოახერხებს, კვლევ ჩაებმება იმ საერთოდ დიდ ფერხულში და წინანდებურად დაიწყებს ცხოვრებას... ეს რა უცნაურია!..“

ყველა ადამიანს თავისი მეტოქე ალბათ

გულის კუნჭულში, ფარულად უყვარს კლდეც, როგორც მეტაქე და ჯიბრის აღმძვრელი... სიყვარული ხომ ხშირად ჩხუბით იწყება... მეგობრობაც... უცნაურია, უცნაური!.. არა, არა, ღმერთმა ნუ ქნას, ტივიდან სანდრო გადავარდეს, მერე მე უმჯველად დავიღუბები.. არ ვნანობ ძაღლის დახრბობას, ოღონდ მე გადავრჩე და ძაღლის მეტი რა არის ქვეყანაზე, სხვას ვიყიდი, უყეთესს... ანდა, რაღა ჰქირად მინდა ძაღლი? ვითომ უძალოდ ვერ გავძლებ? გავძლებ და ისე!.. აი, სანდრო ხომ ცხოვრობს უძალოდ!..

სანდრო წელგამართული დგას ტივზე, ფართოდ ფეხებგაბაჯიჯგებული. არწივივით იყურება და ჭოკს წყალში უფათქუნებს ხოლმე.

„წყლის სიღრმეს ზომავს, თუ ტივს მარჯვნივ უბიძგებს? ალბათ ორივეს აკეთებს, მაგისთანები რომ არ იყვნენ ქვეყნად, ჩვენისთანებს რა ეშველებოდა, ერთმანეთს დავჭამდით...“

ტივმა შეორედა რომ ჩაბუქნა, ჯიბომ გუნებაში გაივლო, მესამე ჩაბუქვნისას უმჯველად გადამაგდებსო. მერე, რაკი მესამე ჩაბუქვნის დროსაც მშვიდობიანად გადარჩა, შიში გაუნელდა, ხოლო შეოთხე ჩაბუქვნის შემდეგ იმედიც გაუნდა:

„გადავრჩი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ხომ შეიძლება სულ ასე გადავახტე საფრთხეს და არ დავიხრჩო?.. ტივმა ჩაბუქნოს ათასჯერ, მაინც ვერ გადამაგდოს და ჰრებალოს ქვემოთ, ქვიშნარის ქალას უვნებლად მიმაყენოს? იქ რიონი თხელ ტოტებად იბნევა, ტივი რიყეს ადვილად მიადგება და... შეიძლება გადარჩენა, ნამდვილად შეიძლება. შეხედე, სანდრო რა მარჯვედ დგას. დავიჯერო, სულ არ ეშინია? ეშინია, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს, არ იბნევა. ეგ არის მთავარი. დასტურ, შეიძლება გადარჩენა. ჰოდა, მარჯვედ იყავი, ჯიბომ ნიჩაბი თამამად მოუსვი, სანდროს შენს სიმხდალეს ნუ დაანახებ. რა არის საშიში, ერთ დღეს დაბადებული ხარ და... სანდრო თუ ფეხზე დგას, შენ რატომ ვერ

უნდა დადგე? მაგაზე ნაკლები დონე მკლავში გაქვს თუ მუხლში? ჰოდა, გულიც გაიღონიერე! აბა, გამამაგდის მარდა!“

ჯიბომ წამოდგომა და ფეხის სანდროსავით გაბაჯიჯგება სცადა. მუხლმა უმტყუნა, ჩაიჩოქა.

— ნუ ფორხილობ, არ გადავარდი!.. შენმა მხემ, გამოგვიციდები!

— მაგის ჯავრი ნუ გაქვს! — ჯიბომ წამოდგა და გაბაჯიჯგდა.

ცხვირწამოშვერილ კლდეს გასცდნენ, მორევი განზე დარჩა. ტივი ხალხით სავესე რიყეს მიუახლოვდა. ქვემოთ სხვა კლდე ჩანს, უცხვირო. იმ კლდესთან რიონი მარცხნივ უხვევს. სანდრო ჭოკს წამისწამ ახლის წყალს, ტივი ნაპირისკენ გაუხვევსო, მოსახვევს ემიზნება. ჯიბომ ნიჩაბს გამალეებით უსვამს. ტივი ნაპირს თითქოსდა უახლოვდება. ხალხი ავანგაშდა: რიყერიყე დაედევნა ტივს. ყველაზე წინ ელგუჯა ჩანს, ფეხდაფეხ მისდევენ ციცირო, მაია და სოფიო. ვიღაც თავში იცემს ხელს, ზოგი კივილით იკლებს რიყეს, მხოლოდ ორიოდ აღადიანი დგას ბექობზე მშვიდად, კაცი იფიქრებს, სეირის საყურებლად მოსულაო.

ჯიბოს ყურში ყვირილი ჩასწვდა:

— კლდის ზემოთ დაუბვლით, კლდის ზემოთ!

„ამბროსია იქნება, სხვისი ხმა რიყიდან ტივამდე ვერც გამოაღწევდა“.

— თოკი გადაუგდეთ თოკი! — ეს უკვე უცნობი ხმაა.

სხვებიც გაპყვირიან რაღაცას. რიონიც რომ არ ბუბუნებდეს, ხალხის წივილი კივილში კაცი მაინც ვერაფერს გაარჩევს. ერთმანეთში ირევა ასი ხმა, ყიფინა და ყვირილი. ალბათ ანუგეშებენ: უკვე სამშვიდობოზე ხართ, ნულარ გეშინიაო.

ტივი მოსახვევს გაუსწორდა. ვერ მიუახლოვდა. ელგუჯამ ვიღაცას ჭოკი გამოსტაცა, უცხვირო კლდის ზემოთ მარჯვე ადგილას დადგა და ჭოკი გადამოქნია. ელგუჯას ჭოკი კაკვი სანდროს ჭოკის კაკვს მოედო. სანდრომ მარჯვენა ფეხი წინ წადგა, მორს მოხერ-

ხებულად მიაბჯინა და დაიძაბა. ვალშით ელგუჯას ხელი ჩასუბიდეს. ტივი წამით შეჩერდა, ერთი შეცანცახდა და ადგილზე შეტრიალება დაიწყო. სანდროს ჭოკს კაკვი წასტყდა და ტივი უმაღლე ვაცურდა ირიბად.

უცხვირო კლდის ქვემოთ რიონი უფრო ეშვება და თავდაუზოგავად გარბის.

„ვაი!.. — ჯიბოს ახალა მოაგონდა ხიდიკრის კლდეები. — თუ ხიდიკრამდე ვერ მოვახერხებთ რიყესთან მიდგომა, იქ რიონი ვიწრო ხეობაში გადის და ტივის კლდეთა ქიმებზე შეახებუქებს აუცილებლად. მორჩა, გათავდა, დავიღუპებით!.. ვაი!.. — უცებ ჩაუქრა ხალის ცეცხლივით აბრიალებული იმედი.

იქნებ ეს უკანასკნელი იმედიც არის? აგერ, სანდროც შეშინდა, თვალები საცრისტოლა გაუხდა, ჯიბოს კი ალბათ სულ გიყის გარეგნობა აქვს:

„ჰო, ეს ნამდვილად შიში აკივლდა ჯიბოს თვალბეჭეში, აკივლდა უხმოდ და შემზარავად. არ აპყვე, ჯიბო, არ აპყვე! ახლა უფრო მეტი მხნეობა გმართებს!.. სანდროს შიშს არ აპყვე, ჯიბო, არ აპყვე!“

ტივი ირიბად მიცურავს. ხალხის უმეტესობა დაიძაბა. რამდენიმე კაცმა ხელი უიმედოდ ჩაიჭინა და მდინარის პირას გახვედა. ერთი პატარა ჯგუფილა მოსდევს ტივს. ელგუჯამ გზადაგზა მოისროლა ტანსაცმელი და ჭოკმომარჯვებული წყალში შემოვარდნას აპირებს... ქალები არ უშვებენ — მაია და სოფიო. თუ გამოუშვებს, თავს წააგებს, მამაზე ადრე ელგუჯა დაიხრჩობა... მღვრიე მდინარეზე ძლიერი არაფერი არ არის... უკანუკური სისხლით ვერ მოერევი, ვერც კარგი ცურვით... მთა ვერ-სჯობნის და ელგუჯა მოერევა?!

— არ გაბედო, არ გაბედო! — სანდროზე ხმამაღლა ახლა ჯიბო ღრიალებს, ლამის გული ამოუვარდეს. — ნუ გეშინია, გამოვალთ, გამოვალთ!

ჯიბოს სჯერა, ჩემმა ხმამ რიყემდე გააღწიო, მაგრამ ელგუჯა რომ ისევ მოიწევს წყლისკენ?.. მგონი, ციცი-ნოც...

— არ გაბედოთ, არ გაბედოთ!.. თვალბეჭედი სანდროს თვალებში სცემს კაკვმოტებილ-ჭოკს წყალში. ელგუჯაც თვალბეჭედი მოსდევს ტივს. საიდანღაც მის ხელში თოკი გაჩნდა:

— ჰაუუ! დაიჭით, დაიჭით! თოკის თავი ჰაერშივე დაიჭირა ჯიბომ. იმ თოკიანად განერთხო ტივს და თოკი ჯერ ღველერქს გამოაბა, მერე სამაგრის ძელს. ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა.

ელგუჯას ხელში ჩაბღუჯულ თოკს ხალხი მიესია და ტივმა ნება-ნება ნაპირისკენ ვაცურა.

* * *

რიყის ბილიკმა ისინი კოპიტებთან აიყვანა. წინ სანდრო მიდის, სვანურ ქუდს ხშირად ისწორებს. სანდროს მიჰყვება ჯიბო, ჯიბოს — მაია, მაიას — სოფიო. ელგუჯა და ციცირო ცალკე მიდიან, წყვილად. ბილიკი ვიწროა, მაინც ეტევიან. ციციროს ცალფა ნაწნავი აქვს, მსხვილი, მკერდზე გადაგდებული. ჩითის კაბა აცვია, კოპლებიანი.

კოპიტებთან ხალხი დგას. იმის იქით, ორ კაცს თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭისთვის მკლავებში ჩაუვლია ხელი. აკა-ვებენ, ბიჭი ხმაჩახლენილი ბღავის:

„ ვაიმე დედა!.. დეეედააააა!..

— რა მოუვიდა? — ჰკითხა ჯიბომ კოპიტზე მხარშიყრდნობილ ამბროსიას.

— ჩვენს მტერს, მაგას რომ მოუვიდა. დედა დახრჩო...

— ეგ ოლღას ბიჭი არ არის?

— კი.

— აუჰ! ოლღა დაიხრჩო, კაცო? რა-ნაირად?

— გვიან ჩამოსულა და ყველაზე ბოლოს დამდგარა. წყალმა რომ მოიმატა, უცებ გამოსცლია მიწა ფეხქვეშ... ლიხეთიდან გამოთხოვილი ქალი იყო, რა თქმა უნდა, ცურვა არ სცოდნია და... ხელად წაუღია საწყალი.

— მერე, ვერ დაიჭირეს?

— ბოლოში მდგარს ვინ დაიჭერდა?!

ქვეყიდან რუბენა დალაქი მოდიოდა თურმე. დაუნახავს: ქალი მოაქვსო, მარა, ხომ ვაგიგია მისი ამბავი? ცურვა არ იცის და არაფერი. ჯოხისთვის დაუვლია ხელი და მიუწოდებია, მარა, წყალწალებულს მარტო მოკლე ჯოხით რას უშველიდა... ეპ ცურვა რომ სცოდნოდა, ქალი თურმე ნაპირთან ახლო მოქონდა და კი გადაარჩენდა. ძნელია, ყველაფერი ძნელია, თუ ცურვა არ იცი... ბიჭმა რომ დედის დახრჩობა გაიგო, გაიქცა, რიონში შევარდნას აპირებდა, უნდა დავედევნოო. ვინ გაუშვებდა! ჰოდა, ახლა გაპარქიაკებული მიჰყავთ შინ!

„შინ კი რა დახედება უბედურს? ალბათ ის შავი ქვაბი, კვახი რომ მოხარშა ოლღამ, ისევე ჰკიდია ბუხარში ჩამოკონწილელულ შავ ჯაჭვს. ეს არის ცხოვრება?! საწყალი ბიჭი ახლა მაგან თავის თავსაც უნდა მოუაროს და ობოლ დაძმასაც უპატრონოს. სოფელი იმდენს რას დაესმარება?.. მარტო დედას კი არა, თავის თავსაც სტირის. საწყალი ბიჭი.. ეპ! ასე იბღალელებდნენ ჩვენ შვილებიც. სანდროს რომ არ გამოეჩინა ფხა!“

— ვაი ობლების ცოდვა! სამი შვილი დარჩა უბედურს!.. რაღა ეგ ამოარჩია, ოლღას ობლების ცოდვა კი მიეცეს რიონს! — თქვა ამბროსიას ცოლმა, აღრაფინამ.

— ვაი დედის ბრალი, თუ არა, ობლებს ეშველებათ რამე, უპატრონოდ ქვეყანაზე არავინ რჩება, არც ულუქმაპუროდ. — გაეპასუხა ამბროსია ცოლს და მერე ჯიბოს მიუბრუნდა: — პირველად გნახე უძალდოდ.

— დამეხრჩო.

— უყურე შენ?! არ მეგონა, ამ ტუმბელა წყალში კაცი თუ მოახერხებდა გამოსვლას და ძაღლი ვერა. უყურე შენ?

— ჯიბოს ძაღლს რა დაახრჩობდა! ხომ

იცი, რაფერ უყვარს, გულში უბნა! — ზმურად ჩაიჭირქილა აღრაფინამ გულში ჯიბო უხმოდ შემობრტყნა: *მეცხე*

„ლაშლაშა ქალია, რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს ამბობს... თუმცა, იქნება მართლა მიბია გულში ძაღლი?.. ისეთი უწყინარი კი არა, ფაცურა რომ იყო, — ავი ძაღლი, ყველას რომ უყვებს?.. არ ვიცი... შესაძლოა, მება... და დღეს დამეხრჩო რიონში...“

კოპიტებს რომ გასცდნენ, ელგუჯა და ციციწო წინ მოექცნენ.

ჯიბომ შუაში ჩადგომა დააპირა.

ნაბიჯს მოუჩქარა და უცებ დაბორკილივით გახევედა.

„ არა, არ ივარგებს... ისე ლამაზად მიდიან ერთად, რომ... ჯიბრს არ გადავურჩენივარ დღეს, სხვა რაღაც მომეშველა... არა, ჯიბრი და ქიშობა არ არის წუთისოფლის უღლის გამწვევი, სხვა რაღაც ეზიდება, უფრო ძლიერი... ჰო, სიყვარული! ღმერთიც ეგ არის და ბევრი სხვა რამეც... ისეთი სიყვარულია ღმერთი, სანდრომ რომ იცის!...“

— ეპ, ოღლა, ოღლა! რა მუყაითი ქალი იყო!.. შვილს შეეწირა საწყალი! — ჩაიჭვითინა მიაიამ.


— რას იზამ, ყველა დედა შვილისთვის კვდება, — მიუგო სოფიომ.

„ჰო, ყველა დედა შვილისთვის კვდება, დედაც და მამაც... პირიქით რომ იყოს, წუთისოფლის ბორბალი უკუღმა იტრიალებდა... მამებმა შვილებს უნდა დაუთმონ, ბევრი რამე უნდა დაუთმონ!...“

ჯიბომ ხეობას გახედა.

რიონი ისევე ვეშაპივით მოიზლანება და ბობოქრობს. მისი ხმა მთების გაღვანს ასკდება და ცაში გარბის.

წყნარად ყოფნა და მუდამ ერთი გზით სიარული არ უყვარს რძონს.



ჩინოვს აიგავოვნი

ღმრის ყანა

მამა, მე არ ვიცი სად არის შენი საფლავი, ვიძღვნი შენ, ტორეველ აიტმატოვს.

ღედა, შენ მარტოხელამ გამოგვზარდე ჩვენ ოთხნი. ვიძღვნი შენ, ნაგიმა აიტმატოვას.

1

თეთრ თავსაფრიაანი ქალი ნელი ნაბიჯით მიყვება ნაწვერალში გაცვალულ ბილიკს. მას ახლადგარეცხილი ქათქათა კაბა და მუქი დალიანდაგებული ახალუხი აცვია. ირგვლივ არავინ არის. მიიწურა ხმაურიანი ზაფხული. მინდვრად ჩამიჩუმდიც არ ისმის, შარავზაზე მტვრის ბულს აღარ აყენებენ სატვირთო მანქანები, შორს აღარ მოსჩანან კომბაინები. ჯერ კიდევ არ მოურეკიათ ნახირი ნამკალში.

შორს, რუხი გზატკეცილის გადაღმა უხილავად გადაშლილია შემოდგომის ველი. უხმოდ სერავენ მას მოლეგო ღრუბლის მწკრივები. უხმოდ მორიალობს ველზე ქარი, ათამაშებს ვაციწვერასა და ბალახის ხმელ ღეროებს და ასევე უხმაუროდ მიდის მდინარისაკენ. დილის თრთვილით დანამული ბალახის სურნელი იფრქვევა ირგვლივ. მიწა ისვენებს ალოობის შემდეგ.

ჩალე გაავდრდება, წამოუშენს წვიმა. მიწას მოფიფქავს პირველი თოვლი და დაქპროლებს ქარბუქი.

ჯერჯერობით კი აქ სიწყნარება და სიმშვიდე.

ნუ შეუშლით ხელს. აი ქალი შეჩერდა და დიდხანს, დიდხანს იყურება ირგვლივ ჩამქრალი, ბებრული თვალებით.

— გამარჯობა, ყანავ! — წყნარად ამბობს.

— გაგიმარჯოს, ტოლგონაი. მოხვედნი? დაბჯრებულხარ. თმებიც ერთიანად გაგეთორებია. ჯოხსაც იშველიებ.

— ჰო, ვებრდები. კიდევ ერთი წელი გავიდა, შენ კი, ყანავ, კიდევ ერთი ალოობა მოილიე. დღეს მიცვალბულთა სულის მოხსენიების დღეა.

— ვიცი. და გელი, ტოლგონაი. მაგრამ შენ ახლაც მარტო მოხვედნი?

— როგორც ხედავ. ისევ მარტო.

— მაშასადამე, მისთვის ჯერ კიდევ არაფერი გითქვამს, ტოლგონაი?

— არა, ვერ გავებდე.

— შენ გგონია, არასოდეს და არავინ გაუმხელს მას ამ ამბავს? გგონია არავინ წამოსცდება?

— არა, რატომ? ადრე თუ გვიან, ის ყველაფერს გაიგებს. უკვე დიდია. ახლა შეიძლება სხვამაც უთხრას, მაგრამ ჩემთვის ისევ ისე პატარაა და მეშინია, ამაზე სიტყვის ჩამოგდების მეშინია.

— ასე კია, მაგრამ აღამიანმა სიმართლე უნდა გაიგოს, ტოლგონაი.

— მესმის. მაგრამ როგორ ვუთხრა? ის, რაც მე ვიცი, რაც შენ იცი, ყანავ ჩემო მშობლიურო, რაც ყველამ იცის, მხოლოდ მან ერთმა არ იცის. და როცა გაიგებს, რას იფიქრებს, როგორ შეხედავს წარსულს, ჩაწვდება სიმართლეს გონებითა და გულით? ჯერ ზომ მთლად პატარა ბიჭია. მეც ვფიქრობ, რა გაეაწყუო, როგორ მოვიქცე, რომ ცხოვრებას ზურგი არ უქციოს, რომ პირდაპირ უყუროს თვალეებში. ეპ, რომ შეიძლება ბოდეს, უბრალოდ ორიოდ სიტყვით უამბო ზღაპრებით. ამ ბოლო ხანებში ესლა მაქვს საფიქრალი, — ვინ იცის, უცაბედად მოკვდეს. ზამთარში ავად



გერკენული

გავხდი, ჩავწევი. მეგონა ყველაფერი გათავდა და სიკვდილის კი არ მეშინოდა თუნდაც მოსულიყო, მე წინააღმდეგობას არ გავუწევდი. მაგრამ ვშიშობდი, ვაითუ ვერ მოვასწრო და უთქმელად თან წავიღო-მეთქი მისი სიმართლე. იმას კი ვერ გაეგო რატომ ვწუხდი ასე... ვეცოდებოდი, სკოლაშიც კი არ წასულა, სულ ჩემ საწოლთან წრიალებდა — პირდაპირ სულჩადგმული დედამისია. „ბებიო, ბებიო! იქნებ წყალი გინდა ან წამალი? იქნებ უფრო თბილად დაგხურო?“ მე კი ვერა და ვერ გადავწყვიტე, ენა არ მომიბრუნდა. ძალიან მიმნდობია, უეშმაყო. დრო გადის და მე კი ვერ გადამიწყვეტია, საიდან დავიწყოლაპარაკი. ასეც ვიფიქრე, ისეც და რამდენსაც არ ვფიქრობ, მაინც ერთ აზრამდე მივდივარ. იმისათვის, რომ მან სწორად განაჯგოს მომხდარი, სწორად გაიგოს ცხოვრებამე უნდა ვუამბო მას არა მარტო თავის თავზე, არა მარტო მის საკუთარ ბედზე, არამედ ბევრ სხვა აღამიანებზე და იმათ ბედზე, ჩემზეც, ჩემ დროზეც, შენზეც, ჩემო ყანავ, მთელ ჩვენ ცხოვრებაზე, და იმ ველოსიპედზეც კი, რომლითაც ის არხვინად დადის და არაფერს ექვობს. იქნებ ასე, და მხოლოდ ასე იყოს სწორი. ამ ამბავს ვერც ვერაფერს გამოაქვებ და ვერც წაამატებ. ცხოვრებამ ჩვენ ყველა ერთ ცომად მოგვზილა, ერთ ნასკვად გაგვეკანძა. ეს ამბავი კი ისეთია, რომ ყველა მოზრდილიც ვერ ჩაბვდება. ეს უნდა განიცადო, სულთ ჩასწვდე... და ამიტომ ვფიქრობ ამდენს... ვიცი, რომ ეს ჩემი ვალია, და თუ ამას შეეძლებ, სიკვდილსაც კი არად მივიჩნევ...

— ჩამოვქე, ტოლგონაი. ნუ დგახარ, ფეხები გტყავა. ჩამოვქე ქვაზე, ერთად ვიფიქროთ. გახსოვს, ტოლგონაი, პირველად რომ მოხვედი აქ?

— მიქირს გახსენება, მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა.

— ეცადე მოიგონო. გაიხსენე, ტოლგონაი, ყველაფერი გაიხსენე სულ თავიდან.

ძალიან ბუნდოვნად მახსოვს, მტკიან რომ ვიყავი, ალოობისას ხელჩაკიდებული მომიყვანდნენ, ზვინის ქვეშ ჩრდილში დამსვამდნენ, პურის ნატეხს დამიტოვებდნენ, რომ არ მეტირა. მერე კი, რომ წამოვიზარდე, აქ ნათესების საყარაულოდ მოვდიოდი. გაზაფხულზე ამ გზით ნახირს მიერეკებოდნენ მთებში. მაშინ მე ერთი ფეხმარდი, გაბურძგნული გოგო ვიყავი. ვადარეული, უდარდელი დრო ბავშვობისა! მახსოვს, მეჯოგეები ყვითელი ველის ქვემო მხრიდან მოდიოდნენ. ჯოგი ჯოგს მისდევდა, მიიჩქაროდა ახალ ბალახზე, გრილ მთებში.

რა სულელი ვიყავი მაშინ, ახლა რომ ვფიქრობ.

ზვავივით ჩოქროდა ველიდან რემა, წინ თუ დახვდი, თვალის დახამხამებაში გადაგთქვრავს, მთელ კილომეტრზე იდგა ხოლმე პაერში მტვრის კორიანტელი. მე პურის ყანაში ვიმალებოდი და ერთბაშად მხეცივით გამოვხტებოდი, ვაფრთხობდი. ცხენები აქეთ-იქით აწყულებოდნენ, მეჯოგეები კი მე გამომეკიდებოდნენ.

ეი შე გაბურძგნულო, გიჩვენებთ სეირსო, მემუქრებოდნენ.

მე კი ხელიდან ვუსხლტებოდი, არხებზე გავრბოდი და თავს ვშველოდი.

რამდენიმე დღის განმავლობაში მოდიოდა ამ გზაზე ცხვრების მწითური ფარა, სუთები ირხეოდნენ მტვერში, სეტყვასავით კაკუნობდა ჩლიქები. ცხვარს მიერეკებოდნენ შავტუხა, ხმაჩახლჩილი მწყემსები. ბოლოს მოდიოდნენ მდიდარი სოფლების მომთაბარენი აქლემების ქარავნით, უნაგირებზე გადაკიდებული კუმისით სავსე ტიკორებით. ფარჩა-აბრეშუმში გამოზრანქული ქალჩალი თავს იწონებდა ფეხმარდ იორლებზე, მღეროდნენ მწვანე მინდვრებსა და კამკამა მდინარეებზე. განცვიფრება მიპყრობდა, მაიწყულებოდა ამ ქვეყნად ყველაფერი და დიდხანს სირბილით მივსდევდი უკან.

„ნეტავი როდისმე მეღირსებოდეს ასეთი ღამაში კაბა და ფოჩიანი თავსაფარი!“ — ვოცნებობდი მე, და გავცქეროდი მათ, ვიდრე თვალს არ მიეფარებოდნენ. ვინ ვიყავი მე იმ დროს? მოჯამაგირის ფეხშიშველი გოგო. ბაბუაჩემი ვალში დაუტოვებიათ მხენულად და მას შემდეგ ასე გამოყვა ჩვენ გვარს. თუმცა მე არასდროს მცმია აბრეშუმის კაბა, გოგო მინც საჩინო დავდექი. მიყვარდა ჩემი ჩრდილის ყურება. მიდიხარ და თითქოს სარკეში იყურები, მზერით ტუბები. უცნაური ვიყავი, ღმერთმანი. პირველად სუვანკულს სამკალში შევხვდი, ის იმ წელს მოვიდა ზემო ტალასიდან ჩვენში იჯარით სამუშაოდ.

ახლაც, თვალს რომ დავხუჭავ, ისეთივე დამიდგება თვალწინ. ჯერ კიდევ მთლად ახალგაზრდა, ცხრაშვიტით ფლის თუ იქნებოდა. ტანზე პერანგი არ ეცვა, შიშველ მხრებზე ძველი ახალუბი ჰქონდა წამოსხმული. მზისგან ბოლში გამოყვანილივით იყო დამწვარი; მუქი სპილენძივით უბზინავდა ყვრიმალი; ერთი შეხედვით ხმელ-ხმელი ჩანდა, მაგრამ მეკრდი ძლიერი ჰქონდა და ხელებიც რკინასავით. მუშაც ისეთი იყო, ძნელად რომ ნახავს კაცი იმგვარს. პურს ადვილად მკიდა, სუფთად, მხოლოდ ნამგლის წკრიალსა და მოჭრილი თავთავის ვარდნის ხმას თუ გაიგონებდი. არიან ასეთი ადამიანები, რომელთა მუშაობის ყურებაც დიდ სიამოვნებას განიჭებს. სუვანკულიც ასეთი იყო. არც მე ვითვლებოდი ცუდ მომკელად, მაგრამ სუვანკული ყოველთვის მისწრებდა, წავიდოდა წინ, მერე მოიხედავდა და მობრუნდებოდა, მომეშველებოდა, რომ წამოვწყოდი. ეს მე მამარაზებდა და თავიდან ვიშორებდი, ვადლებდი:

— აბა, ვინ გეხვეწება? დიდი ამბავი! მე თვითონ უშენოდაც კარგად გავაკეთებ.

ის კი არ ჯავრობდა, ჩაიცინებდა და უხმოდ აკეთებდა თავის საქმეს. ოპ, აბა მე სულელს რაღა მამარაზებდა?

ჩვენ ყოველთვის პირველები მოვდიოდით სამუშაოდ. აისი ის-ის იყო და-

ლას იკრებდა, ყველას ეძინა, ჩვენ კი უკვე სამკალში მივდიოდით. სუვანკული ყოველთვის სოფლებს მიხლტობდა ჩვენს ბილიკზე მელოდა.

— მოხვედი? — მკითხავდა.

— მე კი უკვე წასული მეგონე. — ვპასუხობდი მე მულამ, თუმცა ძალიან კარგად ვიცოდი, უჩემოდ არსად წავიდოდა.

მერე მივდიოდით ერთად.

განთიადი კი თანდათან ცეცხლისფრად ენთებოდა, პირველად მაღალი მთების თოვლიანი მწვერვალები ააღდებოდა, ჩვენს შესახვედრად მინდვრიდან ღვრჯ ნაკადად მოედინებოდა ნიაფი. ზაფხულის ეს ალიონები იყო ჩვენი სიყვარულის განთიადი, როცა ჩვენ ორნი ერთად მივდიოდით, თითქოს ზღაპარში, ყველაფერი სახეს იცვლიდა. რუხი, გადათელილი და გადანხული ველიც კი, ყველაზე ღამაზ მინდვრად იქცეოდა მთელ დედამიწის ზურგზე.

ჩვენთან ერთად ზედებოდა განთიადს ტოროლა. ის სულ მაღლა-მაღლა აიჭრებოდა, ცაში წერტილივით გამოეკიდებოდა და იქ ადამიანის გულივით ფართობდა, ფრთებს აფათქუნებდა. ოპ, რამდენი უკიდევანო ბედნიერება ქლერდა მის სიმღერებში...

— შეხედე, ამღერდა ჩვენი ტოროლა! — მიუბნებოდა სუვანკული.

საოცარია, ტოროლაც კი ჩვენი გვეყავდა.

მთვარიან ღამეს აღარ იკითხავთ? შესაძლოა აღარასოდეს განმეორდეს ასეთი ღამე. იმ საღამოს მე და სუვანკული მინდორში დავრჩით, რომ მთიარის შუქზეც გვემუშავა. როცა ვეება, კამკამა მთვარე აი იმ მუქი მთის თხემზე ამოვიდა, ცაზე ყველა ვარსკვლავმა ერთბაშად ჭყიტა თვალი. მე მეგონა, რომ ისინი გვხედავდნენ მე და სუვანკულს. ჩვენ ყანის მიჯნაზე ვიწეკით, ქვეშ სუვანკულის ახალუხი გვეგო, სასთუმლად კი არხის ყრილი გვქონდა. ეს იყო ყველაზე რბილი ბალიში. ეს იყო ჩვენი პირველი ღამე. იმ დღის შემდეგ მთელი სიცოცხლე ერთად... ნაჯაფი, ტყვიასავით-

მძიმე ხელებით სუვანკული წყნარად ეფერებოდა ჩემ სახეს, თმებს, და მისი ხელისგულის შეხებით მესმოდა როგორ მძაფრად და სიხარულით უცემდა გული. მაშინ მე მას ჩავჩურჩულე:

— სუვან, როგორ ფიქრობ, ხომ ვიქნებით ბედნიერები?

მან მიპასუხა:

— თუ მიწა და წყალი თანაბრად გაწაფილდება, თუ ჩვენც გვექნება საკუთარი ყანა, ჩვენც მოვხნავთ, დავთესავთ, საკუთარ პურს გავლევავთ — ეს იქნება ჩვენი ბედნიერება. მეტი ბედნიერება ადამიანს არც სჭირდება, ტოლგან. მხვენელ-მთესველის ბედნიერება ისაა, რასაც დასთესს და მოიმიკის.

მე რატომღაც ძალიან მომეწონა მისი სიტყვები, გულზე მომეფონა. მაგრად მოვეხვიე სუვანკულს და დიდხანს ვუკონიდი ქარდაკრულ, მხურვალე სახეს. შემდეგ არხში ვიბანავთ, ვჭყუშპალაობდით, ვიცინოდით. წყალი იყო ახალი, ლივლივა, მთის ჰაერით გაჟღენთილი. შემდეგ ხელისხელ ჩაკიდებული ვიწეკით და უხმოდ, ისე უბრალოდ შევყურებდით ცას, ვარსკვლავებს, რომლებიც იმ ღამეს საოცრად ბევრი იყო.

მიწაც იმ ღერჯ, ნათელ ღამეს ბედნიერი იყო ჩვენთან ერთად, მიწასაც ატკობდა სიგრილე და სიჩუმე. მთელი სტეპი გარინდულიყო გულხმიერ სიმშვიდეში. არხში ლიკლიკებდა წყალი. იდგა ვარდკაქაქას თავბრუდამხვევი ტკბილი სურნელი. სწორედ მისი ყვავილობის დრო იყო. ხანდახან საიდანღაც მობერავდა ხმელი არტემიზიის სუნით გაჟღენთილი ცხელი ქარაშოტი.

მაშინ ყანის პირას ირხეოდნენ და ნელა შრიალებდნენ თეთავეები. შესაძლოა მხოლოდ ერთხელ იყო ასეთი ღამე. შუალამეს მე ავხედე ცას და დავინახე ცის კანკლელი — ირმის ნახტომი ფართო ვერცხლისფერ ზოლად გაწოლილიყო პორიზონტზე ვარსკვლავებშორის. გამახსენდა სუვანკულის სიტყვები და გავიფიქრე, იქნება მართლა გადაიარა ცაზე ამ ღამით ვიღაც ძლიერმა, კეთილმა გუთნისდემამ ნამჯის ვეე-

ბა კონით და თავის ნაკვალევზე დასტოვა მიმობნეული მარცვალი. *არც კი ვხედავ* და მე უცებ წარმოვიდგინე, *როგორ* დისმე, თუ ჩვენ ოცნებას ასრულება ეწერა, ჩემი სუვანკულიც ასევე წაიღებს კალოდან პირველ გალუწილ ნამჯას. ეს იქნება საკუთარი პურის პირველი კონა ნამჯა. და როდესაც ის გაივლის ამ სურნელოვანი ნამჯით ხელში, მის უკანაც დარჩება მიმობნეული მარცვლის ასეთი ნაკვალევი. ასე ვოცნებობდი ჩემთვის, ვარსკვლავებიც ოცნებობდნენ ჩემთან ერთად. და უცებ ისე ძლიერად მომინდა ყველაფერი ეს ამხდარიყო, რომ პირველად ჩემს სიცოცხლეში მივმართე დედამიწას ადამიანის ცნით. „მიწავ, — ვეუბნებოდი მე, — ჩვენ ყველა შენს შერდში ვართ ფესვებით ჩაზრდილი. თუ შენ არ მოგვანიჭებ ბედნიერებას, მაშ რატომღა ხარ მიწა, ანდა ჩვენ რიდასთვის ვჩნდებით ამ ქვეყანაზე? ჩვენ შენი შვილები ვართ, მიწავ, მოგვეცი ბედნიერება, გაგვაბედნიერე!“ — აი, რა სიტყვები წარმოვთქვი მე იმ ღამეს.

დილით კი გავიღვიძე და ვხედავ სუვანკული ვვერდით აღარ მიწევს. არ ვიცი, როდის ადგა. როგორც ჩანს, ძალიან ადრე, ირგვლივ ნამკალში ყველგან ეწყო პურის ახალი ძნები. მეწყინა — ოო, როგორ გულთანად ვიმუშავებდი მეც მის მხარდამხარ ამ დილაადრიან...

— სუვანკულ, რატომ არ გამაღვიძე? — დავუძახე მე.

მან ჩემს ძახილზე მოიხედა; მახსოვს, როგორი იყო იმ დილით — წელსხვეით შიშველი, შავი, გაოფლილი, ძლიერი მხრები უბრწყინავდა. იდგა და როგორღაც ბედნიერად, გაოცებით შემომცქეროდა. თითქოს ვერ მცნობდა, მერე კი ხელისგულით სახე შეიმშრალა და ღიმილით მითხრა:

— მინდოდა ცოტა კიდევ გძინებოდა.

— მერე შენ? — ვეკითხებო.

— მე ხომ ახლა ორის მაგიერ ვემუშაობ, — მომიგო მან.

ახლა კი მე ნამდვილად გავჯავრდი,

კინდამ ტირილი დაეწიყე, თუმცა გულში სიამე მელერებოდა.

— დაგაეწიყა შენი გუშინდელი სიტყვები? — ვუსაყვედურე მე. — შენ ამბობდი, რომ ყველაფერში თანასწორნი ვიქნებით, როგორც ერთიო.

სუვანკულმა ნამგალი დააგდო, მოირბინა ჩემთან, ხელში ამიტაცა, მკოცნიდა და რან მეუბნებოდა:

— დღეის იქით ყველაფერში და ყოველთვის ერთად — როგორც ერთი, ტოროლავ ჩემო, ძვირფასო, სანუკვარო!..

მას ხელში აყვანილი დაეყვადი, კიდევ რაღაცას მეუბნებოდა, მეძახდა ტოროლას და ათას სხვა სასიყვარულო სახელებს, მე კი მის კისერზე მაგრად ხელშემოხვეული, ფეხებს ვაფართხალებდი, ვიციხოდი — ტოროლას ხომ პატარა ბავშვებს ეძახიან, და მაინც რა კარგი იყო ასეთი სიტყვების მოსმენა!

მზე კი ის-ის იყო ამოდოდა, მორცხვად იჭყიტებოდა მთის იქიდან. სუვანკულმა ფეხზე დამაყენა, მხრებზე ხელი მომხვია და უცებ მზეს შესძახა:

— ეპეი, მზეო, შეხედე, აი ჩემი ცოლი! შეხედე რა ცოლი მყავს! პატარა ბიჭის პირის სანახავი შუქითა და სხივებით გადამიხადე!

არ ვიცო, ეს მან ნამდვილად თქვა თუ იხუმრა, მაგრამ მე უცბად ავტირდი. ისე, უბრალოდ, მოზღვავებული ბედნიერებისაგან თავი ვერ შევიკავე, გულმა ვერ დაიტია...

აი ახლაც ვიგონებ და რატომღაც ვტირი მე სულელი. ის ხომ სულ სხვა ცრემლები იყო, ისეთ ცრემლებს ადამიანი სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ თუ ეღირსება.

და განა არ მოეწყო ჩვენი ცხოვრება ისე, როგორც ჩვენ ვოცნებობდით? მოეწყო. ეს ცხოვრება მე და სუვანკულმა ჩვენი ხელებით შექმენით, ვწარმოვბდით, ზამთარ-ზაფხულ არ გაგვიშვია ხელიდან თოხი, ბევრი ოფლი დაეღვარეთ. ბევრი ჭაფა შევალიეთ. სახლი ავაშენეთ, ეს უკვე ახალ დროში, საქონელი გავიჩინეთ. ერთი სიტყვით, დაეწიყეთ ადამიანური ცხოვრება და

რაც მთავარია, ზედისხედ სამი ბიჭი გაგვიჩინდა, სამივე ერთიმეორეზე უკეთესი. ახლა ხანდახან ისეთი ნაღველი მიღრღნის ხოლმე გულს, ისეთი შეუსაბამო აზრები მომდის თავში: რატომ გავაჩინე ისინი ასე ცხვარავით წელიწად და წელიწადნახევრის მიყოლებით, და არა ისე, როგორც სხვებმა სამი-ოთხი წლის ჩაგდებით — იქნება მაშინ არ მომხდარა იყო ასე. ან იქნებ ჯობდა სულ არ გავჩინოვებინებ. ჩემო შეილებო, ამას მწუხარება და ტყვილი მალაპარაკებს. მე ხომ დედა ვარ, დედა...

მასხვოს მათი პირველი მოსვლა აქ. ეს იმ დღეს იყო, სუვანკულმა პირველი ტრაქტორი რომ მოიყვანა. მთელი შემოდგომა და ზამთარი სუვანკული გალმა მხარეს ზარეჩიეში დადიოდა, ტრაქტორისტების კურსებზე სწავლობდა. მაშინ ჩვენ ხეირიანად არც ვიცოდით რა იყო ტრაქტორი. და როცა სუვანკულს საღამომდე შეაგვიანდებოდა — დიდი გზა იყო სავალი — მე მეცოდებოდა კიდევ და თანაც ვბრაზობდი.

— აბა რისი გულისთვის გაიბი თავი ამ ხათაბალაში? ცუდი იყო ბრიგადირობა? — ვსაყვედურობდი მე.

ის კი, როგორც ყოველთვის, მშვიდად იღიმებოდა:

— კარგი, ნუ ბრაზობ, ტოლგონ. მოითმინე, გაზაფხულდება და დარწმუნდები. ცოტა კიდევ მოითმინე...

მე კი იმიტომ ვბრაზობდი, რომ მიჭირდა მარტოხელას ბავშვებისა და ოჯახის მოვლა, თანაც კოლმეურნეობაში მუშაობა, მაგრამ გული მაღე მომიბრუნდებოდა ხოლმე: ვხედავ, გათოშილია, უძმელი, მე კი ჩავაცვივდი და ვაძლულებ თავი იმართლოს — და თვითონვე ვვარდებოდი უხერხულ მდგომარეობაში.

— კარგი ჰო, ცეცხლს მიუჭექი, რახანია საქმელი გაცივდა, — ვბუზღუნებდი უკვე ნირწამხდარი.

— გულში კი მესმოდა, რომ სუვანკული დიდ საქმეს იყო შექმედებული. სოფელში მაშინ ვერ ნახეს წერაკითხვის მცოდნე კაცი, კურსებზე გასაგზავნად

და სუვანკულმა თვითონ განაცხადა სურვილი: „მეო, თქვა, წავალ და წერაკითხვასაც ვისწავლიო. გამანთავისუფლეთ ბრიგადრობიდანო“.

სურვილი კი გამოთქვა, მაგრამ ბევრი ჯაფაც იწვნია. ახლა რომ მახსენდება, საინტერესო დრო იყო, შვილები მაშებს ასწავლიდნენ. კახიმი და მასელ ბეკი უკვე სკოლაში დადიოდნენ. სწორედ ისინი იყვნენ მასწავლებლები. სალამოობით სახლში ნამდვილი სკოლა იმართებოდა. მაშინ მაგიდები არ იყო. სუვანკული იატაკზე იწვა და რვეულში დიდის გაქირავებით გამოყავდა ასოები, შვილები კი სამივე ერთად სამი მხრიდან ერთდროულად შემოუსხდებოდნენ და ყველა ასწავლიდა: ასე და ისეო, ფანქარი სწორად დაიჭირე, ხედავ ბწყარი მრუდედ წავიდა, ხელს ყურადღება მიექცე, ნუ გიკანკალებსო, რვეული ასე დაიჭირეო და კიდევ ვინ იცის. მერე ერთბაშად წაიკნკლავდებოდნენ, თვითული ამტკიცებდა, მე უკეთ ვიცოო. სხვა დროს მამა შეუტევდა, დააშოშმინებდა, აქ კი მოწიწებით უსმენდა, როგორც ნამდვილ მასწავლებლებს. სანამ ერთ სიტყვას დაწერდა, ცხრა პირი ტყავი ვაძვრებოდა: სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, თითქოს ასოებს კი არ წერდა, არამედ საცეხველის დოლურასთან მიმწოდებლად მდგარიყოს. ასე ჯახირობდნენ ოთხივენი რვეულითა და ანბანით, მე კი ვუყურებ და მეცივნება.

— ბავშვებო, აღარ მოეშვებით. რა გინდათ მაგისგან, მოლა ხომ არ გინდათ გამოიყვანოთ? შენ კი, სუვანკულ, ორ კურდღელს ნუ მისდევ, რომელიმე ერთი აირჩიე — ან ტრაქტორისტი იყავი ანდა მოლა.

ბრაზობდა სუვანკული. არ შემომხედავდა, თავს გადაიქნევდა და მძიმედ ამოიხვნეშებდა.

— აჰ, აქ ასეთი საქმეა და შენ კი მახსრობ.

ერთი სიტყვით, იყო სიცილიცა და მწუხარებაც. მაგრამ ასე იყო თუ ისე, სუვანკულმა მინც თავისი გაიტანა.

აღრე გაზაფხულზე — როგორც კი თოვლი აიღო და ამინდმა გემოვნადა, სოფლის თავში რალაქმა მანახანდა აგუგუნდა. შარაზე კისრისტეხით გაიქროლა დამფრთხალმა ჯოგმა. მე ეზოდან გამოვევარდი.

ბოსტნების იქით მოდიოდა ტრაქტორი შავი, თუჯის გოლიათი, მთლად ბოლში გახვეული. ის სწრაფად უახლოვდებოდა შარას, მთელი სოფელი ეხვია გარს. ზოგი ცხენით, ზოგიც ისე ხმაურობენ, ჯიკაობენ, გეგონება ბაზარიოო. მეც გავიქეცი მეზობლის ქალებთან ერთად. და პირველად ჩემი შვილები დავინახე. სამივენი ტრაქტორზე იდგნენ მამის გვერდით, ერთმანეთს მაგრად ჩაფრენოდნენ. სოფლის ბიჭები უსტვენდნენ მათ, ქულებს ესროდნენ, ისინი კი, საქმეში ხარ, ნამდვილი გმირებით იდგნენ ამაყად, სახეგაბრწყინებულნი. ხედავ ამ ონავრებს, უკვე აღრიანად გაქცეულან მდინარის გაღმა მამის ტრაქტორის შესახვედრად, ჩემთვის კი არაფერი უთქვამთ, შეეშინდათ ალბათ, რომ არ გაუუშვებდი. მართლაც შეეშინდა, ბავშვებმა არაფერი მოიწიონ-მეთქი და დაეუყვირე:

— კასიმ, მასელბეკ, ჯინაკ, მე თქვენ გიჩვენებთ! ჩამოდით ეხლავე! — მაგრამ მოტორის გუგუნში ჩემი ხმა მევე ველარ გავიგონე.

სუვანკული მიმიხვდა, გამიღიმა და თავი დამიქნია. — აქაოდა ნუ გეშინია, არაფერი არ მოუვათო. ის იჭდა საცესთან ამაყი, ბედნიერი და ძალიან გაახალგაზრდაეებული. ის იმ დროს მართლაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შავულვაშა ვაჟაკი იყო. და აი მაშინ, თითქოს პირველად, შევნიშნე, როგორ გავდნენ ბიჭები მამას. ისინი ოთხივე ძმებით იყვნენ. — განსაკუთრებით უფროსები — კასიმი და მასელბეკი — სუვანკულისაგან ვერ გაარჩევდი, ისეთივე კაფანდარა, მტკიცე, მუქი სპილენძივით ყავისფერი ყვრიმალუბით. უმცროსი კი — ჯინაკი მე უფრო მგავდა, მოთეთრო პირისახის, შავი, ალერსიანი თვალეებით.

ტრაქტორი შეუჩერებლივ გავიდა სოფლის გასადგვარამდე, ჩვენც უკან მივდევდით ჭგროდ. გვიანტერესებდგენიანა, როგორ მოხდა ტრაქტორი. და როცა სამი ვეება სახნისი ადვილად წავიდა ყამირში და მძიმე, ულაყის ფაფარივით ბელტები ამოაბრუნა, ყველანი საერთო მხიარულებამ აიტაცა. გარბოდნენ, ერთმანეთს უსწრებდნენ, დამფრთხალ, აფრუტუნებულ ცხენებს შოლტს სცემდნენ და ასე აზრიალებულნი შევარდნენ ხნულებში. ახლაც არ ვიცი, რატომ გამოვეთიშე მაშინ სხევებს, რატომ ჩამოვრჩი. ოღონდ ის კია, რომ მარტო აღმოვჩნდი და ასევე დავრჩი ერთ ადგილზე გაქვავებულივით. ტრაქტორი კი სულ წინ მიიწევადა. მე ღონემიხდილი ვიდექი და გავყურებდი. მაგრამ იმ წუთებში არავინ იყო ჩემზე ბედნიერი ამქვეყნად! არ ვიცი, რა უფრო გამხარებოდა, ის, რომ სუვანკულმა მოიყვანა სოფელში პირველი ტრაქტორი, თუ ის, რომ იმ დღეს დავინახე როგორ დაიხარდნენ ჩვენი შეილები, და როგორ გავდნენ მამას.

მე გავყურებდი მათ, ვტიროდი და თან ვუჩრჩულებდი: „ასე მამის მხარდამხარ ყოფილიყავით მუდამ, ჩემო შეილებო! თუ ისეთები გაიხარდებით, როგორც მამათქვენია, მეტი მე არაფერი მინდა!“

ის იყო ჩემი დედობის ყველაზე ბედნიერი დრო. ყველაფერს წვდებოდა ჩემი ხელი, ყველაფერი გამომდიოდა, მუშაობა კი ყოველთვის მიყვარდა. თუ ადამიანი ჯანმრთელი ხარ და ხელფეხი გერჩის — რა შეიძლება იყოს შრომაზე უკეთესი!

დრო გადიოდა, შეილები როგორღაც შეუმჩნეველად, ერთდროულად ერთი ხნის ჭადრებივით აიყარნენ. თვითველი თავის გზას დაადგა. კასიმი მამის კვალს გაყვა: ტრაქტორისტი გახდა, შემდეგ კი კომბაინერობაც შეისწავლა. ერთი წელი მეშტურვალედ იმუშავა კაინდის კოლმეურნეობაში მდინარის გადაღმა მთის ძირში. ერთი წლის შემდეგ კი

კომბაინერად დაბრუნდა მშობლიურ სოფელში.

დედისთვის შეილები ^{მარკოშეშვი} ~~ნახა-ჭინ~~ ^{გვარა} ჩია, ყველას ერთნაირად ატარებ მყერძქვეშ, მაგრამ მასელებეი მაინც თითქოს სხევებზე მეტად მიყვარდა, მეამაყებოდა. შესაძლოა იმიტომ, რომ ვდარდობდი მასთან განშორებას. ის ხომ ნაადრევად მოჩიტული ბარტყივით პირველი გაფრინდა ბუდიდან, ადრე წავიდა სახლიდან. სკოლაში იმთავითვე კარგად სწავლობდა, წიგნებიდან თავს არ იღებდა. — ნურც ასმევ და ნურც აჰმევ, ოღონდ წიგნი მიეცი. სკოლა დაამთავრა თუ არა, მაშინვე ქალაქს მიაშურა სწავლის გასაგრძელებლად, მასწავლებლობა გადაწყვიტა.

უმცროსი — ჯინჯი — ლამაზი, ტანადი ბიჭი დადგა. მაგრამ რა ბედნაა. შინ თითქმის სულ არ იყო. კოლმეურნეობაში კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს და მისდღემში ეს კრებო, ეს რაღაც წრეებიო, კედლის გაზეთიო და კიდევ ვინ მოთელის.

ვხედავ ბიჭი გადაკარგულია. არც დღე, არც ღამე შინ არა ჩანს და გულს ვასკედბი.

— ყური მიგდე, შე ქარაფშუტავ, ბარემ აიღე ეგ შენი გარმონი, ბალიში და კოლმეურნეობის კანტორაში დასახლდი, — მითქვამს მისთვის ათასჯერ, — შენთვის სულ ერთია, სად იცხოვრებ. არც სახლი გინდა და არც დედ-მამა.

სუვანკული კი გამოეჭომაგებოდა ხოლმე ბიჭს. მოიცდიდა, სანამ მე გულს აოვიოხებდი და მერე ვითომ სხვათა შორის, იტყოდა:

— შენ ეგ ნუ გაწუხებს, ქალო. გაუშვი ისწავლოს ადამიანებთან ცხოვრება. უსაქმოდ რომ დაყალობდეს, მე თვითონაც მოვეუგრებდი კისერს.

იმ დროს სუვანკული უკვე თავის ძველ ადგილს — ბრიგადირობას დაუბრუნდა. ტრაქტორზე ახალგაზრდობა დაჯდა.

და რაც მთავარია — კასიმმა კოლმეურნეობაში მალე პირველმა რაღაღმა გადამოაბიჯა ჩვენი სახლის ზღურბლზე. არ

ვიცი როგორ მოხდა, არ მიკითხავს, მაგრამ ეტყობა მაშინ დაადგეს თვალი ერთმანეთს, როცა კასიმი ზარეჩიეში მეწიურვალედ მუშაობდა. კაინდიდან ჩამოიყვანა. ალიმანი იყო ახალგაზრდა ქალიშვილი, შევეგრემანი. პირველად იმან გამახარა, რომ რძალი მოხდენილი, ლამაზი, მარჯვე შემხვდა. შემდეგ კი, როგორღაც ჩქარა შემიყვარდა, ძალიან მომეწონა. შესაძლოა იმიტომ, რომ მალულად მე ყოველთვის ვოცნებობდი მყოლოდა ჩემი საკუთარი ქალიშვილი. მაგრამ არა მარტო ამიტომ, უბრალოდ ის იყო გონიერი, დაუზარელი და სარკესავით ნათელი.

საკუთარი შვილივით შევითვისე. ხშირად რძალ-დედამთილი ვერ ეწყობა, მე კი გამიმართლა; ასეთი რძალი სახლში დიდი ბედნიერებაა, ნამდვილი ბედნიერება. ჩემის აზრით, — ეს შემთხვევითი როდია, ეს ისე ერთბაშად მოწმენდილ ცაზე ქვეა-ქუხილივით კი არ დაატყდება ადამიანს თავს, არამედ თანდათან, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ურთიერთობაშია იგი ცხოვრებასთან, მის გარემო ადამიანებთან; წვეთ-წვეთობით, ნაწილ-ნაწილად გროვდება, ერთიმეორეს ავსებს და საბოლოოდ იტყევა იმად, რასაც ადამიანები ბედნიერებას ეძახიან.

იმ წელს, ალიმანი რომ მოვიყვანეთ. სამახსოვრო ზაფხული დადგა. პური ადრე შემოვიდა, წყალდიდობაც ადრე დაიწყო. მკამდე რამდენიმე დღით ადრე მთებიდან ძლიერი ნიაღვრები მოსკდა. შორიდანაც კი ჩანდა, როგორ შეპირებით დნებოდა თოვლი მალა. ზათქითა და ღრიალით მოვარდა წყალი, ყვითლად აქაფებული თან მოათრევდა ძირიანად მოთხრილ ვეება ნაძვებს და ნაფოტებად აქცევდა ჩქერებზე. განსაკუთრებით პირველი ღამე იყო საშინელი. განთიადამდე ეხეთქებოდა და ოხრავდა მდინარე ხრამქვეშ.

დღით კი გავიხედეთ — სადღა ძველი კენძულები, ღამით მთლად წაელეკა წყალს:

ამინდი კი ცხელი იდგა. პური თანაბ-

რად შემოდიოდა, ქვემოთ ჯერ კიდევ მწვანე იყო, ზემოთ კი ოქროსფერად შერბოდა. ის ზაფხული უჩვეულოდ მოსავლიანი იყო, ბოლო არ უჩანდა პურის ყანებს, თავთაეები ირხეოდა ველზე, ცის დასალიერამდე. მკა ჯერ არ დაგვეწყო, მაგრამ ხელთ ვმკიდით ყანის ნაპირებს, კომბაინის გასასვლელს ვამზადებდით. მე და ალიმანი გვერდიგვერდ ვმუშაობდით, ასე რომ ზოგიერთი ქალები მძრახავდნენ კიდევ:

რძალთან გაჭიბრებას ის გერჩივნა თავი დაგეფასებინა და შინ მჭდარიყავი უზრუნველადო.

მე კი სხვაგვარად ვფიქრობდი. რა თავის დაფასებაა შინ ჯდობა. ეგეც რომ არ იყოს, მინც ვერ მოვიტოვნიდი. მიყვარს მკა.

და ასე ერთად ვმუშაობდით მე და ალიმანი. მაშინ შევნიშნე ის, რაც არასოდეს დამევიწყებდა. ყანის პირას თავთაეებს შორის ხარობდა ველური ბალბა. თავიდან ბოლომდე დიდ თეთრ და ვარდისფერ ყვავილებად აფეთქებული, და ნამგლით მოცელილი ცვივოდა თავთათან ერთად. ვხედავ, ჩვენმა ალიმანმა ბალბის თაიგული შეკონა და ჩემგან მალულად სადღაც წაიღო.

მე ჩუმად ვუთვალავთვალე; მაინტერესებს, რას უხამს ამ ყვავილებს? მიიბინა კომბაინთან, ყვავილები მის საფეხურზე დააწყო და უხმოდ გამოიქცა. კომბაინი გამზადებული იდგა გზასთან, დღე-დღეზე ველოდით მკის დაწყებას. კომბაინზე არავინ იყო, კასიმი სადღაც წასულიყო.

მე თავი ისე დაევიტრე, თითქოს არაფერი დამენახოს, არ მინდოდა უხერხულობაში ჩამეგდო — ჯერ კიდევ მორცხვობდა. გულში კი ძალიან გამეხარდა: მაშასადამე, უყვარს, აბა ამას რა სჯობია, მადლობთ, ჩემო რძალო. გულში მადლობას ვუხდიდი ალიმანს. ახლაც თვალწინ მიდგას როგორი იყო იმ წუთებში. თეთრ კაბიანი, წითელ თავსაფრიანი, ბალბის დიდი თაიგულით ხელში, თვითონ კი ვარდისფრად სახე ატყე-

ცილი... სიხარულისა და ანცობისაგან თვალები უბრწყინავს.

რას ნიშნავს ახალგაზრდობა! ეპ, ალიმან, ჩემო ძვირფასო, დაუვიწყარო რძალო! პატარა გოგოსავით იყო გადაარეული ყვევლებზე. გაზაფხულზე თოვლი ჭერ კიდევ ნამქერებად იდო, იმას კი მინდვრიდან უკვე პირველი ენძელები მოჰქონდა... ეპ, ალიმან!..

მეორე დღეს დაიწყო მკა. ალოობის პირველი დღე ყოველთვის დღესასწაულია. არასოდეს ამ დღეს არაფერი არ მიწავსდებოდა. ამ ზეიმს არაფერი არ აცხადებს, მაგრამ ის თვითონ ხალხშია, მათ სიარულში, ხმაში, თვალებში... ორთვალას რაბრახსა და მამლარი ცხენებს მკვირცხლ სირბილში ცოცხლობს ეს ზეიმი.

კაცმა სიმართლე რომ თქვას, მკის პირველ დღეს ზვირიანად არც არაფერი მუშაობს. ხან აქ, ხან იქ გაჩაღდება თამაში, ხუმრობა. იმ დღისასაც, როგორც ყოველთვის, საერთო მზიარულება იყო. ერთი მხრიდან მეორეზე გაისმოდა გამოშვებული შეძახილები. მაგრამ ყველაზე მეტი მზიარულება ჩვენთან, ხელით მკვლელებთან იყო, რადგან აქ იყო თავმოყრილი მთელი სოფლის ქალ-რძალო. ესენი რა უდგავ, მოუსვენარი ხალხი-ცაა, კარგად მოგეხსენებათ. სწორედ ამ დროს, რაღაც ეშმაკად, ჩაიარა კასიმმა ემტეკისისაგან ნაჩუქარი ველოსიპედით. ამით უშარეს, გზა გადაუქრეს.

— აბა, კომპანიერო, ჩამობრძანდი ველოსიპედიდან. რატომ არ ესალმები მკელებს, რაო თავს გახვედი? აბა, მოგვესალმე, მიესალმე შენ ცოლს!

ყოველი მხრიდან შეუტიეს, კასიმი აიძულეს მდაბლად დაეკრა თავი ალიმანისთვის, პატიება ეთხოვა. ის ხან ისე, ხან ასე შეეცადა თავის დაძვრენას.

— მაპატიეთ, საყვარელო მკელებო, შევედი... დღეიდან ერთ კილომეტრზე მოგესალმებით.

მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

— ახლაო, — ეუბნებოდა, — ქალაქელი გოგოებივით ველოსიპედით გაგვასივრნე, გაგვაქროლო.

და ჯიკობა-ჯიკობით დაუწყეს ერთმანეთს ველოსიპედზე შესმა. დანაკრები უკან მისდევდა, სიტყვებისგან უბრალოდ ირდებოდა. წყნარად მაინც ისხდნენ, არა — ტრიალებენ, წვიან.

კასიმი სიცილისგან ფეხზე ძლივს დგას.

— კარგით, გეყოფათ, გამიშვით, ქაჩებო! — ეხვეწება ის.

ისინი კი არ ეშვებოდა, ერთს გაასვირნებს, ახლა მეორე ებლოტება.

ბოლოს კასიმი მართლა გაბრახდა:

— რა ამბავია, გაგიჟდით თუ რა! ნამი ვაშრა. კომპანიინი მყავს გასაყვანი, თქვენ კი! სამუშაოდ მოხვედით, თუ სალალობოდ. მომეშვით!

ო, რა სიცილი იყო იმ დღეს. ან რა ცა იყო — ცისფერი, ცისფერი, მზეც ისე კაშკაშებდა!

შეუდევრით მუშაობას, აელვარდნენ ნამგლები, მზემ კიდევ უფრო დააპირა, მთელ ველზე გაისმა ჰიჭინობელების ჰიჭინი.

მიუჩვევებზე ყოველთვის ძნელია, ვიდრე საქმე არ ჩაეთირებს. მაგრამ მთელი დღე გამყვა დილის განწყობილება. სულში ნათელი მედგა. ყველაფერი, რასაც ჩემი თვალები ხედავდნენ, რასაც მე ვგრძობდი და მესმოდა, მეგონა ჩემთვის, ჩემი ბედნიერებისათვის იყო გაჩენილი. და ყველაფერი ეს მეჩვენებოდა არაჩვეულებრივი სილამაზითა და სიხარულით სავსე. გულს ახარებდა იმის დანახვა, რომ ვიღაც საღვალე მიაქვნიებდა თავთავების ვეება ტალღებში ყვინთვით, — იქნებ სუფიანკული იყო? გულს ახარებდა ნამგლების წკრიალი. მოჭრილი თავთავების შრიალი, ადამიანების სიტყვები და სიცილი.

გულს უხაროდა, როცა შორი-ახლოს გამაყრუებელი რაბრახით ჩაივლიდა კასიმის კომპანიინი. კასიმი საჭესთან იდგა, ხანდახან ხელს უშვერდა განალეწის ბუნკერში მიმავალ წაბლისფერ ქავლს და ყოველთვის სახესთან მიჰქონდა, იყნოსავდა მის სურნელს. მე მეგონა, მე თვითონ ვიყნოსავდი მწიფე მარცვლის

ამ თბილ, ჭერ კიდევ რძიან თავბრულდამხვევ სურნელს.

როცა კომბაინი ჩვენს პირდაპირ გაჩერდა, კასიმმა თითქოს მთის მწვერვალდიან, გადმოსჰახა:

— ეი, მესაზიდრევე, იჩქარე, ნუ მაცოვენებ!

ალიმანმა ხელი დასტაცა აირანიან დოქს.

— გავიქცევი, დავალევინებო. — და კომბაინისაკენ მოკურცხლა. ის მირბოდა კომბაინის ახალ ნაკვალევზე ტანკენარი, ახალგაზრდა, თეთრ კაბასა და წითელ თავსაფარში გამოწყობილი, გეგონებოდა ხელით დოქი კი არა, მოსიყვარულე ცოლის სიმღერა მიიქცსო. მასში ყველაფერი სიყვარულზე ლაპარაკობდა. მე კი როგორღაც უნებლიეთ, გავიფიქრე: „ნეტავ სუვანკულსაც დააღვებია აირანი“ — და მიმოვიხედე, მაგრამ საქმეში ხარ. ალოობის დაწყებიდან საღ ნახავ ბრიგადირს, მთელი დღე ცხენზეა, ერთი ბოლოდან მეორეში დააჭენებს, თავსაყრელადა აქვს საქმე.

სალამოს საველე კარავში ჩვენთვის უკვე მზად იყო ახალი მოსაგლის პური. ეს ფქვილი ადრე დაამზადეს. ერთი კვირის წინ ჩვენს მიერ ყანის კიდევებზე მომჭილი თავთავისგან. ჩემს სიცოცხლეში ბევრჯერ მომიწია ახალი მოსაგლის პურის ჭამამ და ყოველთვის, როდესაც პირთან პირველი ლუქმა მიმაქვს, ასე მგონია, რაღაც წმინდა რიტუალს ვასრულებ. ეს პური, თუმც, მუქი ფერისაა, ოღნავ წებოვანი, თითქოს თხელი კომისგან იყო გამომცხვარი, მაგრამ დედამიწაზე არაფერი შეედრება მის მოტებო გემოსა და არაჩვეულებრივ სურნელს: მას მზის, ახალი თივისა და კვამლის სუნი სდის.

მოზიებული მკვლები რომ საველე კარავთან მოვიდნენ და არხის პირას ბალახზე მოეწყვენენ, მზე უკვე ჩადიოდა და ცეცხლისფრად ენთო მოშორებით გაშლილ პურის ყანებში. ჩანდა, სალამო ნათელი და გრძელი იქნებო-

და. ჩვენ კარავის ახლოს ბალახზე დავსხედით. მართალია, სუვანკულს ჭერ არ იყო, მაგრამ საცაა უნდა ვამოხმინებოლიყო. ჯაინაკი კი, როგორც ყოველთვის, გაქრა. ძმის ველოსიპედს მოაქდა და წითელი კუთხისკენ გაქანდა რაღაც ფურცლის გასაკრავად.

ალიმანმა ბალახზე გაშალა საბოცი, ადრეული ვაშლი დაყარა, ცხელი ლავაშები მოიტანა, ჭიქებში ბურახი დაასხა.

კასიმმა არხში ხელები დაიბანა და სუფრასთან მჯდომმა აუჩქარებლად დატეხა პური.

— ჭერ კიდევ ცხელია, — თქვა მან, — აიღე, დედა, შენ პირველმა გასინჯე ახალი პური.

მე პური ვაკურთხე, და როცა მოვკბიხე, პირში რაღაც ახალი, უცხო სუნი და გემო ვიგრძენი. ეს იყო კომბაინერის ხელის — ახალი მარცელის, გახურებული რკინისა და ნავთის სუნი. მე ვიღებდი ახალ-ახალ ნაჭრებს და ყველა მათგანს ასდიოდა ნავთის სუნი, მაგრამ არასდროს მიქამია მე ასეთი გემრიელი პური. რადგან ეს იყო შვილის პური, ის ეჭირა ჩემი შვილის — კომბაინერის ნაჭად ხელს. ეს იყო სახალხო პური — იმათი, ვინც მოიყვანა, იმათი, ვინც ახლა ჩემი შვილის გვერდით ისხდნენ საველე ბანაკში. წმიდა პური! გული ამევსო სიამაყით შვილის გამო, მაგრამ ეს არავინ უწყოდა. იმ წუთში გავიფიქრე, რომ დედის ბედნიერების სათავე ხალხის ბედნიერებაა, ისე როგორც ღეროს სათავეა ფესვები. არ არსებობს დედის ბედი ხალხის ბედის გარეშე. მე არც ახლა ეუარყოფ ამ ჩემს რწმენას, რაც არ უნდა ვადამეტანოს, როგორ სასტკავადაც არ უნდა მომპყრობოდეს ცხოვრება. ხალხი ცოცხლობს, ამიტომ ვცოცხლობ მეც...

იმ სალამოს სუვანკულს ძალიან შეაგვიანდა, არ ეცალა. ჩამობნელდა. ახალგაზრდებმა მდინარის პირას ხრამზე კოცონი გააჩადეს, მღეროდნენ. და ამ მრავალ ხმაში შე ვარჩევდი ჩემი ჯაინაკის ხმას... ის გარმონზე უკრავდა,

თან დამწყები იყო. ვუსმენდი შეილის ნაცნობ ხმას და ჩემ გულში ვეუბნებოდი: „იმღერე, შეილო, იმღერე, ვიდრე ახალგაზრდა ხარ, სიმღერა წმინდს კაცს, აღამიანებს ერთმანეთთან აახლოებს. დიდი ხნის შემდეგ სადმე გაიგონებ ამ სიმღერას და მოიგონებ იმათ, ვინც შენთან ერთად მღეროდნენ მას ზაფხულის ამ საღამოს“. და ისევ შეილებზე ფიქრს დაეუბრუნდი. ალბათ, ასეთია დედის ბუნება. ვფიქრობდი, რომ კასიმი, მადლობა ღმერთს, უკვე დამოუკიდებელი კაცი გახდა. გაზაფხულზე ის და ალიმანი გამოგვეყოფიან, ცალკე გავლენ, სახლის შენება უკვე დაიწყეს, საკუთარ ოჯახს გაიჩენენ. გაჩნდებიან შეილიშვილებიც. კასიმის იმედი მქონდა: მამსავეთ მარჯვე იყო, მოსვენება არ იცოდა. უკვე ბნელოდა, მაგრამ ის მაინც კომბაინზე ტრიალებდა. ცოტადა ჰქონდა სახანავი დარჩენილი. ტრაქტორი და კომბაინი ფარების შუქზე მუშაობდნენ. ალიმანიც იქ, იმათთან იყო.

ალობისას ერთი წუთიც ერთად ყოფნა საქმეა.

მასელებეკი მომაგონდა და გულს შემომაწვია. გასულ კვირას გამოგზავნა წერილი. წერდა, ამ ზაფხულს არდადეგებზე ვერ მოვახერხებ ჩამოსვლასო. სადაც ისიც-ყულის ტბაზე გაუგზავნიათ ბავშვებთან ერთად პიონერბანაკში პრაქტიკაზე.

რას იზამ, რახან ასეთი სამუშაო ირჩია — ჩანს მოსწონს. სადაც უნდა იყოს, ოღონდ კარგად მეყოლოს, ვფიქრობდი მე.

სუვანკული გვიან დაბრუნდა. მან ნაჩქარევად ივახშმა და შინ წავედით. დილას სახლში ათასი საქმე იყო. საღამოს საქონელს მეზობლის ქალი აიშა მიმიხედავდა. ის საწყალი ხშირად ავადმყოფობდა. ერთ დღეს იმუშავებდა კოლმეურნეობაში, ორი დღე შინ იყო. რაღაც ქალური სატყეარი ჰქონდა, სულ წელი სტყიოდა, ამიტომ დარჩა ერთი ბიჭის — ბეკტაშის იმედად.

სახლში რომ მივდიოდით, უკვე ღამე

იყო. ნიავე უბერავდა. მთვარის შუქი თავთავებზე ნანაობდა. უზანცებზე კუჭრის¹ საგველას ედებოდა და მჭერშესა² მორდ აღიოდა მწკლარტე, თბილი ფქილი. სუნით იგრძნობოდა, რომ ვარდკაქაქა ყვაოდა. რაღაც საოცრად ნაცნობი იყო ამ ღამეში. გულზე მომაწვია. ცხენზე სუვანკულს ვუჭაქვი უკან, უნაგირის ბალიშზე. ის ყოველთვის მთავაზობდა წინ დავმჯდარიყავი, მაგრამ მე ასე, მის ქამარზე ჩაფრენილი მიყვარდა ცხენზე ჯდომა. ჩემთვის ძვირფასი იყო ყველაფერი, ისიც, სუვანკული რომ არაქათ-გაცილილი, უხმოდ იჭდა უნაგირზე, — დაიღალა მთელი დღე, ისიც, რომ ხანდახან ჩათვლემდა და მერე უცბად გამოფხიზლებული ქუსლს ურტყამდა ცხენს.

შევყურებდი მის მოხრილ ზურგს და მისზე თავმიყრდნობილი ვფიქრობდი. ვნანობდი: „გებრდებით ცოტ-ცოტათი, სუვან. რა გაეწყობა, დრო მიდის. მაგრამ ამაოდ არ გვიცხოვრია. ესაა მთავარი. თითქოს ახლახან ვიყავით ახალგაზრდები. რა ჩქარა გარბიან წლები. მაგრამ ცხოვრება მაინც საინტერესოა. არა, ჯერ ადრეა ფარ-ხმალის დაყრა. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. დიდხანს მინდა ვიცოცხლო შენთან ერთად...“

მე წელში გავსწორდი, თავი ავწიე, ცას შევხედე და გული ამითრთოლდა. მალა კაშკაშა ვარსკვლავებს შორის, მთელ ცის კაბადონზე, ისევე როგორც მაშინ, ფართო ვერცხლისფერ ზოლად გადაქიმულიყო ირმის ნახტომი და მე ისევ მომეჩვენა, რომ სინამდვილეში იქ მართლაც ეს-ეს არის გაიარა ვიღაცამ ახალი მოსავლის ნამჯის ვეება კონით და გზად მიმოაბნია თავთავი. იქ მალე, ოქროსფერი ნამჯა, ფხა და ბზე შეირბა, თითქოს ქარმა დაბერაო. თითქოს ბზე-სთან ერთად დაბნეული მარცვლის და ნახვაც შეიძლებოდა.

„ღმერთო ჩემო!“ — გავვოცდი მე და

ერთბაშად მომაგონდა: ის პირველი და-

¹ ბალახის სახელწოდებაა

მეც, ჩვენი სიყვარულიც, ჩვენი ახალ-გაზრდობაც და ის ყოვლისმძლე გუთნისდენაც, რომელზეც მაშინ ვოცნებობდი.

მაშასადამე, ყველაფერი აგვიხდა, ყველაფერი, რაზეც გვიოცნებია, რაც გვინატრია! დიახ, მიწა და წყალი ჩვენს ხელშია, ეხნავთ, ვთესავთ, ვლენავთ საკუთარ პურს, — მაშასადამე, აგვიხდა ჩვენი პირველი ღამის ნაოცნებარი. ცხადია, მაშინ არ ვიცოდით, რომ ახალი დრო, ახალი ცხოვრება დადგებოდა. მაგრამ გამოდის, უბრალო ადამიანის მიწიერი ოცნება დაემთხვა დროის მოთხოვნას, სიკეთისა და სამართლიანობის მოთხოვნას. ამ აზრებით შეპყრობილი გაუნძრევლად ვიჯექი და ვდუმდი. სუვენაკულმა მომხედა და მითხრა:

— რაო, ჩაგეძინა, ტოლგონაი? დაილაღე. არა უშავს, ახლავე მივალთ სახლში. მეც დავიქანცე, — ერთხანს დუმისის შემდეგ შემეკითხა: — ახალ ქუჩაზე ხომ არ შეეუხვიოთ?

— შეეუხვიოთ, — დავეთანხმე მე.

ახალი ქუჩა სოფლის განაპირას უშენზე გაყავდათ. თვით ქუჩა ჯერ არ იყო. გაზაფხულზე ახალგაზრდებს საკარმიდამოები მიუზომეს. აქა-იქ უკვე ამოეყვანათ კედლები. კასიმმა და ალიმანმაც აქ მიიღეს ნაკეთი. და აი, ჩვენ გვიწოდოდა გზად გვენახა როგორ ჰქონდათ საქმე. მკის დროს დღისით ამისთვის ახა რას მოიცილი. კასიმმა, ალიმანმა და ჯაინაქმა ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაამზადეს აგური, ახლა ეს აგური ხორა-ხორად ეწყო და შრებოდა. საძირკვლისათვის მიწა ამოეღოთ, გასულ კვირას მდინარიდან ყორე-ქვა მოზიდეს. კიდევ კარგი წყალიდობამდე მოასწრეს. ქვა ვეება გროვად ეყარა ეზოს შუაგულში. სუვენაკული კმაყოფილი დარჩა ახალგაზრდების ნასაქმარიოთ.

— მაშ ანე, დაწყება კარგია. ქვა საკმარისზე მეტიცაა. — თქვა სუვენაკულმა. — მოსავეალს ავიღებთ და კედლებს ამოვიყვანთ, გადავხურავთ, დანარჩენ წვრილმანს კი გაზაფხულზე მოვაშთავებთ. ზამთრამდე სულ ერთია ვერ მო-

ვრჩებით. როგორ გგონია, მართალია არ ვამბობ, ტოლგონაი?

— მართალია, — მივუგე მემკვიდრე ვარია კედლები და გადახურვა. დანარჩენი მოესწრება. — უცებ ჯაინაქი გამახსენდა და გამეცინა. — ჯაინაქი ამბობს, კრებაზე დადგენილებაში ჩაწერეთ ახალ ქუჩას კომკავშირული ეუწოდოთო. ალიმანი კი დასცინის. „ჯაინაქ, შენ მოლა ნასრედინივით მოგდის, ბავშვი არ დაბადებულაიო და სახელს არქმევდენო. ჯერ ცოლი შეირთე, სახლი დაიდგი, ქუჩა გააშენე და სახელი მერე შეარქვიო“. ჯაინაქი კი მაინც თავისას იჩემებს, ეუბნება: „შენ არაფერი გესმისო“.

სუვენაკულმა თავი გადააქნია და ჩაიცინა:

— რას იზამ, ასეთი სულსწრაფია. ქუჩის სახელი კი სწორად მოუფიქრებია. ეს ხომ ახალგაზრდა ოჯახების მშენებლობაა. ვიზრდებით, წლითი წლობით გვემატება ხალხი. სოფელში ვეღარ ვეტყვიოთ, ახალი ქუჩები გაგვყავს. ეს კარგია. ხოლო ქუჩა რომ გაშენდება, ნახავ, შენი შვილი მართალი თუ არ იქნება...

ამ დროს, როცა ჩვენ ამ საუბარში ვიყავით, აზრდაც არ მოგვდიოდა, რომ ეს იყო ყველა ღამეზე უსაშინელესი ღამე...

3

— თავი ასწიე, ტოლგონაი, გონს მოიღი.

— კარგი. სხვა რაღა დამრჩენია? ვეცდები. გახსოვს, მიწავ მშობლიურო დლი?

— მახსოვს... მე არაფერი არ მავიწყდება, ტოლგონაი. მას შემდეგ, რაც ქვეყნიერება გაჩნდა, ყველა საუკუნის ისტორია როდია წიგნებში, ადამიანების მეხსიერებაში, — ის მხოლოდ ჩემშია სრულად. შენი ცხოვრებაც, ტოლგონაი, ჩემშია, ჩემს გულში. მე გისმენ, ტოლგონაი. დღეს შენი დღეა.

4.

მეორე დღეს მზის ამოსვლამდე შევუდექით მუშაობას. იმ დღეს მდინარესთან, ზედ ხრამის პირას ვმკიდით პურს. აქ კომპანიი ვერ მობრუნდებოდა, თავთავი კი მწიფდა — ნაპირებზე უფრო აღრე შემოდის ყოველთვის. ის იყო რკალად გავიშალეთ და ორ-ორიოდე მან მოვმკეთ, რომ უცებ გაღმა ცხენოსანი გამოჩნდა. იგი ზარეჩიეს მხრიდან გამოვარდა და ბუჩქნარებზე, შამხარზე გზა პირდაპირ მოჭრა და მტერის კორიანტელი დააყენა, თითქოს უკან მდევარი მოსდევსო.

ცხენმა მდინარის პირას რიყეზე გამოიყვანა. მაგრამ მხედარმა არ გადაახვევინა და ცხენი პირდაპირ წყალთან მიაგდო. ჩვენ გავცეზულეთ გავიმართეთ წელში: რა გასაჭირი დასდგომია ამ კაცს, რატომ ხილისკენ არ ჩაუხვევს. რომელიც აქვე ორიოდე კილომეტრზეა მდინარის თავქვე? მხედარი რუსი ყმა-წყელი აღმოჩნდა. მან ცხენი წყალთან მიაგდო. ჩვენ გავირინდეთ: ძალით იღუპავს თავს? როგორ შეიძლება ასეთ დროს მდინარესთან თამაში: წყალდიდობისას ცხენს კი არა, აქლემს წაიღებს, ძვალსაც ვერ ნახავ.

— ეპეი, საით, შეჩერდი, შეჩერდი! — დავუყვირეთ ჩვენ.

ის ხელების ქნევით რაღაცას გვიყვიროდა, მაგრამ მდინარის ღრიალი ყველაფერს ნთქავდა, მხოლოდ გაბმული ააა...-ლა ისმოდა.

ვერ გავგაგონა. მაშინ მწითური ულ-აყი ყალზზე შეაყენა, მათრახი უსუსხა და ჩქერში შეაგდო. წყალმა მაშინვე გაიტაცა მხედარი. ფურთუნებს შორის მხოლოდ ცხენის ყურებდაყურსული თავი და დაკრეჭილი ღრუნნი-ლა მოჩანდა. მხედარს ორივე ხელი ჩაეჭიდა ფაფარში. ქული წყალმა წაართვა და ტალღებში დააბზრილა. ჩვენ გადარეულებით დავბოდიშით ხრამის პირას. წყალს სწრაფად მიჰქონდა მხედარი. ის დინებას დაყვა და ირიბად მოიწვედა ნაპირისაკენ, მაგრამ წყალმა შორს წაი-

ლო და ნაპირზე მხოლოდ წისქვილთან გამოვიდა. ყველამ შევებით ამოვიხსნით. ერთნი ალტაცებში მოიყვანა მხედარის გულადობამ, აქებდნენ: „ყოჩალო!“ — თქვა ერთმა, ამას ტყუილუბრალოდ არ იხამდაო, უნდა გავიკოთ რაშია საქმეო. მეორემ კი უკმაყოფილოდ ჩაურთო:

— მთვრალია ვილაც, სულელი, მაგის დევნის მერე არაფერი გვაქვს საქმე!

ამაზე გაჩუმდნენ. საქმე გველოდა. ალბათ ასეა, — გავიფიქრე მე, — ფხი-ზელი აღამიანი ამგვარ ხიფათში არ ჩაიგდებდა თავს.

კასიმის კომპანიი რომ უცებ ჩაჩუმდა და გაჩერდა, ამისთვის ერთბაშად არც მიმიჭყევია ყურადღება — ის იმ დღეს წისქვილთან ახლოს მუშაობდა. ალბათ, ღვედი მოძვრა ან ჭაჭვი გაწყდა. მუშაობაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ალიმანი ჩემგან შორი-ახლოს მკიდა. უცებ მან საშინელი ხმით იყვილა:

— დედა!

შეეკრთი. მოვხედე. ის იღვა ფერდა-კარგული, ნამგალი ხელიდან გავარდნოდა.

— რა მოგივიდა? გველი ხომ არ დანახე? — მივეარდი მასთან.

ის დუმდა. გავიხედე იქით, საითაც მისი ფართედ გახელილი, შიშამდგარი თვალები იშვრებოდნენ და გაქვავდი. კომპანიისთან რაღაც ყვირილი ისმოდა, ყოველი მხრიდან, პირდაპირ ყანებზე გარბოდა ხალხი, მოაჭროლებდნენ ცხენოსნები, ზოგი კი, ორთვალაზე მთელი ტანით აღმართულნი, ცხენებს ძალღმად სცემდნენ მათრახს.

— რაღაც მოხდა, დედა! — დაიყვირა ალიმანმა და გაიქცა. ვილაცის სიტყვები სამართებულოებით მოხვდა ყურს.

— ვილაც დანის ქვეშ მოყვა! ან დო-ლურამ ჩაითრია! გავიჭკეთ.

და მკელები ალიმანს დაედევნენ.

— ღმერთო დამიფარე! ღმერთო დამიფარე! — შევღალადე ღმერთს ხელ-აპყრობილმა და გავიქეცი; არხზე რომ ვხტებოდი, დამიცდა, დავეცი, წამოფ-

დექი და ისევ გავიქეცი. ოპ, როგორ გავრბოდი! მინდა ვიყვირო, დამიცადეთ-მეთქი და ძალა აღარა მაქვს, ხმა ჩამიწყდა.

დაბოლოს, რომ მივირბინე, კომბაინს ხალხი შემოხვეოდა, ზიშნიმებდა. ვერაფერი გავიგონე, ვერაფერში გავერკვიე.

ხალხში გზა გავიკვლიე: გაჩერდით! გზა მიტოვით! — ხალხმა გაიწ-გამოაწია, და როცა კომბაინთან კასიმი და ალიმანი გვერდიგვერდ მდგარი დავინახე, უსინათლოსავეთ გავიშვირე აქანკალე-ბული ხელები შევიღისაქენ. კასიმი შემომეგება, ხელი მტაცა.

— ომია, დედა! — თითქოს შორიდან ჩამესმა მისი ხმა.

მე შევცქეროდი შეილს და არ მესმოდა, რას ნიშნავდა ეს სიტყვა.

— ომი? ომიო, შენ ამბობ? — შევეკითხე ისევ.

— ჰო, დედა, ომი დაიწყო. — მომიგო მან.

ჩემამდე ჭერ კიდევ გარკვევით არ მოდიოდა რა იმალებოდა ამ სიტყვის უკან.

— როგორ ომი? რატომ ომი? შენ ამბობ ომიო? — ვიმეორებდი ამ უცნაურ, ამ საშინელ სიტყვას, შემდეგ ერთბაშად შევძრწუნდი და წყნარად ავტირდი გადატანილი შიშისა და ამ მოულოდნელი ამბით.

ტრემლები ჩამოდიოდა სახეზე, ჩემი შემხედვარე სხვა ქალებიც ატირდნენ, მოთქმა დაიწყეს.

— წყნარად, აბა გაჩუმდით! — გაასმა ხალხში ვიღაც მამაკაცის ხმა.

ყველა ერთბაშად გაჩუმდა, თითქოს ელოდნენ, რომ ის კაცი იტყოდა, ეს ყველაფერი ტყუილიაო. მაგრამ მან არაფერი თქვა. არც სხვას უთქვამს რაიმე. ოღონდ პოვლ ველზე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ მდინარიდან მკაფიოდ მოისმა წყლის გუგუნე, ვიღაცამ ხმამალა ამოიხვნეშა, შეირბა, ისევ ყველა დაყურადდა, მაგრამ ხმა არავის ამოუღია. და ისევ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ხვატი კოლოს წვრილი ბზუ-

ილივით მოხვდა ყურს. მაშინ კასიმმა თვალი მიმოავლო მის ირგვლივ მდგომ ხალხს და ხმადაბლა, ფუტქოქი ფუტქოქის, ჩაილაპარაკა:

— ახლა პურის აღება უნდა დაეუჩქაროთ, თორემ თოვლიქვეშ დაგვრჩება. — ის ერთხანს გაჩუმდა, შემდეგ ერთბაშად ასწია თავი და მეშტურვალეს უბრძანა: — რას უდგებარ? დაქოქე მოტორი? თქვენ ყველა რაღას უყურებთ. პურის აღებას თუ ვერ მოვასწრებთ, თქვენვე გაგიჭირდებათ! აბა, დავიწყეთო..

ხალხი შეირბა. მხოლოდ ახლა შევამჩნიე ხარეჩიელი რუსი ყმაწვილი. ის თავით ფეხებამდე სველი იდგა და აღვირით ევირა ცხენი. ხალხმა რომ წასვლა-წამოსვლა დაიწყო, მაცნე თითქოს გამოერკვაო, ნელა ასწია ჩაქინდრული ქერა თავი, და უნაგირის მოსართაგებს დაუწყო მოქერა. მთლად ახალგაზრდა, ჩემი ჭაინაყის კბილა ბიჭი იყო. ოღონდ უფრო მოსული, ბეჭებგანიერი. სველი თმები შუბლზე მიკრობოდა. ტუჩებზე და სახეზე ახალი ნაქდევეები აჩნდა, თვალები კი, ჭერ კიდევ მთლად ბავშვური თვალები იმ წუთში ისეთი ტანჯვით სავსენი იყურებოდნენ, რომ მე მივხვდი: დღეს, ერთი დღის განმავლობაში მან დასტოვა სიკაბუყე და დავაეკაცდა. მან მძიმედ ამოიხვნეშა და, უნაგირზე რომ ჯდებოდა, იქვე მდგომ ჩვენ სოფლელ ბიქს დაუბარა:

— მისმინე, მეგობარო, გავარდი, მოქებნე თავმჯდომარე და ბრიგადირები. გადაეცი, რომ ახლაც წაივინენ რაიკომში. მე კი წავალ, კიდევ ორ კოლმეურნობაში ვარ მისასვლელი.

ამ სიტყვებით შექდა ცხენზე და აღვირი მოსწია. მაგრამ იმან, რომელსაც ელაპარაკებოდა, შეაჩერა:

— მოიცა, ქუდი ხომ წყალმა მოგტაცა. აგერ ჩემი დაიხურე, თორემ დღეს ცხელა!

ჩვენ დიდხანს გავყურებდით კაბუკ მაცნეს და ვუსმენდით, როგორ შფოთიანად გრგვინავდა შარა ჩიტვივით გაფრენილი მწიფური ულაყის ფლოქვებ-

ქვეშ. მტვერმა მალე დაფარა მხედარი. ჩვენ კი ისევ გზისპირზე ვიდექით, ალბათ ყველა თავის საფიქრალს ფიქრობდა და როცა ერთბაშად აგუგუნდა ტრაქტორისა და კომბაინის მოტორები, ადამიანები შეერთნენ და ერთმანეთს შეხედეს.

ამ წუთიდან დაიწყო ახალი ცხოვრება — ომიანობის ცხოვრება...

ჩვენამდე არ აღწევდა ბრძოლების გრუხუნის, მაგრამ ჩვენ გულებს ესმოდა ადამიანების ყვირილი. ჩემ სიცოცხლეში არ მოვსწრებოვარ ასეთ ხვატს, ქვაზე რომ დაგეფურობებინა, ნერწყვი დუღდა. პური ერთბაშად სამოთხ დღეში დამწიფდა.

ცის დასალიერამდე იყო გადაჭიმული ჩაყვითლებული ყანა და მკელს ელოდა.

რა ხვავი იდგა! გული მტკიოდა, როცა ვხედავდი რამდენი სიკეთე იკარგებოდა ამ სიჩქარეში. რამდენი გაიბნა, გაითელა და დაიკარგა გზებზე. ისე ეჩქარობდით, რომ ძნების შეკვრას ვერ ვასწრებდით, მოჭრილ პურს პირდაპირ ორთითებით ვყრიდით მოქარზე¹ და სწრაფად მიაქანებდნენ კალოზე, სალწებზე. თავთავები კი ცვივოდა და ცვივოდა გზაგზა. მაგრამ ესეც არაფერი, უფრო მძიმე იყო ადამიანების ყურება.

ყოველდღე მოდიოდა უწყებები და მიდიოდნენ ჯარში. ისინი კი, ვინც რჩებოდა, მუშაობდნენ. მუშაობდნენ შუადღის გაგანია სიციხეშიც, დახუთულ ღამეშიც, მკიდნენ, ლეწავდნენ, ერეკებოდნენ საზიდრებს. ყველა მუშაობდა თავაუღებლივ. არც ძილი იყო და არც მოსვენება. საქმე კი მატულობდა, რადგან მამაკაცები სულ უფრო და უფრო ცოტანი რჩებოდნენ.

კასიმს, ჩემ საბრალო შეილს, ნუთუ ეგონა მარტო მოერეოდა ამ ხელიდან წასულ საქმეს. მკა უიმედოდ ქიანურდებოდა. ის კი გადარეულივით დააგელვებდა თავის კომბაინს ყანებში. დღე და ღამ განუწყვეტლევ გაისმოდა მისი

კომბაინის გუგუნის. სერელი სერელზე გაჰქონდა, გავარვარებულ მტვერის კორიანტელში ხან აქ ამოყვითლდა ხანაც ხან იქ. მთელი ეს დღეები კასიმს კომბაინიდან არ ჩამოდიოდა, შტურვალს არ ცილდებოდა. დღისით ხიდურზე იდგა მცხუნვარე ქარისთვის მკერდშეშვერილი და ძვრასავით გასცქეროდა მღვრიე მირაეს, რომლის მიღმაც მოხანდა აღუღებელი პურის ყანები. მზარავდა და მაშინებდა შეილის ყურება, მისი გაშავებული, წვერმოშვებული და ლოყებჩაცვინული სახე. გულზე ცეცხლი მუდგებოდა. „ოი, დაიღუპება, მზე დასიცხავს და ლოგინად ჩავარდება!“, — ვფიქრობდი მე, მაგრამ თქმას ვერ ვებედავდი. მისი თვალების ბოროტი ეღვარება მეუბნებოდა, რომ არაფრის გულისთვის არ აიღებდა ხელს უკანასკნელ საათამდე, არ შეეშვებოდა მკას.

ეს საათიც დადგა. ალიმანმა რაღაცაზე მიიბრინა კომბაინთან და იქიდან თავჩაქინდრული დაბრუნდა.

— უწყება გამოუგზავნესო, — წყნარად თქვა.

— როდის?

— ეს-ესაა. სოფლის საბჭოს შიკრიკმა მოიტანა.

ვიცოდი, დღეს თუ ხვალ, ისევე როგორც სხვების, კასიმის რიგიც დადგებოდა. და მაინც ამის გაგონებაზე მუხლები მომეკვეთა. ნაჭავ ხელებში ერთბაშად ისეთი ტკივილი გამიძდა, რომ ნამგალი ხელიდან გამივარდა და იქვე ჩავვექი.

— იქ რაღას აკეთებს, მომზადებაა საჭირო, — ძლივს წამოვიღულულედი ათრთოლებული ტუჩებით.

— საღამოს მოვალა, ამბობს. მე წავალ, დედა, თქვენ კი მამას უთხარით, ჯანიკიც რაღაც არ ჩანს დღეს. ნეტა სად დაიკარგა?..

— წადი, ალიმან, წადი და ცომი მოზილე. მეც მალე მოგისწრებ, — ვუთხარი მე.

მე კი ისევ ნამკალზე ვიჯექი. დიდხანს ვიყავი ასე. იმის ძალაც აღარ მქონდა, მიწაზე დავარდნილი თავსაფარი ამელო.

¹ თათრული დიდი ურემი.

ვხედავ, ბილიკზე ჭიანჭველების ჯგუფი გარბის, ისინი შრომობდნენ, მიათრევდნენ ჩაღას, მარცვალს და რა იცოდნენ, თუ იქვე იჯდა ადამიანი თავისი მწუხარებით, ისიც მაშვრალი, ყოველ შემთხვევაში მათზე მეტად ნაჯაფი ადამიანი, რომელსაც ამ წუთში ჭიანჭველების, ამ ერთი ციციკა მაშვრალისადაც კი შურდა. მათ შეეძლოთ მშვიდად ეკეთებინათ თავიანთი საქმე. ომი რომ არა, რა მიჭირდა ჭიანჭველების შესაშური. თქმაც კი სირცხვილია...

ამასობაში ჭიანჭველები მოახრიგნა თავისი ორთვალა. ის იმ დღეებში კომკავშირულ ალაზე მუშაობდა, პური გადაქონდათ სადგურში. ეტყობა, გაიგო მისი უწყების ამბავი და ჩემ წასაყვანად მოვიდა. ჭიანჭვი ორთვალადან ჩამოხტა, თავსაფარი აიღო, თავზე მომახვია.

— წავიდეთ, დედა, შინ, — მითხრა და ადგომა მიშველა.

უხმოდ წავედით. ბოლო დღეებში ჭიანჭვი ისე გამოიცვალა, ვერ იცნობდი, დადინჯდა. რილაკით საოცრად მაგონებდა მაცნედ მოსულ იმ რუს ჭაბუკს. ისეთივე მკაცრმა სულმა დაიბუდა მის ბავშვურ თვალბში. ამ დღეებში ისიც ბევრი თავისი თანატოლივით გამოეთხოვა სიყმაწვილეს. ჭიანჭვი ფიქრში მომაგონდა, რომ კარგა ხანია მასელებკისგან არაფერი ვიცი. „იმას რაღა მოუვიდა? ჭარში ხომ არ წაიყვანეს? რატომ არ იწერება, რატომ არ შეუძლია თუნდაც სულ პატარა ბარათის გამოგზავნა? ეტყობა, გადაეჩვია სახლს, დაივიწყა დედ-მამა. ქალაქში გული გაუქვავდა. რაღა დროს სწავლაა, ჩამოსულიყო სახლში, იქ რა უნდა აეთოს“, — გულმოკლული ვფიქრობდი. შემდეგ ჭიანჭვი შევეკითხე:

— ჭიანჭვი, შენ ხშირად დადიხარ სადგურზე, რას ამბობენ, ხომ არაფერი ისმის, ომი მალე გათავდება?

— არა, დედა, მალე არ გათავდება, — მომიგო ჭიანჭვი. — ახლა ცუდად გვაქვს საქმე. გერმანელი სულ წინ მოიწევს და მოერეკება. ჩვენებს რომ მოხერხებინათ სადმე გამაგრება და იმ-

ათთვის ერთი მაგრად ჩაეღწათ გვერდები, მაშინ სხვა იქნებოდა ჩვენი დავიდოდით შეტევაზე. ვფიქრობდა, მალე მოხდება. — იგი გაჩუმდა, ერთხანს უხმოდ მიერეკებოდა ცხენებს, შემდეგ მომხედა და მითხრა:

— შენ რაო, დედა, გეშინია? ძალიან? ნუ ფიქრობ, არ გინდა ამაზე ფიქრი და გულისხეთქა. ყველაფერი კარგად იქნება, აი ნახავ.

ეკ, ჩემი სულელი ბიჭუნა! გადაწყვიტა დავემშვიდებინე, შემობრალა. განა შეიძლებოდა არ მეფიქრა? თვალისა და ყურიც რომ დამეხშო, ფიქრს მაინც ვერ მოვიშლიდი.

მივედით სახლში, ვხედავ ალიმანი ზის და ტირის; ცომი ჯერ არ მოუხვლია. გაგებრად, ერთი პირობა მინდოდა დამეცაცხანებინა კიდევ: „კითომდა რაო, შენ რითი ხარ სხვებზე უკეთესი, მარტო შენი ქმარი ხომ არა, ყველანი მიდიან, შენ კი სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილხარ, ასე როგორ შეიძლება, როგორღა უნდა ვიცხოვროთ?“ მაგრამ გადავიფიქრე, მოვეშვი, შევიბრალები სინორჩე. იქნება შევეცი, იქნებ სჯობდა პირველი დღიდანვე დამესუსხა, რომ მერე გადავიღებოდა. არ ვიცი, ოღონდ ის კია, მაშინ არაფერი მითქვამს.

კასიმი სადამოს თითქმის შებინდებულზე მოვიდა. როგორც კი ის ჭიანჭვიში გამოჩნდა, ალიმანი ცეცხლის გაჩაღებას თავი ანება, გაიქცა და ატირებული კისერზე ჩამოეკიდა.

— ვერ დავრჩები, ვერ დავრჩები მე უშენოდ, მოკვდები!

კასიმი პირდაპირ კომბანიიდან მოვიდა, როგორც იყო მტვერში, ტალახსა და მახუთში ამოგანგლული. მან მხრებიდან ჩამოიღო ცოლის ხელები და უთხრა:

— მოიცა, ალიმან. ძალიან ჭუჭყიანი ვარ. მომეცი საპონი, პირსახოცი, მდინარეზე წავალ და დავიბან.

ალიმანი მობრუნდა, შემომხედა, მიუხვდელი. ცარიელი ვედრო მივანჩე.

— ბარემ წყალიც წამოიღე.

იმ საღამოს გვიან დაბრუნდნენ მდინარიდან. მთვარე უკვე ამოწერილი იყო. სახლში საქმეს მე მივხედუე. ჯაინაკი მომხმარა. შუადამისას სუვანკულიც მოვიდა. მე სულ ველოდი, ვფიქრობდი, სად გადაიქარგა-მეთქი. ის კი თურმე დღისითვე წასულა მთაში. ჩალიფერი იორდა წამოეყვანა რემადან. კასიმმა ტრაქტორისტად რომ დაიწყო მუშაობა, სწორედ მაშინ ვუყვიდეთ. ჰერ კიდევ კვიცი. საჩინო თობარიკი იყო, მაგარი, გუგუნა ჩლიქებით, უკანა ფეხებზე თითქოს თეთრი წინდები ეცვა. მთელ სოფელში იცნობდნენ, გოგონები მღეროდნენ.

მამამ, ეტყობა, გადაწყვიტა, ერთი-ორი დღე მაინც იაროსო ბიჭმა თავისი იორლით.

დილით ადრე ყველანი სამხედრო კომისარიატში წავედით. მე და ალიმანი ჯაინაკის ორთვალაზე ვისხედით, კასიმი და მამამისი თავ-თავის ცხენებზე. ეს იყო ყველაზე დიდი მობილიზაციის დრო. ხალხი კიდევ ბევრი იყო. შარას რომ გავხედუე — მთლად გადაშავებული იყო, ერთი ბოლო რომ დიდ ხევში იწყებოდა, მეორე არც ჩანდა გარეშემო სოფლებიდან მოდიოდა ხალხი, ვინ ცხენით, ვინ ხარებით. რაიონულ ცენტრში ხალხისა და ორთვალებისაგან ტევა აღარ იყო. აქ იყვნენ ბავშვებიც, მოხუცებიც. ყველა თავისიანს შემოხვეოდა და არ ცილდებოდა. ზოგი ტირის, ზოგს დაღუვაც მოუსწრია. ტყუილად როდია ნათქვამი, ხალხი ზღვაა, მას მორგეიცა აქვს და მეჩეჩიკაო. ასე იყო ახლაც. ამ ბობოქარ გაცილებებში იყვნენ მტკიცე ნათელი ვაეკაცები, რომლებსაც მაგრად ეჭირათ თავი, ხუმრობდნენ კიდევ, ხალხს აბოზდნენ, გარმონზე ცეკვავენ და მღეროდნენ. ყირგიზული და რუსული სიმღერები ცვლიდნენ ერთმანეთს, „კატეუშას“ კი ყველა მღეროდა, აი სწორედ მაშინ გავიგე პირველად ეს სიმღერა.

წვევამდელები სამხედრო კომისარიატის ფართო ეზოში არ დაეტივნენ, სოფლის მთავარ ქუჩაზე გაამწკრივეს და

დაიწყეს ამოძახება. ხალხი უმაღლესად, სუნთქვა შეიკრა. შევხედუე ჯარში წამსვლელებს. ცრემლი, ყელში მომწყვდა. ისინი ყველა ერთიმეორესზე უკეთესი, ახალგაზრდა, ჯანმრთელი ვაეკაცები იყვნენ. იმათ უნდა ეცოცხლათ და ემუშავათ. ყოველთვის, როცა ვინმეს გვარს ამოიკითხავდნენ, ეს უკანასკნელი „აქ ვარო“ პასუხობდა და ჩვენს მხარეს იყურებოდა. მე ერთთავად შემძრა ამოძახებამ „კასიმ სუვანკულოვ“ და მწარე ტკივილის ახალმა ტალღამ თვალები დამიბნელა. „აქ ვარ“ — უპასუხა კასიმმა. ალიმანმა მაგრად მომიჭირა ხელზე, „დედა“ — წაიჩურჩულა მან. რა მექნა, მესმოდა, რომ უჭირდა, ეშინოდა ქმართან განშორებისა, მაგრამ აბა ვის შეუძლია გაერიყოს ხალხს, და მერე ისიც ასეთი გასაჭირის დღეებში.

ემ, ალიმან, ჩემო ალიმან, მასაც ესმოდა, რომ ეს ომის გასაჭირია, მთელი ქვეყნის გასაჭირი. მაგრამ ჩემი ცხოვრების მანძილზე მე არ მინახავს ქალი, რომელსაც ქმარი ისე ძლიერ ყვარებოდეს, როგორც მას.

იმ დღეს სოფელში დავბრუნდით. გვიბრტეს, წვევამდელებს მხოლოდ ხვალ წაეიყვანათო. კასიმმა გვიჩინა შინ წავსულიყავით, აბა რისთვის უნდა ვაიტანჯოთო აქ ტყუილა-უბრალოდ, გზად რომ გაგვატარებენ, შემოვიტარებენ, დაგემშვიდობებთო. ბედად ჩვენი კოლმეურნეობა ზედ შარავზის პირზეა. ალიმანისათვის სუვანკულის ცხენი დაეტოვეთ. ჩვენ კი სხვებთან ერთად ურმიით წამოვედით. ჯაინაკიც რაიონში რჩებოდა, მას თავისი ორთვალათი წვევამდელები უნდა გადაეყვანა სადგურამდე.

ღამით, დაცარიელებულ სახლში რომ შევედი, თავი ველარ შევიკავე და ტირილით გული ვიჭერე. სუვანკულმა წყალი აადულა, მაგარი ჩაი გააკეთა და ძალით დამალევინა, მერე გვერდით მომიჯდა და მითხრა:

— რა ვიყავით ჩვენ, ტოლგონაი? ამ ხალხთან ერთად ვიქეციოთ ადამიანებად. მაშ მოდი და მათთან თანაბრად გავიზიაროთ მისი ბედიცა და უბედობაც. რო-

ცა საქმე კარგად იყო, ყველანი კმაყოფილები ვიყავით, ახლა კი გამოდის, ყველამ მარტო საკუთარ თავზე უნდა იფიქროს და თავისი სატირალი იტიროს? არა, ასე არ ივარგებს. ხვალ ეცადე, გამაგრდე, ალიმანი რომ თავს იკლავს — ეს სხვა საქმეა, მას არ უნახავს ცხოვრებაში ის, რაც ჩვენ ვნახეთ. შენ კი დედა ხარ — გახსოვდეს. ისიც გაითვალისწინე, თუ ომი გავიანურდა, მეც წავალ, მასალბესაც ასაკით უწევს და შეუძლიათ გაიწვიონ. თუ საჭირო იქნება, ყველანი წავალთ. ასე რომ, ყველაფრისთვის შეემზადე, ტოლგონაი, შეეჩვიე...

მეორე დღეს ნაშუადღევზე დაიწყო წვევამდელთა გაგზავნა. კასიმი და ალიმანი დაწინაურებულიყვნენ. კასიმი დასამშვიდობებლად გამოეშვათ. ალიმანს თვალეები დასიებოდა, დაბურცოდა, ჩანდა, მთელი გზა ეტირა. კასიმი ცდილობდა თავი დაეჭირა, ისტიბარს არ იტეხდა, მაგრამ უჭირდა. არ ვიცი, რამ აიძულა, ალიმანისა ეშინოდა, უნდოდა ჩვენთვის განშორების ტკივილი შეემსუბუქებინა, თუ რა, — ის კი იყო, რომ ცხენიდან ჩამოხტა თუ არა, მაშინვე გვითხრა, სადგურზე ნუ წამოყვებითო. იქნებ შინ დავბრუნდე კიდევ, რადგან გადაწყდა, ტრაქტორისტები და კომბაინერები მოსავლის აღებაზე არ წაიყვანონ და თუ ბრძანება მოგვისწრებს, შესაძლოა სადგურიდან დაგვაბრუნონო. ახლა ჩემთვის გასაგებია, რომ კასიმმა მაშინ ჩვენ შეგვიბრალა, ალიმანი შეიბრალა. სადგურამდე ერთი დღის სავალია. როგორ გინდა, ამ გულით უკან დაბრუნება, გზა არ დაილუვა, ცრემლი არ გეყოფა. მაშინ კი დავიჯერე; ამბობენ, იმედი აღამიანში სიკვდილამდე ცოცხლობსო. და მართლაც, კასიმის ვასაცილებლად შარახე რომ გამოვედით, უკვე ვყოყმანობდი.

გზად კასიმს ეთხოვებოდა ყველა, ვინც მკაზე მუშაობდა. მოირბინეს ქალებმა, მეაღალებმა, მღვწავებმა კალოდან, კომბაინიც იქვე შორი-ახლოს აღმოჩნდა. კასიმის თანაშემწეებმა კომბა-

ინი გააჩერეს და მასთან გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ.

ამბობენ, მკედელი ომში წასვლის წინ ქურას და ჩაქუჩს ეთხოვებო. ჩემი კასიმი კი ოსტატი იყო, თავისი საქმის მკედელი-კომბაინი რომ გაჩერდა, კასიმმა, რომელიც ამ დროს თანასოფლელებს ელაპარაკებოდა, გზას გახედა. გზაზე ის-ის იყო გამოჩნდა წვევამდელთა კოლონა საზიდრიითა და ცხენებით, კოლონის წინ ნიავე არხედა წითელ დროშას.

— მამა, აპა, დაიჭირე!.. — კასიმმა თავისი ქურანის სადავე სუვანკულს მისცა და თვითონ კომბაინს მიაშურა. გარშემო შემოუარა, ყოველი მხრიდან შეათვალიერა. მერე უცხად ხიდურზე შეხტა. — აბა, ეშენკულ, გარეკე! გარეკე, როგორც მაშინ! — უყვირა ტრაქტორისტს.

მოტორები, რომლებიც ოდნავ გასაგონად, ნახევარბრუნებზე მუშაობდნენ, უცებ ათუხთუხდნენ, აღრიალდნენ, კომბაინი ავლუნდა, ჭაჭვები ააღრქიალა, საფშვენნიდან ჩალის ბურის სროლა-სროლით დაიძრა და მოტორფილებით პურის მნას დაერია. კასიმმა სახე ცხელ ქარს შეუშვია, მხრებგამართული იდგა და იცინოდა, თითქოს ყველაფერი დავიწყებოდა. ის და ტრაქტორისტი რაღაცას უყვიროდნენ ერთმანეთს, თავებს აქნევდნენ, ყანის ბოლოს შემობრუნდნენ და ახლა აქეთ წამოვიდნენ. ველის ფრინველივით დაქროდა კომბაინი ყანაში.

ერთი წუთით ყველას დაგვავიწყდა ომი. აღამიანები იდგნენ გაბრწყინებული თვალეებით, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ალიმანს ეამაყებოდა. ის წყნარად მიდიოდა კომბაინისაკენ და იცინოდა-კომბაინი შეჩერდა. ჩვენ ისევ მოვილუმეთ ბეკტაში კი — ჩვენი მუზობლის, აიშას ცამეტი წლის ბიჭი, რომელიც მაშინ კომბაინზე მენამჭედ მუშაობდა, — ტირილით მივიარდა კასიმს და კოცნა დაუწყო.

სიმწრისაგან სულ ტუჩები დავიკვნით, ხამაღლა ყვირილი მინდოდა, მაგ-

რამ სუვანკულის დარიგება მახსოვდა და ვერ გავბედე. კასიმმა ბეკტაში ხელში აიყვანა, აკოცა, შემდეგ საჭესთან დააყენა და ნელა ჩამოვიდა კიბეზე. ჩვენ შემოვეხვიეთ. აქ დავმშვიდობა ის თავის თანაშემწეებს, მესაპუეს, ტრაქტორისტს. საჭირო იყო აჩქარება. შარაზე მომავალი კოლონა უკვე გავვისწორდა.

ასე გავაცილეთ კასიმი. როცა ცხენზე შეჯდომის ჯერი დადგა, ალიმანმა, საწყალმა ალიმანმა, არაფრად ჩააგდო აღარც უფროსი, აღარც უმცროსი, ერთი იყვირა და კასიმს მხრებზე ჩამოეკიდა. სახეზე მკვდრის ფერი ედო, თვალბილა უელავდა. ძლივს ავაგლიჯეთ მკერდიდან. მაგრამ ის ისევ დაგვისხლტა და ისევ ქმარს ეცა, და ასე, პატარა ბავშვივით, კასიმს ხელზე ეწეოდა, უზანგში ფეხის გაყრის საშუალებას არ აძლევდა, ევედრებოდა:

— მოიცა ერთი წუთი! კიდევ ერთი წუთი!

კასიმი კოცნიდა, აშოშმინებდა:

— ნუ ტირი ასე, ალიმან! აი, ნახავ, ხვალვე დავბრუნდები სადგურიდან და მიჭერე!

მაშინ სუვანკულმა უთხრა რძალს:

— წადი, ალიმან, გზატკეცილამდე გააცილე, ჩვენ კი აქ დავემშვიდობებით. ნუ დავაყოვნებთ. — სუვანკულმა

შვილს ხელი მოჰკიდა და წყნარად უთხრა: — შემომხედე თვალგზში.

მათ ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს.

— გამიგე? — ჰკითხა მამამ.

— კი, მამა, გავიგე, — უპასუხა შვილმა.

— აბა, წადი, ღმერთი იყოს შენი შემწე! — სუვანკული ცხენზე შეჯდა და უკანმოუხედავად გააქროლა.

მე რომ მეთხოვებოდა, კასიმმა მითხრა:

— მასალბეკისგან წერილი თუ მოვიდეს, მომწერეთ მისი მისამართი.

კასიმი და ალიმანი შარაგზისკენ წავიდნენ, თოხარიკი სადავით მიყავდათ. მე თვალს არ ვაშორებდი მათ. კოლონამ უკვე ჩაიარა გზაზე. ალიმანს უზანგისათვის ხელი ჩაველო და ერთხანს ასე სირბილით მისდევდა. შემდეგ კასიმი უნაგირიდან გადმოიხარა, უკანასკნელად აკოცა და თოხარიკით მიუშვა ჩალისფერი ცხენი.

ალიმანი კი სირბილით მიყვებოდა ჩლიქების მტვერს. დავედევნე და შინ მოვიყვანე.

მეორე დღეს, საღამოხანს, სადგურიდან დაბრუნდა ჭაინაკი, შეუკაზმავი თოხარიკი კი ორთვალას ბოლოზე იყო გამობმული.

თარგმანი **გაბუღია შელიანი**

(გაგრძელება იქნება)

გიორგი ლომიძე

საქართველოს სახალხო პოეტი

პოეტის გვირობა

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში არიან დიდი ფიგურები, რომელთა სიდიადე განისაზღვრება არა მარტო მათი ლიტერატურული შემოქმედებით, არამედ მათი შემოქმედებით, მათი მოქალაქეობრივი, ადამიანური საზიერების ერთობლიობით, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული და თავისებური სიმბოლიური ყოფით, რაც საბოლოოდ ეპოქის საზღვრებს სცილდება და უკვდავების შარავანდედით იმოსება.

ასეთი მწერლების შემოქმედების ძალა იმგვარად დიდია, რომ ხშირად მათი გავლენის ქვეშ ისეთი ადამიანებიც ექცევიან, რომლებიც არც თუ ისე კარგად იცნობენ მათ შემოქმედებას, მაგრამ რომელთათვისაც არსებობს მათი მაგალითი, მათი პიროვნებისა და შემოქმედების ცხოველყოფილი მაგალითი.

აზრთა ასეთი მპყრობელები და მთელი თაობების ბედის გამრიგენი იყვნენ ბაირონი და პიუგო, პუშკინი და მიკევიჩი, პეტეფი და ჭავჭავაძე. აი, როგორ ოლიმპოზე, და არა მხოლოდ პარნასზე აქვს განკუთვნილი ადგილი ისტორიის მიერ ტარას შევჩენკოს — უკრაინელი ხალხის დიდ შვილს, გენიალურ პოეტს, გასაოცარი ბედის ადამიანს, რომელიც ღირსია ხელოვნებაში მარადიული განსაზიერებისა (ნუთუ მართლა საუკუნეები უნდა გავიდეს, რომ ტოტკვატო ტასო და ლუთერი, ვიონი და შენიე ღირ-

სნი გახდნენ დიდ ხელოვანთა ქმნილებებში მკვდრებით აღდგომისა?)

დღეს მე მსურს ვილაპარაკო ტარას შევჩენკოს გვირობაზე.

განა გვირობა არ არის, ამოხვიდე ბატონყმური დამცირების უფსკრულიდან და კაცობრიობის სულის მწვერვალებამდე ამაღლდე?

განა გვირობა არ არის ნაციონალური ჩაგვრის უკუნეთში გული ჩირაღდანივით აანთო, რათა ხალხს გზა გაუნათო თავისუფლებისაკენ?

განა გვირობა არ არის, დაამსხვრიო ცურწმენანი და „მოყვასთა“ სიმრულე გაასწორო, რათა მშური ხელი გაუწოდო ჩერნიშევსკისა და აკაკი წერეთელს?

ისტორიულ მომენტში, როდესაც თვით უკრაინელი ერისა და უკრაინული ენის არსებობას აყენებდნენ ეპვის ქვეშ, ტარას შევჩენკომ თავისი გენიალური შემოქმედების სასწაულით ერთხელ და სამუდამოდ „მოხსნა“ ეს „დავა“, რითაც უზრუნველყო მშობლიური ხალხისა და მშობლიური კულტურის მომავალი უკვდავება! განა ესეც გვირობა არ არის?

განა გვირობა არ არის, ყრმობასა და ჭაბუკობაში, გადასახლებასა და სალდათობისას გამოსცადო ბატონყმური უღლის ყველა ჯოჯოხეთური ცხრა წრე და შეინარჩუნო ასეთი სიცხადე, სისპეტაკე, ნათელმოსილი სულის ელვარება,

ასეთი მისაბაძი ადამიანურობა, სიკეთის ასეთი ყოვლისმომცველი გრძნობა, რომლის მისუტაბები შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ შევადაროთ ბოროტების ყველა გამოვლენის შევჩენკოსიულ უარყოფას?

და ბოლოს, ვანა გვირობა არ არის თითქოსდა ერთი ამოსუნთქვით ნამღერი ტარას შევჩენკოს პოეზია, მისი ლექსები და პოემები, უკრაინული ენის მომჭადოებელი მუსიკალობა, რომელიც არა თუ ჰქნება, წლით-წლობით ახალი ძალით იფურჩქნება?

მე ვამბობდი დიდი კობზარის სიკეთით ნათელმოსილ შემართებაზე, ბოროტებისადმი მის ბრძნულ სიძულვილზე (ბრძნულზე იმიტომ, რომ, ეს სიძულვილი არასოდეს არ იცვლება გულღვარძლიანი ფაციფუციით).

სამოციანი წლები, 1905 წელი, 1917 — აი, უმთავრესი ნიშანვებები ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხთა ისტორიული ცხოვრებისა, თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე და, მართლაც, ძნელია დაასახელო ისტორიული ამბავი (და აგრეთვე ეპოქები, რომლებიც ამ ამბებს შიშვე შედეგად მოჰყვებოდა) ამგვარად აშკარად და მჭიდროდ შეკავშირებულებენ მემკვიდრეობის ჯაჭვით, რომლებმაც ასეთი კანონზომიერებითა და თანმიმდევრობით შეამზადეს ერთი მგორე და მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ასეთივე მზარდი თანმიმდევრობით მკლავნდებოდა ამ ეპოქებში რუსეთის იმპერიის მიერ დამონებული სხვადასხვა ხალხის ბედის დაკავშირება — ამ ხალხების საუკეთესო შეილებების ბიოგრაფიის დამთხვევა. ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ნეკრასოვი, შევჩენკო, ნა-

ლბანდიანი, ჰევკავაძე, წერეთელი, ნიკოლაძე — მხოლოდ და მხოლოდ ამ სახელების უბრალო ჩამოთვლაც კი ამ ეპოქების აზრსა და ხასიათს ხსნის.

1860 წელს რუსეთის ისტორიის პროფესორის კოსტომაროვის ბინაზე (ამ ბინაზევე გაიცნო შევჩენკომ ჩერნიშევსკი) მოხდა დიდი კობზარის და მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტის აკაკი წერეთლის შეხვედრა. საყოველთაოდ ცნობილია აკაკი წერეთლის სიტყვები ამ ღირსსახსოვარ, ნამდვილად, სიმშოლიური პაემნის შესახებ. „ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა მთელს ჩემს ცხოვრებაში დამრჩა ნათელ მოგონებად. უნდა გამოგიტყდეთ, მე პირველად გავიგე მისი სიტყვებიდან, როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და შენი ხალხი“.

ამ შეხვედრიდან ზუსტად ნახევარი საუკუნის შემდეგ, შევჩენკოს იუბილეზე, რომელიც ტრიუმფალურად აღინიშნა საქართველოში, სამოცდაათი წლის აკაკი წერეთელმა ასე მიმართა მრავალეროვან აუდიტორიას: „მე პირადად ვიცნობდი ბატო ტარას გრიგოლის ძე შევჩენკოს. გიყვარდეთ თქვენი სამშობლო და დედაენა ისე, როგორც შევჩენკოს უყვარდა, რადგან მისი ხსოვნისათვის ეს საუკეთესო ჯილდო და ხელთქმენილი ძეგლი იქნება“.

საქართველოში მზურვალედ უყვართ ტარას შევჩენკო. და ყოველ ჩვენგანს შეუძლია დღესაც გაიმეოროს აკაკი წერეთლის სიტყვები:

„ხელოვნებას არა აქვს საკუთრება... საზღვარი! ის ყოველ ხალხს ეკუთვნის, ვით ყველას მაცხოვარი!

თანამიზ ბუაჩიძე

დიდი კობზარი

დიდი უკრაინელი პოეტი, ტარას შევჩენკო, თავისუფლებისა და ხალხთა ძმობის მომღერალი და რევოლუციონერი იყო.

მისი მძიმე ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ რა ძალა აქვს ნიქსა და უნარს, ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულს, ურყევ რწმენას ნათელი მომავლისადმი, როცა ყოველგვარ უფლებას მოკლებული ყმა-გლეხის შვილი უბრალო მწყემსობიდან მსოფლიო პოეზიის მწვერვალს მიაღწევს და მშობლიური ხალხის ჭეშმარიტ სულიერ მამად იქცევა.

მისი შესანიშნავი შემოქმედება საფუძვლად დაედო ახალი უკრაინული ლიტერატურის განვითარებას და დღესაც, თავისი ღრმა ჰუმანურობით, რევოლუციური პათოსით, სოციალური პრობლემების მკვეთრად დაყენებით, ლირიზმითა და მელოდიურობით, უდიდეს სიმაღლეზე დგას.

პოეტის სიცოცხლეში მისი მხოლოდ 17 ლექსი გამოქვეყნდა (დანარჩენს ცენზურა გადაეღობა), მაგრამ უკრაინაში, ჯერ კიდევ მაშინ, ზეპირად იცოდნენ თითქმის მთელი შემოქმედება პოეტისა, — მისი შესანიშნავი ლექსები და პოემები.

რევოლუციის შემდეგ კი არ დარჩენილა არც ერთი კუთხე უზარმაზარი საბჭოთა ქვეყნისა, სადაც შევჩენკოს პოეზიას არ შეეღწიოს. იგი საერთო სახალხო პოეტად იქცა. მისი შემოქმედება ისევე მახლობელი გახდა რუსის, ბე-

ლორუსის, ქართველის, აზერბაიჯანელის და სხვათათვის, როგორც მახლობელი და საყვარელია თვით უკრაინელი ხალხისათვის.

1.

შევჩენკო დაიბადა 1814 წლის 25 თებერვალს (9 მარტს) კიევის გუბერნიის ზენიგოროდის მაზრის სოფელ მორინცში.

მომავალი პოეტი ობლობაში გაიზარდა. დედა გარდაეცვალა, როცა 9 წლისა იყო, მამამ ხელმოკრედ ითხოვა ცოლი. დედინაცვალი ცუდად ექცეოდა პატარა ტარასს, მაგრამ როცა 11 წლის ბიჭს მამაც მოუყვდა, მისი ცხოვრება აუტანელი გახდა.

ერთმა დიდმა გატაცებამ შეიპყრო ობოლი ტარასი ბავშვობისას, — ეს იყო ხატვა. იმდენად ძლიერი იყო ეს გატაცება, რომ სადაც, რაზედაც და რითაც კი მოასწრებდა, — იგი ხატავდა, ხატავდა სულმოუთქმელად.

ამით იყო გამოწვეული ტარასის პირველდაწყებითი „სწავლა-აღზრდის“ ხასიათი: იგი მიეზარებოდა ხან ერთ მღვდელს ანბანისა და ხელობის შესასწავლად, ხან მეორეს. მაგრამ ამ გაუნათლებელ „მასწავლებელთაგან“ ბიჭს ცემა-ტყეპა, ხელზე მოსამსახურეობა და უმსგავსო ლოთობის სურათები რჩებოდა მოგონებად.

ბავშვობაში მოისმინა და შეისისხლხორცა ტარასმა შესანიშნავი ხალხური თქმულებები უკრაინელი ხალხის გმირულ წარსულზე, იმ ბრძოლებზე, რომლებსაც დამონებული გლეხობა პოლო-

იბეჭდება შემოკლებით. მთლიანად ეს ნარკვევი „ნაკადულში“ გამოდის.

ნელი პანებისა და უკრაინელი მემამულეების წინააღმდეგ ეწეოდა.

შევჩენკოს პატრონი მემამულე ენგელჰარდტი გახლდათ. ეს იყო გულქვა მებატონე, რომელსაც არაფრად მიაჩნდა თავისი ყმა-გლეხების ადამიანური მისწრაფებები და ცემა-ტყეპასაც არ ერიდებოდა. ერთხელ მოურავმა სტაცა ტარასს ხელი და სამხარეულოში გაამწესა, შემდეგ კი ფარეშად მიუყენა ახალგაზრდა მებატონეს.

1829 წელს ენგელჰარდტი ქალაქ ვილნოში გადასახლდა. მან თან წაასხა თავისი შინაყმები, მათ შორის შევჩენკოც. აქ იგი ორ წელიწადს ცხოვრობდა.

ვილნოში ყოფნამ რამდენადმე შეუწყო ხელი მომავალი პოეტის განვითარებას. მან შეისწავლა პოლონური ენა და დაეწაფა პოლონურ პოეზიას. ერთ ხანს, მეცადინეობდა პროფესიონალ მხატვართან, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უსწავლელი ყმისათვის. რაც მთავარია, ვილნოში იგრძნობოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მაქისცემა და გაისმოდა თავისუფლებისათვის ბრძოლის გამოძახილი.

შევჩენკოს იქ ყოფნისას მოხდა საფრანგეთში ივლისის რევოლუცია, შემდეგ პოლონეთის აჯანყება. ყველაფერი ეს აღწევდა ყმაწვილის ყურამდე, რასაკვირველია, ამ მოვლენათა ღრმა ანალიზის გაკეთება არ შეეძლო 16 წლის ჰაბუკს. ყოველ შემთხვევაში, ამ ისტორიულ ამბებს მის სულში მრავალი ახალი გრძნობა და აზრი უნდა გაედვიძებია.

1830 წლის პოლონეთის აჯანყებით დაფრთხალი ენგელჰარდტი აღარ დადგა ვილნოში და პეტერბურგისაკენ გაეშურა. 30-იანი წლების პეტერბურგი ჯერ კიდევ დეკაბრისტების აჯანყების შთაბეჭდილებით ცხოვრობდა. პოეზიაში პუშკინი ბატონობდა, ფართო სარბიელზე გამოდიოდა გოგოლი, ბელინსკი თავის მგზნებარე მოღვაწეობისათვის ემზადებოდა.

„შეუძლებელია, რომ შევჩენკო, რომელიც იმ დროს პეტერბურგში ცხოვ-

რობდა, არ ყოფილიყო გატაცებული პროგრესული მოძრაობის ~~ამ დროდღე ტრადიციით~~, რომ მისი მგზნებამ ~~სახალგაზრდა~~ სული არ მიმხრობოდა ახალ მიმართულებას, მითუმეტეს, რომ მისი პირადი გლეხური სიმპათიები ყოველთვის ამ მხარეს უბიძგებდნენ“ — წერდა გამოჩენილი უკრაინელი მწერალი და მოღვაწე ივანე ფრანკო.

ენგელჰარდტმა იგრძნო, თუ რა დიდი ძალით ეწეოდა თავისკენ მხატვრობა მის ერთ-ერთ ფარეშს, ამიტომ გადასწყვიტა შევჩენკო შინაურ მხატვრად აღეზარდა პირადი სარგებლობისათვის და იგი 1832 წელს მხატვარ ვასილ შირიაევს მიაბარა. ეს შირიაევი საკმაოდ ცნობილი იყო პეტერბურგში. იგი ძირითადად მხატვარი-დეკორატორი გახლდათ. თავისი მრავალრიცხოვანი ოსტატებისა და მოწაფეების შემწეობით საიჯაროდ იღებდა მოსახატავ სამუშაოებს. 1836 წელს მას დიდი თეატრის მოხატვა დაავალეს, რომელშიაც ტარასმაც მიიღო მონაწილეობა.

შირიაევისაგან შევჩენკომ ბევრი რამ ისწავლა, გაეცნო იმ კოლექციებს, რაც ოსტატს გააჩნდა, დაუახლოვდა სხვადასხვა მხატვარს, დაესწრო ლიტერატურულ საღამოებს. იგი ხშირად დადიოდა პეტერბურგის „სახაფხულო ბაღში“, და იქ ქანდაკებების ხატვით ივსებდა ცოდნას. სწორედ ამ ბაღში შეხვდა ადამიანს, რომლის საშუალებით მის ცხოვრებაში ღრმადმნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა.

ტარასი გაეცნო თანამემამულე მხატვარს ივანე მაქსიმეს ძე სოშენკოს, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდის ცხოვრებაში, დაუწყო მას სწავლება და ყოველმხრივ ცდილობდა შეემსუბუქებინა მისი მძიმე ცხოვრება.

სოშენკოსთან სწავლამ შედეგი გამოიღო. შევჩენკომ დაიწყო პორტრეტების წერა შეკვეთით. მაგრამ ყმის მდგომარეობა სრულიადაც არ შეცვლილა. ერთხელ შინაყმებთან ლაპარაკის გამო მას გაროზგვა მიუსაჯეს. და მხოლოდ

სოშენკოს ენერგიული ჩარევით გადარჩა ტარასი ამ დამამცირებელ სასჯელს.

სოშენკოს საშუალებით ტარასი სხვა მხატვრებშიც, აგრეთვე, მწერლებში გაიცნეს. მას ყურადღება მიაქცია აკადემიკოსმა ა. ვენეციანოვმა, უკრაინელმა პოეტმა ე. გრებენკამ, ბოლოს ცნობილმა მხატვარმა კ. ბრიულოვმა, რომელმაც ნახა შევჩენკოს სურათები და აღფრთოვანდა მისი ნიჭით. ბრიულოვის საშუალებით გაეცნო შევჩენკო ხელოვნების მოყვარულ გრაფ ვიელგორსკის და გამოჩენილ რუს პოეტს ვ. ჟუკოვსკის. ამ ახალი ნაცნობების წყალობით შევჩენკო თანდათან შევიდა მოწინავე კულტურულ წრეში, ხელოვნებისა და ლიტერატურის სამყაროში.

რუსეთის საზოგადოების ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა ყმა-გლეხების წრიდან ცნობილი მხატვრები გამოსულან. ეს ხდებოდა ან მათი ბატონების კაპრიზით — ჰყოლოდათ „საკუთარი“ კარისმხატვარი, ან სხვა რაიმე შემთხვევით. ყმა-გლეხებიდან იყვნენ ისეთი ცნობილი მხატვრები, როგორიცაა ტროპინინი, კიპრენსკი, ოზეროვი, ალექსეევი და სხვები. ზოგიერთი ასეთი მხატვარი საოცარ ტრაგიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ისინი აღწევდნენ საქვეყნო აღიარებას, ხდებოდნენ პროფესორები, აკადემიკოსები და ამავე დროს ყმებად რჩებოდნენ...

ყმა-გლეხებისათვის სამხატვრო აკადემიის კარი გამოკეტული იყო. 1818 წ. მეფის მთავრობამ ასეთი ბრძანებაც კი გამოსცა: „გაირიცხოვნ საესეებით აკადემიიდან ისინი, ვინც არ მიეკუთვნებიან მხარად თავისუფალი კლასის აღმზიანებს, და აიკრძალოს მათი აკადემიაში მიღება მომავალში“.

შევჩენკოს მფარველებმა და მეგობრებმა გადაწყვიტეს მისი გამოსყიდვა მონობიდან. ამ საქმეს სათავეში კ. ბრიულოვი და ვ. ჟუკოვსკი ჩაუდგნენ. ისინი და შემდეგ სხვებიც ეწვივნენ ენგ-

ლპარდტს მოსალაპარაკებლად, რათა მასაც შეეგნო შევჩენკოს მდგომარეობის ტრაგიზმი და ხელს შეეწყოს მათთვის. მაგრამ განებივრებულმა მებატონემ უარპყო ყოველგვარი ადამიანური გრძნობები და იმ დროისათვის გაუგონარი თანხა — 2500 მანეთი მოითხოვა შევჩენკოს გათავისუფლებისათვის. ამ თანხის შესახებ რომ პოეტს აღუწყეს, მას პირდაპირ გულს შემოეყარა! სად უნდა ეშოვა ამდენი ფული?

მთელი წელიწადი გრძელდებოდა ბრძოლა შევჩენკოს გამოსასყიდად, მაგრამ გულქვა მებატონეს ვერაფერი მოუხერხეს. მაშინ მეგობრებმა ასეთ ხერხს მიმართეს: ბრიულოვმა დახატა ჟუკოვსკის პორტრეტი. ეს პორტრეტი ჟუკოვსკისა და გრაფ ვიელგორსკის დახმარებით 2500 მანეთად ლატარიაში გაითამაშეს.

„ამ ფულით, — ამბობს ტ. შევჩენკო, — ნაყიდი იქნა ჩემი თავისუფლება 1836 წლის 22 აპრილს“.

შევჩენკო მაშინ 24 წლისა იყო.

ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მახსენდება.

იმავე წლებში ალექსანდრე ჭავჭავაძეს წინანდალში ერთი ყმა-გლეხი — გიორგი მაისურაძე ჰყოლია. ეს გიორგი გატაცებული ყოფილა ხატვით, რაც ალექსანდრესა და მისი ოჯახის წევრებისათვის შეუძნეველი არ დარჩენილა. მაშინ ამ ცნობილ ქართველ პოეტსა და მოღვაწეს, დეკაბრისტების მეგობარს და გრიბოედოვის სიმაჰრს, წაუყვანია ეს ყმა პეტერბურგში, სრულიად უსასყიდლოდ, თავისი ნებით გაუთავისუფლებია მონობისაგან და სამხატვრო აკადემიაში შეუყვანია.

შემდეგ გიორგი მაისურაძე ცნობილი ქართველი მხატვარი-რეალისტი გახდა.

საინტერესოა ერთი საბუთი აკადემიის დამთავრებისა, სადაც ტარასი და გიორგი ერთად არიან მოხსენებულნი.

ესაა სამხატვრო აკადემიის რაპორტი სენატისადმი (შემოკლებით):

„საიმპერატორო სამხატვრო აკადემიამ, მხატვრობის დარგში კარგი ცო-

დნის მხედველობაში მიღებით, მიაკუთვნა თავისუფალი კლასგარეშე მხატვრის წოდება შემდეგთა: ... პეტრე ჩერკასოვს, კონსტ. ოგლობლინს, თევ. იურკინსკის, ალ. მიხაილოვს, ალ. ჩეხოტაროვს, გოტ. შარლოვს, ალ. შვაბეს და ყმობისაგან განთავისუფლებულთ: ავდეი ერმილოვს, ანტონ ივანოვს, ტარას შევჩენკოს, სერგი ფედოროვს, გრიგოლ მიხაილოვს, ალექსი პოლიაკოვს და გრიგოლ მაისურაძეს, რა წოდებაშიც დამტკიცებულნი არიან მოხსენებულნი პირნი". (საბუთი და ეს ცნობებიც ამოკრებილია შ. კვასხვაძის წიგნიდან „გიორგი მაისურაძე“).

შევჩენკოსათვის დაიწყო ახალი ცხოვრება.

შემდგომ, თავისი გათავისუფლების დღის მოსავგონებლად შევჩენკომ ვ. ჟუკოვსკის უძღვნა პოემა „კატერინა“.

შევჩენკომ დაიწყო აკადემიაში სწავლა. იგი კ. ბრიულოვის საყვარელი მოწაფეა, დადის თეატრებში — ოპერაში, დრამაში, ისმენს ლექციებს სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, ყოველდღე სტუმარია ერმიტაჟისა, სადაც ეცნობა მსოფლიო ხელოვნების შედეგებს, ტრიალებს მხატვრების, მწერლების, მოწინავე აღამიანების წრეში.

ბრიულოვის სახელოსნოში შევჩენკომ ხუთი წელი დაჰყო. მხოლოდ გენიოსს რომ სჩვევია, ისეთი სისწრაფით ითვისებდა იგი მხატვრობის საიდუმლოებებს, იღრმავებდა ცოდნას კულტურის ყველა სფეროში, ეწაფებოდა მსოფლიოსა და რუსული ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენელთა შემოქმედებას. ბრიულოვთან ურთიერთობას შევჩენკოს სულიერი განვითარებისათვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „კარლოს დიდი“, როგორც მას ჟუკოვსკიმ უწოდა, — ბრიულოვი მაშინ თავისი დიდების ზენიტში იმყოფებოდა. თავისი ცნობილი სურათის, „პომპეის უკანასკნელი დღის“ უდიდესი

წარმატების შემდეგ, იგი ბევრს და წარმატებით მუშაობდა და დიდ გულუნასაც ახდენდა რუსულ ფერწერის განვითარებაზე. ასეთი ხელოვანის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე გახლდათ ტარასი.

შევჩენკომ აკადემიისა და ბრიულოვის საუკეთესო ტრადიციები შეითვისა, განსაკუთრებით კი ტრადიციები ბრიულოვის პორტრეტული ფერწერისა. აკადემიაში იგი დაოსტატდა როგორც პროფესიონალი.

ამასთან შევჩენკოს ფერმწერულ შემოქმედებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა მშობლიურ ხალხის მძიმე ბედობაზე ფიქრი, უკრაინის გმირული წარსული და აწმყო.

ამ პერიოდის მის ნაწარმოებებიდან მკვლევარები აღნიშნავენ ისეთ სურათებს, როგორიცაა „კატერინა“ — ოფიცრის მიერ ნამუსახილი უკრაინელი გლეხის ქალი; ამ სურათის სიუჟეტს არ ჰყოლია წინამორბედი არც უკრაინულ, არც რუსულ ფერწერაში; „ორი მამაკაცი“, „ბიჭი“ და სხვები.

შევჩენკოს მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. მიუხედავად ამისა აკადემიაში შევჩენკო დიდ წარმატებებს აღწევს.

ყველას ეგონა, რომ შევჩენკო მხოლოდ მხატვარი, თანაც გამოჩენილი მხატვარი იქნებოდა. მაგრამ იგი ისე გაიტაცა პოეტურმა შემოქმედებამ, რომ სულ მალე პოეზიამ მთავარი ადგილი დაიკავა მის ცხოვრებაში.

„რას ვაკეთებდი ამ ტაძარში (ბრიულოვის სახელოსნოში)? — იგონებს შევჩენკო. — უცნაური ამბავია, — მე იქ უკრაინულ ლექსებს ვთხზავდი... ბრიულოვის საუცხოო სურათების გვერდით ფიქრებს ვეძლეოდი და გულში „ბრმა კობზარსა“ და ჩემს „გაიღამაკებს“ თავს დაესტრიალებდი... თვალწინ კეკლუცად მეკაზმებოდა ჩემი ლამაზი, ჩემი საცოდავი უკრაინა მთელი თავისი უბიწო, მელანქოლიური მშვენიერებით. ჩემს სულიერ თვალს ამ მშობლიურ, მომხიბლავ სიტუაციას ვერ ვაშორებდი...“

II

შევჩვენო იმდენად გაიტაცა პოეზიამ, რომ ორი წლის შემდეგ გათავისუფლებიდან მას უკვე მზად ჰქონდა დასაბუქდად კრებული, რომელშიაც რვა დიდი ლექსი შედიოდა. 1840 წ. მეგობრების დახმარებით ეს კრებული გამოიცა „კობახარის“ სახელწოდებით და სწრაფადვე მოიპოვა დიდი პოპულარობა.

შევჩვენოს ადრეულ შემოქმედებაში უკვე აისახა ბატონყმური წყობილების საშინელებანი. მის ლირიკულ ლექსებში — „ქარო შმაგო“, „წყალი შედის ცისფერ ზღვაში“ და 1838 წელს დაწერილ სხვა ნაწარმოებებში სიმართლითაა გამოხატული ხალხის გრძნობები, ეპოქის მოწინავე ადამიანთა მისწრაფებები. ლირიკაში ავტორი განუყოფელია გმირებისაგან, მათი ტანჯვა და სიხარული თვით პოეტის უშუალო განცდებია. ხოლო უცნობ ლირიკულ გმირთა ბედში თვით შევჩვენოს ცხოვრებაა ასახული.

შევჩვენო — ჰუმანისტი, შევჩვენო ადამიანი, რომელმაც პირადად გამოსცა ბატონყმობის უღელი, ცხადია, ვერ შეურიგდებოდა არსებულ სინამდვილეს, მას სურდა ხალხის მასების ხსნა მემამულეთა სასტიკი ექსპლოატაციისაგან. იგი შესანიშნავად იცნობდა უკრაინელი გლეხობის ცხოვრებას, ოცნებებს, სურვილებს.

ადრეულ ნაწარმოებებში შევჩვენო ჯერ კიდევ რომანტიკულ საბურველში ხვევდა უბრალო ადამიანების ცხოვრებიდან აღებულ ამბებს და ამით რამდენადმე ასუსტებდა ხალხის მძიმე ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ არსის გამოვლინებას. ყმებისა და მებატონეების ურთიერთ საპირისპირო დამოკიდებულებას მათში ჯერ კიდევ არ უპირაგეს ძირითადი ადგილი, ეს ანტაგონიზმი ჯერ კიდევ არ არის მათი ძირითადი თემა. მაგრამ ეს მხოლოდ პირველ ხანებში.

მართალია, შევჩვენოს ადრეული ლირიკა უპირატესად რომანტიკულია, მაგ-

რამ ეს რომანტიზმი რეალურ სინამდვილეს ემყარება, მისთვის მახლოდელი ადამიანების ცხოვრებიდან *„მარტინის“* ტომაც სინამდვილის რომანტიკულ ასახვისას, ახალგაზრდა პოეტი დამონებული ხალხის ფიქრებსა და ოცნებებს, ტანჯვასა და მისწრაფებას გამოხატავს. იგი არასოდეს სწყუდება სინამდვილეს და რომანტიკულობასთან ერთად მის პირველ ლექსებში, ბალადებსა და პოემებში რეალური სოციალური ცხოვრების ნაკადი ჩქეფს.

რეალისტური სინამდვილე მისი დამახასიათებელი თვისებებით განსაკუთრებით იჩენს თავს პოემაში „კატერინა“ (1839 წ.) რომელიც პოეტის ერთ-ერთი ეპიური ხასიათის ნაწარმოებია იყო.

ეს არის სოციალურ-ყოფითი დრამა ოფიცერი—პანის მიერ გაუბედურებულ გლეხის ქალის კატერინას შესახებ, მიმართული მდიდარი კლასის წარმომადგენელთა სამარცხვინო, ამორალური მოქმედების წინააღმდეგ. მასში მკვეთრადაა დახატული სოციალური უთანასწორობა, რომლის მსხვერპლიც გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებიან.

პოემის საფუძველი და ძირითადი მხატვრული სახის სტრუქტურა რეალისტურია, მაგრამ მასში მძლავრია რომანტიკული ელემენტებიც. ეს სინთეზი რეალისტური და რომანტიკული ფორმებისა და ელემენტებისა შემდეგშიც დამახასიათებელი იქნება დიდი პოეტის შემოქმედებისათვის, განსაზღვრავს მისი პოეზიის თავისებურებას.

კატერინას ბედი ტიპიური იყო ფეოდალურ-ბატონყმური სინამდვილის პირობებში. ამ თემას შევჩვენო არა ერთხელ უბრუნდება. პოემაში „ბრმა“ გაუბედურებული ქალის ტანჯვასთან ერთად ნაჩვენებია შურისძიება მისი დამლუპველი პანის მიმართ. პოემაში „კუდიანი“, რომელიც უფრო გვიანაა დაწერილი, გამოკვეთილია სოციალური უთანასწორობის მომენტი ყმებსა და მემამულეებს შორის. პანის მიმართ შურისძიების მოტივი ძირითადად აგრეთვე

გადასახლებდაში დაწერილ პოემაში „მარინა“.

შევჩენკოს განსაკუთრებული ყურადღება ბატონყმურ საზოგადოებაში მშრომელი ქალის ბედის მიმართ გასაგებიცაა. ყმა ქალი მართლაც აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას არა მხოლოდ სოციალური უსამართლობა სტანჯავდა, — იგი ოჯახშიც მონა იყო. სწორედ ქალს აწევებოდა მხრებზე ყველაზე მეტად არაადამიანური ექსპლოატაციის მძიმე უღელი.

ამასთან დაკავშირებით ივანე ფრანკო აღნიშნავდა: „მე არ ვიცნობ მსოფლიო ლიტერატურაში პოეტს, რომელიც გამხდარიყო ასეთი თანამიმდევრული, ასეთი მსურვალე. ასეთი შეგნებული დამცველი ქალის უფლებისა სრულფასოვან და არაადამიანურ ცხოვრებაზე“.

ერთ-ერთ წერილში შევჩენკო სწერდა: „დე მე ვიყო გლეხური („მუჟიკური“) პოეტი, ოღონდ პოეტი, და მეტი არაფერი მინდა“. ამ „გლეხურ“ ესთეტიკას შევჩენკო მთელი თავისი შემოქმედებით ამკვიდრებდა და თანდათან სულ უფრო ღრმად ხსნიდა თანამედროვეობისა და წარსული ცხოვრების სოციალურ წინააღმდეგობებს.

არა მარტო დამონებულ გლეხობაზე სწერდა შევჩენკო თავის ადრეულ ნაწარმოებებში. საკმაო ადგილი უჭირავთ მათში მჩაგვრელების წინააღმდეგ ხალხის ბრძოლის ასახვას. ამას მიეძღვნა მისი ისტორიული ხასიათის ნაწარმოებები „ივანე პოდკოვა“, „ტარასის ლამე“, „გაიდამაკები“, „გამალეა“ და სხვები.

მათში პოეტმა დაგვიხატა ხალხის საუკეთესო შვილების გამირობის, მამულისადმი უსაზღვრო სიყვარულის, თავდადების, უკრაინელი გლეხობის რევოლუციური მისწრაფებების შესანიშნავი მაგალითები.

„ივანე პოდკოვასა“ და „გამალიაში“ რომანტიკული ხერხებით დახატულია უკრაინელი ხალხის ბრძოლის სურათები სულთანის თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც უკრაინის ხელში ჩაგდებას

ცდილობდა. შევჩენკო უმღერის ზაპროკიელი კახაკების ვაჟკაცობას და სიმამაცეს, კახაკებისა, რომლებიც კომარულად იცავდნენ თავიანთ ქვეყანას. ათავისუფლებდნენ თანამემამულეებს თურქების ტყვეობისაგან.

„ტარასის ლამეში“ კი პოლონელი პანების წინააღმდეგ ბრძოლაა ასახული.

შევჩენკოს შემოქმედების პირველ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები იყო პოემა „გაიდამაკები“. (1841 წ.). მასში ასახულია უკრაინელი გლეხობის აჯანყება პოლონელი შლიახტის წინააღმდეგ 1768 წელს.

„გაიდამაკები“ ლირიკულ-ეპიკური პოემაა, რომელშიაც ორგანულადაა შერწყმული რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიკის ელემენტები. წარსულის ამბებს პოეტი კეთილშობილი პათოსითა და მგზნებარებით მოგვითხრობს და მღელვარე ლირიკულ გადახვევებში თავის ღრმა თანაგრძნობას გამოხატავს ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი. რევოლუციური წარსულის მოვლენების ჩვენებით შევჩენკო აღვიძებდა ხალხს, მოუწოდებდა მას აქტიური ბრძოლისაკენ. იგი არასოდეს აიგივებდა პოლონელ მემამულეებსა და შლიახტას მშრომელ პოლონელ ხალხთან, ამიტომ, ობიექტურად, მისი პოემის პათოსი ინტერნაციონალური და სოციალური იყო.

პოემის რევოლუციურმა შინაარსმა დიდი დაბრკოლებანი შეუქმნა შევჩენკოს მისი დაბეჭდვის დროს.

ქეშმარიტ დემოკრატიულობასა და ხალხურობასთან ერთად შევჩენკომ უკრაინულ ლიტერატურაში შეიტანა მძლავრი რეალიზმი, მანამდე უცნობი სახეები, ენარები და მოტივები. ხალხის ცხოვრების მართალი სურათები სენტიმენტალურ-რომანტიკული ჰერეტის ნაცვლად — ესაა მთავარი განმასხვავებელი ნიშანი შევჩენკოს შემოქმედებისა მისი თანამედროვე ლიბერალი პოეტების ლექსებისაგან.

„კობზარს“ ახალი უკრაინული ლიტერატურის განვითარებისათვის იმი-

ტომაც ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, რომ მისი ავტორი მოგვევლინა ახალი უკრაინული ლიტერატურული ენის ფუძემდებლად. მიუხედავად რეაქციული ჟურნალებისა და კრიტიკოსების თავდასხმისა, შევჩენკო მედგრად იბრძოდა უკრაინულ ლიტერატურული ენის დასამტკიცებლად არა მარტო თეორიის სფეროში, არამედ პრაქტიკულადაც, — თავისი შესანიშნავი ნაწარმოებებით.

თანდათან ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა შევჩენკოს კავშირი და ურთიერთობა მოწინავე რუსული კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეებთან. 40-იანი წლების დასაწყისში პეტერბურგში დაძაბული და საინტერესო საზოგადოებრივი ცხოვრება იყო. დემოკრატიზმისა და სოციალიზმის იდეებით გამსჭვალული ბელინსკის წერილები, გერცენის ფილოსოფიური ნაწარმოებები ფართო გამოხმაურებას პოულობდა და ვაცხოველებული მსჯელობის საგანი ხდებოდა.

კავშირმა მოწინავე საზოგადოებასთან, პოლონურ, ბელორუსულ და რუსულ რევოლუციურ ახალგაზრდობასთან გაათავსოვა შევჩენკოს პორიზონტი. შეუმუშავა ახალი შეხედულება პოეზიაზე, როგორც არა მხოლოდ სინამდვილის ასახვის, არამედ ხალხის განათლების მძლავრ საშუალებაზე. ამ შეხედულებამ შეუქმნა მას სურვილი ეწერა არა მხოლოდ უკრაინულად, არამედ რუსულ ენაზეც, რომელსაც უფრო ფართო აუდიტორია ჰქონდა.

40-იანი წლების დასაწყისში შევჩენკომ რუსულ ენაზე შემდეგი ნაწარმოებები შექმნა: პოემა „ბრამა“, სამაქტიანი დრამა „ნაზარ სტოდოლია“ და ნაწყვეტი დრამიდან „ნიკიტა გაიდაი“, პოემა „ალაპი“.

ამ ნაწარმოებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია დრამა „ნაზარ სტოდოლია“, რომლის მოქმედება XVII ს. სწარმოებს. მართალია, პიესაში არაა გამოყვანილი ისტორიული პიროვნებები, სამავიეროდ მასში ფართოდ არის ასახული იმ ეპოქის კოლორიტი, მზარდი სო-

ციალური წინააღმდეგობანი. ეს პიესა მხოლოდ შევჩენკოს სიკვდილს შემდეგ დაიბეჭდა. 1877 წელს ჩელომისკის მცირე თეატრმა დადგა, მას შემდეგ კი მტკიცედ დამკვიდრდა როგორც უკრაინული, ისე რუსული თეატრის რეპერტუარში.

ამიერიდან მხატვრობა მეორე პლანზეა შევჩენკოსათვის, იგი მთლიანად პოეტურ შემოქმედებაზე გადადის. და თუმცა, ამ ადრეულ პერიოდში პოეტურ ჯერ კიდევ შორსაა კლასობრივ საზოგადოებაში ანტაგონისტურ ძალთა ბრძოლის სრული გაგებისაგან, მისი მსოფლმხედველობა და შემოქმედების რეალისტური ხასიათი თანდათან ყალიბდება რევოლუციური დემოკრატიზმის მტკიცე საფუძველზე.

1843 წელს შევჩენკო მშობლიურ უკრაინაში გაემგზავრა. სამშობლოში გატარებულმა დრომ დიდი გავლენა მოახდინა მისი საზოგადოებრივი შეხედულებების, მსოფლმხედველობის საბოლოოდ ჩამოყალიბებაზე.

უკრაინაში პოეტი დიდი პატივით მიიღეს. მისი სახელი უკვე ჰქუხდა, უკრაინელმა მემამულეებმაც კი ფართოდ გაუღეს კარი მხატვარს და პოეტს.

მრავალი ბედნიერი წუთი განიცადა შევჩენკომ ამ თავისი პირველი მგზავრობის დროს. განსაკუთრებით დაუახლოვდა იგი თავად რეპნიენების ოჯახს. თავადის ქალს ვარვარა ნიკოლოზის ასულს ღრმა სიყვარულით, დიდი გატაცებით შეუყვარდა ახალგაზრდა ტარასი. იგი მზად იყო ცოლადაც კი გაჰყოლოდა პოეტს, მაგრამ დიდი იყო მათ შორის სოციალური უთანასწორობის ზღვარი და ახალგაზრდა ქალის ნათესავეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ჩაეშალათ ეს კავშირი.

პოეტს დამკვირბაც არ აცდა სამშობლოში.

ასეთი შემთხვევაც იყო. „ერთხელ, სუსხიან შეაგულ ზამთარში მემამულე ლუკაშევიჩმა რაღაც უმნიშვნელო საქ-

მისათვის შევჩენკოს იაგოტინში — 30 ვერსის მანძილზე — თავისი ყმა გაუგზავნა სასტიკი ბრძანებით, პასუხი დღესვე მომიტანეო. შევჩენკომ რომ ასეთი უადამიანო ბრძანების ამბავი გაიგო, სთხოვა მსახურს ღამე მასთან გაეთია და პასუხი დილით წაეღო, მაგრამ ბატონის შიშით გლეხი არ დარჩა და იმ ღამესვე გაუდგა უკან გზას. შევჩენკო აღშფოთებული იყო ლუკაშევიჩის მოქმედებით და მკაცრი წერილი მისწერა მას. შევჩენკოს ჩარევით განრისხებულმა მებატონემ პოეტს ქაღალდის ნაგლეჯზე მიწერილი შემდეგი ბარათი გამოუგზავნა: „შენისთანა რეგვენი 300 სული მყავსო“. როდესაც პოეტი ამ შემთხვევას ვისმე უამბობდა, ბავშვივით სტიროდა“.

40-იანი წლების დასაწყისში უკრაინაში მოღებულ იყო გლეხთა აჯანყებები. ობიექტური სინამდვილის ზეგავლენით, გლეხობის ანტიბატონემური მოძრაობის ზრდასთან ერთად თანდათან იცვლება შევჩენკოს შეხედულებანი ზოგიერთ საკითხზე და ყალიბდება მისი რევოლუციური განწყობილებანი. ამას თან ერთვის პირადი შთაბეჭდილებანიც უკრაინაში მოგზაურობიდან.

თუ პოეტის ყველა ადრეული ნაწარმოები თავის დროზე დაიბეჭდა, მისი ახალი ლექსების გამოქვეყნება შეუძლებელი იყო, რადგან მათ მკვეთრად გამოვლენილი ანტიბატონემური და რევოლუციური ხასიათი ჰქონდათ.

უკრაინაში ცხრა თვის ყოფნის შემდეგ 1844 წლის დასაწყისში შევჩენკო კიევიდან პეტერბურგს გაემგზავრა. გზად იგი მოსკოვში შეჩერდა, სადაც გაეცნო და დაუმეგობრდა ცნობილ მსახიობს მიხეილ შჩეპკინს. ამ უკანასკნელმა პოეტის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა. ხალხის წიაღიდან გამოსული დიდი ხელოვანი დემოკრატიული შეხედულებების ადამიანი იყო და იმ წრეში ტრიალებდა, რომელშიაც გერცენი, გრანოვსკი, სტანკევიჩი და სხვები შედიოდნენ, სადაც მან შევჩენკოც შეიყვანა. ამან უფრო განამტკიცა პოეტის

ახალ შეხედულებათა საფუძვლები და დააჩქარა მათზე გადასვლა.

ამ წლების პოეტური შემოქმედებით მოწმობს შევჩენკოს ნიჭის არაჩვეულებრივ ზრდასა და მომწიფებას. უკრაინაში მიღებული შთაბეჭდილებების და რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაში გავრცელებული განმათავისუფლებელი იდეების ზეგავლენით, ამ პერიოდში, რომელსაც პირობითად „სამ წელს“ (1843—1845) უწოდებენ, იგი იქცევა თვითმპყრობელურ-ბატონემური წყობილების შეგნებულ რევოლუციურ მამხილებლად.

თუ წინათ პოეტი უმღეროდა გმირულ წარსულს, მამაც წინაპართა თავდადებას, ახლა გადადის რევოლუციურ სატირაზე, რომელიც ძირს უთხრის არსებულ წყობილებას, პოლიციურ რეჟიმს.

ასეთია შევჩენკოს მძაფრი სატირული ნაწარმოები პოემა „სიხმარი“. ესაა უზარმაზარი ტილო, მწვავე სატირა ნიკოლოზ I-ის რუსეთზე, რეაქციის მესვეურებზე, ხალხის უღმობელ მჩაგვრელებზე. პოემას შევჩენკომ „კომედია“ უწოდა. ამით მან ხაზი გაუსვა მის ალგორითულ, მამხილებელ ხასიათს. მასში ფართოდაა გამოყენებული ირონია, სარკაზმი, პიკერბოლა.

დაბატონების შემდეგ, დაკითხვავზე პოეტმა გაბედულად უპასუხა ქანდარმებს: „ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას მე ყველგან მესმოდა ცული მეფესა და მთავრობაზე. მალოროსიაში დაბრუნებისას, მე მესმოდა კიდევ უფრო ცული მოხუცსა და ახალგაზრდებს შორის; მე დავინახე სილატაკე, მემამულეთა მიერ გლეხების საშინელი ჩაგვრა, და ყველაფერი ეს ხდებოდა და ხდება მეფისა და მთავრობის სახელით“.

ჩაიგდეს თუ არა ქანდარმებმა ხელში პოემის ხელნაწერი, მაშინვე აცნობეს პირადად ნიკოლოზ I „დანაშაულებრივი“ ნაწარმოების შესახებ.

ქანდარმებმა „სიხმარი“ შეაფასეს, როგორც ნიკოლოზ I შეურაცხყოფა.



სინამდვილეში მისი მნიშვნელობა გაცილებით ფართოა: ესაა სატირული ასახვა მეფის მთელი წყობილებისა, ფეოდალურ-ბატონყმური მონარქიისა მთლიანად. მასში მოცემულია მეფისა და მთავრობის ხელშეწყობით ხალხის გაყვლეფის საშინელი სურათი.

ეს ნაწარმოები მრავალმხრივია და მრავლის შემცველი. მასში შერწყმულია მწვევე სატირა და ღრმადამიანური ლირიკა, ისტორია და სოციოლოგია, ტრაგიკული და კომიკური. ამგვარი შთანთქმის ხორცშესხმისათვის ფორმაც ახალი გახდა საჭირო. „სიზმარი“ მაგალითია იმისა, თუ როგორ აფართოებდა შევჩენკო მის დროს დამკვიდრებულ ენარს პოემისას. პოეტმა შეათავსა, შეახმატებია სრულიად სხვადასხვა ელემენტები ლირიკიდან დაწყებული სატირამდე, რათა უფრო ღრმად, სისავსით გამოევიდნა სამყაროს ხედვის იდეურ-მხატვრული მრავალფეროვნება.

შევჩენკოს პოემიდან კლასობრივი ბრძოლის სუნთქვა მოდიოდა. მასში უშუალოდ ისახებოდა გლეხური ანტი-ბატონყმური აჯანყებების მძვინვარება. ხალხის განთავისუფლებას პოეტი რევოლუციისაგან მოელოდა. და შემთხვევითი არ იყო, რომ „სიზმრის“ მეორე სურათში მან გვიჩვენა ციმბირის კატორღა, რომელშიც თავისუფლებისათვის მებრძოლები, დეკაბრისტები იტანჯებოდნენ და, თუმცა მათი სახელები ნახსენები არ არის, მაგრამ ნათელია, რომ სწორედ ისინი ჰყავდა პოეტს მხედველობაში.

ხალხის ცხოვრების საშინელ მდგომარეობას აღწერს პოეტი შესანიშნავი რეალისტური დეტალებით და ექსპრესიით.

შევჩენკო ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებს თავის გასანთავისუფლებლად, აქ იგი, ისევე როგორც ადრე, კვლავ სვამს საკითხს ძველი გმირობისა და თავდადების ახალ პირობებში აღორძინებისა; ხალხი, მასაა ისტორიის მთა-

ვარი გმირი, უძლეველი და ყოვლისშემძლე. მასშია ხსნა და მომავალდუნა

1845 წელს შევჩენკომ სამხატვრო აკადემია დაამთავრა და კვლავ სამშობლოში გაემგზავრა. ეს წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი რევოლუციური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

უკრაინა გახვეული იყო გლეხთა აჯანყებების ცეცხლში.

ამ მღელვარებებისა და აჯანყების მოწმე გახდა ტარასი. ახლა უკვე მთლიანად „თვალახელილი“ პოეტი კარგად ერკვეოდა არსებულ წინააღმდეგობებში და ძალა შესწევდა ჰემმარიტი სიმართლე გადმოეცა თავის პოეტურ ქმნილებებში. ამიტომაცაა, რომ ამ წლიდან დაწყებული, შევჩენკო დგება მემამულეთა თვითნებობის მკაცრი მამხილებლის სიმალღეზე, გვევლინება ხალხის ინტერესების დამცველის, სოციალური უთანასწორობის, უკუღმართობის, ეკონომიური და პოლიტიკური უსამართლობის უკომპრომისოდ და ღრმად ამხსნელის როლში.

დიდი ძალის მხატვრული სახეებით გვიჩვენებს პოეტი, თუ რა ადვილად მოაქვს ბატონყმურ ექსპლოატაციას სიმდიდრე მემამულესათვის და სიღატაკე გლეხებისათვის.

მდიდრისათვის წყალი მთაზე
თვითონ ადის გასახარი.
ღარიბი კი დაბლობშია ც
თხრის წყაროს და არსად არი —

აღნიშნავს შევჩენკო თავის რევოლუციურ ხასიათის პოემაში „ჰოტი“.

უკრაინაში 1845 წელს დაწერილ ნაწარმოებებში „სუბოტოვო“, „ცოცხლებსა და მკვდრებს“, „ცივი ზევი“, „ანდერძი“ და სხვ., მან ისეთი ძალით გამოხატა გლეხობის პროტესტი ბატონყმობის მიმართ, რომ რევოლუციურ-დემოკრატიული მგზნებარების მწვერვალს მიაღწია.

ლექსში „მკვდრებსა და ცოცხლებს და ჯერ კიდევ არშობილ თანამემამუ-

ლებს“, ისე, როგორც „ანდერშში“ შევჩენჯომ უდიდესი რევოლუციური პათოსით მოუწოდა ხალხს პირდაპირ აჯანყებისაკენ. პირველი ლექსი დაწერილია 1845 წლის 14 დეკემბერს, დეკაბრისტთა აჯანყების 20 წლისთავზე. თვითმპყრობელობის ჩაგვრის საპირისპიროდ: პოეტი მოუწოდებს ცოცხლებს შეიყვარონ თავიანთი სამშობლო და იხსნან ფეოდალიზმის მონობისაგან. მებატონეებს იგი ურჩევს მოსპონ ბატონყმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის აჯანყებით ემუქრება მათ.

ბატონყმობის მხილებისას შევჩენჯომ შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და ლიბერალიზმის წინააღმდეგაც. პოეტის განსაკუთრებული დამსახურება მდგომარეობს ამაში, რომ მან ჩამოხსნა — „პატრიოტებისა“ და ლიბერალების ნიღაბი უკრაინელ მებატონეებს. ბევრი მათგანი ცდილობდა ხალხის მოყვარულად ეჩვენებინა თავი, ლაყბობდა „უმცროსი ძმისადმი“ სიყვარულზე.

იმ პერიოდში უკრაინელი ნაციონალისტები ჭადაგებდნენ „თეორიას“ უკრაინელი ერის „უკლასობისა“ და „ბურჟუაზიულობის“ შესახებ. შევჩენჯომ კი გვიჩვენა მკაცრი კლასობრივი დიფერენციაცია საზოგადოებაში, ორი საწინააღმდეგო ბანაკის შეურიგებელი ბრძოლა. ბურჟუაზიული ლიბერალებისაგან განსხვავებით, რომლებიც თვლიდნენ, რომ ბატონყმობა შეიძლება მხოლოდ მეფის ნებასურვილით გაუქმდეს, შევჩენჯომ ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. თავის პოეტურ ანდერშში, რომელიც მან 1845 წელს მძიმე ავადმყოფობის დროს დასწერა, იგი უშუალოდ ხალხს მიმართავდა გაეწყვიტათ ბორკილები და თავისუფლება მტრის სისხლით მოეპოვებინათ.

დამმარხვით და დამსხვრით
ბორკილები რისხვით.
თავისუფალ ბედს ასხვრით
მტრის ბორკი სისხლი,
და იმ ახალ დიდ ოქანში

შეებით თუ დამკვიდრდით,
მეც გახსოვდეთ, მომივინებთ
სათნო, წყნარი სიტყვიბი.
(„ანდერში“, თარგმ. ს. ჩიქოვანისა)

პოეტი თანდათან სულ უფრო მტკიცედ დაუკავშირდა იდეურად რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას. შევჩენჯოს საუკეთესოდ ესმოდა, რომ მეფის რუსეთის სხვა ხალხებიც ისევე დაჩაგრული იყვნენ, როგორც უკრაინელი ხალხი. პოეტის რისხვა მიმართული იყო მეფის კოლონიზატორების თვითნებობისა და სიმკაცრის წინააღმდეგ დამონებული ხალხების დასაცავად. და თუ ადრეულ შემოქმედებაში შევჩენჯომ გამოდიოდა მხოლოდ დამონებული უკრაინელი ხალხის სახელით, ახლა მან შეიგნო უზარმაზარი იმპერიის ყველა დაჩაგრული ხალხის ერთნაირი ბედი.

ამ თემას მიუძღვნა მან პოემა „კავკასია“.

დიდება თქვენს ვაჟაკობას,
თოვლიანო მთებო,
თქვენ — დიდება. არ დაწებდეთ
მოძალადე სეავესს,
სიმაართლე თქვენს მხარეზეა,
შორეულო ძმებო,
ზეცის მაღლი ვფინება
თქვენს ჭაღარა თავებს —

(თარგმ. კონსტ. ლორთქიფანიძისა)

ასე მიმართავდა პოეტი კავკასიის თავისუფლებისმოყვარე, მებრძოლ ხალხს. შევჩენჯომ გვიჩვენა, რომ მეფის რუსეთი ერთნაირად საპყრობილე იყო ყველა ხალხისათვის, რომელიც ვრცელ იმპერიაში შედიოდა. თავდაზნაურული რეაქციული ლიტერატურის ტრადიციების საწინააღმდეგოდ, იგი გამოხატავდა პროტესტს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. მთლიანად ეს პოემა ეძღვრს, როგორც მხილება თვითმპყრობელობის მტაცებლური მოქმედებისა.

ავტორის მთელი სიმპათიები მთიელების მხარეზეა, იგი მათ შესანიშნავად

სიტყვებით, დიდი მგზნებარებით მიმართავს, რომ სიმართლე მათთანაა, უნდა განაგრძონ ბრძოლა თავისუფლებისათვის. შევჩენკოს მტკიცედ სჯერა, რომ ხალხთა მომავალი ბედნიერი იქნება, ხალხთა ერთიანობაში ხელდავს იგი ჯალთებისაგან მათი მომავალი განთავისუფლების საწინდარს:

ხარ სიმართლის ბობოქარი ნება,
გეჯერა მარად უძლეველი მოხვედ, —
მოიტანო ჰეშმარტი შეება
თვითველი დაჩაგრულის ქობთან.
და საუკუნო
ბედნიერებით
უოველი ერი გიმღერებს ჭებას...

„კავკასიაში“ შევჩენკომ წამოაყენა დიადი იდეა ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მეფის რუსეთის პირობებში. მან უმღერა ხალხთა ერთობას და შექმნა ძლიერი სახე უკვდავი პრომეთეოსისა ხალხთა ძლიერებისა და თავისუფლების სიმბოლო.

ძველთაგანვე პრომეთეოსს
აქ არწივი სიძივნის,
გულს უჯორტნის მოთქრიალებს
ნაკადული სისხლის.
ეწაფება და ეერ აშრობს
სისხლის ცხოველ წყაროს,
გული ისევ მოცოცხლებდა,
გული ისევ ხარობს,
და სიმართლევ არ მოკვდება...

პრომეთეოსის სახით პოეტი გვიჩვენებს ხალხის უკვდავებას, მის შეუჩერებელ მისწრაფებას თავისუფლებისაკენ. „კავკასია“ პირველად დაიბეჭდა საზღვარგარეთულ არალეგალურ გამოცემაში — „პუშკინისა და შევჩენკოს ახალი ლექსები“.

ეს პოემა ერთ-ერთი უშესანიშნავესი ნაწარმოებია შევჩენკოს მთელს პოეტურ შემოქმედებაში.

პოეტის შემოქმედებაში მკვეთრად გამოსახული ყველა სლავი ხალხის ერთიანების იდეაც. ამას იგი გამოხატავდა ჯერ კიდევ თავის აღრეულ ნაწარმოებებში. კიდევ უფრო ფართოდ

ეს იდეა წამოაყენა შევჩენკომ პოემადი „ერეტიკოსი“, რომელიც მოქმედებს: გა-
მოჩენილ მეცნიერს პ. შატრაძესთან

ამ პოემაში მოთხრობილია დიდ ჩეხ პატრიოტზე, XIV საუკუნის დასასრულსა და XV საუკუნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელზე — იან ჰუსზე. პოეტმა შექმნა მონუმენტური სახე მგზნებარე ტრიბუნისა, ვატკიანის წინააღმდეგ გაბედული მებრძოლისა, პატრიოტისა, რომელიც მიმართავს მოწოდებებით უშუალოდ ხალხს. დაუმორჩილებელი იან ჰუსი იღუპება ინკვიზიციის კოცონზე, მაგრამ მის მიერ შთაგონებული და აღფრთოვანებული ხალხი ბრძოლას განაგრძობს.

პოემა „ერეტიკოსი“ გამსჭვალულია კეთილშობილური რისხვით ბნელეთის მოციქულ ვატკიანის მიმართ, რომელიც დღემდე მსოფლიო რეაქციის ერთ-ერთ ცენტრად რჩება.

„სამი წლის“ პერიოდში შევჩენკომ შექმნა შთამბეჭდავი სახეები ცხოვრებისაგან გაუბედურებული ქალებისა პოემებში „მოჯამაგირე ქალი“, „კულიანი“, ბალადები „ლილეა“ და „ალი“. პოემამ „მოჯამაგირე ქალი“ დობროლი უბოვის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

იმ მოწინავე ადამიანებს, რომლებიც „დეკაბრისტებმა გამოადვიძეს“ (ლენინი), შევჩენკოც ეკუთვნოდა. მის რევოლუციურ დემოკრატიულ შეხედულებათა ფორმირებაში, როგორც აღინიშნა, დიდი როლი ეკუთვნის პროგრესულ რუსულ ლიტერატურას, კერძოდ ნ. ვ. გოგოლს. ჯერ კიდევ სიყმაწვილის წლებში პეტერბურგში შევჩენკო გატაცებით კითხულობდა ამ დიდი რუსი მწერლის ნაწარმოებებს, ნახა სცენაზე „რევიზორი“. გოგოლის კრიტიკული რეალიზმი ნამდვილი სკოლა იყო შევჩენკოსათვის „სამი წლის“ პერიოდში, როდესაც იგი საბოლოოდ დგება თვითმპყრობელური და ბატონყმური სინამდვილის მკაცრი მხილიბის გზაზე.

შევჩენკო არა მარტო პოეტური შემოქმედებით ეწეოდა რევოლუციურ

პროპაგანდას. იგი ცდილობდა პრაქტიკულადაც, პირადი მოქმედებით მიეღო მონაწილეობა რევოლუციის მომზადებაში.

1845 წ. იგი მიიწვია კიევის არქეოგრაფიულმა კომისიამ კულტურის ძველი ძეგლების ჩასახატავად. პოეტი მოგზაურობდა კიევის, პოლტავისა და ვოლნის გუბერნიებში ხატავდა ძეგლებს, აგროვებდა და იწერდა ხალხურ სიმღერებს, ლეგენდებსა და თქმულებებს.

ამ მოგზაურობის დროს დაიწყო მან რევოლუციური აგიტაცია გლეხობაში.

თანამედროვეთა გადმოცემით შევჩენკო ყველგან — კიევში, პოდოლში, სოფლებში, ქალაქებში, გამოდიოდა უბრალო ხალხის წინაშე და ამტკიცებდა, რომ უკრაინაში მალე მოისპობიან პანები და მემამულეები, ზოგან თავის მგზნებარე ლექსებს კითხულობდა და ხალხს რევოლუციისაკენ მოუწოდებდა. მან იცოდა 1830 წლის რევოლუციის ამბები. იცოდა, რომ რევოლუციური ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელი იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა. იგი ეძებს რევოლუციურად განწყობილ ადამიანებს და ამ მიზნით ეცნობა 1846 წლიდან კიევში არსებულ ეგრეთწოდებულ „კირილე-მეთოდეს საზოგადოების“ წევრებს — ნ. კოსტომაროვს, პ. კულიშს, ვ. ბელოზერსკის, ნ. გულაკს და სხვებს.

„კირილე-მეთოდეს ძმობის“ ანუ საზოგადოების პოლიტიკური პროგრამა ძირითადად მათი წევრების პოლიტიკურ მოუქმეობაზე და ლიბერალიზმზე მიუთითებდა. ამ ლიბერალიზმის იდეებს შევჩენკო არ იზიარებდა. კოსტომაროვის ჩვენებით, პოეტი კრიტიკულად მოეკიდა საზოგადოების იდეებს, რომლებიც იმაში გამოიხატებოდა, რომ მშვიდობიანი, ლეგალური გზით გამოეთხოვათ მეფის მთავრობისაგან ოდნავი თავისუფლება უკრაინელი ხალხისათვის. შევჩენკო შევიდა იმ საზოგადოებაში და დაიწყო ბრძოლა ლიბერალების წინააღმდეგ, იგი იცავდა ბატონყმობის მოსპობის რევოლუციურ გზას. მას სურ-

და განეხორციელებია ფართო რევოლუციური პროგრამა, რომელიც მართლ უკრაინას როდი მოიცავდა, ვიდრე კავშირს სხვა ორგანიზაციებთან. ამის შესახებ იცოდა გერცენმაც, რომელიც პოეტს „პოლიტიკურ მოღვაწეს და თავისუფლებისათვის მებრძოლს“ უწოდებდა.

„კირილე-მეთოდეს საზოგადოების“ არსებობა ჩქარა ცნობილი შეიქნა მეფის ჟანდარმერიისათვის, მისი წევრები დაპატიმრებულ იქნენ, მათ შორის შევჩენკოც.

მეფე და მისი უახლოესი თანაშემწე, ჟანდარმების შეფი გრაფი ა. ორლოვი, უშუალოდ ზელმძღვანელობდნენ გამოძიებას „კირილე-მეთოდეს ძმობის“ გამო. თავდაპირველად ჟანდარმებმა ეს საზოგადოება მეტად საშიშ რევოლუციურ ორგანიზაციად მიიჩნიეს, მაგრამ შემდეგ დარწმუნდნენ, რომ მისი ლიბერალი წევრები არც ისე სახიფათონი იყვნენ მთავრობისათვის და ამიტომ მათ შედარებით იოლი სასჯელი დაადეს: ზოგი გააწვეს სხვადასხვა გუბერნიებში სამუშაოდ და მხოლოდ ერთი ჩასვეს ციხეში სამი წლით (ეს იყო ნ. გულაკი, რომელმაც უარი თქვა შეკითხვებზე ეპასუხება).

სულ სხვანაირად დატრიალდა შევჩენკოს საქმე. მის ქალაქებში აღმოჩინეს მთავრობის საწინააღმდეგო რევოლუციური ლექსები, პოემა „სიზმარი“, ჩანახატები და სხვა მასალები.

მესამე განყოფილების მესვეურები წერდნენ: „ქალაქებს შორის აღმოჩნდა რამდენიმე ლექსი მალორუსულ ენაზე, რომელნიც მხატვარ შევჩენკოს უნდა ეკუთვნოდეს. მათში ლაპარაკია ჩაგვრაზე, დადგრილ სისხლზე, ბორკილებზე, მათრახებზე, ციმბირზე და სხვაზე. ისინი გამსჭვალულია მძულვარებით მთავრობის მიმართ და შეთხუელია იმ მიზნით, რათა ხალხში გამოეწვიოთ უკმაყოფილება მთავრობისადმი“.

„კირილე-მეთოდეს საზოგადოების“ წევრობა პოეტს ვერ დაუმტკიცეს, მაგამათ მთავრობას ეს არ სჭირდებოდა. პო-

ემა „სიზმარი“, ბუნებრივია, მათთვის უფრო საშიში აღმოჩნდა, ვიდრე საზოგადოების წევრთა ლიბერალური ოცნებანი. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ „სიზმარი“ უამრავი ხელნაწერის სახით გავრცელდა კიევში, პოლტავაში, მოსკოვში, ოდესაში, პეტერბურგში, ბელორუსიაში და კავკასიაში, გასაგები იქნება, თუ რატომ გააცოფდა ქანდაკებები ამ პროპაგანდისტულმა ნაწარმოებმა.

საბოლოო განაჩენი თვით მეფემ გადაწვიტა: „ყოფილი მხატვარი ტარას შევჩენკო აღმაშფოთებელი ლექსების შეთხზვისათვის გაიგზავნოს რიგით ჯარისკაცად ორენბურგის ცალკე კორპუსში სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ, აეკრძალოს წერა და ხატვა“...

ასე ჩაგდეს ახალ მონობაში ყმობიდან ერთხელ თავდახსნილი გენიოსი.

მღელვარების გარეშე არ შეიძლება წაიკითხოს კაცმა შევჩენკოს დღიურში ერთი ადგილი: „მე რომ მხეცი, სისხლისმსმელი ვყოფილიყავ, მაშინაც კი ვერ გამოიგონებდნენ ჩემთვის უარეს სასჯელს ვიდრე ჯარისკაცად ორენბურგში გადასახლება. აი რაშია მიზეზი ჩემი გამოუთქმელი ჯავრისა. და ყველაფერ ამასთან ერთად, ამიკრძაღეს ხატვაც. წამართვეს ყველაზე კეთილშობილი ნაწილი ჩემი უბედური არსებობისა. ტრიბუნალი თვით სატანის თავმჯდომარეობითაც კი ვერ გამოიტანდა ასეთ სუსხიან, არაადამიანურ განაჩენს. ხოლო მისმა უგულლო შემსრულებლებმა აღასრულეს იგი აღმაშფოთებელი სიზუსტით.“

წარმართმა ავგუსტოსმა, როცა ნაზონი ველურ ვოთებთან გაგზავნა, არ აუკრძალა მას წერა და ხატვა. ქრისტიანმა ნიკოლოზმა კი ამიკრძალა მე ერთიც და მეორეც. ორივე ჯალათია. მაგრამ ერთი მათგანი ქრისტიანი ჯალათია, ქრისტიანი მეცხრამეტე საუკუნისა“...

კახემატში ყოფნის დროს 17 აპრილიდან 30 მაისამდე შევჩენკომ ლექსების მთელი ციკლი დასწერა. იგი შედგება 13 ლექსისაგან საერთო სათაურით „კახემატში“. ამ ლექსების შინაარსი სხვადა-

სხვანაირია. ავტორი იგონებს მშობლიურ უკრაინას, აღონებს მესამე-გლეჩი ქალების ბედი — კატერინას, მტეფდეს მსგავსი, ფიქრობს ახალგაზრდა ყმის ცხოვრების მძიმე გზაზე. ჩნდება ახალი თემებიც მის შემოქმედებაში, რომელნიც მოწმობენ, რომ მას არ უღალატნია თავისი რწმენისათვის, რომ იგი კვლავ რევოლუციონერია, ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი. ერთ-ერთ ლექსში ამ ციკლიდან იგი ამბობს:

ჩემთვის ერთია, სადაც ვიქნები,
უკრაინაში თუ სხვა მხარეში,
დე დამიფიქონ ჩემი წიგნებით,
ჩამქოლონ თოვლის ცივ სამარეში
ჩემთვის ერთია, სადაც ვიქნები...
მაგრამ არ არის ჩემთვის სულ ერთი,
რომ ურდოები საშინელ მტერთა
ჩვენს უკრაინას დაახინებენ,
გასძარცვავენ და გააღვიძებენ,
სისხლისგან დაცილის ცეცხლმოკიდებულს
ვადამხრებულს, მტერში დადებულს,
ო, ეს არ არის ჩემთვის სულ ერთი!

(„ჩემთვის ერთია“. თარგმ. ვალ. გაფრინდა-შეილისა).

დიდი ხნით გამოეთხოვა შევჩენკო თავისუფლებას, ბევრი წელი გაივლის, ბევრი ამბავი მოხდება, ვიდრე იგი ფიზიკურად უკვე გამტყდარი, ცოტა ხნით მაინც დაუბრუნდება აღამიანურ ცხოვრებას და თავისუფლების ჰაერით ისუნთქებს. გადასახლების წელს იგი 33 წლის კაცი იყო, აქედან 24 წელი ყმობაში სქონდა გატარებულ...

III

საოცარი სისწრაფით გააქანეს შევჩენკო ქანდაკებმა პეტერბურგიდან. რვა დღეში გადასერეს უზარმაზარი გზა ორი ათასზე მეტი ვერსი და 9 ივნისს ტყვე ორენბურგში ჩაიყვანეს და შორეულ ორსკის ციხე-სიმაგრეში განაწესეს. ორსკის ციხე ორენბურგიდან 250 ვერსზე მდებარეობდა გაშლილ სტეპზე მდინარე ორის პირად. იგი წარმოადგენდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარების დასაყრდენს იმ მხარეში.

არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ დიდი პოეტი მძიმე დღეში იმყოფებოდა.

მაგრამ პოეტური შემოქმედების მძლავრი სურვილი ამ მძიმე დროსაც არ სტოვებს შევჩენკოს. სასტიკი აკრძალვის მიუხედავად, იგი განაგრძობს ლექსების წერას. ლექსების ჩასაწერად განსაკუთრებული წიგნაკებით სარგებლობს, რომელსაც ჩექმის ყელში მალავს. ოთხმა ასეთმა წიგნაკმა მოაღწია ჩვენამდე. მათშია მოთავსებული ამ პერიოდის ლექსები.

გადასახლებისდროინდელი შემოქმედება თვით პოეტმა დაახასიათა როგორც „ტყვეობის პოეზია“, „ტყვეობის მუზა“. მორალურ მხარდაჭერას იგი ამ პერიოდში პუშკინის, ლერმონტოვის და გოგოლის შემოქმედებაში პოულობდა.

თავის ახლანდელ პოეტურ შემოქმედებაში შევჩენკო ვაჟაკ-მებრძოლად გვევლინება. პოეზია მისთვის სასოწარკვეთილების წინააღმდეგ ბრძოლა იყო, იგი უკაცებდა მას ნებისყოფას. მის ლექსებში ჩვენ ვერ ვიპოვით მონანიების აზრდისაღკვეთი, „მე ტყუილად ვიტანჯები შორეულ მხარეს... მაგრამ მაინც არ ვნანობ!“ აცხადებს იგი ერთერთ ლექსში. მას არ აწინებს სასჯელი იმის გამო, რომ მეფის ბრძანების მიუხედავად, კვლავ განაგრძობს შემოქმედებას.

ბევრს ეგონა, რომ სალდათობაში შევჩენკომ ხელი აიღო პოეზიაზე და არაფერი მნიშვნელოვანი არ შეუქმნია იმ პერიოდში. სინამდვილეში კი იგი კვლავ რევოლუციურ პოზიციებზე დგას და შორიდან წყევლა-კრულვას უთვლის მჩაგვრელებს.

ორსკის ციხე-სიმაგრე შევჩენკოსათვის დროებითი ადგილსამყოფელი აღმოჩნდა და უფრო უკეთესი, ვიდრე ის, რაც მას წინ მოელოდა. უფროსების ბრძანებით იგი უნდა წასულიყო არალის ზღვის ნაპირებთან, რაიმში.

1948 წლის მაისში გაემართა პოეტი მძიმე მოგზაურობაში არალისაკენ. მალე ასეთი შემთხვევა მოხდა. არალის ზღვის შესასწავლად გამოგზავნილ კა-

პიტან — ლეიტენანტ ა. ბუტაკოვს მხატვარი დასჭირდა ზღვის ნაპირების დასახატავად. მან გაიგებინა მხატვრის გამოცდილი მხატვარი შევჩენკო და თხოვნით მიმართა კორპუსის უფროსს. ობრუჩევს მიეცა მისთვის პოეტი ექსპედიციაში. ობრუჩევმა ეს შეუძლებლად მიიჩნია, რადგან შევჩენკოს აკრძალული ჰქონდა ხელში აეღო კალამი, ფანქარი ან ყალამი და მის მაგივრად ბუტაკოვს ორი გადასახლებული პოლონელი — ზალესკი და ტურნო — მიამაგრა. მაშინ მკვლევარმა შევჩენკო უბრალო მატროსად ითხოვა, რაზედაც ობრუჩოვი დათანხმდა.

ბუტაკოვის ექსპედიცია გემით სირდარიიდან არალის ზღვაში შევიდა და კოს-არალის კუნძულს მიადგა. აქ გაატარა 1848-1849 წლის ზამთარი შევჩენკომ. ექსპედიციის პერიოდში მან მრავალი სურათი დახატა ფანქრით და აკვარელით.

კოს-არალზე ცხოვრება მძიმე იყო. იგი საცხებით მოწყვეტილი იყო ქვეყნიერებას. ფოსტა წელიწადში ერთხელ ორჯერ თუ მოდიოდა. პოეტი მწვავედ განიცდიდა მართობას, ავადმყოფობდა. თუმცა, ამ ექსპედიციაში მონაწილეობამ ბევრი ახალიც შესძინა მას, მრავალი შთაბეჭდილება განაცდევინა.

რაც მთავარია, შევჩენკომ თავი დააღწია ყაზარმის შეხუთულ ატმოსფეროს. განთავისუფლდა სალდათური წვრთნისაგან, შედარებით დამოუკიდებელი გახდა უფროსებისაგან.

ამას არ შეეძლო კეთილი გავლენა არ მოეხდინა მის შემოქმედებაზე. მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა, სწორედ ამ პერიოდში დასწერა მან 70-ზე მეტი ლექსი და 720-ზე მეტი სურათი, ჩანახატი, პორტრეტი, გრაფიურა. პოლონელ ზალესკისთან ერთად აგროვებდა იგი ყაზახურ, ყირგიზულ და თურქმენულ ფოლკლორს, ხატავდა ამ ხალხთა ისტორიულ ძეგლებს და პეიზაჟებს.

შევჩენკოს ამ პერიოდის მხატვრული შემოქმედება იმის დადასტურებაა, რომ მისი პოეზიის მხატვრულ იდეური დო-

ნე სრულიადაც არ დაცემულა. კოს-არალზე შექმნა მან მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: „მეფეები“, „ქტიტორის ქალი“, „მარინა“, „წინასწარმეტყველი“, „შვაჩკა“, „ქირი“ და სხვები.

მეფისა და მისი ხელქვეითების მიერ დევნილი, შორეულ ციხე-სიმაგრეებში გადახვეწილი შევჩენკო უშიშრად განაგრძობდა იმავე რევოლუციური იდეების გამოხატვას, რომელსაც იგი თავისუფლებაში ერწმუნა.

პოეტი ყურადღებით აკვირდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრებას. ყირგიზების მდგომარეობა მძიმე იყო მეფის მთავრობის ჩინოვნიკების ხელში. ისინი არაერთხელ აჯანყებულან. ათასობით იხოცებოდნენ ღარიბი ყირგიზები, მეფის რაზმები მთელ სოფლებს აწიოკებდნენ და ჰყრიდნენ მიჩვეულ ადგილებიდან უწყლო უდაბნოში. თავისი სიმპათიები ყირგიზების მიმართ შევჩენკომ გამოხატა ლექსში „ფიჭრები“, ხოლო შემდეგ დაამუშავა ძველებური ყირგიზული ხალხური ლეგენდა.

კოს-არალში შევჩენკო ბევრს მუშაობდა. ექსპედიციის დიდი მასალის საბოლოოდ დამუშავება ორენბურგში ხდებოდა, სადაც გადაინაცვლა კიდეც ექსპედიციამ, მაგრამ შევჩენკოს იქ გადასვლას სპეციალური ნებართვა სჭირდებოდა. ბუტაკოვი საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, დაბეჯითებით მოითხოვდა ამას. მაგრამ საქმე ჰიანურდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, 1849 წლის ნოემბერს შევჩენკოს ნება დართეს ორენბურგს ჩასვლისა, სადაც იგი კერძო ბინაზე ცხოვრობდა და ექსპედიციის მასალებს ამუშავებდა.

პოეტის გარშემო თანამოაზრეთა პატარა ჯგუფმა მოიყარა თავი. მათ უკითხავდა იგი თავის ახალ ლექსებს, უმღეროდა უკრაინულ სიმღერებს, აჩვენებდა ახალ ნახატებს. აქვე ხდებდა გადასახლებულ პოლონელ რევოლუციონერთა დიდ ჯგუფს და პეტრაშეველთა

საქმის გამო გადასახლებულ ცნობილ რუს პოეტს ა. პლეშჩეევს. ორენბურგში შედარებით თავისუფალი ცხოვრება ვერ აკმაყოფილებდა შევჩენკოს მით უმეტეს, რომ ხელისუფალთა ბრძანებით შემდგომ წელს იგი კვლავ უნდა წასულიყო არალის ზღვაზე მძიმე პირობებში სამუშაოდ. თანაც პეტერბურგიდან მოვიდა ცნობა, რომ მას კვლავ ეკრძალება წერა და ხატვა.

შევჩენკო იწყებს ზრუნვას იმისათვის, რომ ხატვისა და წერის ნებართვა მაინც მიიღოს ოფიციალურად. იგი ბევრს მიმართავს ამ თხოვნით, მაგრამ ყველა ცდა უნაყოფო აღმოჩნდა.

ამას კიდევ ერთი უბედურება დაერთო და ნავთს ცეცხლი დაესხა.

თუ შეიძლება პატიმარის ისევ დაპატიმრება და გადასახლებულის კვლავ გადასახლება, — სწორედ ასე მოექცნენ შევჩენკოს პირადი ანგარიშის გასწორების მიზნით ორენბურგის ბატალიონის ერთმა ოფიცერმა დააბეზლა პოეტი მხარის უფროსის წინაშე, რომ მიუხედავად „უზენაესი აკრძალვისა“, შევჩენკო ზოგჯერ იცვამს სამოქალაქო ტანსაცმელს, აწარმოებს მიმოწერას, ხატავს პორტრეტებს, წერს ლექსებს. ობრუჩევმა, ცხადია, იცოდა, რომ შევჩენკო თავისუფლად ცხოვრობდა, წერდა და ხატავდა, მაგრამ ცდილობდა თვალი დაეხუჭა ამაზე და თავის მხრივ არ დაეჩაგრა დევნილი პოეტი.

დაბეზლების შემდეგ ობრუჩევი იძულებული იყო მიეღო ზომები და მან ბრძანა შევჩენკო გაეჩხრიკათ და დაეპატიმრებინათ. ეს მოხდა 1850 წლის 27 აპრილს. მეგობრების მიერ გაფრთხილებულმა პოეტმა ბევრი ქალაქის და სურათის მოსპობა მოასწრო. გაჩხრეკის დროს მას უპოვეს მხოლოდ ორი ალბომი ლექსებით და ნახატებით და რამდენიმე წერილი მის მიმართ. იგი ეტაპით გააგზავნეს ორსკის ციხეში, ხოლო შემდეგ ნოვოპეტროვსკში, მანგოშლაკის ნახევარ კუნძულზე გადასახლეს.

ნოვოპეტროვსკის ციხე — სიმაგრე, სადაც შევჩენკო გადასახლების მეოთხე

წელს მოხვდა, არაფერ კარგს არ უქაღდა მას.

განსაკუთრებით სტანჯავდა პოეტს მარტოობა. „პატიმრობა კი არ მკლავს მე ამ უდაბნოში, არამედ მარტოობა, ესაა ჩემი სასტიკი მეტრი! ამ ფართო უდაბნოში მე ვიწროდა ვარ და მარტო ვარ“.

დამფრთხალი უფროსები მკაცრად ადევნებდნენ თვალყურს, რომ შევჩენკოს არ ეწერა და არ ეხატა. განსაკუთრებული იყო ზედამხედველობა, რაც მთავარია იმას ადევნებდნენ თვალს, რომ მას არ გასჩენოდა მელანი, ქალაღი, კალამი, ფანქარი და საერთოდ ყველაფერი, რითაც წერა შეიძლებოდა. შევჩენკოს ერთი ეფრეიტორი მიუჩინეს, რომელიც ყველგან კუღში დასდევდა, ყაზარმაში დაბრუნებისას კი ჩხრეკდა.

შევჩენკო ყაზარმაში ცხოვრობდა, მას კვლავ სალდათურად წვრთნიდნენ, აყენებდნენ ყარაულში, ამცირებდნენ, აბუჩად იგდებდნენ...

1853 წლიდან რამდენადმე შემსუბუქდა პოეტის მდგომარეობა. კომენდანტი მავესკი შესცვალა ი. უსკოვმა, რომელიც თანაგრძობით ეკიდებოდა მას. იგი კვლავ თანდათანობით იწყებს ხატვას, ძერწვას, წერას. მოკლე დროის მანძილზე შევჩენკო რამდენიმე ათეულ შესანიშნავ რეალისტურ სურათს ქმნის. ხატვის უფლება უსკოვმა პოეტს თავისი რისკით მისცა. უფრო მეტიც. უსკოვმა და მისმა მეუღლემ დიდი დახმარება გაუწიეს მას, გამოიყვანეს ყაზარმიდან, დაიხლოვეს ოჯახში. მათი საშუალებით შევჩენკო ახალ ჟურნალებსაც კითხულობდა, ეწეოდა გაცხოველებულ მიმოწერას მეგობრებთან. ყველაფერ ამის გავლენით პოეტს ჩაესახა რამდენიმე ახალ ნაწარმოებთა შთანაფიქრი. მან დაიწყო თავისი რუსული მოთხრობების წერა.

ჩვენამდე მხოლოდ შევჩენკოს ცხრა რუსულმა მოთხრობამ მოაღწია. თუმცა როგორც აღნიშნავს იგი ერთ წერილში, ორი ათეული მოთხრობა ჰქონდა დაწერილი. სამწუხაროდ, ეს მოთხრობები ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა

და გამოქვეყნდა მხოლოდ 80-იან წლებში.

არქივულში

ამ მოთხრობებში აღსანიშნავია: „მუსიკოსი“, „მხატვარი“, „კაპიტანმა“, „თავადის ქალი“, „უბედური“. შევჩენკოს მოთხრობები, ისე როგორც მისი პოეტური ნაწარმოებები, გამსჭვალული არიან ანტიბატონყმური, რევოლუციური დემოკრატიული იდეებით. იგი მათში ამხილებს მკაცრ დესპოტიზმს, მებატონეთა მორალურ სიცარიელეს და გარყვნილებას. მებატონეთა ტიპური სახეების შექმნით შევჩენკო ნათელს ხდიდა მთელი ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების მანკიერებას. ბევრი რამ ამ მოთხრობებში ავტობიოგრაფიული ხასიათისაა.

დრო მიდიოდა და შევჩენკოს სულიერ და ფიზიკურ კატორღას ბოლო არ უჩანდა.

პოეტის ბედი არც ნიკოლოზ I სიკვდილს შეუმსუბუქებია. ახალმა მეფემ ალექსანდრე II საკუთარი ხელით ამოშალა იგი ამნისტირებულთა სიიდან მოკლე შენიშვნით: „მან შეურაცხყო დედაჩემი“. — მეფეს მხედველობაში პოემა „სიზმარი“ ჰქონდა, რისთვისაც პოეტი უკვე დასჯილი იყო სასტიკად.

გადასახლებაში პოეტმა 10 წელი და 4 თვე გაატარა. 7 წელი იმყოფებოდა ნოვოპეტროვსკის ციხე-სიმაგრეში. და ბოლოს იგი სასტიკმა სევდამ შეიპყრო. „ო, გადამარჩინეთ, — წერდა პოეტი 1856 წელს, — კიდევ ერთი წელი, და დავიღუპები“.

თანდათან მას ეკარგება იმედი გადასახლებიდან გათავისუფლებისა. ალექსანდრე II უარის მიუხედავად, მეგობრები კვლავ განაგრძობდნენ მეცადინეობას. ბოლოს, როგორც იქნა, 1857 წლის I მაისს მიღწეულ იქნა მიზანი, მიღებულ იქნა „უმაღლესი ნებართვა“ შევჩენკოს გათავისუფლებისა, ორივე დედაქალაქში — მოსკოვსა და პეტერბურგში — შესვლისა და ცხოვრების აკრძალვით.

გადასახლებიდან მოსალოდნელი განათვისუფლების გაგებისთანავე, ჭერ

კიდევ ნოვოპეტროვსკიში დაიწყო შევჩენკომ „დღიურის“ წერა. ეს შესანიშნავი ადამიანური დოკუმენტი გვაცნობს დიდი პოეტისა და მოაზროვნის კეთილშობილურ, კრისტალურად წმინდა პიროვნებას.

„დღიური“ იძლევა მდიდარ მასალას შევჩენკოს მატერიალისტური მსოფლმხედველობის, ეთეიზმის, რევოლუციური დემოკრატიულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებების დახასიათებისათვის. „დღიურის“ მრავალ ჩანაწერში ვლინდება პოეტის ათეისტური შეხედულებანი, ეკლესიისა და რელიგიის როლის გაგება, როგორც ხალხთა ჩაგვრის საშუალებისა. „დღიურში“ გამოვლენილია შევჩენკოს მწვავე სიძულელი ნიკოლოზ I მიმართ, რომელსაც იგი უწოდებს „გვირგვინოსან ქალათს“, „ფელდფებელს“.

ნოვოპეტროვსკიდან შევჩენკოს სურდა გამგზავრებულიყო კავკასიაზე ვაჟლით, სადაც მას მეგობრები ჰყავდა, ოდესაში, შემდეგ ხარკოვით, პოლტავით და კიევიტ მინსკში. ბელორუსია იზიდავდა განსაკუთრებით, სადაც იმ დროს ცხოვრობდა მისი უკვე განთავისუფლებული მეგობარი ბ. ზალესკი. მაგრამ ამ გეგმის განხორციელება არ მოხერხდა. მაშინ უსკოვმა თავისი ნებით მისცა უფლება შევჩენკოს ასტრახანს წასულიყო. ასტრახანიდან პოეტი გემით ვოლგაზე ნიჟნი-ნოვგოროდში გაემგზავრა.

ამ მგზავრობის დროს შევჩენკო, რომელიც ჩამორჩენილი იყო ახალ ამბებს, ხარბად დაეწაფა ლიტერატურას. „მე საესვებით ჩამოვრჩი ახალ ლიტერატურას. რა მშვენიერია „საგუბერნიო ნარკვევები“ სალტიკოვისა. ქელს ვიხრი მის წინაშე. ჩვენი გოგოლი, ჩვენი უკვდავი გოგოლი. რა დიდი გრძნობით გაიხარებდა შენი კეთილშობილი სული, თავის გარშემო რომ ასეთი გენიალური მოწაფეები დაენახა, ჩემო გულწრფელო მეგობრებო! წერეთ, ამოიღეთ ხმა ამ ღარიბ, ქუჭყიან, გაუბედურებულ ხალხის დასაცავად“.

ნიჟნი—ნოვგოროდში შევჩენკო ფარ-

თო საზოგადოებას ეცნობა, იზიარებს მათ ინტერესებს, ხშირად დადრეფტობა რში. განსაკუთრებით სწავლურობა იგი თეატრალურ მოღვაწეებს. ამ პერიოდს მიეკუთვნება მისი გატაცება ახალგაზრდა მსახიობი ქალით, ეს იყო ეკატერინე პიუნოვა, რომელსაც ტარასმა სპეციალური სტატია მიუძღვნა. მაგრამ 17 წლის მსახიობმა ქალმა არ გაიზიარა პოეტის გრძნობა.

აქ, ამ ქალაქში შეხვდა შევჩენკო თავის მეგობარს, დიდ მსახიობს მ. შჩეპკინს, რომელიც ზამთრის ყინვაში სპეციალურად ჩამოვიდა ნიჟნი-ნოვგოროდში პოეტის სანახავად. „მე თრთოლვით ველოდები 70 წლის განთქმულ მოხუცს, ჩემს გულითად მეგობარს მიხეილ სიმონის-ძე შჩეპკინს, ჩვენ არ გვინახავს ერთმანეთი 1847 წლიდან, და ვინაიდან მე აკრძალული მაქვს დედაქალაქებში შესვლა, იგი, მოხუცი — ახალდაზრდა, მიუხედავად ყინვისა და ბუქისა, აქ მოემგზავრება მხოლოდ იმისათვის, რომ გადაამკიცნოს“ — წერდა შევჩენკო.

ის პერიოდი, როცა შევჩენკო გადასახლებიდან დაბრუნდა, რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენებით არის აღსავსე. ყირიმის ომში მეფის რუსეთის სასტიკმა დამარცხებამ გამოავლინა ნიკოლოზის პოლიტიკის სრული კრახი. უზარმაზარ იმპერიას გლეხთა აჯანყების ცეცხლი მოედო. უამრავი დამონებული გლეხობა გაათავისუფლებას მოითხოვდა. მთავრობა დაფრთხა ამ რევოლუციური ტალღით და შეუდგა ბატონყმობის გაუქმების პრობლემის გადაწყვეტას. 1857 წ. შექმნილ იქნა სპეციალური კომიტეტები საკითხის განსახილველად, ამაწ უფრო დაძაბა ვითარება. რევოლუციური-დემოკრატიული ბანაკი ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მეთაურობით, გლეხობის ინტერესების სადარაჯოზე იდგა და მწვავე ბრძოლას ეწეოდა მებატონე მემამულეთა და ლიბერალების წინააღმდეგ.

დაძაბული საზოგადოებრივი ბრძო-

ლის გამოძახილი ნიენი-ნოვგოროდამდეც აღწევდა. ცხადია, პოეტი თვითონაც ნაყმევი, გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ მოვლენებისადმი. მართლაც, მის ამდროინდელ მიმოწერაში ბატონყმობის გაუქმების საკითხს დიდი ადგილი უჭირავს. შევჩენკომ, როგორც იქნა, ჩაიგდო ხელში გერცენის საზღვარგარეთული გამოცემები „კოლოკოლი“ („ზარი“) და „პოლარული ვარსკვლავი“. როდესაც მან პირველად დახედა „პოლარული ვარსკვლავის“ ყდას, რომელზედაც ნიკოლოზის მიერ ხუთი ჩამოხრჩობილი დეკაბრისტის სურათი იყო დაბეჭდილი, დიდად განიცადა. „ყდამ, ე. ი. პორტრეტმა ჩვენი პირველი წამებული მოციქულებისა, ჩემზე ისე მძიმედ იმოქმედა, რომ ჯერაც კი არ დამისვენია ამ მძიმე შთაბეჭდილებებისაგან, — წერს პოეტი „დღიურში“. — რა კარგი იქნებოდა, რომ მოგვეჭრა მედალი ამ საზიზღარი მოვლენის მოსაგონრად. ერთ მხარეზე — ამ წამებულთა პორტრეტები წარწერით: „პირველი რუსი მათუწყებელი თავისუფლებისა“, მეორე მხარეს კი ნიკოლოზ I პორტრეტი შემდეგი წარწერით: „არა პირველი რუსი გვირგვინისანი ჯალათი“. აქვე გაცნო შევჩენკო გერცენის წერილს „მონათლული საქუთრება“, რომელშიაც დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი ხალხს აჯანყებისაკენ, ნაჯახისაკენ მოუწოდებდა.

1860 წელს შევჩენკომ გერცენს ლონდონში გაუგზავნა „კობზარის“ ახალი გამოცემის ეგზემპლარი.

ვოლგასთან უკეთესი მომავლის ლოდინში პოეტს არ გაუგდია ხელიდან კალამი და თუ გერცენის „ზარი“ რუსეთი საზოგადოებას ყრუ ძილს უფრთხობდა, ასევე იმალეზბდა ხმას შევჩენკოს მუზა, მიუხედავად იმისა, რომ მისი რევოლუციურ ლექსების გამოქვეყნება შეუძლებელი იყო.

აქ დასწერა შევჩენკომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები პოემა „ნეფიტები“. მასში პირველი ქრისტიანობის—ნეოფიტების—სახით, დაგვიხა-

ტა ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლები, რომლებშიც ძნელი გამოსცნობები არ არიან დეკაბრისტები. ნეიტონის სახით გამოყვანილია მეფე ნიკოლოზ I — საერთოდ მეფეები. იმისათვის, რომ მკითხველს გაადვილებოდა აღგორიულ სახეთა გამოცნობა, პოეტი, ვითომდა შეცდომით, სკვითიის მაგივრად წერდა ციმბირს, პატრიცებს ვოევოდებს უწოდებდა და სხვ.

პოემის პოლიტიკური მნიშვნელობა მხოლოდ იმაში კი არ იყო, რომ რევოლუციონერმა პოეტმა აღგორიულად გვიჩვენა ნიკოლოზ I სასტიკი შურისძიება დეკაბრისტების მიმართ, რომ მან ამხილა ნიკოლოზის რუსეთის წარსული, — არამედ იმაშიაც, რომ პოეტმა ბრალი დასდო გვიანდელ რუსეთსაც, ალექსანდრე II დროს, თვით ალექსანდრეს, რომელსაც სურდა თავისი მამის კვალზე ეარა.

ეს პოემა ავტორმა მ. შჩეპკინს უძღვნა იმ დღის აღსანიშნავად, როდესაც დიდმა მსახიობმა ნიენი-ნოვგოროდში შევჩენკო ინახულა.

მეგობრების, კეთილმოსურნეების და განსაკუთრებით სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თ. ტოლსტოის მეცადინეობა კეთილად დაგვირგვინდა. 1858 წლის მარტში მიღებულ იქნა ნებართვა დედაქალაქებში შევჩენკოს ცხოვრებისა და იგი მაშინვე გაეშურა მოსკოვსა და პეტერბურგისაკენ.

IV

პეტერბურგში ჩასვლამ დიდი გამოცოცხლება შეიტანა პოეტის მოღვაწეობაში, სულიერ განწყობილებაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1858 წელს შევჩენკოს შეხვედრას და გაცნობას ცნობილ ზანგ მსახიობთან, ტრაგიკოს ოლრიჯთან. პოეტი აღტაცებული იყო ზანგი მსახიობის ნიჭით. ოლრიჯი — შავი მონებიდან გამოსული მსახიობი და შევჩენკო — ყმა-გლეხობიდან გამოსული პოეტი მალე დამეგობრდნენ. მათ ერთნაირი ბედი აახლოვებდა. მართალია, ერთმანეთის ენა არ

იცოდნენ, მაგრამ საუკეთესოდ ესმოდათ ერმანეთის. ოლრიჯი უმღეროდა ზანგურ სიმღერებს, შევჩენკო—უკრაინულს. შევჩენკომ ზეთის საღებავებით დაწერა ოლრიჯის პორტრეტი, რომელიც დღემდე ინახება ტრეტიაკოვის გალერეაში.

1859 წლის დასაწყისში შევჩენკო გაეცნო ცნობილ უკრაინელ მწერალ ჭალს მარკო ვოვჩოკს (მარიამ მარკოვიჩს), რომელსაც უკვე გამოცემული ჰქონდა მოთხრობების კრებული „სახალხო მოთხრობები“. მარკო ვოვჩოკის პირველსავე თხზულებებმა მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება.

ცნობილმა პოლონელმა რევოლუციონერმა სერაკოვსკიმ 1858 წლის ზაფხულს შევჩენკოს ჩერნიშევსკი გააცნო. ისინი მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მის წრეში გაიცნო პოეტმა დობროლიუბოვი, ნეკრასოვი, კუროჩინი. რევოლუციური დემოკრატიის წარმომადგენლებთან შეხვედრით შევჩენკო იმ პოლიტიკური და ლიტერატურული ინტერესების რკალში შედიოდა, რომლებიც აღელვებდნენ 60-იანი წლების რევოლუციურად და რადიკალურად განწყობილ ინტელიგენციას. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ უკრაინელი პოეტი „ზემლია და ვოლიას“ საუღუმლო ორგანიზაციაშიც უნდა შესულიყო. არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომ შევჩენკო ჩერნიშევსკისთან ერთად მონაწილეობდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ პოლონეთის აჯანყების მომზადებაში. ჩერნიშევსკი დაეხმარა შევჩენკოს, ისე როგორც რუსეთის ერთა სხვა წარმომადგენლებს, უფრო ღრმად შეეგნო ცარიზმთან ბრძოლის მიზნები, რუსეთის ყველა ხალხის გაერთიანების აუცილებლობა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩერნიშევსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შევჩენკოს შემოქმედებას და პოეტის დამსახურებას უკრაინული ლიტერატურის წინაშე. იგი წერდა: „როცა პოლონელებს მიცკევიჩი მოველინა, მათ აღარ სჭირდებოდათ უკვე ვიღაც ფრან-

გი თუ გერმანელი კრიტიკოსების შემწყყალებლური შეფასება: პფლუნერ-ლერტერატურის აღარ ცნობდა მანძისსაყუთაური ველურობის გამოვლინება იყო ჰყავს რა ახლა ისეთი პოეტი, როგორიცაა შევჩენკო, მალორუსული ლიტერატურას, აგრეთვე, არ სჭირდება არავის კეთილმოწყალებობა“.

უანდარმებმა, როგორც იქნა, პოეტს დართეს ნება უკრაინაში გამგზავრებისა და საიდუმლო მეთვალყურეობა დაუწესეს.

აი, პოეტი უკრაინაშია. ყველგან, სადაც კი იგი მოხვდა სამშობლო მხარეში, შეუჩერებლივ ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 13 ივლისს შევჩენკო დააპატიმრეს, დაკითხეს და კიევში გააგზავნეს უანდარმების თანხლებით, აქედან კი პეტერბურგში გაისტუმრეს; ფაქტიურად, პოეტი სამშობლოდან გამოაძევეს. კიევის ხელისუფლება შეაშფოთა შევჩენკოს სურვილმა უკრაინაში დარჩენილიყო საცხოვრებლად. კიევის გუბერნატორი სთხოვდა უანდარმების შეფს ამის ნება არ მიეცათ პოეტისათვის. სამუდამოდ დაეხმო შევჩენკოს გზა უკრაინისაკენ.

1860 წ. დასაწყისის ერთ-ერთი უფრნალის რედაქტორის. თხოვნით შევჩენკომ ავტობიოგრაფია დასწერა. თავისი ცხოვრების შესახებ ამ ნაღვლიან თხრობას იგი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ჩემი ცხოვრების მოკლე ისტორია გამოსახული ამ უწესრიგო მოთხრობაში თქვენი გულისათვის, მართალი გითხრათ, უფრო ძვირი დამიჯდა, ვიდრე მეგონა. რამდენი წელია დაკარგული! რამდენი ყვაეილია დამჰქნარი! და რა შევიძინე ბედისაგან, თავს რომ ძალას ვატანდი — არ დავღუპულიყავ? მხოლოდ და მხოლოდ საშინელი შეგნება ჩემი წარსულისა. იგი საშინელია, ჩემთვის მეტად უფრო მძიმეა იმით, რომ ჩემი ღვაძლი ძმები და დები, ვისი ვახსენებაც მე მიმძიმდა თხრობის დროს, აქამდე კიდევ ყმები არიან. დიახ, მოწყალე ბატონო, ისინი ყმები არიან დღემდე!“

ეს აზრი, რომ მისი ნათესავები კვლავ მონობაში იმყოფებიან, მოსვენებას არ აძლევდა შევჩენკოს, და მან დიდი ენერგიით დაიწყო მათ გათავისუფლებაზე ზრუნვა. ხელმოკლე ლიტერატორებისა და მეცნიერების დამხმარე საზოგადოების კომიტეტმა ი. ტურგენევის ინიციატივით და ჩერნიშევსკის მხურვალე მონაწილეობით მიმართა მემამულე ფლორკოვსკის წინადადებით გაეთავისუფლებია ყმობისაგან შევჩენკოს ნათესავები. მემამულე იძულებული გახდა დათანხმებულიყო შევჩენკოს ოჯახის გამოსყიდვას, მაგრამ კატეგორიულად უარი თქვა მიწიანად გაეთავისუფლებია ყმები.

შევჩენკოს არ შეეძლო აქტიურად ჩარეულიყო უკრაინელი ხალხის ბრძოლაში თავისუფლებისათვის. იგი ზრუნავს ხალხისათვის სკოლების გახსნაზე, თვით ადგენს უკრაინულ ენაზე ანბანს, განიზრახავს შექმნას სახელმძღვანელოები ცოდნის სხვადასხვა დარგში, მაგრამ ვერ ასწრებს. ცხოვრების უკანასკნელ თვეებში მან დაამზადა და გამოსცა, დიდის წვალებით ცენზურის წინააღმდეგობის გამო, ხალხისათვის „ანბანი სამხრეთ რუსული“ და მთელი ტირაჟი უკრაინაში გაგზავნა ხალხში უფასოდ გასაყვრებლად. მან მოინდომა საკუთარი ჟურნალის დაარსებაც და მიუხედავად ჩერნიშევსკის მხარდაჭერისა, ვერ მოახერხა.

ცენზურასთან მწვავე ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა 1860 წ. გამოიცა „კობზარი“, დაჩეხილ-დასახიჩრებული. ყოველი ახალი ნაწარმოების დაბეჭდვას ცენზურა სასტიკად ეწინააღმდეგებოდა.

ვერ მოეწყო პოეტის პირადი ცხოვრებაც. ორჯერ ცდილობს იგი დოჯახებას. მაგრამ ორივეჯერ ხელი მოეცარა. განსაკუთრებით დიდი გრძნობა გაუღვიძა მას ლუკერია პოლუსმაკოვამ — ყმა ქალმა, მაგრამ ამანაც უშედეგოდ ჩაიარა. მიუხედავად ამგვარი უსიამოვნებისა, შევჩენკოს ცხოვრების ბოლო წლები აღსავსე იყო შემოქმე-

დებითი შრომით, დაუღალავი მოღვაწეობით. მისი სახელი მთელს რუსეთში ჰქუხდა.

V

უკანასკნელი წლების შევჩენკოს შემოქმედება კვლავ ორი ზაზით მიმდინარეობს, — როგორც მხატვრისა და როგორც პოეტისა.

მხატვრობაში მას დიდი მიღწევები ჰქონდა. იგი მუშაობს როგორც პორტრეტისტი, პეიზაჟისტი და განსაკუთრებით, როგორც შესანიშნავი გრავეორი. „ხელოვნების დარგებს შორის ახლა მე ყველაზე უფრო გრავეურა მომწონს. და არა უსაფუძვლოდ. კარგი გრავეორობა ნიშნავს იყო საზოგადოებაში გამაჯრელებელი მშვენიერისა და ჰეუსისასწავლებლისა... შესანიშნავი და კეთილშობილი მოწოდებაა გრავეორობა. რამდენი შესანიშნავი ნაწარმოები, მხოლოდ მდიდრებისათვის ხელმისაწვდომი, შეიბოლებოდა პირქვეშ გალერეებში მისი ჯადოსნური საპრეტელის გარეშე?“ — აღნიშნავდა იგი „დღიურში“.

გრავეურის დარგში შევჩენკოს მიღწევები იმდენად დიდი იყო, რომ 1860 წელს სამხატვრო აკადემიის წლიურმა კრებამ იგი გრავეურის აკადემიკოსად დაამტკიცა.

არანაკლებ ნაყოფიერი იყო გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ შევჩენკოს პოეტური შემოქმედება. იმდენად მძიმე იყო პოეტისათვის წარსული წლების მოგონება, რომ პოეზიაში იგი მან არ ასახა. სამაგიეროდ სიძულვილი მჩავეგრელებისა და ხალხის მტრების მიმართ კიდევ უფრო მძლავრი, შემტევი და ფსიქოლოგიურად დასაბუთებული გახდა. კოსტომაროვიც კი აღნიშნავდა: „შევჩენკო თავისი შეხედულებებით და ძირითადი რწმენით სრულიად არ შეცვლილა; იგი დარჩა ისეთივე წმინდა, როგორიც იყო კატასტროფამდე. ისეთივე ღრმა დემოკრატი, როგორც ადრე იყო“.

უპირველეს ყოვლისა ეს გამოჰქაფ-

ნდა პოეტის სატირულ ნაწარმოებებში — ყველაზე უფრო მაღალიდებურ ქმნილებებში. მაშინ, როცა ლიბერალური საზოგადოებრიობა მეფის სურვილით გლახთა გათავისუფლების იმედით იყო შეპყრობილი, შევჩენკო ულმობელად კიცხავდა ცარიზმს. რევოლუციონერ დემოკრატთა წრეში შესული პოეტი იმ რეფორმის კურსში იყო, რომელიც მზადდებოდა და იზიარებდა ჩერნიშევსკის აზრს ამ რეფორმის მძარცველურ ხასიათზე. შევჩენკო ოცნებობდა ხალხის მთლიან გათავისუფლებაზე, ცხოვრებაზე მეფისა და მემამულეების გარეშე. ამის საშუალებად მას ხალხის რევოლუციური ბრძოლა და ფეოდალურ-ბატონყმური, მონარქისტული წყობილების მოსპობა მიაჩნდა. იგი არც მალავდა თავის რევოლუციურ შეხედულებებს.

ერთხელ, ერთ რაფინირებულ სალონში, სადაც დამტკბარ, უიდეო ლექსებს კითხულობდნენ, შევჩენკოსაც სთხოვეს წაეკითხა რაიმე. შევჩენკო უარზე იყო, რადგან საზოგადოება მეტად არისტოკრატიული და „კეთილშობილი“ ჩანდა. მაგრამ არ ეშვებოდნენ. მაშინ ტარასმა დიდი უბრალოებით და ვაბედულებით წაიკითხა ლექსი დედოფლის ალექსანდრა თედორეს ასულის გარდაცვალების თაობაზე. აი ამ ლექსის დასაწყისი:

ვიცი არ სცემენ ჭკეყნად წაქციულს...
და წაქციულსაც არ ასვენებენ...
ხოლო შენ ძეგან, მარადის წვეულს
ვათ თუ კრულეთი გაგისვენებენ
ჩვენი შეიღნი და შეიღნიშელები,
მაგრამ არ ეწყველო, ფერთს მიიღებენ
ლაკები შენგან გამოზრდილები...
(თარგმ. ს. ჩიქოვანისა).

ამით გამოწვეული ეფექტი საოცარი იყო. სტუმრები შეუქმნევლად მიიპარებოდნენ, ვინ ვის ასწრებდა, აღარ იცოდნენ. სალონის პატრონები გაოცნებულნი იყვნენ გოგოლის „რევიზორის“ უკანასკნელი სცენის მოქმედ პირთა მსგავსად, და მხოლოდ რევოლუციონერ პოეტთა ჭკუფი მიესალმა შევჩენკოს

მხურვალედ. ამ ბებერ დედოფალს ბევრი სწყევლიდა. მის გამო რტყნჯყშეც ჩენკომ ათ წელს გადასახლებაში წაიყვანა კოლუციონერი დემოკრატები მას ეძახდნენ „ჯალათს კაბაში“, მისი დაუნდობელი ჩარევისათვის დაპატიმრებული დეკაბრისტების ბედილბალში. იგი მოითხოვდა სასტიკად გასწორებოდნენ „აჯანყებულ ბრბოს“ 1832 წელს, სამხედრო დასახლებებში აჯანყებულებს, მის გამო ამოიღეს შევჩენკო სამინისტრიოდ გამზადებულთა სიიდან.

გასაგებია, რომ ეს და ამგვარი სხვა ლექსები, დაწერილნი უკანასკნელ წლებში, პოეტის სიცოცხლეში არ დაიბეჭდებოდა. მათში პოეტი ამტკიცებდა, რომ მეფე სრულიად არ არის საჭირო ადამიანებისათვის.

ღარიბო ხალხო, ლექმას რომ გაცლის
რასი მჭირდება შეფე ცივირი,
აი მწვერუბი, თქვენი ხართ ვაცნი,
რასი გჭირდებათ თქვენ ბაზიერი.

(თარგმ. კონსტ. ლორთქიფანიძისა).

შევჩენკოს შემოქმედების უკანასკნელი პერიოდის დამახასიათებელი თვისებაა ბიბლიური სახეებისა და სიუჟეტების გამოყენება. ეს შემთხვევითი გარემოება არ იყო. სასტიკი ცენზურა არ აძლევდა პოეტს რევოლუციური იდეების აშკარად გამოთქმის საშუალებას. ამიტომ იყო იგი იძულებული მიემართა ალეგორიების, არაკების, ისტორიისა და ბიბლიის სახეებისა და თქმებისათვის. მასებისათვის კარგად ცნობილ ბიბლიურ სახეებს შევჩენკო თანამედროვეობის რევოლუციური აზრით აესებდა. ბიბლიურ წინასწარმეტყველებს იგი ალაპარაკებდა შეფეების წინააღმდეგ, მჩაგვრელთა და მთხელევეითთა საპირისპიროდ, მათი საშუალებით ქადაგებდა დემოკრატიულ იდეებს.

პოემაში „საული“ შევჩენკომ საულის სახით ნიკოლოზ I გამოიყვანა, ისე როგორც „ნოფიტებში“ ვაატარა ანალოგია სასტიკ ნერონსა და ნიკოლოზს შორის. ნიკოლოზ I შედარება საულთან იმ დროს ფართოდ იყო გავრცელებუ-

ლი რევოლუციურ წრეებში. ნუმიუს პომპილიუსის სახით შევჩენკომ ალექსანდრე II გამოიყენა და ლიბერალუბისა და რეაქციონერების შეხედულებათა საწინააღმდეგოდ დახატა იგი, როგორც ფარისეველი, სასტიკი ტირანი და დესპოტი.

60-იან წლებში შევჩენკო, რომელიც ხელდაედა ხალხის რევოლუციურ აზღვაებას, კვლავ რევოლუციისაკენ მოუწოდებდა, რწმენას გამოსთქვამდა, რომ ცარიზმის ნაცვლად დემოკრატიული წესწყობილება დამყარდებოდა. მართალია, მომავალი სოციალური წყობის ხასიათი პოეტს კონკრეტულად არ ჰქონდა წარმოდგენილი. მის ნაწარმოებებში შეიძლება ვიპოვოთ ბუნდოვანი გამოთქმები კომუნისმზე, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის პრინციპზე. ერთ-ერთ თავის მოთხრობაში იგი სწერს: „გამოდის, რომ კომუნისმის იდეა არის არა მარტო ცარიელი იდეა, არა ხმა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა, არამედ იგი სავსებით გამოსადეგია ნამდვილი პროზაული ცხოვრებისათვის. დიდება და პატავი ახალი ცივილიზაციისათვის მებრძოლებს!“. შევჩენკოს აზრები კომუნისმის შესახებ, ცხადია, უტოპიურ ხასიათს ატარებდნენ.

შევჩენკო 60-იანი წლების იმ რევოლუციონერთა თაობას ეკუთვნოდა, რომელსაც დიდათ აფასებდა ვ. ი. ლენინი.

ამ წლების მისი პოლიტიკური ლირიკა უკვდავია. მის უკანასკნელ ბრძოლას ხალხის თავისუფლებისათვის უქმად არ ჩაუვლია.

VI

გადასახლებისაგან ჯანგატეხილი პოეტი თავს სულ უფრო და უფრო ცუდად გრძნობდა. ექიმებთან შევჩენკო მკერდის ტკივილს ჩიოდა. როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. სულსხუთვა და მკერდის ტკივილი ხშირად აწუხებდა მას. „მე ისე ცუდათ ვარ, რომ კალამი ძლივს მიჭირავს ხელ-

ში“ — სწერდა პოეტი ერთ მეგობარს 1861 წლის დასაწყისში.

სიკვდილის წინაღულს ჯანმრთელობის მა ექიმებმა იგი უიმედოდ აღიარეს. საღამოსათვის ავადმყოფის მდგომარეობა თითქოს გაუმჯობესდა. მთელი ღამე პოეტა ლოგინზე იჯდა. დილის ხუთ საათზე იგი ძლივს ჩაეიდა სახელოსნოში. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ მან ამოიგმინა, დაეცა და სული განუტევა. იგი 47 წლისა იყო.

ათწლიანი გადასახლების უმძიმესმა პერიოდმა, შეუწყვეტელმა დევნამ, იმერკასპიის უდაბნოში მარტოობამ, უნაყოფო ბრძოლამ ცარიზმის და ცენზურის წინააღმდეგ უკანასკნელ წლებში დაამჯარეს დიდი რევოლუციონერის სიკვდილი. ბიოგრაფების აზრით მღელვარებამ, რომელიც გამოწვეული იყო ცენზურის უსინდისობით „კობზარის“ მიმართ 1859 წელს, უეჭველად უარყოფითად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე. ამჯერად ცენზურა ისე გამძვინვარდა, რომ მოითხოვა ისეთი პოპულარული ლექსის აკრძალვა კი, როგორც იყო „ფიქრო ჩემო“ იმის მომხრეზებით რომ, მართალია ლექსში დასაგმობი არაფერია, მაგრამ მისი იდეა ეწინააღმდეგება — „მალოროსიის ველიკოროსიასთან შეერთებასო“.

მესამე დაპატიმრება 1859 წელს, შეუძლებლობა მშობლიურ უკრაინაში ცხოვრებისა, აგრეთვე, აძლიერებდა შევჩენკოს ტანჯვას და უსწრაფებდა მას სიცოცხლეს.

გლებობის გათავისუფლების მანიფესტის გამოცხადების რამდენიმე დღით ადრე პოეტი გარდაიცვალა. ეს იყო 1861 წლის 26 თებერვალს (მანიფესტი გამოცხადდა 5 მარტს). ადრე პოეტი ოცნებობდა, იქნებ სიბერეში მოვესწრო თავისუფლებასო, მაგრამ ესეც არ დასცალდა, „თავისუფლებამ“ მკვდარს მოუსწრო.

შევჩენკო დაკრძალეს პეტერბურგში სმოლენსკის სასაფლაოზე. საფლავზე სპილენძის დაფა იყო წარწერით: „შენი

ფიქრი, შენი სიმღერა არ მოკვდება, არ დაიღუპება“. ჟურნალ „სოფრემენიკში“ გამოქვეყნდა ნეკროლოგი, რომელშიც იგი აღიარებული იყო „გენიალურ პოეტად“, „თავისუფლების მომღერლად“. პოეტის საფლავზე მრავალი სიტყვა წარმოითქვა სხვადასხვა ენაზე. დიდმა რუსმა პოეტმა ნეკრასოვმა დაწერა მშვენიერი ლექსი — „შევჩენკოს სიკვდილზე“.

შევჩენკოს ანდერძის თანახმად მისი ნეშტი უკრაინაში უნდა გადაეხვეწებოდა. 40 დღის შემდეგ პოეტის მეგობრებმა მიაღწიეს ამის ნებართვას. დნეპრის მაღალ ნაპირზე, ქ. კანეეთან, სადაც იგი დასახლებასა და დასვენებაზე ოცნებობდა, აღიმართა დიდი კოზხარის საფლავი. ხალხის ხელით მასზე მაღალი ყორღანი დაიყარა.

მაღე შევჩენკოს საფლავი ყოველი უკრაინელისათვის წმინდა ადგილად იქცა. ყველა თავის მოვალეობად თვლიდა მისულის იქ და თავი მოეხარა მის წინაშე, ვინც „უმღეროდა თავისუფლებას“. შევჩენკოს სიკვდილმა უკრაინაში მღელვარება გამოიწვია, თავდაზნაურობას შეკდარი პოეტისა უფრო ეწინოდა, ვიდრე ცოცხლისა, დაიწყო ყველგან შეთქმულების კვალის ძებნა.

შევჩენკოს შესახებ ლეგენდები იქმნებოდა. 90-იან წლებში კიევის გუბერნიის გლეხობაში გავრცელდა თქმულება შევჩენკოს უკვდავების შესახებ. ამ ლეგენდის მიხედვით იგი არ გარდაცვილა, არამედ ციმბირშია ბოძზე მიჯაჭვული. ბოძი თანდათან ღვება, მალე მოტყდება და მაშინ შევჩენკო უკრაინაში დაბრუნდება.

ეს უკვე მართლაც უკვდავება იყო.

მეფის მთავრობას ეწინოდა შევჩენკოს პოეზიისა როგორც მის სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგაც. „კოზხარის“ დამახინჯებანი მის რევოლუციამდელ ყველა გამოცემაში სამარცხვინო ლაქად რჩება ცარიზმის დამოკიდებულებაში პოეტის სახელის მიმართ.

ცარიზმი კრძალავდა შევჩენკოს

ხსოვნისადმი ყოველგვარი პატრიოტიკის გამოვლინებას და ამისთვის საწინააღმდეგო შედეგებს აღწევდა მან აკრძალა შევჩენკოს დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნა 1915 წელს. ვ. ი. ლენინი ამის შესახებ წერდა:

„შევჩენკოს საპატრიოტულო ზემოთ აკრძალვა ისეთი ჩინებული, საუცხოო, უაღრესად საბედნიერო და მარჯვე ზომა იყო მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის თვალსაზრისით, რომ უკეთესი აგიტაციის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. მე მგონია, მთავრობის წინააღმდეგ მოქმედი ყველა ჩვენი საუკეთესო სოციალ-დემოკრატი აგიტატორები ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ ასე მოკლე ხანში ისეთ თავბრულამხვევ წარპატებებს, როგორსაც ამ ზომამ მიაღწია მთავრობის საწინააღმდეგო აზრით. ამ ღონისძიების შემდეგ მილიონობით „ობიეტალები“ უკვე შეგნებული მოქალაქეები ხდებიან და რწმუნდებიან იმ გამონათქვამის სისწორეში, რომ რუსეთი „ხალხთა საპყრობილეა“. (თხზულებანი, ტ. 20, გვ. 260-261).

შევჩენკო ახალი უკრაინული ლიტერატურის ფუძემდებელი იყო. მან შთაბერა ამ ლიტერატურას ახალი კეთილნაყოფიერი იდეები და დაიმკვიდრა კეთილშობილური ტრადიციები. ეს იყო ხალხურობა და ჰუმანიზმი, დემოკრატიზმი და ლირიზმი. მსოფლიო ლიტერატურაში იგი შედის არა მარტო როგორც ნაციონალური დემოკრატიული კულტურისა და ლიტერატურის შემქმნელი, არამედ როგორც ინტერნაციონალური კულტურის ერთ-ერთი მებარიხტრე.

დიდება და უკვდავება მოუტანა უკრაინელ პოეტს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ. „კოზხარი“ თარგმნილია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ენაზე. შევჩენკოს ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ თავისუფალი ხალხი შეაფასებდა მის შემოქმედებას ღირსეულად. ეს მართლაც ასე მოხდა.

მ. გორკი ამბობდა, რომ შევჩენკო იყო „პირველი და ჰუმარიტად სახალ-

ხო პოეტი, რომელიც არ ამხინჯებდა სუბიექტური დამატებებით ხალხის ფიქრებს და გრძნობებს“.

„შევჩენკოში მე ვხედავ, ვგრძნობ ადამიანის სულის მთელს მშვენიერებას, ის იყო კემპარიტი მომღერალი თავისი ხალხისა, წერდა კ. სტანისლავსკი ჯერ კიდევ რევოლუციამდე 1911 წ. — ჩვენ, რუსი ადამიანები, ღრმად თანაუგრძნობთ უკრაინელი ხალხის ტანჯვას და გეჯერა, რომ ახალი ბედნიერი ცხოვრების მზე გაბრწყინდება უკრაინის ცაზე და მისი ტანჯული გული გადაიხსნება მთელი თავისი მშვენიერებით, უკრაინის ოქროს ველების შრიალში, ძლიერ ხალხურ შემოქმედებაში, მისი თავისუფლებისმოყვარე მშვენიერი ხალხის ნიჭში“.

შევჩენკოს შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის, საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. დიდი კობზარის ტრადიციებს აგრძელებდნენ და ავითარებდნენ მარკო ვოვჩოკი, ფედკოვიჩი, პანას მირნი, ივანე ფრანკო, ლესია უკრაინკა და სხვა გამოჩენილი უკრაინელი მწერლები.

პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა ემსახურებოდა და ემსახურება საბჭოთა ხალხის ინტერესებს, მის კულტურულ ზრდას, შემოქმედებით ლიტერატურულ ურთიერთობასა და გამდიდრებას.

1939 წელს, პოეტის დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავად კიევში აღმართული ძეგლი დიდი პოეტისა, გამოხატულებაა საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი ხალხის სიყვარულისა უკვდავი კობზარის მიმართ.

ახალი სოციალისტური კულტურისა და ლიტერატურის გაფორმების პირობებში შევჩენკოს უკნობ და უკვდავ მემკვიდრეობას საპატიო ადგილი უჭირავს.

VII

ქართველი და უკრაინელი ხალხის ბედობაში მრავალი მსგავსი ისტორიული მომენტი შეიმჩნევა. სხვათა შორის, ამაზე მიუთითებდა მტრისა შევჩენკო ერთ-ერთ საუბარში „განსულისა საუკუნის სამოციან წლებში“.

უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ განუწყვეტელი ბრძოლები, ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთება, როგორც საწინდარი მშვიდობის მოპოვებისა და ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის, მშრომელი ხალხის რევოლუციური გამოსვლები პანებისა და მემამულეების თვითმპყრობელობისა და მისი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ — ასეთია ზოგადად ის საერთო მსგავსი მომენტები, რომლებმაც წარმოშვეს უკრაინელი და ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების სულიერი სიახლოვე და ნათესაობა.

ქვემოთ დავით გურამიშვილამდე იცნობდნენ ქართველი მწერლები უკრაინულ ლიტერატურას, უკრაინელი ავტორების თხზულებებს და თარგმნიდნენ მათ. საფიქრებელია, რომ უკრაინელი მწერლების ნაწარმოებებს ქართველები ძირითადად ეცნობოდნენ მოსკოვში, სადაც უკრაინული მწერლობა მეტად გავრცელებული და პოპულარული იყო.

შემდგომდ. გურამიშვილი მთელი თავისი ცხოვრებით, მოღვაწეობითა და შემოქმედებით ქართველი, უკრაინელი და რუსი ხალხების მშობასა და მეგობრობას ასახიერებს. რუსეთში გადახვეწილი იგი მამაცურად იბრძვის თურქების, შვედებისა და პრუსიელების წინააღმდეგ, ზოლო შემდეგ, სხვა ქართველებთან ერთად, უკრაინაში, მირგოროდის ახლოს ესახლება, სადაც ცხოვრობს თავისი მძიმე და ხანგრძლივი სიცოცხლის დასასრულამდე.

განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდნენ უკრაინულ-ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ურთიერთობანი XIX საუკუნეში, როცა ორივე ხალხი სოციალური და ნაციონალური გათავისუფლებისათვის იბრძოდა. საქართველოსა და უკრაინის ისეთმა მოწინავე წარმომადგენლებმა, როგორც

იყენენ ტარას შევჩენკო, მარკო ვოფჩოკი, პანას მირნი, მიხეილ კოციუბინსკი, ლესია უკრაინკა, ივანე ფრანკო და სხვ., ილია ქავეკავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ., — რუსი ხალხის საუცუეთესო წარმომადგენლებთან ერთად მაღლა ასწიეს განმათავისუფლებელი დროშა.

კავკასიის, საქართველოს თემა რუსულ და უკრაინულ ლიტერატურაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეებთან. ამას მკაფიოდ მოწმობს ტ. შევჩენკოს შესანიშნავი პოემა „კავკასია“.

სხვა უკრაინელ მოღვაწეთა შორის ქართველი საზოგადოებრიობისათვის განსაკუთრებით ახლობელი იყო ტარას შევჩენკოს სახელი და შემოქმედება.

შევჩენკოს სახელის ერთ-ერთ პირველ ხსენებას ვპოულობთ ქართველი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის წერილში. დ. ყიფიანი პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში მეუღლეს უზიარებს იმ შთაბეჭდილებებს, რომელიც მან მიიღო პეტერბურგში გამართულ ერთ-ერთ სალიტერატურო საღამოზე. „სამი დღის წინათ დავესწარი ლიტერატორთა საჯარო კითხვას. კითხულობდნენ: ბენედიქტოვი — საუცხოოდ; ჩვენი პოლონსკი, — აქ ახლა ის შესანიშნავი პოეტია, — კარვად; შაიკოვი — საუცხოოდ; დოსტოვესკი, პისემსკი — საშუალოდ, და შევჩენკო, მლოროსიელი პოეტი და მხატვარი — დიდებულად. დარბაზი გაჰედილი იყო“.

როგორც ქართველი მკვლევარი ლ. ასათიანი სამართლიანად აღნიშნავს, ქართულ ლიტერატურაში ყველაზე საინტერესო მასალას შევჩენკოს შესახებ წარმოადგენს დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის მოგონებანი. აკაკი ჯერ კიდევ თავის სტუდენტობის წლებში შეხვდა და გაეცნო უკრაინის დიდ მეოსანს.

აკაკი ტარასს შეხვდა პეტერბურგში 1860 წელს კოსტომაროვის ბინაზე.

ახალგაზრდა ქართველი პოეტის გაცნობა და საუბარი ტარას შევჩენკოსთან უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურულ ურთიერთობაში. აკაკის მოგონება წარმოადგენს გვაძლევს აგრეთვე იმ დიდ ინტერესზე, რომელსაც თავის მხრივ იჩენდა შევჩენკო ქართველი ხალხის ისტორიისა და თანამედროვე ცხოვრებისადმი.

ჩვენი საუბრის დროს, წერს აკაკი, — „ის უფრო ახლოს მომიჭდა, ლაპარაკის ხალისი მოემატა და დამიწყო გამოკითხვა ბევრი რამის შესახებ.“

— რა ბევრი რამა აქვს საერთო ამ ხალხს ჩვენს ხალხთან! — შენიშნა მან. შევჩენკომ ამოიხზრა და დამიწყო ლაპარაკი უკრაინაზე... ლაპარაკობდა სევდიანი კილოთი. მაგრამ გამოცოცხლებული.

...ჩვენი საუბარი გაგრძელდა დამის სამ საათამდე. ჩვენ გავშორდით როგორც მეგობრები და პირობა დავდევით, რომ უფრო ხშირად შევხვედროდით ერთმანეთს, მაგრამ ჩემს ბედნიერებას აღარ ელირსა განხორციელება: მე ტიფით ავად გავხდი და სამ თვეს ვიწექი ლოჯინში... მას შემდეგ მე აღარ მომცემია შემთხვევა მასთან შეხვედრისა. მხოლოდ ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამრჩა ნათელ მოგონებად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. ვაღიარებ, რომ მე პირველად მისი სიტყვებიდან გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული. ჩემი ორმოცდაათი წლის იუბილეს დროს მე მეწვიენ სტუმრები უკრაინიდან და საჩუქრად მომიძღვნეს ტარასის პორტრეტი. მე ამან ძალიან დიდი სიხარული და სიამოვნება მომანიჭა“.

ამ შეხვედრის შესახებ ცნობილი საბჭოთა მწერალი ალექსეი ტოლსტოი წერდა: „განა შესანიშნავი არ არის ახალგაზრდა აკაკის შეხვედრა შევჩენკოსთან. ეს იყო დაახლოებით 1860 წელს. პეტერბურგელი სტუდენტი აკა-

კი წერეთელი ისტორიკოს კოსტომაროვის ბინაზე შეხვდა გადასახლებიდან ახლად დაბრუნებულ ტარას შევჩენკოს, რომელსაც ძალიან მოეწონა ახალგაზრდა, ქვიანი, მგზნებარე ქართველი“.

XIX საუკუნის 70-იან წლებიდან დაიწყო შევჩენკოს ნაწარმოებთა სისტემატური თარგმნა ქართულად. მისი პირველი მთარგმნელი იყო ნიკო ლომოური, რომელიც ახალგაზრდობაში კიევეში სწავლობდა. ლომოურმა თარგმნა შევჩენკოს ცნობილი პოემა „მუშა-ქალი“ („ნაიმჩიკა“), ეს თარგმანი ილია ჭავჭავაძემ 1881 წ. თავის „ივერიაში“ გამოაქვეყნა. დიდი პოეტის ნაწარმოებებს თარგმნიდნენ აგრეთვე მ. გურიელი, დ. თომაშვილი, დ. თურდოსპირელი, განდგვილი, იასამანი, ს. შანშიაშვილი და სხვები.

ქართულმა საზოგადოებრიობამ და პრესამ პატივისცემით აღნიშნა შევჩენკოს დაბადების 100 წლისთავის 1914 წ. ამჯერადაც გამოქვეყნდა წერილები უკრაინელი პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, დაიბეჭდა მისი ლექსების ახალი თარგმანები. თბილისში მოეწყო დიდი საღამო, რომელზედაც აკაკიცი მოიწვიეს.

პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი აგვიწერს თავის მოგონებაში, თუ როგორ ჩატარდა ეს საღამო.

„აფიშა, სხვათაშორის, აუწყებდა ხალხს, რომ საღამოში მონაწილეობას მიიღებს ქართველი პოეტი აკაკი, რომელიც პირადად იცნობდა „ბატკო“ შევჩენკოს. გამოვიდა ჩვენი აკაკი სცენაზე... ოვაციებს საზღვარი არ ჰქონდა. როცა ტაშის ტურციალი მისწყდა, აკაკიმ დაიწყო: „ღიახ, მე პირადად ვიცნობდი ბატკო ტარას გრიგოლის ძე შევჩენკოს...“

ამ სიტყვის თქმა იყო და ახალი ტაშის ქვეყნისილი ატყდა. ხალხი წამოდგა და ვიდრე აკაკი თავის მოგონებას

დაამთავრებდა, არ დამჯდარა. ჩვენი პოეტის ლამაზი და შესანიშნავი სიტყვა აუდიტორიამ ფეხზე აღგომით მრისმინა. უკრაინელები პარტერში მყოფ ქართველებს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. ჰეშმარიტად ეს იყო პროტესტიცარიზმის პოლიტიკისადმი, რომელიც ჰკრძალავდა შევჩენკოს სახელის ხსენებასაც კი. ეს იყო ორი ერის ერთნაირი გრძნობით გამსჭვალვა, თავისუფალი ამოძახილი და სამშობლოს დროშის ქვეშ გმირული დარაზმვა, სიყვარულით გაერთიანება...

აკაკიმ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „გიყვარდეთ თქვენი სამშობლო და დედაენა, ისე, როგორც განსვენებულ შევჩენკოს უყვარდა, რადგან მისი ხსოვნისათვის ეს საუკეთესო ჯილდო და ხელთუქმნელი ძეგლი იქნება“. ეს სიტყვები მთელი ქართველი ხალხის გულიდან ამონათქვამი პასუხი იყო“...

სიტყვის დამთავრების შემდეგ აკაკი მივიდა შევჩენკოს ბიუსტთან, მუხლი მოიდრია და, პატივისცემის ნიშნად, თავისი ქალარა თავი დახარა მის წინაშე.

ამ სურათმა საოცარი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე უკრაინელ და ქართველ საზოგადოებაზე. მან ხანგრძლივი და მჭუხარე ტაშით დააჯილდოვა დიდი მოხუცი.

უფრო გაღრმავდა და საყოველთაოდ იქცა შევჩენკოსადმი სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა საქართველოში. არაერთხელ გამოიცა მისი თხზულებები, საუკეთესო ქართველი პოეტების მიერ თარგმნილი.

ფართოდ აღნიშნეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავი 1939 წელს.

და წელსაც, მისი დაბადების 150 წელს, ქართველი ხალხი აღნიშნავს დიდი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით უკვდავი კობზარის მიმართ.

შალვა გოხალიძე

ტარას შევჩენკო და ქართული საზოგადოებრიობა

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელოვანი თაობის მოწინავე წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი და სხვები, გაუღი საუკუნის 60-იანი წლებიდანვე, რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მწერლობასთან ერთად, ზედმიწევნით იცნობდნენ უკრაინის დიდი შემოქმედის ტარას შევჩენკოს პოეზიას და მის წამებით განვლილ ცხოვრებას.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე დ. ყიფიანი, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით პეტერბურგში ყოფნისას, 1860 წლის 10 ნოემბერს გამართულ ლიტერატურულ საღამოს დასწრებას.

ლიტერატურულ საღამოზე საკუთარ თხზულებათა კითხვით გამოსულან ცნობილი მწერლები: ბენედიქტოვი, პოლონსკი, მაიკოვი, დოსტოევსკი, პისემსკი, შევჩენკო და სხვები.

ამ საღამოზე მალევე შეთაბეკდობის შესახებ დ. ყიფიანი თავის მეუღლე ნინოს 1860 წლის 13 ნოემბერს წერდა: „გუშინწინ ვიყავი ლიტერატორების საჯარო კითხვაზე პასაჟში. კითხულობდნენ: ბენედიქტოვი — მშვენივრად; ჩვენი პოლონსკი, რომელიც აქ ახლა შესანიშნავი პოეტია, — კარგად; მაიკოვი მშვენივრად; დოსტოევსკი, პისემსკი — საშუალოდ, შევჩენკო, მალოროსიული პოეტი და მხატვარი — საუცხოოდ.. დარბაზი გაქედნილი იყო.“¹

ამ ფაქტის ნათელსაყოფად შეგვიძლიან გავიხსენოთ ნ. ობრუჩევის დობროლუბოვთან 1860 წლის 11 დეკემბერს გაგზავნილი წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „პასაჟში იყო სალიტერატურო კითხვა დოსტოევსკის, ბენედიქტოვის, მაიკოვისა და შევჩენკოს მონაწილეობით. ბენედიქტოვს და მაიკოვს დიდი აპლოდისმენტით შეხვდნენ... შევჩენკოს კი ისეთი აღფრთოვანებით შეხვდნენ, როგორც იტალიურ ოპერაში ხდება ხოლმე“.¹

უკრაინელი ხალხის დიდი შვილის ტარას შევჩენკოს შემოქმედება მახლობელი, საყვარელი და განუყრელი გახდა ქართველი ხალხისათვის. ქართულ ენაზე მწერლის თხზულებათა თარგმნების პირველი პუბლიკაცია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო.

ქართველი მწერლებიდან პირველია ნიკო ლომოური, რომელიც კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში (1875-1879 წ.წ.), სხვა რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლების შემოქმედებასთან ერთად, დაინტერესდა ტარას შევჩენკოს შემოქმედებით. დიდი უკრაინელი კობზარის შემოქმედების ცხოველმყოფელი ძალა და გავლენა ნიკო ლომოურზე იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან, ორიგინალური ლექსების წერასთან ერთად, ხელი მიჰყო ტ. შევჩენკოს პოეტური ნიმუშების თარგმნასაც.

ნიკო ლომოურს 1875 წელს, კიევში პირველად დაუწვია ტ. შევჩენკოს პოემა „მუშა ქალის“ თარგმნა. ამის შესა-

¹ Н. Ф. Бельчиков, Т. Шевченко, критико-биографический очерк 1961, стр. 200.

¹ წერილი დაუტოვია საქ. სახ. ლიტ. მუზეუმში.

ხებ იმავე წელს კიევიდან იგი სერგეი მესხს სწერდა: „გიგზავნით ამ პატარა სტატიას და იმედი მაქვს მალე გამოგვიგზავნით ორიოდ სხვაც... კალენდრისთვის გადავთარგმნე რამდენიმე ლექსი დობროლუბოვისა, მაგრამ აღარ გიგზავნი კი, რადგან დაგვიანდა. ეხლა ვთარგმნი ორ მშვენიერ პოემას; ერთი არის შევჩენკოსი—„Работница“ და მეორე მაკოლენისა „ვირგინია“... ესენი, ვგონებ მეორე ახალი წლის კალენდარისთვის დარჩებიან“.

ნ. ლომოურს პოემა „მუშა ქალის“ თარგმნა, როგორც ჩანს, 1877 წელს დაუმთავრებია; მიუხედავად ამისა, მეფის ცენზურის წყალობით მისი გამოქვეყნება უფრო მოგვიანებით მოხდა. ამასთან ერთად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძემ შესძლო პირველად თავის ქურნალ „ივერიაში“ 1881 წელს ნ. ლომოურის მიერ თარგმნილი ტ. შევჩენკოს პოემა „მუშა ქალის“ დაბეჭდვა.

ამრიგად, ქართველი მკითხველისათვის ტ. შევჩენკოს შემოქმედების ვაცნობა გასული საუკუნის 80-იან წლებიდან ნიკო ლომოურის ნათარგმნი პოემა „მუშა ქალით“ იწყება.

ტ. შევჩენკოს შემოქმედებიდან ქართულ ლიტერატურაში მეორე პოეტური ნიმუშია ფაზელის (მამია გურიელის) ნათარგმნი ლექსი „ფიჭრი. — გარბიან დღენი, მიჰქრის ღამეები“. ეს ლექსი 1886 წელს ქურნალ „თეატრში“ (№ 36 გვ. 434) დაიბეჭდა; მესამედ, 1893 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 202), გამოქვეყნდა ლექსი „ქრიან ქარნი“ (შევჩენკოსი, მალოროსიულიდან), რომელიც სილოვან ხუნდაძემ თარგმნა.

ამის შემდეგ, რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში თითქმის სისტემატური ხასიათი მიეცა ტ. შევჩენკოს თხზულებათა თარგმნას. ქართულ პრესაში, სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა: „ანდერძი“, „ღნებრი უსაზღვრო ჰღელავს, ღრიალებს“, „არის ქვეყნად შევბა“, „ქრის გრივალი ქარიშხალი“, „ნეტა

ვიკოდე სად დავლევ სულსა“, „დღე ღამეს მისდევს“, „არ ვიტანე მუშა მუშა ეს თვალი“, „ნუ შეგშურთ მომხის ჭონება დიდი“, „მწვანე ველო, გახსენ გული“, „ერთია ჩემთვის, უკრაინაში თუ სხვაგან სადმე“, „კავკასიონიდან“, (ნაწყვეტი), „მუზა“, „მწვანე ტყის სიღრმეში სევდით ჰყენეს გუგული“, „ვირ უწყს, შევხედებით კვლავ ერთმანეთსა“, „სამშობლოსკენ მიმავალი დიკარვა გზები“, „ისევ ვგრძნობ ძალას“, „მეფეს ფელდგებულს“... და სხვა.

აღნიშნულ თხზულებათა თარგმანი ეკუთვნის ცნობილ ქართველ პოეტებსა და მწერლებს: ნიკო ლომოურს, ფაზელს (მამია გურიელს), იასამანს (მხ. კინწურაშვილს), გ. ქიქოშვილს, ალ. შანშიაშვილს, სილ. ხუნდაძეს, დ. თომაშვილს, მ. უხნაძეს, ვან. ფეგილს (დ. მდივანს), ბაბილინას (ხოსია ჭავჭავაძეს), ს. ფაშალიშვილს, ი. მჭედლ. შვილს, გ. ნამორაძეს.

დიდი უკრაინელი პოეტის აღნიშნული ქართული თარგმნების გარდა, რევოლუციამდელ ქართულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა აგრეთვე ტარას შევჩენკოს ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ხასიათის სტატიები, წერილები და კორესპონდენციები. აქაც პირველმა ილია ჭავჭავაძის გაზეთმა „ივერიაში“ 1890 წლის 6 ოქტომბერს თავის მოწინავე წერილში აღნიშნა უკრაინის დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ტარას შევჩენკოსა და კოტლიარევსკის დამსახურება მშობლიური ლიტერატურისა და ხალხის წინაშე. ეს მოწინავე წერილი ეკუთვნოდა ცნობილ ქართველ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს ალ. ფრონელს (ყიფშიძეს), რომელიც XIX საუკუნის საერთო მიმოხილვისას აღნიშნა, რომ ეროვნულმა მოძრაობამ მალოროსიაშიც იჩინა თავი.

„მართალია, წინათ მეჩვიდმეტე საუკუნემდე, — წერდა ალ. ფრონელი მოწინავეში, — ლაღმა მალოროსმა სხვისი მუღმივი ბატონობა არ იცოდა, მაგრამ მთელი თავისი დღენი გარეშე მტრის მოგერიებას მოაწოდებდა და ამ ბრძოლას

შეაღია თავისი ძალონე. ბევრი მწუხარება, ბევრი ტანჯვა და ვაი-ვაგლაზი გამოიარა, ბევრი შავი დღე უნახავს, მაგრამ მისი მწუხარებით აღსავსე ლექსი არ შეწყვეტილა, მისი „ფიქრი“ („ДУМЫ“) არ დაშრეტილა. დროებით, ერთი-ორის საუკუნის განმავლობაში, ეროვნული ძარღვი სუსტად სცემდა, სანამ ევროპის მოძრაობამ ამ აღმოსავლეთის კუთხემდისინაც არ მოაღწია... საერო პოეტებმა ტ. გ. შევჩენკომა და კოტლიარევსკის „ენეიდა“ ფრთები შეასხა ამ მოძრაობას. ეროვნული სულთქმა ისე გაძლიერდა მალოროსიაში და თვალსაჩინო გახდა, რომ ბევრმა ბოროტმა სულმა თვალები აკვიტა და გააბა უგვანო ძახილი: დროა ძირიანად ამოვხვრათ „მანე მამართლებმა“ მალოროსების ლიტერატურისა, თორემ შემდეგ ძნელი-და იქნება მისი შეჩერებაო. ვინ იცის, რა არ დასწამეს მალოროსებს, რამდენი ცილი მოუგონეს, რამდენს საუკეთესო ხალხის სიყვარულით გატაცებულს მწერალს უსაფუძვლოდ შეურაცხება მიჰაყენეს! განსვენებულმა მ. ნ. კატკოვმა პირდაპირ აღიარა ეროვნული მოძრაობა მალოროსებისა „სეპარატიზმად“ და შელაგმვას დალაღებდა. კატკოვის ცხარე დალაღმა მწარე ნაყოფი მოიტანა და თითქმის სრულიად მოსპო ნორჩი ლიტერატურა მალოროსებისა...“ („ივერია“, 1890, № 212).

უკრაინა-საქართველოს კულტურული ლიტერატურული ურთიერთობის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ტარას შევჩენკოს და აკაკი წერეთლის შეხვედრა, რომელიც მოხდა პეტერბურგში, რუსეთის ისტორიის ცნობილი პროფესორის ნიკოლოზ კოსტომაროვის ოჯახში. საყოველთაოდ ცნობილი იყო ნ. კოსტომაროვის მალაღი შეფასება უკრაინის რევოლუციურ-დემოკრატი მწერლისა. იგი აღნიშნავდა: „შევჩენკოს მუხამ ჩამოხია ხალხის ცხოვრებაზე გადაფარებული საფარი და გამოჩნდა სურათი, რომელიც ჩემთვის ერთდამავე დროს საშინელი და თანაც

წარმტაცი იყო. ტარასის მუხამ უცერხოდ გახსნა რაღაც აკლდამა, რუჟმელუცრამდენიმე საუკუნის განმავლობაში ცხატა კლიტით იყო დაკეტილი“.

ახალგაზრდა აკაკი წერეთელთან შეხვედრამ ტარას შევჩენკოს ნათელი წარმოდგენა მისცა საქართველოს მდიდარი ისტორიულ წარსულზე.

— „რა ბევრი საერთო აქვს ამ ხალხს ჩვენ ხალხთან!“ — თქვა ტარას შევჩენკომ ქართველ ხალხზე აკაკისთან საუბარში.

აკაკის შეხვედრა ტარას შევჩენკოსთან პირველი და უკანასკნელი იყო. ამის შესახებ აკაკი თავის მოგონებაში გადმოგვცემს: „ამის შემდეგ მე მას ველარ შევხვდი. მხოლოდ პირველი შეხვედრა დამჩნა მე ნათელ მოგონებად მთელს ჩემს სიცოცხლეს. ვაღიარებ, რომ მე პირველად გავიგე მისი სიტყვებიდან, თუ რაგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და შენი ხალხი!“

აკაკი წერეთელი თავის მოგონებით ტარას შევჩენკოზე არაერთხელ გამოსულა საზოგადოების წინაშე. 1908 წლის დეკემბერს ბაქოში გამართულ აკაკის საიუბილეო საღამოზე უკრაინელი ხალხის დელეგაციამ პოეტს, მილოცვასთან ერთად, ტარას შევჩენკოს სურათი მიართვა. ამით ნასიამოვნებ აკაკის გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოუთქვამს და აღუნიშნავს, რომ იგი ახლოს იცნობდა ტარას შევჩენკოს.

ამასთან დაკავშირებით 1909 წლის 1-ლ იანვარს გაზეთმა „ჩვენი ხმა“ დაბეჭდა „აკაკის იუბილე ბაქოში“. ამის საპასუხოდ, იმავე წლის 18 თებერვლის გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა გ. ნამორაძის წერილი „უკრაინელები საქართველოში“, რომელშიაც აღინიშნა უკრაინელების დიდი სიხარული, გამოწვეული აკაკი წერეთლის განცხადებით, რომ იგი იცნობდა ტარას შევჩენკოს და სხვა.

ტარას შევჩენკოს დაბადების ასი წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად 1914 წლის 11 აპრილს თბილისში ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებული უკრაინული დრამა-

ტული წრის თაოსნობით გაიმართა საზეიმო საღამო-საქექტაკლი. ამ ზეიმში, სხვადასხვა ერის წარმომადგენლებთან ერთად, მხურვალე მონაწილეობა მიიღო მოწინავე ქართულმა საზოგადოებრივობამ. ამ საღამოზეც მსოფიანმა პოეტმა აკაკი წერეთელმა თავის შესანიშნავ სიტყვაში, რომლითაც მან დამსწრე საზოგადოებას მიმართა, მაღალი შეფასება მისცა ტარას შევჩენკოს და იგი სიყვარულით მოიგონა.

„Таких великих людей производит только великая нация, но они, кроме своей нации, принадлежат и другим, а потому позвольте и нам, грузинам, присоединиться к вашему торжеству и почтить память великого украинца“.

ტარას შევჩენკოს დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო თბილისში ხალხთა ურთიერთ მეგობრობისა და დაახლოების ზეიმიდ იქცა. აღნიშნული უკრაინული დრამატული წრის გამგეობა 1914 წლის 29 აპრილს გაგზავნილ მიმართვაში საიუბილეო ზეიმში მხურვალე მონაწილეობისათვის აკაკი წერეთელს მაღლობას უხდოდა. ამასთან ერთად აკაკის ატყობინებდნენ, რომ სპექტაკლზე შემოსული თანხა (97 მან. და 60 კაპ). კიევში ტარას შევჩენკოს ძეგლის დასადგმელად დაარსებულ კომიტეტს გაეგზავნათ.

ქართველი საზოგადოებრიობა ყოველთვის მხურვალედ ეხმაურებოდა ტარას შევჩენკოს ხსოვნის საიუბილეო თარიღებს. დიდი მწერლის გარდაცვალებისა და დაბადების ასი წლისთავის გამო 1911-ისა და 1914 წლების ქართული პრესის ფურცლებზე დაიბეჭდა წერილები და კორესპონდენციები. („სახალხო გაზეთი“, „ნაკადული“, „ქეჭვილი“, „განათლება“).

დიდმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა იაკობ გოგებაშვილმა 1911 წელს დაბეჭდა წერილები: „პატარა ბარათი დიდი პოეტის შესახებ“ და „ტარას შევჩენკო—დიდი პოეტი უკრაინისა“. („სახალხო გაზეთი“ № 254; „ნაკადული“ № 3).

ი. გოგებაშვილი თავის პირველ წერილში წერდა „მიუხედავად შესწავრის ბედისა, რომელიც წარმოადგენდა შევჩენკოს, მან შექმნა თავის საყვარელ დედა-ენაზე იმისთანა მომხიბლავი პოეტური ქმნილებანი, რომ იგინი ახლა გადათარგმნილი არიან ყველა მთავარ კულტურულ ენაზე და დიდის სიხარბით იკითხებიან.“ წერილის დასასრულს ავტორი წერდა: „აღნიშნავ რა ამას, ვურჩევ ჩვენებურ პოეტებს გაამდიდრონ ჩვენი ლიტერატურა შევჩენკოს ქმნილებათა თარგმანებით.“

ი. გოგებაშვილს ნათლად წარმოედგინა, თუ რა უზომოდ უყვარდა უკრაინულ ხალხს თავისი სათაყვანო შვილი: „შევჩენკომ ასეთი სამაგალითო სიყვარული მთელის სამშობლოსი დაიმსახურა იმითი, რომ უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქვეყანა, მისი ბუნება, მისი ენა, მისი მდიდარი სახალხო პოეზია და უმეტესად კი უკრაინელი გლეხობა, ბურჯი ეროვნულის არსებობისა, სიცოცხლისა, განვითარებისა და აყვავებისა. ამ ძლიერმა სიყვარულმა შეაქმნევინა მას დედა-ენაზე მრავალი ჭინებული ლექსი და პოემა, რომელნიც ასულდგმულბენ, ამხნევებენ, აღფრთოვანებენ მშობლებსაც და შვილებსაც, დიდსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაც და უმზადებენ ნათელს მომავალსა.“

ი. გოგებაშვილი მაღალი აზრისა და შეხედულებისა იყო ტარას შევჩენკოზე და ამიტომაცაა, რომ იგი მასზე ასეთი სათეთი გრძნობითა და ძლიერი სიყვარულით წერდა. ლამაზი გემოვნებით გაფორმებულ ჟურნალში — „ნაკადული მოზრდილთათვის“ დაბეჭდილ ი. გოგებაშვილის წერილს წინ უძღვის ტარას შევჩენკოს სურათი ავტოგრაფით, ხოლო წერილის შემდეგ გვერდში დაბეჭდილია გიორგი ქუჩიშვილის მიერ თარგმნილი ლექსი „ანდერძი“. ქართულ პოეზიაში ტარას შევჩენკოს ამ ლექსის პანგი, გიორგი ქუჩიშვილის პირით, ომბიანად ვაისმა:

ბოლოსაც მოვლევ. დამარბეთ,
ჩემ უკრაინის მზარბეთ;

ერცელ მინდორ შუა, საყვარელ
მშობლოურ არე-მარეში.

იქ გამოთხარეთ საფლავი,
სადაც დნებარია მტრიალი;
რომ, კვლავ მოვადლო საშობლოს
თვალნი მწუხარედ მზირალი.

„ანდერქს“ შემდეგ მიჰყვება ალ. შან-
შიაშვილის თავისუფალი თარგმანი შე-
გენეკოდან „დნებარი- უსაზღვრო პლე-
ლავს, ღრიალებს“... და სხვა.

იმ პერიოდში იმდენად გაიზარდა
ქართველი მკითხველის დაინტერესება
მომხმე ხალხთა ლიტერატურულ ცხო-
ვრებით, რომ ცნობილი ქართველი პე-
დაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალ.
გარსევანიშვილი 1911 წელს ქუთაისის
სახალხო უნივერსიტეტში ტ. შევჩენკოს
ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ლექცი-
ებს კითხულობდა. მანვე იმავე წლის 1
მაისს გაზეთ „კოლხიდაში“ დაბეჭდა
წერილი „ტარას შევჩენკოს პოეზიის
მნიშვნელობა“. ამას გარდა, ალ. გარ-
სევანიშვილმა 1912 წელს ქუთაისის სა-
ხალხო უნივერსიტეტის გამოცემით
ცალკე წიგნაკად დაბეჭდა „უკრაინის
მგოსანი ტარას შევჩენკო“.

1914 წლის ქართულ პერიოდულ გა-
მოცემებში: „სიმართლის ხმა“, „სა-
ხალხო გაზეთი“, „ლაბტი“, „თემი“,
„აზრი“, „თეატრი და ცხოვრება“,
„კლდე“, დაიბეჭდა ტარას შევჩენკო-
სადმი მიძღვნილი წერილები, კორეს-
პონდენციები, ცნობები, ლექსების
თარგმნები და სხვა.

ასეთივე ცხოველ ინტერესს იჩენდნენ
ტარას შევჩენკოსადმი მის შესახებ წე-
რალეებისა და სხვადასხვა ცნობების ბე-
ჭვით რევოლუციამდელ საქართვე-
ლოში არსებული რუსული პერიოდუ-
ლი გამოცემები: „კავკაზი“, „ტიფლის-
კი ლისტოკი“, „ზაკავკაზი“, „ტიფლის-
კაია გაზეთი-კოპეიკა“, „ზაკავკაზსკაია
რენ“, „კუტაისკაია ეიზნ“, „კურიერ-
კოპეიკა“ და სხვა.

1914 წლის მარტში შესრულდა ტა-
რას შევჩენკოს დაბადების ასი წლისთა-

ვი. ამასთან დაკავშირებით, უკრაინელი
და მასთან ერთად მოძმე ხელეჩის მუწუნი
ნავე საზოგადოებრიობა შემზადებულდა
იუბილეს ჩატარებისათვის; მაგრამ მთა-
ვრობამ ნება არ დართო იუბილუ ჩაე-
ტარებინათ. ოფიციალურად გამოაცხა-
დეს მისი აკრძალვა.

ამასთან დაკავშირებით მკითხველის
ყურადღება უნდა შევაჩერო იმ პერიო-
დის ქართულ პრესაში მომხდარ მნი-
შვნელოვან ამბავზე, რომელსაც მაშინ
ჰქონდა აღგილი; ქუთაისის გაზეთ „სი-
მართლის ხმაში“ 1914 წლის 18 თებერ-
ვალს (№ 39) დაიბეჭდა მოწინავე წერი-
ლი „შევჩენკოს დღესასწაულის აკრძა-
ლვა“, გაზეთი საზოგადოებას აღწყებდა,
რომ ტარას შევჩენკოს დაბადების 100
წლისთავის იუბილუ, რომლის ჩატარე-
ბისათვის უკრაინაში ემზადებოდნენ,
მთავრობამ აკრძალაო. ამასთან ერთად,
აღნიშნავდა, რომ მეფის ბიუროკრატის
მიერ უკრაინაში ყველაზე მეტად იღვე-
ნებოდა დემოკრატიული მსოფლმხედ-
ველობა, ხალხი განიცდიდა ეროვნულ
ჩაგვრას, ერთა შორის თესავდა ნაციო-
ნალურ შუღლსა და ერთიმეორის წინა-
აღმდეგ ბრძოლას აღვივებდაო.

„შევჩენკოს დღესასწაულის აკრძა-
ლვა, — წერდა მოწინავე, — ამ პოლიტი-
კის ერთი რგოლია. შევჩენკო უკრაინე-
ლი და თან დემოკრატი, მამ მისი დღე-
სასწაული ორი მხრივ სახიფათოა. ის
გააძლიერებს უკრაინელობას და ხელს
შეუწყობს დემოკრატიული მოძრაობის
განვითარებას“.

მოწინავე ასკვნიდა, რომ „გათვითც-
ნობიერებული ხალხის რეპრესიული
ზომებით დატუქსვა შეუძლებელი საქ-
მეა“.

სოციალ-დემოკრატიული მიმართუ-
ლების ყოველდღიური საპოლიტიკო და
სალიტერატურო გაზეთი „სიმართლის
ხმა“ გამოდიოდა ქუთაისში 1913 წლის
8 მაისიდან, გაზეთი, რომლის რედაქ-
ტორ-გამომცემელი იყო ლევან ბუაძე,
სულ გამოვიდა: 1913 წლის 22 სექტემ-
ბრამდე 25 ნომერი, ხოლო 1914 წლის

1-ლ იანვრიდან 28 თებერვლამდე 48 ნომერი.

ამ მოკლე ხნის არსებობის განმავლობაში გაზეთის რედაქცია მეფის ცენზურის თავდასხმებს ხშირად განიცდიდა; მისი ცალკეული ნომრები, მთავრობის საწინააღმდეგო წერილების დაბეჭდვის გამო, რამდენჯერმე ყოფილა აკრძალული.

ქუთაისის გუბერნიის ბეჭდვითი საქმის ინსპექტორი, 1914 წლის 19 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი საქმის მთავარსამმართველოს ატყობინებდა, რომ მის მიერ აკრძალულ იქნა გაზეთ „სიმაართლის ხმის“ 18 თებერვლის ნომერი (№ 39) წერილის „შევჩენკოს დღესაწაულის აკრძალვის“ დაბეჭდვის გამო და პასუხისგებაში მისაცემად საქმე ქუთაისის საოლქო საამართლოს პროკურორს გადაეცაო.

ინსპექტორი, სხვათაშორის, პროკურორს აცნობდა აკრძალული სტატიის შინაარსს და თან დასძენდა, რომ გაზეთის (№ 39-ის) 260 ცალი იქნა დაკავებული, ხოლო დანარჩენის ვაგრცელება მოასწრესო. დასასრულს, ინსპექტორი პროკურორს სთხოვს, რომ მან დაამტკიცოს აღნიშნული აკრძალული გაზეთის კონფისკაცია და მისი მოსპობა, ხოლო რედაქტორი ლევან პაულეს ძე ბუაძე, რომელიც ქუთაისში ცხოვრობს, პასუხისგებაში მიეცესო.

ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ გაზეთ „სიმაართლის ხმა“, 28 თებერვალს (№ 48) გამოსვლისას, მეფის ცენზურამ მთლიანად აკრძალა.

დიდი კობზარის თხზულებათა ქართულად თარგმნას განსაკუთრებული ყურადღება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა. მწერლის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ისე როგორც მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, მახლობელი, გასაგები და ხელმისაწვდომი გახდა ქართველი მკითხველისათვის. ამის ნათელსაყოფად საჭიროა თვალი გადა-

ვაგლოთ საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურას.

შალვა გოცალავილი

ტარას შევჩენკოს ლექსი „მანდრინი“, რომელიც პოეტის მძიმე ავადმყოფობისას 1845 წელს ქ. პერეიასლავში დაიწერა, მოცემულია ჩაგრული მშრომელი ხალხის თავისუფლების მომავალი გამარჯვების ღრმა რწმენა. რევოლუციამდე ქართულ ლიტერატურაში ამ ლექსის სამი სხვადასხვა თარგმანი (იასამანის, გ. ქუჩიშვილის, მ. უზნაძის) გვაქვს, ხოლო შემდგომ მიემატა საბჭოთა პერიოდში ცნობილი პოეტების: ი. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის, ნ. მაღაზონიას, ვ. ბაიძისა და სხვათა თარგმანები.

ქართველი პოეტების ცხოველ ინტერესს იწვევდა აგრეთვე ტ. შევჩენკოს პოლიტიკური პოეზიის შედეგრი — პოემა „კავკასი“, რომლის რამდენიმე სხვადასხვა თარგმანი გვაქვს ქართულად. პოემის თარგმანზე მუშაობდნენ: განდევილი (დ. მდიენისა), ნ. მიწაშვილი, ლ. ასათიანი, კ. ლორთქიფანიძე და სხვანი.

უკრაინის რევოლუციურ-გამანათავისუფლებელი მოძრაობის ბრწყინვალე წარმომადგენელი ტ. შევჩენკო, თავისი შემოქმედებით, უმღეროდა მეფის რუსეთის „ხალხთა საპყრობილში“ გამომწყვდეულ უკრაინის მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის თავგანწირულ ბრძოლას უკრაინელ, პოლონელ და რუს მებატონეთა წინააღმდეგ. დიდი პოეტის მოწოდება თანაბრად აღაფრთოვანებდა ყველა ჩაგრულ ხალხს ცარიზმთან უთანასწორო ბრძოლაში.

ამიტომ ბუნებრივია, სხვა ხალხთა ენებზე და მათ შორის ქართულზეც, თუ რატომ ასევე ძლიერად, მაღალ მხატვრულად გაისმა პოემა „კავკასის“ მგზნებარე სტროფები:

მთების იქით მთებო, შებურვილი ნისლით,
მწუხარებოთ ხვევ და მოწვეული
სისხლით...

პოეტი მოუწოდებს ხალხთა მასებს, რომ არ დანებდნენ მოძალადე დამპყრობლებს:

დიდება თქვენს ვაჟაკობას,
თოვლიანო მთებო,
თქვენ — დიდება, არ დანებდეთ
მოძალადე სევეებს,
სიმაართლე თქვენს მხარეზეა
შორეულო ძმებო,
ზეცის მაღლი ვფინება
თქვენს ქალარა თავებს... და სხვა.

ტ. შევჩენკოს ლექსებისა და პოემების თარგმანები სისტემატურად იბეჭდებოდა საბჭოთა საქართველოს პერიოდულ გამოცემებში. მათი მთარგმნელებია პოეტები: ა. აბაშელი, ი. აბაშიძე, იასამანი, ვ. გაფრინდაშვილი, ს. ჩიქოვანი, ნ. მიწიშვილი, ი. მოსაშვილი, შ. აფხაიძე, ა. მირცხულავა (მაშაშვილი), კ. ნადარაძე, მ. პატარიძე, ვ. გაბესკირია და სხვები.

დიდი მუშაობა ჩატარდა პოეტის თხზულებათა ცალკეული გამოცემებისათვის. 1936 წელს გამოიცა პოემა „კატერინა“ ს. ჩიქოვანის თარგმანით; 1937 წელს გამოვიდა ნ. მიწიშვილის თარგმანით პოემა „კავკასი“, ხოლო დ. გაჩეჩილაძის თარგმანით „სიზმარი“; ამავე წელს სახელგამმა სასკოლო ბიბლიოთეკისათვის გამოსცა ლექსებისა და პოემების კრებული.

ტ. შევჩენკოს უკვდავ თხზულებათა კრებულის „კოზზარის“ (ლექსები და პოემები) გამოცემა, შ. რადიანისა და ს. ჩიქოვანის რედაქციით, სახელგამმა 1939 წელს განახორციელა. ამავე წელს

საბლიტგამის გამოცემით გამოვიდა „პოემები“. ამას გარდა, 1952 წელს ს. ჩიქოვანის რედაქციით სახელგამმა გამოსცა ტ. შევჩენკოს „ლექსები და პოემები“, ხოლო 1961 წელს „ნაკადღღმა“ — „ჩრეული“.

ქართული თარგმნილი ლიტერატურის საგანძურში ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლ ტარას შევჩენკოს დიდ შემოქმედებას ერთი პირველი ადგალთაგანი უკავია.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკაში, ტ. შევჩენკოს თხზულებათა ცალკეულ გამოცემათა განხორციელების გარდა, დაიწერა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისადმი მიძღვნილი არა ერთი გამოკვლევა, სტატია, ლექსი, წერილი და ნარკვევი.

მთელი ეს ლიტერატურა ხალხთა ძმური ურთიერთობის, დაახლოების, მეგობრობისა და სიყვარულით აღსავსე, კეთალშობილური მიწრაფებით არის გამსჭვალული.

ტარას შევჩენკო დღესაც, ჩვენი ახალი ცხოვრების შენების ეპოქაშიც, უკვდავია, ჩვენთან, ჩვენს შორის არის თავისი ბრწყინვალე შემოქმედებით და მოგვუწოდებს ძმობისა და მეგობრობისაკენ, ხალხთა ურთიერთ პატივსაცემისა და სიყვარულისაკენ.

გიორგი მთავარიძე

რომანისტის სტილური თავისებურებანი

თანამედროვე ქართული რომანის გამოჩენილი ოსტატის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება მეტად თავისებურია არა მხოლოდ თემატიკურ-პრობლემური გააზრებით, არამედ ასევე თვალსაჩინოა მისი სტილის ინდივიდუალური თავისებურებანი.

კ. გამსახურდიას ზოგიერთი სტილური თავისებურების ნათელსაყოფად ჩვენ ვიღებთ თანამედროვეობისადმი მიძღვნილ მის ორ რომანს — „მთვარის მოტაცებას“ და „ვაზის ყვავილობას“. ზატვის მისეული მანერა, რომელიც ასე მკაფიოდ არის გამოვლენილი ამ რომანებში, ძირითადად გაპირობებულია აზრის, იდეის ხატოვანი წარმოქმნის ამოცანით. ფორმით ცალმხრივი გატაცება, რაც ხანდახან შეინიშნებოდა მხატვრის აღრინდელ შემოქმედებაში, თითქმის მთლიანად დაძლეულია აღნიშნულ რომანებში, სადაც მთელი კომპოზიციური სიუჟეტური წყობა, მხატვრული სტილი ემსახურება შინაარსის, გარკვეული იდეის მკაფიოდ გამოხატვას.

რომანისტისათვის დამახასიათებელი სტილური თავისებურებებიდან აქ მხოლოდ რამდენიმე საყურადღებო მოვლენაზე შევჩერდებით:

კ. გამსახურდიას ორივე რომანისათვის ნიშანდობლივია ფართო ექსპოზიციური პლანი. მაგრამ ამ რომანებში იგი სხვადასხვაგვარად ვლინდება.

„მთვარის მოტაცებაში“, მაგალითად, ექსპოზიცია ისეა ჩართული დაწყებულ მოქმედებაში, რომ მან არ დაამჩიოს ან არ შეანელოს თხრობის საერთო მდინარება. ეს ეგრეთწოდებული დაყოვნებული ექსპოზიციები ბუნებრივად ერწყმინან მთელ თხრობას თვითონ პერსონაჟის ახლანდელი მდგომარეობის ხატვის პროცესში. ასეა ეს არზაყანის ცხოვრების განვლილი გზისათვის ოდნავი თვალის გადავლების დროს, ტარიელ შარვაშიძისა თუ ლუკაია ლაბაზუას ისტორიების გადმოცემისას. შედარებით ხანგრძლივი მიბრუნება ესაკიროება რომანისტს ემხვარების მთელი წარსულის თუ გვიან აფაქიძის თავგადასავლის თხრობისას. მაგრამ აქაც იგი იჩენს მისთვის ჩვეულ ოსტატობას და ამ დაყოვნებულ ექსპოზიციას სხვადასხვა ფორმას აძლევს ან ორიგინალურ კეთხეს მოუნახავს ხოლმე. თუ თარაშ ემხვარის მამის ისტორიის გადმოცემას იგი ახორციელებს ტრადიციული ხერხით, თვით თარაშის მიერ საზღვარგარეთ გატარებულ დღეებს ძირითადად ზედავს დღევანდელობაში მყოფი თამარ შარვაშიძის თვალთა და სულიერი განწყობით, რაც ერთგვარად წარსულის მტვრისაგან სწმენდს ამ თავგადასავალს. ამასთან ერთად, დღიურების ფორმა და ამ დღიურებში გვიან გაკეთებული მინაწერები ან მათ შორის ჩართული უშუალო სინამდვილის პა-

საყები თითქმის შლის კიდევ ზღვარს გმირის უკვე განვლილსა და ახლანდელ მდგომარეობას შორის. ერთგვარად სხვაა კაც ზეამბაიას წარსულის ხილვა. მისი მთელი ძველი ცხოვრება შემოსულია ახალ ყოფაში და აქ არის გზადაგზა გააშკარავებული. ეს არის მოკლე-კონდენსირებული შესხენებები, რომლებიც ხან ელვისებური სისწრაფით გაიღვებენ და ხან ოდნავ შეაყოვნებენ კიდევ პერსონაჟის პერეტას.

„ვაზის ყვავილობაში“ კი, ძირითადად, სხვა ექსპოზიციური მანერაა გამოყენებული. პროლოგი, რომელიც აქ პირდაპირი ექსპოზიციის ადგილს იჭერს, არა მხოლოდ წარსულ მოვლენებს ხსნის საბურველს, არამედ თხრობისათვის აღებული უშუალო სინამდვილის კონკრეტულ ხატოვან წარმოქმნასაც გვაძლევს, ისევე როგორც ამ რომანის ეპილოგი სრულებით არ არის ხანგრძლივი წყვეტილის შემდეგ ცხოვრების დანახვის ტრადიციული სურათი, არამედ იგივე სინამდვილის ხილვის უშუალო გავრძელება და დასასრული, თავისებური განსაკუთრებული კონდენსირებული ძალით შეკრული.

რომანთა ამგვარი არქიტექტონიკური გამართვის არსი ავტორს აქისრებს ფართო ექსპოზიციური ხატვის ამოცანას. და მართლაც, „ვაზის ყვავილობის“ თუ „მთვარის მოტაცების“ პასაჟებში ჩვენ ვხვდებით მთელი თაობების თუ კლასების ბედს, წარსული ცხოვრების მკაფიო სურათებს, ადამიანთა ენებების გამძაფრებას. ყოველივე ეს კი შესაძლებელი გახდა სხვადასხვა მანერით განზორციელებული ექსპოზიციური ხატვის წყალობით.

უსათუოდ იქცევს ყურადღებას კონტრასტული დაპირისპირების ისეთი გამოყენება, როდესაც მიღწეულია კონკრეტული ნახაზის განსაკუთრებული სიცხადე.

„მთვარის მოთეთრო კაშკაშზე თეთრად ელავდა თოვლი და თოვლზე უთეთრესი ქვის შენობანი“, — ვკითხუ-

ლობთ „მთვარის მოტაცებაში“, რაც ბუნებრივ გარემოს ქმნის იმ ირგვლივ მკედარი სიჩუმის უფრო მკვიდრი კლემისათვის, რომელსაც მოუცავს მთებში მივარდნილი, დიდი სევდით გათანგული სევანური სოფელი. ამ მიზნით არის „ხასხასა მთვარიან ღამეში“ თეთრად მოკიანე შენობები აქ დაპირისპირებული მრუმე სივრცეში გამოკიდებული, კონგურებჩამოღწეილი ციხე-კოშკების თუ ეკლესიათა თავმომსხვრეული სვეტების მდუმარებასთან. მთელი ეს ფონი კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც ძნელად ასატან სიტუაციას, რომელშიც მოხვედრილან არზაყანის ბედით შემფოთებული კაც ზეამბაია, თარაში და თემური. და იგი ისევე საჭიროა მათს შინაგან მშფოთვარებასთან გასაწყვილებლად, როგორც ერთი ფერით ხაზგასმული „თეთრწყერა, თეთრჩოხიანი და თეთრქუდიანი“ ქორა მახვშის შესატყვისობა თეთრად მოქათქათე ზამთრის ღამესთან.

„მთვარის მოტაცებაში“ ორი რელიეფური ფიგურა უპირისპირდება ერთმანეთს — გვანჯი აფაქიძე და ლომკაც ესვანჯია. ასეთი დაპირისპირება, საერთოდ, ცნობილი ხერხია და ჩვენ მასზე არც შევჩერდებოდით, რომ აქ მხატვრულ აზროვნებაში თვისობრივად ახალ მოვლენასთან არ გვეკონდეს საქმე.

ესვანჯია და აფაქიძე ორი სხვადასხვაგვარი ხასიათია: ერთი გაბოროტებული თავისი ხვედრით და ამდენად, სოციალურ კონფლიქტშია საზოგადოებასთან; მეორე — პირად ცხოვრებაში ხელმოცარვის შემდეგ რელიგიურ ექსტაზს ნაზიარები გაბოროტებული ადამიანია, რომლის კონფლიქტიც საზოგადოებასთან ფსიქოლოგიური ასპექტით დაიწყო. ერთი „ყოველგვარი ნიღაბის ტარების შესანიშნავი ოსტატი“, მეორეს არ ეხერხება შენიღბვა; ერთს რაინდის პოზა უყვარს, მეორეს — მოგვისა.

ეს არის დაპირისპირება ორი სხვადასხვა ფსიქოლოგიური ხასიათისა. მაგრამ ამ ფონზე ჩვენ ვამჩნევთ იმ საერ-

თოსაც, რაც მათ ერთმანეთთან აახლოებს და აკავშირებს: სიძულვილი ახალი ცხოვრებისადმი.

კონტრასტის მანერა „ვაზის ყვავილობის“ ბევრ პასაჟშიც არის გამოყენებული. ამ ხერხს ეყრდნობა ნიორთავას წისქვილში მოსულთა — ნუნუსა და მალზახის პორტრეტული ფერწერა (ნუნუსს გარეგნულსა თუ შინაგან სულიერ სილამაზეს განსაკუთრებულ ფონს უქმნის მალზახის ყოველმხრივი სიმახინჯე). დაპირისპირება — კონტრასტირების მანერით არის დახატული „ვაზის ყვავილობაში“ აგრეთვე სუსქიასა და მედიკოსს, ნიკოსა და ვარას, გოდერძისა და კანკრეს, მიქელასა და აბრიას ურთიერთობა.

მხატვრული ოსტატობის სფეროს განეკუთვნება აგრეთვე ს ა ხ ის, პ ო რ ტ რ ე ტ ის ზედმიწევნითი ს ი ც ხ ა დ ის მიღწევა მთავარი დეტალით ძ ი რ ი თ ა დ ი ა რ ს ი ს გ ა ხ ს ნ ი ს შემწეობით.

პირველ ყოვლისა, აქ ყურადღებას იქცევს ორივე რომანში მოხატულ პორტრეტთა მთელი გაღერვა. „მთავარის მოტაცებაში“ ტარიელ შარვაშიძის მრავალრიცხოვან წინაპართა პორტრეტებს რომ წარმოგვიდგენს, მისი სახლის დარბაზში გამოფენილთ, რომანისტი სწორედ მთავარი დეტალების გამოყოფით აღწევს თვითიული მათგანის ხასიათის გახსნას. მურზაყან შარვაშიძის ქართული ქულაჯა მიგვანიშნებს მის განდგომას აფხაზთა მთავრისაგან და თბილისს გაქცევას; ლეკურზე დადებული დიდი ხელი მეორე დიდებულისა, მის გოლიათობას გამოხატავს; რუსი გენერლის ჩინები ხარზამან შარვაშიძისა მის მდგომარეობას დაგვანახებებს; მანუჩარ შარვაშიძის მრისხანედ შეყრილი წარბებითა და ფრიად ბანჯგვლიანი წვერით ნიშანდებულია მისი მკაცრი ხასიათი; ჯახანას ლიმონისფერი სახე კი მისი „უფაქიზესი სინატიფის“ გამოხატეულია. თარაშის სახლში შემონახულ ფერმკრთალ

პორტრეტზეც „მალალი, ხმელი, გაფითრებული შავხოხიანი“ ერაზმუტ ემხვარის „საშინელი მარტოობა“ — და მდებარეობს მისი გაფითრებული სახის, მალალი, აწურული ტანის დეტალებით.

მთავარი და მკაფიოდ გამოყოფილი ორიოდ-სამიოდ დეტალით ტიპის არა მარტო ხასიათის გახსნა, არამედ მისი მდგომარეობისათვის შექმნილთა, მთელი პორტრეტის მკვეთრი ამეტყველება დამახასიათებელია კ. გამსახურდიას ოსტატობისათვის. პორტრეტის ხატვისას იგი მუდამ ძუნწად იყენებს საღებავებს, მაგრამ ისეთ ურთიერთშეხამებას მოუნახავს ხოლმე მათ, რომ გასაოცარ მრავალფეროვან წარმოსახვითს ეფექტს აღწევს. კონკრეტულ-კონდენსირებული ნახაზი მის მიერ მოხატულ პორტრეტზე ყოველთვის მრავლის აღმქმელია.

აეილოთ, მავალითად, ზოგიერთი დამახასიათებელი პორტრეტი:

ა) ნუნუ უჭირაული: ვაზის ბუჩალებით ბოლოებში წამახული თაფლისფერის, წვრილი წარბები; ოდნავ ზეაწეული ცხვირის კვინტი და ენერგიულ ნიკაზე — პაწია ორმო; ხალი და მსუბუქი კორფლი; ოდნავი ქინქლი ზემო ტუჩზე; წაბლისფერი ორმაგი ნაწნაეები თავზე. ეს კონკრეტული დეტალებია, მაგრამ ხასიათს ისინი ვერ კიდევ ვერ დაგვანახებენ. რომანისტს ესაჭიროება უფრო შთამბეჭდავი შტრიხები, და აი ისინიც: შინდევით წითელი, ამობურცვილი ტუჩები და ლოყებზე შეფარულად შერწყმული ბროწეულის ყვავილისა და სპილენძის ფერები, რომლებითაც გახსნილია ქალწულის მჩქეფარე ბუნებაც და იდუმალად შეფარული გრძნობაც;

ბ) ნიკო როსტიაშვილის — პოპოლას პორტრეტი: ბალღევით უმანკო თვლები, ენდროსფერი ტუჩები, კვერცხის ცილივით თეთრი, მსხვილი კბილები, ქერა და ზეუული წვერი, რომელიც ნიკაპის ქვეშ ოდნავ წაწვეტილებულა და მოღრეკილა. მაგრამ ამ პორტრეტულ დეტალებს მხოლოდ მაშინ ეძლევათ შინაარსი

და გამომხატველობითი ძალა საერთო ფონზე, როდესაც ისინი შეესიტყვებიან პერსონაჟის ქალწულებით გაწითლებული ლოყების ელვარებას და ტანის დათვურ მოუხეშობას;

ვ) ლუკაია ლაბახუა: ყვითლად დამქვარტლული მატყლისფერი წვერი, ტანად გოჭა, ძვალმსხვილი, გრძელწვერა, კისერმოკლე, ლაწვემალალი, გრძელზელება, მოკლეფეხება; მარჯვენა ფეხი — მოქცეული, მარცხენა — ამოვარდნილი. მაგრამ ყოველივე ეს სტატიურია; მისი სულის გამოსახატავად საჭიროა უფრო დინამიკური მკვეთრი დეტალი. ასეთი დეტალია ისრისფერი მომცრო თვალების პრიალი, რითაც იგი შეეგებება ზუგდიდს ჩამოსულ ზეამბაიებს. ამ თვალთა პრიალში, ისევე როგორც ჭიშკართან მკერდზე ურდულმიხუტებულ, „ბერძნული სატირივით“ დამდგარ ლუკაიას ფიგურაში უკვე გაცხადებულია მისი დამთხვეული სულიც და მონურად მოსიყვარულე ადამიანის ბუნებაც;

დ) პროვინციული ინტელეგენტი, მოკამათე. „პრობლემების კაცი“ და ორსულიანი. ასეთად გავაცნობს რომანისტი შარდინ ალშაბაიას. მაგრამ ყოველივე ეს ხომ გახსნილ უნდა იქნას იმ დეტალებით, რომლებითაც წარმოდგენილია იგი პორტრეტზე და მოქმედებაში. ჭორფლიანი და დანაოქმებული სახე, რომელზეც ვერასოდეს ვერ ამოიკითხავ „ნაზრალს“; წვრილი, მოძრავი თვალები; საფეთქლებთან გათეთრებული შეღებილი თმა; ამერიკული რქის სათვალე, რომ „ფრიად განათლებულ კაცად“ მოგაჩვენოს თავი, — ყველა ეს გარეგნული შტრიხი მხოლოდ მაშინ იწყებს ამტყვევლებას, როდესაც ჩვენს პერსონაჟს ვხედავთ მისი მორალით ამოქმედებულს: „თუ გინდა ეს ცხოვრება იოლად გაათრიო, ყოველ კაცს ის უნდა უთხრა პირში, რაც მას ეამება. ხოლო რაც მას არ ეამება, ეს მის მტრებს უნდა შეატყობინო“;

ე) ჯოკიას სურათზე ვხედავთ ტანად ერთ ციდა კაცს, მწითურსა და ჭორფ-

ლიანს; სახნისისებური ცხვირი, ჩალისფერი თვალები და ალისფერი ამქები აქვს. მაგრამ ეს თავისთავად არაფერს გვეტყვის, სანამ ორი მთავარი დეტალი არ შეავსებს ამ სახეს და არ გახსნის მის სულს: ა) „მოუვლელ ვაზსავით დაღრეკილი“ მისი სხეული, რომელშიც არ შეიძლება კეთილი ნება სუფევდეს, ბ) კაც ზეამბაიას ზურგზე მოკიდებული, მის სხეულს ეშმაკივით ჩაბლაუჭებული ჯოკიას ხატოვანი მონახაზი.

მსგავსი მანერით არის შესრულებული ბევრი პორტრეტი კ. გამსახურდიას რომანებში და ამით მიღწეულია პერსონაჟთა ნიშანთავისებურებების ორიგინალური გახსნა, გარკვეული იდეისა და აზრის შთამბეჭდავი გააშკარავება.

აღნიშნულ რომანებში გამოყენებულია აგრეთვე მოვლენათა, ფაქტთა ზე დ მ ი წ ე ვ ნ ი თ ი კ ო ნ დ ე ნ ს ი რ ე ბ უ ლ ი ა ლ ქ მ ი ს ხერხი. ბევრი თანამედროვე რომანი ცოდავს გაჭინაურებული სიტუაციებით თუ დიალოგებით, ზედმეტსიტყვაობითა და ყბელობით, რომლებიც მტერია მხატვრულობისა. ჩერნიშევსკი მოხდენილად შენიშნავდა ერთ დროს: „ყბელობა შეიძლება მიმზიდველადაც და შნოიანადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ მხატვრულობასთან მას საერთო არა აქვს რა“.

რომანისტი დიდ ტილოზე მუშაობის დროს ყოველთვის დგას გარკვეული საფრთხის წინაშე; ბევრი მოვლენა, ამბავი, ფაქტი, უამრავი პერსონაჟი თავისი რთული ბიოგრაფიითა და ხასიათით ძნელად ექვემდებარება კონდენსირებულ ხატოვანი ალქმის პრინციპს და ჰქმნის ზედმეტსიტყვაობის, კომპოზიციური თუ სიუჟეტური დაქსაქსულობის საშიშროებას. რომანისტის მხატვრული ოსტატობის ერთ-ერთი უპირველესი ნიშანი სწორედ ამ სირთულის დაძლევაა. რაც უფრო კონდენსირებულად არის აღქმული მოვლენები და ფაქტები, რაც უფრო ლაკონურ-დახვეწილი მანერით არის განხატოვებული ისინი, მით უფრო შთამბეჭდავია კონკრეტულ სურათში

თუ სიტუაციაში, სახეში თუ პასაჟში გაცხადებული აზრი და იდეა მხატვრისა.

ჩვენ აქ უპირველესად შევეჩერდებით „ეაზის ყვავილობაში“ განსაკუთრებით კონდენსირებულად დახატულ ერთ სურათზე. სულ რაღაც ერთ გვერდზე თქვენს წინაშე გაშლილია სოფლის საღამოს მრავალი სიტუაციის, მრავალი სახის, მრავალი განწყობილების შემცველი კონკრეტული და განერკობილი მხატვრული ტილო. ამ სურათში ისმენთ თუ ხედავთ: სოფელთა ქრიაშულის თანდათან მინელებას; ოდნავ მბუქრავ ელექტრონათურებს და მათ უსუსურ სინათლეზე ბუნდოვნად გამოჩენილ ახალ შენობათა კონტურებს; ახლად გაყვანილ შარებს და მათ გასწვრივ გაწყაპულ ხრეშის ბორცვაკებს; კარების კრიალს თუ შეუკებში შემორჩენილი პიურუტყვის ბლავილს; ფეხაჩქარებულ მგზავრებს; ტრაქტორების ბუბუნს თუ ურმების კრიალს; ფაფახიან კაცს, რომელიც ბავშვივით ეალერსება მხრებზე შესმულ თოხლს; თავშიან დედაკაცს, რომელსაც აკვანი მიაქვს; მასწავლებელსა და მოსწავლე გოგონებს; პიონერთა რაზმს; ნაბღისქუდიან მწყემსს და მის კამეჩებს; ხმლიან ხევსურს, რომელიც ბაწრით მიათრევს შავ ღორს; ბავშვის გაბმულ ტირილს და ახლადგებული სახლის აივანზე გამოსულ ქალს; გზაზე გამოსულ კორინთელს და სუსქიას ოთახში მბუქრავ სინათლეს... ხედავთ და ისმენთ ყოველივე ამას, არა სქემატურად დახატულსა და გადმოცემულს, არამედ როგორც მრავალი შინაარსით გამსჭვალული ერთი მომენტის ერთიან ცოცხალ ხატოვან სურათს.

სურათთა და ხასიათთა ასეთივე მიჯრითი მანერით, მაგრამ სხვაგვარ ხატოვან-ასპექტური აღქმით არის წარმოდგენილი აგრეთვე რევაზ ვაჩნაძის მთელი საზღვარგარეთული თავგადასავალი და ენატანგ კორინთელის თუ კაც ზვამბაიას ექსპოზიციაში გადატანილი ცხოვრება; ასევეა გამართული არზაყანზე ღამით თავდასხმის პასაჟის მომ-

დენო სცენები, სადაც ავტორი იძლევა მოვლენათაშორისი დიდი ამბების კონდენსირებულ-ლაკონურ შემწყვდილებას (ლომკაცა თარბას გარდაცვალება, დაქრილი არზაყანის შინ მიყვანა და სამზადში დაწვენა, სამი ძმა ტარბას ყაჩაღად გაჭრა, კაც ზვამბაიას დაუბრება მეზობლებთან, მამის ბუზღენი, ხათუნას მდგომარეობა, ჩალმახის მოხსნა, არლანის აღზევება და მისი მცდელობა არაბიას დასაკუთრებისა, არზაყანის მოხსნა, კაც ზვამბაიას შავ სიაში ჩარიცხვა, თემსაბქოს თავმჯდომარის მოკვლა, ტარბებისა და კიუტების მუჭარა და ა. შ.).

ასეთი ლაკონიზმი განხორციელებულია თვით პერსონაჟის განწყობილების შესაბამისად, მისი კონკრეტული სულიერი მდგომარეობის გასახსნელად, თუმცა ამბავთა გადმოცემა უშუალოდ ავტორის პირით სწარმოებს. აქედ გამხდარ თამარ შარვაშიძეს განსაკუთრებით აბეზრებენ თავს ზაფხულის გრძელი დღეები. და მას სურს ამ გრძელ დღეებს დაუპირისპიროს მოკლე აღქმა მთელი მოვლენებისა და ამბებისა. უსათუოდ, ამიტომ მიმართა ლაკონურ მანერას რომანისტმა იმ გარემოებათა და სიტუაციათა გადმოცემისას, რომლებშიც მოქცეულია მისი პერსონაჟი.

კონდენსირების ამ მანერას ბუნებრივად უკავშირდება უ ე კ ა რ ი, მ კ ე ე თ რ ი გა და ს ვ ლ ე ბ ის ა თუ კ ვ ა ნ ძ თ ა გა ხ ს ნ ის ნ ო ვ ე ლ უ რ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ი, რომელსაც ორივე რომანში არც თუ იხე იშვიათად მოიშველიებს ხოლმე მხატვარი. ამგვარად არის დახატული, მაგალითად: არზაყანის, კაცის, თარაშისა და თვითონ ავტორის შეხვედრა მოსისხლე ტარბასთან სვანეთის სოფელში; თარაშის მიერ ლამარის ხილვა არზაყანთან; მეზირის მოკვლა და გადახვეწა ქორა მახეშის სახლიდან; სვანეთს თავშეფარებული არზაყანისა და კაცის ურთიერთობანი; აბრია უჭირაულის ბრძოლა ცივ ალაზანთან თოხლის გადასარჩენად; ნუნუ უჭირაულის ფულის ამბავი; პატარა მიქე-

ლას გატაცება; გოდერძის ამეტყველება ფინალში და ა. შ.

ეს ნოველური ელემენტი ფართო პლანის პროზაულ ეპიკურ ნაწარმოებში, უსათუოდ, გაპირობებულია კ. გამსახურდიას რომანების მძლავრი დინამიკური კომპოზიციურ-სიუჟეტური წყობით.

რომანისტის მხატვრული ოსტატობიდან ჩვენ ასევე გამოვყოფთ კონკრეტული და დებიტის ობიექტურ აღქმას ხაზგასმული უარყოფით:

ა) „ერთი უცნაური სიმღერა გამიგონია აფხაზეთში. ვაპრადას არა ჰგავს იგი ერუანტელის მომგვრელს, არც აახრაშვს, დაკოდილს რომ უმღერებენ... არც აზარს, თარჩიას დროს შესაძებელს... არც იმას, მარულას დაწყებისას ნაბდით შებურვილ ცხენს რომ ეტყვიან აფხაზები ზარითა და დამბაჩების სროლით. არა, სულ სხვაა ეს ღამეული მგზავრული“; „ასეთ სიცივეში აქ ყინულზე ღამის თვეა უეპველი სიკვდილია. არც მონადირეთა სახუნდარი, არც ქებაი ჩანდა საღმე. არც ადამიანი, არც სხვა სულეერი შეგვხვედრია“; „იგი ერთი მათგანია, ვინც ამიამად ეგრე ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას: არაპათეთიური, არაორატორი, არცთუ სენტიმენტალურად განწყობილი ადამიანი... ასეთი ადამიანები ჰქმნიან ჩვენი ცხოვრების პროგრესს. ისინი არა ჰყვირიან, არ ხმაურობენ, არც იქაღიან...“;

ბ) დასეტყვილი ვაზების შემაზრზენ სურათს ხატავს რომანისტი: „ნაღვემი ვაზები სტიროდნენ, ნასეტყვარი ჭრილობებიდან იღვრებოდა სითხე. სტიროდა მრავალი ათასი ვაზი ალაზნის გაღმა-გამოღმა იმ დღეს... და განა მარტო ვაზები?“ და ცოტახნის შემდეგ: „ბერმუხასა და შავსოფელს უკვე თავზე გადაფოფრებოდა ღამე. სტიროდნენ ახალშენი ვაზები ბნელში... და განა მარტო ვაზები?“ ამ განმეორებულს შთამბეჭდავ ფრაზაში გახსნილია უხეში სტიქიური ძალის მიერ ცოცხალი ბუნებისა

და ადამიანისადმი მიყენებული უდიდესი ტყვილი;

გ) „ლირიულ ინტერმეცოში“ საკუთარ დამოკიდებულებას რომ გვიჩვენებს თავისი ლიტერატურული გმირებისადმი, რომანისტი ავლებს ნაბდით დაქედილი ბედაურების მხატვრულ მეტაფორულ ნახაზს („ღამეები მიჰქრიაან, როგორც ნაბდით დაქედილი ბედაურები“). ეს მეტაფორული სახე ოთხჯერ გაივლებს ამ პატარა თავში. პირველად იგი იქ არის ნახმარი, სადაც რომანისტი მკითხველთან უშუალო გაბაასების ფორმას იჩივებს; შემდეგ — შუალედურ გამოყოფად უზის ავტორის გონებაში გმირთა სახეების ჩასახვისა და ძნელი შემოქმედების პროცესში მათი განვითარების შესახებ მსჯელობებს; მესამედ კი მაშინ არის გამოყენებული, როდესაც მწერალი ქართული ანბანის ქებაზე გადადის, ხოლო მეოთხედ — იგი უკვე ბოლოსართია მთელი ამ ლირიკული ინტერმეცოსი. ასე მრავალჯერ განმეორებული მეტაფორული სახე აადვილებს მხატვრის გონებით შემეცნებულის, მისი ნაზარევის აღქმას.

დ) ეს ისეთივე გამოყენებაა განმეორებული ხატოვანი სახისა, როგორც ზუგდიდს მიმავალ არზაყანზე გვანჯის თავდასხმის სცენაში დაბნელებული გზების რელიეფური სურათი („და დაბნელდნენ ვარშემო გზები“), რომელსაც ორჯერ ვიხილავთ: პირველად იგი ცხენიდან გაღმოვარდნილი არზაყანის გონებაში ბურუსად ჩარჩენილი დაბნელებული გზის რაღაც კოშმარული ზმანებაა და, ამავე დროს, გვანჯისა და ჯოტოს უგზოუკვლოდ მიმალვის გადატანითი მნიშვნელობითაც არის გამოყენებული; მეორედ კი, მოკლედ გაღმოცემული ისტორიის ბოლოს, თან აღწერილი დაუცხრომელი წვიმების ფაქტთან არის შეპირისპირებული და თანაც კვლავ მოგვაგონებს არზაყანის დაბნელებულ გზასა და თავდამსხმელთა კვლის გაქრობას;

ე) პერსონაჟთა დიალოგებშიც მიმართავს რომანისტი განმეორებებს. ამას

იგი იყენებს მხოლოდ იქ, სადაც საჭიროა განსაკუთრებით ხაზგასმული ლირიკული განწყობილების ჩვენება ან პერსონაჟის სულის გახსნა მისი ინდივიდუალური დამახასიათებელი ენის თავისებურებათა აქცენტაციით. მოვიგონოთ. როგორ ვეუბრება ხათუნა თავის პირმშოს — არზაყანს, აქ რამდენიმეჯერ განმეორებული მოფერებითი გამოთქმით — „ნან“ ჩინებულად არის დანახული მოსიყვარულე დედის სათუთი გული, ხოლო სიზმრების განმეორებითი გახსენებით გადმოცემულია დედის წინათგრძნობაც, შემფოთებაც და ვედრებაც.

„ვაზის ყვავილობის“ ერთ სცენაში კანკრე ოთხჯერ იმეორებს თავის საყვარელ აკვიტებულ ფრაზას: „კობერიძე, ღვინოს ნუ იპარავ, დალიე, ჭიგარო“, რომლის შემწეობითაც შესანიშნავად არის გახსნილი, როგორც კობერიძის თაღლითური ხასიათი, ისევე შფოთისთავ და ქუჩურ ყალბაანდობას ნაზიარები კანკრეს ბუნება;

ვ) დევის ქვაბში მწოლიარე ავადმყოფ თარაშის არეული გონება ზემოთ აღნიშნული უარყოფის განმეორებითი ხაზგასმით ორჯერ აღიქვამს თემურის გაქრობას: „გავხედე კერას, არც თემური სჩანს, აღარც მისი სვანური ქული, არც მისი გულდა და აღარც თოფი ცალ-ლულიანი“. შემდეგ — ფიქრი ანთებულ სასანთლზე, თემურის მასპინძლურ მოვალეობაზე და — „ვინ იცის, ვგებ ნაძვის კვარი ანთო თემურმა. კიდე ვავხედე კერას და არც თემური სჩანს, აღარც მისი სვანური ქული, არც მისი გულდა, აღარც თოფი ცალ-ლულიანი“. შესანიშნავად არის აქ აღქმული სიცხით გათანგული გონების მდგომარეობა; ჯერ კიდევ საღი ელემენტი გონებისა ებრძვის შემოპრილ ჩვენებებს. ამიტომაც ერთხელ დანახული ილუზორი სურათი ორჯერ არის უარყოფილი მცირედი დეტალების დამახველი გონებით. განმეორების ტენდენცია თანდათან ღრმავდება მთელ ამ პასაჟში, სანამ, ბოლოს ტრაგიკულად არ

დამთავრდება კოშმარულ ჩვენებებში გადასული თარაშის შერცხვებულ გაზრდა საკუთარ ორქულებში. (კობაძე) გორც ერთ შეშაში დამწვევდელი ორი მორიელი — მივწვდით ერთმანეთს მე — ავადმყოფი და მე — ჯანსალი, — მე — ჩოხიანი და მე — კოსტუმიანი, მე — უწვერული და მე — წვერიანი, დავგესლეთ ურთიერთი და შევაჩვენეთ“. მესამედ იხილავს აგონიას შევიდებული ემხვარი ქვაბში ანთებულ შვიდ კვარს და ნადირობიდან მობრუნებულ თემურს. ეს, ახლა უკვე ცხადი დანახვა თემურისა აქ გამოყენებულია, როგორც დასასრული საშინელი ზმანებისა და სიცოცხლეში ემხვარის დაბრუნების გაცხადება. მაგრამ იგი როდი ატარებს სიმბოლურ ნიშანს. ეს მხოლოდ დროებითი საფეხურია თარაშის წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების გზაზე, რომლის ლოგიკურ აღსასრულს ასე გულდასმით ამზადებს მწერალი რომანის მთელს მანძილზე. ამიტომაც შეუდგა ფინალად მხატვარმა მთელ ამ დიდ სცენას თარაშ ემხვარის სიზმრადნახული გარდაცვალება;

ზ) აგრეთვე — მთელი სისტემა სახეთა, სიტუაციათა, მოქმედებათა განგებ განმეორებებისა „ვაზის ყვავილობაში“ (ფრიდა შტამლერის ჩვეულების — ტუჩებზე ვარდისფერი თითის მიღების — სამჯერ განმეორება; აბრიას ჩვეულების — „სოხანეზე დაადუქა“ — რამდენიმეჯერ შესხენება; საკონცენტრაციო ბანაკში თორმეტი რაბინის ნაღვლიანი ზუნის ხშირად გახსენება, როგორც დიდი სევდისა და ვედრების ხაზგასმული აღქმა; ვახტანგ კორინთელის მიერ მოგონება სუსქიასთან ადრინდელი შეხვედრის სიტუაციისა; ძველ პარტიზან თედო თარალაშვილის „დაფანჯვული, ჭალარა წარბების“ ორადი ხილვა და სხვ.).

შემდეგ, ჩვენ უნდა შევჩერდეთ აგრეთვე პიკერბოლის, მეტაფორის, შედარების თავისებურ გამოყენებაზე კ. გამსახურდიას რომანებში. ბუნებისა თუ ცხოველთა

სამყაროს მეტაფორულ-ჰიპერბოლური სურათები აქ ყოველთვის გამოყენებულია, როგორც გარკვეული შთაბეჭდილების, სიტუაციის, იდეის აღქმა-განხატების საშუალება, როგორც შინაგანი სულიერი განწყობილების გახსნის ან ამ განწყობილებასთან დაპირისპირების საშუალება. რომანისტიანათვის უცხოა ისეთი შედარებითი ან მეტაფორული და ჰიპერბოლური ნახაზი, რომელიც არ წარმოადგენს გარკვეული აზრის პარალელურს ან უშუალო მინიშნებითს გაცხადებას. ამიტომაც ასეთი ხერხით დახატული შთაბეჭედავი, მკვეთრი სურათი თითქმის ყოველთვის რეალისტურ აღქმასთან არის დაკავშირებული:

ა) „აქ მოთხრობილი ამბავი დაიწყო ისეთ დროს, როცა ჯერ არაინ იცოდა, თუ გაზაფხული — ეს კეკლუცი, მწვანე მანდილოსანი, რომელიც ხან ქარების ფრთებზე მიმოჭრის, ხანაც წვიმების სადავეთა ტლამუნით მოგვევლინება, საიდან აპირებდა ამ მხარეში შემოსვლას: ყინვის ბეგთარებში ჩამჭდარი კავკასიონიდან ალაზანზე ფეხშიშველად ჩამობრძანებას, თუ შიდა ქართლის ნაყოფიერ ზეგანიდან მამკოდას ხეობით კახეთში შემოჭრას, ისე როგორც საქართველოს მკლავმაგარ მეფეებს სჩვეოდათ ეგ, ან განჯის მხარის ველებიდან ყიზილბაშურად შემოპარვას, ალუბლის კარვების დადგმას ალაზნის ველზე, რომელსაც არამცთუ საქართველოში, ვგონებ მთელ მსოფლიოში არა აქვს ბადალი“. ქართული გაზაფხულის ამ მიწიღველი სურათით იწყებს ამბავთა თხრობას რომანისტი „ვაზის ყვავილობაში“. და ამ მდიდრულ წარმოსახვით სურათში ნაჩვენებია დროც მოქმედების დაწყებისა, ადგილიც მოქმედების გაშლისა, წარსულიც ამ ადგილისა და მიწიღველობაც მისი გარეგნობისა, რომლის გარემოცვაშიც ადამიანთა ბევრი ბედის კვანძი უნდა შეიკრას. აქ ამ მეტაფორულ ხილვას უსათუოდ დაკისრებული აქვს კო მ პ ზ ი ც ი უ რ ი ფუნქცია;

რულ-შედარებითი დანახვა განხორციელებულია „მთვარის მოტაცებულ“ პირველი ნაწილის პასაჟებშიც (სატყუარა ვილისფერი ჩითის კაბა ეცვა თამარს და თავად მზესა ჰგავდა ატმების ბალში გამოსულს“; „მთვარე ზედ დასდგომია მღუმარე ბაღს და ისეთი მშვიდი ღამეა, როგორც ბავშვის სიზმარი, აქ ვერცხლის სამოსელში მორთულა ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი და ძგიდეების ჯაგნარი. აკაციები სდგანან ჯაგნარებს გადაღმა, თავიდან ტერფამდის მთლად ვერცხლში ჩამჭდარნი“. მაგრამ ეს სურათები აქ შეფარდებულია ადამიანთა (პირველ შემთხვევაში — თამარის, მეორე შემთხვევაში — არზაყანის) განწყობილებებთან და ამ განწყობილებათა გარკვეული ფონის შესაქმნელად არიან მოშველიებული:

გ) დევების ჰიდილით გადათხრობილი მიწის ჰიპერბოლური სურათით, ისევე როგორც მიწიდან ამოყრილი მუხის ნაფესვარების შედარებით ურჩხულის ძელებთან („ვაზის ყვავილობა“) რომანისტი ჰქმნის ბუნებასთან ჰიდილის გრანდიოზულობის, ამ ჰიდილში ადამიანისა და ტექნიკის გამარჯვების თვალსაჩინო სურათს.

დ) „ნაძენარების საჩენლებზე გაწოლილი ბამბისფერი ღრუბლის ფრთილები“ თუ „თვალშეუღვამ ქარაფებზე აღმართული მტუტისფერი ლოდები“, რომლებიც „ისე შესხდომოდნენ ურთიერთს, ცას შებეჭნილ ციხე-კოშკებს მიაგავდნენ“, ისევე გადმოგვეცემენ დურუჯის ხეცს შეყოლილი გოდერძის განწყობილებას, როგორც თელავს დაბრუნებული ვახტანგისათვის ძველი სასახლე, „დევების გაპარტახებულ ბუნჯად“ მოსჩანს, რომლის „გამოცივებული ფანჯრებიდან გარეთ იმზირება ამ სასახლეში გამომწყვდეული ღამე“;

ე) მზეს მთების გადაღმა რომ უკვე დაუღვამს „ოქროს კარავი“, ეს დანახულია მთის ბილიკებს შეყოლილი კორინთელის მიერ, რომელიც სიორთავას

ბ) გაზაფხულის სურათების მეტაფო-

წიქვილში დამენათევი და ახალი შთაბეჭდილებებით აღესილია;

ვ) კავკასიონის ქედზე „ზედახორაღ შემსხდარი ლეგა ღრუბლები“ ისევე აღქმულია სასეირნოდ გამოსული ნუნუსა და გოდერძის გონების თვალთ, როგორც ვახტანგი და სუსქია ზედავენი მთვარის შუქზე „კოლოსალურ ტრაპეციის მინაგვარ, ხავსმოდებულ ლოდს, რომელიც დევის სარეცელით აზვი-ნულიყო ამ ხეობის გვაკეზაზე“. გარესამყაროს ამგვარ დანახვაში ჩვენ ვგრძნობთ იმ განწყობილებას, რომელიც დაუფლებია ამ დროს დიდი სიყვარულით შთაგონებული ადამიანების სულს;

ზ) ერთ სურათში „მთვარე ზედ წოზზე დაჭდომია გორაკს, თითქოს სადაცაა ძირს დაგორდებოთ ეს ამოდენა ცეცხლოვანი ბურთი“. ეს ავადმყოფ მძასთან მოდარაჯე; ძილს შექვილებული ნუნუს მიერ შექვილებული სურათია ბუნებისა. მის სულიერ განწყობილებასთან შეხამებული; მარტობაში დარჩენილი და შეშფოთებული მისი სულის რომელიც დაე ნიუანსის გააშკარავებდა, თანაც — მოსალოდნელი საფრთხის ერთგვარი წინასიტუაციური ნასკვი;

თ) ბაღში გასულნი, ბედნიერებას ნახიარებნი კორინთელი და მინდელის ქალი გასცქერიან კავკასიონის შორეულ მწვერვალებს, სადაც „ოფორტით მოხატული ციხე-კოშკებით იღვწენ უღელტეხილს გადაღმა ღრუბლები წინა-კლდეებზე“. ამ ძვირფას წუთებში მათ წინაშე ისახება ჩინებული მეტაფორული სურათი ბუნებისა, მათ მიერ აღქმული და მათს შინაგან განწყობილებებს აგრე რიგად შესიტყვებული („უამიდან ეამზე... ელვის ლეკური თავს წაპკვეთდა რომელიმე მწვერვალს, ხანაც გაანათებდა მალახიტისფერ კორდებს. ისინი ისეთი საყვარელნი იყვნენ, ხელის მოსმა მოუნდებოდა მაცქერალს. ახლა სულ ზევით, კავკასიონის მაღალ რეგიონებში დანავარდობდა ელვა, გაიფიქვბოდა ერთს და გამოჩნდებოდა სტავრისებრ ხასხასა ღრუბლებით

მოგებული სერელი, და იგი მოსჩანდა, როგორც ჰესპერიდების „ბაღნარისკენ მიმავალი შარა, ვარდებით მოგებული“). აქ ვარდებით მოგებული გზა კონკრეტული პარალელია წინა პასაჟში კორინთელის მოქმედებისა (იგი ვარდებს გადააყრის თავზე სუსქიას). და უფრო ვრცელი მინიშნებაა მათი ბედნიერების გზის დასაწყისისა, ხოლო შორეული ქუჩა-ქუჩილი როგორც სიმბოლური ნახატია მათი საბოლოო პირადი უბედურებისა.

ი) ქარის წივილი შეტხადებულებით თუ ტელეგრაფის მავთულეებზე ცრემლებივით დაკიდებული წვეთები; კოდებიდან უფსკრულში გადმოშვებული ხის დაკლანილი ფეხები, რომლებიც მთვარიან ღამეში გადმოყრილი „დაოსებული ველებს“ შთაბეჭდილებას ქმნიან, თუ გაქაპული „გოლიათი ალვები“, რომლებიც „გიშრის შანდლებით“ შებრჭენიან „ვარსკვლავებიან უმთვარო ღამეს“; „უწყლოდ დასიცხული, საცოდავად მოხუხული ზეები, რომელთაც ტოტები ისე აღუპყრიათ, „თითქოს ცას შესთხოვენო სიცოცხლის მომნიჭებელ წვიმებს“ თუ უფსკრულებში განრთხმული ხახადაჩენილი ქაოსი; ალაზნის პირას გარეული ბატების ძირსდაშვების ისეთი მირაჟული სურათი, თითქოს „ციდან მდინარეში ჰყრიანო პორცელანის თევშებს“ თუ აბილის მოჩვენება „კიბის თავის სამკაულად დადგმულ“ „შავ ბაზალტის ქანდაკებად“ — ეს არის გოდერძის, ვახტანგის, სუსქიას, ნიორთავას და სხვების კონკრეტულ ფსიქოლოგიურ განწყობილებათა გამოვლენა, მათ მიერ ხილვა ირგვლივ სამყაროსი, მათი დამოკიდებულების ასპექტი და არა ავტორის მიერ უსაგნოდ განხატებული „ლაშაში“ სურათები. „მთვარის მოტაცებაში“ ძაბულის სიცილი რომ „ქინქილიდან გადმოღვრილ ღვინის ლიკიკის“ არის შედარებული, ან ძაბულის სახეზე აღბეჭდილი ეს სიცილი „მოწმენდილ ცას რიყრატის ხელით შენაფრქვევ ვარდის წყლად“ არის დანახული, ამით გახსნი-

ლია ორი პერსონაჟის კონკრეტული ფსიქოლოგიური მდგომარეობა: თვით ძაბულის შინაგანი განწყობა თარაშთან შეხვედრის მომენტში; თარაშის მიერ შეცნობილი სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღე ძაბულისა, მისი გატაცება;

კ) გარუჭული ხეების „შავოსან ოჩო-კონებად“ ზმანებაში რომანისტი ჩინებულიად იქერს ემხვართან ტყეში მართო დარჩენილ თამარ შარვაშიძის შემფოთებას, ისევე როგორც სახლიდან მიმავალ არზაყან ზვამბაიას მიერ შემჩნეული დედის ოჩი მიღეული კბილით იგი თავისი გმირის ცნობიერებაში შემოიყვანს „მტირალი სიბერის“ მეტაფორულ სახეს;

ლ) ცრემლმორეული ხისმხატვრული მეტაფორული სახეც ასევეა გამოყენებული ზვამბაიების უმამაკაცოდ მიტოვებული კერის სიმბოლურ წარმოსახვაში („საწყალობლად წივის დუქმორეული თხემლის ნამორი და ცრემლები მოსვლია აღმოდებულ ხეს“). ამ ცრემლებში გადატანილად გააშვარაგებულია ხათუნას და ძაბულის დიდი დარდი და უკაცოდ შთენილი კერის ჩივილი;

მ) ცეცხლისმფრქვევ „ასთვლიან გველუშას“ დამსგავსებული გემი თუ მზით დაკოცნილი უშვას მწვერვალის „დავსილი თვალი“; ძაგანიას ქალის გრძელწამწამებიანი თვალების „დაფახულება“, როგორც „ორი შავფრთიანი პეპლის ფარფატი“ თუ „სიკვდილსავით ცივი ღრუბლები“; „ცის ოქროს კბილები“ თუ მთაწმინდის ფერგამკრთალი მთვარე, როგორც „თოვლზე დაგდებული ღველფი“ და ა. შ. — ყოველივე ეს ისევე და ისევე პერსონაჟისეული მეტაფორულ - ჰიპერბოლურ - შედარებითი აღქმამ იმ სამყაროსი, რომელიც მას გარს აკრავს; ამ პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობის, მათი დამოკიდებულების თავისებური ხატოვანი გახსნა რომანისტის მიერ. ამიტომაც, ასეთი სახეები მის ნაწარმოებებში განსაკუთრებულ აზრობრივსა და იდეურ შინაარსს შეიცავს. ასე უღდება იგი საზოგადოებ-

რივი ცხოვრების თუ ბუნების ყველა იმ მოვლენას, რომლებიც დაკავშირებულია მისი გმირების დიდ და ცხოველმყოფელ ცხოვრებასთან.

ფართო მინიშნებითს ფუნქციას ანიჭებს რომანისტი სიმბოლურად გადაწყვეტილ სიტუაციებს ხან მთელი ისტორიული მოვლენის არსის დანახვისა და ხანაც გმირთა ტრაგიკული აღსასრულის მომზადებისათვის.

მაგალითად, მუხის ძველ ფესვებს რომანისტი რამდენიმეჯერ უსვამს ხაზს „ვაზის ყვავილობაში“ და აქ ორგვარ სიმბოლურ გადატანითს მნიშვნელობას ანიჭებს მათ: ა) ერთ შემთხვევაში ისინი გამოყენებულია როგორც მიწას შერბილი ჩვენი ხალხის მარადისობის სიმბოლოში გადატანილი დიდი აზრის გასაცხადებლად;¹ ბ) მეორე შემთხვევაში — ბუნებას შექიდებული, ახალი იდეებითა და ტექნიკით აღჭურვილი ადამიანის ძალის დემონსტრაციისათვის.

„ვაზის ყვავილობაში“ მარტო შთენილი წეროს სასოწარკვეთილი ძახილი, „ძახილი დაცალბული მიჯნურისა, რომელსაც გულისტოლი დაკარგვოდა, მიწაზე და ეთერის უფსკრულში დაეძებდა მას“, ნიშანია უმეგობროდ დარჩენილი კორინთელის მდგომარეობისა. აქვე, ირმის სიკვდილით ასევე სიმბოლურად არის წინასწარ გახსნილი კორინთელის ოჯახის ბედი, ხოლო დამურებისა და მედუზის მოჩვენებითი შტრიხებით — სუსქია მინდელის სოცოცხლის დასასრულის მოახლოება ნიშანდებული, როგორც „მთვარის მოტაცებაში“ შავი მტრედების ამბავი თამარის დაღუბვას პრელუდიასავით წინ

¹ ამ სოფელს ცხრაშუხა ჩემვია ოდესღაც. რვა მუხა ემთა სიავს ვაუნაღურებია. ზოგი სიბერეს მოსრავს, ზოგიც მეხობატხას უმსხვერპლნია, სხვანი ყოზილბაშებს გადაურეჯათ, ზვენი ტყეების უბოროტეს შტრებს. ეს იყო ოლონდ, რვა მუხას ფესვები ჩვრაც არ იყენენ მიწის პირიდან წარბოცილნი იმ წლებში, როცა აქ მოხობობილი ამბები ასე უცნაურად გადაესვენენ ურთიერთს...“

უძღვის და შავი მამალი განუყრელ სიმბოლურ სახედ დაჰყვება თარაშს, როგორც მისი ბედისწერის ნიშანი.

ან ავიღოთ ოსტატობის თვალსაზრისით საინტერესო ხერხი: ტიპის შინაგანი სულის გახსნა რეალისტური და რომანტიკული მონუმენტური ხედვითი მანერების ურთიერთ შეხამებით; ტიპის ხატვის სხვადასხვა მანერათა გამოყენება ერთ გარკვეულ სიტუაციაშიც კი და, პირიქით, სხვადასხვა სიტუაციათა პარალელები ერთი სახით ხატვისათვის.

სურათი, რომელზეც ჩვენ ვხედავთ არხაყან ზეამბიას კოლორიტულ ფიგურას, შესრულებულია სწორედ რეალისტური წერის რომანტიკულ ხაზებითან შერწყმით. აქ სურათის ისეთი რეალისტური მონახაზები, როგორიცაა ცხენზე მჯდომი არხაყანი თავისი ამღერებული სულით, გვანჯ აფაქიძის განწყობილება და წინა დღეების სიმძიმის განქარვება, შეხამებულია გავარჯარებული მზის სხივებზე მოკრიალე და ულამაზესი გელების ფონზე მიმცურავი ფრთაშესხმული სიკბაუკის დიდებულ-მონუმენტურ წარმოსახულებასთან და ამ შეხამებით გახსნილია რეალისტური სინამდვილის გამირის რომანტიკული სულის მღელვარება.

ან კიდევ, სურათი გოდერძისა და ნუნუს შეხვედრისა „ვახის ყვავილობაში“: შინდის ბუჩქნარები, ალაზნის ჭალა, მეველე თუ ჭედნები, ერთმანეთთან ახლო მჯდომი ნუნუ და გოდერძი, — ყოველივე ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო სურათთა რეალისტური სამყაროსი; რეალისტის თვალთ დანახული და გააზრებული. მაგრამ, ამასთან, როგორი მაღალი რომანტიკული სულითაც გამსუვალა ეს ამ სურათს „გულზვიადი ბერძენის“ ჩვენება, ტოტებს მიღმა დანახული ვარსკვლავიანი ცის ბრწყინვალება, თუ ალაზნისა და მთვარის აღერსი!

სხვადასხვა სიტუაცია ერამენტრ ემხვარის დაპატიმრებისა და თარაშ ემხვარის მზადებისა დოლისათვის, მაგრამ ერთი რომანტიკული ხატოვანი შტრიხი

თითქოს ერთ მთლიან ხასიათად ჰკრბეს, ორივე ემხვარს (მოვიგონოთ ყოველი მშვიდად ჩამოვიდა კიბეზე — ქრამანტრ ემხვარი, რომელმაც გულდინჯად შეიბინა ახალბონის ყველა ოცდაათორმეტი ლილი და მხოლოდ ამის შემდეგ გაჰყვა მის დასაპატიმრებლად მოსულ ოლქის უფროსს, და შევადაროთ იგი სასტუმრო „ოდიშის“ კიბეებზე ჩამომავალ, ასევე ლილებშეკრულ და საჭირითოდ გამზადებულ თარაშ ემხვარს).

კ. გამსახურდიას ენა საერთოდ დიდხანს იწვევდა ლიტერატურისმცოდნეთა და ენათმეცნიერთა სამართლიან კრიტიკულ შენიშვნებს მთელ რიგ შემთხვევებში სტილის ღვლარქნილობის, არქაიზმების და სხვ. გამო. ბოლო წლებში რომანისტმა ბევრი შენიშვნა გაითვალისწინა და საგრძნობლადაც განტვირთა, უფრო სადა გახდა თავისი ენა. მაგრამ ამჯერად გვინტერესებს პრობლემის მეორე მხარე. ეს არის ენობრივი ოსტატობის ერთი კონკრეტული საკითხი, საკითხი კ. გამსახურდიას მხატვრული ფრაზის განსაკუთრებული სიმფონურობისა, რომელიც მიღწეულია ამ ფრაზის ალიტერაციული გამართვით, შინაგანად ამეტყველებული რიტმით და ცხადად გამოვლენილი რითმითაც.

ამის ნათელსაყოფად მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ: „თითქოს მაქებართა ბრბომ თავი მოახეზრაო და აზვავებულაო ტრიამელ ტრამალების მონატრული“; „ასე ერჩიენა ლუკაია ლაბაზუსს. ამიტომაც ბორგავდა. როკავდა. რეკავდა... როკავდა, რეკავდა ლუკაია ლაბაზუსა, რადგანაც ლხენა გამოლეოდა ამ ქვეყნად“; „ხომ ზეცის ცვარსავით რბილია ცრემლი, ვერცხლის წყალსავით მოვარვარე და მოციგლიგე, რბილია ცრემლი...“; „გოგვით და როკვით წამოვლენ ზვირთნი და აზვავდებიან.

აზვავდებიან...“ „ვიარე... ვიარე, ვიარე. ისევ დუმილი შემომეყარა ჭიუხებში და ბილიკებზე. ორი საათი კიდევ ვიარე. დუმილს მოეცვა დეკიანი გორ-

მხეხები და მყინვარები... დუმილს კიდემდის აუესია ცა და ხმელეთი... ისევ ვიარე, ვიარე, ვიარე. ოდნავ ეცვალა ბუნებას სახე; „და მესმის სადღაც საწყალობელად წივის როქო, წივის და წივის... ეს როქო წივის თუ ტყვილი აჩქამებულა? ეს როქო წივის თუ ჩემივე სისხლის ხმაური?... არა, ნამდვილად როქოს ხმაა... და წივის როქო ჭიუხებში, სადღაც შორეთში“.

განსაკუთრებით „მთვარის მოტაცებაში“ უხვად გვხვდება თეთრი ლექსით გამართული მთელი რიგი პასაჟები (მაგალითად, „ლირიული ინტერმეცო“, ლუკია სამრეკლოზე, თარაშ ემხვარის მოგზაურობა სოხუმიდან ფოთამდე, ნადირობაზე წასვლა სვანეთის მთებში, ჯამლეთ ტარბას სატყერის ზმანება და სხვ.).

თბრობის ასეთ მანერას, რომლის შემწეობითაც რომანისტი მეტად საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდის ამბავს, იგი მიმართავს განსაკუთრებულ შემთხვევებში: ა) როდესაც საჭიროა აშალებული ტონი ძლიერი შინაგანი განცდების და მაღალი პუმაწური გრძნობების გადმოსაცემად (ასეა, მაგალითად, იმ სცენაში, როცა კორინთელი თავისებურად აღიქვამს სუსქიას მიერ როიალზე შესრულებულ ლისტის რაფსოდის); ბ) როდესაც თბრობაში უშუალოდ ებმება თვით ავტორი, როგორც პერსონაჟი ან ლირიკული გმირი (მოვიგონოთ პასაჟები თავის გმირებთან ერთად სვანეთის მთებში მწერლის „გამგზავრებისა „მთვარის მოტაცებიდან“); გ) როდესაც რომანისტი იყენებს ადამიანების, ფაქტების, მოვლენების რომანტიკული ხილვის ხერხს (არზაყანის მოგზაურობა თვითმფრინავით, ჯიხვებზე ნადირობა და ა. შ.).

ამიტომ არის, რომ ასეთი მანერა თბრობისა გამოყენებულია არა მხოლოდ და არა იმდენად ფორმის გამრავალფეროვნებისათვის, რამდენადაც ამა თუ იმ იდეის, აზრის თავისებური, სხვა სიტუაციებისაგან გამორჩეული, ნათელ ყოფისათვის. განსაკუთრებით მკაფიოდ

მოსჩანს ეს რომანთა იმ თავებში, სადაც მწერალი მკითხველს განუხლებრების, ლირიკული გადახვევების (რუსულიდან) ფორმით გაცნობს თავის დამოკიდებულებას შემოქმედებითი პროცესისადმი, გადმოსცემს საკუთარ აზრებს მხატვრის მოვალეობასა და დანიშნულებაზე.

ჩვენ მრავალ ადგილას რომანებში მივიჩინებთ აგრეთვე ფერთა მთელი სიმდიდრის იმ გვარი მკაფიო გამოყენება, როდესაც ფერი ჰქმნის გარკვეულ განწყობილებას, ეხამება საერთო სიტუაციას. ან ბუნების პეიზაჟური ფერწერითი ხატვის ერთ-ერთ მკაფიო ელემენტად გვევლინება. აქაც საყურადღებო ის არის, რომ ფერთა შეწყვილება-შეხამება თუ კონტრასტირება რომანთა მთელ რთულ მხატვრულ სისტემაში დაქვემდებარებულია ნათელი იდეისადმი და ემსახურება ამ იდეის გამოხატვას. ფერთა სიუხვეს მხატვარი განსაკუთრებით მიმართავს ბუნების სურათების, პეიზაჟების მკვეთრი ხატოვანი წარმოქმნისათვის. და არც ერთ ასეთ სურათში ბუნების ფერთა გადმოცემა იზოლირებული არ არის ადამიანთა განწყობილებებისაგან. პირიქით, ეს განწყობილებანი აღქმულია ფერების თავისებურ გამოთა ფონზე ან ეს ფერები დანახულია გარკვეული განწყობილებისა თუ სიტუაციის ვითარებაში, როგორც მხატვრის ისე მისი გმირების მიერ.

ერთ სცენაში თამარ შარვაშიძის თვალთ არის დანახული აყვავებული ხეების ტოტებს შორის „გამომკრთალი ოქროსფერი ტალები“ თუ „ალუჩების იასპისფერ ფოთლებზე“ მზის სხივების თამაში, რითაც ამ სურათში შესანიშნავად არის გახსნილი თამარის შინაგანი განწყობილება თარაშთან მისი შეხვედრის მომენტში.

„ვაზის ყვავილობაში“ გაზაფხულის მოსვლის მიმზიდველ პეიზაჟურ სურათს განსაკუთრებულ სიცხოველეს მატებს კავკასიონის კალთების მოხატვა „ლაპის ლაზულის ფერებით“. ღრუბლე-

ბი აქ ხან კალას ფერს იღებენ, ხან ნიაღვრისა; ხან აქლემის, კურდღლის, ქედნის, მგლის, ჭეირნის ფერს და ხანაც — ფორთოხლისა თუ ცარცისა, ჭვიშისა თუ ტალახის ან სინგურისა; „მთვარის მოტაცებაში“ კი მათ ხან ტუტასფერი გადაჰკრავთ, ხანაც ენდროსი.

ბუნებას კ. გამსახურდიას რომანებში ჩვენ ვიხილავთ ხოლმე ხან „სინგურის-ფერი ალმურიით“ განათებული მთების პეიზაჟური მონახაზით, ხან შაბაშინის-ფრად შეღებილი მთების გრეხილებით, ხან მტუტისფერი ლოდების ცხადი ხატოვანი შტრიხით და ხანაც მრუმე ზღვის ფერით შეღებილი კავკასიონის მკვეთრი ნახატი; ცას ხან გნოლისფერი გადაჰკრავს, ხანაც საფირონისა და იასპის, მალაქიტისა და მტრედისა, სიხლისა და კალახი, ენდროსი და კოლხური ოქროს ხაწმისისა; ველებსა და მთებს ნამრუდის თუ ოქროში ამოვლებული ლაზურის, იის, ფოლადის თუ ნაცრის, ძერას თუ ჭიხვის ან ხელიკის ფერები აძლევს მრავალნაირ გამოხატულებას.

ბუნების უხვი ფერები მხატვრის მიერ გადატანილია ადამიანთა გარეგნობის, მათი მორთულობის მკაფიო მონატვისათვის, ხოლო ეს სახის, თმის, კანის ფერებთან შეხამებით ჰქმნის ადამიანთა გარეგნობის შთამბეჭდავ მონახვას.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ მხატვრის სხვა თავისებური მანერაც — მრავალი ფერის მიჯრითი გამოყენებით მდიდარფეროვანი გამის წარმოქმნა, როდესაც ფერთა ურთიერთ შენაცვლებით გაძლიერებულია სიტუაცია თუ სახე, ხაზგასმულია გამოკვეთილი აზრი. ერთ ასეთ მეტად მოკლე პასაჟში, სადაც გადმოცემულია გემით გამგზავრებული კორინთელის სიზმარი, ცხრაჯერ არის გამოყენებული სხვადასხვა ფერი (ნეფრიტის, ფორთოხლის, ღითონის, მალაქიტის, შოკოლადის, ფოლადის და სხვ. ფერები) რაც კიდევ უფრო აძლიერებს სიზმრად ხილული გარემოს ზღაპრულსა თუ რეალურ ასპექტებს.

ლირიკული გადახვევით, მკითხველთან უშუალო გასაუბრებლად, მანერაში საკუთარი მოქმედების ჩართვისა და გამსახურდია აბამს მეტი ინტიმურობით გამოთბარ ძაფებს მკითხველის გულთან; ხან შეასვენებს მას და ხანაც უშუალოდ დაეხმარება მოვლენის არსის შემეცნებაში. ყოველივე ეს კი უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის თხრობასა და მის ფორმას, მეტ საშუალებას აძლევს მწერალს მრავალმხრივად ასახოს ცხოვრების ბევრი მოვლენა. საბჭოთა ლიტერატურის მცოდნეობის ერთ-ერთ გამოკვლევაში კარგად არის მიგნებული ასეთი ხერხის დამახასიათებელი თავისებურება და გაანალიზებული მისი მნიშვნელობა თანამედროვე რომანისათვის ა. ტოლსტოის ტრილოგიის მაგალითზე (იხ. ი. როკდესტენსკაიას გამოკვლევა „ა. ტოლსტოის ეპოპეის ფილოსოფიურ-ისტორიული კონცეფცია“, დაბ. აღმანახში — „საბჭ. ლიტ. საკითხები“, IX, 1961 წ., რუს. ენაზე). აქ ხაზგასმულია ეპიკური პათოსისა და თხრობის ლირიკული პლანის ერთიანობა, შეხამებული ეპოქის რთული ხასიათის შედეგად წარმოშობილ დრამატიზმთან.

საინტერესო ის არის, რომ კ. გამსახურდია ხშირად მიმართავს ლირიკულ მონოლოგს, რომლის შემწეობითაც ფართო ეპიკურ თხრობაში შეაქვს დამაინტერესებელი ინტონაციები. ამ ინტონაციურ სვლებს მიმართავს ხოლმე, ძირითადად, როგორც გარკვეული აზრის ისეთ გამოხატვას, რომელიც მკითხველისაგან მოითხოვს დაფიქრებას, განსჯას, ჩაღრმავებას და მის შემეცნებაში წარმოშობს ახალ ფიქრებსა და აზრებს.

ამ მხრივ ჩვენ საქმე გვაქვს შემდეგი მანერების გამოყენებასთან „მთვარის მოტაცებასა“ და „ვაზის ყვავილობაში“:

1. ავტორისეული აზრის თუ მოქმედების უშუალო ჩართვა საერთო თხრობაში: (ა) როცა ენგურს აღწერს, რომანისტი იქვე ჩაურთავს — „აფსუს, ჯერ არ გვიქია ქართველ პოეტებს ენგურ-

როი!; ბ) სიყვარულის სიმძიმის განცდის გადმოცემისას რომანისტი ებასება მკითხველს — „მე რომ შეეშველებოდი არხაყანს, ეს არ ივარგებდა, რადგან არავინ დაიჭრებდა მაშინ გულწრფელობას მისას“; გ) როცა სოფელში ხმა დაირხევა მოსისხლე ტარბების მიერ არხაყანის, თარაშისა და კაცის მოკვლის შესახებ, ავტორი გვაუწყებს — „ხათუნამ ქმრისა, ვაჟისა და გავრდილის ნიშანი გამოიგლოვა, ხოლო ძაბულიმ არხაყანის ქვრივად გამოაცხადა თავი და ჯვალის ძაძა შეიკერა კიდევაცო“, მაგრამ იგი არ კმაყოფილდება პერსონაჟთა მოქმედების ამ გადმოცემით და თითქოს საკუთარ სულიერ მდგომარეობასაც გვაცნობს, რომ დამაჯერებლობის მეტი ძალა მისცეს მონათხრობს: „ხოლო მე, ამ უბედური ამბების ავტორი, დავლონდი ფრიად და სასოწარკვეთილმა ეს გადავწყვიტე: თხრობა შემეწყვიტა სავსებით...“; დ) ჯოკიას თავგადასავალის გადმოცემის დროსაც იგი უშუალოდ ებასება მკითხველს; ე) ბერმუხის მოვლენათა ხატვას რომანისტი ისე იწყებს, თითქოს, ეს დროდადრო მის მიერ გავონილი და ნანახი ნამდვილი ამბებია — „ბერმუხაში მომხდარი დრამატული ამბავის გამო, რომელიც ბარე შვიდი წლის განმავლობაში მზადდებოდა, კანტიკუნტად მომდიოდა ცნობებიო“, — გვაუწყებს იგი და გვაცნობებს, რომ ამის გამო ხშირად ვანზე გადასდებდა ხოლმე თავის ლიტერატურულ საქმეებს და ბერმუხას ეწვევოდა; ვ) აქ, ამავე მიზნით, პროფესორი ვანტანგ კორინთელი მწერლის ძველ მეგობრად არის წარმოდგენილი, ხოლო ნუნუ და გოდერძი უშუალო ნაცნობ ადამიანებად; ზ) ლუსიენის მიერ გამოგზავნილი სურათების აღწერისას გამოყენებულია აგრეთვე ავტორისეული მინაწერები; თ) გზად მიმავალი გოდერძის ოცნებას მისი შვილის თაობაზე იქვე მოჰყვება ავტორისეული რეპარკა, რომლითაც მკითხველთან პირდაპირი მიმართვის ფორმით გადმოცემულია ასოციაციით შექმნილი უკვე სხვა აზრი — „თუმცა

უკვე ნაბიჯებს მოუჩქარა გოდერძიმ, მაგრამ ვიდრე ბერმუხამისწი მიაღწევდეს იგი, ავტორის საქმროდ მიაჩნია მკითხველს შეახსენოს: ვანა მარტო ის პბადებს ალტაცებას, რაც უკვე მოცემულია და შექმნილი, არამედ უდიდეს ალტყინებას იწვევს იგიცა, რაც ფანტაზიის მიერ გამონავონია და შეთხზული“.

2. ავტორის შესვლა თხრობაში, როგორც პერსონაჟისა, უშუალოდ მოქმედი სახისა: ა) თამაღის — შარდინ ალშიბაიას — გჰქიანურებულ თხრობაში ჩარევა; ბ) მთელი თავი „მთვარის მოტაცებისა“ — „ლირიული ინტერმეო“; გ) ავტორი გზად გადაეყრება აფხაზეთიდან გადახვეწილ თავის გმირებს და მათთან ერთად განაგრძობს ვზას სვანეთისაკენ; დ) იგი ერთ სცენაში თოფს ესვრის და მწვერვალიდან გადახაფრავს თავის გმირს — თარაშ ემხვარს, და მრავალი სხვა.

კ. გამსახურდიას რომანების კომპოზიციურ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ერთი და იგივე ტიპის ხატვის სხვადასხვა მანერის შეხამება. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია თარაშ ემხვარის „მთელი ცხოვრება, რომელიც გადმოცემულია: ა) გმირისავე პირით, ბ) მისი პარიზული დღიურების, ჩანაწერების გამოქვეყნებით, გ) მისივე წერილებით ჟორა მახვშის კოშკიდან, დ) ავტორის მონათხრობით.

კ. გამსახურდიას რომანები ყურადღებას იქცევს ცხოვრების მოვლენების ფართო ხილვით, დიდი პრობლემების დასმით, ინტელექტუალიზმით, რაც ასე ნიშანდობლივია განვრცობილი პლანის რომანებისათვის. არა მარტო ქართული ხალხის ყოფის, ჩვეულებათა, ცხოვრების ზედმიწევნითი ცოდნა, არამედ მსოფლიოს სხვა ხალხების, კერძოდ, ევროპის ხალხთა ყოფაცხოვრების, კულტურის ცოდნაც, რაც თავის გამოხატულებას პოულობს, ორივე აღნიშნულ რომანში, ფართო რეზონანსს აძლევს ამ ტილოებს.

როგორც „მთვარის მოტაცებაში“,

ისე „ვაზის ყვავილობაში“ ჩანს მწერლის მახვილი თვალი და დაკვირვების განსაკუთრებული უნარი, ასე მკაფიოდ გამომქლავებული ყოფითი სცენების ხატვის პროცესშიც. რომანთა საერთო იდეისადმი დაქვემდებარებული ყველა ასეთი სცენა, პასაჟი გამოირჩევა ღრმა წვდომით ყოველი ყოფითი დეტალის თუ თვალსაჩინო მოვლენის არსში.

გავიხსენოთ „მთვარის მოტაცებიდან“ მარულის, ზინტიკიას თუ მირსობის პასაჟები; აზარის სიმღერები თუ მსხვერპლის შეწირვის, ან შელოცვისა და ლუკაიას „გაცხენების“ სცენები; კაროლინას „წყალთან მიყვანის“ ცერემონია თუ „მიწა დედოფლის“ მკადის გამოცხობის ჩვევის აღწერა; „მიზიტხუს“ პირველი ყვავილის დღესასწაულისა თუ სენაური ჩვეულების, „თვალუას“ თუ თხუნელების დღესასწაულის გადმოცემა და სხვ. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი რომანის მთელ მასალასთან, ხასიათების გახსნისა და ყოფაცხოვრების მთავარი საკვანძო პრობლემების ერთიან მხატვრულ იდეაში გაცხადების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენენ. „ვაზის ყვავილობაში“ დახატული სცენა „ათენგენობისა“ ჩინებულად ხსნის აბრია უჭირაულის სამყაროს ადამიანთა სულს, ისევე როგორც „ქვაკაცის ლეგენდისა“ და ამ ლეგენდასთან დაკავშირებული ჩვევების გადმოცემით ნაჩვენებია ლეგენდის მომთხრობის — ცეროდენას ნამდვილი ხასიათიც.

საერთოდ დახვეწილ, ლაკონურ თხრობასთან ერთად, რასაც ჩვენ ცალკე აღვნიშნავდით როგორც ოსტატობის ნიმუშს, რომანებში შეინიშნება ზოგიერთი სცენის, პასაჟის, აღწერის გავიანურება („ნაბუქოდონოსორის სიზმარი“ „მთვარის მოტაცებაში“ და სხვ.). ხანდახან ნატურალიზმის ელემენტებიც შემოიჭრებიან ხოლმე თხრობის რეალისტურ სტილში („მთვარის მოტაცებაში“ დახატული სამეანო კლინიკის

ზოგიერთი დეტალები). ვაწყდებით ხოლმე სიტუაციითა თუ ამზანვეთა წყდმეტ განმეორებებს (თარაზის დღიურებში ერთხელ მოთხრობილი ამბები სრულიად ზედმეტად მეორდება სხვაგან. მაგალითად, ამერიკელი ფაბრიკანტის გაღახვა ელვირა ფოკონერის გამო, ანა-მარია ფესტნერის გახსენება და ა. შ.). რაც ამძიმებს და ცალკეულ შემთხვევებში მოსაწყენსაც კი ხდის კითხვას.

სერიოზული ნაკლია ომის ამსახველი თავების ნაკლები ემოციურობა და შედარებით სუსტი ხატოვანი გადაწყვეტა, მათი ერთგვარი ნაძალადეობის შთაბეჭდილება „ვაზის ყვავილობაში“; ასევე, მხატვრული გადაწყვეტის ნაცვლად შიშველი აგიტაციის მანერის გამოყენება (გოდერძის საუბარი ლალბაწასთან „ვაზის ყვავილობაში“) თუ ულოგიურობა მოვლენის მხატვრულს მოტივაციაში (ერთ ბანაკში თავმოყრა რომანის პერსონაჟი ქართველი ტყვეებისა).

გარდა ამისა, ზოგიერთი მთავარი პერსონაჟის პორტრეტი მეტად უფერულია და ბუნდოვანი (მაგალითად, ნიკო მირიანაშვილის ხასიათი გახსნილია დეკლარაციულად, იგი არ არის დანახული მოქმედებაში).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რომანები (განსაკუთრებით „ვაზის ყვავილობა“) ერთგვარად გადატვირთულია კიდევ სინამდვილის იმ მასალით, რომელიც მათ საძირკვლად მისცა შემოქმედმა, ჯამ რომანთა მთავარი ტენდენციური ხაზი მაინც ნათლად და მახვილად, მაღალმხატვრულად არის გამოყოფილი: ეს არის რეალისტური ჩვენება თანამედროვე ცხოვრების განვითარებისა, სოციალისტური ურთიერთობების დამყარებისა, სხვადასხვა ფენის ადამიანთა სულში მომხდარი და განცდილი უდიდესი ძვრებისა, კონფლიქტებისა. ყოველივე ეს კი დანახულია მხატვრის ორიგინალური ოსტატური თვალით.

შოთა სარაბიძე

ზაღვა ამისულაშვილის რჩეული ღმსების გამო

უკვე ოცდახუთ წელიწადზე მეტია ეკიდება ქართულ სიტყვას შალვა ამისულაშვილი, ერთგულად მიჰყვება არჩეულ გზას და გვიზიარებს თავის პოეტურ ფიქრსა და განცდას.

ლექსებში — „ბელტები“, რომელიც უფროსი თაობის პოეტებისაღმია მიძღვნილი, და „ქიდილი სიტყვასთან“ შ. ამისულაშვილი გვესაუბრება იმ შინაგან იმპულსებზე, რომლებმაც კალამი ააღებინა და პოეზიის უღელში შებმა შთააგონეს. ხალხის სამსახურს, კეთილი საქმისათვის გარჯას მოწყურებულს, საკუთარ მოქალაქეობრივ დანიშნულებას იგი შემოქმედებით მუშაობაში ხედავს. ლექსის წერა მძიმე შრომად მიაჩნია, ხოლო კალამი თავის სახნისად, და თუ გლეხის სახნისს მატერიალური დოვლათი მოაქვს, პოეტის კალამმა სულიერი სიკეთე უნდა მოუტანოს ხალხს. ეს რწმენა მატებს ძალას, რომ ლექსად აქციოს საკუთარი განცდა და ფიქრი.

პოეზიის დანიშნულებაა სიმართლით ისახოს ცხოვრება, აჩვენოს სიცოცხლის სილამაზე. ეს კი ისევე ძნელია, როგორც ბეწვის ხიდზე ვავლათ, — ამბობს პოეტი ლექსში „ბეწვის ხიდი“. ეს აზრი დეკლარირებული კი არაა, გამოხატულია ბუნებრივად და მართალი გრძნობით. პოეტი აღწერს მაღალ მთებში გაწოლილ ვიწრო ბილიკზე მგზავრობას და ამ ფათერაკიან გზაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს. იმისათვის, რომ ეს აღწერა ცოცხალ სურათად აქციოს და მკითხველის მხედველობისა და გრძნობის არეში დააყენოს, პოეტი

იშველიებს გარემოსა და ყოფის მანიშნებელ მხატვრულ დეტალებს. ლექსის კომპოზიციაში მას შემოჰყავს „აქეთ ალაზნის, იქეთ კიდეც იორის ტალღა“ და თვალწინ გვიყენებს თავისი აღწერის გეოგრაფიას, ხოლო ცოტა ქვემოთ შეიძლება ითქვას, ეთნოგრაფიასაც, როცა ახსენებს „თუშ მეგზურსა“ და „ბარელ“ მგზავრს. ამით მკითხველი ორიენტირებულია კონკრეტულ გარემოში, ხედავს, რომ ავტორი უშუალო განცდაზე ესაუბრება და იჯერებს ლექსის დასასრულს ნათქვამ გულწრფელ სიტყვებს, როგორც პოეტისათვის საესებით ლოგიკურსა და ბუნებრივს ამ სიტუაციაში:

აქ სილამაზე, სიცოცხლე და თვითონ
სიკვდილიც
ერთადერთი გზით მიიღებთან
ზეავთა ზრიალში, —
და ოცნებისგან დაფერფლილი და
ფერმობილი
ჩურჩულით ვამბობ: — ასე ხვება
პოეზიაშიც...

შ. ამისულაშვილის პოეტური აზროვნება ვერ იგუვებს განყენებულ ფიქრებსა და განწყობილებებს. ნივთიერ და საგნობრივ საყრდენს მოწყვეტილ მეოცნებობასა და განსჯას. მისი პოეტური აზრისა და განწყობილების სათავე კონკრეტული ვითარება, მოვლენა თუ ამბავია. მაგრამ, რაც მთავარია და არსებითი, პოეტის ყურადღებას სადაც გაგონილი თუ ამოკითხული მოვლენები კი არ იპყრობენ, არამედ ისინი, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან მის ბიოგრაფიას, ცხოვრებას, პიროვნებას, მოქალაქეობას.

აი ლექსი „არტილერიის შტაბთან“. იგი ჩვენს მეხსიერებაში აცოცხლებს დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებს, როცა შ. ამისულაშვილი, საბჭოთა არმიის ჯარისკაცი, თავის მოქალაქეობრივ ვალს იხდიდა და სამშობლოს მტრებს ებრძოდა. პოეტი აღწერს არტილერიის შტაბთან მორიგეობას და თავის განცდას ამ წუთებში. მთვარიან ღამით, როცა წამით მიწყდება ზარბაზნების ქუხალი და მიყუჩდება არემარე. შაშხანის ლულას დაბჭენილ ქართველ ჯარისკაცს ავიწყდება სწავრები, ბლინდაეები, ტყვიების წივილი და ოცნებებში იძირება. შტაბთან მორიგეობის განცდა ქრება, თვალწინ მტკვარი, მესხეთი, ქართლის ტრამალები უღაგება და თავი ხან თეატრის ავანსენაზე პგონია ტაშით შეძრულ მაყურებელთა წინაშე, ხან არსენა ოქელაშვილია, ხანაც არჩილ მეფე, უნაგრის ტახტაზე ლექსებს რომ წერს... მაგრამ ჯარისკაცის სმენას ისევ სწვდება ომის ხმები, ქრება სცენა, პარტერი, იარუსები, სანახაობა თავდება. ფიქრი კვლავ არტილერიის შტაბს უბრუნდება და მებრძოლის ხელი იმედიანად სინჯავს გაციებულ შაშხანას.

ამ ლექსში დახატული სურათი უშუალო განცდის ნაყოფია, პოეტის სულიერი ცხოვრების ანარეკლია. აი თუნდაც სცენა, პარტერი და იარუსები. მათზე ფიქრი ბუნებრივია შ. ამისულაშვილისათვის, რომელმაც ომამდე თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა და სცენასა და ლექსზე ერთად ოცნებობდა.

დიდი სამამულო ომი პოეტისათვის იყო ცხოვრების მკაცრი სკოლა, აღამიანობისა და კაცობის ქურაში წრთობა. ომმა დააეჯეკა და წარუშლელი შთაბეჭდილებებით აავსო იგი. პოეტს ეამაყება, რომ საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლების მონაწილეა და ცდილობს შემოქმედებაშიც ერთგული იყოს ამ მაღალი აღამიანური იდეალებისა, რომლის სახელითაც იბრძოდნენ და სისხლსა ღვრიდნენ საბჭოთა ქვეყნის შვილები.

ეს სულისკვეთება მღელვარებით გამოხატა შ. ამისულაშვილმა თავის ომის შემდგომ ლექსებში — „სალამო თონესთან“ და „თალარი“.

თონემ ფიჩხი, ხმელი ფიჩხი არ იკმარა, —
წალმის კონებს უმარჯვენენ გოგონები;
მეზობლები აპირებენ არიფანას,
მეც მათთან ვარ, ეტყები სიყრმის
მოგონებით, —

წერს პოეტი ლექსში „სალამო თონესთან“ და ვალმოხდილი კაცის სიამაყით გვესაუბრება მტერზე გამარჯვების სიხარულსა და სამშობლო ქვეყნის უანგარო სიყვარულზე. თორმეტმარცვლიანი სალექსო ზომა, ქორეული და მეორე პეონური („თონემ ფიჩხი, ხმელი ფიჩხი არ იკმარა“) ან სუფთა მეორე პეონური („მეზობლები აპირებენ არიფანას“) ტაეები, სტროფს შიგნით ამ ტაეების გარკვეული წესრიგით მონაცვლეობა, სარიტმო სიტყვად ან სიტყვებად, როგორც წესი, მეორე პეონის ხმარება და მათი ჯვარედინად შერთვება (არ იკმარა — არიფანას, გოგონები — მოგონებით) ლექსს ანიჭებს თავისებურ რიტმულ ნახაზს, რომელიც რეჩიტატივით იკითხება, ოდნავ შემალღებულ სახეიმო ინტონაციას ქმნის და კარგად გვაგრძნობინებს იმ სულიერ მღელვარებას, რასაც ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცი განიცდის მშობლიურ მიდამოებთან შეხვედრის სასიხარულო წუთებში.

პოეტური განცდის უშუალოებით გამოირჩევა აგრეთვე შ. ამისულაშვილის მიძღვნილი ლექსებიც („მეგობრის მოსაგონარი“, „შიო მღვიმელს“, „მაიაკოესკის მუზეუმში“, „ტიციან ტაბიქეს“, „მარჯანიშვილის გახსენება ღურუჯთან“). ეს არ არის იმ ყაიდის ლექსები, ზეიმის დღეებში რომ იწერება ხოლმე ნაჩქარევად. ისინი იმ გრძნობებისა და აზრების გამოხატვაა, რომლებიც დიდხანს უტარებია პოეტს, სანამ ლექსებად მომწიფდებოდა.

უნდა შევნიშნოთ, რომ პოეტი ყოველთვის ვერ იჩენს სათანადო მომთხოვნელობასა და გემოვნებას. ასე, მაგალითად, ლექსში „ხელსაფქვაევი“ შ. ამი-

სულაშვილი ცდილობს პოეტურად გაი-
აზროს და განაზოგადოს დედის სახე. ამ
განზოგადებისაკენ იგი მიემართება ლა-
რიკული გმირის ცხოვრებიდან აღებული
რეალური ფაქტით, რომლის აღწერაც
მისი სიუჟეტის ხერხემალს შეადგენს,
მაგრამ კარგი ჩანაფიქრი მხატვრულად
ხორცშეუსხმელი რჩება. თავისთავად
სავსებით ბუნებრივია, კაცმა დოღაბის
ბრუნება ასოციაციით დედამიწის ბრუნ-
ვას დაუკავშიროს, მაგრამ ამ ლექსში
აღწერილ კონკრეტულ სიტუაციაში იგი
ნაძალადევის, ხელოვნურის შთაბეჭდი-
ლებას სტოვებს. პოეტი აღწერს იმდ-
როინდელ ამბავს, როცა ბაღლი იყო,
ე. ი. იმდენად პატარა, რომ ვერც კი
შველოდა დედას მძიმე ჯაფაში. ფიზი-
კურად უსუსური ბაღლი, ცხადია, გო-
ნებრივადაც მოუშრიფებელი იქნებოდა
და შეუძლებელია ისეთი რთული ასო-
ციაცია გასჩენოდა, რასაც ავტორი მი-
აწერს:

დოღაბს ხმაზე, როცა ღამის ცა
შეგვრთუებდა ბაღლებს ბუჩანში,
ვერანობდით რატომღაც, რომ დედამიწას
შენცა შველოდი დედი, ბრუნავში...

ჩემი აზრით, ავტორის სისუსტეა ავ-
რთვე ისიც, რომ შ. ამისულაშვილი,
ზოგი თანამედროვე პოეტის მსგავსად,
მხატვრული მოტივაციისათვის, იშვია-
თად, მაგრამ მაინც იშველებს გრამატი-
კულ კავშირებს — „რადგანს“, „ამი-
ტომს“, „იმიტომს“ და მისთანებს. აი
მისი ლექსი „შეხვედრა ალაზნთან“.
პოეტი ცდილობს დახატოს ჩვენი სამ-
შობლოს ახალი ყოფა მის უნუგეშო წა-
რსულთან შეპირისპირებით. ლექსი
აგებულია ილია ჭავჭავაძის ცნობი-
ლი ნაწარმოების („ალაზნის“) მო-
ტივებზე და მის მსგავსად მიმართვის
ფორმითაა დაწერილი. ლექსის შინაარსი
ასე შეიძლება გადმოიცეს: ნაადრევად
გაჰალარავებულ ილიას ალაზანი კვლავ
შეხვედრისას „მშობლიური მთის ცრემ-
ლით შემდგარი“ ეჩვენა, მუხა გამხმარი
დახვდა, რამაც სიყმაწვილის ჩამქრალი
ოცნებები გაახსენა და სევდა მოჰგვარა;
შ. ამისულაშვილს კი ეს მდინარე სულ

სხვა გრძნობებს აღუძრავს ახლა ალაზ-
ნი „სიხარულით მოარბევს ტალღებს“,
„სიცოცხლის აკვანს არწივებს“ გამხმარი
მუხა კი „ჯანმავარ ბიჭებს“ მოუტვრიათ
და მას „ახალი ყლორტები ამოუყრია“.
მისი შემყურე პოეტი, ნაადრევ ჰალარას,
ცხადია, არ მოეღის, ხოლო როცა დრო-
ული ჰალარა გამოერევა და კვლავ შეის-
ვენებს უკვე დავეაკაცებული მუხის
ჩრდილში, სულაც არ დაიწყებს „გარ-
ბენილ ქაშზე გლოვას“,

რადგან ყოველი ახალი დღე —
სიხარულს ნიშნავს,
რადგან სამშობლოს უშავებელი
ხომალდის ანძებს
ვერ შეათრთილებს უღამნოს რისხვაც.

მშობლიურ მიდამოებში გავლა, ირ-
გვლივ „სიცოცხლის აკვნის რწევა“,
უცებ წარსულის გახსენება, ოდესღაც
„გამხმარი“, მაგრამ ახლა „ჯანმავარი ბი-
ჭების“ შრომით კვლავ „ყლორტებამოყ-
რილი მუხის“ ხილვა, ჰმუნებისა და სე-
დის სამუდამოდ დავიწყება, „რადგან
ყოველი ახალი დღე სიხარულს ნიშნავს“
და ა. შ., — ეს ყველაფერი, მართალია,
სხვადასხვა ვარიაციით, მაგრამ ბევრჯერ
თქმულა.

სამაგიეროდ, მკითხველს გულწრფე-
ლად სიამოვნებს, როცა პოეტი ახალ აზ-
რებსა და გრძნობებს უზიარებს მას. ას-
ეთ შემთხვევაში შ. ამისულაშვილი ავ-
ლენს პოეტურ დამოუკიდებლობას, სა-
კუთარ წერის მანერას, რადგან თავი-
სი შთაბეჭდილებითაა დამძიმებული და
თავის სათქმელს გვეუბნება.

ასეა დაწერილი ლექსი „კასპიის ღა-
მე“, რომელიც ბაქოს ოცდაექვსი კომი-
სრის ხსოვნისადმი მიძღვნილი. ამ თე-
მაზე ბევრი ლექსი დაწერილა. მაგრამ
შ. ამისულაშვილმა იპოვა თავისი სათ-
ქმელი, ორიგინალურად გაიაზრა მასალა
და შესატყვისი მხატვრული ფორმა მო-
უძებნა ლექსს. პოეტი სარგებლობს რი-
ტმული ვარიაციით — სხვადასხვა ზო-
მის (თოთხმეტ და თმარცვლიან) ტაე-
პების კომბინირებით და ქმნის ლექსის
ლირიკულ-ეპიკურ ინტონაციას, რომე-
ლიც შინაარსისა და განწყობილების შე-

სატყვისია და კარგად გვაგონობინებს პოეტის მღელვარე ფიქრებსა და იმედინ განცდას. ამასთან, თანმიმდევრული რიტმული დინებიდან გადახვევა მას საშუალებას აძლევს გაამახვილოს სტრიქონში გატარებული აზრი და უფრო ცხადად მიიტანოს მკითხველამდე თავისი პოეტური ჩანაფიქრი.

ასევე თავისთავადი და დამოუკიდებელია პოეტი ლექსში „სტუმარი შუა აზიიდან“. ლექსის თემა მან აიღო საკუთარი ბიოგრაფიიდან, თავისი ცხოვრების ფაქტიდან, რომელიც პოეტურად გაიაზრა და სამშობლო ქვეყნისადმი აღტაცებული სიყვარულისა და ერთა ინტერნაციონალური მეგობრობის ჰიმნად განაზოგადა.

ამ ლექსთან დაკავშირებით უნდა შევხვთ შ. ამისულაშვილის პოეტური მეტყველების ერთ მხარეს, სახელდობრ, ალიტერაციული ბგერწერით მის გატაცებას. ჩვეულებრივ ალიტერაციულად აღერებულ სიტყვები და ფრაზები უფრო მკაფიოდ აღწევს მკითხველის სმენამდე და რჩება მეხსიერებაში. ამიტომ ამ ხერხის გამოყენებისას პოეტს დიდი მხატვრული ტაქტი და გემოვნება მართებს. ალიტერაციის უთავბოლოდ ხმარებამ შეიძლება გააფერმკრთალოს მთავარი აზრი. ამას იმიტომ ვიხსენებთ, რომ ბგერწერით გატაცება შ. ამისულაშვილის ლექსებში ყოველთვის როდია შინაარსისა და განწყობილების ინტერესებით ჩაგონებული. ეს ნაწილობრივ შეინიშნება ზემოთ მოხსენებულ ლექსშიც, მაგრამ უფრო შესამჩნევია „გაზაფხულში“, რომლის კითხვისას ისეთი გრძნობა გვიჩნდება, თითქოს პოეტის მთავარი საზრუნავი ტექნიკის დემონსტრირება იყოს და არა სათქმელის მკაფიოდ გამოხატვა. ამ პატარა ლექსის ხუთივე სტროფი ალიტერაციის პრინციპზეა აგებული. სტრიქონიდან სტრიქონში, სტროფიდან სტროფში გაბმული ხმაური ალიტერაციული ბგერებისა დღის მკითხველის სმენას, მთავარ შთაბეჭდილებად რჩება ლექსის კითხვისას, აძნელებს სიტყვებისა და ფრაზების აღ-

ქმას, და, ცხადია, აზრის შეგრძნებას.

შ. ამისულაშვილი ერთი იმთავანია თანამედროვე ქართველ პოეტთა შორის ვინც სერიოზულად მუშაობს სუჟეტური ლექსის ჟანრში და იცავს მის კარგ ტრადიციას. მისი სუჟეტური ლექსები — „ორი ობელისკი“, „ბალადა სიყვარულისა“, „შეხვედრა შუა აზიაში“ — აზრისა და განწყობილების პოეტურობით ხასიათდება და ჩანაფიქრის რეალისტური შესრულებით გამოირჩევა. პოეტი საინტერესოდ, ცოცხლად და სახიერად მოგვითხრობს ამბებს, ხატავს მოძრავ დრამატულ სიტუაციებს, ქმნის ბუნებრივ განწყობილებებს და ნათლად აჩვენს მოვლენაში დაფარულ პოეტურ აზრს.

ეს ლექსები საყურადღებოა იმიტაც, რომ მათში მკაფიოდ იცნობა შ. ამისულაშვილის პოეტური მეტყველება. მისი თხრობა ახლო დგას სასაუბრო კილოსთან, ფრაზა სასაუბრო ქართულისათვის ჩვეული ბუნებრივობით ხასიათდება, ხოლო სურათი, პოეტური სახე — საგნობრივობით, პლასტიკური სიცხადით, აზრობრივი გარკვეულობით.

წამო, ამაღლი მთაწმინდაზე,

ღალღალ გაშლილი

იხილე ფიქროს ვაქანება ბარათაშვილის, —

წერს პოეტი და ეს რთული მეტაფორული სახე, მისი ქვეტექსტი ნათელია ჩვენითვის, რადგან კონკრეტული საგნისა და მოვლენის რეალურ განცდას ეყრდნობა და პოეტური აზრითაა დატვირთული.

შ. ამისულაშვილის ლექსიკა და სინტაქსი თანამედროვე ენობრივი ნორმების ფარგლებშია მოქცეული. იგი არ ხმარობს (ერთი-ორი გამოწაკლისის გარდა, რაც სრულიად შემთხვევითია მისთვის) არქაიზმებს: ნართანია მრავლობითები, მსაზღვრელსაზღვრულის არქაული წყობა, არქაული კავშირები, არქაული ფორმები უცხოა პოეტისათვის. ასევე უცხოა მისთვის ფოლკლორული ფრაზეოლოგიზმები, ხალხური პოეზიის სტილური იმიტაცია. პოეტი მთლიანად თანამედროვე სა-

მეტყველო ენას ეყრდნობა და მის წიაღში ეძებს სიტყვიერი მხატვრობის მასალას. მაგრამ უნდა ეთქვას, რომ შ. ამისულაშვილი საჭირო გულმოდგინებით არ ეძებს ახალ, უხმარ ფერებს. ხშირად იგი ინერციით მიჰყვება გაკვალულ გზას, განურჩევლად იყენებს ტრადიციულად შემუშავებულ „მხატვრულ“ ენობრივ კონსტრუქციებს და იფიქვებს, რომ მათ დღეს უკვე აღარა აქვთ ოდინდელი სინატიფე და ფეროვნება.

მაგალითად, „ბულბულივით გალობა“ ტრადიციულად დამკვიდრებული სახეა და იმდენჯერაა ნახმარი პოეტების მიერ, რომ მისი კვლავ გამეორება აღარ ტოვებს სიახლის შთაბეჭდილებას, მოულოდნელობით არ გვაოცებს და, ცხადია, ემოციურადაც უძლურია.

პოეზიის ყველა მოყვარულს ახსოვს ტიცინ ტაბიძის ბრწყინვალე სტრიქონები ლექსიდან „აღზევანს წასვლა“:

ასე მგონია, ცა გაბო და
გულზე მომდგა ათასი შვილი,
ასე მგონია, ერთად ამღერდა
ათასი ვანთ სარაქიშვილი.

წუთით წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა, ტიცინს რომ ამის მაგიერ ეთქვა: ასე მგონია, ერთად ამღერდა ათასი ბულბულიო! ყველა დამეთანხმება, რომ ეს იქნებოდა ჩვეულებრივი მოლექსეობა და არა ნოვატორული პოეზია, სხვათა გადამღერება და არა პოეტური აღმოჩენების გზით სიარული.

მეცნიერებასა და ტექნიკაში დღეს არაფერს მოცდება უკვე მიღწეულის ხელმეორედ აღმოჩენისათვის. მკვლევარი ან გამომგონებელი, სანამ რაიმე ამოცანის გადაწყვეტას შეუდგებოდეს, საგულდაგულოდ ეცნობა სათანადო სამეცნიერო ლიტერატურასა და საინფორმაციო ჟურნალებს, რათა ამაოდ არ დაშვრეს და

არ დაკარგოს დრო, რომლის ყოველი წამიც ასე ძვირფასია. ბევრი მწერალი კი ჯერჯერობით ნაკლებად უფრთხილდება თარ ენერგიას, უსარგებლოდ ფლანგავს დროს და არ ფიქრობს იმაზე, რომ მისი სათქმელი შესაძლოა უკვე ნათქვამია სხვების მიერ. ამაზე დაფიქრება მით უფრო აუცილებელია, რომ დღევანდელი მკითხველის ცოდნა და გემოვნება ძალზე გაზრდილია და, ერთი თანამედროვე უნგრელი კომპოზიტორის თქმისა არ იყოს, „ყველამ ყველაფერი იცის“. ეს „ყველაფრის მცოდნე“ მკითხველი კი ერთობ ჭირვეულია და მხოლოდ აზრისა და გრძნობის დიდ სიერცეთა მკვლევარებს, პოეზიის კოსმონავტებს შოთხოვს. ამიტომ პოეზიაში წარმატების ერთადერთი საწინდარი შეიძლება იყოს მხოლოდ სიახლე, სიახლე იდეებისა, აზრებისა, გრძნობებისა, სიახლე თანამედროვე ნივთიერი და მატერიალური სამყაროს, თანამედროვე ადამიანის გონებრივი და სულიერი ცხოვრების, მისი სულისკვეთების ასახვაში, სიახლე პოეტური გამოხატვის საშუალებებში, კერძოდ, ლექსიკაში, ფრაზეოლოგიაში, ეპითეტებში, შედარებებში, მეტაფორებში და ა. შ. ამას, ცხადია შ. ამისულაშვილიც გრძნობს, მაგრამ ყოველთვის არ ითვისებს და, თუ მაინც ვამბობთ, მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ შევასხენოთ პოეტს, რომელმაც თვითონვე თქვა — „რა საჭიროა ქვეყნად ლექსები, თუ არ ცოცხლობენ მუხის ფესვებითო“. მუხის ფესვები გამძლეობისა და სიძლიერის პოეტური სახეა, გამძლე და ძლიერი კი იგი იმიტომაა, რომ მკვიდრადაა გადგმული თავის მაცოცხლებელ ნიადაგში და ხარბად სწოვს მის მადლს.

თინა ღონეაშვილის ახალი მოთხრობა საგამულო ომზე

თინა ღონეაშვილი თავის ახალ მოთხრობაში — „ჩემი მეგობარი“ კვლავ უბრუნდება იმ მღვდელვარე დღეების აღწერას, რომელთადაც მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია დაკავშირებული. ამ მოთხრობაში ავტორმა მიზნად დაისახა, მხატვრული სახეებით კიდევ ერთხელ გაახსენოს მკითხველს საბჭოთა ხალხის მძიმე განსაცდელის წლები, კიდევ ერთხელ დააყენოს მკითხველის გრძობისა და გონების წინაშე ნიურნბერგის პროცესზე გასამართლებულ ბარბაროსთა საზარელი ბოროტმოქმედებას აჩრდილი. მოთხრობას ეპიგრაფის სახით წამწვარებული აქვს შიორე ცნობა, საიდანაც ვგებულობთ, რომ მოთხრობაში აღწერილი მებრძოლი საყვირველი და არც თუ ტიპური ფაქტი — ქართველი სამხედრო ექიმის „გაქრობა“ გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში და ზედახლა გამოჩენა — ავტორის ფუნტიის ნაყოფი კი არა, არამედ მხატვრულად აღწერილი ნამდვილი ფაქტი. წიგნს რომ ამგვარი ეპიგრაფი აქვს წამწვარებული, ავტორის მხატვრული ინტელიცია და მკითხველის ფსიქოლოგიის კარგი ცოდნა ჩანს: ამგვარი ეპიგრაფის შემდეგ, წიგნში მოთხრობილი ამბავი განსაკუთრებულ სიმძაფრეს, დოკუმენტურ სიზუსტეზე დამყარებულ დამაყრებლობასა და სამოქალაქო პათოსს იძენს.

გარდა სამამულო ომისა და ფაშისმის თემისა, წიგნში რამდენიმე სხვა სოციალური თემაცაა აღძრული. ერთია იმ მოზალდერი გამოცდის თემა, რომელიც საბჭოთა ხალხს სამამულო ომამდე ბევრად აღრე ჰხვდა და რომელიც უკანასკნელი წლების საბჭოთა ლიტერატურაში არც ისე ფართოდაა ვერტიკალიზებული, როგორც ეს შეეფერება ამ თემის სოციალურ მნიშვნელობას. წიგნში მასალის კარგი ცოდნითა და ზომიერების უტყუარი გრძობით არის ასახული ამ ოცდაათი — ოცდახუთმეტა წლის წინათ სოფლად მომხდარი დიდი ძვრები. დამაყრებლად და, ასე ვთქვათ, ფერმარულის გარეშე არის ნაჩვენები მშრომელი გლეხების

ეოცხალი და ინდივიდუალური სახეები. კოლმურენოების შექმნა, სოფლის ცხოვრების ძირეული გადახლისება, ახალი კულტურების შემოსვლა და სოფლის მეურნეობის წინაშე ახალი უღიფესი პერსპექტივების გაშლა, რაც იმ ეპოქის საბჭოთა სოფლის ცხოვრების სახეს განსაზღვრავს, წიგნში მოკლედ, მაგრამ რელიეფურად არის ნაჩვენები. მთავარი გმირი — ჯერ ბავშვი — ამ დიდი ისტორიული ძვრის უშუალო მონაწილეა. იგი ერთის მხრივ მოწმეა იმისა, თუ როგორ ისახება ახალი ურთა, ახალი წინსვლის პერსპექტივები ვეროის ერთ-ერთ სოფელში, სადაც ის ნათესავეებთან ზაფხულს ატარებს. მეორე მხრივ, მას უშუალოდ ეხება ამ დიდი ისტორიული ძვრის შემთხვევითი, ჩრდილოვანი მხარე, რომელიც მთელ მის პირად ცხოვრებას, არამეველებრივად და არანორმალურად წარმოითავს. ბავშვობის ასაკში მტკივლი გამოცდილება ეს სკოლა, კარგ მხატვრულ ექსპოზიციას ქმნის გმირის საზოგადოებრივი თვითშეგნების შემდგომი გაშლისათვის. მის პატრიოტიზმსა და სამშობლოსათვის თავგანწირვას სამამულო ომის წლებში, ამ ფონის წყალობით უფრო რეალური დამაყრებელი იერი ეძლევა. გმირის კეთილშობილურ გრძობებში აღარაფერი რჩება გარედან თავისმობეველი, ზერელე, „უკონფლიქტო“.

მეორე სოციალური თემა, რომელიც აგრეთვე გაყრით, მაგრამ რელიეფურადაა დამუშავებული მოთხრობაში, საბჭოთა ხალხის ცხოვრების ერთ მძიმე პერიოდს ეხება. ტრაგიკული ამბავი, რომელიც ქეთოს ოჯახს 1937 წელს შეემთხვა, აგრეთვე ზომიერად, მაგრამ თვალსაჩინოდ არის მოთხრობაში მოცემული. მეორე ახალგაზრდა გმირის, ზინოს ცნობიერებაში გარდატეხილი.

მოთხრობის ფაბულას და ეპიზოდებს ძალიან ბევრი აქვს საერთო ომის თემაზე დაწერილი მრავალი მოთხრობის სილიეტთან და ცალკეულ პერიოდებთან. მაგრამ მთელი სიუჟეტური და ცალკეული პერიოდებიც მაინც თავისებურია, ინდივიდუალურია ამ მოთხრობებთან შედარებით. ქართველი ქალიშვილი, სამხედრო ექ-



თან, სევასტოპოლის სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, ტყვედ ეყარლება ფაშისტებს დაპირალია ჭკუფთან ერთად. მის გარშემო ბარბაროსთა ხელით იღუპებიან საბჭოთა ტყვეები — თავდადებული, მტკიცე და მაღალი სულის აღმამაყები, მასთან შეთვისებულნი და გასაპიროში გამოცდილნი. ერთ-ერთი მარშის ღროს ქეთი იძულებულია გვიარ გამოეცვლოს, რადგან სხვათაგან იგი ვერ იხსნის სუცვილისაგან ტყვე კაპიტანს მირიან სვანძებს. ფაშისტურ ჯოჯობებში ყოფნის ღროს მირიანსა და ქეთოს შორის სიყვარული იღვიძებს, მოჩვენებითს „ეოლ-ქმრობას“, რომელიც მათ ფაშისტების თვალს ასახვევად მოიგონებს, ნამდვილი ღრმა გრძნობა სუცვის. მირიანი შორეული გერმანიის მიწაში რჩება, ქეთო ბრუნდება საქართველოში, სადაც იგი დიდი ხანია დატოვებული ჰყავთ მის ნათესავეებსა და მეგობრებს. მისი პირველი სიყვარულის საგანს — ჩინოს—ეოლ-შერილი ჰყავს, მას ქეთო სევასტოპოლის დაცვის დროს დაღუპული ჰგონია. ამ ღრამატულ სიტუაციას წინ უსწრებს შეყვარებულთა ადრეული თავდადასავლი — მათი წმინდა ჰაბუეური ტრფობა თბილისში ფრონტზე წასვლის წინ, უფრო ადრე წრფელი ბავშვური სიყვარული სოფელში. მოთხრობა ისე თავდება, რომ ეს ღრამატული კვანძი გავსხნელი რჩება: ძველი გრძნობის აღდგენა აღარც ფაქტურად შეიძლება და აღარც ფსიქოლოგიურად. ორივე გმირი შეცვლილა, წლებმა და ცხოვრების მძიმე გამოცდილებამ თავიხი საჭმე გააკეთა.

ეს შთამბეჭდავი ამბავი გაურკვეველად მოგვავონებს მრავალ და მრავალ მონაყოლს, წაკითხულსა თუ ნახულს სამამულო ომის მღელვარე დღეებიდან. მაგრამ ავტორს მაინც მოუხერხება, რომ მთელი მოთხრობისასთვის, მთელი ღრამატული კვანძისათვის მკვეთრი ინდივიდუალურია იფრი მიეცა. ეს ინდივიდუალობა, რაც მთელ ამბავს განსაკუთრებულად დამაქრებელ ელფერს ანიჭებს და წარმოადგენს უკანასკნელ შტრიხს გმირთა ვანცდების ცოცხალი სურათის დასახატავად, მკითხველის თვალწინ ბოლოს იშლება. იგი ორივე მთავარი გმირის შეხვედრის უკანასკნელ სენამა მოცემულია:

„ვხედავ, ქეთის ვახანლი ოარებიდან სისხლი უჩანავს(ქეთიმ ეს-ესაა თავისი მძიმე თავდადასავალი მოუთხრო გმირს ნ. ნ.), ვხედავ ტკივილს მის გაფიორებულ სახეზე და მაინც არ ვეშვები, მინდა ვიცოდე ვწელაფერი...“

— შერე, ქეთი, შერე? — ვკითხე, ჩაჩუმდა თუ არა.

— შერე... ვერ დაევიწყე შირიანი... — თქვა და ისევ ჩაჩუმდა.

ქეთის რისხვიანი თვალეები, სეტყვის ღრუბელივით ჩამუქებული თვალეები იხედებიან სად-

დაცა შორს, თითქოს ამ სამყაროს მიღმა იქ, სადაც მე ვერ მივწვდი.

ენადიდუმებული გზავარ მეც

— ჩინო, ის რალაციო ძალიან გავდა შენ... — ოდნავ გასაგონად თქვა ქეთიმ.

მინდა მუხლი მოეუყარო ქეთოს, მინდა მიეწვდე იმ სამყაროს, რომელსაც სწელებიან ქეთის რარუბლისფერი თვალეები, მაგრამ უსახლერო ორიდ მაქვავებს*.

ეს უკანასკნელი სენა და მისი ფსიქოლოგიური ქვეტექსტი ავსებს და ასრულებს გმირთა ურთიერთდამოკიდებულებს, მათი განცდათა ცვლებადობის „შინაგან“ ღრამატულ სურათს. მკითხველი წიგნს დაფიქრებით, მღელვარებითა და გმირებისადმი ღრმა თანავგრძნობით ხუარავს.

„ჩემი მეგობარი“ ფორმის მხრივ საველისხმო და მრავლის მთქმელი მოთხრობაა. ავტორის წერის მანერა, რომელიც არსებობდა, უცვლელია მთელი მოთხრობის მანძილზე, დამაქვრებლობის მხრივ თანაბრად ძლიერი არ არის მოთხრობის სხვადასხვა მონაკვეთში. იმ ნაწილში, სადაც მოთხრობლია ფრონტის ეპიზოდები, დაბატულია საყოცენტრალიო ბანაკის სახარელი სურათები, გადმოცემულია საბჭოთა ხალხის ომამდელი ცხოვრების დიდი სოციალური მასშტაბის მქონე დამაფიქრებელი სენები, ავტორის მარტოვი სტილი კარგ მხატვრულ ეფექტს აღწევს. მკითხველს სჯერა მოთხრობილი ამბები, ის თავისუფლად, ძალდაუტანებლად მიჰყვება ავტორის აზრისა და გრძნობის მოძრაობას, მიჰყვება სრული რწმენით, რომ ავტორის სტილი მისივე სათქმელის გამომხატვის საუკეთესო საშუალებაა. გადამწყვეტ როლს აქ უთოლთამაშობს ავტორის სიმართლე და გულწრფელობა, ის გარემოება, რომ ავტორი ზედმიწევნით იცნობს მასალას და მისი გამოგონება არ სჭირდება.

სამავიროდ, წიგნის პირველი ფურცლები — მთელი ბავშვობის ეპიზოდი ვიდრე ჩინოს ოჯახს ფუძის შორღევაამდე — მკითხველზე უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოეებს ზედმეტად გაუბრალოებულ და ამეე ღროს პრეტენზიოზი მანერით, დაუყვრებელი, არაგულწრფელობითაც კი. უფრო მტკიცე მოთხრობის ეს ნაწილი გვეხამეშება კოდეც თაიისი დახვეწილობით, საევეო მხატვრული ზერხებით, დაუყვრებელი, მანერულია მთავალითად, ასეთი ტროპი — „ზამთარი არგონებთ დასცხოროცა მთებდან ბარს, ვერ ყინვის ლახვიარი ჩაეცა და შერე შვად დაშხრალი ეენახ-ბალები თოცლის მტკიცე არტაბეში გაეყრა“ (ეს „გასულიერება“ მით უფრო უფრს გვერას, რომ მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი და ეს სიტყვებით ეკუთვნის არა მწერალს, არამედ სულ სხვა პოეფსიის გმირს, ამ გმირის ბავშვობის მოგონებას გად-

მოგვეცეს); ან ვინ ირწმუნებს, რომ ბავშვურ შთაბეჭდილებას ვაღმარავყვეს ასეთი სიტყვები: „მე ძალიან მიყვარს დედა მერის თვალში მოხტენავე ცელქი ეშმაკუნები“. „გოგო-ბიჭების წგრო ერთმანეთს აფრენილი ბელტრებივით ავიშალეთ“, „მე მისუსტებული ვწვიარ, თვალებს ვუღუღე და ვფიჭრობ: რა ბედნიერი ხარ, ქეთო, შტარს შხამიანი ისარი ვკლავ რომ გეჩვენება..“ „ღღებები ასე ჩქარ-ჩქარა რად გარბიან. ისე გარბიან, გვგონება, ისინი იყენსავით ერთმანეთს ეჭობებიან სარბილში“, „კლდე უფრო ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს ის ადგილები, სადაც დარღვეულია გრძნობის ელემენტარული ლოკაცა, გმირს მისი ასაკისთვის უცხო და, საერთოდ, ადამიანისათვის არაბუნებრივი განცდები და წარმოდგენები მიეწერება: „ახლახანს ვამეღოქა. გიყვით წამოვვარდი. კალენდარზე უკვე სამი აგვისტოა. რა იქნა ორი აგვისტო? გაიპარა? მე რომ დამეძინა, აღბათ, მაშინ გაიპარა, საძაგვილი! ვავეყოლო? დამინახავენ და არ გამოშვებენ. ან სად უნდა ვეძებო გუშინდელი დღე? რა ვიცო, საით მხარეს წავიდა“. ან კიდევ: „უღში რაღაცა ვამეჩხარა, მაგრამ ვივაჯაკე. არ მინდოდა ეგრძნო, რომ ყანის მსგავსა და გვირისას მსგავს გოგოს დანახვაზე უღში რაღაცა ვამეჩხარა“. (ამ დღი „აფექტის“ მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ პატარა ბიჭმა უცნობი პატარა გოგო დაინახა).

სამწუხაროა, რომ მოთხრობაში, რომელსაც ასეთი მდიდარი და ღრამატული სიტყვები აქვს, სადაც ავტორი მასალის ასეთ ქარტყლში და ფართო ცხოვრებისეულ გამოცდილებაში ამყარებენ, არა ერთი ასეთი მხატვრული უხეშობა ვცხდებდა. არ შეიძლება, ამასთან დაკავშირებით, არ ვავიხსენოთ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა პარზიკოსი რომელიც თავის ნიჭსა და ენერჯის წერის ნამდვილად თანამედროვე მანერას გამომუშავებს, ფსიქოლოგიური სიმართლისა და ლავონიურობის დაუფლებას ახმარს. ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეულია და ხშირად დროებით მარცხთანაა დაკავშირებული, რადგან ამ ავტორთან დიდ ნაწილს ცერ-ცერობით არა აქვს ის მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც აუცილებელია დიდმასშტაბიანი, დიდი სოციალური თემებისადმი მოძღვნილ ნაწარმოებების შექმნისათვის.

ჩვენი დღევანდელი სინამდვილის წეროვანი მხატვრული ასახვა დახვეწილ, თანამედროვე გამოხატველი საშუალებებით მდიდარ სტილთან ერთად მწერლისაგან ფართო ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოითხოვს. „ჩემი მეგობრის“ ავტორს შეუძლებელი შემდგომი ძიება ამ მიმართულებით უთუოდ მრავალ ახალ შემოქმედლებით მიღწევას მოუტანს.

6. ნათამაძე

მოძვე რისკუპოლიკების კომედი

ყველა ადამიანი, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი, ისწრაფვის მშვიდობისა, მეგობრობისა და სიყვითისაყენ. ყველა ადამიანს უყვარს თავისი ერი, მშობლიური მხარე, ყველაფერი ის, რაც მის ვარს აყრავს და რასაც საყვარო ჰქვია. პოეზიაში, როგორც ზღაპრულ სარკეში, აისახება ადამიანთა უდაქრესი გრძნობები და განცდები, დარდი და სიხარული, ფიქრები აწმყოზე და ოცნებები უკეთეს მომავალზე. პოეტი თავისა მხატვრული სიტყვის ძალით განგვაცდევინებს აქამდე დამალულს და გვიჩვენებს უსასარლო და მშვენიერი სიცოცხლის გამოვლენას საგნებსა და მოვლენებში. ჰუმანიტი პოეტური ქმნილება ზოგჯერ აღმოჩენას ჰგავს, რადგან ხშირად იგი ჩვენთვის რომელიმე უცნობ მხარეს ახლებურად შეგვაგრძნობინებს. ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში სხვადასხვა ენაზე იქმნება პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებიც შთამაგონებლად მოქმედებენ ადამიანის სულსა და გონებაზე. მათი ქართულ ენაზე

თარგმანს და გამოცემა ჰუმანიტიად კეთილშობილი და საჭირო საქმეა. ამიტომ არ შეიძლება არ მივესალმოთ გამოცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების“ მიერ გამოქვეყნებულ ლექსების პატარა კრებულს, რომელსაც ბევრის-მოქმედი სათაური ამშვენებს — „სიბრძნე სიყვარულისა“. ამ რჩეული ლირიკული ლექსების კრებულში პოეტ მირის ფოცხიშვილის შეუკრებია და ქართულად უთარგმნია საბჭოთა კავშირში შემავალი თარგმეტი სხვადასხვა ეროვნების პოეტთა საუკეთესო ქმნილებები, ეს ლექსები დაწერილია მეგობრობაზე, მშვიდობაზე, დიდ სიყვარულზე და ყველაფერ იმაზე, რაც კი ადამიანს აკეთილშობილებს.

კრებულში შეტანილი ლექსების თემატიკა საკმაოდ ფართოა და მრავალფეროვანი. და რაც მთავარია, თანამედროვე ადამიანის განცდებითაა დატვირთული.

კრებულში მკითხველი ნახავს ლექსებს მეგობრობაზე, სხვადასხვა ეროვნების წარმოშობადგენელი პოეტები ერთმანეთს გატაცებით უმღერაინ ყველაზე ადამიანურ და მთის წყაროსავით წმიდათა-წმიდა გრძნობას მეგობრობას.

მეგობრობის უმღერის ახერბაიჯანელი პოე-

სიბრძნე სიყვარულისა, ლექსები, თარგმანი მირის ფოცხიშვილისა, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1968.

ტი სულეიშან რუსტამი („მეგობარს“), ესტონელი პოეტი იოჰანეს სამპერი („როგორ უნდა გასტლო ნეტა“) ყირგიზი სოთრონბაი ჟუსუევი („ნამდვილად მეგობარი“), და სხვები.

იოჰანეს სამპერი მეგობრის ყოლის აუცილებლობას შემდეგი სიტყვებით გამოხატავს:

„უერთგულეს მეგობარებთან გული თუ არ შეგუდება, თუ არ გყვარა უერთგულეს მეგობართა ერთგულება, როგორ უნდა გასტლო მაშინ უღიადეს ქარიშხალში... როგორ უნდა გასტლო ნეტა?!“

სოთრონბაი ჟუსუევის კარგად აქვს გადმოცემული მეგობრობის ასრი და ბუნება:

„მეგობარი მეგობრის სინდისი და ფარია, პოდა, ვით არ ენდობი მას, ვინც მეგობარია“.

ზრუნვა მახლობლისათვის უკეთესობილესი გრძნობაა, რომელიც ბედნიერებას ანიჭებს იმასაც, ვინც სხვისათვის ზრუნავს და იმასაც, ვისზედაც ზრუნავენ.

სხვა ადამიანთა კეთილდღეობაზე ფიქრებითაა გამსჭვალული აზერბაიჯანელი პოეტის რასულ რახს ლექსი — „წიგნი“.

„რამდენი დღეა მოდის და მოდის... დილიდან მოდის... მოდის და მოდის... აღარ ათავენს სიცილს და ხარხარს... წყიმი თ აივსო მდგლო და კორდი... უღახნოები იწვიან საღდაც, აქ კი სულ ტყვილ-უბრალოდ მოდის“.

მაგრამ აჩიან ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ მგლური კანონებით ცხოვრობენ, რომლებსაც არაფრად მიაჩნიათ სხვისი გასაჭირი და ეგოიზმის გრძნობით შეპყრობილი დახმარების ზღვს არცხვენ არ გაუწყვდიან. იმათ შეხატებ, ვისთვისაც უცხოა ადამიანთა შორის სოლიდარობის, ამხანაგობის გრძნობა, პატარა დედალის საშუალებით ბევრ რამეს გვეუბნება მოლდაველი პოეტი ვალენტინ რიშკა. დალილი მგზავტი გზის მარას სახლთან შეჩერდა და წყალი ითხოვა. მას უნდობმა ერთხანს უმზირა, წყალი არ გამოუტანა და კარები ცხვირწინ მიუკეტა. გულდაწყვეტილი პოეტი არაფრად იგდებს არც გრძელ გზას, არც დაღლას, არც წყურვილს. „მე არ მოვეყვები ახლა წყურვილით“, — ამბობს პოეტი. ბოლოს და ბოლოს სხვაგან დაღუეს წყალს, მაგრამ მას სულ სხვა რამე უძლავს ვაღს:

„მაგრამ უბრალოდ დღეს გული შეუდება და შეციოდება ის, ვინც საღდაც დაჰკარგა შეძლება ქვეყნად — რაღაც აკეთოს სხვისთვის“.

კრებულში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მარად უტკნობ თემს — სიყვარულს. სიყვარული ხომ ღირსეული ლექსების წარმოქმნის და გულმა. კრებულში წარმოდგენილი სიტყვათღმსწერმახე დაწერილ ნაწარმოებებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია, ალექსანდრე ტვარდოვისკის მომსიხბლავი ლექსი, რომელშიც სიყვარული გააზრებულთა ოქაბურ სიბოძისთან მჭიდრო კავშირში. უსათაურო პატარა ლექსში პოეტმა ბევრი რამის თქმა მოახერხა. არ ახსებას ერთმანეთი უყვართ, მაგრამ დადგა წუთი და მათ ერთმანეთს რაღაც ვერ გაუგეს და თითქმის, მათი სამუდამო განშორება ვარდუვიალია. ქალი უკვე მზად არის დატოვოს სახლი, მაგრამ წასვლის წინ ამბობს:

„წივალ ვიდრე, ჩვენს პატარა ღუმელს ბარემ ცეცხლს შევუთებ ერთხელ კიდევ“.

ოთახში სიბოძ დატრიალდა და ეს საკმარისი იყო მათი შერიგებისათვის. და ახლა, ამბობს პოეტი, როდესაც ჩვენს შორის რამე უსიამოვნება იკრძინება —

„უმალ ღუმელს მოვაშურებო, ბრიალა ცეცხლს განთებთ ერთად“

სატრფო დამატუვევებლად და პოეტურად არის დახატული უზბეკი პოეტის თემურ დოთაბის ლექსში — „მოხვედი შენ“. ეს ლექსი იმდენად კარგია, რომ მას ჩვენ აქ მთლიანად მოვიტანო:

„ეს შენ მოდინარ, თუ ბაღში ნისლებრ ალუბლის ტოტი აფავადა ისევ? ეს შენ იციანი, ლამაზო ჩემო, თუ რიყრავისფერ ცის ელიშება? მთვარე მეგონვ, შენ მზე ყოფილხარ, ნაწინავენს არხვე ოქროს სხივებად“.

მეორე მსოფლიო ომის მთელი საშინელება ყველაზე მეტად საშუალო კავშირის ხალხებმა იგრძნეს, ყველაზე მეტი მსხვერპლი მათ გაიღეს და განა საყვარელია რომ სწორედ ჩვენმა ხალხებმა ყველაზე უკეთ იციან მშვიდობის ფასი. ეს კარგად სჩანს ამ პატარა პოეტურ კრებულშიდანაც.

ომისა და მშვიდობის თემებზე დაწერილი ბელორუსი პოეტის მაქსიმ ტანკის ლექსი — „ფიქრს ავხანის დედა შვილთან“, ლატვიელი ცეცილია დინარეს ლექსი მიძღვნილია მათდამი, ვინც ომში დაიღუპა; გულისმანჩრუებელია მოლდაველი პოეტის გრაგორი ვიერეს ლექსი „ბერანგები“. ამ ლექსში, იმათი გულისტყვილია გამოხატული, ვინც მასობრივ ადამიანები სამუდამოდ დაჰკარგა ომში.

ჩვენი თაობა, ვერ დაიფრეებს, იმათ, ვინც თავი გასწირა გერმანელი ფაშისტების წინაღმდეგ ბრძოლაში. ახალი ომი მათი ნათელი ხსოვ-

ნის შეურაცყოფა იქნებოდა. ისინი ზომ ემიტომ იზარდნენ, რომ მშვილობა მოგპოვებინათ. ამიტომაც, რომ ჩვენი ხალხი განსაკუთრებული გულანტკვილით ივონებს ომის მსხვერპლთა და დაუღალავად იბრძვის მშვიდობისათვის. მისასალმებელია, რომ ამ თემაზე დაწერილი ლექსები ფართოდაა წარმოდგენილი აღნიშნულ კრებულში...

ამ კრებულის ღირსება იმაშიც არის, რომ მასში შეტანილია ისეთი პოეტური ნაწარმოებები, რომელშიც აღამიანისადმი უსაზღვრო ნდობა, მისი მომავლისა და ძაღბისადმი რწმენაა გამოხატული. ამ რწმენითაა გამსჭვალული ეკრაინელი პოეტის ვიტალი კოროტიჩის ლექსი „მწვანე ბალახი“ და სომეხი პოეტის ოვანეს შირაზის ბრწყინვალე ნაწარმოები „ღამბრუნება“.

პირველ ლექსში ლაპარაკია სიციცხლის დაუძლეველ ძალაზე, მის ყოვლის შემქნელობაზე. პოეტი გაოცებულია პატარა მწვანე ბალახის სიციცხლისუნარიანობით, რომელიც მას ვოლკათორ ძიას ანიჭებს. ასფალტის ქვეშ მოქცეული სუსტი, პატარა მწვანე ბალახი, ამოხეთქავს ვუდროს და „ესტლ ასფალტზე ამოდის ღვინით“. ვიტალი კოროტიჩი ასე ამოთავრებს ამ პატარა ლექსს:

„ასე ამოხეთქს ყოველგვარ პროზას
ღღეს პოეზია —
სინათლის მფენი —
მწვანე ბალახო,
საიდუმლო გამინდვ შენი!“

ფილოსოფიური სიღრმით და საკაცობრიო პრობლემების სწორი გალაკრით, დახვეწილი პოეტური ფორმით გამოირჩევა ივანეს შირაზის „ღამბრუნება“. ამ ნაწარმოებში ღვინაზარი კარგადაა გადმოცემული ეპიგრაფში „მთებმა ვერ იტანეს სევდა-ნადევლა... მარტოოდენ აღამიანებმა სძლოეს იგი“.

ლექსი თავისი ფორმით ძველთა-ძველ ლეგენდას მოგვაგონებს, მაგრამ შინაარსის მხრივ დღევანდლობის შუქითაა გაბრწყინებული. ავტორი გადმოგვცემს მითს ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის შესახებ. მაგრამ ამას ისეთი რეალისტურ-

რი ფერებით გვიხატავს, რომ მოთისაგან თითქმის აღარაფერი რჩება. ჩვენს წინ კუთვნილება სამყარო, რომელიც აღამიანს ვერც ვერცხვ და რომელიც თვით აღამიანშია თხევნი მთებშია და ზღვებით, მიწითა და ზეციით. გავედო დიდი ღმერთი და ქვეყნად სიციცხლე დაშვიდრდა. და აი, ღმერთმა

„ჩამოიბერტყა სიუხვის კალთა,
სრულყო ბუნება სინაზით, ეშხით...
და უცებ ჰხელავს მეუფე ცათა,
რომ მხოლოდ სევდა შემოარია ხელში“.

ღმერთი საგონებელში ჩაყარდა, ვის გადასცემს მან სევდა, ვინ იქნება ისეთი ძლიერი, რომ აიტანოს სევდის სიმწარე. სევდას ვერ გაუძღეს ვერც ჩიტებმა, ვერც მაღალმა მთებმა, ვერც მინდვრებმა, ვერც ზღვებმა, ვერც ცამ. მხოლოდ აღამიანმა გაუძლო სევდას. მან გაიარა ყველა განსაცდელი, სძლია ყველა სიმწუნეს დაამარცხა თვით სიციცილიც კი. ოვანეს შირაზი მაღალ პოეტურ ფერებში გადმოგვცემს კაცობრიობის მთელ ისტორიას, სიციცხლისათვის მისი ბრძოლისა და გამარჯვების ისტორიას. ეს არის ჰომერი აღამიანის უძლეველობისა, მისი კეთილი მომავლისა. აღამიანმა დიდი გზა გაიარა მღვთმეებიდან ვარსკვლავებამდე და აი, როდესაც მან თავისი სიბრძნით ვარსკვლავთ სამყაროც შეიქმნო, მას მოუღდა ღმერთის ნახვა. აღამიანმა ყველგან ეძება იგი, მაგრამ ღვთის ნაკვალევით კი ვერ ჰპოვა, და

„მიხვდა მაშინ,
რომ ცათა მაღლა,
მხეზე მაღლა და ცთომილთა მაღლაც
არავინ არს, ვისაც უფალი ერქმის,
რომ ღმერთი თვითონ მასშია ახლა!“

ეს ლექსი გამსჭვალულია რწმენით აღამიანის ძლიერებისადმი, უკეთესი მომავლის იმედით.

„სიბრძნე სიყვარულისა“ ლირიკული ლექსების პატარა კრებულია, მაგრამ იგი ხალხთა მებრძობის დიდ საქმეს მოკრძალებულად ემსახურება.

დმიტრი ჭაფიშვილი

ქართული ენის კვლელთა უახლესი გამოცემები

ჩამდენიმე წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ აკაკი შანიძის თაოსნობითა და რედაქტორობით დაარსდა გამოცემათა სერია — „ძველი ქართული ენის შრომები“, რომელთაგანაც დღემდის დაიბეჭდა 9 წიგნი. გამოქვეყნებულია გამოკვლევები და მეტად მნიშვნელოვანი ტექსტები ძველი ქართული ენისა.

სარეცენზო პუბლიკაცია ძველი ქართული ენის ძველებსა შესრულებულია პროფ. ი. იმნაიშვილის მიერ.

„ქართული ენის ისტორიული კრესტომათის“ პირველი ტომი პირველად გამოვიდა 1949 წელს (მეორე შეესებულ-შესწორებული გამოცემა განხორციელდა 1953 წელს).

წიგნს ერთეის გრამატკული ტაბულები და ლექსიკონი. ამ ნაშრომის მიზანი ასე იყო ჩამოყალიბებული პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში: „შრომა გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის სასწავლო

ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, II. გამოცემად მოამზადა ი. იმნაიშვილმა. 1963.

წიგნად ძველ ქართულ ენაში. მისი მთავარი მიზანია მისცეს სტუდენტობას კარგად შეჩვეული, მეცნიერულად დადგენილი და შეთოდურად დალაგებული საკითხავი მასალა ძველი ქართული ენისა და ვაეადგილოს ამ უკანასკნელის ლექსიკა და გრამატიკულ ფორმაში გარკვევა. მართალია, ქრესტომათია განვუთვნილი იყო სტუდენტთათვის, მაგრამ მისი მნიშვნელობა უფრო ფართოა და მეტად საყურადღებო ქართული ტექსტოლოგიის თვალსაზრისით. წიგნი წარმოდგენილია, გარდა გამოცემული ძეგლებისა, გამოუცემელი ტექსტების და ამავე დროს, ვასწორებულია ზოგიერთი ლექსის, რომლებიც მოიპოვება ძველ პუბლიკაციებში. მაგალითად, ი. იმნაიშვილმა ორიოდ შეიცვალა უმოკლე ისეთ წარწევად ტექსტოლოგის, როგორც იყო პროფესორი ნ. მარი. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ნ. მარისეულ კლასიკურ გამოცემაში იყო ასეთი ადგილი: „იოვანა მოყუასნი ყთილინი“. ი. იმნაიშვილის შესწორებით ამიერიდან უნდა იკითხებოდეს: „მოვანა მოყუასნი ყთილინი“.

ქრესტომათიის I ტომის გამოქვეყნებიდან გავიდა 14 წელი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ფოლოლოგიასა და ტექსტოლოგიაში, როგორც სწორად შენიშნავს ი. იმნაიშვილი, „დადი ძერები მოხდა“. თბილისში ვაშინგტონიდან მიღებულ იქნა სინას მთისა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები და გამოიცა პირველხარისხოვანი ძველი ქართული წიგნები, დაიბეჭდა სპეციალური გამოკვლევები ძველი ქართული ტექსტების შესახებ და სხვა.

ქართული ისტორიული ქრესტომათიის II ტომში შეტანილია ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი რამდენიმე ძეგლი, რომელთა მიკროფილმებიც ამერიკიდან (ვაშინგტონი) არის მიღებული. ეს ხელნაწერები და მათი ენა დიდად საყურადღებოა და თავისებური. ისინი, უმკველია, განსაკუთრებულ ადგილს დაიკვირნ ქართული ენის ისტორიის შესწავლის საქმეში. ამდენად, საესებით ცხადია, გამოქვეყნებულ მასალებს დამოუკიდებელი ინტერესი და მნიშვნელობა აქვს. ტექსტებს ერთვის ვრცელი ლექსიკონი.

წიგნი „შესვლია 3 სანერი ხელნაწერის 11 ძეგლი. პირველი ხელნაწერის ხელი წარმოადგენს IX-X საუკუნეებისათვის დამახასიათებელ შრელოვანს. იგი ეფუძნება ასურის თხზულებათა კრებულს. ეფრემი ქრისტანული მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი წარმომადგენელია. მის კალამს ეკუთვნის 1000-მდე ეგზეგეტიკურ-პოიმეტიკური ნაწარმოები, რომლებიც თარგმნილია მსოფლიოს ბევრ ენაზე. ეფრემი იყო „უდიდესი ორატორი და პოეტი, რომელსაც მის ეპოქაში ამ შტრიხ ბადია ანუ პყავდა“ (გვ. 164). მეორე ხელნაწერი X საუკუნისადა არის მიხენული, მაგრამ, როგორც გამოცემული აღნიშნავს, „ენობრივი

ფორმების მიხედვით თუ ვიშველებით, ის გაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს თარგმნილი, ისე დიდი მისი ოთოგრაფიულობა და ქრამატიკული არქაიზმი“ (გვ. 188) შესაშველად წარმოადგენს გადამწერად შეიძლება მივიჩნიოთ ქართველი მწერალი იოვანა-ზოსიმე, რომელიც სინას მთაზე მოღვაწეობს უკვე რამად მოხუცებულად; მისი ხელით მრაველი ორიგინალური და ნათარგმნი წიგნია დაწერილი და ჩვენამდე მოღწევლი.

ქრესტომათიის ერთვის გამოცემული ძეგლების ვრცელი ენობრივი მიმოხილვა.

როგორც გამოკვლევიდან ჩანს, სინურ ენობრივ ძეგლებს ახასიათებს თვალსაჩინოდ გამოხატული არქაიზმი. იგი თავს იჩენს როგორც ოთოგრაფიაში, ისე ფონეტიკურ მოვლენებში, მორფოლოგიურ და სინტაქსურ ფორმებში, ამათთანავე, ლექსიკაში. პირველი ხელნაწერის გამო ნაშრომში ნათქვამია, რომ „ეისაც სურს ძველი ქართლის თეორიული ნორმების მიხედვით გამართული წიგნი ჰქონდეს ხელთ, მან, სხვებს შორის, პირველ რიგში ამ ჩვენს ხელნაწერსაც უნდა მიმართოს“ (გვ. 188). მეორე ხელნაწერი, სხვათაშორის, ჩვენს ურდულეებს იმიოთ იპყრობს, რომ მისი ენისათვის მეტად დამახასიათებელი თვისებაა ძლიერი მიდრეკილება იოტოზაციისადმი. აქ ხმოვანი „ი“ უოველი ხმოვნის შემდეგ ეწროოდება და უმარცვლო „უ“-დ იქცევა. დღეზღის კი ვიცოდით, რომ „ი“-ს დავიწროება 4 ხმოვნის შემდეგ ხდებოდა მხოლოდ ბრუნების პროცესში, ე. ი. ვიწროვლებოდა მხოლოდ ბრუნვის ნიშანი ან ბრუნვის ხმოვნით ნაწილი. სარეცენიო ხელნაწერი კი არავითარ ურადლებას არ აქცევს იმ გარემოებს, თუ რას წარმოადგენს ეს „ი“, არას ის ბრუნვის, ქვევის, გვარის ნიშანი თუ ძირეული ილემენტია, მას უვალან აქცევა იოტად.

საგულსხმაოა, რომ ჩვენს დღედასწავის სახელად აქ გვხვდება ფორმა „თბილისი“, რომელიც დღევანდელ გამოთქმაში ერთადერთია და პირველად ამ ხელნაწერშია დადასტურებული (სხვაგან არ შეგვხვდებოდა).

პროფ. ი. იმნაიშვილი საგანგებოდ ჩერდება ერთ-ერთი ხელნაწერის, ნაწილზე, რომელიც შესრულებულია ძველი ქართული ლექსით. როგორც ცნობილია, მთელი ნაწარმოების, ან, რაც უფრო ხშირია, ნაწარმოების ცალკე ადგილების გალექსოა დამახასიათებელია უმოთავრესად ასეტიკურ-პოიმეტიკური ხასიათის თხზულებათათვის; გვხვდება სხვა ხასიათის ძეგლებშიც—წამებებშიც. „ამ ჩვენს ძეგლში, — ამბობს ი. იმნაიშვილი, — ასეთი გალექსილი ადგილები ორივე ენარის თხზულებებში გვხვდება“. გამოკვლევის ავტორი ახალიზებს რითმებს და უნდა დავეთანხმებოთ, მაგალითად, ერთი ასეთი ნიმუშის მიხედვით („მწოლია-ბრძოლია“) გამოტანილ დასკვნას: აქ „კლავულის წიწა, საყრდენი თანხმოვნებიც მსგავსია (მწ-მ), იგი დღესაც არ

არის დასაწუნებელი" (გვ. 214). აღსანიშნავია, რომ რითმებში ხშირად წინაა წამოწეული ანტონიმები: მკუდარი-უკუდავ, ბნელი-ნათელი, მოძულეა-შეჭულეა, მკვლობელი-მხლდომელი.

რითმების შერჩევისას, როგორც ეს შენიშნული აქვს ო. იმნაიშვილს, ტექსტის მთარგმნელი ზოგჯერ იძლევა შედარებით ზელოვებულ ფორმებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ჩვეულებრივ პროზაში იშვიათად თუ შეხვდებით (ითრვევბოდეს; უბანნი იგი ქალაქისანი მომედგარდებოდეს თრეეთთა მათ წმინდათათთა, და სხვა). „ხან ამ მიზნით პირდაპირ დარღვეულია ძველი ქართლის საზღერულ-მსაზღერელს შეთანხმების კანონი: თრეეთთა ასოთა წმინდათათისა. ჩვეულებრივად წესით უნდა ყოფილიყო: თ რ ე თ ა ასოთა წ მ ი დ ა თ ა ი ს ა. მაგრამ მაშინ ის კარგად ვეღარ შეერთებოდა ქვემო რითმის ცალს: შ ო რ წ მ ე ნ ე თ ა ი ს ა. სწორედ ამ მიზნითვე პოეტური ლიცენცია უნდა გვეჩინდეს აქაც", და სხვა (იხ. გვ. 217). ავტორის მიერ მოცემული ანალიზი უძველესი ქართული ლექსის ნიმუშებისა საყურადღებოა ამ საკითხის ისტორიულ ასპექტში განხილვის თვალსაზრისით.

პროფ. ი. იმნაიშვილს ძველი ქართული ლექსები, როგორც გაბმული ტექსტის ელემენტები

ცალკე არ გამოუყვია, გარდა C ხელნაწერის ერთი ადგილისა. ეს არის შეილი შორწმუნე უმაწეელის წამების შესავალი ნაწილი, რომელშიც ზოგად ხსენებში აღწერილია დევეთ მუხრსა და მისი ხელქვეითების მიერ დევნა ქრისტიანებისა, მათი საწინელი წვალება-წამება. „ამ ზოგადი შესავლის შემდეგ, — ნათქვამია გამოცევაში, — რომელიც საკმაოდ მაღალი პათეტური ტონით არის დაწერილი და ძველ ქართულ ლექსს წარმოადგენს, თბრობის მიმდინარეობა კალაპოტში დგება, ტონი მშვიდდება და ამბების მსვლელობა ჩვეულებრივი პროზის სახით მიმდინარეობს" (გვ. 216).

ხელნაწერთა ლექსიერი თავისებურებანი ასახულია ვრცელ ლექსიკონში, რომელიც შედგენილია საქმის ცოდნითა და დიდი გულმოდგინებით.

„ქართული ისტორიული ჰერსტომათის" ხარეცნითო ტომი უთუოდ საყურადღებოა ქართული ტექსტოლოგიის თვალსაზრისით, როგორც მეცნიერული პუბლიკაცია დღემდის უცნობი უძველესი ხელნაწერებისა; იგი გამოადგება ყველას, ვისაც აინტერესებს ჩვენი ენის ისტორიული წარსული.

შოთა ძიმიჯვარი

0 180
3360 80 333.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б Ц“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“